

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

რუსთაველის სახელობის ვახტანგ ლიბაჩაძის ინსტიტუტი

პროფ. ვიქტორ ბერიძე

რუსთაველიანობის ეტიუდები

კრებული შეადგინა
იოსებ მეგრელიძემ

რედაქტორი
პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	VII
1. ახალი ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“	1
2. „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება	7
3. დავით ჩუბინაშვილი	16
4. „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო	28
5. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“	57
6. რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“	60
7. რითაა ძვირფასი რუსთაველი	73
8. რუსთაველლოგიის ისტორიისათვის	75
9. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ	88
10. ტირილი და მისი აზრი „ვეფხისტყაოსანში“	96
11. შოთას პოეტისათვის	96
12. რუსთაველის შაირისათვის	117
13. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისა და გაგებისათვის	129
14. საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის	137
15. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული სახის განმარტებისათვის	145
16. სიკვდილისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“	148
17. <u>ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“</u>	168
18. „შერისა და მიშერის“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“	189
19. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის	203
20. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის	219
21. „ამხანაგთა სართეველად“	228
22. „და“ კავშირისათვის „ვეფხისტყაოსანში“	234
23. „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობისათვის	241
24. „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ სტროფისათვის „ვეფხისტყაოსანში“	267
25. ზოგი რამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის	282
26. საყენ-სიტყვისათვის „ვეფხისტყაოსანში“	288
27. Великий Месх	292
28. К вопросу о мировоззрении Рустанели	298
საკუთარ სახელთა საძიებელი	314

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული შეიცავს ჩემ მიერ 1911—1959 წლებში დაწერილ 28 რუსთველოლოგიურ ნაშრომს. მათგან 27 გამოქვეყნებული იყო ქართულსა და რუსულ სამეცნიერო კრებულებში, ჟურნალებსა და გაზეთებში. ნარკვევი „ამხანაგთა სართველად“ (გვ. 228—233) იბეჭდება პირველად.

ამ 50 წლის მანძილზე „ვეფხისტყაოსნის“ საკითხთან დაკავშირებული კვლევა-ძიება იმდენად გაღრმავდა და გაფართოვდა, რომ შეიქმნა საგანგებო სამეცნიერო დისკიპლინა რუსთველოლოგია, და ბუნებრივია, რომ ახალი კვლევა-ძიებით ბევრი რამ, რაც ბუნდოვანი იყო, გაირკვა; ამის შედეგად მეც შემეტყველა შეხედულება ზოგიერთ საკითხზე. წერილებს მაინც იმ სახით ვაქვეყნებ, როგორც ისინი თავის დროზე დაიბეჭდა: რიგ საკითხებზე ჩემი შეხედულება ძალაში რჩება დღესაც; ისინი უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ დაადასტურა ახალი საბუთებით, მაგალითად, ჩვენი კონიექტურა ტაქეებისათვის 879,3 (საეშმაკო—უეშმაკო) და 17,2 (სათრეველად--სართეველად, იხ. ქვემოთ, გვ. 233); გარდა ამისა, საჭიროდ ვცანი უცვლელად დამეჭვებდა წერილები იმიტომაც, რომ დამეცვა აზრთა განვითარების სურათი.

კრებულის შეზღვეველმა ერთგვარი სახე მისცა სხვადასხვა დროს დაწერილ ნარკვევთა სამეცნიერო აპარატს: კერძოდ, „ვეფხისტყაოსნიდან“ დამოწმებული ტაქეები (სპეციალურ შემთხვევებს გარდა) გამართა პოეზის უახლესი გამოცემის (1957 წ.) ტექსტისა და სტროფთა ნუმერაციის მიხედვით, გაასწორა სასტამბო შეცდომები, მიუთითა, თუ სად და როდის დაიბეჭდა ესა თუ ის ნარკვევი.

გვ. 90, მნშ. 1, დასახელებულია ჩემი წერილი „საბჭოთა ხელოვნების“ 1935 წ. № 4-ში. მკითხველს დაეხადება კითხვა, რატომ არაა დაბეჭდილი ეს წერილი აქ, კრებულში? იმიტომ, რომ აქ წარმოდგენილია მისი უფრო ვრცელი 1938 წლის რედაქცია რუსულ ენაზე (იხ. გვ. 298—313).

კრებულში შეტანილია ისეთი ნაწერებიც (მაგალითად, „დ. ჩუბინაშვილი“, „საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“), რომლებსაც თითქოს უშუალო კავშირი არა აქვთ რუსთველოლოგიასთან, მაგრამ შინაარსით ისინიც მას უკავშირდებიან.

მუკოლ ბერიძე

თბილისი,
1961 წლის 25 ნოემბერი.

ახალი ვარიანტი „ვეფხისტყაოსანისა“

ვეგონებ, არც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებზე არ თქმულა და არ დაწერილა იმდენი, რაც დაიწერა და ითქვა ჩვენს დიდებულს, უკვდავ „ვეფხისტყაოსანზე“. მიუხედავად ამისა, იგი დღესაც შეუსწავლელია — და რაში გამოიხატება მისი დიდება, მისი უკვდაობა. საგსებით, სრულად ჭერჭერობით გამოურკვეველია. შეიძლება ეს იმიტაც აიხსნებოდეს, რომ „ვეფხისტყაოსანა“ ჩვენთვის შეტად საყვარელია — და საყვარელის გაგება, გამორკვევა, მისი ასე ვთქვათ. შეგნება გვაწინებს. ვაი. თუ ჩვენს საყვარელს არასასურველი წამებულაქა აღმოაჩნდესო! ისევე ვამჯობინებთ მისი საერთო მოლიანი მშვენიერებით დავტკბეთ.

ცდემლის დაუსრულებელი დავაა ატეხილი „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის შესახებ: ზოგი ამტკიცებს მის სრულ ორიგინალობას, მის ქართულობას; ზოგი ემყარება წინასიტყვაობის ერთ ხანას, სახელდობრ:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანებო... ვპოვე და ლექსად გარდეთქვი...

და ამის მიხედვით უარყოფენ მის ორიგინალობას; ზოგს ეს სიტყვები სწამს, მაგრამ უმატებენ: კი, მართალია, შოთამ ისარგებლა სპარსულიდან პროზად გადმოღებული ამბო, მაგრამ ეს ამბავი უმნიშვნელო ზღაპარი იყო. — და ასე დაუსრულებლად კამათობენ.

ჩემის აზრით ამ კითხვის შესახებ ამდენი წერა და კამათი ფუჭია და უსარგებლო: ათასი ტომი რომ ავაგოსო, ვერას ვიტყვით იმის შეტს, რაცა თქვა თვით შოთამ — „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“...

ამ სიტყვების ჩვენი სურვილის თანახმად გამორიცხვა, ან სხვაგვარად გაგება ტყუილი ცდაა, — მეტი რომ არა ვთქვა, სასაცილოც! არც სპარსული ამბის შესახებ შეიძლება რისამე თქმა, მით უფრო, რომ არა თუ მას, მის ნატამალსაც ვერსად ვპოულობთ. მორჩა და გათავდა!

დანარჩენი ყველაფერი უნდა მოგვეცეს თვით „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსმა. მისმა ყოველმხრივმა შესწავლამ: გამორკვევა იმისა. თუ რა არის პოემაში ქართული ცხოვრების ანარეკლი და რა არის შიგ უცხოთაგან მონაბერი¹. უკანასკნელი გარემოებისათვის აუცილებლად საჭიროა ვიცნობდეთ იმ ხალხთ, რომლებთანაც იმდროინდელ საქართველოს ჰქონდა კულტურული კავშირი.

¹ ამ გზას ჭერჭერობით „ვეფხისტყაოსნის“ ორი მკვლევარი ადგას: პროფ. ნ. მარი და იუსტინე აბულაძე.

მაგრამ სანამ მკვლევარი ამას შეუდგებოდეს, თავდაპირველად მიუცილებელია ტექსტის კრიტიკული გამოცემა. უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც სხვა ჩვენს ლიტერატურულ ნაშთებს, „ვეფხისტყაოსანსაც“ დიდი უბედურება ეწვია. მასზედაც დიდმა ქართველმა გადაიარა: საუკუნეთა განმავლობაში მისი ტექსტი მეტად დაზიანდა, შეიღობა, უვიც გადამწერთა წყალობით ბევრი რამ დაკარგა, ბევრი რამ უვარგისი შეიძინა. დიდი შრომა, მეცადინეობა და მასთან სათანადო ცოდნა საჭირო, რომ ტექსტმა ძველებური, პირვანდელი სახე მიიღოს. ამისთანა შრომისათვის კი აუცილებელია მოინახოს რაც შეიძლება მეტი ხელნაწერი, რომ ყველა ვარიანტის მიხედვით ერთს კრიტიკულად გამოცემულ ტექსტს ველიროთ.

ამგვარ ძვირფას მასალად უნდა ჩაითვალოს ბ. რ. ყ. დათეშიძის მიერ შექმნილი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“.

ხელნაწერი 28,5X21,5 სანტიმეტრია. აქვს ხის ყდა, ყვითელტყავგადაკრული: ტყავისავე შესაბნევი ჰქონია, მაგრამ დღეს მხოლოდ ნაშთილია; დაწერილია კარგ ქაღალდზე მრგვალი ლამაზი მხედრულით; ყოველ გვერდზე შემოვლებულია მოვარაყებულები სადა არშია. სათაურები და თითოეული ხანის პირველი (ხან მეორეც) სიტყვა დაწერილია კინოვარით; ყოველი ფურცლის ქვედა არეზე კინოვარითვე აღნიშნულია ორი ან ერთი სიტყვა შემდეგი ფურცლის პირველი სტრიქონისა; ეს გარემოება ძალიან გვიადვილებს დანგრეული ფურცლების დალაგებას. რადგან ხელნაწერს პაგინაცია (ფურცლების სათვალავი) არ აქვს; ზოგ ფურცელს ეტყობა, რომ წინათ ქვედა არე არაბული ციფრებით ყოფილა აღნუსხული, მაგრამ შემდეგში ხელნაწერი შეუკეთებიათ და ციფრებიც შემოუჭრიათ; ყოველი სიტყვის შემდეგ დასმულია ორწერტილი; გადამწერის ვინაობა და გადაწერის დრო არ არის ნაჩვენებ; ფილიგრანი მხოლოდ ზოგიერთ ფურცლებს აჩნია და ისიც ძლიერ მკრთალად: გვირგვინს ქვემოთ მოქცეულია სურათებიანი მოგრძო ოთხკუთხედი, ქვეშ აღნიშნულია ყურძნის მტევნისებური მოხატულობა. ამ ნიშნებითა და აგრეთვე ნაწილი ციციშვილის ჩამატებული ხანებით ეს ხელნაწერი ძალიან წააგავს ბ. ე. თაყაიშვილის მიერ გარჩეულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს, რომელსაც ჩვენი მეცნიერი XVII ს. მეორე ნახევარს აკუთვნებს².

სიძველის მაჩვენებელია აგრეთვე ის, რომ თითოეული ხანის უკანასკნელი სტრიქონი იწყება კავშირით „და“, განსაკუთრებით უ-ნის ხმარება უ-ნის ნაცვლად: უკანასკნელი ორთოგრაფია (უ) შემოღებულია კათალიკოზ ანტონ I მიერ XVII საუკუნეში. მაგ. გუდის, მოგუცა, დათურუგუნად. ნათქვამი, დაშურების, ქუნენანი და მრავალი სხვ.

შიგადაშიგ ხელნაწერში რამდენიმე ფურცელი დაკარგულა და შემდეგ ჩაუკერებიათ. რასაც მოწმობს სხვაგვარი ქაღალდი და განსაკუთრებით შემდეგდროინდელი გაკრული ხელი და ორთოგრაფია.

წინასიტყვაობის ფურცლები დანგრეულია. მაგრამ აზრისა და გადმოტანილი სიტყვების მიხედვით შეიძლება დალაგება. წინასიტყვაობაში ბევრი რამ

² Е. Такайшвили. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, II, вып. III, Тифлис, 1938. გვ. 564 № 328.

არის იმისთანა. რაც დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანში“ არ მოიპოვება. აგრეთვე
ჩანებიც სხვაგვარადაა დალაგებული, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ მისი მოყ-
ვანა. იწყება ასე:

1. შენ გვეუდრებო მალაღ, მცნობელი გულის ქათაო,
მომეც ძალი და შეწეენა, უფალო, უფლებათაო,
ჩვენ ქება გვინდა მათ გმირთა, მათ ფერად კადრებათაო,
და პირველად ტარიელისა და მერმე მისთა ძმათაო.
2. მო, დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გულის არ შემარობილი,
მისებრივე მართ დაბადებით ვინმეცა ყოფილა შობილი,
დაეჭე, რუსთველმა გავლექსე მისთვის ე რ ლახვარ სობილი,
და აქამდის ამბეად ნათქუამი, აწ ძარგალირი წყობილი.
3. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბათ: და წამწამთა, თმათა და ბაგე ტკბილისა,
ბროლ ბალახშისა თლილისა მის მიჯრით მიწუობილისა,
და გასტეხს ქვასაცა მაგარსა ვერდემლი ტყევისა (რბილისა).

ამა ამავე პირველი დასაწყისი ვეფხის ტყაოსნისა

4. მე რუსთველი კელობითა (sic!) ვიქ საქმესა ამაძარო,
ვის შორჩილობს ჩარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკუდარო
დაუძღურდი მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსად არი,
და ანუ მაშეც განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.
5. თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული,
მელნად ვიქმარე ვიშრისა ტბა, კალმად მინა ხეული.
6. ...ეი წურვილად უამბობს, ზედა სადმე არ წასთვალოს,
ყოვლსა კაცსა ამეტებდეს. კირსა თავი არ აკრძალოს,
ლექსთ ქართული აღარიბოს, გააგრძელოს, არ ამგრგვალოს.
და ნახოს კარგმან გამგონებან, არა სადმე არ აბრკალოს.

შემდეგ ახალ ფურცელზე³.

თავი პირველი დასაწყისი რუსთაველისაგან ნათქუამი

7. ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ჩანასა
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათურგნად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, საკუდავად გასატანისა,
და ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა.
8. რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზე გარდმო არსნი სულითა ყუნა ზეციით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგუცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
და მისგან არს ყოვლი კელმწიფე სახითა მის მიერთა.
9. პირველ თავი დასაწყისი ეგრე ნათქუამი სპარსულად,
უხმობთ ვეფხის ტყაოსნობით, არსსა შეიქმნა კორცსა სულად,
სასმენელი შეენიერა, გათარგმული მით ქართულად
და მსმენელთათვის მარგებელი. ყურნი მიხსცეთ გულის სრულად.

მე-10 და 11 ხანა დაზიანებულია და კარგად არ იკითხება.

³ კარგად არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ფურცელი თავის ადგილს ბევს

12. ვის შეენს, ლომსა, კვარეაა შეუძისა ფარ-შიმშერისა,
 შეფისა მზისა თამრისა, ლაწე-ბალახშ, თმა-გიშერისა,
 მას, არა ვიცი, შეეძროთ შესხმა ხობისა შერისა,
 ჯა მისთა მკურეტელთა ყანდისა მართმა კამს მართ მშვიერისა

ამ ხანაში საყურადღებოა მესამე სტრიქონში ნახმარი შერიისა. შერი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ლექსს⁴.

„შერისა“ კიდევ იპოვება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ხელნაწერში, რომელიც აღწერა ეპისკოპოზმა, კირიონმა⁵.

დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანში“ კი ყველგან „ხშირისა“ სწერია. ცხადია, აქ „შერისა“ უფრო აზრიანია და რითმისათვისაც უფრო ლამაზი. პრ. მარს არ ჰქონია ხელთ ჩვენი ვარიანტი და „მ.ზამბეში“ აწერილი ხელნაწერიც გამოეპარა; მიუხედავად ამისა, მან პირველმა შეასწორა ეს ალაგი და „ხშირის“ მაგიერ „შერისა“ დასვა⁶.

გაზეთის ერთს რეცენზენტს (არ მახსოვს ვინ იყო), არ მოეწონა პროფესორის ასეთი შესწორება და უსაყვედურა: რა უფლების ძალით ასწორებს პროფ. მარი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებს, როცა არც ერთ ხელნაწერში მაგვარი შესწორებაარ მოიპოვებო!

მე-13 ხანა დაზიანებულია.

14. აწ ენა მინდა გამოთქმად გული და კელო...
 მომეც ძალი და შეწენა შენით მაქვს მივსცე...
 მით შეეწინეთ ტარიელს ტურფადაც უნდა...

შემდეგ მინაწერი:

მათ სამთა გმირთა მნათობთა სკირს ერთმანეთის მონება.

ქვევით ამგვარი რიგია დაცული: მოვიყვან მხოლოდ პირველ სტრიქონებს:

15. ჩემი აწ სცანით ყოველმან
 კარიბ. გამ. 26
 16. ამა საქმესა მიჯნური ნუ უქმობს 11
 17. მიჯნური შმაგსა გეიქუიან არაბულსა ენითა 29
 18. მიჯნურთა თვალად სიტურფე 8
 19. მიჯნურობა არის ტურფა 9
 20. მას ცოცხალი ნუ ელევის, როცა პირველ შეუყვარდეს
 ნურცა ლხინსა აუზადეს, ნურცა კირსა შეუზარდეს,
 მისთვის დასთმოს ყუელაკი, მისთვის ველად გამოეზარდეს,
 და ნურა გავა მისი კერძი სოველიცა გარდაჰქვარდეს.
 21. თუ მოყვარე მოყურისთვის 31
 22. კამს მიჯნური ხანიერი 10
 23. არს პირველი მიჯნურობა 12

⁴ ს. სულხან ორბელიანის ლექსიკონი: შერი --- რჩეული.

⁵ იხ. ჟურნ. „მომბე“, 1904 წლ. № 5, „ვეფხისტყაოსნის“ შესამოწმებელი მასალა, გვ. 24.

⁶ Н. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой коже: Шоты изь Рустава. — Тексты и разыск. по арм.-груз. Филологии, кн. XII. Петербург, 1910.

24. კაშხი ოციისა ზეშინდსა 13
25. მას უნაგო ვით მიენდოს 24
26. მიქელის კაცი რად იფერებს 30
27. ვითა ცხენსა შარა ვრძელი 20
28. მაშინლა ნახეთ შეღეჟსე 21
29. მოშაირე არა ჰქვიან 22
30. მეორე ლექსი ცოტაი 23
31. მესამე ლექსი კარგია 24
32. კაშხი სეღეჟსე ნჭირვებს, 25

შემდეგ

კარი პირველი როსტევან არაბთ მეფის... იყო არაბეთს და სხვ.

მე, რასაკვირველია, არ მომიყვანია ის გრამატიკული განსხვავებანი, რომელნიც თითქმის ყოველ ხანაშია შეტანილი, რადგან გაზეთის ფურცლებზე მოუხერხებელია ამის მოთავსება. ამავე მიზეზის გამო არ შევეჩვები ხელნაწერის სხვა ადგილებსაც. ვიტყვი მხოლოდ, რომ იქაც უამრავი მასალაა ტექსტის შესასწორებლად და შესასწავლად: დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი ბუნდოვანი ადგილი ჩვენს ხელნაწერში ნათელია და ადვილად გასაგები. გადავიდეთ ხელნაწერის ბოლოზე.

იგი თავდება ტარიელისა და ნესტანდარეჯანის ქორწილით. სახელობრ, შემდეგი ხანით:

სამე ვლეს, ღმერთსა მათებრი სხვა რამცა დაებღოს,
 მოეგებნიან, მტერობა ვერაფერს დაქადოსა,
 მანდროთა შიგან სადილად გარდკდეს უდილად ისა.
 და ვითა მართებდა: პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ ღოსა.
 (კარიჭ., 1554. ჩუბ. 1571).

შემდეგ იწყება დამატება.

როგორც ზევითა ვთქვი, „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი განმგძობი აღმოუჩინდა, მათ შორის ნანუჩა ციციშვილიც. ამის შესახებ არჩილ მეფის მოწმობაცა გვაქვს.

ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ აღრევი,
 საბრალის ვერ შეუწყვი, წმინდა რამ აღმღრევი.
 მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგენე მით მორევი,
 რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევი.

და ჩვენს ხელნაწერშიც ორმოცდახუთ ფურცელზე მოთავსებულია ნანუჩას გაგრძელება. ჩამოვწერ მხოლოდ სათაურებს:

1. ტარიელისა და მისთა ძმათაგან ინდოთ მეფის ფარსადანის სიკვდილის ცნობა.
2. აქა ფარსადან კელმშიფის სიკვდილის ცნობა და დიდნი ტირილნი.
3. აქა ტარიელისა და მისთა ძმათაგან ინდოეთს მისულის ამბავი.
4. აქა ინდოეთს ქორწილი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა.

ამ თავში, სხვათა შორის, გაბნეულია დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ თავში მოთავსებული ხანები... (კარიჭ., 1555—1571). შემდეგ განმგძობი ამბობს:

საწუთროვო უხანო სიმუხთლისა სენი გკირსა,
 უწინ ცამდის აყუანილსა ჩაადებზე დიდსა კირსა,
 იაყუთლზე ქარვის ფერად პირველ ლალსა განაპქვირსა,
 და კარგად ვერვინ ვერა ნახავს ხანგრძლივად შერგან დანაქირსა.
 ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მარკმით მკონეთა,
 გაღუქვა აკლდა ხეარაზმთა მეტად ვერ მოვიგონეთა.
 იხელია პოვნა გული კრთა, დავარდი დაველონეთა.
 და კულავე ვთქვი ლექსი გავმართე, მოსმენით გაივონეთა,
 აწ გონიერო, სიყუყუანი თქვენ ჩემნი გაიგონენით,
 ძველი ნარჩომი ამბავნი ლექსად ვთქვი, გაიხარენით.
 სარგისს (sic!) დაურჩა უთქველად, ჩვენ ესე დაეიბრაღენით
 და ლექსი მიქენით. ამისთვის ენანი მამახმარენით.

5. ხუარაზმთა მეფისაგან ტარიელის დასწეულების ცნობა და ზედ მოკ-
 დომა.

6. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან საშველად.

7. მოსულა ავთანდილისა და ფრიდონისა ტარიელის საშველად.

8. ავთანდილისა და ფრიდონისაგან წასულა და ხუარაზმთა ომი.

9. აქ ტარიელ სენთაგან მორჩა და ხუარაზმს გაემართა საომრად.

10. აქა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შვილს თანა.

11. აქა კიდევ ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცვალებოდა.

12. აქა კიდევ სხვა ანდერძი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისაგან სოფ-
 ლის გამო.

13. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა.

შემდეგ რამდენიმე ფურცელი დაკარგულა, სადაც, როგორც წინა ფურ-
 ცლის ქვედა არეზე დაწერილი გვიჩვენებს, ავთანდილის ანდერძსა და სიკვ-
 დილზე ყოფილა ლაპარაკი. ქვევით:

აქ ფრიდონისაგან ტარიელისა და ავთანდილის სიკვდილის ცნობა.

უკანასკნელი თავი:

აქა ფრიდონისაგან მოსულა და ორთა ძმა-ფიცთა ტირილი.

ეს თავი დაუსრულებელია: ხელნაწერს ბოლოში რამდენიმე ფურცელი
 აკლია.

ამგვარია ჩვენ მიერ მოკლედ თვალ-გადავლებული ხელნაწერი. ცხადია,
 შიგ ბევრი ყალბი ადგილი აღმოჩნდება, მიუხედავად ამისა, იგი დაუფასებელია.
 „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესასწორებლად და დიდი მადლობის ღირსია.
 რ. ყ. დათეშიძე, რომელსაც გადაუწყვეტია — ეს ხელნაწერი ქართულ მუზე-
 უმს შესწიროს. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ არა ერთი და ორი
 ამისთანა ხელნაწერი მოიპოვება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ
 უვიც მეპატრონეთ მამაპაპათაგან ნაანდერძევი ეს სიმდიდრე თავთა სახრავად
 ზანდუკებში ჩაუყრიათ — და იმას ვერა ხედვენ, რომ დაშლილი ფურცლები
 ქარმა გააბნია და მელუქნის საპნისა და თევზის გასახვევად გახდა.

დროა გამოვიღვიძოთ! ნუ ვკარგავთ ეროვნულ სიმდიდრეს. შევავროგოთ
 ქართული სიტყვიერების შესახები ყოველგვარი მასალა, გამოვსცეთ, რაც შე-
 იძლება ვრცელი აღწერა ხელნაწერთა, შევადგინოთ სრული ბიბლიოგრაფია და
 სხვ. და სხვ. ამით დიდ დახმარებას გავუწევთ მომავალ მეცნიერთ — მკვლევარ-
 ქართული მწერლობის ნაშთთა კრიტიკულად გამოკვლევასა და გამოცემაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება

ამ ერთი წლის წინათ გაზ. „კომუნისტში“, ანართა გაცვლა-გამოცვლის წესით, რამდენიმე წერილი მოთავსდა. როგორ უნდა გამოითქმოდე და იწერებოდეს: რუსთაველი თუ რუსთველიო? დისკუსიაში მონაწილეობა მწერალმა მის. ჭავჭავაძემ მიიღო (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1934 წ., № 49). მის. ჭავჭავაძის მიერ დასაბუთა, რომ „რუსთველი“ ლექსის მეტრმა შემოიტანა, თორემ იყო და კვალადაც რუსთაველი უნდა დარჩესო.

ამჟამად საკითხს (რუსთაველი თუ რუსთველი) არ ვეხები. შეიძლება მივიღოთ ან ერთი, ან მეორე, თუმცა სათანადო ლიტერატურაში უკვე კარ ხანაა დადასტურებული, რომ რუსთველი „ლექსის მეტრის“ უმისოდაც არსებობდა და ისიც გაცილებით უფრო ადრე. ვიდრე „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერებოდა.

ამჟამად ჩვენთვის თვით დასაბუთებაა საინტერესო. მის. ჭავჭავაძის წერს: მეტრის სრული (ხაზი ჩემია. ვ. ბ.) უფლება აქვს ესა თუ ის ხმოვანასო ჩაყლაპოს, უკუაგდოს. ან მიიმატოს... ამგვარი მაგალითი მეტრისათვის ზოგი ასოს ამოგდებისა ან ზედმეტი ასოს ჩართვისა რუსთაველს და სხევსაც უამრავი მოეპოვებათ. დავასახელოთ რუსთაველის რამდენიმე სიტყვა: „აკოცისცა“ (აკოცა-აკოცეს); „ამბე ჩემი ნაუბარი“ (უამბე); „ამფხვრა“ (აღმოფხვრა); „ანუმცა“ (ან, ანუ); „ასმათისი“ (ასმათის); „ალევაესნა“ (ალავსო, ალავსნა); „ატატირდა“ (ატირდა); „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა“ (ვერ დაიჭერს და სხვა მრავალი). აქ ფრჩხილებში მის. ჭავჭავაძის ჩასმული აქვს მართებული (მისი აზრით) ფორმები, ნაცვლად მეტრისათვის შემოტანილ უმართებულო (მისი აზრითვე) ფორმებისა.

დიდი გაუგებრობაა!

„ამბე ჩემი ნაუბარის“ შესახებ არას ვიტყვი. მთელი სტროფი, რომელშიაც ეს „ამბეა“ მოთავსებული, ყალბია, მაშასადამე. შოთას მას ვერ მივაწეროთ.

რაც შეეხება დანარჩენ სიტყვებს, როგორცაა: „აკოცისცა“, „ამფხვრა“, „ანუმცა“, „ასმათისი“, „ალევაესნა“, „ატატირდა“. „ვერ დაიჭირავს“ -- ყველა მართებულია და თითოეული მათგანი გვხვდება საუკეთესო ქართულ პროზაშიაც, ბევრად ადრე „ვეფხისტყაოსნამდე“. მაშასადამე, მეტრი აქ მოსატანი არაა! ამასთანავე არც ერთი არ წარმოადგენს სრულს შესატყვისობას თითოეულის მათგანის გვერდითვე ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვისას.

ასე, მაგ., ერთია „აკოცისცა“ და სულ სხვაა „აკოცა“, მით უმეტეს „აკოცეს“; ერთს ნიშნავს „ანუმცა“ და მეორეა -- „ან, ანუ“; ერთს გვეუბნება „ატა-

ტირდა“, სხვა რამ არის „ატირდა“ და სხვ. ყოველად შეუძლებელია მათი გაიგივება, მათი ერთმანეთში არევა. ეს იმას ემსგავსებოდა, რომ მაგ., დღეს ერთი და იმავე შინაარსის შემცველად მიგველო „კაცი“ და „კაციც“, „თუ მოვიდა“ და „თუ მცამოვიდა“. ამას ჩვენ ვერ ვიზამთ, ეს იქნებოდა ჩვენის მხრით მექანიზტობა და რა უფლება გვაქვს იგივე მექანიზტობა შოთას მოვახვიოთ თავზე.

მართალია, არის შემთხვევები, როდესაც სიტყვის რომელიმე ფორმანტა, თავის დროზე უეჭველად განსაზღვრული ფუნქციის მატარებელი, დროთა განმავლობაში ჰკარგავს ამ ფუნქციას და მთქმელისათვის ამგვარად გამოფიტული ფორმანტი უკვე უბრალო ფონეტიკური დანართია, სიტყვისათვის „შნოსა და ლახათიანობის“ მართლოდენ მიმცემი. სწორედ სიტყვათა შინაარსის ამგვარ „დაბნელების“ ნიადაგზეა აღმოცენებული ჩვენში „კ“ და „ს“ უმართებულო ხმარება.

ამ ნაწილაკების მნიშვნელობა რომ დღევანდელი მომხმარებლისთვის „დაბნელებული“ არ იყოს, მომხმარებელი რომ კარგად ერკვეოდეს, რა განსხვავებაა, ვთქვათ, ცხელა სიტყვასა და „ს-ცხელა“ სიტყვას შორის, ან: რას ნიშნავს მოდიის (იგი) და რა არის მოსდიის (იგი მას), იგი არას დროს არ იტყვოდა და, მაშასადამე, არც დაწერდა: ს დ გა ს, ს ჩ ა ნ ს, ს წ ა რ მ ო ე ბ ს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დ გა ს, ჩ ა ნ ს, წ ა რ მ ო ე ბ ს, მაგრამ ამავე დროს სრულის ენობრივი შეგნებით იტყვოდა და მაშასადამე, დაწერდა: ჰკადრებს, ჰკითხავს, სცემს და სხვ.

როგორ ვიქცევით ჩვენ ამ შემთხვევაში? თუ თავის დროზე განსაზღვრული მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელმა ნაწილაკმა მომხმარებელთა აბსოლუტურ უმრავლესობისათვის მთლიანად და სავსებით დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ჩვენ ციძულეებულის ვართ დავაკანონოთ ეს უკანონობა.

მაგრამ ეს მხოლოდ ენის დღევანდელ ნორმებისათვის. ამავე დროს ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს დღევანდელი გაგება კლასიკურ ნორმებსაც მოვახვიოთ და კლასიკოსის გაზომვად დეს უკვე მექანიკურ საზომით ვაწარმოოთ.

უფლებასაც რომ თავი დავანებოთ, ამგვარი ჩვენი საქციელის გამართლება იმიტომაც არ იქნებოდა შესაძლებელი, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ კლასიკოსს მთლიანად დავამახინჯებდით და, მაშასადამე, მის სათანადოდ დაუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა. და ეს აუცილებლად ასედაც მოხდება, თუ ჩვენ, მაგ., ჭავახიშვილისებურად გავიგეთ ძველი ქართულის ნორმები, ამ შემთხვევაში, რუსთველის ნორმები.

ამხანად მიხ. ჭავახიშვილის მიერ მოყვანილ მხოლოდ ერთ მაგალითზე შეეჩერდებით. ეს გახლავთ ან უ მ ც ა და ა ნ უ. მიხ. ჭავახიშვილს ორივე ერთი და იგივე ჰგონია. (და არა მართო მიხ. ჭავახიშვილს!)

და ამ ნიადაგზე კი შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ არა ერთი და ორი ადგილი მთლიანად დამახინჯდეს და აზრი წინაუკმო გამოვიდეს. ამის ერთი მაგალითი უკვე გვაქვს.

მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,
დასცევით ჭოგი ნადირთ, თუენი ამისთვის ირენით“.
ლაშქარნი სამზოდ აწვიანეს: „მოყოთ და მოიჭარენო“.
და ეკეთეს სმა და ნადიმი, ნუნ ამოდ გავიხარენით.

(71)

ლაპარაკია იმ დღეაწვეტილებასზე, რომელიც მიიღეს თისათინის ტაძრზე ასვლის გამო გამართულ ნადიმობისას: მეფე და ავთანდილი ერთმანეთს შეეკიბნენ, რომელი უკეთესი მონადირე გამოვლდებოდა.

ეს სტროფი დღესდღე უკეთ: კ. ჭიჭინაძის უკანასკნელ გამოცემამდე, შემომოყვანილ სახით იკითხებოდა და მისი უკანასკნელი სტრიქონი მიეწერებოდა ავტორს: გათავდა სმა და ნადიმი, რომელზედაც სასიამოვნოდ ვიმბიარულებო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შოთა ცნად იმობის მონაწილე დამოდ იოდა.

ბირველი მკვლევარი, რომელმაც ეპეი შეიტანა სტროფის ამ ტრადიციულ გაგებაში. კ. ჭიჭინაძე იყო. მან მეოთხე სტრიქონიც მეფის ბრძანების შემდეგულად გამოაცხადა და მასთან დაკავშირებით იგი ასე წაიკითხა: „გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“. ამასთანავე „გავიხარენით“ ფორმა მყოფად აღიარა და საბოლოო ანგარიშში სტრიქონს შემდეგი აზრი მიეცა მეფე ბრძანებს: გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ (იქ, ნადირობას) გავიხაროთო. მაგრამ ვინაიდან ამგვარი ფორმა (გავიხაროთ) სტროფის წამყვან რითმას („არხით“) დაარღვევდა, შოთამ იხმარა ნამყო გავიხარენით და იგი დასახაროგორც მყოფად იო.

არაა სწორი!

„ვეფხისტყაოსანში“ მართლაც ხშირია, მრავალია შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელია რითმის დარღვევა, თუ ზმნის საჭირო (აზრისათვის საჭირო) დრო უცვლელად დატოვე. ენის ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, „მერიგე“ მფლობელი აგრე მოიქცეოდა: ან ზმნის დროს შესცვლიდა და აზრის დამახინჯების ხარჯზე რითმას გამართავდა, ანდა: თუ აზრს დაზოგავდა, რითმას უეჭველად უხეიროს მოგვცემდა.

შოთა აგრე არ იქცევა. ქართული ენის შეუდარებელი ოსტატი ორსავე მომენტს თანაბრად ფლობს: გამართულ რითმასთან ერთად აზრსაც სრულყოფილს გვაძლევს და ამ მიზნით იგი ისევ და ისევ ქართულის, ამ შემთხვევაში, ძველ ქართულის, იშვიათ ბუნებასა და თვისებას მიმართავს.

რომელია ეს თვისება და ბუნება? ამხანად მხოლოდ ერთს მოვიხმობ, სახელდობრ: მცა ნაწილაკს.

მცა — ნაწილაკისათვის მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველი ლიტერატურა არსებობს, ეკუთვნის იგი პროფ. აკაკი შანიძეს.

როგორია ამ ნაწილაკის ბუნება?

ძველ ქართულში „მცა“ ნაწილაკის ხმარებას ის თავისებურება ახლავს. რომ იგი კავშირებით (ნატვრით. ვ. ბ.) კილოს ვერ ეგუება. ყოველთვის, როცა კავშირებითი (ნატვრითი. ვ. ბ.) კილოს ფორმაა წინადადებაში მოსალოდნელი. იგი აუცილებლად თხრობითად უნდა გადაეკეთდეს. თუ კი სადმე მცა-ნაწილაკი

გაერია. ფრაზა „არა აქვს, რაჲ ჰამონ“ (ე. ი. არაფერი აქვთ, რომ ჰამონ. ე. პ.) მ ც ა-ნაწილაკის გარევისას ასე გადაკეთდება: „არა აქვთ, რამცა ჰ ა მ ე ს“... მცა ხაწილაკს თავისი სინტაქსული ძალა კარგა ხანს გამოყვია. „ვეფხისტყაოსანში“, მაგალითად, იგი ყოველთვის ძველებური სინტაქსური ძალის მქონეა.. (იხ. პროფ. აკ. შანიძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, გვ. 34).

ამგვარია მ ც ა ნაწილაკი.

იგი მომარჯვებულია ძველი ქართულის როგორც პროზაში, ისე პოეზიაშიაც. განსაკუთრებით სარგებლობს მით შოთა.

შოთას მ ც ა-ნაწილაკი ნახმარი აქვს სამი სხვადასხვა ენობრივ-სტალისტური ამოცანის გადასაწყვეტად. მაგალითად, როდესაც როსტევეანმა თინათინს.

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულა, ისმინე ჩემი თბრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ასე სამეფო შენი არს მართ მონდობილი.
და ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი“.

(48)

უკანასკნელი სტრიქონი უ მ ც ა-ნაწილაკოდ ასე უნდა გამართულიყო: „იყავ ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი“. აქედან ცხადია: შოთა მ ც ა-ნაწილაკს სტრიქონს შიგნით ხანდახან იმ მიზნითაც მიმართავს, რომ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ს ა ხ ე თ ა მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ბ ა გ ვ ი ჩ ვ ე ნ ო ს დ ა ს ი ტ-ყ ვ ა მ ც ი რ ო ბ ა თ ა ვ ი დ ა ნ ა ი ც ი ლ ო ს.

ერთ მაგალითს დავასახელებ მეორე შემთხვევისათვის, როდესაც შოთა მ ც ა-ნაწილაკს კვალად შიგნით ხმარობს სტრიქონის გასამართავად, მაგრამ, ცხადია, არა მიხ. ჭავჭავიძელის გაგებით.

ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთ: სიცხე,
ცხენისაგან გარდავიჰერ, თავი სრულად გავიციცხე,
ჩემთა ლაწეთა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიცხე.
და ვუთხარ: „მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისა ისე ხე“.

(629)

რას ნიშნავს აქ მეოთხე სტრიქონი?

მომკალ. თუ ჩემ გარდა სხვამ ნახოს (მომავალში) ის ხე, მაგრამ პოეტმა რომ ნ ა ხ ო ს იხმაროს, ცხადია, სტრიქონს მარცვალ დააკლდება.

როგორ დააღწია თავი ამ გასაჭირს პოეტმა? მ ც ა-ნაწილაკს მიმართა, აზრი ოდნავდაც არ დაუმახინჯებია. სტრიქონიც გამართა. არის აქ მექანიკურად რისამე ჩართვა? რასაკვირველია, არა! მიხ. ჭავჭავიძელი კი იტყვის: ე ნ ა ხ ა მ ც ა იგივეა, რაც ე ნ ა ხ ა-ო, ნამდვილად კი ე ნ ა ხ ა მ ც ა არის ნ ა ხ ო ს.

დაუბრუნდეთ კ. ჭიჭინაძის შესწორებას: გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით. ასე უნდაო!

ა რ ა რ ი ს წ ო რ ი!

ამის ნათელსაყოფად ვნახოთ, როგორ იქცევა შოთა ანალოგიურ შემთხვევებში და ამგვარი შემთხვევა კი „ვეფხისტყაოსანში“ ბევრია, მრავლის უმრავლესი. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ:

ა. თელთა ხელი უკუიელო, ცხელნი ცრემლნი პოიწურნა,
ხხალკაპარკი პოიმაგრა, მკლავნი გაიმამ-ტურნა,
ცხენსა შეჯდა. — მონათამცა საუბარნი რად იყურნა! —
და სხვასა მხარსა ვაეჟართა, მათნი პირნი არ განყურნა.

(93)

აქ რითმა არის უ რ ნ ა, მაგრამ მესამე სტრიქონი აზრის მიხედვით მოიო-
ხნეს, რომ რითმის შემცველი ზმნა იქნეს ნატვრითში:

რ ა დ უ ყ უ რ ო ს.

ცხენსა შეჯდა, აბა მონათა საუბარს რად უყუროს:

„ცხენსა შეჯდა, მონათალა საუბარსა რად უყუროს“.

როგორც ხედავთ. აქ მარცვალთა რაოდენობაც დატულია. მაშასადამე. მე-
ქანიუტრად ჩასადგმელიც არაფერია, მაგრამ რითმა ირღვევა. როგორ მოიქცა-
პოეტის? მიმართა ძველი ქართულის ამ უეჭველად იშვიათ ბუნებას და ზმნის
დროც შესაფერი შეინარჩუნა (მაშასადამე. აზრი არ დაამახინჯა) და რითმაც სა-
თანადო მოგვცა.

ბ. მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი, აწ-მწამე.
სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე?
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიციოხლე გამიწამე,
და ეოთა მონა სამსახურად განალამცა წავე, წა, მე!“

(134)

აქ რითმაა ა მ ე, მაგრამ მეორე სტრიქონი მოგვეცემდა ა მ ო-რითმას.
„სხვა პასუხი რალა გკადრო, ანუ რალა შევიწამო“.
მდგომარეობა გამოასწორა იმავე მ ც ა-ნაწილაკმა.

გ. ჩემად ნაცულად დაგაგდებო, — ესე სიტყე- რად მიბრძანე?
რაგვარა ვქნა პატრონობა? რამც გიფერე, რამც გიგვანე?
შენ მარტოსა გიგონებდე, მე მცა მიწა ვიაკვანე!
და სჯობს ორნივე ვაეჟარნეთ, წამოგყვები, წამიტანე!“

(161)

რითმაა ა ნ ე, მეორე და მესამე სტრიქონები არღვევს მას:
რაგვარა ვქნა პატრონობა, როგორ გიფერო, როგორ გ ი გ ვ ა ნ ო ?
შენ მარტოსა გიგონებდე, მე მიწა ვიაკვანო.
მ ც ა-ნაწილაკით რითმა გაიმართა.

ამგვარივეა სტროფები: 174, 187, 192, 272, 279, 301, 304, 414, 498, 499,
546, 547, 548, 569, 579, 599, 614, 670, 680, 682, 691, 717. 775, 828, 836,
846, 870, 905, 941. 1114, 1221, 1350, 1447, 1603 და სხვა მრავალი (იხ. კ. ჭი-
ჭინაძის გამოცემა).

ჩემ მიერ მოყვანილ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ მ ც ა ნ ა წ ი ლ ა-
კ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ხ ე რ ს დ ე ბ ა ნ ა მ ყ ო დ რ ო ი ს ფ ო რ მ ი თ მომა-
ვალი (ნატვრითი, პირობითი) მოქმედება გამოხატოს-მეთქი, შეიძლება „ვეფხის-

ტყაოსნიდან“ რამდენიმე სტროფის მოყვანა. სადაც თითქოს უმცა-ნაწილაკოდ მოსალოდნელია ამგვარი შინაარსის მიღება.

ავიღოთ ეს სტროფი:

ამას მოყვდავი ვილოცავ, არიდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილნი მიჭნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კელა ვნახეთ, კელა რამე გავიხარენით,
და მო, მოყვარეთა ღამაჩხეთ. მიწანი მ-მაცარენით!

(882)

აქ მესამე სტროქონში ნამყო „გავიხარენით“ მომავალ (ნატვრითს) მოქმედებას ავეიწერს, მაგრამ უმცა-ნაწილაკი წინ არ უძღვისო, შეიძლება თქვან არცაა საჭირო! მეორე სტროქონში უმცა უკვე არის (მუნამცა), რომელიც საზღვრავს არა მარტო მის უშუალო მომდევნო შევიყარენით-ს (მუნამცა შევიყარენით), გავიხარენით-საც, და ამგვარი მდგომარეობა ჩვენ გვაქვს არა მარტო პოეზიაში, სადაც პოეტი უექველად ერთგვარად შეზღუდულია, არამედ პროზაშიაც, სადაც მწერალს გაცილებით მეტი გასაქანი და თავისუფლება აქვს. აქაც ერთი უმცა რამდენიმე წინადადებას, მაშასადამე. რამდენიმე შემასმენელს მართავს. „ვისრამიანს“ ვკითხოთ!

„და სულთქმით სევდიანი ამას იტყოდა (რამინ): ნეტარძი ჩემთვის, თუ უმცა ერთხელ კელა ვნახე (ვნახო) მისი პირი და ანუ უმცა ღონე იყო (იყოს), მეუბორობა მისი ამასა გზასა მომხვდებოდა (მომხვდეს). აჰა, იქნებოდამცა და ერთხელ ჩემი კვნესა ესმა (ესმას) და წამსა შემომკრნა (შემომკრას) თვალნი და შემომხვდა (შემომხვდოს). აჰა, იქნებოდამცა და მწე ვინ შემექმნებოდა (შემექმნებოდეს) მადლისა ძმებნელი და წვრილად ჩემი საქმე ვისსა გააგონა (გააგონოს) და სალამი ჩემი მოახსენა (მოახსენოს) (გვ. 51). აქ ჩემ მიერ ფრჩხილებში ჩასმულია ისეთი ფორმები, რომლებიც უმცა-ნაწილაკოდ უნდა ყოფილიყო.

თუ ვნებავთ, უკანასკნელი რთული წინადადების მეორე ნახევარი ავიღოთ. აქ „წვრილად ჩემი საქმე ვისსა გააგონა და სალამი ჩემი მოახსენაში“ გააგონა უდრის გააგონოს, ზოლო მოახსენა „მოახსენოს“; თუმცა უმცა-ნაწილაკი უშუალოდ არც ერთს არ უძღვის.

„ვეფხისტყაოსანში“ კიდევ არის მეორე ადგილი, სადაც თითქოს უმცა-ნაწილაკოდ მომავალი საქმიანობაა დანატული.

ყმა შევიდა, თაყვანი-სცა, მადლი რამე მოახსენა:
„ხელმწიფო, მიკვირს, ქება რად იკადრე ჩემი თქვენა?!
აწ ნუთუმცა სიშორისა ღმერთმან ბნელი გამოთენა,
და პირი თქვენი მხიარული მხიარულსა კელა მიჩვენა.

(145).

მაგრამ აქ აშკარა დამახინჯებასთან უნდა გვეკონდეს საქმე. უნდა:

აწ ნუთუმცა სიშორისა ღმერთმან ბნელი გამოთენა.

ამასთან ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ორსავე შემთხვევაში, სადაც უმცა-ნაწილაკი უშუალოდ არ უძღვის შემასმენელს. იქ მის მაგიერ არის კელა. ხომ არ ასრულებს ეს უმცას როლს? შემდგომი დაკვირვებაა საჭირო!

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მცა-ნაწილაკი ძველის მნიშვნელობათსა არაღულად დღევანდელ ენაშიც გვხვდება. განსაკუთრებით გაქვავებულ ხალხურ თქმაში. მაგ. დღესაც მხოლოდ ასე ამბობენ: უწინამც დღე კი გამქრობია მე, და არა გამიქრეს.

ამ მხრივ ნ. ბარათაშვილის „უწინამც დღე კი დამელევა მე“ უფრო თანამედროვე მწიგნობრული ენის მიხედვით გააზრიანებული ფორმაა, ვინემ ხალხური. ანდა:

„ვინაც ჩემს იტყვის: ლაღია, ჩემსავით ლაღიმც ის არი. და არა ის იყო ს, როგორც ეს იქნებოდა უმცა ნაწილაკოდ“.

რა გამოიჩქვა?

აბსოლუტური სიზუსტით გამოიჩქვა. რომ შოთას ოდნავადაც არ უჭირს ლექსი, კერძოდ რითმა: უკანასკნელასათვის ის არც აზრს ღალატობს და არც ფორმას. ყოველთვის. როდესაც მას სჭირდება მომავალი საქმიანობა აწეროს, მაგრამ ზმნის ჩვეულებრივი ფორმა არღვევს რითმას. ის მიმართავს მცა ნაწილაკს და თავის მიზანს ბრწყინვალედ აღწევს. მაშასადამე, აქაც, ამ ხელოვნურად შექმნილ სადავო წაკითხვის სტროფშიაც. შოთას რომ მომავალი მოქმედება, ე. ი. ნადირობისას მოსალოდნელის სიამოვნება და მხიარულება ჰქონოდა მხედველობაში, იგი მეოთხე სტრიქონს აუცილებლად ასე გამართავდა:

„გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნამცა გავიხარენით“.

მხოლოდ ასე!

მაგრამ პოეტს სხვა რამ აქვს მხედველობაში: ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა მომავალ ნადირობაზე, არამედ: პოეტი წარსულს უკვე გათავებულ ნადირობის ამბავს გადმოგვცემს.

ანდა, რა იწვევს იქვს. რითაა ამ სტრიქონის რევიზია გამოწვეული? თუ ამით სურთ ავტორის სიტყვების უარყოფა და მის მიხედვით სათანადო დასკვნის გამოტანა, მეორე ადგილს რა ვუყოთ, სადაც კვალად ავტორი უეჭველობით ჩანს, სახელდობრ: ისევ როსტევეანისა და ავთანდილის ნადირობის ეპიზოდში:

რა ცნა, მეფე მოვიდო, (უცხო ვამ) ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა.

მასეუ წამსა დაიკარგა, --- არ უნახავს თვალსა ჩვენსა. (27)

აქ „გავიხარენით“ და „თვალსა ჩვენსა“ — ორივე აბსოლუტურად თანაბარი ღირებულებისაა, სახელდობრ: თუ პირველი ნიშნავს ავტორის მონაწილეობას რაიმე საქმიანობაში (ამ შემთხვევაში, ნადირობა), მეორეც უცილობლად იმავე ავტორის თანამხედურობის მაუწყებელია (ამ შემთხვევაში — ნადირობა). და თუ „არ უნახავს თვალსა ჩვენსა“ ჩვეულებრივი თქმაა პოეტისა აზრის გასაცხიველებლად, იმგვარადვე შეგვიძლია გავიგოთ „მუნ ამოდ გავიხარენით“-ც. და არცაა სავალდებულო, რომ პოეტი აუცილებლად სუფრაზე იჯდეს და მაშინ-

ვე წერდეს. განა პოეტს არ შეუძლია გადმოგცეს წარსული ამბავი, რომლის მოწაშე თავად შეიძლება არც ყოფილიყო და სურათი ისე დახატოს, თითქო თვითონ იღებდა მონაწილეობას? ამის მაგალითი რამდენიც გნებავთ. იმდენია, ხოლო პირველ რიგში ამ მხრივ ცნობილია ზღაპრების თხრობის წესი.

მაშასადამე, ვისიმე შიში, — „გაყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავი-
ტარენით“ რომ მივიღოთ, ვაი, თუ ისე გაიგონ, თითქოს შოთა სუფრაზე იჭდა და ღვინოს სვამდაო. — მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

ასეთია საქმის ვითარება და ყველასათვის ცხადი უნდა იყოს შესწორების მიუღებლობა.

მაგრამ ვთქვათ, რომ მეოთხე სტრიქონის ახალი წაკითხვა სწორია. მთლიანად სტროფი მაინც არ გამოდგება: იგი შეუსაბამო, ლოგიკურად დანგრეული გამოვა.

ენახო!

ა. მონადირეთა უბრძანა: მინდორნი მოიარენით,
დაცევით ჭოგი მრავალი, თავნი ამისთვის არენით“.

ვინაა მბრძანებელი? მეფე.

ბ. „ლაშქარნი სამზოდ აწვიენეს“.

ვინაა ამის მთქმელი? ავტორი.

გ. მოღით და მოიჭარენით.

ვინაა მაწვიერი? არა მეფე, არამედ მათ ლაშქარი აწვიენეს.
დასასრულ:

დ. გაყარეთ სმა და ნადიმი.

ვინ ბრძანებს? ისევე მეფე. ყოვლად შეუძლებელია! ამიტომ ერთადერთი შესწორება, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა, შოთას ნორმების მიხედვით, თუ მას მართლაცდა მომავალი ამბავი უნდოდა აეწერა და არა წარსული — შემდეგი უნდა ყოფილიყო:

მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,
დაცევით ჭოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არენით“.

ლაშქარნი სამზოდ აწვიენა: „მოღით და მოიჭარენით,
და გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნამცა გავიხარენით“.

მაგრამ. როგორც ზემოთ დავინახეთ, მეოთხე სტრიქონის ამგვარად შესწორებისათვის არავითარი საბუთი არა გვქვს და, მაშასადამე, მთლიანად სტროფის შესწორებაც უკუგდებულ უნდა იქნას, მითუმეტეს, რომ ასეთ უმართებულთა შესწორებას აბსოლუტურად არცერთი ხელნაწერი არ იზიარებს.

კი მაგრამ: რატომაა, რომ ასე ხაზგასმით მოვითხოვთ ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებას?

იმიტომ რომ, თუ მართალია დებულება, რომ არ შეიძლება რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების ამოგლეჯა მის წარმომშობ გარემოდან და მისი განხილვა სხვა პირობების, ნაწარმოებისათვის უცხო და უცნობი პირობების მიხედვით, — ეს დებულება სავალდებულო უნდა

იყოს არა მარტონაწარმოების შინაარსისათვის. არამედ
აგრეთვე მთლიანად და სავსებით მისი ფორმისათვისაც,
ვინაიდან შინაარსი და ფორმა იმგვარსავე ურთიერო-
ბაშია, როგორშიც ყოფა და შეგნებაა, მათი განკვეთა და
დაშორება შეუძლებელია.

ერნ. „საბჭოთა ხელუწება“, 1936 წ. № 1—2.

დავით ჩუბინაშვილი

1934 წლის ოქტომბერში შესრულდა 120 წ. პროფ. დავით ჩუბინაშვილის დაბადებიდან. ჩუბინაშვილი სასულიერო წოდებიდანაა, დაიბადა თბილისში, სიონის დეკანოზის იესე ჩუბინაშვილის ოჯახში, 1814 წელს. ადრე დაობლებული, იგი იზრდება პეტრეს-ქალაქში თავის ბიძასთან (ნიკოლოზ ჩუბინაშვილთან), რომელიც ამ ხანებში იქ მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტის თარჯიმნად. უმაღლესი განათლება ჩუბინაშვილმა მიიღო პეტრეს-ქალაქის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ (1840) ბიძისავე, ნიკოლოზის, ადგილი დაიკავა იმავე დეპარტამენტში (ნიკოლოზი ამ დროს უკვე თბილისში იყო). 1844 წ. ჩუბინაშვილი დაინიშნა პეტრეს-ქალაქის უნივერსიტეტის დოცენტად ქართულ ენაში. 1855 წ. დამტკიცებულ იქნა პროფესორად, ხოლო 1870 წ., უკვე დამსახურებული პროფესორის წოდებით, უნივერსიტეტში სამსახურს თავი დაანება ოფიციალურად. ვამბობ ოფიციალურად, რადგან ფაქტიურად კვლად განაგრძობდა მუშაობას, და არც უნივერსიტეტს გაუწყვეტია მასთან კავშირი. ყოველ შემთხვევაში, ჩუბინაშვილი მის კონსულტატად მაინც ითვლებოდა: უნივერსიტეტმავე გადაუხადა მას 50 წლის იუბილე 1890 წლის 13 მაისს.

გარდაიცვალა ჩუბინაშვილი 1891 წლის 5 ივნისს. დაკრძალულია ლენინგრადში.

დღეს აქ ჩუბინაშვილის მოღვაწეობის სრულ დახასიათებას არ ვიმტკიცებ. იგი აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ახლა მხოლოდ მოკლე მიმოხილვით, ზოგადი ხაზებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ქართველთაგან დავით ჩუბინაშვილი პირველი ქართველმეტყველია ევროპულის, თუ შეიძლება ეს ითქვას, ყადისა.

მისი გამოსვლა სამეცნიერო ასპარეზზე — ეს ის ხანაა, როდესაც ჭერ კიდევ ცოცხალია საქართველოს დამოუკიდებლობის ხსოვნა ქართველ დიდგვარიანთა შორის. პეტრეს-ქალაქში ცხოვრობდნენ მეფის მემკვიდრენი, რომელნიც ჭერ კიდევ გუშინ. ასე ვთქვათ. საქემპყრობელნი იყვნენ. პოლიტიკურ საქმიანობას მოკლებული, ეს ხალხი საქართველოს წარსულის ძიებას ეწევა: აწარმოებს გამოკვლევას საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ხაზით; აქტიურად ჩაბმულია ქართული კაზმული სიტყვის ფერხულშიაც (პოეტები ბატონიშვილთაგან). მაშასადამე, ამ მხრივ ერთგვარი ნიადავი მზადაა.

როგორი უნდა ყოფილიყო მეფის რუსეთის მმართველ წრეთა დამოკიდებულება ქართველთა ამ საქმიანობისადმი?

აღმოსავლეთის პრობლემა ჭერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. იმპერიალისტურ ზრახვათა განხორციელების ხაზით ჭერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. რუსული კაპიტალის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ სწორედ ახლა იწყება. მ-

შასადამე, საქართველო ჯერ კიდევ ერთხანს ნაინც გამოდგება (უნდა გამოდგეს) ბაზალ შემდგომი შეტევისათვის.

აქედან: გაძლიერებული ინტერესი საქართველოსადმი. მართალია, ეს ინტერესი ცალმხრივია, უპირატესად პოლიტიკური, მაგრამ მასაც, ამ პოლიტიკასაც, ერთგვარი საფუძველი, კულტურულ ასპარეზზე მუშაობის საფუძველი, სჭირდება თუნდაც, როგორც სააგენტაციო ხერხი, როგორც სხვა დაზარალებული ერების გადმოსაბირებელი საშუალება.

აქედანვე: დაინტერესება ქართული ენითა და საქართველოს ისტორიით. ამ მიზნით ევროპულან იყვევენ ჰალოგაზრდა ეტენიერს მარი ბროსეს, რომელსაც ქართული ჯერ კიდევ საფრანგეთში ესწავლა და დაინტერესებულ იყო ჩვენი ქვეყნით. ბროსეს გადმოსახლებით ეყრება საფუძველი ქართულ-მეტყველებას, მეცნიერულ ქართულმეტყველებას ევროპულის გაგებით.

დ. ჩუბინაშვილი ამავ ეპოქის, ამავ სტილის მეცნიერი მუშაობდა. იგი ენციკლოპედისტი იყო: ერთსა და იმავე დროს ქართულ-მეტყველების, ჰუმანიტარული ქართულმეტყველების თითქმის ყველა დარგში მუშაობდა. სად უნდა ვეძებოთ ამის სათავე, რა იყო ამ ენციკლოპედირების მიზეზი?

ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა. იმდროინდელი ქართულმეტყველების განვითარების დონე გახლავთ. მეცნიერული ქართულმეტყველება ის-ის იყო ფეხს იკიდებდა, იგი ერთ საგნად იგულისხმებოდა და ამ ერთ საგანში ყველაფერი ივარაუდებოდა, როგორც ენა, ისე ლიტერატურა, ისტორია, ლექსიკოგრაფია, ხუმბიზმატიკა და სხვ. ქართულმეტყველება თავისებური „ბუნების კარი“ იყო, სადაც თანაპრად წარმოდგენილი იყო როგორც ჰუმანიტარული საგნები. ისე, წარმოიღვინეთ, აგრეთვე ზუსტი მეცნიერებაც, თუ კი ეს უკანასკნელი საქართველოს შეეხებოდა, მასთან ჰქონდა რაიმე კავშირი. მოკლედ:

ქართულმეტყველება არ ყოფილა მაშინ ჯერ კიდევ იმდენად დიფერენცირებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თითოეული საგნის ცალკე დარგად გამოყოფა. დამოუკიდებელ სპეციალობად დადგენა.

მეორე მხრივ: თვით იმდროინდელი მმართველი წრეებიც (მეცნიერთაგან) იმ აზრისა იყვნენ, რომ ქართული და სომხურიც შეიძლებოდა ერთ სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში გაერთიანებულყო და მოგეხსენებათ, რომ დიდი ხნის განმავლობაში სწორედ აგრე შეერთებულად და გაუპიროვნებლად იყო ეს ორი, უეჭველად მონათესავე, მაგრამ კვალად უეჭველადვე, დამოუკიდებელი ლირებულებისა და წონის მქონი დისციპლინა.

და სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მაშინ (და შემდეგშიც!) ჩუბინაშვილი (და სხვებიც) ენციკლოპედისტები უნდა ყოფილიყვნენ, და ეს გარემოება კი სპეციალობის აკვარგინობას უეჭველ დაღს ასვამდა, ვინაიდან: რაც უნდა მრავალმხრივად მომზადებული იყო, შეუძლებელია ყველა დარგი, თუნდაც მონათესავე, ერთგვარად კარგად იცოდე. ეს აუცილებლად უნდა იყოს ნავარაუდვე, როდესაც ჩუბინაშვილის საქმიანობას ვეხებით: ერთი მხრით — ქართულმეტყველების განვითარების სა-

ერთოდ დაბალი დონე; მეორე მხრით — მეცნიერი მუშაის იძულებითი ენციკლოპედისტობა.

და თუ ამას გავითვალისწინებთ. უნდა ვთქვათ: დავით ჩუბინაშვილი თავისი დროის მიხედვით უეჭველად მაღალხარისხის ევროპული ყაიდის მეცნიერი ქართულ მეტყველია.

რა და რა დარგში მუშაობდა ჩუბინაშვილი? იგი ლიტერატურათმეტყველი იყო, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი. მოკლედ: მრავალმხრივი მოღვაწე.

წვევებით მას თითოეული ხაზით მოკლედ. მეტად მოკლედ.

ჩუბინაშვილი ლიტერატურათმეტყველი. ჩუბინაშვილის ამ ხაზით მუშაობა გამოიხატა „ქართული ქრესტომათიის“ დამუშავება-გამოცემაში 1846 წელს ორ ნაწილად. რას წარმოადგენს ქრესტომათია?

იგი 14 განყოფილებისაგან შედგება: 1. საბა-სულხან ორბელიანის არაქე-იგი 14 განყოფილებისაგან შედგება: 1. სულხან-საბა ორბელიანის არაქე-ნაობისა და მოღვაწეობის შესახებ; 2. ამირან-დარეჯანიანი (მოთხრობა მზექაბუჯის შესახებ); 3. რუსულანიანი; 4. ვისრამიანი — რომანის მოკლე დახასიათება-გარჩევითურთ; 5. ქილილა და დამანა; 6. სიგელ-გუჯართა ნიმუშები; 7. ცნობები ქართულ მონასტერთა შესახებ (ტიმოთე გაბაშვილის მოვზაურობის მიხედვით. აქვე: თორნიკესა და მისი ეპოქის სრული დახასიათება; 8. მირიანისა და ვახტანგის ცხოვრება; 9. ცხოვრება ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა; 10. ქეთევანისა და ლუარსაბის მარტვილობანი; 11. დაბადების ტექსტის ნიმუში (ივლითი); 12. ქართული ანდაზები; 13. „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად, სათანადო შესავალი წერილით; 14. სამართლის წიგნი ვახტანგისა -- თვით კანონების დახასიათებითურთ.

ასეთია ქრესტომათია. იგი შინაარსით მრავალფეროვანია და ყველა ნაწილის განხილვას აქ ვერც მოვახერხებთ. მაგრამ ორიოდ სიტყვა. თუ როგორი აზრის იყო ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, აუცილებლად უნდა ვთქვათ. ამ აზრმა თავის დროზე ვერ პოვა გამოძახილი, მას გზადაგზა და სხვათა შორის თუ იხსენებდნენ. ახლა კი, როდესაც საჭირო შეიქმნა მეტად გავრცელებული. უსაფუძვლოდ გავრცელებული. სესხების თეორიის განვლება. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, თუ რას ამბობდა ჩუბინაშვილი ამ საკითხის შესახებ თითქმის ერთი საუკუნის წინ.

«По нашему мнению, Руставель не заимствовал сюжета поэмы у писателей восточных: она создана им самим и... направлена к прославлению Великой царицы Тамары. Действительно, сравнивая жизнь царицы с событиями, описываемыми в поэме, находим разительные черты сходства, которые подают повод думать, что под именем главной героини Нестан-Дареджан скрывается сама Тамарь. Укажем, некоторые пункты сходства. Нестан-Дареджан была единственной дочерью Индийского царя Парсадана точно также, как Тамарь была единственной дочерью царя Георгия III-го.

Воспитание Нестан-Дареджан Парсадан поручил сестре своей Давари, воспитание Тамары, поручено было Георгием III сестре его Русудани, которая была в супружестве за осетинским князем: она вос-

პიტყვავა ეგო ვმესთე სო სვინმ როდსთენნიკომ პო მუჟო დავიდომ სოსლინომ თოქო თაკჟე, კაკ ი ნესთან დარეჟდანი ს თარიჟლომ.

სლედსთვენომ სოვმესთნომ ვოსპიტანია ნესთანი ი თარიჟლი ბულა იჟ ვზაიმნია ლიბოვჟი; თაკ ი თამარა პო თოქოჟე პრიჩინე ბულა პრიაჟანა ს მალოლესთნა კ დავიდო სოსლანი (VII — VIII).

პარალელები კიდე ზევერია. ყველას ამოწერა შორს წაგვიყვანს. არც მათ სიზუსტეზე ვლაპარაკობ და არცაა სავალდებულო. რომ მხატვრული ნაწარმოებები მთლიანად და სავსებით ასახედეს ისტორიულ სინამდვილეს. მაგრამ ზემოთქმულს რომ შეეუდაროთ უკანასკნელი დროის საგულისხმო შრომები და მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ ვინაობის შესახებ (განაშვილი, მარი იასხვი). უნდა დავასკვნათ. რომ პირველთქმა ამ მხრივ უეჭველად პროფ. დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის.

შემდეგ: ამ რამდენიმე წლის წინათ კ. ჭიჭინაძემ ასეთი აზრი გამოთქვა: საქართველო მცირე ქვეყანაა, აქ პოეტს გასაქანი არა აქვს და თუ რამე დასწერე, თითოეული ქართველი უთუოდ თავის თავს დანიხსავს ნაწარმოებში. პოეტისათვის დიდი გასაქანია საჭირო და ისიც ამის გამო იძულებულია გადალახოს ეროვნული ტერიტორია და მოქმედების ასპარეზი სხვაგან გადაიტანოს. ამიტომაც შოთამ თავისი ნაწარმოების სიუჟეტი უცხო ქვეყანაში გაშალაო.

აი რას წერს ამის გამო ჩუბინაშვილი:

Относительно места действия героев Руставель дозволяет такую же вольность, как и все поэты восточные. Всем известно, каков ход восточных повестей. Они редко согласуются с географией и то разве тогда только, когда действуют исторические лица. Писатели восточные обыкновенно отправляют героев своих поэм искать приключений в странах отдаленных, которые обозначают они совершенно произвольно и украшают всеми богатствами природы или превращают в дикие пустыни, ибо они уверены, что читатели не будут проверять их описаний. Руставель поступает точно также.

ასეთია ჩუბინაშვილის აზრი „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის შესახებ და არც თუ უცხო და მიუღებელია ის.

ჩუბინაშვილს ქართულ ფოლკლორთანაც აქვს კავშირი: ამ მხრივ ცნობილია ქრესტომათიაში მოთავსებული ქართული ანდაზები და ენის გასატეხი თქმანი (სულ 2000-მდე). მართალია, ეს ანდაზები მხოლოდ ანბანზეა გაწყობილი. სოციალური თემების მიხედვით არაა იგი განლაგებული, მაგრამ ამგვარად დამუშავებული ეს დარგი დღესაც არ მოგვეპოვება და თუ ამის მიხედვით დავაფასებთ ჩუბინაშვილის შემდეგდროინდელი ამ ხაზით მომუშავენი, უკანასკნელთ. ყოველ შემთხვევაში, პირველზე მაღლა ვერ დავაყენებთ.

გვევქრესტომათია ჩუბინაშვილმა ხელმოწერედ გამოცა 1863 წ. „ვეფხისტყაოსანი“ აქ მხოლოდ ნაწყვეტადაა წარმოდგენილი, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ სამი წლის წინათ, სახელდობრ 1860 წ., იგი მან მთლიანად მოგვცა.

სამაგიეროდ წიგნი შევსებულია მხატვრულ ნაწარმოებთა ნიმუშებით. როგორიცაა; ყარამანიანი, დავირშიანი, ვარდბულბულიანი, კატის ომი, გურამიანი, თამარიანი, ახალი პოეტები: ბესიკი, საიათნოვა, ალ. ჭავჭავაძე, მე-18 საუკუნის პოეტები, ნ. ბარათაშვილი და სხვ.

სახოგადოდ ქრესტომათიამ დიდი სამსახური გაუწია ქართველთ მხატვრული ლიტერატურის ათვისების საქმეში, და აღსანიშნავია, ზოგ რაშიმე ჩვენ ახლაც „ქრესტომათიელი მდგომარეობა“ გვაქვს, ჯერაც წინ ვერ წავსულვართ. მაგ. რუსულდანიალი დღესაც მხოლოდ ნაწყვეტის სახით მოგვეპოვება (იხ. ნ. მარის *Груз. Извод о трех остроумных братьях* და ახლახან გამოცემული: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა).

ამგვარია ჩუბინაშვილის მოღვაწეობა ლიტერატურათმეტყველების ასპარეზზე. ამავე ხაზის მუშაობად უნდა ჩაითვალოს პროფესორის წერილები ქართული ლიტერატურიდან სხვადასხვა ენციკლოპედიურ ლექსიკონებში, როგორცაა ბერეზინისა და სხვათა.

ჩუბინაშვილსავე ჰქონდა დაწერილი ქართული სიტყვიერების ისტორია დასაბამიდან, ვიდრე მე-18 საუკუნის დამლევამდის. მას კითხულობდა იგი როგორც უნივერსიტეტში. ისე აგრეთვე პეტრეს-ქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც კი კავკასიელი სტიპენდიანტი სტუდენტები სწავლობდნენ (არსებული კანონის თანახმად მაშინ ქართული ენა ყველა კავკასიელისათვის განურჩევლად ეროვნებისა — სავალდებულო იყო და ლექციებსაც ყველგან ჩუბინაშვილი კითხულობდა). ლიტერატურულსავე მოღვაწეობას ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ გამოცემა 1849 წელს.

თუ რა მნიშვნელობა და წონა ჰქონდა ჩუბინაშვილის ქრესტომათიას სპეციალისტებში, ამის ნათელსაყოფად მოიყვანოთ ლიაპიგელი პროფესორის ბროკჰაუზის რეცენზია, მოთავსებული 1865 წლის 5 მაისს ჟურნ. *Literarisches Centralblatt*-ის № 12 (მომყავს პროფ. ცაგარელის წიგნით).

„მრავალ ხალხს შორის, რომელნიც კავკასიაში სახლობენ, ქართველები ერთადერთი ხალხია, რომელმაც შეიმუშავა მწყობრი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და აქვს თავისი ისტორია და ლიტერატურა...“

ქართულ ლიტერატურაში ორი მიმდინარეობაა. ერთის მხრით ქრისტიანულ-ბიზანტიური, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე და ხალხზე; მისი მეოხებითაა შექმნილი მათიანე, ცხოვრებანი, სამართალი და საღვთისმეტყველო ლიტერატურა; მეორე მხრით დიდი გავლენა ჰქონდა სპარსულ ლიტერატურას ქართულ მხატვრულ პოეზიაზე, რომელიც ბევრ რაშიმე სპარსულს მოგვაგონებს.

ქართული ლიტერატურის ე. წ. „ოქროს ხანა“ უეჭველად გულისხმობს ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს პოეზიის როგორც შინაარსის, ისე ფორმის გასაფითარებლად და გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მართალია. შიგ ირანული გავლენის კვალი ჩანს. თუმცა მისი პროტოტიპი ირანულში არ მოიპოვება, თვით ნაწარმოების შეფასება კი შეიძლება სხვადასხვაგვარი იქნეს ქართველებისა და ვეროპელების, მაგრამ ერთი ცხადია: იმდროინდელ (12 ს.) და ახალ ეროვნებაში არ შეიძლება და ევასახელოთ არც ერთი პოეტური ნაწარმოები, რომელსაც შეეძლოს მეტოქეობა გაუწიოს რუსთველის პოემას ლექსთა წყობის ხელოვნებასა და რითმების კეთილხმოვანებაში“. დღესაც ახალ ამბად გასაღდება!

ჩუბინაშვილი ესათმეცნიერო. ვგულისხმობ პას ქართულ ენის გრამატიკას. იგი სამჭერაა გამოცემული: პირველად რუსულ-ფრანგულად 1846 წ., თან ერთვის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონს. მეორედ რუსულად: Краткая грузинская грамматика 1855 წ., ხოლო მესამედ 1887 უფრო სრულად „ქართული გრამატიკა“.

ორიოდე სიტყვა საკითხის ისტორიიდან.

მეორედ გრამატიკის შედგენის ინიციატივა ტფილას, ეკუთვნის. 1851 წ. ჩუბინაშვილმა მიიღო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან წინადადება — შეადგინეთ ოლქის გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებელთათვის: 1. ქართული გრამატიკა, 2. ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული პატარა ლექსიკონი და 3. საკითხაურო წიგნი. სხვათა შორის, წინადადებაში ნათქვამი იყო „რომ გრამატიკა უნდა შეიცავდეს როგორც ეტიმოლოგიის, ისე სინტაქსის წესებს იმ აუცილებელი პირობით, რომ ეს წესები გამომდინარეობდეს ქართული ენის ბუნებისა და თვისებისაგან და არასგზით არ წარმოიშობებოდეს სხვა ენების გრამატიკათა ბრმა მიბადვას, როგორც ეს შემჩნეულია წარსულ ქართულ გრამატიკებში“.

გრამატიკის საბოლოო რედაქციამ დიდი კამათი გამოიწვია პეტროუს-ქლაქსა და ტფილისის შორის. ე. ი. ჩუბინაშვილსა და ბროსეს (ერთი მხრით) და პლატონ იოსელიანსა და დ. ვაჟაძეს შორის (მეორე მხრიდან). უკანასკნელთა გამოგზავნათ ეს გრამატიკა სარეცენზიოდ, როგორც ა.კ. სკოლებში სახმარად ნავარაუდები. ჩუბინაშვილმა ზოგი შესწორება მიიღო, ზოგზე კატეგორიული უარი ეანაცხადა.

რომელი მხარე იყო მართალი? ამის შიებს აქ არ გამოვუდგებოთ. ნაწილობრივ ეს საკითხი პროფ. არნოლდ ჩიქობავას აქვს გავუქვებული.

ვატყვი მხოლოდ: თბილისელი ამზანაგები ჩუბინაშვილს, ცოტა არ იყოს, რუსული გრამატიკული ნორმებისაგან გადასრას და ქართულის ბუნების უკულებელყოფას სწამებენ (ამ მხრივ საინტერესოა დავა მოთხრობითი პროსესის შესახებ, ანდა მეტყველების ნაწილთა შესახებ).

.. აი, რას წერდნენ თბილისელები უკანასკნელის შესახებ: «Признавать в грузинском 8 частей речи, значило бы следовать без нужды системе подразделения их в других языках. Русская грамматика рассматривает имя прилагательное совершенно независимо от имени существительного, по той естественной причине, что между ними нет ничего грамматически — общего. В грузинском языке, напротив, не существует между ними никакого различия, ни в окончаниях, ни в форме самых склонений. Поэтому в грузинском языке следует признавать семь частей речи: имя, местоимение, глагол, наречие, предлог (или прилог — как будет сказано в своем месте), союз и междометие» (55).

ჩუბინაშვილი უპასუხებდა: «Прилагательные имена во всех известных языках резко отличаются от имен существительных собственно им принадлежащими формами, как напр. კეთილი — добрый, უკეთესი — лучший, წყლიანი, ქვიანი — водяной, каменный, и, в особенности, значениями: не одно и то же კაცი — человек, и კარგი — хороший. Во многих языках имена прилагательные не отличаются формами склонений от имен

существительных, но в грамматиках сих языков они рассматриваются отдельно. Сверх того прилагательные в языках франц., лат. и т. д. не называются *nom d' Adjective*, а просто *Adjective*, потому что *Adjective* не есть имя, а признак, качество имени. Несмотря на вышесказанное, так как этим соединением имен существительных и прилагательных грамматика моя не теряет ничего, а, напротив, выигрывает одну страницу печатную, то допустить это предложение Комитета Грузинского Отдела я согласен».

ნაწილობრივ მართალი იყვნენ თბილისელები: ჩუბინაშვილის გრამატიკა უფრო რუსულ-ევროპულ ყაიდას უახლოვდებოდა, წინააღმდეგ კათალიკოსისა და სხვათა გრამატიკოსებისა. მაგრამ თქმა იმისა, რომ იგი ქართულს, ასე ვთქვათ, რუსულ დარჯაკში ათავსებდა და ამით ქართულის თვისებას ზიანს აყენებდაო, არ შეიძლება. პირიქით: ჩუბინაშვილის გრამატიკაში არის იმისთანა რამ, სწორედ ქართულის ბუნებისა და თვისების აღმნიშვნელი, რომელიც უნდა ითქვას, პირველად მის მიერაა ხაზგასმული. ეს გახლავთ ქართული ზმნის ბუნება, სახელდობრ: ე. წ. ქ ც ე ე ბ ი. მართალია, ჩუბინაშვილი ქ ც ე ვ ა ტერმინს არ ხმარობს, მაგრამ ამგვარ ზმნათა ბუნება სწორედ აქვს გაგებულად, და ეს კი იმ დროისათვის უეჭველად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

„ზმნანი მიჩემებითნი, როდესაც მოქმედებს თვით მოქმედი პირი, მაგ. ვწერ, ვაშენებ, ვყეფ, ვტირი, ვჩან და სხვანი, ესე ითქმის საზოგადოდ. გარნა მიჩემებითად, ა. როდესაც მოქმედი პირი მოქმედებს თავის სასარგებლოდ, მაგალ.: ვიწერ, ვიშენებ, ვიყეფ... ბ. როდესაც მოქმედი პირი მოქმედებს სხვის სასარგებლოდ, მაგ., ვუწერ, ვუშენებ, ვუყეფ და სხვ.“ ახლა მეორე ადგილას: „ვ ა შედგების ორის ნაცვალი სახელისაგან: ერთი ვ მეორე ი მაგ. ვიშენებ-შენებას აღვასრულებ ჩემთვის, ჩემ სასარგებლოდ; აგრეთვე ვ უ შედგების ორის ნაცვალსახელისაგან: ვ პირველის პირისა და უ მესამე პირისა, მაგ. ვუშენებ, ე. ი. სასარგებლოდ ვისთვისმე ვაშენებ და სხვ.“ (ეთნოგრაფიული განხილვა, 46).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იგივე დღევანდელი ქცევებია; საარვისო (მოქმედება საზოგადოდ), ს ა თ ა ვ ი ს ო (მოქმედება თავის სასარგებლოდ), ს ა ს-ბ ვ ი ს ო (მოქმედება სხვის სასარგებლოდ) და სხვ., რაიც უკანასკნელად მთლიანად და სისტემატურად დაამუშავა პროფ. აკაკი შანიძემ.

ბუნებრივია, ჩუბინაშვილის გრამატიკა პრაქტიკული მიზნებისათვის დღეს უკვე აღარ გამოდგება, როგორც სხვა ამგვარი შრომები წინანდელი და შემდეგდროინდელი, მაგრამ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მას ადგილი უოველთვის ექნება, და ქართული გრამატიკის ისტორიკოსიც მას გვერდს ვერასგზით ვერ აუვლის.

ისტორიის ხაზით დ. ჩუბინაშვილის შრომათაგან უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია: 1. Переписка грузинских царей с российскими государями. ბროსეს რედაქციით. ტექსტი, 85 საბუთი, მთავარი არქივიდან ამოღებული და რუსული თარგმანი ეკუთვნის დ. ჩუბინაშვილს; 2. ჩუბინაშვილმავე გამოსცა: ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა. ქმნილი საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან. სანკტპეტერბურგი 1848 წ.; 3. ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილის (1469/1800) ქართული ტექსტი, ტექსტის რედაქცია და ქართულად-

ვე შედგენილი ვრცელი ცნობები საისტორიო ლიტერატურის შესახებ; 4. ვრცელი წერილური საქართველოს ისტორიიდან ბერიზინის ენციკლოპედიურ ლექსიკონში; 5. მხარგრძელთა გენეალოგიაში—ცნობები ქართულ დიდგვარიან თავადთა შესახებ; 6. Этнография народов, населявших древнюю континентальную и приморскую Кападокию или пакт Римских писателей, სადაც მოყვანილია საბუთები ამ ადგილებში ქართველთა მოსახლეობის შესახებ (1877); აქვე: პირველი დასაბუთებული ცნობები ქართულ წელთა აღრიცხვის შესახებ (კავშირი პონტის ერასთან, დასაბამი 284 წ. ქრ. წ.) იგივე ქართულად აქვს ეთნოგრაფიული განხილვა ახალთა კაპადოკიის ან ქანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.

ჩუბინაშვილი ქართულ ნუმისმატიკასაც ეტანებოდა. მას ეკუთვნის ბარათ-შვილის Нумизматические факты грузинского царства-ის ქართული ტექსტი (1854).

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩუბინაშვილის მეშობა ქართულ ლექსიკოგრაფიის ხაზით. აქ მან ყველაზე უფრო ღრმა კვალი დატოვა. რით აიხსნება ეს? ცხადია, არა მხოლოდ ჩუბინაშვილის პირადი მიდრეკილებით ან საგნისადმი, არამედ უპირატესად იმ საერთო მდგომარეობით, რომლითაც ქართულმეტყველების ეს უბანი ხასიათდებოდა. ჩვენში ეს დარგი უფრო დაძულ ჰავებული იყო, აქ მეტი კავშირის დადგენა შეიძლებოდა კულტურულ წარსულთან; ამის ნათელსაყოფად მარტო საბას დასახელებაც კმარა, მაგრამ თუ ამასთანავე ჩუბინაშვილის საგვაროვნო ლექსიკოგრაფიულ ტრადიციებსაც მოვიხმობთ (ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ლექსიკონი), არც იოანე ბატონიშვილის „მცენარეთა პირუტყვთა, ქვეწარმავალთა, მწერთა და სპეკალთა“ ლექსიკონს უგულვებელვყოფთ (რომლებიც დავითს მთლიანად და სავსებით აუთივისებია), ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ამ უბანზე ჩუბინაშვილი მართლაც და უფრო მძლავრი უნდა ყოფილიყო, ამ დარგში მას აუცილებლად ღრმა კვალი უნდა გაველო.

ჩუბინაშვილის პირველი შრომა ამ ხაზით „ქართულ-რუსულ-ფრანგული“ ლექსიკონი იყო, რომელიც მან დაამთავრა 1837 წ., ე. ი., როდესაც ამას ის-ის იყო 23 წელი შეუსრულდა და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასე მოზრდილი ნაწარმოების დამზადებას ჩვეულებრივ რამდენიმე წელიწადი სჭირდებოდა, უნდა ვთქვათ, რომ შრომა იგი მას წამოუწყია ჯერ კიდევ 19—20 წლისას.

ამასთან დაკავშირებით ისმის ერთი საკითხი: რამდენად დამოუკიდებელია ეს ლექსიკონი? მის მიერაა იგი შედგენილი, თუ სხვათა ნაშრომთა საფუძნობლად მოხმობილი? ჩუბინაშვილი არ მალავს — ლექსიკონის შედგენისას ბიძაჩემის, ნ. ჩუბინოვის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონით ვისარგებლეო, მაგრამ აქ მარტო სარგებლობაზე არ შეიძლება; ლაპარაკი: მცირე ჩანამატთა გარდა, აქ ნ. ჩუბინოვის შრომა უნდა იყოს მთლიანად გამოყენებული, რასაც, როგორც ჩანს, ერთგვარი საგვარეულო კონფლიქტიც მოჰყოლია.

ტფილისის წამოსვლისას 1887 წ. ნ. ჩუბინოვმა დაუტოვა თავის ძმისშვილს, დავითს, თავისი ბიბლიოთეკა (შენახულია ნიკოლოზის საკუთარი ხელით შედგენილი ნუსხა ამ წიგნებისა).

აი. სსეათა შორის. რა სწერია ამ ნუსხაში: „რუსული და ქართული ლექსიკონი. დილის აკადემიის სლავარიდამ შედგენილი, რომელსაც ფასი არ დაედება. ამისათვის, რომ ჩემი ცხოვრება სრულებით ამის შრომაზე გამიტარებია.“

კიდევ ქართული და რუსული ლექსიკონი, საბა ორბელიანის ლექსიკონი-დამ შედგენილი, რომელშიაც ლათინურად, ბერძნულად და სომხურად მოწერილია ამა ენების ლექსები. ქართულში ხმარებული. ამ წიგნის ფასის დადებაც არ შეიძლება, ამიტომ რომ ამაზედაც დიდი შრომა გაიწევიდა ჩემს ცხოვრებაში. ეს წიგნი დაეითმა გარდასწერა და მიჰყიდა აკადემიას ოთხას რუბლად — 400. მერმე კიდევ ესევე წიგნი დაბეჭდა და მიიღო დემიდოვის პრემიადამ. სრულებით ჩემთვის ურგებად, ხუთი ათასი რუბლი — 5000, რომელიც 1840 წლიდან მსწავში აქვს მიცემული სარგებელით და ჩემს გაპირებაში და სწეულებაში იქონივს არაფერი შეწყვეა არ მომცა რა.

ეს ზემოხსენებულის წიგნების ნუსხა დავაწერინე ზეპირად, რომელიც მამამ დაწავა, და სხვა ბევრი დარჩა დაუწერლად, რომელიც ადარ მასხოვს და დავითასთვის დამიტოვებია იმ ჰაზრით, როგორც შეეფერებოდა ჩემგან ნაამაგვეს და მაჭირნახულევს და შეილივით გაზრდილს ძმისწულსა. რომ ისიც ჩემს გაპირებაში მომხმარებოდა რითმე.

ჩემს მისვლაზე (პეტერბურს), 1843 წლის დასრულებაზე, მოკლისა და შეწვევის მაგიერად, ერთი ნუსხა გააკეთა საქართველოში დარჩომილის წიგნებისა და შეუბოვარის სახით მთხოვდა იმაებს, ვითომც თავისის მოჯამაგირის ბიბლიოთეკარისაგან. მართალია, მე მქონდა გაკეთებული აღრიხდელი ნუსხა ჩემის საკუთარი წიგნებისა, რომელშიაც ჩაწერილი იყო იესე დეკანოზისაგან ნაწერი წიგნებიცა და მისი შვილი დავით იმ ნუსხით ჩემს საკუთარ წიგნებსაც ისე მთხოვდა, როგორც თავის საკუთარს — ეს არ იფიქრა, რომ მისი მამის მიცვალებილამ აქამომდე მე სახლი მიჭირავს ქირით და არ მქონდა აღგილი მომატებულის წიგნების შენახვისა, ამად მქონდა მიბრუნებული სხვადასხვა კაცთან. ბევრჯერ აუნუსხავად და დაუთვლელად“.

რაშია საქმე? ბიძა აბრალეებს ძმისშვილს ჩემი შედგენილი ლექსიკონი მიიღვისაო, სამაგიეროდ ძმისშვილი ერთგვარი პრეტენზიით თხოვს მამის წიგნებს: საქმე ის არის, რომ ჩვენი პროფესორის მამაც იესე ჩუბინაშვილი ცნობილი მწიგნობარი კაცი იყო. ცნობილია მისი გრამატიკა და სხვა წიგნები.

ახლა ძნელი გამოსარკვევი არაა, სახელდობრ. რა წილი აქვს დ. ჩუბინაშვილს ლექსიკონში, მაგრამ იგი საესებით უცვლელადაც რომ იყოს დავითის მიერ „მიჩნეებული“, ყოველ შემთხვევაში ეს ეხება ამ პირველ წიგნს. დანარჩენი შრომები ამ დარგში, როგორიცაა რუსულ-ქართული ლექსიკონი, რამდენჯერმე გამოცემული და, განსაკუთრებით, ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელსაც დავითი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამუშავებდა და რომელიც 70.000 სიტყვას შეიცავს, უცილობლად მას ეკუთვნის. ამის ნათელსაყოფად სიტყვა „ავი“ — მოვიყვანოთ ჭერ სადავო ლექსიკონიდან. ავი (თავისი რუსული შესატყვისებით), ავი კაცი, ავი სული. ავი ბედი, ავი ზნე, ავათ. ავათ-ხსენება, ავათ მოხსენებული. ავის ყოფა, ავი მავნე. ავისმდომი. ავკაცობა, ავიუცელა, ავიუცლიანი, ავიუცლობა, ავიობა. ავიპირი ახლა მეორე გამოცემით:

ავი — ბოროტა, არაკეთილი, უკეთური, ცუდი, სამაგლო, მზარე, ურიგო, პედითი, ხენეში, უხმარი (რუსული შესატყვისობი) ავი არ მკადრიან, კარგი არ მალირსიან; ავი კაცი აღდგომასაც ავია: ავი მკემა კვირახალს გახალისდება: ავი შვილი დედ-მამის მაგინებელია; ავი თქვი, ავიც გაიგონე; ავი ძალი არც თვითონ სჭამს, არც სხვას აუნებს; ავი შეშნახალი ქურდის ამხანაგია; ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა; ავი კაცი, ავი ბედი, ავი ზნე, ავი უარესია, ავი დარი, ავი სული, ავი სუნი, ავის თვალთ შეხება, ავი დეხი შემომტანა, შენ შთავადი ავში, ავი საქმეში გაერიე, ვ. ტყ. განმარტ. თეიმ. ბ. უ. ავა. ბოროტად, ცუდად, ავად ვახდომა; ავად მოქცეა; ავადმყოფობა, ავადმყოფი, სნეული, უძლური, მტკივნეული, ავადობა, ავადყოფა, ავბედი, ავბედობა (მოწყავს აუხსნელად, ყველა ახსნილია) ავგვარობა, ავგული, ავგუნება, ავდარი, ავდრიანი, ავდება, ავობა, ავენა, ავენობა, ავზე, ავთვალი, ავთვალადი ავიმანე, ავისმდომელი, ავისმოქმედი, ავკარგი, ავგვარიანობა (ივერია, № 1, 146), ავკაცობა, ავდრება, ავმუცელა, ავმუცლიანი, ავმუცელა, ავმუცლობა, ავპირი, ავრჭული, ავსაქციელი, ავისიტყვა, ავზორცი, ავზორციანი და სხვ.

ამჯერასავე განსხვავებას დაეინახავთ ცუდ ნეგადარებთ მკე, სიტყვებს: აზნაური, აზრი, ბედი, ბუდე, გამოსვლა, გამოღება. პირი, ქორონიკონი და სხვ.

ასეთია ქართულ-რუსული ლექსიკონი.

მაგრამ სანამ ამ უკანასკნელს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა ისევ პირველის შესახებ: ლექსიკონის რედაქტორობა გადაეცა აკადემიკოს ბროსეს. მან მიზანშეწონილად დაინახა ლათინური შესატყვისების ნაცვლად ფრანგული ყოფილიყო, რის შედეგსაც თვითონ იკისრა.

ლექსიკონმა უარყოფითი კრიტიკა გამოიწვია ივანე შოპენისა. უკანასკნელმა იგი სავსებით უვარგისად ჩათვალა, რუსულ-ფრანგული ერთმანეთს არ შეესიტყვებო, რაიც იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ из двух составителей русский переводчик (იგულისხმება ჩუბინაშვილი) не знал ни слова по-французски, а французский (ბროსე) ни слова по-русски (И. Шопен. Новые заметки на древние истории Кавказа и его обитателей, 356). პროფ. ცაგარელმა თავის დროზე აღნიშნა შოპენის ბრალდებათა უმართებულობა, ჩვენ შეგვეძლო კიდევ უფრო შორს წავსულიყავით ამ მხრივ და დაგვესვენა, რომ შოპენი პირდაპირ არაწესიერი და მასთან მთლიანად და სავსებით უფიცი რეცენზენტია.

რა უძევს საფუძვლად ქართულ-რუსულ ლექსიკონს? 1. საბა ორბელიანის ლექსიკონი; 2. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი; 3. ბუნების ლექსიკონი, ანუ აღწერა: მცენარეთა, პირუტყვთა, ქვეწარმავალთა და სპეკალთა — იოანე ბატონიშვილისა; 4. რაფიელ ერისთავის ლექსიკონი; 5. პატრი ფილიპესაგან შედგენილი ამავე ხასიათის ლექსიკონი; 6. ბიანკის ლექსიკონი; 7. აღმოსავლურ ენათა ლექსიკონები და სხვა მრავალი.

როგორია სისტემა ამ წყაროთა სარგებლობისა? ჩუბინაშვილი ბრძანდებოდა არ მისდევს არსებულ ლექსიკონებს არც სიტყვათა დალაგებაში, არც განსაკუთრებით ახსნაში. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ იგი ყველგან მალლა დგას მეთქი თავის წინამორბედებზე: არა, ზოგ რაშიმე კიდევაც ჩამოუვარდება მათ, მაგრამ

საგულისხმო ის არის, რომ მას თავისი საკუთარი შეხედულება აქვს ამ: თუ იმ სიტყვის შინაარსზე, იგი თავისი საკუთარი განწყობით ხელმძღვანელობს. ამისდა მიხედვით: ლაპარაკი, რომ ჩუბინაშვილმა, მაგ. მთლიანად შეიტანა თავის ლექსიკონში იოანე ბატონიშვილის ნაშრომიო, სიმართლეს არ შეეფერება. ერთი თვალის გადავლება და ხელდახელი შედარებაც საკმაოა, რომ დაასკვნა: ჩუბინაშვილს აღნიშნული შრომა მარტოოდენ საცნობო წყაროდ აქვს მიჩნეული. დანარჩენს ყველაფერს თავად, საკუთრად აკეთებს. ეს ხარისხისათვის.

რაც შეეხება მოცულობას, აქ, რასაკვირველია, წინანდელ ნაშრომთა და ჩუბინაშვილის ლექსიკონს შორის დიდი განსხვავებაა: უკანასკნელის ქართულ-რუსული ლექსიკონი რამდენჯერმე აღემატება პირველს.

რა წყაროებით სარგებლობდა ჩუბინაშვილი ლექსიკონებს გარდა?

აქ მოხმობილია: 1. ძველი და ახალი აღთქმა მთლიანად; 2. საისტორიო წიგნთაგან: ა) ქართლის ცხოვრება (ყველა წიგნი); 3. იმ დროს ცნობილი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა; 4. სიგელ-გუჯრები; 5. სამართლის წიგნი; 6. დასტურლამალი; 7. მხატვრულ ნაწარმოებთაგან: ა) „ვეფხისტყაოსანი“, იმ დროს არსებული ყველა განმარტებებით; ბ) „ამირან-დარეჯანიანი“. „აბდულმესია“, „ვისრამიანი“, „თამარიანი“, საზოგადოდ მთელი მწერლობა მე-18 საუკუნემდის (ყველა დარგისა), მე-19 ს. მწერალთაგან: ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, ილ. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ., ყველა პერიოდული გამოცემა და სხვა და სხვა.

მთელი ლექსიკონი შეიცავს 70.000 სიტყვას. სიტყვათა ახსნის წესი: ყოველი ქართული სიტყვა ქართულადევა ნათარგმნი, შემდეგ მას მოსდევს რუსული შესატყვისი ტერმინის სახით, ანდა ხანდახან ფრაზეოლოგიაც.

ლექსიკონის გარჩევას აქ არ შევუდგებით. ვიტყვი მხოლოდ: ჩუბინაშვილს ერთგვარი უსამართლობა სჭირს, უეჭველად: უკვე მთელი საუკუნეა მისი ლექსიკონებით ვსარგებლობთ, მაგრამ ენას ისე არ მოვაბრუნებთ, რომ „დაძველდა, უვარგისია, უკმარია“, არ დავატანოთ. ლექსიკონი რომ დაძველდა, ამაში ჩუბინაშვილს ოდნავადაც არ მიუძღვის ბრალი. ხალხის ლექსიკონი ცვალებადია, იგი ცხოვრებას კვალდაკვალ მისდევს, მასთან ერთად იზრდება, ვითარდება და ვერც ნახავთ მსოფლიოში ვერც ერთ ლექსიკოგრაფს, რაგინდ გენიოსი იყოს იგი, წინდაწინვე ივარაუდოს და გაითვალისწინოს ენის მომავალი განვითარება და თვით ლექსიკონიც ყველა დროისათვის; ასე ვთქვათ, სამარადისო შეადგინოს. ლექსიკოგრაფი არსებულნი ენობრივი სინამდვილის აღმნუსხველი და მისი სათანადო ამხსნელია მხოლოდ. წინასწარმეტყველებას იგი ვერ იტვირთებს და ამ მხრივ, მაშასადამე, ბრალდებაც ჩუბინაშვილისადმი უნდა მოიხსნას: თუ ლექსიკონი უკმარია, ამაში უწინარეს ყოვლისა ბრალი ჩვენია. ჩივილი ვცით, საქმის მოგვარებას ვერ ვახერხებთ.

ჩუბინაშვილი დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო: წევრი-აქტივისტი ყველა კულტურულ საზოგადოებათა, მათ შორის საპატიო წევრი ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა. ამ მხრივ იგი არა მარტო წიგნობრივად იყო კულტურულ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ უაღ-

რესადსაქმითაც. ვამბობთ ამას არა იმიტომ, რომ არის შემთხვევები, როდესაც სპეციალისტს უყვარს თავისი სპეციალობა. მთელ თავის სიცოცხლეს სწირავს მას შესასწავლად, მაგრამ ამავე დროს სძულს ამ სპეციალობის ცოცხალი წარმომადგენლები, სხვაგვარად რომ ვთქვათ: რომელიმე სპეციალისტი უყურებს ამა თუ იმ საგანს. როგორც თავის კვლევადიების მართლო დენობიექტს და არარად მიიჩნევს ამ საგნის სუბიექტებს. ამგვარის რისამე გაფიქრებაც კი შეურაცხყოფა იქნებოდა ჩუბინაშვილის ხსოვნისა. იგი ამ მხრივ იშვიათი კულტურული ადამიანი იყო და ჩვენაქვეყნის ბედსა თუ უბედობას ყოველთვის გულმტკივნეულად ენმაურებოდა. თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა მან უანდერძა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რაც სისრულეში მოიყვანა მისმა შვილმა ნიკოლოზმა.

დღეს ეს ბიბლიოთეკა ჩვენი პალეოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფონდთაგანია.

ჩუბინაშვილის მოღვაწეობის ხანასა და ჩვენს შორის საგრძნობი მანძილია, მას შემდეგ დიდი დროა გასული. ამ ხნის განმავლობაში უამრავი საკვლევადი ებო მასალა აღმოჩენილი, თვით კვლევა-ძიების ხერხებიც ახალი: ნომარჩვებული, უეპველად მეცნიერული, მაგრამ. მიუხედავად ამისა, ზოგ რაშიმე ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს დაგვიჩირდება მისი ნაშრომებით ხელმძღვანელობა, საქმისათვის სასარგებლო ხელმძღვანელობა. განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიაში. ამ მხრივ მისი ნაწარმოები დღესაც აქტუალურია, ღვაწლიც და ამაგიც მისი დაუვიწყარია.

„ვეფხისტყაოსნის“ გარშემო

(ე. ჭიჭინაძის ახალი გამოცემის გამო)

„ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი ამ ეგემით გამოცემის იდეა ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ჩაისახა, როდესაც ე. ჭიჭინაძემ თავისი „ალიტერატურა“ წაიკითხა, ფილოლოგებსა და ისტორიკოსებს „ვეფხისტყაოსნის“ ძიება თავისებურად აუკრძალა და ეს საქმე მთლიანად და სავსებით პოეტების მონოპოლიად გამოაცხადა. შემდეგში ეს აზრი მან კიდევ უფრო ჩამოაყალიბა უკვე ბეჭდურად: „პოემის მკვლევარები, წერდა მაშინ ჭიჭინაძე, — თავიანთი სპეციალობით ფილოლოგები და ისტორიკოსები არიან. ჩვენი აზრით, ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ის არც ერთ ამ მეცნიერებას საშუალებას და, მაშასადამე, უფლებასაც არ აძლევს დამოუკიდებლად გადაჭრას ისეთი რთული პრობლემა, როგორც არის პრობლემა „ვეფხისტყაოსნისა“. გადაწყვეტი სიტყვა ამ საკითხში უნდა თქვას პოეტიკამ და შემოქმედების ფიქლოლოგიამ, რომელიც ინდივიდუალურ შემოქმედებაში თითქმის ყოველ დროს ერთი და იგივე იყო. ფილოლოგიურ და ისტორიულ კვლევა-ძიებას კი აქ მხოლოდ დახმარების გაწევა შეუძლია“ (ხაზი ჩვენია. — ე. ბ. იხ. ე. ჭიჭინაძე, ალიტერატურა ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა, ტფილისი. 1925).

ამასავე გულისხმობდა ე. ჭიჭინაძე, როდესაც იგი სხვა თავის ნაწარმოებში აღნიშნავდა: „ჩემი აზრით, უკვე დრო არის გადაჭრით ითქვას, რომ აკად. ნ. მარის ავტორიტეტი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხში მისმა მოწაფეებმა მეტის მეტად გააზვიადეს“ (იხ. ე. ჭიჭინაძე, რუსთველის გარშემო. ტფილისი, 1926) და თანვე მიუთითებდა იმ მეთოდზე, რომლის საშუალებითაც საბოლოოდ უნდა გადაჭრილიყო შოთას საკითხი: „პირადად მე ვცდილობ. რაც შეიძლება ობიექტიობა დავიცვა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო მუშაობაში. ამ მუშაობის დროს ჩემი საფუძველია ფორმალიზმი. როგორც ლიტერატურული კვლევა-ძიების მეთოდი, რომელიც ემყარება მწერლის სტილის რაც შეიძლება ფართოდ და ღრმად შესწავლას“ (იქვე, გვ. 28).

ასეთი იყო ის ახალი განწყობა, რომლითაც ე. ჭიჭინაძე აპირებდა „ვეფხისტყაოსნის“ უტყუარი ტექსტის გამოცემას. ეს აზრი „ფედერაციამაც“ გაიზიარა და შოთას გამოცემა მთლიანად და სავსებით მხოლოდ ერთ კაცს მიანდო პოეტ ე. ჭიჭინაძეს.

I

როგორია ეს გამოცემა? არას ვიტყვი ქალაქისა და მხატვრული გაფორმების შესახებ. ამაზე მე უკვე მქონდა წერილი („კომუნისტი“, 1934, 30 სექტ.). შევეხოთ თვით ე. ჭიჭინაძის ნაშრომს. გეგმა ჩინებულადაა მოხაზული.

ა) „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოება და შინაგანი მოცულობა; ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი; გ) რუსთველის სახელით ცნობილი ლექსები; დ) დამახინ-

ჯებულ ადგილების გასწორება: ე) პოლოგი და ეპილოგი; ვ) შეტაფორები; ზ) აფორიზმები; თ) მეტრი და რიტმი; ი) მაჟამები; ია) რითმები; იბ) რითმების ინდექსი; იგ) სიმფონია („ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა); იდ) ლექსიკონი; იე) სახელების საძიებელი; ივ) ბიბლიოგრაფია.

როგორც ხედავთ, აქ ყველაფერია, რაც მოეთხოვება მეცნიერულად გამოცემულ კლასიკურ ნაწარმოებს.

რამდენად და როგორაა შესრულებული გეგმა? განვიხილოთ. არსებულ გამოცემებთან შედარებით ჭიჭინაძის ტექსტი ვრცელია არა მარტო იმი, რომ დაბოლოებაა (ე. წ. გაგრძელება) დამატებული, არამედ შინაგანი მოცულობითაცაა იგი გაზრდილი: ბევრი რამ არის შიგ იმისთანა შეტანილი, რაც წინანდელ გამოცემებელთ ყალბად მიუჩნევიან და გამოუტოვებიათ; აგრეთვე სრულიად ახალიც, პირველად კ. ჭიჭინაძის მიერ ლეგალიზებული.

დაბოლოების საკითხს აქ მხოლოდ მოკლედ შევეხები.

ვინ არის ნაწარმოების მთავარი გმირი? ვეფხისტყავეთ მოსილი ტარიელი, ვეფხისტყაოსანი. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ვეფხისტყაოსანია და ნაწარმოებიც უპირატესად მისი ხაზით ვითარდება.

აი, ამ ხაზის მთავარი ადგილები: ა) ტარიელს უყვარს ნესტანი, ბ) ნესტანისათვის საქმროდ გარეშე კაცი მოყავთ. ხუარაზშაჰ. გ) ნესტანის ჩაგოებით, ტარიელი კლავს ხუარაზშაჰს. დ) ხესტანი, როგორც მკვლელობის ინიციატორი, კადაკარგეს. ე) რაინდი ტარიელი ეძებს ნესტანს (უკანასკნელი ქაჭეთის ციხეში). ე) მეგობრების დახმარებით ტარიელმა გამოიხსნა ნესტანი. მორჩა და გაათავდა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი —

შეიდი ტაბტი სახელმწიფოს. საშეველი გაუცდელი.

მათ პატიეთა დაევიწყებს ლხინი ესე აწინდელი,

და ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი პირთა გარდუხდელი.

ესაა და ეს. რა მოუვიდა ნაწარმოების დანარჩენ გმირთ? საჭიროა თუ არა თითოეული მათგანის შესახებ ცალკე დაწვრილებით ამბის თხრობა? წერის მანერას გააჩნია: არის მწერალი — მოკლედ მოსჭრის, სწორედ ისე, როგორც ეს ვახტანგიდან მომდინარე გამოცემებში გვაქვს, მაგრამ არაფერს არაბუნებრივს არ წარმოადგენს ისეთი დაბოლოებაც, რომელიც თითქმის ყველა ხელნაწერშია დაცული და რომელიც პირველად, ხუარაზშემელების ამბავთან ერთად, ს. კაბახიძემ მოგვცა, ხოლო ახალ გამოცემაში უფრო ბეჭითად გაიშვირა (ხუარაზშელთა ამბის გამოკლებით) კ. ჭიჭინაძემ.

რა სახით უნდა შევიდეს ეს დაბოლოება „ვეფხისტყაოსანში“, — ვრცელია თუ „მოკლე“ რედაქციით? საამისოდ დიდი გულდასმითი ტექსტუალური გამოძიება იქნება საჭირო, მისი (დაბოლოების) შეჭერება ძირითად უდავო ტექსტთან როგორც შინაარსის (ხომ არ ეწინააღმდეგება დაბოლოების ადგილები უდავო ადგილებს?), ისე სტილის მხრივ, აგრეთვე იმ უცილობელი ფაქტის გათვალისწინება, რომ ეს „ვრცელი“ დაბოლოება ყველა ხელნაწერშია წარმოდგენილი და დღემდე არ მოგვეპოვება არცერთი ხელნაწერი, რომელიც უჭერდეს მხარს

ბეჭდური ტექსტის „მოკლე“ დაბოლოებას. ჟერჯერობით ამ დაბოლოების შესახებ მეტის თქმა არცაა საჭირო!

1 ასე ვამბობდი და ეწერდი მე დაბოლოების შესახებ წინათ. ახლა? ახლა საჭიროდ ვთვლი ცოტა რამ დამატება შევიტანო ზემონათქვამში.

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი იმთავითვე თავსამტკრევად გამხდარა ქართული მკითხველი საზოგადოებისათვის. ადრევე დეფაქტურად მიუჩნევიან ნაწარმოების დაბოლოება.

რატომ? იმიტომ რომ შოთას ხელიდან გამოვიდა იგი ასე დეფაქტურად. თუ დროთა განმავლობაში დაიკარგა ეს დაბოლოება და მხოლოდ ამიტომ ცდილობდნენ მის შეესებებას, რომ ამით შეძლებისდაგვარად ნაწარმოების პირვანდელა სხე აღედგინათ და ერთგვარი მოვალეობაც მოეხადათ ავტორის წინაშე?

ფიქრობ, მეორე ვარიანტებს უნდა ჰქონოდა ადგილი. სახელდობრ: მე ვფიქრობ, რომ შოთას ხელიდან ნაწარმოები აგებულების მხრივ უნდა გამოსულიყო დაახლოებით ისე, როგორც ეს გვაქვს ხელნაწერებში. რომელიმე კატასტროფის დროს (და ამგვარი კი ხშირი იყო ჩვენში) ნაწარმოების ბოლო დაკარგულა ან მთლიანად, ანდა დარჩენილა მხოლოდ ფრაგმენტების სახით (ამის მაგალითიც არაერთი მოგვეპოვება: გვაქვს რომელიმე ნაწარმოები, ხანდახან ერთი ეგზემპლარი და თავი და ბოლო აკლია). მაგრამ ხალხს ტრადიციით ჟერ კიდევ ახსოვდა ვეფხისტყაოსნის ნამდვილი დაბოლოების შინაარსი. და აი, სწორედ ამ ტრადიციისა და ფრაგმენტების მიხედვით ხდება დაბოლოების რესტავრაცია, აღდგენა.

წერის მანერა საზოგადოდ, სტილი და ზოგი რამ რეალიზმიდანაც უცილობლად ხდის ამ ვარაულებას. რომ დაბოლოება აღდგენილია, რესტავრირებულია. ამასთანავე აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ჩვენ სხვაე მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსნის“ წინა და მომდევნო ხანის არაერთა ნაწარმოები და არც ერთს მათგანს არ ახლავს შემდეგ დამატებული დაბოლოება. რატომ? იმიტომ რომ თითოეული მათგანი უნაკლულად მოსულა ჩვენამდღე და არც არავის დაუნახავს საჭიროდ მისი გავრცობა.

მე არ ვამბობ ნათარგმნ ნაწარმოებზე. როგორცაა, მაგ. „ვისრამიანი“: აქ დამატებას ხელს შეუშლიდა დედანი: მე მხედველობაში მაქვს შედარებით დამოუკიდებელი ნაწარმოები, როგორცაა „ამირანდარეჯანი“ და სხვა.

ამრიგად „ვეფხისტყაოსნის“ თუ გაუქმეთ ეს ვრცელი დაბოლოება, მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი თვით შოთას უნდა ჰქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დაკარგულია.

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ ტექსტის დადგენისას? უარვესოთ ეს დაბოლოება, თუ შევიტანოთ?

თუ ჩვენ „ვეფხისტყაოსნში“ მარტოდუნე პირადად ტარიელის მიზნით ვართ გატაცებული, ნაწარმოები უნდა გავთავოთ იქ, სადაც „ბორცისა სძლია კეთილმან“, ე. ი. ქაჩეთის ქუჩის აღებით. მაგრამ რაკი აქ გაჩერებას ვერ ვახერხებთ (არც ერთი ჩვენგანი არაა ამის მომხრე), ნაწარმოები უნდა განვაგრძოთ და მაშინ, ამბავთა საზეიმო დასკვნასთან ერთად, ახალი ინტერესი იბადება. ინტერესი, რომელსაც ვერც ერთი ჩვენთაგანი გვერდს ვერ აუხვევს, სახელდობრ:

ტარიელი რომ თავის საწადელს მიაღწევს, იგი რომ განახორციელებს მეგობრების დახმარებით სიყვარულს, ძმადმოცი, მეგობრობა ოღნავადაც არცხდება, პირიქით: იგი უფრო დრმავედება, ვრცელდება და გაღაიზრდება ერთა სოლიდარობაში. ამ ინტერესს „ვეფხისტყაოსნის“ ვერ წავაერთმევთ, იგი ერთი მთავართაგანია და თუ ეს ასეა, მაშინ საჭიროა ზემომი, ზემომი დაუცხრომელი, თავისებური „გადამპატიება“. ძმადმოციისათვის ქორწილის გადახდა, რაც გარეგნული გამოსატყულებია ამ სოლიდარობისა და მოყვრობისა. სოლიდარობისა და მოყვრობის გამომხატველია აგრეთვე ის დახმარება, რომელსაც ტარიელს გაუწევენ მისი მეგობრები ინდოეთის განთავისუფლებისათვის.

უფრო მთავარი სხვა რამ არის, სახელდობრ. რა მდგომარეობაშია თავად ტექსტი თავიდან ბოლომდე. აქვს თუ არა მას შიგადაშიგ „კეთილშენაძენი“. რაა საჭირო, რომ ეს ხორცმეტი მოშორდეს „ვეფხისტყაოსანს“ და რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ. რაც დარჩება ხალასი. სათანადოდ გავიგოთ, დავძლიოთ მატერიალურად, რომ საბოლოო ანგარიშში. მოხერხდეს შოთას ამ უდიდესი მემკვიდრეობის მთლიანად და სავსებით დაუფლება?
რას წარმოადგენს ამ მხრივ ჭიკინაძის ნაშრომი?

II

როგორც აღვნიშნეთ. კ. ჭ. ტექსტის შიგნითაც აქვს ზოგი იმისთანა სტროფი შეტანილი. რომელიც სხვას თავის დროზე ყალბად მიუჩნევია და ზოგიც სავსებით ახალი, პირველად მის მიერ შეტანილი. კ. ჭიკინაძე ყოველს თავის „შეტანილობას“ ასაბუთებს, უკეთ: ცდილობს დაასაბუთოს. ეს ცდა ზოგან მართოდენ ცდად რჩება. ფაქტად იგი ვერასოდეს ვერ იქცევა. და არც გასაკვირველია, რადგან: ყოვლად შეუძლებელია, რომ ყველაფერი ის. რაც ჟამთა ვითარებას შოთასიად დაუსახავს, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ნაწილად მივიჩნიოთ.

რატომ? შოთა ისეთი გენიოსია, იგი ისეთი განუმეორებელია. რომ ხალხს ვერც კი წარმოუდგენია, თუ შედარებით კარგი აზრის გამოთქმა და მხატვრულად გაფორმება შეუძლია მოახერხოს სხვა ვინმემ. თუ არ ისევ შოთამ. ამ მხრივ მან დაჩრდილა ყველა თავისი წინამორბედი და მომდევნო პოეტი. და ხალხმაც ბევრი რამ. სხვის მიერ თხზული. შოთასიად აღიარა. რამდენია ბრძნული თქმა, აფორიზმი უსახელო. ხალხური, მაგრამ ხალხს იგი ყველა შოთას ნათქვამად მიუჩნევია და არა მარტო ხალხს! ხშირად მკვლევარიც ვერ არკვევს, რა არის შიგ ხალხური და რა უნდა მივაკუთვნოთ შოთას? შორს რომ არ წავიდეთ, ცნობილი ისტორიკოსი და „ვეფხისტყაოსნის“ უთუოდ დაკვირვებულ მკვლევარი მ. ჭანაშვილი გავიხსენოთ. იგი, მაგ. დარწმუნებული იყო, რომ „საია არ სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ შოთას ეკუთვნისო და შეტანილიც აქვს თავის „შოთა რუსთველში“ (იხ. გვ. 177), ანდა „წასვლა სჯობს წარმავალისა არ დაყოვნება ხანისა“ მას კვალად რუსთველის ნასიბრძნად მიაჩნდა (იქვე 185). და რაღა ჭანაშვილი! ნ. მარს ვერავენ დასწამებს „ვეფხისტყაოსნის“ უცოდინარობას და მასაც უცილობლად აგრე ეგონა!

ამ მხრივ შეიძლება თამარის მაგალითი მოვიყვანოთ. დაცემისა და დაქნების ხანაში ხალხს სჩვევია წარსულის გადიდება და გაზვიადება და სწორედ

ამრიგად „ვეფხისტყაოსანში“ უნდა შევიდეს ინდოხატაელთა ამბავიც. უამნაკვეთოდ ყველა ჩვენგანი გრძნობს რაღაც უხერხულობას და ცდილობს სათანადო კორექტივების შეტანას. მაგრამ უშედეგოდ. უშედეგოა. მაგ. 80.000 ჯარის შემცირება, უშედეგოა, რადგან რამდენადაც არ უნდა შეამცირო, მინდორში მაინც ვერ დატოვებ, თუნდაც ოსხათასამდე. მეტიც: ოთხსამდე, ოცამდეც რომ შეამციროთ. ამვე დროს ულოგიკოა იქნება დაბოლოების „ტარიელს ია ცოლსა მისსა მოხვდა მათი საწადელი“-ს დატოვება. ულოგიკოაა, რადგან ეს ადგილი ხომ ინდოხატაელთა ამბიდანაა და თუ ნაწილს ვტოვებთ. რა უფლებით უნდა უგულვებლყოთ მთელი? არა გვაქვს ამის უფლება. მაშ, უნდა შევიტანოთ. როგორ, რა სახით? ცხადია, არა ისე როგორც კ. ჭიკინაძეს აქვს შეტანილი. ყველაფერი, რაც მთელი ნ.წარმოების ძირითად, უდავო ტექსტს ეწინააღმდეგება, ე. ი. რაც რესტავრაციის ეპოქის ძალაუფლებით არ არის, უნდა ჩამოშორდეს (დაწერილებით ცალკე წერილში: „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოებისათვის.

ამან შეუწყო ხელი თამარის პარიკნებუს წარდასკ. საქართველოში არ მოიპოვე-
ბა თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად შესანიშნავი ნივთიერი ძეგლი, რომ
თამარისად არ იყოს აღიარებული. თუმცა თითოეული ამ ძეგლის თარიღი უსუს-
ტადაა დადგენილი: ზოგი თამარის აღრინდელია, ზოგი, უეჭველად მის ხანას
ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი აშკარა მერმინდელია. ჩვენ როგორ მოვიქცეთ?
გამოვაცხადოთ ეს ნივთიერი ძეგლები თამარისად? მე მ გ ო ნ ი ა არა!

ამგვარადვე უნდა მოიქცეს სიტყვის გამოძიებელიც: ვინ იცის, ვინმე უცუ-
კადამწერს რამდენი რამ შეუტანია შოთას ძირითად ნაწარმოებში, ვერც ერთს
მათგანს ვერ ვიცნობთ. და არც უნდა ვიცნოთ, ამისათვის კი კვლევა-ძიების
მართო ფორმალური მეთოდი არ გამოდგება. სხვა რამაცაა საჭირო და. შეიძ-
ლება. უფრო მეტად, ვინემ ფორმალისში.

და კ. კ. რომ გადამეტებული ფორმალისტაა. ამის ნათელსაყოფად მის
მიერ ჩამატებულ 276 (= 251!) სტროფს მოვიყვან: ავთანდილი ტარიელის გა-
მოქებადღეშია. ეხვეწება ასმათს — უცხო ყმის (ტარიელის) ამბავი მითხარიო.
თავდაპირველად ვერ დაიყოლია. ვერაფერი ვერ ათქმევინა. ერთხანად, გაბრა-
ზებულმა, თმითაც კი წამოზიდნა. მაგრამ მაინც ვერას გახდა და სხვა საშუა-
ლებას მიმართა, უთხრა: დაო, მე მიჯნური ვარ და მიჯნური მტერთაც კი შეებ-
რალებისო.

ვარ მიჯნური. ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად,
ჩემსან მზეჴან გამოგზავნა საქებადად იმა ყმისად.

ღრუბელიცა ვერ მიხვდების, მე მისრულე რ სად ამსად:

და გული თქვენი მიმოიხინა. მისი — შენდა, შენი — მისად.

შემდეგ სრულიად ბუნებრივი გაგრძელება:

მისი (ე. ი. ტარიელის) სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოგზარე.

მისთვის ხელმან, გამოჴრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე:

ორისაგან ერთი მიყავ: ტყე მქმენ, ანუ მანატე.

და ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, კირი კირსა მომიმატე.

ყველაფერი რიგზეა, აზრი აზრს მისდევს და მთავარი ხაზიც არაა გამრუ-
დებული. რომელია ეს მთავარი ხაზი? მე მიჯნური ვარ და უცხო ყმისათ-
ვის გახელებული, გამოვჴრილვარო.

კ. კ.-ს მაინც სურს შუაში სტროფი ჩაურთოს.

ჩემსა თავსა მიჯნურობა მართალია, არ ნაჴორად;

ჩემი ვერა ვერ მოკოდე, მეუბნები მრუდსა სწორად.

(ასმათს კი ჴერჴერობით არაფერი არ უთქვამს. ვ. ბ.)

ვინცა აქა გამოგზავნა, არვინა მჩანს მისად სწორად,

და მისგან კიდე სხვა მნათობი შევაწონე ერთსა ორად.

ორი უკანასკნელი სტრიქონი თინათონის ქებას შეიცავს და სრულიად ზედ-
წეტად უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაში აზრთა განვითარებისათვის. ამას კ. კ.-
ც გრძნობს და ამიტომაც მისი საბუთი მოკლეა: ეს ტაეპი სრულიად უნაკლულოა,
სავსებით რუსთველურია და ამიტომ ტექსტში მისი შეტანის აუცილებლობას
განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება (33).

ასე გამოდის: რაკი უნაკლულოა. რუსთველურია, ტექსტშიაც ამიტომ შე-
ვიტანეო. ჩვენ კი ვფიქრობთ: რაც უნდა უნაკლულო იყოს ლექსი, რაც უნდა
რუსთველური იყოს იგი, თუ რუსთველის არაა (რუსთველურა სხვაა და
რუსთველის სხვა!). ტექსტში მაინც არ შეიძლება მისი შეტანა. თუ აზრის თა-

1 საიუბილეო გამოცემა. რედ.

ნამიძღვევრობა მას არ მოითხოვს. მაგრამ კ. ჯ. ფორმას მარცხ გადამწყვეტ როლს ატყუებებს და, როდესაც მკორე ადგილას ახალ სტრატეგია შეაქვს:

მ.ს დღესა ლომი ტარიელ შეებოთა აიესებოდა:
ხელთა ხელთა მიხილვენ, ერთმ წერსთ ეუბნებოდა.
მათთა შეჩხელთა მათთა ლაღიცა უმსკეოდებოდა.
ღ. ზ. ეს თუ. მ. შირიკი შექსა ჰვენს. მზე მათთვის გაიხსებოდა.
(235)

პარდაპირ ლაპარაკობს:

„ეს ტყეში არ არის საჭირო ამის განვითარებასთან. პირქვეთ. სათქმის მცირეოდნად კიდევაც აფერხებს მას. მაგრამ ბევრი რამ არის (მივ) კარგი და მისი უარყოფა გაუმართლებელი იქნებოდაო (X X X:11).

ჯერ ერთი: შიგ არაფერი არაა კარგი (ფორმის მხრივ, მინაარსით რომ უადგილოა, ამას უიღინაძეც არ უარყოფს), მაგრამ ვთქვათ, რომ კარგია. მე რე, განა ყველაფერი რაც კარგია, უნდა შევიდეს „ეფეხისტყაოსანში“? მაშინ რა განსხვავება იქნება ჩვენსა და უკრიტიკოდ განწყობილ პირთა შორის, რომელთაც, როგორც აღვნიშნე, დღესაც უცილობლად სჯერათ, რი მ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“ უთუოდ შოთას ეკუთვნის მხოლოდ იმიტომ, რომ ძარტლაც კარგადაა ნათქვამი?

ასეთია ფორმალიზმი, მაგრამ ჩვენის მხრივ უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ კ. ჯ. სტროფების შეტანისას მხოლოდ და მხოლოდ ფორმალიზმს ემყარება-თქო. არა! ხანდახან ნაწარმოების შინაარსსაც აქვეყნებს ხოლმე ივრ ყურადღებას. ვნახოთ, როგორაა აქ საქმე?

როგორც ვთქვით, ავთანდილმა მიაგნო ტარიელის სადგომს და, როდესაც მეორე დღეს ტარიელი ისევ წავიდა, იგი, ავთანდილი, ჩამოვიდა ხიდან და მიაშურა გამოქვაბულის ღია კარებს. შიგინდან ასმათი გამოიქრა, ტარიელი ეგონა:

მუნთ ქალი გამოიქრა, გულ-მდულარე, ცრემლდასხმული;
ეგონა თუ. დაბრუნდაო პირი-ვარდი, ბროლ-ბაკმული. (253=230)

ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა;
ფიცვლა გაიქცა, მიმართა ზახილით კლდესა და ხესა.
ყმა გ. რდაიქრა. დააბა. ეითა კაცაბო მახესა:
და ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ სახესა.

მას ყმასა თავი არ მისცა, ჰვრეტადლა ებილწებოდა,
ეითა კაცაბი არწივსა ქვეში მიდამო ძრწებოდა,
ტარიელს ვისმე უძახდა მწედ, თუცა არ ემწებოდა,
და ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხეწებოდა.

[ქალი კიოდა ტირილით, — ხმასა მისცემდა მთა ეითა!
უზახის: „ლომო, ტარიელ!“ არ იყო ანად ზავითა;
ავთანდილ ეტყვის: „ნუ შიშობ, ნუ ხარ ცნობითა ავითა,
და ღარიბი უადგილოსა მოვალ მართ ოდენ თავითა“].

ეტყოდა: სულე, რამე გიყავ, კაცი ვარ, ადამიანი,
უფერო-ქმნილი მინახვან ვარდნი და ისი იანი;
მისი რამ მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი,
და სხვად არას ვიზამ, ნუ გეშის, ნუ ყივი აგრე ხშიანი“.

(253 = 257).

ფრჩხილებში ჩასმული სტროფი ჭიჭინაძის მიერაა შეტანილი. შოთას ვინც იცნობს, იგი ერთი თვალის გადავლებითაც უყოყმანოდ იტყვის, რომ ეს სტროფი ყალბია. მართლაც: სადავო სტროფის მესამე სტრიქონი ასე იწყება: „ავთანდილ ეტყვის“... ყოვლად უეჭვლელია მისი უშუალოდ მომდევნო სტროფი, რომელიც კვალად ავთანდილის ლაპარაკს შეიცავს, იწყებოდეს: „ეტყოდა“-თი. ასე იქნებოდა: კვლა ეტყვის. ეს ყველა ასეთის ცხადია. ამას გარდა, 255 სტროფი ასე თავდება: „ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითთა ეხვეწებოდა“. აქ სრულიად ბუნებრივია, აწრის განვითარებისათვის, კითხვა: რას ეხვეწებოდა? და სწორედ ამას უპასუხებს სავსებით უცარვეზოდ შემდგომი 257 უეჭველი სტროფი: ეტყოდა: სულე, რამე გიყავ, კაცი ვარ, ადამიანი და სხვ.

მაგრამ ვნახოთ მაინც, როგორ ასაბუთებს კ. ჭიჭინაძე ამ სტროფის ორიგინალობას?

„256. ასმათს, მისი აქ აღნიშნული კივილის გამო, რომელსაც განსაკუთრებით აძლიერებს გვირაბოვანი მთის გამონმაურება, ავთანდილი ეუბნება მომდევნო უდავო ტაეპში (257): ნუ ყივი აგრე ხშიანი. მაშასადამე, ეს გარემოება აუცილებლად ხდის ამ ტაეპს ტექსტისათვის (254 ტაეპში ასმათის ახმინებას პოეტი უწოდებს „ზახილსა მუნ ერთ სახესა“). კიდევ უეჭველი ნიშანი: 260 ტაეპში ავთანდილი ეუბნება ასმათს: „დრო გამიგრძელდა, მიმპირდაო“, რაც გაუგებარი უნდა იყოს ასმათისათვის, თუ ტექსტში 256 სტროფი არ გვექნა, სადაც ნათქვამია: „დარიბი უადგილოსა მოვალ მართოდენ თავითა“. (XXXIII).

ჩვეულებრივ კარგი სტილის პატრონის ეს უეჭველად ბუნდოვანი თქმა რომ გავიგოთ, უნდა გადმოვაქართულოთ: 254 სტროფში ასმათის ახმინებას პოეტი უწოდებს „ზახილსა მუნ ერთ სახესა“, ხოლო 257-ში ავთანდილი ეუბნება ასმათს: „ნუ ყივი აგრე ხშიანი“. რა საბუთი აქვს ავთანდილს ასეთი წინადადებით მიმართოს ქალს, როდესაც იგი არ ყივის. არამედ მისი ხმა მარტოდენ „ზახილი მუნ ერთ სახესა“?, მაგრამ. თუ 256 სტროფს ჩავურთავთ, რომელიც ასე იწყება: „ქალი კიოდა ტირილით. ხმასა მისცემდა მთა ვითაო“. მაშინ გასაგები იქნება ავთანდილის თქმა: „ნუ ყივი აგრე ხშიანი“.

ასეთია კ. ჭიჭინაძის საბუთი. გაუგებრობა აქ საქმის არის, რომ ჭიჭინაძემ არ იცის, რას ნიშნავს „ზახილსა მუნ ერთ სახესა“. ზახილი ერთი სახე ეს ვახლავსთ ვაბმული, გამკვივანი, ერთი სახის, ერთი ტონის ხმა, რომელიც, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „ხმას სცემდენ კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ სახესა“, მეტად მაღალი და ხშიანი იქნება (საგულისხმოა: ყალბ ტაეპში კივილის გასაძლიერებლად ჭიჭინაძეს არ ავიწყდება, რომ ასმათის კივილს განსაკუთრებით აძლიერებს გვირაბოვანი მთის გამონმაურებაო—„ხმასა მისცემდა მთა ვითა“, ხოლო ზახილი მუნ ერთი სახე რომ გაანელოს, სავსებით

უგულებელყოფს შემდეგ თქმას: „ხ მ ა ს ს ც ე მ დ ე ს კ ლ დ ე ნ ი ზ ა ხ ი ლ ს ა მ უ ნ ე რ თ ს ა ხ ე ს ა“). არა! ე რ თ ი ს ა ხ ე ზ ა ხ ი ლ ი არაა მ ც ი რ ე ძ ა ხ ი ლ ი, არაა „ ე რ - ც ა ხ ე“, როგორც დასავლეთში იტყვიან, ძახილი; იგი მაღალი, გამკვივანი, ყუ-რის წამლები ხმაა და ამიტომაც სრულიად ბუნებრივია სიტყვების შემდეგ: „ტა-რიელს ვისმე უძახდა მწედ, თუმცა არ ემწებოდა. ავთანდილ მუსლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა“, პირდაპირ გადასვლა: ეტყოდა, სულე, რამც გიყავ, კაცი ვარ ადამიანიო და სხვ.

მაგრამ კ. ჭიჭინაძეს მეორე უტყუარი საბუთი მოყავს, სახელდობრ, 260 სტროფი. სადაც ავთანდილი ეუბნება ასმათს — „დრო გამიგრძელდა, მიმჭირ-დაო“, რაც გაუგებარი უნდა იყოს ასმათისათვის, თუ ტექსტში 256 სტროფი არ გვექნაო.

კი, მაგრამ ვინ დაამტკიცა 260 სტროფის ნამდვილობა? ისიც ხომ სადავია, და სად გავიხილა, სადავოს სასუქლებით მეორე სადავო სტროფის უდაობის დამტკიცება?

სამწუხაროდ, მეტი მაგალითის მოყვანა ტექნიკურად ყოველად შეუძლებელია: თითოეული ყალბი სტროფის სიყალბის გამოსაამჟამაყრებლად, როგორც დავინახეთ, წინა და მომდევნო სტროფების მოყვანაა საჭირო, ხანდახან რამდენიმესი ერთად, და ეს კი მეტად დიდ ადგილსა და დროს მოითხოვს.

გადაჭრით ვამბობ: მომავალი აკადემიური გამოცემის კომისია ყოველ მიზეზს გარეშე არა ერთსა და ორ სტროფს, კ. ჭიჭინაძის მიერ ლეგალიზებულს. კვალად ყალბად მიიჩნეეს და მოთას სხეულიდან მოკვეთს. როგორც მ ა ე ნ ე ხ ო რ ც მ ე ტ ს.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ჭიჭინაძის მიერ შეტანილი სტროფი ყველა გამოვარდება. არა! ზოგიერთი უცილობლად არის საჭირო.

ასეთია, მაგ., სტროფი 232:

ვეფხისა ტყავი ენიშნა, ფიცხლავ გარდახდა ცხენთა;
ღმერთსა ჰმადლობდა ცრემლითა, შინდორთა გასარცხენითა;
ეტყოლა: „თქვენგან გამოველ ყოველთა სიშარცხენითა, —
და კეთილის მქნელად გამიჩნდით, ჩვენ მტერად მიგრაცხენითა“.

სტროფი თავის ადგილასაა და გასწორებაც, რომელსაც იძლევა კ. ჭიჭინაძე, კარგია.

ანდა, სტროფი 415:

შეველ, დავე ტახტსა ზედა, ქალი მოღვა ნოხთა პირსა და სხვ.

ეს სტროფიც კ. ჭ. მიერაა დაბრუნებული ძირითად ტექსტში. საჭიროა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს მოსდევს „რუსთველის სახელით ცნობილი ლექსები“. რა საჭიროა? თუ „ვეფხისტყაოსანთან“ გვაქვს საქმე, მხოლოდ და

მხოლოდ ის უნდა იყოს მოცემული და თუ შოთას სხვა რამეც დაუწერია, ეს ცალკე მსჯელობის საგანს უნდა შეადგენდეს, ეს ერთი; მეორეც, ძნელი დასაჯერებელია რომ ჩვენი შოთას ეკუთვნოდეს ეს იამბიკო ხუთეული, რომელიც პოეტს უოქვამს თამარ მეფის გამარჯვების გამო ხალიფაზე:

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,
ძე საუკუნობს პირველი და კვალადი,
სულმან ღმრთისამან სრულ ჰყო აროდეს ქნადი,
სამებით სრულმან ერთითა ღვთაებითა,
მიწის პირშმოსა პირველისა კაცისა და სხვ.

(გვ. 273)

რა პოეზიაა ეს? რას მატებს იგი „ვეფხისტყაოსანს“? ანდა:

ქალწულებრივთა სისხლთა შერთავან, სძალო,
თბელ საიდუმლოდ ზენისა განგებით და სხვ.

(იქვე)

დ. ჩუბინაშვილის ტრადიციის გაგრძელებაა მხოლოდ და ისიც შეუძომვ-
მებლივ.

IV

დამახინჯებული ადგილების გასწორება

„ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებული ადგილების გასწორება საძნელო და მეტად პასუხსაგები საქმეაო, ამბობს კ. ქიქინაძე. სრული ჭეშმარიტებაა — დავსძენთ ჩვენც და ამიტომაც საჭიროა მეტი სიფრთხილე გასწორების დროს, თორემ ადვილი შესაძლებელია, დამახინჯებული ადგილის გასწორების ნაცვლად უეჭველად სწორი ადგილი დაამახინჯო; კ. ქიქინაძეს სწორედ აგრე ემართება.

პირველ „შესწორებებში“ დავიწყეთ. 173. ყველა გამოცემებში დაბეჭდილია „მხნედრე“ უნდა „მხნედ რე“; „რე“ აქ ნიშნავს სიარულს (რეზული) და წარმოადგენს სიტყვა იარეს უკანასკნელ მარცვალსო (277).

მკითხველისათვის რომ ეს ამონაწერი გასაგები იქნეს, საჭიროა საქმის ვითარება გაიხსენოთ.

თინათინის დავალების თანახმად ავთანდილი შიდის უცხო ყმის საძებნელად და თავის სპათა თავადად სტოვებს შერმადინს: სამ წელიწადს ჩემი მაგიერობა გასწიე და საიდუმლო შემინახე; თუ მოვბრუნდი ხომ კარგი, თუ არა და მკვდრად მივლუე, და:

მაშინ უფრო მომეხმარე, ამისგანცა უფრო მხნედრე,
ნუ თუ ადრე დამივიწყო, მახსენებდე ზედა-ზედრე,
მეტად კარგად დამიურეე, სული ჩემი შეივედრე,
და ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმედრე.

(173 = 159)

რა არის აქ რე სიტყვაში მხნედრე? რე აქ ძველი ქართულია და ნიშნავს სახეს, რიგს, გვარს. მეტად მკაფიოდ მისი მნიშვნელობა შენახულია ისეთ

სიტყვებში, როგორც: ა გ რ ე, ა ს რ ე, ე. ი. ამ სახით. ამრიგად. ამგვარად, მაგ რ ე, ე. ი. მაგ სახით, წაგრივად, მაგნირად და სხე.

მაშ, როგორ იქნება მოყვანილი სტროფის პირველი სტრიქონი?

მაშინ (ე. ი. თუ ვინცობაა, მოკვდი) უფრო მომეხმარე, დღეს რომ მეხმარები, იმაზე უფრო მხნე სახით, უფრო მხნერივად, მე დამივიწყებ, ზედ-ზედრე (საინტერესოა, აქ რატომ არ გამოიყო რე კიკინაძემ) მანსენე. ყარგაუ დამიუბრე. სული ჩემი შეივებრე და სხე.

აბა, რა გამოევა კიკინაძისებურად რომ ეხსნათ? მაშინ უფრო მომეხმარე. ამაზე უფრო მხნე იარე. რა შეაშია აქ იარე, ანდა: სად უნდა იაროს, რატომ უნდა იაროს? რე-ს სიარულთან არავითარი კავშირი არა აქვს, და არც შეიძლება იარესაგან რე მივიღოთ!

მაგრამ მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი იქნეს რე-ს მნიშვნელობა, მოვიყვანოთ მეორე ადგილი: ავთანდილი გამოეთხოვა თინათინს, მიდის დაუღლები შესასრულებლად. ე. ი. ტარიელის მოსანახავად. სულით და გულით კი ისევ თინათინთან არის:

თქვა: „შეგო, ვარდა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე,
ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყეთლესადრე;
მაშინ რაღა ვქნა, ვერ-ვერეტა რა მომხედეს კელა უგძესადრე?
და ხაშს მოქვარისათვის სიკვდილი, ესე მე დამიყ წესადრე“.
(142).

აქ მეორე, შესამე და მეოთხე სტრიქონებში რე მთლიანად და სავსებით იგივეა, რაც მხნე დ რე ში და საკითხავია — აქ რატომ არ არის იგი გამოყოფილი და სიარულთან დაკავშირებული?

ანდა კიდევ:

ასამთ, ის რე დაღრეჯილ, კელავ უფრო რე დაიღრეჯდა. (249)
ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანაზან,
გული უფრო რე დამიქრა ათათასმან დანაზან. (400)
დღენი გამოხდეს, და გული უფრო რე დამწვეს კელავ ალა. (403)
უფრო რე წერილად გაამბობ... (653).

აქ ყველგან რე სახეს, რიგს, გვარს აღნიშნავს და. ვიმეორებ: ს ი ა რ ე-ლი დ რ ე დ ი ა ხ შ ო რ ი შ ო რ ა რ ი ა ნ!

აი, რა იცის ფორმალიზმით გატაცებამ, მეტად რე (აქაც რე იგივეა) მაშინ, როდესაც სინამდვილეში ფილოლოგიას დამხმარე როლსაც არ აკუთვნებ!

არ შეეხებები სხვა გასწორებას: ზოგი სწორია, ზოგიც სავსებით უმართებულო. გადავდივარ სხვაგვარ გასწორებებზე: გასწორება შიგნი (sic) ტექსტში.

როსტევეანი ავთანდილთან და სხვებთან ერთად ნადირობს: ხვალისათვის გადაწყვიტეს სანადიროდ წასვლა. ერთგვარი შეჭიბრება გამოაცხადეს: ეჲ, ვის? ეი! ადგილი ასე თავდება.

მონადირეთა უბრძანა: „შინდორი მოიარებით,
დაცევით ქოჯი მრავალა, თავნი ამსთავის არებით“.

კ. კიკინაძე ამ ადვილს ასეთ შენიშენას უკეთებს:

„პოემის ყველა გამოცემა ამ ტაეპის უკანასკნელ სტრიქონს სტოვებს: ბრძკალეების გარეთ, თითქოს იგი თვითონ ავტორის ნათქვამი იყოს და თვით ავტორი იღებდეს მონაწილეობას როსტევენის ნადირობაში: ცხადია (ხაზი ჩემია. ვ. ბ.), ეს ადგილი ასე უნდა იბეჭდებოდეს: ლაშქარნი სამზოდ აწვიენეს. მოდით და მოიჭარენით, გაყარეთ (და არა გაყარეს) სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“ (გვ. 284).

ამ წაიკითხვით მეოთხე სტრიქონის აზრი შემდეგია: მეფე ბრძანებს, გაყარეთ სმა და ნადიმი, მუნ (იქ, ნადირობას) გავიხარეთო. მაგრამ ვინაიდან ამგვარი ფორმა (გავიხარეთ) სტროფის წამყვან რითმას (არენით) დაარღვევდა, ამიტომაც შოთამ იხმარა ნამყო გავიხარენით და იგი დასახა როგორც მყოფადიო. ასე გამოდის.

ვნახოთ, რამდენად სწორია ეს მოსაზრება. „ვეფხისტყაოსანში“ მართლაც ხშირია, მრავალია შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელია რითმის დარღვევა, თუ ზმნის საჭირო (აზრისათვის საჭირო) დრო უცვლელად დასტოვე. ენის ჩვეულებრივმა, ასე ვთქვათ, „მერიგე“ მფლობელმა ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან ზმნის დრო შეცვალოს და აზრის დამახინჯების ხარჯზე რითმა გამართოს, ანდა: აზრი დაზოგოს და რითმა უხეირო მოგვეცეს.

შოთა აგრე არ იქცევა. ქართული ენის შეუდარებელი ოსტატი ორსავე მომენტს თანაბრად ფლობს; გამართულ რითმასთან ერთად აზრსაც სრულყოფილს გვაძლევს და ამ მიზნით იგი ისევ და ისევ ქართულის, ამ შემთხვევაში.. ყველი ქართულის, იშვიათ ბუნებასა და თვისებას მიმართავს.

რომელია ეგ თვისება და ბუნება? მრავალია. მაგრამ ამ შემთხვევისათვის მხოლოდ ერთი გვეკირდება, სახელდობრ: მცა-ნაწილაკი. მცა-ნაწილაკისათვის მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველი ლიტერატურა არსებობს, ეკუთვნის იგი პროფ. აკაკი შანიძეს.

როგორია ამ ნაწილაკის ბუნება?

„ძველს ქართულში „მცა“ ნაწილაკის ხმარებას ის თავისებურება ახლავს, რომ იგი კავშირებით კილოს ვერ ეგუება. ყოველთვის, როცა კავშირებითი კილოს ფორმაა წინადადებაში მოსალოდნელი, იგი აუცილებლად თხრობითად უნდა გადაკეთდეს, თუ კი სადმე მცა ნაწილაკი გაერია. ფრაზა „არა აქვს რაჲ ჰამონ“, ე. ი. არაფერი აქვთ, რამე ჰამონ, მცა ნაწილაკის გარევისას ასე გადაკეთდება: არა აქვს რაჲმცა ჰამონ. წინადადება „რაჲთამცა იგი ხოლო შესუა“, შეიძლება ასე გადავაკეთოთ აზრის შეუცვლელად: რაჲთა იგი ხოლო შესუას. მცა-ნაწილაკს თავისი სინტაქსური ძალა კარგა ხანს გადმოჰყვა. „ვეფხისტყაოსანში“, მაგალითად, იგი ყოველთვის ძველებური სინტაქსური ძალის მქონეა -- მოსალოდნელ კავშირებითს ფორმას თხრობითად აქცევს ხოლმე (იხ. პროფ. აკ. შანიძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, გვ. 033).

ასეთია მცა-ნაწილაკის თვისება. იგი მომარჯვებულია ძველი ქართულის როგორც პროზაში, ისე პოეზიაშიაც.

განსაკუთრებით სარგებლობს მით შოთა.

ყოველთვის, როდესაც მას სჭირდება მომავალი საქმიანობა-მოქმედება აწეროს. მაგრამ ზმნის ჩვეულებრივი ფორმა მყოფადისა რითმას არღვევს, ის მიჰმართავს მ ც ა-ნაწილას და თავის მიზანს ბრწყინვალედ აღწევს.

მასასადამე, აქაც, ამ ხელოვნურად შექმნილ სადაო წაკითხვის სტროფშიაც, შოთ.ს რომ მომავალი მოქმედება. ე. ი. ნადირობისას მოსალოდნელი სიამოვნება და მზიარულება ჰქონოდა მხედველობაში, იგი მეოთხე სტრიქონს უცილობლად ასე გამართავდა:

„გ ა ყ ა რ ე თ ს მ ა დ ა ნ ა დ ი მ ი . მ უ ნ ა მ ც ა გ ა ე ი ხ ა რ ე ნ ი თ“ . მხოლოდ ასე, მაგრამ პოეტს სხვა რამ აქვს მხედველობაში: ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა მომავალ ნადირობაზე, არამედ პოეტი წარსულ, უკვე გათავებულ ნადირობის ამბავს გადმოგვცემს. ამიტომ ძველი, უძველესად სამართლიანი და ერთადერთი აზრიანი წაკითხვა გ ა ყ ა რ ე ს მ ა დ ა ნ ა დ ი მ ი , მ უ ნ ა ნ ო ლ გ ა ე ი ხ ა რ ე ნ ი თ ყოველ მიზეზს გაოლქმე უნდა დარჩეს!

✓

ა ზ ო რ ი ზ მ ე ბ ი

მათი ამოკრეფა უძველესად საჭიროა, მაგრამ აქაც სიფრთხილე გვმართება. ყველაფერი არ გამოდგება. თუ რომელიმე მათგანი მცდარი აზრის განმტკიცებას უწყობს ხელს, მისი ხაზგასმა უადგილოა.

მაგალითისათვის ავიღოთ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. ალბათ, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ აქ ქალთა თანასწორობაზეა საზოგადოდ ლაპარაკი, არ იქნება მთლად სწორი. საქმე შემდეგშია. როსტევეან მეფე დამწუხრებულთა: ვაჟი შემკვიდრე არ ჰყავს, მხოლოდ ერთი ქალი უწის. ვეზირები ანუგეშებენ.

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია.

არ გათნვეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია;

და ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.

(39 = 41)

ე. ი. ქალი გყავს, მაგრამ ხელმწიფედ წინდაწინვეა დაბადებული (ლაპარაკია სამეფო უფლების ღმრთისმიერობაზე). პირში არ გეფერებით, იცის მეფობა, ეს უთქვენოდაც გვითქვამს, საზოგადოდ, მისი საქმეები მისი შეუჭივით განათებულია. რატომ? იმიტომ, რომ იგი შენი, ლომის, ე. ი. მეფის შვილია და შენი შვილი, ქალი იქნება, თუ ვაჟი — სულ ერთია. მაშასადამე, ამ მეოთხე სტრიქონში. თუ ვინმეა შექებული, ისევე მეფე და არც შეიძლებოდა მაშინ. მე-12 საუკუნეში, ამგვარი საკითხების წამოყენება! ერთი მართალია. ცალკე

¹ უფრო დაწვრილებით მ ც ა-ნაწილას ხმარებისათვის „ვეფხისტყაოსანში“ საერთოდ და კერძოდ ამ ადგილის შესახებ იხ. ვუკ. ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება. საბჭოთა ხელოვნება, 1936. 1—2.

აღებული ზემომოყვანილი თქმა უეჭველად ისეთ მთაბეჭდილებას ტოვებს, თა-
 კოს აქ ქალთა ემანსიპაციასზე იყოს საუბარი. მაგრამ თუ ამას აგრე ვიწამებთ.
 ქაშინ მეორე თქმამ: „მიეც გლახაკთა საქურქლე. ათვისუფლე მონები“ — რა
 დააშავა? რითაა იგი წუნსადები? გაათავისუფლე მონები და ღურიგე ქო-
 ნება. დღესაც შეიძლება იგი საბრბოლო ლოზუნგად გამოცხადდეს ეროვნუ-
 ლად დასაგრულ რომელიმე კოლონიალურ ქვეყნისათვის. როგორიცაა: ლიბე-
 რია. აბაშეთი, მაროკო, ტრიპოლი, სადაც ერთა ლიგის ცნობით 1928 წლიდან
 დღემდე 5 მილიონი მონა გაუყიდი.თ; მაგრამ კონტექსტში აღებუ-
 ლი. განსაზღვრულ ეპოქაში. განსაზღვრულ სოციალურ
 გარემოცვაში. იგი. ეს თქმა. სულ სხვა აზრის მატარებე-
 ლი იყო. სახელდობრ: რელიგიით განმტკიცებული ჩვეულება არა მარ-
 ტო ჩვენში. სხვაგანაც, მაგალითად, რომშიაც გაერცელებული: თუ უშვილოდ
 გარდაეგებოდი, შენი ყმები უნდა განთავისუფლებულიყვნენ და თუ რასმე მის-
 ცემდი. ცხონებასაც შემოგიტოვლიდენ... ამიტომ. ვიმეორებ. სენტენციების ამო-
 ლებისას, მეტი სიფრთხილეა საჭირო.

მეტი და რიბი

„ეფენისტყაოსანი“ 16-მარცვლოვანი შაირითაა დაწერილი. შაირი ორ-
 გვარია: მაღალი და დაბალი. პირველ შემთხვევაში სტრიქონი ოთხ თანასწორ-
 მარცვლოვან მუხლად იყოფა, ე. ი. თითოეულ მუხლში ოთხი მარცვალია, ხო-
 ლო მეორეში — ოთხ არათანასწორმარცვლოვან მუხლად. მაღალი შაირის რით-
 მისათვის საკმაო და აუცილებელია ორი მარცვალი, ხოლო დაბალისა-
 ლის — სამი მარცვალი.

აუცილებელი პირობაა: თუ სტროფი, ვთქვათ, მაღალი შაირით იწყება,
 ხოლომდე უნდა გასტანოს, არევა ყოვლად შეუძლებელია, მით უმეტეს დაუშ-
 ვებელია ერთი და იმავე სტრიქონის დარღვევა და მაღალ-დაბალი შაირით
 გაპართვა.

თვით ლექსთა კლასიკური წყობა სილაბურ-ტონურია. ე. ი. დამოკიდებუ-
 ლია როგორც მარცვალთა რაოდენობაზე. ისე ტონზე, მაგრამ ლექსს არც ტონი
 ქმნის და არც მარცვალთა რაოდენობა. არამედ უპირატესად სიტყვების
 სიმეტრიული თანამიმდევრობა. აქედან კვლად აუცილებელი პირობაა, რომ
 მახვილი დარჩეს თავის ბუნებრივ ადგილას. გამონაკლისი
 შეიძლება მხოლოდ ერთმარცვლოვან ენკლიტიკის მიმართ, რომელიც შეიძლება
 შეუერთდეს მეზობელ სიტყვას და შეაესოს მუხლის მარცვალთა რაოდენობა.
 ანდა მაღალი შაირის დროს, როდესაც სტრიქონში ოთხმარცვლოვან სიტყვათა
 თანამიმდევრობაა. ისე კი სიტყვების განკვეთა და ან წინამორბედ ან მომდევნო
 სიტყვაზე მიერთება შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ლექსი გა-
 პირვებისაა, იგი არაა კლასიკური.

კ. ჰიჭინაძეს „ვეფხისტყაოსნის“ სტერი და რიტმი სწორად ექსპონირებული, მაგრამ ძირითად დებულებაში იმდენი კორექტივი შიდაქს. იქნება იმდენ კომბინაციითა და ვარიანტით არა უღიბს. რომ გადაწერა პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გადახრის გამართლებაც ადვილად ხერხდება. ახევაჯვარად რომა ვთქვათ, რიტმის მხრივ აწკარად დანგრეული სტრიქონიც კლასიკურადაა მიჩნეული. მაშასადამე. ყოველგვარი უცვლელად რჩება.

სწორედ ამ ლიბერალობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მეცამეტე ლექსი კარგი არს სანადიმოდ. სამღერელად“ კ. ჰიჭინაძეს შეესწრო ალიგ მოაქვს.

საქმე ის არის, რომ აქ რიტმი დაზღვეულაა: პირველი ნახევარი (მესამე ლექსი კარგი არს) დაბალი შაირითაა მოცემული, ხოლო მეორე ნახევარი (სანადიმოდ, სამღერელად)—მაღალით. ამავე დროს მთელი ხანა მაღალი შაირითაა გამართული; რითმაც ორმარცვლოვანი აქვს. ამიტომ ამ სტრიქონში რომ სიტყვები ასე დაიწყოს, „მესამე არს ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად“. აზრი ოდნეადაც არ დამახინჯდება და რიტმის მხრივაც მთლიანად და სავსებით გამართული იქნება. ამ გარემოებას ყურადღება ჯერ კიდევ აკადემიკოსმა მარმა მიაქცია და სათანადოდაც შეასწორა (არს მესამე ლექსი კარგი სანადიმოდ. სამღერელად), მაგრამ ჰიჭინაძემ ხომ მარის ავტორიტეტი აღკვეთა.

ანდა: უბრალოა: „ნუ სტორ, ასულო, ისმინე ჩემი თბრობილი,
 დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმაზილი,
 აქათგან ესე სამეფო მართ შენია მონდობილი;
 და ხარმეა ბრძანდ მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!“
 (48 = 50)

სიტყვის დიდი ოსტატობა არაა საჭირო. ჩვეულებრივი მკითხველიც მიხვდება, რომ აქ მესამე სტრიქონში ვერაა საქმე რიგზე. მაგრამ საკმაოა სიტყვები ასე გარიგდეს: „აქათგან ესე სამეფო შენია მართ მონდობილი“, რომ ყველაფერი გასწორდეს. სიტყვების ამგვარ გარიგებას მოითხოვს მთელი სტროფი. იგი დაბალი შაირითაა დაწერილი და რითმაც სათანადო აქვს: სამმარცვლოვანი. კიდევ მაგალითი (რიტმის დარღვევისა):

ყმა მტირალი სამოცდაათ დღე ზღვის პირსა მევა გზასა. (1023)

აქ მთელი სტროფი მაღალია, მაშასადამე, სტრიქონიც ოთხ თანასწორ ჰუხლად უნდა გაიყოს, თითოეულ მუხლში ოთხი მარცვალი უნდა იქნეს და ამასთანავე პირობაც იყოს დაცული: სიტყვები არ უნდა განიკვეთოს და მეზობელ მუხლში არ გადავიდეს.

ვნახოთ: ყმა მტირალი	=	1 + 3	=	4
სამოცდაათ	=			4
დღე ზღვის პირსა	=			4
მევა გზასა	=			4

თითქოს ყველაფერი რიგზეა. თითოეულ მუხლში ოთხ-ოთხი მარცვალია. მაგრამ ერთი პირობა მაინც დაირღვა: მახვილი არაა თავის ბუნება-

რივად გილას. უნდა გასწორდეს: „ყმა მტირალი | სამოცათდღე
| ზღვისა პირსა | მივა გზასა“. მხოლოდ ასე!

შემდეგ:

უბრძანა: „ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა?“

მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულანზანზარისა“. (1037)

არ ვარგა. უნდა იყოს:

მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულანზარისა“.

ვითომ რატომ არ უნდა შევასწოროთ? იმიტომ, რომ ხელნაწერებშია
მულანზანზარისა? ხომ შეიძლება. ყველა ხელნაწერი იმეორებდეს ერთი, უფრო
ქველი ხელნაწერის შეცდომას? მით უმეტეს, რომ ნამდვილად მულანზან-
ზარი სიტყვა არ არსებობს, არამედ მხოლოდ მულანზარი مرزبان — მურ-
ზარ და სწორედ ასეა იგი ნახმარი ჩახრუხადის „თამარიანში“:

ღაწვი მწყაზარი, ა მულანზარი,

ანდა მანათო ვლითა: მანათოელითა ღაწვმულანზარობს იგ ვამდებარე.

ამგვარადვეა იგი „შაჰნამეშიაც“.

მსგავსი სამოთხის ყუაგილთა, მულანზარისა მეფენანი; (177)

ესენი ვარდის საკრეფად მულანზარს იარებიან. (1310)

მას უკანით მულანზარში მოსულიყენეს მისნი ქალნი. (1379)

მთა სუჰბულითა ყაყაჩობს და ველნი მულანზარისა. (2116)

ისევე მაგალითი (208). ა ვ თ ა ნ დ ი ლ მ ა

თავსა უთხრა: „მოჰყვე, გიჯობს სიცოცხლეს აუგვანსა;

მიხვალ, დაგხედების თინათინ, — ანათებს ღღესა მზიანსა და სხვ.

აქ მთელი ხანა დაბალი შაირითაა გაწყობილი.

ამავე დროს პირველი სტრიქონი გატეხილია: პირველი ნახევარი (თავსა-
უთხრა, მოჰყვე გიჯობს) მაღალია, მეორე — დაბალი.

როგორ მოვიქცეთ?

აუცილებლად ასე:

თავს უთხრა: „მოჰყვე გიჯობსო სიცოცხლეს აუგვანსა“.

აქ შეიძლება კამათი დაიწყონ „გიჯობსო“ ფორმის შესახებ.
უსაფუძვლო იქნება. შოთას ამგვარი ხშირად აქვს, -- მაგ.:

ვარო მმა ტარეილისა, შეყრად ფრიდონის მქისისაღ. და სხვ.

უკანასკნელი მაგალითი: (1609 = 1536)

მეფემ ქალსა უსალამა. მან შორით გარდახდომილმან:

დაუყვანა თვალნი ელვამან, მისთა ღაწვთაგან კრთომილმან. და სხვ.

დაბალი შაირია, მაგრამ პირველი სტრიქონის პირველი ნახევარი მაღალია.
უნდა შესწორდეს.

მეფემან ქალს უსალამა, მან შორით გარდახდომილმან.

VII

8 ა ჯ ა 8 მ ბ ი

მაჯამების რაობა ჰიქინაძეს სწორად აქვს გაგებული. შესწორებულიც
კარგად. მაგრამ არა ყველგან. ერთს დავესახელებ.

რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბრილ-ლაღსა თანა ახიოს,
ანუ ბაის ალვა საროსა ახლოს რგოი, მორწყოს, ახიოს;
მისსა მკერტელსა ალხინის, ვერ-მკერტეთა ავაგლახიოს, —
და ეთი, მოყვრისა გაყრილსა, ახიოს, ეყოს, ახიოს!

(711 = 758)

აქ მეოთხე სტრიქონი რომ ასე დაეტოვოთ, გაუგებარი იქნება. აგრე უნდა
შესწორდეს:

ვაი, მოყვრისა გაყრილსა. ახი ოს ეყოს, ახი ოს.

ე. ი. ვაი გაყრილ შეყვარებულს. როდესაც (ოს) ის დაიწყებს ახსნას სხვათა
შორის, ო ს — ო დ ე ს-ის მნიშვნელობით შოთას სხვა ადგილასაც აქვს:

ყმაძან უთხრა: „ღარ წასვლა არ ეგების ჩემგან არის.
იაღონი მაშინ მოკედეს, ოდეს ვარდმან იღამუნაროს.

(820)

აქ პირველი „აროს“ არის ა რ ა ს ო დ ე ს. მაშასადამე. შოთასთვის იგი უც-
ნობი არაა.

VIII

გამოცემას დართული აქვს რითმების ინდექსი და სიმფონია, ანუ უკეთ
რომა ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა (სიმფონია სხვაგვარია).

დიდი შრომაა გაწეული და „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართათვის ორსავეს
უცილობელი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი სიმფონიას: „ვეფხისტყაოს-
ნის“ მომავალ ძიებისათვის იგი ფასდაუღებელი ღირებულებისაა.

IX

შევეხოთ ლექსიკონს. კ. ჰიქინაძეს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი (გაუგე-
ბარ სიტყვათა ახსნა) წინა გამოცემლებთან შედარებით შეუმჯობესებია, რასაც
იმით ასაბუთებს, რომ მთელი რიგი სიტყვები საშუალო მკითხველისათვისაც

გასაგებია და რა საქმეა მათი ცალკე განმარტებაო. ეს დებულება მართალი იქნებოდა, რომ ჰიჭინაძეს ამის მიხედვით იმისთანა სიტყვებიც არ გამოეტოვებინა, რომელთა გაგება არამც თუ საშუალო მკითხველს. „ნაფიც მოქართულესაც“ გაუქირდება.

ასეთია: ათქს, ასები, აღვსება (არა დღევანდელი მნიშვნელობით: დღე გვანდა არს აღვსებისა), ბარბოთი, ბედქმნილი, ბრქე, გაბასრება, გაგვა, გააზეა-რა, გაის, გამქისებელი, გაითავისწინა, გასაგანება, გასამსალება, გასახაფავი, გაშეთება, გება, გვალე, გითქს, გორლი, გუპარი, დავალი, დალებება, დანასვა, დარმანი, დაწინდვა, დაწუსება, დესი (და-სიტყვიდან), დიჭლა, ესროს, ვავა-ქილენით, ზადი, ზარადი, ზარადებელი, ზარქაში, ზემხედველი, ზენაარი, ზმა, თავადი (არა დღევანდელი მნიშვნელობით), თავისწინა, კანჯარი, კატარლა, კენარი, ლიციცი, ლტობა, მეკრეფე, მოლალდება, მრწემი, მუნ, მღერა (არა დღევანდელი მნიშვნელობით), მხადი, ნააზატები, ნატიფი, ეამისად, უთქს, უსტარი, უში, ქვეყანა (არა დღევანდელი მნიშვნელობით). შეის, წვეკგამო, წავე, წა, მკ და სხვ. მრავალი.

აქ მოყვანილ სიტყვათაგან ავიღოთ თუნდა თავისწინა. გაიგებს მას საშუალო მკითხველი? ვერა. არამცთუ საშუალო, იგი ჰიჭინაძესაც არ ესმის. თავისწინა ერთი სიტყვაა და ნიშნავს მარტოქას, მარტოხელს.

არს პირველი მიჯნურობა არდაჩენა ქირთა, მალვა;
თავისწინა იგონებდეს, ნადაგმცა ჰქონდეს ხალვა. (29)

ე. ი. განმარტობული იგონებდეს თავის სატრფოსო. ენდა:

ხელგახსნილი. სევდიანი, სწოლს ვიყავ თავისწინა, (405)

უამბობს ტარიელი ავთანდილს. ხელგახსნილი, ე. ი. სისხლსგაღებული (არც ეს სიტყვაა ახსნილი) და სევდიანი სწოლს მარტოკა ვიყავიო და სხვ.

ერთიცი: (ავთანდილმა)

ბრძანა: „წადით ყველაკი. აქა მომხრედ არვინ მინა“.

მონებთა მოიშორვა, თავი გაითავისწინა,

მარტო გარე შემობრუნდა, შამბი შიგან გაირბინა და სხვ.

(186)

კი, მაგრამ საიდან გამოვიტანეთ, რომ ეს სიტყვა ჰიჭინაძეს არ ესმის? ლექსიკონში ხომ არ აქვს? შეიძლება ესმის! არა, არ ესმის! აი საიდან: სიმფონიაში მას იგი ორ დამოუკიდებელ სიტყვად აქვს შეტანილი, სწორედ ისე, მაგ. სიტყვა თავის უფალი რომ ორად გაკვეთო და, თანზე შეიტანო თავის, ხოლო უნზე — უფალი. განა ეს სიტყვა „თავის უფალი“ იქნება. ანდა შეიძლება ითქვას, რომ მის გამკვეთელს ესმის სიტყვა თავისუფალი? არა, არ ესმის!

მეორე სიტყვა ავიღოთ: მღერა. არც ესაა ახსნილი და ძველად იგი ხომ ყოველთვის დღევანდელ სიმღერას არ აღნიშნავდა. მაგალითად, „მეფესა ესე ამბავი უჩნს ვითა მღერა ნარდისა“ (85). რა არის აქ მღერა? ცხადია, არა სიმღერა, არამედ მხოლოდ თამაში.

ანდა: ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობთ მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა,
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს: ვაჟთა, ყმ, წვილობასა.
(27)

მღერა აქაც იგრევე თამაშია.

კიდევ:

მე იგი ვარ: ვინ სოფელსა არ ამოვკრეფე კიბრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის, თამაშად და მიჩანს მღერად.
(841)

უკანასკნელიც:

ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წიწწილისა, ებნისა,
მოუღანს მღერა. ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა.
(1185)

ყველაზე მარტივი სიტყვა მოვიხმოთ: ქვეყანა. ნუთუ შეიძლება მისი
აუხსნელობა? არასგზით! საქმე ის არის, რომ ძველად და „ვეფხისტყაოსან-
შიაც“ იგი მხოლოდ მსოფლიოს არ აღნიშნავს, არამედ მიწას და როდესაც
გვითხულობთ, რომ ტარიელის მაძებარ აეთანდილს

უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად.

ეს მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: აეთანდილი რომ დაიღლებოდა (ტარიელის
ძებნისას), ცარიელ მიწაზე წვეებოდა, ხოლო სასთუმლად ჰქონდა მკლავი, და არა-
ისე, როგორც უეჭველად საშუალოზე მაღლა მდგომმა მკითხველმა, ჩემ შეკით-
ხვაზე, მიპასუხა: აეთანდილი დიდი ბუნების კაცი იყო და მისთვის მთელი ქვე-
ყანა ტახტი იყო.

მოდ, ერთიც: დია ღმერთო.

ველაცა ეთქვა: „მართალია, ეზომ ჩემი მონახსენი,
„მე თვით წინა მოგეგებვი, მესწრაფების ნახვა შენი“.

(უთვლეს რამაზ მეფე ტარიელს)

მოვახსენე: „ღოა ღმერთო, ბრძანება ექმნა მეცა თქვენი.
ტახტულად ვნახნეთ ერთმანერთი, ვიყვენთ ვითა მამა-ძენი“.
(471)

(უპასუხა ტარიელმა რამაზს).

რა არის დია-ღმერთო? დადასტურება. რომლისაგან შემდგომ წარმოიშ-
ვა: დია-ღ. ხოლო უკანასკნელ: დიახ.

მოკლედ: გაუგებარ სიტყვათა ახსნა მეტად ძუნწადაა.
წარმოდგენილი და, რაც უფრო სამწუხაროა, ახსნაც ბევ-
რგან არაა სწორი.

განვიხილოთ ზოგიერთი.

1. გაბაონი — მთიანი ადგილი პალესტინაშიო. არა სწორი. მთიანი ადგი-
ლი კი არაა (იქ მთიანი ადგილი სხვაც ბევრია), ერთ-ერთი მთის საკუთარი სა-
ხელია.

2. განაღამცა ---- დიალაც. ოლონდაც. არ კმარა. ზოგან ბარელამსაც ნიშნავს.

მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
და ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა, მე.

(141)

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ეს „წავე წა, მე“ ავხსნათ. ჭიჭინაძეს იგი ერთად აქვს დაწერილი, რაიც მთელ სტროფს უაზროდ ქმნის. უნდა: ვითა მონა სამსახურად განაღამცა წავე წა, მე, ე. ი. ბარემ წავალო.

3. გაწამება. (იქვე) სარწმუნოდ გახდენაო. არა, დამოწმებაა. გახარებული ავთანდილი ეუბნება თინათინს, როდესაც უქანასკნელმა შეჭვიცია: შენ გარდა ქმრად არავინ მინდაო. „მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე“, ე. ი. შენ სიცოცხლე დამიმოწმეო, სხვაგვარად: დამიმტკიცეო. ცხადია, როდესაც რასმე დაამოწმებ, იგი სარწმუნოდ გასდება, მაგრამ გაწამება მაინც დამოწმებაა.

4. დაღება. — სულის დაღება, სულის მობრუნება, სულის მოთქმაო. არასგზით! სულის გაღება სმის გაკმენდაა, დაღუპება:

სული დაიდეს, დაღუმდეს ორთავე ცეცხლი სდებოდა. (981)

ფრიდონ თქენა ესე სიტყვანი მოთქმითა შეენიერთა;

სულნი დაიდეს, დაღუმდეს, მივლენ არ თურე მღვრითა. (1071)

დაღუმი, სული დაღე, ჩემგან ამისმან მსმენელთან. (1703)

სული დაიღო მან ქალმან, დასთმო გულისა წყულულობა. (247)

აქ სულის დაღება და დაღუპება სინონიმებია.

ანდა: როდესაც ტარიელი და ავთანდილი შეხვდენ ერთმანეთს პირველად:

ერთგან დასხდეს და იტირეს ღიღხანს ცრემლითა ცხელითა;

ასმთი სულსა უღებდა სიტყვითა საკვირველითა:

და „თავთა ნუ დახოცო, ნუ ბნელ იქმთ, მზესა თქვენისა ბნელითა“.

(312),

ე. ი. აჩუქებდა. თავს ნუ მოიკლავთო და არა: სულს ათქმე-
ვინებდა. აჭედანაა სულდაღებულის, ე. ი. ხმაგაკმენდილის, გაჩუქებული. ტარიელიც უამბობს ავთანდილს: მამა მომიკვდა მეტად შეწუხებული ვიყავი:

მე წილიწადამის ბნელსა ვწექ, საწუთრო-გაცულებული,

დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულდაღებული, (369)

ე. ი. ვერავინ გამაჩუქაო.

შინა დაესხედით ნადამად, მას დღესა მინდორს რებულნი,

მომღერალნი და მუტრიბნი არ იყენეს სულ-დაღებულნი, (410)

ე. ი. მომღერლები განუწყვეტლივ მღეროდნენ, არ გაჩუქებულანო. სხვათა-
შორის, ეს სიტყვა (სულდაღებული) ჭიჭინაძესაც კარგად ესმის და მაშ, რა შუ-
აშია აქ სულის მოთქმა?

მასვე ნიშნავს ს უ ლ ე: ავთანდილისაგან შემწინებული ასმათი ტარიელს უყვივის. დახმარებას სთხოვს. ავთანდილი კი ეტყობა: ს უ ლ ე. რამე გიყავ. კ ა - ცი ვარ, ადამიანი. ე. ი. გაჩუმდი. ნუ ყივი. რა ვქენ ამისთანაო. ეს სიტყვა ან- ლაც კოცხალია. ბავშვის გასაჩუმებლად სოგიერთ კუთხეში სხვა არ იხმარება, მხოლოდ ს უ ლ ე. მიუხედავად ამისა ლექსიკონში მის მაინც უნდა ახსნა.

5. კ ა ვ შ ი რ ი: სხეულის შემადგენელი ელემენტებო. რატომ მარტო სხე- ულის? მთელი მსოფლიოსიც!

6. მ ო ლ ი: ჩვეულებრივ მნიშვნელობით მწვანე ბალახი. რას მისცემს ამ- გვარი ასანა მკითხველს? სრულად არაფერს!

ფატმანმა წიგნი გაუგზავნა დატყვევებულ ნესტან-დარეჯანს ხელოვანის გრძნეულის ხელით:

„მან გრძნეულმან მ ო ლ ი რამე. წამოისხა ზედანტანსა“. აქ მოლი ფერას აღმნიშვნელია, როგორც მაგალითად გ ი შ ე რ ი შაეისა: მან გრძნეულმან მ წ ვ ა - ნ ე რ ა მ ე წამოისხა ზედან ტანსა და ახსნაც ამგვარად უნდა. ხოლო პ ი რ ვ ე - ლ ა დ ი ბ ა ლ ა ხ ი მარტო არ იკმარებს.

აღსანიშნავია, რომ სხვა შემთხვევაში ჰიკინაძე პირიქით იქცევა: პირვე- ლად მნიშვნელობას გაურბის, სიტყვას, ასე ეთქვათ, ისტორიული პერსპექტივას გარეშე არჩევს და ეს კი აკადემიური გამოცემისათვის (როგორც ვიცი, ამგვარ პრეტენზიას ეს გამოცემა იჩემებს, თუ იჩემებდა!) დიდი ნაკლია.

მაგალითისათვის ავიღოთ ბადახში ანუ ბალახში — წითელი ფერის ძვირ- ფასი ქვა — ლალიო. მართალია, მაგრამ უკმარია.

თავდაპირველად: ბადახში, ბადახშანი, ქალაქია. ქვეყანაა დღევანდელ ავ- ლანისტანში, ლალით განთქმული. ძველად იტყოდნენ: ტუჩები ისეთი წითელი, როგორც ბადახშის ლალიო. შემდეგ: ბადახშის ლალის ტუჩები. უკანასკნელ, ლალი სავსებით იკარგება და ამბობენ: ბადახშის ტუჩები, ანუ კიდევ უფრო მოკლედ — ბადახში, რაიც უკვე ლალს აღნიშნავს.

ამგვარადვეა ნაწარმოები ხ მ ა ლ ი ბ ა ს რ ი. ბასრიც ხომ ქალაქია, ფოლა- დით ცნობილი. აქედან: ა) ხმალი ბასრის ფოლადისაგან გაკეთებული; ბ) ხმალი ბასრის ფოლადისა; გ) ხმალი ბასრისა, დ) ხმალი ბასრი; უკანასკნელ: ბასრი.

ამავე დროს მეორე დიფერენციაციაც ხდება. ფოლადი ხომ მაგარია, მჭრე- ლი, აქედან ბასრმა უკვე მჭრელის მნიშვნელობა მიიღო, ამიტომ დღეს ბასრი ხმალი — მჭრელს, მანვილ ხმალს ეწოდება.

მაგრამ რა საჭიროა ყველაფერი ეს, შეიძლება იკითხოს ვინმემ? აუცალებ- ლად საჭიროა, რადგან ამაზე შეიძლება აეგოს მთელი შენობა სიტყვიერებისა, კერძოდ პოეზიის თეორიიდან. ხმალი-ბასრი, ბროლ-ბადახში, თმა-გიშერი. მოლი-რამე და სხვა, პოეტური თქმებია, პოეტის ხერხია, პროზაიკოსი მას თ ა ვ და პ ი რ ვ ე ლ ა დ ვერასგზით ვერ გაბედავდა. მართალია. ამგვარი გაიო- თქმები ახლა პროზაშიაც გვხვდება, მაგრამ პ ი რ ვ ე ლ თ ქ მ ა უეპველად პო- ეტს ეკუთვნის.

ამიტომაცაა, რომ პოეზიის თეორეტიკოსები ამ უკანასკნელად, როდესაც პოეზიის (პროზისაგან) განმასხვავებელ თვისებათ ეძებენ, ასკვნიან: პოეზია იპო- ჯანსხვადდება პროზისაგან, რომ პირველ შემთხვევაში დაცულია აზროვნების

ეკონომიკა; და რამდენად საგულისხმო უნდა იყოს ჩვენთვის, რომ შოთას ჯერ კიდევ შვიდასი წლის წინათ სწორედ ამგვარი დებულება წამოუყენებია პოეზიის განსამარტავად: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“. არა მარტო თეორიული დებულება, თავადვე ყოფილა თავის ამ დებულების საუკეთესო განმსახიერებელი, ვინაიდან მისი „გვეხისტყაოსანი“, ეს გრძელი სიტყვა ეპოპეა, არა ჩვეულებრივ მოკლედ, და უნჯებულადაა ჩამოსხმული. კიდევ შეიძლება ვინმე შემოგვეღვოს: მაინც არაა მკითხველისათვის საჭირო სიტყვის პირველადი ცნების მოცემა, ისიც საკმაო იქნება, თუ მას, მაგალითად, ბადაზშის ევოლუციის უკანასკნელი, დღევანდელი მომენტი გავაცანითო. არ იქნება მართალი. ისეც ბადაზშის მაგალითით ნათელყოთ. თეიმურაზის ერთ-ერთ წიგნში: „ვარდსამისტაცე შევენება. ბადაზშანს ლალი სადარი-ო“, ბადაზში ძვირფას ქვადაა ახსნილი. უაზრობა გამოდის: ვარდსამისტაცე შევენება, ხოლო ძვირფას ქვას — ლალი წაართვიო. ნამდვილად კი შიგ შემდეგია: ვარდსამისტაცე შეენება. ქალაქ ბადაზშანს კი — ლალი წაართვიო.

აი, სადამდე შეიძლება მივიყვანოს სიტყვათა უკმარად. უკეთ, უისტორიულ-პერსპექტივოდ ახსნამ.

7. ნაკი — ზედმეტიო.

ნაკი — მხოლოდ და მხოლოდ ნაკლი. არც მეტი, არც ნაკლები. კი, მაგრამ საიდან წარმოიშვა ეს შეცდომა, რომელიც მარტო კ. ჰიქინაძის შრომას არ ახასიათებს, ძველი ამბავია: წელიწადს, როგორც ვიცით, აქვს 365 დღე და 6 საათი (მიახლოებით), მაგრამ ჩვენ ტექნიკური მოსაზრებით ვანგარიშობთ 365 დღეს, ე. ი. ყოველ წელს ვაკლებთ 6 საათს, რაიც 4 წლის განმავლობაში 24 საათს, ანუ ერთ დღე-ღამეს შეადგენს: ეს კი, ეს დანაკლი, ემატება მეოთხე წელიწადს, რომელიც ამის გამო შეიცავს 366 დღეს, ე. ი. ერთი დღით მეტს. ამ წელიწადს ნაკიანი წელიწადი ეწოდება, სხვაგვარად: წელიწადი, რომელსაც მიმატებული აქვს დანაკლი, ნაკლი, ნაკი. აქედან ზოგს ჰგონია, რომ თვით სიტყვა ნაკი — ზედმეტს ნიშნავს. არა! შეიძლება ვისმე ნაკი, ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ ამის გამო თვით ნაკლი ზედმეტს არ აღნიშნავს. ანდა: შეიძლება ადამიანი, ვთქვათ, წითელი იყოს, შეიძლება მას რაიმე მუდმივი წითელი ნიშანი ჰქონდეს. წითლიანი იყოს, მაგრამ წითელი მაინც წითელი იქნება და არა ზედმეტი.

ამავე დროს ნაკიანი წელიწადი ზოგის წარმოდგენით უბედურ წელიწადად ითვლება. აქედან:

გვედრებ. მეფეო, შერმაღისს, მონასა ჩემსა რჩეულსა,
ნაკად აქვს ჰირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა, (863)

ნუგეშინი ეც და სხვა, ევედრება ავთანდილი როსტევანს, ე. ი. ეს წელიწადი შერმაღისისათვის უბედურია, მას დასჩემდა, დაეკება უბედურება, და ამიტომ გთხოვ, ნუგეშინი ეც წყალობით ჩემგან წყალობა ჩვეულსა და ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა სისხლითა ფრქვეულსაო.

8. ნები --- ხელის სიბრტყე წინაგან (საბა) და იახვე ხანეწებია ხანეპი 239. 1437, 1471. არ კმარა! ნები ძროთადად ეველგან ხელის გულია. ჭიჭინაძე კი სხვადერ ფიჭრობს. მაგ. მე-9 ხანაში:

ჩემან ხელქმენლმან დამმართოს. ლაღმან და ლამაზმან ნები.

აქ ჭიჭინაძეს ნები სხვა ჰგონია, სახელდობრ, ნებ ა (იხ. სიმფონია). შედარებით „ალიტერაციასთან“ აქ ნაბიჯი უეჭველად წინ არის, მაგრამ მაინც არა საკმაო.

აი. რას წერდა ჭიჭინაძე მამის:

„სწელი ვასაგებია, თუ რას ნიშნავს „ლამაზმანები“. მკვლევარები სხვადასხვანაირად წერენ მას: „ლამაზმანები“ (აბულაძე), ლამაზმანები (კაკაბაძე), ლამაზმა ნები (მარი). ყოველ შემთხვევაში ეს ალბათ ორი სიტყვისაგან შედგება, მაგრამ ლექსის კითხვის დროს მისი განკვეთა შეუძლებელია და ამიტომ ვწერთ მას ერთად ყველგან. ეს სიტყვა ახლა უნდა მივიღოთ. როგორც ბგერით: მ ე ტ ა ფ ო რ ა“- (ალიტერაცია. 97).

ჩერ ერთი: ახლა მას ჭიჭინაძე ცალ-ცალკე წერს; მეორეც: არაფერი ძნელი ვასაგები აქ არ არის, ყველაფერი რიგზეა.

ნები --- ხელის გულია. რას ნიშნავს დამმართოს ან დამართოს ნები? ამის ვასაგებად საჭიროა მეორე კითხვა: როდესაც ორ ადამიანს შორის რაიმე საქმეა ვასარიგებელი და ამასთანავე ერთი ამთგანი დამადასტურებელია, როგორ ხდებოდა და ხდება ეს ვარიგება? ხელის ჩამორთმევეით. როდესაც ერთი ხელის ნები დაერთვის მეორე ხელის ნებს, ამას ეწოდება ნების დართვა (რუსულად ударить по руке დადასტურება, დასტური, და თვით სიტყვა დასტურიც ამასვე აღნიშნავს (დასტ ხელია). ხოლო დასტური უცხოა. ირანულია. ნების დართვა, ანუ მოკლედ: ნებართვა — ქართული.

აქედან: ჩემმა ხელქმენლმა დამმართოს. ლაღმან და ლამაზმან ნები. ექნება: ჩემმა გამაგიებელმა (თამარმა) ეს ჩემი წამოწყება დამიდასტუროსო. მორჩა და გათავდა.

ახლა სხვა ადგილები ვნახოთ: მამამან გვერდსა დაისვა. აკრაცა ნებ ა ნ ე ბ ა ს ა, ე. ი. როსტევეანმა გვერდს დაისვა თავისი ქალხ თინათინი და ხელის გულები დაუკონა. შესძლებს ამის ვაგებას საშუალო და უფრო მაღალი მკითხველი?

ანდა: მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხმალსა მივცეთ მძლე ნებ ი. ე. ი. ხმალს მძლავრად ჩავცილოთ ხელიო.

9. ო რ ხ ა უ ლ ა დ — ორხაოს ქსოვილივითო. კი. მაგრამ ეს ორხაო რაღა? რას მისცემს ამგვარი ახსნა მკითხველს? სრულიად არაფერს.

ვერა შევიგენ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად,
ვისცა ვუჩენი, უკვირდის, ღმრთისა თქვის მან სასწაულად,
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად;
და სიმტკიცე გვანდის ნაქედსა, ვთქვი, ცეცხლსა შენართაულად.

(503)

ავგიწვოს ტარიელი იმ საკვირველს რიდეს. რომელიც ხატაეთის ალებისას ნახა საჭურჭლეში. არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი. არც ორხაულად, ე. ი. ისეთი ნაქსოვი იყო, რომ მას არ აჩნდა არც სასხმი, არც მისაქსელი, სხვაგვარად: არც სიგრძივ და არც განივ ძაფები არ აჩნდაო. რუსულად ერთს ჰქვია *ошибка*, მეორეს — *уток*, ცნობილი საფეიქრო ტერმინებია.

10. რ უ კ ა ბრძანების წერილი, მიმართვაო. არაა სწორი! რუკა რუკაა, ქარტა. „მოგნახეს. გძებნეს ყოველგან. მათ რუკა დაუწერიათ“. ეუბნება ავთანდილი ტარიელს: გძებნეს, გეგმა შეადგინეს, ქარტა მოხაზეს (დაუწერიათ) თქვენს მოსანახავადო.

11. ს ა ე ს ა ვ ი სარწმუნო, საგულეებელიო. არა! იყო, არის და კვლად დარჩება „საიმედო“. სასო. სასოება. ესევენ და სხვა მრავალი სულ ამ ბუდის სიტყვებია. „შენდამი ესევენ“, ე. ი. შენი იმედი აქვთ.

ასმათის ნახვა მეამა. ჩემგან დად საესავისა, ე. ი. საიმედოსი ან: ხელაღპრობილი გულითა არს ღვთისა საესავითა. ე. ი. იმედით, ან კიდევ: შენ იყავ მამა შშობელი და ჩვენი საესავიო, ე. ი. იმედი.

12. შ ე შ თ ო ბ ა — შეშინებაო. არა, დახრჩობაა, მოხრჩობაა.

ავთანდილი წასვლას აპირებს მეორედ და შუამავლად მეფეს შერმადინი გაუგზავნა. მეფემ იწყინა:

რა მეფემან მოსმინა: გაგულისდა, გაუცნობდა.

ფერი კრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა, (807)

ე. ი. ისეთი შეიქმნა. გეგონებოდა. მაყურებელთ მოახრჩობსო. არასოდეს შემთობას სხვა მნიშვნელობა არ ჰქონია. აქედან: შიშთვილი — სახრჩობელი თოკი, შიშთვილი იუდასი. — თოკი, რომლითაც იუდამ თავი ჩამოიხრჩო.

13. ხ ა ნ ი ე რ ი — ერთგული, მტყიცეო. „ხამს მიჯნური ხანიერი“ და სხვა, ე. ი. დიდხანს გა მ ყ ო ლ ი, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი, მ უ ლ დ მ ი ვ ი.

14. აქვე უნდა აღვნიშნო ჰიპინაძის ერთი ხასიათი. იგი იმდენად დარწმუნებულა თავისი ძიებების სისწორეში, რომ არავითარ შესწორებას არ ჰგუობს, ვერც გაუბედავ. მაგრამ გაივლის დრო და უკვე თავად, ჩუმად, ხმის ამოუღებლივ, მ ხ ო ლ ო დ წ ყ ა რ ო ზ ე მ ი უ თ ი თ ე ბ ლ ა დ, უკუაგდებს ამა თუ იმ ფორმას, რომლისთვისაც წინათ თავს იკლავდა. ამ მხრივ საინტერესოა ერთი სიტყვა, სახელდობრ: ს ა რ ა ტ ა ნ ი.

გავიხსენოთ: წასვლა ავთანდილისა გულანსაროით და ტარიელის შეყრა. აწერილია ზაფხულის დადგომა.

მოწურვილ იყო ზაფხული. ქვეყნად ამოვლა მწვანისა,

ვარდის ფერცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,

ეტლის ცვალება მზისაგან. შეჯდომა სარატანისა.

და სულტქნა, რა ნახა ყვაილი მან. უნახემან ხანისა.

წინანდელ გამოცემებში მესამე სტრიქონის „ს ა რ ა ტ ა ნ ი ს ა ს“ ნაცვლად იწერებოდა და იბეჭდებოდა „ს ა რ ო ს ტ ა ნ ი ს ა“, რაიც სრულ უაზრობად ჰქმნიდა მთელ სტროფს.

რა ათის სარატანის? იგი არაბული სიტყვაა და ქართულად კირჩხილას ხოდა აქოს ნიშნავს. და ამის მიხედვით მთელი სტრიქონიც ასე იქნება: ეს ის სახა იყო, რადესაც მზე იცვლიდა ეტლს და კირჩხილის ზოდიაქოზე ჯდებოდაო. და მართლაც: კირჩხილის ზოდიაქო ივნისში მიითვალავს მზესა.

ესაღზე უცხადესია. თავდაპირველად აქ. სადაო ადგილას. სარატანი იქნებოდა და არასგზით „საროს ტანი“: ეს უკანასკნელი მერმინდელ „კეთილ-შესაქმნად“ უნდა ჩაითვალოს. გადამწერს სიტყვის მნიშვნელობა არ სცოდნია და იგი დაახლოებით მისგვარადვე გასმიანებულ სიტყვებით (საროს ტანისა) შეუცვლია.

ამრიგად სარატანი ხელნაწერთაგან მოხსნილა. მოხსნილა. მაგრამ მისი ნამდვილი მნიშვნელობა ზოგთათვის მაინც კიდევ დარჩენილა. ასე. მაგ., ვახტანგ მეფე მას არ წერდა. მის ნაცვლად „საროს ტანს“ ხმარობდა. მაგრამ განმარტებაში გარკვევით ამბობდა: საროს ტანი კირჩხილია. ე. ი. ზოდიაქო, რომელიც ივნისს მიითვალავს მზესა. ამგვარადვე ფიქრობდენ თეიმურაზი და ჩუბინაშვილიც (იხ. 1860 წლ. გამოცემა, გვ. 230).

მოკლედ: ძველი სწორი სიტყვა სარატანი და იკარგა. მაგრამ გაგება სწორი. ნამდვილი დარჩა.

ამ გარემოებას უურადლება ჯერ კიდევ აკადემიკოსმა ნიკო შარმა მიაქცია და სავსებით სამართლიანად მოხსნა საროს ტანი და მის ადგილას კანონიერი სარატანი დაადგინა. მაგრამ ეს დადგენა ზეპირ მოხდა, წერილობით იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა ფიქსირებული. მხოლოდ ერთი კია: 1908 წლიდან მოყოლებული მე არ მახსოვს არც ერთი სტუდენტი. რომ კურსიდან კურსსუ გადასვლისას. ანდა უნივერსიტეტის დამთავრებისას. აკადემიკოსს არ ეკითხოს — რა უნდა იყოს საროს ტანის მაგიერ და რა არი სარატანიო?

მიუხედავად ამისა „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელნი მაინც განაგრძობდნენ საროს ტანის ბეჭვდას და გაგებითაც იგი საროს ტანად ესმოდათ. ამ მხრივ საგულისხმოა ამ სიტყვის შემდგომი ისტორია: 1914 წელს ი. აბულაძემ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. სადაც კვლად ტრადიციული საროს ტანი იყო სარატანის მაგიერ. თბილისში ჩამოსვლისას მე მიუფთითე ამხ. იუსტინეს ამ გარემოებაზე: დროა შესწორდეს და დამახინჯებული ადგილი ისე. როგორც ნ. მარი ასწორებს-მეთქი და თანვე განვუმარტე სიტყვის ვითარება.

ამის შემდგომ საინტერესოა ამხ. იუსტინეს ძიება: ერთ-ერთ ხელნაწერში მან კიდევაც მონახა სადაო სიტყვის სწორი დაწერილობა და ამის შესახებ ცნობა მიათავსა უურნალ „განათლებელში“. აქ ი. აბულაძე ეხება თავის გამოცემის უპირატესობას ვახტანგის გამოცემასთან შედარებით და სხვათა შორის წერს:

„სამწუხაროდ 22 გამოცემაში ვერ მოვასწარი. საქმის სიჩქარის გამო, ზევრი საყურადღებო ვარიანტის შეტანა. რომლებიც ასწორებენ ვახტანგის რედაქციის აშკარა შეცდომებს. ამ ვარიანტების მხრივ ყველაზე მეტ ნდობას იწვევს № 2829 ხელნაწერი. სადაც საოცარი სისწორით შენახულა უძველესა და აშკარა სწორი წაკითხვანი. ყველა შემორე მობანილ ვარიანტებს გარდა,

რიმლებსაც აშკარა შესწორებანი შეაქვეს ვახტანგის გამოცემის ტექსტში, აქ გვინდებდა ისეთი სწორი წაკითხვა. რომელიც არ იცის არც ერთმა ხელნაწერმა. მაგ. შოთაძეს 1255 ხანის მესამე ტაეპს, სადაც ვახტანგისა და ყველა სხვა ხელნაწერთა წაკითხვა აშკარა უაზრობაა. დასახელებული ტაეპი ვახტანგის რედაქციით და, უყურადღებობის გამო ჩვენი რედაქციითაც, ასე იკითხება: ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა ს ა რ ო ს ტ ა ნ ი ს ა, რომელსაც № 2827 ხელნაწერი ასე კითხულობს: „ეტლის ცვალება მზისა და შეჯდომა ს ა რ ა თ ა - F ი ს ა“. ეს უკანასკნელი წაკითხვა განსაცვიფრებელი სისწორით იცავს უძველესი და კემბარიტი ვარიანტის სახეს. აქ სარათანი ნიშნავს მაისის (sic) ზოდიაქოს, ანუ კირჩხიბს, მაშასადამე, წაკითხვა საროს ტანისა, რომელსაც დღემდე მისდევდა ყველა გამოცემა, მტკნარ უაზრობად უნდა ჩაითვალოს. ს ა რ ა თ ა ნ ი. როგორც ყველა სხვა ასტრონომიული სახელები „ვეფხისტყაოსანში“, არის წმინდა არაბული ს ა რ ა თ ა ნ და აქვეს სწორედ ეგვეუ ზემორე ოქმული მნიშვნელობა“ (იხ. ნაწყვეტები წერილებიდან „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, გვ. 273—74).

აქ. ამ დიდ ამონაწერში, უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს შემდეგი თქმა: „დასახელებული ტაეპი ვახტანგის რედაქციით და, უყურადღებობის გამო, ჩვენი რედაქციითაც ასე იკითხებოდა და სხვ.“ აქ ერთმანეთს უპირისპირდება ვ ა ხ ტ ა ნ გ ი და ი უ ს ტ ი ნ ე. ასე გამოდის: ვახტანგს შეცდომა მოუვიდა უვიცობის გამო, ხოლო ამხ. იუსტინეს — მხოლოდ და მხოლოდ უყურადღებობით. მიუღდომელი მკითხველი სხვა დასკვნას გამოიტანს, სახელდობრ. იტყვის, რომ ვახტანგის პოზიცია უფრო მტკიცეა, ვინემ იუსტინესი; რადგან: მართალია, ვახტანგს სიტყვა პირველადი ს ა რ ა ტ ა ნ ი ვერ აღუდგენია, მაგრამ მის აზრს მაინც სწორად გადმოგვეცემდა: „საროს ტანი კირჩხიბის ზოდიაქოა, რომელიც ივნისში მიითვალავს მზესო“. აბულაძეს კი „საროს ტანში“ არაერთარი ექვი არ შექონდა, იგი მხოლოდ და მხოლოდ „საროს ტანად“ მიაჩნდა და სწორედ ამგვარადვე აქვეს ახსნილი ეს ადგილი თავის გამოცემაში. და აღსანიშნავია. აღდგენის შემდეგაც აბულაძეს. ისე როგორც კიჭინაძეს, მთლად ვერ აუთერებია სადაო ცნება: ს ა რ ა თ ა ნ ი მაისის ზოდიაქოს ნიშნავსო, მაშინ როდესაც იგი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ი ე ნ ი ს ი ს ზოდიაქოა.

მეორე. რასაც კვალად ხაზი უნდა გავსვას ამ ამონაწერში: ამხ. იუსტინეს ს ა რ ა ტ ა ნ ი ს მკვიერ სარათანი მოყავს და ამაში ხელნაწერს იმორწმებს. ვფიქრობ, რომ მაინც სარატანი უნდა და არა ს ა რ ა თ ა ნ ი, რადგან:

ა) არაბული „ط“ ქართულში უფრო ხშირად ტ-დ გამოდის და არა თ-დ. და მეორეც: თავდაპირველად ტექსტში რომ სარათანი ყოფილიყო და არა სარატანი. გადამწერს არ ექნებოდა საფუძველი და შესაძლებლობაც დაემახინჯებინა იგი ს ა რ ო ს ტ ა ნ ა დ. სწორედ იმ გარემოებამ, რომ იქ სარატანი იყო და არა სარათანი. ე. ი. ტ და არა თ, გაუადვილა გადამწერს უცნობი სიტყვის მკვიერ მისგვარადვე გახშიანებული სიტყვა ეხმარა: ს ა რ ა ტ ა ნ ი ს ა რ ო ს ტ ა ნ ი. და სწორედ აგრე აქვეს იგი ნ. მარს: 1917 წელს მარმა უკვე წერილობითი ფიქსაცია უყო ამ სიტყვას. 1916 წლის დამლევს მან აკადემიაში წაკითხა.

Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема.

სოლო 1917 წლის იანვარში მან ეს გამოაქვეყნა კიდევ. თავის ამ შრომაში მარი ტექსტის ბევრ დამახინჯებულ ადგილს ასწოვებს ჟა. სტეფანა შორას. შემოსწავლულს ს ა რ ო ს ტ ა ნ ს ა ც .

...Бессмысленных по порче текста мест в поэме не мало. Так еще, например, в описании наступления лета Шота говорит: (1304)
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა.

Перемена созвездия солнцем, восседание на.. Отказываюсь перевести сохраняемое всеми изданиями საროს ტანისა: эти слова можно перевести, они значат «стан тополя», но сажать солнце на стан тополя явно бессмысленно. На самом деле вм. საროს ტანისა следует читать სარატანისა. Saratan по-армянски, как سارطان по-арабски значит зодикальный знак Рак, и, следовательно, стих в переводе будет означать:

Перемена солнцем созвездия, восседание его на Раке (432).

თავდაპირველად ჭიჭინაძემ მარის შესწორება არ იცნო: კარგია ნ. შარას „ს ა რ ა ტ ა ნ ის ა“ „ს ა რ ო ს ტ ა ნ ის“ ნაცვლად, მაგრამ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ რუსთველს ასე ექნებოდა ეს ადგილიო („ალიტერატურა“, 85).

ჯერ ერთი: როცა ნ. მარს შეაქვს უეჭველი შესწორება, კ. ჭიჭინაძე ყოველთვის ასეთ შენიშვნას უკეთებს: კარგია, მაგრამ არაეითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსთაველს ასე ექნებოდაო. ხოლო თავისი უეჭველად საეჭვო შესწორებანი ყოველთვის საბოლოო დადგენილად მიიჩნია.

მეორეც: თუ არაფერი საბუთი არა გვაქვს, რატომ შეგაქვს შენს ახალ გამოცემაში? რა გამოიცივალა მას შემდეგ? ხელნაწერმა დაადასტურა? მაგრამ ეს ხელნაწერი ხომ წინათაც იყო ცნობილი, გაცილებით ადრე, ვინემ „ალიტერატურა“ დაიწერებოდა!

დასასრულს: აბულაძე შესწორებების შემდეგ ამ სტრიქონს ასე კითხულობს: „ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა, სარათანისა“. თუ სასჯენი ნიშნები ამგვარად დაეტოვებოდა. აზრი გაუგებარი იქნება, უკეთ: არაღიჯარა აზრი არ იქნება ნიშნების მხრივ ჭიჭინაძეს უფრო სწორი გაგება აქვს. „ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარათანისა“, თუმცა ვიმეორებ. ს ა რ ა თ ა ნ ის ა ს ნ ა ც ვ ლ ა დ საჭიროა ს ა რ ა ტ ა ნ ის ა .

რატომ შევჩერდი ამ სიტყვაზე ამდენ ხანს? აი რატომ: ჩ ვ ე ნ ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ზ ო გ ი ს ი ტ ყ ე ი ს ა ხ ს ნ ა მ თ ე ლ გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა ს უ დ რ ი ს დ ა პ ი რ ვ ე ლ ა მ ხ ს ნ ე ლ ის მ ო უ ხ ს ნ ე ბ ლ ო ბ ა , ც ო ტ ა ა რ ი ყ ო ს . უ ხ ე რ ხ უ ლ ი ა დ ა ჩ ვ ე ნ შ ი ზ ო გ მ კ ვ ლ ე ვ ა რ ს ს წ ო რ ე დ ა მ გ ვ ა რ ი ხ ა ს ი ა თ ი ა ქ ვ ს .

ასეთია ლექსიკონი. მე მხოლოდ მცირე ნაწილს შევეხე, შიგადაშიგ. კიდევ ბევრია უმართებულოდ ახსნილი ანდა უკმარად.

უკმარია, მაგ. ამგვარი ახსნა: „უკანამო. 1652, იხ. საბას ლექსიკონში „წინამო“. თუ არა მაქვს საბა, მაშინ რა ვქნა? ვფიქრობ, ლექსიკონში სიტყვა სრულად უნდა იქნას ახსნილი. თორემ ამგვარი მიგზავნით საბასადმო, საშუალო მკითხველი ამოდ დაშვრება, ვერას გაიგებს!

ფანოსი. 144. აჩქარება (კბ.). ფანარი (კარიკ.). ე. ი. ფანოსი ს. კაკაბაძეს აჩქარებად მიანიხია. ხოლო კარიკაშვილის აზრით იგი ფანარია. მაგრამ, მკითხველმა რომელს დაუჯეროს. რომელი ახსნა აარჩიოს?

X

დასასრულ. ორიოდ სიტყვა ბიბლიოგრაფიის შესახებ. იგი საკმაოდ ვრცელადაა წარმოდგენილი. მაგრამ არა სრულად: უადგილობის გამო ბევრი მცირე შენიშვნა უყურადღებოდ დავტოვეთ. მცირეთა შესახებ, როგორცაა, მაგ. ქუთაისში 1911 წელს დაბეჭდილი წერილი ახალი ვარსკლავი „ვეფხისტყაოსნისა“. (მოცემულია პირველი ცნობები ქუთაისის მუზეუმის მიერ შემდეგ შექმნილ იმ ხელნაწერის შესახებ, რომლითაც კ. კიკინაძე საკმაოდ სარგებლობს). არას ვიტყვი. მაგრამ არამცირე შრომები კი (შინაარსით და არა მოცულობით) აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული. ასეთია:

ა) ნ. დ.-ს (ჯაბადარი) საპასუხოდ ნიკო ნიკოლაძის მიერ 1889 წელს „სოცოეობოზრენიეში“ (№ № 20, 22, 32, 46, 48) მოთავსებული წერილები ქართული კულტურისა და კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. აქ პირველად უარყოფილია სესხების თეორია და „ვეფხისტყაოსნის“ ბაზისად საქართველოა მიჩნეული.

როგორც ცნობილია. ნ. დ. წერილებმა „Почта и Грузин“, სადაც საქართველოს წარსული კულტურა უპქველის ტენდენციურობით და უარყოფითად იყო დახასიათებული. დიდი აღელვება გამოიწვია ქართველი საზოგადოების ზოგიერთ წრეებში: მემარჯვენე ფრთა არაჩვეულებრივ გაწიწმატდა და ჯაბადარს სასტიკად შეუტია.

ნიკოლაძემ საშუალო, ასე ვთქვათ. გენერალური ხაზი. აირჩია: ჯაბადარი ფეხქვეშ მოიგდო. მობეგვა. გაანადგურა. მაგრამ წიკბურტები არც უციღურეს ნაციონალისტებს დააკლო.

რას წერდა ნიკოლაძე. აქვე გვქონდა მოტანილი. მაგრამ რადგან იგივე ვრცელი ციტატი ქვემოთაა დაბეჭდილი. მას აქ აღარ ვტოვებთ (იხ. ქვემოთ. გვ. 77-78).

გავიმეორებთ მხოლოდ შემდეგ ნაწყვეტს ნ. დ. სხვათა შორის ამბობს:

Куль женщины, замечаемый в «Барсовой коже», заимствован Руставели у персидского поэта Низами, но так как Грузия в эту эпоху коснела в безнравственности и не ведала уважения к женщине, то Руставели выразил идеалы Низами в жалкой форме, не достиг уровня своего образа.

ამის საპასუხოდ ნ. ნიკოლაძე წერდა:

Что «Лейла и Меджнун» действительно проникнута эмансипационной тенденцией, в этом я имею основание сомневаться, но скажите на милость, неужто среда, где процветали и процветают гаремы, была благоприятнее для развития человеческого отношения к женщине, чем та, которая окружала грузинского поэта? Неужто Руставели, живя в стране, поклонявшейся Нине и возвеличенной Тамарой, не вокруг себя, а в гаремной Персии должен был искать идеалов женского культа? (Новое обозрение, 1889 г. № 2022. Византийские споры).

ასე წერდა ნ. ნიკოლაძე ოთქმის ხახევიარი საუკუნის წინათ და. სამწუხაროდ. მისი სული აზრი (ოფ. რასაკვირველია. აუცილებლად გავანელებთ იმ მოსაზრებასაც. რომლითაც ნიკოლაძე ქალის კულტოს განვითარებას მოლიანად და სავსებით ნინოსა და თამარს უკავშირებს). დღესაც ბევრს მოვეფხვრებათ ხალხს ვერ აუთვისებია.

ბ) განსაკუთრებით კი აკადემიკოს ნიკო მარს 1928 წელს პარიზში გამოქვეყნებული *La langue Géorgienne*. საღაც სწავთა შორის. შემდეგ აზრია გამოთქმული: „ქართული მწერლობის შესახებ დროთა განმავლობაში შემუშავდა თეორია. რომლის მიხედვითაც ეს მწერლობა და საერთოდ კულტურა დაიბადა და განვითარდა უცხო გავლენის ქვეშ. სახელდობრ: ქართული სასულიერო კულტურა მოდიოდა ქრისტიანული ქვეყნებიდან (სომხეთი. სირია. საბერძნეთი და ქრისტიანული არაბეთი). ხოლო საერო ირანულ და მაკედონურ ქვეყნებიდან. განსაკუთრებით. მესულმანურ სპარსეთიდან.

ეს თეორია გადმოღებისა და უცხო წარმოშობა ძალებისა დაიწერა. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული ლიტერატურის უდიდესი პრობლემა. კენიალურ პოეტის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“. ეს გახლავსთ ქრისტიანულ საქართველოს უაღრესად აყვავების დროს მეტეორივით გამოჩენილი პოემ. რომელსაც დღემდე მტკიცე და ურყევი ადგილი უქირავს ქართული პოეზიის ზენიტზე... ეს თხზულება მოდის თამარის დროიდან. რომელიც (თამარი). გაუმოგვეყვამენ. წმინდანთა შორის არის აღრიცხული ეკლესიის მიერ. სოლო ხალხის მიერ ღვთაებად დასახული და მზედ გამოცხადებული. ნაწარმოების ენა შეუდარებელი ქართულია. დღემდე დაუძლეველი ღრმა ხალხურ თავისებურებათა მომხიბლაობით. თავისი თხზულების არქიტექტურას შოთა აგებს ქართულ ხალხურ ბაზაზე. ძმობის პრინციპორიულ ინსტიტუტზე. თხზულება წარმოადგენს ძმადგაფიცულ ერების შესხმა-მითხრობას და რომანტიული სიყვარულის კონცეპციას, რომელსაც არსად ბადალი არ გააჩნია. გარდა პროყანსის ტრუბადურებისაო. ყოველგვარი ცდა ამ ნაწარმოების უცხოურიდან გადმოღებისა. ამაოა. ამაო იქნებოდა აგრეთვე ცდა, თუ მოვიწოდებთ პოეტის შთაგონების დაკავშირებას საქართველოში მეტად გავრცელებულ მადონას კულტთან. ან მარტოოდენ რელიგიურ წრეებში ნეოპლატონიზმის ძლიერ განვითარებასთან.

არის სხვა უფრო ღრმა წყარო. საიდანაც ნაწარმოები ისხამდა ხორცს: იკო საეროა, წარმავალი.

კი. მაგრამ, რა იყო მიზეზი, რომ ჩვენ ასე ცალმხრივად ვუდგებოდით ისეთ ძირითად პრობლემებს, როგორიცაა ქართული მწერლობა და საერთოდ კულტურა? ის რომ ჩვენ ვგრძნობთ უცხოეთის კულტურათა ოდნავ გამოკრთობასაც კი, თუ მათ გავლენა იქონიეს ქართულ კულტურაზე და არ ვიცნობთ (არ ვცნობთ) იმ ძალებს. რომლებიც მოდიოდნენ თვით საქართველოდან. ჩვენ არ ვიცნობთ ქართულს თავის დამოუკიდებელ ფორმაციაში და მისი გაცნობა კი ჩვენ გვავალებს გადავათვალეროთ, რევიზია გავუკეთოთ სესხების თეორიას, რადგან ზოგი რამ. რაც წინათ ნასესხები გვეგონა, პალეონტოლოგიურ გამოკვლევათა შემდგომ. უკვე ნასესხები აღარ არისო (იხ. *La langue géorgienne* გვ. 13—15, პარიზი, 1928). ეგვევ აზრი აკადემიკოსმა გერმანულადაც გაიშეორა. (იხ. *Die Georgische Sprache*, 1929).

განა შეიძლება ამ ნაშრომთა უგულვებელყოფა? არა! სხვას რომ თავი დაგანებოთ, ეს უდიდესი უსამართლობა იქნება მარის მიმართ, რომელმაც, გადაჭრით უნდა ითქვას, ყველაზე მეტი დადებითი გააკეთა „ვეფხისტყაოსნისათვის“.

XI

ამგვარია მოკლედ თვალგადავლებული კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.

მე არ შევეხები თვით კ. ჭიჭინაძის ენას. საზოგადოდ კარგ მცოდნეს, ფალოლოგიის უგულვებელყოფა აქაც ემჩნევა, მაგ., ქართულ მეტყველებაში ელემენტარული გრამატიკა მოითხოვს, რომ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის უეჭველი შეთანხმება იყოს ბრუნვებში. ამისდა მიხედვით, ყოვლად შეუძლებელია, რომ ვთქვათ და ვწეროთ აგრე: დიდებული მწერალს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ: დიდებულ მწერალს, ან დიდებულს მწერალს, ანდა: დიდებულსა მწერალსა. ჭიჭინაძე კი არღვევს ამ წესს და სისტემატურად ასე წერს: ბექდითი გამოცემას, ბექდითი გამოცემაში. უნდა: ბექდვით გამოცემაში, ბექდვითს ვამოცემაში, სწორედ ისე, როგორც ახლა ვიტყვით: „დროებითს მთავრობას“ და არასგზით „დროებითი მთავრობას“.

რა გამოირკვეა?

ჭიჭინაძეს დიდი შრომა აქვს გაწეული და დამსახურებაც მიუძღვის: ამაში მას ვერაფერს ვერ გააწბილებს, მაგრამ ტექსტის დადგენისა და ახსნის მხრივ, ეს კი უპირატესია, მისი გამოცემა განსაკუთრებულს რასმე არ შეიცავს — პირიქით: ბევრში კიდევაც ჩამოუვარდება წინა გამოცემას, მაგრამ ერთით მაინც მეტობს ყველა წინანდელ გამოცემას. ეს გახლავთ, როგორც ზევით აღვნიშნე, რითმების ინდექსი და სიმფონია: ორივე ძვირფასია.

„ვეფხისტყაოსანი“ მეტად რთული მოვლენაა. ერთი კაცის ძალა, — სულ ერთია, მსოფლიო მასშტაბის ფილოლოგი იქნება იგი, თუ ამავე მასშტაბის პოეტი, — უკმარია მის დასაძლევად.

დიდი და დაუცადებელი, უეჭველად კოლექტიური შრომა იქნება საჭირო, რომ 1937 წლისათვის მართლაც გვექნეს შოთას ნამდვილი აკადემიური გამოცემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, 1936 წ.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“

(აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. თბ.-ლისი, 1937 წ.)

სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი საჩუქარი მიუძღვნა რუსთაველის იუბილეს: გამოსცა პროფ. აკაკი შანიძის მიერ აღდგენილი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“.

რას წარმოადგენს ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ და რად სწირდებოდა მას აღდგენა? იგი უკვდავი პოემის პირველი ბეჭდური გამოცემაა. ვახტანგ შექქვის მიერ შესრულებული.

რა მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე ამ გამოცემას? დიდი იმ გარემოების გამო, რომ პოემა ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, უფრო გადამწერთა წყალობით, დროთა განმავლობაში ბევრი ცვლილება შევიდა შიგ: ზოგი რამე დაკარგა, ზოგი რამეც შეიძინა და ამრიგად, თავის პირვანდელ სახეს დაჰშორდა (საერთო ზედია ხელნაწერის სახით გავრცელებული ნაწარმოებისა).

ვახტანგის გამოცემით ამ თვითნებობას ზღვარი დაედვა: ნაწარმოებს სტამბური სტაბილიზაცია მიეცა და აქედან მოყოლებული ეს გამოცემა პეტ-ნაკლებად მომდევნო გამოცემათათვის სავალდებულო სახელმძღვანელო საყრდენად გახდა. ამ მხრივ ეს „სავალდებულობა“ აუცილებელი შეიქმნა ამ ნაწარმოების თვით „ვრცელი“ რედაქციის გამომცემელთათვისაც კი, როგორც არიან ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე, ისინიც ბევრ რამეში ვახტანგს იმეორებენ და საზოგადოდ: თუ რომელიმე მკვლევარი შედარებით „იოლად“ ლაპარაკობდა პოემის ამა თუ იმ სტროფის სიყალბე-ორიგინალობაზე, ეს უეჭველად პირველი გამომცემლის წყალობა იყო: ძირითადი მუშაობა ტექსტის დადგენისათვის (რასაკვირველია, დროს მიხედვით) ვახტანგმა ჩაატარა.

ამ მხრივ ამ გამოცემას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სწორედ ამით ხელმძღვანელობდა ტექსტის დამდგენი, აწინდელი კომისია, რომელმაც თავის მუშაობისას ვახტანგისეულ რედაქციას საუკეთესო ხელნაწერის ღირებულება მიანიჭა. ეს რედაქცია მომავალშიაც არ უკარგავს თავის ფასს: მკვლევართათვის იგი ჯერ კიდევ დიდხანს იქნება საჭირო.

მაგრამ პირველ გამოცემას თან ახლდა დეფექტების რიგი, რაც მით სარგებლობას ამცლებდა:

ა. თავის დროზე, უნდა ვიფიქროთ, მცირე ტირაჟით გამოვიდა;

ბ. როგორც ვიცით, „მტერ-მოყვარეთაგან“ გამოცემის უდიდესი ნაწილი ვანადგურდა;

გ. დროთა განმავლობაში დარჩენილი მცირე ეგზემპლარებიც დაზიანდა;
დ. ამას თუ დაუშვებთ იმ გარემოებას, რომ თავისთავად გამოცემას ბევრი კორექტურული და სხვა შეცდომა ახასიათებდა. ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო ტექსტის მეორედ გამოცემის აუცილებელი საჭიროება და სწორედ აგრე იყო განწყობილი პროფ. ა. შანიძე. როდესაც მან ამ პასუხსაგებ და უეჭველად საძნელო საქმეს მოაკიდა ხელი.

რას წარმოადგენს ეს აღდგენილი გამოცემა?

ვარგენტულად აღდგენილია შრიფტი და გამოცემის სხვა „შემკულობა-ხატულობანი“. ამ მხრივ აღსანიშნავია მხატვრების ვლ. გრიგოლიას და გივი ჯაფარიძის შრომა.

- ა. დაცულია ძველი გამოცემის ფორმატი;
- ბ. დაბეჭდილია (ძველისამებრ) ორფერად.

შინაარსეულად:

ა. გასწორებულია ძველი გამოცემის ყველა კორექტურული შეცდომა, აგრეთვე აშკარა დამახინჯებანი.

ბ. ამასთანავე ამ შესწორებათა ბუნება და თვისება, რომ ცხადი იყოს, მას წამძღვარებულნი აქვს პროფ. ა. შანიძის განმარტებითი წერილი, რომელსაც თანვე მოჰყვება თვით შესწორებათა ნუსხა. ამ მხრივ უეჭველად დიდი მუშაობაა ჩატარებული, მუშაობა, რომელიც მოითხოვს არა მარტო ხანგრძლივ ფიზიკურ „ჩაკირკიტებას“, არამედ აგრეთვე დიდ ცოდნას და დაკვირვებასაც.

გ. აღსანიშნავია უეჭველად მართებული შესწორება „პატყთა გაასოცებით“ (ნაცვლად გაუგებარ „პატყთა გასაოცებით“-ისა) და განსაკუთრებით, ორგან: სახარული (ამ შემთხვევაში მცდარ სიხარულის ნაცვლად). სახელდობრ: ავთანდილი შერმანდინისას მივიღა.

„ვეზირმან ცნა, გაუგება: „ჩემსა მზეა ამოსრული. ამას თურე მახარებდა დღეს ნიშანი „სახარული“. ე. ი. გასახარებელი. დღემდე კი იკითხებოდა „ნიშანი სიხარული“, რაც გაუგებარიც იყო და განსაკუთრებით მახინჯი, - შეთანხმება-შესიტყვების მხრივ.

კი მაგრამ: შეიძლება თუ არა სიტყვის ასე შესწორება? ხომ არა არის თვით სიტყვაც სახარული ხელოვნურად შექმნილი? არა! და ამის დამადასტურებელია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ადგილი:

შერმადინი სთხოვს როსტევეანს, ავთანდილი გაუშვიტო.

მეფე წინააღმდეგია.

რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაეცნობდა.

ვითამც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად.

(756—757)

შეუძლებელია ასეთი შესიტყვება: სიხარული საქმე! ცოტა უმჯობესია. პროფ. ი. აბულაძის ვარიანტი: „ვითამც რამე სიხარულად, საქმე მითხარ ვითა ადრად“, მაგრამ მდგომარეობას არც ეს შეველის. საქმე შეიძლება იყოს სასიხარულო, სახარებელი, გასახარებელი, სახარული და სწორად ასე აქვს ვახტანგს თავის პირველ გამოცემაში:

„ვითამც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად“.

მაშასადამე, სიტყვაც კანონიერია, მხოლოდ იშვიათი! და პროფ. ა. შანიძის შესწორებაც საჭირო და აუცილებელი.

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით მეორე შესწორება-აღდგენის შესახებ. ტარიელი გადმოგვცემს ხეარაზმშას მოკელის ამბავს:

კოვის კალთა ჩახლართული ჩვეურო, ჩავჯაო. ბაყ.

მისი ფეხით მოვეყოლე, თავი სვეტს შვეულ-აქ.

წინა შვოლთა დინახეს, გლოვა მიხვდა საოკე.

ცხენს, შევქე, წაბოვე, ჩავეი ძეცვა, საურ-კაყ. (558)

ეს სტროფი განსაკუთრებულია თავისი დინამიკით. ექსპრესიით. აქ იითო-უული სიტყვა აღვილზეა.

ამასთანავე გასაოცარია ბგერათა ელერა: ხმლის წვრიალი. კალთის ჩახე-ლისა და ჩაფრწვის ხმა ცხადად ისმის და საამისოდ შოთას ბგერათა სათანადო შერჩევა. სათანადო ელერა აქვს:

კოვის კალთა ჩახლართული, ჩვეურო, ჩავჯაო. ბაყ...

პროფ. ა. შანიძე უკანასკნელ სიტყვას. რომელიც ვახტანგს დამახინგებულად აქვს, ასე აღადგენს: ჩავაქაბარაკე. არ იფარგებს, რადგან ის სიტყვის უკანასკნელ კ-საც ქ-დ გარდაქმნის და შეიცვლება ელერა. აიშლება სიმფონია!

რა არის კიდევ ახალი და საყურადღებო ამ გამოცემაში?

მოცემული ცნობა ვახტანგის ლექსიკოლოგიური მუშაობის ბუნებასა და თვისების შესახებ და იქვე გამოცემლის მიერ ანბანზე გაწყობილი ყველა ის სიტყვა, რომელიც ვახტანგს განუმარტავს თავის „ვეფხისტყაოსანში“.

გამოცემაში კიდევ ბევრია ახალი. მაგრამ მხოლოდ ერთს აღვნიშნავ:

როგორც ვიცით. „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენამდე ორი რედაქციითაა მოსული: ვრცელი და მოკლე რედაქციით. ვრცელი დაცულია ყველა ხელნაწერში. მოკლე — ვახტანგის გამოცემაში და მისგან მომდინარე ახალ ხელნაწერებში.

ამის გამო სპეციალისტებს შორის ამთავითვე დიდი დავა იყო ატეხილი. რას წარმოადგენს ვახტანგის გამოცემა: იგი ხელოვნურად შემოკლებული (ვახტანგის მიერ!) რედაქციაა. თუ რომელიღაც ხელნაწერის პირია.

მკვლევართა ერთი ნაწილი ვახტანგის გამოცემას კრიტიკულ ტექსტად მიიჩნევდა. ე. ი. მრავალ ხელნაწერთაგან თვით ვახტანგმა (ან მისმა კომისიამ) დაადგინა გამოსაცემი ტექსტიო. მეორე ნაწილი ამტკიცებდა: ვახტანგის გამოცემა უცვლელი განმეორებაა რომელიღაც აწ დაკარგული ხელნაწერისო.

პროფ. ა. შანიძის მიერ ჩატარებული მუშაობა საბოლოოდ ადასტურებს. რომ „ვახტანგს გაუცხრილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი. პირველი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ არის ხელოვნურად შემოკლებული, ანუ კრიტიკული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“. არის შექმლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი“.

ეს გარემოება უეკველად დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს პროფ. ა. შანიძეს. რადგან ამასთან დაკავშირებით ცხადია, ხელახლა დაისმის საკითხი ე. წ. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა, კერძოდ: ინდოხატაელთა ამბის შესახებ. დაისმის მიუხედავად იმისა, რომ ზოგი პროფ. ა. შანიძის გამოკვლევის შემდეგ, განაგრძობს „ამტკიცებას“, რომ ვახტანგის გამოცემა უცვლელი პირია ერთ-ერთი ხელნაწერისაო.

იწყება სახელოვანი დეკადა — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის დღესასწაული.

საბჭოთა მშრომელნი უკვე სამი წელია ემზადებიან. რომ სათანადოდ აღნიშნონ ეს უდიდესი ისტორიული დღე.

შვიდზე მეტ საუკუნე აშორებს ჩვენგან შოთასა და მის უკვდავ პოემას წარმოშობას.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი ჭირი უნახავს „ვეფხისტყაოსანს“. არა ერთს ქართველის გადაუვლია მის თავზე. მრავალი ვიწრობი დახვედრია მას თავისი მსგელობის გზაზე, მაგრამ იგი ერთხელაც არ შემდრკალა. „ეჟამთა სიცივის“ შეუპოვრად გადამლახველი, იგი პირნათლად მოდის ჩვენამდე და თან მოაქვს თავისი „ხმა ტკბილი და ტკბილ ქართული“ და აბარებს მის ყველაზე უფრო დამფასებელს, ყველაზე უფრო მომვლელსა და განმავითარებელს — საბჭოთა საზოგადოებრიობას, საბჭოთა მშრომელთ.

რა იყო ის ძალა. რომელიც ისე აცოცხლებდა და უკვდავყოფდა „ვეფხისტყაოსანს“, რომ იგი დღესაც „კოკობი და დაუმქნარიია“, რომ დღესაც „მისი მსგავსი მშვენება კაცთაგან უხილავია“? ეს ძალა თვით „ვეფხისტყაოსანია“ — თავისი მარად უქცნობი შინაარსით — მეგობრობითა და სიყვარულით და თავისი განსაკუთრებული ფორმით, დღემდე მიუწვდომელი გარეგნული მხატვრული გამოვლინებით.

ნაწარმოები წარმოშობილია მე-12—13 საუკ. მიჯნაზე. იგი ღვიძლი შეილია იმ ეპოქის, მისი სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი.

რას წარმოადგენს საქართველო იმ დროს, ე. ი. მე-12 საუკუნეში? არაბთა მფლობელობის დასუსტების შემდგომ დაწყებული დაუცხრომელი ბრძოლა საქართველოს მიწა-წყლის შეკრებისა და ერთხელმწიფების, ერთუფლებების დადგენისათვის, — იმ დროისათვის უკვე კარგი ხნით განმტკიცებული მონარქიული წესწყობილებითაა დამთავრებული.

ეს მონარქია აერთიანებდა არა მარტო ქართული ტომებით დასახლებულ ნხარეებს, არამედ ბევრ სხვა ქვეყანასაც — როგორც ქრისტიანულს, ისე მუსულმანურს.

გაერთიანებული მონარქიული სახელმწიფოს სათავეში იდგა განუსაზღვრელი უფლებებით მოსილი მეფე.

მონარქიაში საზოგადოებრივი ცხოვრების ბატონ-პატრონი, საკემპყრობელი ფეოდალთა კლასი იყო, როგორც საერო, ისე სასულიერო.

შემდეგ საზოგადოებრივ ფენას შეადგენდა გლეხობა.

ამავე ხანში აღნიშნულია ვაჭართა და ხელოსანთა დაჯგუფებებიც.

ამ სწის ფეოდალური ურთიერთობის დამახასიათებელია პატრონეჟობა. ყველაზე უღიღესი პატრონია მეფე; მას ჰყავს თავისი დამოკიდებული ყმა, რომელიც თავის მხრივ მასზე ქვემოთ მდგომისათვის არის იგივე პატრონი. ამრიგად, საზოგადოებრივი წყობა კიბურია: პატრონი-ყმა, მაგრამ ეგვივე ყმა უკვე პატრონი თავისი ყმისათვის და ასე ბოლომდის.

თავისი დროისათვის უეჭველად პროგრესიული პოლიტიკა ებოქისა ხელს უწყობდა, საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად. კულტურული ცხოვრების არაჩვეულებრივად აყვავებას: არსდება მრავლად განათლების ცენტრები, როგორც საქართველოში (გელათი, იყალთო და სსევა), ისე საქართველოს გარეთ (ათონი, შავიმთა, იერუსალიმი, პეტრიწონი); ამ ცენტრებში წარმოებს დროის შესაფერისად ნაყოფიერი მუშაობა მეცნიერების ყველა დარგში. ამ მხრივ ქართველები არამცთუ ჩამორჩებიან მოწინავე ქვეყნებს. არამედ მოწინავეთა შორის ხშირად პირველობენ.

მეცნიერების, ხელოვნებისა და საერთოდ კულტურის აყვავებას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ საქართველო ორი მსოფლიო კულტურის შესაყარზე იყო: დასავლურის — ბიზანტიურისა და აღმოსავლურის — ირანულ-მუსულმანურისა. უკანასკნელთან დაახლოება ამსხვრევს ქართველების ვერცა ქრისტიანულ-ეკლესიურ კარჩაკეტილობას და ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში საერო მოტივების გაძლიერებას.

ამასთან დაკავშირებით ეკლესია, როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია. შედარებით სუსტდება და იძულებულია ხელმძღვანელი. წამყვანი როლი სახელმწიფოში დაუთმოს საერო ხელისუფლებას.

პირველ რიგებში გამოდიან მხოლოდ და მხოლოდ საერთო ელემენტები თავისი საკუთარი ზრახვებითა და სულისკვეთებით.

ეს „ზრახვანი და სულისკვეთებანი“, წინანდელ ეკლესიურ განწყობებთან შედარებით. უფრო ამქვეყნიური იყო, უფრო მიწიერი, უფრო რეალური.

ხოლო ეს მიწიერობა, ეს რეალობა დაყინებით მოითხოვდა თავგანწირულ ბრძოლას ამ ქვეყანაზე სიკეთისათვის, სიკეთისათვის გაბატონებული თვალსაზრისით, ბრძოლას უკეთურ ძალებთან სრულ გამარჯვებამდე.

აქედან: კულტი გმირთა, თავგანწირულ მებრძოლთა ქვეყნის სიკეთისათვის.

თავის მხრივ ამ ბრძოლას სჭირდებოდა შესაფერი იდეოლოგიური იარაღი, იდეოლოგიური ორგანიზატორი, შესაფერი სტილის მწიგნობრულ-მხატვრული გაფორმება.

საფუძველი ეყრება და თანდათან მტკიცდება: ხობა, საგმირო მოთხრობა, სატრფიალო რომანი. ამგვარია შავთელის „აბდულმესიანი“, ამგვარივეა ჩახრუხაძის „თამარიანი“. ამ დროსვე მიეკუთვნება მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“.

ამგვარსავე პირობებსა და გარემოცვაშია წარმოშობილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

არაბეთის მეფეს ჰყავდა ერთადერთი ასული თინათინ. მამამ იგი თავის სიცოცხლეშივე (სიბერის უამს) გაამეფა. ეს გარემოება მეტად სასიამოვნოა და ურჩა მეფის ჯარების უფროსს ავთანდილს. ავთანდილს უყვარდა თინათინი და ამიერიდან სამსახურის გამო უკვე მასთან ივლიდა.

ერთხელ მეფე სანადიროდ გავიდა: ავთანდილს შეეჯიბრა. რომელი ჩვენგანი მეტ ნადირს დახოცავსო. ავთანდილმა აჯობა. ნადირობის შემდეგ წყლან პირს გადახდნენ დასასვენებლად და:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტრალი წყლისა პირსა.

მოინდომეს მასთან გამოლაპარაკება, მაგრამ უცხო ყმამ ეს არ ინება და, როდესაც როსტევეანის ყმებმა დააპირეს მისი დაჭერა. ყმამ მონები:

ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა, თავსა ხელაუპყრობელად.
და ზოგსა გადაკრის მათრახი მკერდამდის გასაპოვებლად.

ყმა სასწრაფოდ გაქრა და უკვალოდ დაიკარგა.

შინ დაბრუნებულმა მეფემ მოიწყინა. საქმეში თინათინი ჩაერია. მისი რჩევით სახელმწიფოს სხედასხვა მხარეს მარბიელნი გაგზავნეს: უცხო ყმის ამბავი გაგვიგეთო. მაგრამ გაგზავნილნი ხელუარიელნი დაბრუნდნენ.

მაშინ თინათინმა მოიწვია თავისი სატრფო ავთანდილი და მას დაავალა საქმის მოგვარება:

წადი, იგი მოყმე სძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორადო. (130).

ავთანდილი წავიდა თავის საბრძნებელში, ჩააბარა თანამდებობა თავის ყმას შერმადინს. თვითონ კი გაეშართა უცხო ყმის საძებრად.

დიდხანს ძებნა. სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ქირი და უბედურება ნახა. ბევრი იტირა და ივაგლახა, რამდენჯერმე უკან დაბრუნებაც კი დააპირა. მაგრამ თავი გაიმაგრა, ხასიათი განიმტკიცა და ბოლოს როგორც იქნა, მონახა უცხო ყმა. რომელიც როგორც გამოირკვა, ყოფილა ინდოეთის მეფის შვილი. სახელად ტარიელი, გაზრდილი ინდოეთისავე ექვსი სამეფოს მფლობელის ფარსადანის კარზე.

ტარიელმა უამბო ავთანდილს თავისი თავგადასავალი. --- „მამაჩემი სარიდან მეფე, ინდოეთის ერთი მეშვიდედის მფლობელი, ჯერ კიდევ ჩემ დაბადებამდის, შეუერთდა ფარსადან მეფეს ინდოეთის დანარჩენი ექვსი სამეფოს პატრონს. სამაგიეროდ ფარსადანმა მამაჩემს მთავარსარდლობა უბოძა.

ფარსადანი უშვილო იყო და ამიტომ მე მიმივილა. ხუთი წლის ვიქნებოდი. ფარსადანს შეეძინა ქალი -- ნესტან-დარეჯანი. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და

კიდევაც შეეჩვიეთ ერთმანეთს. ქალი რომ წამოიხარდა. მამამ მას ცალკე სასახლე აუშენა და შიგ აცხოვრებდა. მამაჩემის სიყვდილის შემდეგ მისი თანამდებობა მე დავიკირე.

ერთხელ მეფე და მე ნადირობიდან ვბრუნდებოდით: მოვდიოდით ბაღდადს. სასახლესთან შევჩერდით. მეფე შევიდა ქალის სასახლეში. მე კი გარეთ დავრჩი, რადგან ვიცოდი, რომ მამას არ სიამოვნებდა. ქალი რომ სხვას ენახა, ცოტა ხანს შემდეგ სასახლიდან გამოვიდა ნესტანის გამძელი ასმათ და გამომართვა დახოცილი ფრინველები ნესტანისათვის გადასაცემად. გამოსვლისას ასმათმა ისე ანიდა ფარდა, რომ მე დავინახე ნესტანი. დანახვა და ჩემი დაბნელება ერთი იყო. ცნობა დავკარგე. დავეცი. დამასიეს ექიმები. როგორც ჩნა, ბოესულიერი, მაგრამ დაბნელის ნამძვილ მიზეზს ვერაფერს ვერ მიხვდა.

საქმის ვითარებას მხოლოდ ნესტანი წაწვდა. წინადადება მომცა: ტარის თავი ანებე. ხატაელებზე (ჩინელებზე) გაილაშქრე. გამარჯვებული დაბრუნდი და სიტყვას გაძლეე ქმრად შენს გარდა სხვას არავის ვინდომებო.

მე დიდი სიამოვნებით ვიტვირთე ნესტანის დაველების შესრულება. შევკრიბე ჯარი და მიემართე ხატაეთს. სულ მოკლე ხანში მთლიანად დავიმორჩილე. თვით ხატაეთის მეფე შევიპყარ და დიდძალი ლაფთი დავბრუნდი ჩნდოეთს.

ამასობაში სასახლეში მიხმეს. მივედი. მეფე-დედოფალი და სამი ხასი (დიდებული) ისხდნენ. თათბირობდნენ: ქალი (ნესტანი) გვინდა გავათხოვოთ და ზედსიძედ ხეარაზმელთა მეფის ძე უნდა მოვიყვანოთო. შევატყვე. რომ წინდაწინევი ქონდათ გადაწყვეტილი საქმე. ჩემგან მხოლოდ დასტურს მოითხოვდნენ და მეც დავემოწმე.

ნესტანს პირველად ეგონა, რომ ვლალატობდი. განმარტების შემდეგ დარწმუნდა ჩემს სიმართლეში. დავადგინეთ. როგორც კი მოვა სასიძო. მოკვლა. დადგენილება მართლაც შევასრულე.

მკვლელობამ დიდი შფოთი გამოიწვია. მეფემ შემომითვალა ხეარაზმმას სისხლი რად დამადე. თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არ შემატყობინეო, ნესტანთან წინასწარ შეთანხმებით ასე შეეუთვალე:

შენი ქალი არად მიწად. გაათხოვე, გამარიდე! (566).

მაგრამ ინდოეთი ჩემი არის და არავის დაუთმობ-მეთქი. განრისხებულმა მეფემ გადაწყვიტა, რომ სასტიკად დასაჯოს ნესტანის აღმზრდელი, საკუთარი და დაეჯარ.

უკანასკნელმა გაიგო ეს ამბავი და ჯავრი ნესტანზე იყარა: სასტიკად ცემა, შემდეგ ორ ზანგს კიდობანში ჩაასმევინა, შორს ზღვაში გადააყარგვინა, თავად კი თავი მოიკლა.

ეს ამბავი შემატყობინა ასმათმა. მე გავშმაგდი, შევაგროვე ერთგული ხალხი და გავიქერ ნესტანის საძებრად.

ერთ წელს ვძებნე, ვერას გავხდი. მხლებელი ყველა დამეხოცა. დამრჩა მხოლოდ ასმათი და ორი მონა.

ერთხელ ძებნის დროს, ზულანზარის მეფეს ფრიდონს შევეყარე, ბიძაშვილებს დაეჭრათ, დაეხმარე, დაეძმობილდით. მისგან შევიტყვე, რომ ნესტანი კილობნით მისი ქალაქის ახლოს გაუტარებიათ. დავეზავნეთ ხალხი საძებრად, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მივალწიეთ.

მას აქეთ სრულიად გავნადირდი, კაცთა შესვედრა დამეზარა. გამოქცეული ვნახე, შიგ მყოფი დევები ამოვწყვიტე და დავსახლდი. აქაც დიდხანს ვერ ვჩერდები. დღემარად ნესტანის ძებნაში ვარ. თუ დავბრუნდები მხოლოდ იმისათვის, რომ ასმათს ნანადირევი ხორცი მოვუტანო.

ავთანდილმა მოისმინა ტარიელის ამბავი, წამოვიდა არაბეთს, შეატყობინა ყველაფერი თინათინს, მაგრამ, დაპირების თანახმად, თუმცა როსტევენი წინააღმდეგი იყო, ისევ დაბრუნდა ტარიელთან, რომ დახმარებოდა მას ნესტანის მონახვაში.

ტარიელისაგან ავთანდილი ფრიდონთან წავიდა, იქიდან — ზღვათა მეფის ქალაქს — გულანშაროს. აქ იგი გაეცნო ვაქართა უხუცესის ცოლს — ფატმანს. აი, რა უამბო ფატმანმა ავთანდილს:

— „ერთხელ ჩემი სარკმლიდან ზღვისკენ ვიციკირებოდი. დავინახე: ორმა ზანგმა ნაპირზე გამოიტანა კილობანი, რომელშიაც მზეთუნახავი ქალი იყო. მე ვუბრძანე ჩემს მონებს: წადით და ის ქალი მომგვარეთ-მეთქი. მონებიც წავიდნენ, მაგრამ ზანგებმა უარი თქვეს. მაშინ ისინი დავახოცინე და ქალი მოვიყვანე. იგი გამუღმეპით ტირიდა. ვეცადე, რომ ეთქვა თაღისი ამბავი, მაგრამ ვერას გავხდი. ცალკე ოთახში მოვთავსე და მოსამსახურე მივუჩინე. ასე კარგა ხანს მყავდა საიდუმლოდ. ქმრისაც არ ვუშნელდი. ბოლოს მასაც გავუმეღავე და თანვე ვაფიცე: არავის უთხრა-მეთქი.

ერთხელ ჩემი ქმარი მეფესთან წავიდა სადარბაზოდ და მრავალი ზღვენი მიართვა, რისთვისაც მეფისაგან მადლობა მიიღო.

ამით გათამამებულმა და თანაც შემთვრალმა ჩემმა ქმარმა მეფეს უთხრა: ეგ რა არის, თქვენთვის უკეთესი საჩუქარი ნეგულებათ და უამბო ყველაფერი მზეთუნახავის შესახებ.

მეფემ გამოგზავნა ხალხი და მზეთუნახავი წააყვანინა საცოლედ თავისი შვილისათვის. ცალკე დარბაზში მოათავსა და ცხრა მცველი მიუჩინა.

ნესტანი შეუთანხმდა მცველთ. თუ გამიშვებთ, ძვირფას საჩუქარს მიიღებთ (თან ჰქონდა ჩემ მიერ მიძღვნილი, ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკული სარტყელი), თუ არადა — თავს მოვიკლავ და მეფე თქვენ დაგსჯითო.

მცველებმა გამოაპარეს ნესტანი. იგი ჩემთან მოვიდა. მე ცხენი მივეცე, მაშაქაცად გადაცმული ნესტანი მოახტა ცხენს და გაქრა. შემდეგში გაიგე, რომ გზაში ნესტანი დაეჭირა ქაჩეთის მეფის ვაზირს და მიეგვარა მეფისათვის“.

ავთანდილმა მოისმინა ფატმანის ნაამბობი და უთხრა: ნესტანი ჩემი მეგობარის ტარიელის სატრფოა და მეც სწორედ მის საძებნელად ვარ წამოსულიო.

ფატმანმა გავზავნა გრძნეული კაცი ქაჩეთს და თან წერილი გაატანა ნესტანთან: შენს საძებრად შენი სატრფოს ტარიელის ამხანაგია მოსული და შენი ამბავი დაწერილებით გვაცნობო.

ნესტანმაც მოსწერა წერილი. როგორც ფაქტმა ისე ტარიელს დაწერილებით აცოპინებდა ქაჩეთის ამბავს და თანვე ურჩევდა: მე მაღალ ციხეში ვხვარ. იოგელივ მრავალრიცხოვანი ჯარი მახლავს, უთანასწორო ბრძოლაში დააღლებვიან და ამიტომაც ხელი აიღვი ჩემს გამოხსნაზე.

აფთხილი მსწრაფლ გამოეწერა ტარიელისაკენ. შეუდგნენ ნესტანის განთავსულებებისათვის სამშაღისს. დამხმარელ ფრიდონს მიმართეს. წინასწარ თათბირი მოაწყვეს. ციხის აღების გეგმა შეადგინეს.

მიუხედავად მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანებისა და სიძლიერისა, სამა გმირმა მცირე ჯარით მოახერხა ციხის აღება და ნესტანის განთავსულება.

ქაჩეთის ციხეში დატოვეს მცხოვრებნი. თავად კი გამარჯვებულნი გამოემგზავრნენ. თავდაპირველად ინახულეს ზღვათა მეფე და ფატმანი. აქ ვადაუხადეს ქორწილი ტარიელსა და ნესტანს. შემდეგ ფრიდონისას წავიდნენ. აქაც მეორე ქორწილი გადაიხადეს. აქედან გამოქვაბულში შეიარეს და რაც სიმდიდრე იყო, ტარიელმა ჯველაფერი ფრიდონს უტოვნა.

შემდეგ არაბეთს ესტუმრნენ. ტარიელმა ბოდიში მოიხადა როსტეკანას წინაშე -- ნადირობის დროს მონები დაგიხოცო.

თინათინისა და ავთანდილის ქორწილის შემდეგ ტარიელი ინდოეთს წავიდა. მას თან გაჰყვნენ ჯარით ავთანდილი და ფრიდონი. გზაზე გაიგეს, რომ ინდოეთის მეფე ფარსადანი გარდაცვლილა, თვით ინდოეთი კი დაუპყრათ ხატულებს. ამხანაგების დახმარებით ტარიელმა დაამარცხა ხატაელები და ავიდა ინდოეთის ტახტზე.

ერთი თვე გაატარეს ავთანდილმა და ფრიდონმა ტარიელთან, განამტკიცეს საბოლოოდ ძმური კავშირი. დასდვეს გაჭირვებაში ერთმანეთისათვის დახმარების ხელშეკრულება და დაბრუნდნენ თავ-თავის სამფლობელოში.

ასეთია ნაწარმოების შინაარსი:

• • •

რას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“ როგორც ლიტერატურული ნაწარმოები?

წინასიტყვაობიდან დავიწყით.

პოეტი აქ ორ საკითხს ეხება: ერთია პოეზია, ე. ი. რას უნდა ემსახურებოდეს პოეზია, მეღუქსეობა, ხოლო მეორე — სიყვარული: როგორი უნდა იყოს ქვემარტივი სიყვარული.

პირველი საკითხის შესახებ ძველთაგანვე ორი გარკვეული აზრი იყო ფეხმოკიდებული. მწერალთა და მკვლევართა ერთი ჯგუფი ფიქრობდა: მწერლობა საზოგადოდ და მეღუქსეობა კერძოდ — ტუბილ ხნათათვისაა განიხილი. პოეტი მღერის იმიტომ, რომ ემღერება, მას არავითარი გარკვეული პრაქტიკული მიზანი არა აქვს დასახული და არცაა მისი საქმე -- ქვეყნის ჰირ-გარამისათვის ამოქმედებდეს თავის კალამსო.

მეორე აზრი — ღრმად სწორი — ეწინააღმდეგება ამ შეხედულებას: მწერლობა საზოგადოდ და მეღუქსეობა კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოე-

ბას უნდა ემსახურებოდეს. მწერლობა გზას უნდა უკაფავდეს საზოგადოებას უკეთესი მომავლისათვის. მოკლედ: მწერლობა საზოგადოებასთან უნდა იყოს ჰირსა და ლხინშიო.

შოთა რუსთაველი მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც თავის კალამს საზოგადოების სამსახურისათვის ამოქმედებს: პოეზია სიბრძნის დარგია და ადამიანისათვის მარგი, სასარგებლო უნდა იყოსო.

მაგრამ მართო სარგებლიანობით არ ამოიწურება ქვეშაირი პოეტური ნაწარმოების რაობა. პოეტმა დიდი რამ უნდა თქვას. დიდი რამ უნდა დაწეროს.

როგორც ცხენის სიავკარგე გამოიცილება დიდი ვადარბენის დროს (პატარა მანძილზე ჩაგლაგაც კი ათონხარკდება), როგორც მობურთაღის სიკეთე გამოჩნდება მოედანზე, ისე ნამდვილი პოეტი მხოლოდ მაშინ გამომჟღავნდება, როდესაც იგი დიდი ნაწარმოების წერას შეუდგება: სწორედ მაშინ არ უნდა შეამოკლოს მან ქართული, ე. ი. მხატვრული სიტყვა და ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანს, ე. ი. კალამს, რომ დიდი, საგულისხმო, გულის გამგმირავი, სამოქალაქო მოტივებით გაუღენციღი სიტყვა თქვასო.

აღსანიშნავია, რომ შოთას დროსაც ყოფილან წვრილ-წვრილი პოეტები, რომლებიც ცხოვრებას ვერ ეუფლებოდნენ და სწერდნენ მხოლოდ სააშვიკო, სალალობო ლექსებს. შოთას არც ერთი მათგანი არ მიაჩნია ქვეშაირი პოეტად.

რას იძლევა თვით „ვეფხისტყაოსანი“?

აქ ჩვენს ყურადღებას ორი რამ იპყრობს: მეგობრობა ანუ ძმადფიცი და სიყვარული.

მეგობრობა განსახიერებელია ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის სახით, ხოლო სიყვარული — ავთანდილისა და თინათინის ერთის მხრით და ტარიელის და ნესტანის — მეორე მხრით.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი კირსა არ დამრიდად,
ჯული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

(703)

ესაა მთავარი დევიზი. რომელიც ამოქმედებს და აერთიანებს ავთანდილს, ტარიელსა და ფრიდონს. ეს განუსაზღვრელი გამტანობა და ერთგულება მეგობრისადმი ახასიათებს მთელ ნაწარმოებს თავიდან ბოლომდის. განუზრეღად და ურყევად.

ორივე ეს მომენტი — ძმადნაფიცი და სიყვარული განუყრელია, განუშორებელია, განუკვეთელია.

მეგობრობა და სიყვარული არაჩვეულებრივ ხვეულად და გადაკვდობილად გამოვლენილი მთელ ნაწარმოებში.

როგორაა ორივე ეს მხარე ნაწარმოებში წარმოდგენილი? ბრძოლის სახით. „ვეფხისტყაოსანი“ ბრძოლაა მეგობრობისა და სიყვარულისათვის, ბრძოლა. რომელშიც თანაბრად ჩაბმულან გმირნი მამაკაცი და დედაკაცი.

მეტად მძიმეა ეს ბრძოლა, მრავალი დამბრკოლება ახლავს მას თან. არაჩვეულებრივი სიძნელებითაა იგი აღბეჭდილი.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში არ არის იმდენი ტირილი, რამდენიც „ვეფხისტყაოსანში“.

მაგრამ აქედან ოდნავადაც არ გამომდინარეობს, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ პესიმისტური აღსაქმე იყოს, უიმედობის მომგვრელი, არა!

კრემლი აქ მხოლოდ ბრძოლის თანდაყოლილი თვისებათაგანია, მისი სიმძაფრის მაუწყებელია, აბა რად ეღირებოდა ნაწარმოები, რომ გმირთა საქმიანობა მცირე დაბრკოლებებით წარმოებულყო.

გმირი იმისთვისაა გმირი, რომ მან მრავალი დაბრკოლება უნდა ნახოს, მრავალივე გადალახოს ამ ბრძოლის დროს: თუ საქიროა, კრემლიც ღვაროს, იტიროს და ივაგლახოს. ვინაიდან:

თუ მოყვარე მოყურისათვის ტირს, ტირილსაც ემართლებს.

...თ უფრო დასაფასებელი იქნება გმირის გამარჯვება.

ამრიგად თუ „ვეფხისტყაოსანს“ „კრემლი სღის შეუშრობელი“. ეს მხოლოდ პოეტური ხერხია, რომ მკითხველს ეუწყოს: ნაწარმოებში მოცემული მდგომარეობა მეტად მძიმეა, ბრძოლაც, მიწნის მისაღწევი, სასტიკ პირობებში მიმდინარეობს.

ამასთანავე ეს კრემლი ლხინთანაა გადაქდობილი, მასთანაა დიალექტიკურ ერთიანობაში ანუ როგორც შოთა გვეუბნება: „დიდი ლხინია ჳირთა თქმაო“ და გმირიც, იტყვის თუ არა ჳირს, იმ წამსვე გაათეცებული ენერგიით ახალი ბრძოლისათვის ეწყობა, რომ ბოროტება საბოლოოდ დათრგუნოს და სიკეთეს გაამარჯვებინოს.

ვინაა აქ გამარჯვებული? ადამიანი და მხოლოდ ადამიანი -- არასგზიო „უზუნაესი, ზეციური ძალა“, როგორც ამას ზოგი ფიქრობს.

„ვეფხისტყაოსანი“ სწორედ იმითაა შესანიშნავი, იგი სწორედ იმიტომ ცოცხლობს დღესაც და დღეს უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, მისი თითოეული გმირის მოქმედება მაქსიმუმ ნებისყოფას წარმოადგენს და თვით ნაწარმოების კვანძის განსნა. გაკვანძვა გამარჯვებით დაგვირგვინებული, სრულიად კანონზომიერი შედეგია გმირთა დაუცხრომელი შეტევისა. მათი თავდადებული ბრძოლისა.

ავთანდილის, ტარიელის, ნესტანისა და სხვათა საქმიანობის ანალიზი ამ დებულების უეჭველად დამადასტურებელია.

1. ავთანდილს უყვარს თინათინი. მისი ერთადერთი სურვილია -- განახორციელოს სიყვარული. მაგრამ თუ სიყვარული ლხინია, მისი მოპოვება ჳირას გარეშე შეუძლებელია. აი, კიდევაც იწყება ეს ჳირი და, მამასადამე, ბრძოლებიც ამ ჳირის დასაძლევად, სიხარულის მოსამკელად.

ა) ავთანდილმა დავალება მიიღო თინათინისაგან: უცხო ყმა (ტარიელი) მონახეო, როგორც რაინდმა და შეყვარებულმა, ავთანდილმა უნდა შეასრულოს დავალება. სამ წელს ძებნა. ამ ხნის გასწავლობაში მან მრავალი ჳირი ნახა, მრავალი დაბრკოლება გადალახა და დათქმული დროისათვის მონახა ტარიელი. მამასადამე, ავთანდილი უკან უნდა დაბრუნდეს, ნახული და გავონილი აცნო-

პოს თინათინს. ამით მისი დავალება ამოიწურება. მაგრამ ავთანდილი ამ წერტილზე არ შეჩერებულა: ტარიელის ამბის მოსმენამ მის არსებაში გარდატეხა მოახდინა. მეგობრობის ცეცხლი დაანთო და კიდევაც გადაწყვიტა დაეტოვებინა თავისი პირადი საქმე, დახმარებოდა ტარიელს დაკარგული ნესტანის გამოზენაში.

ამან დღემან დამაფიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას. რაცა გიადა:
იაგუნდი ეგრეთა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
და შენ გეაზლო სიყვდილამდის, ამის მეტი არა მინდა.

(298)

იაგუნდი აქ ასალი ძალაა: იგი მშადფიცია, მეგობრობაა, მასთან შედარებით სიყვარული დასახულია მინად, რომელიც ათასჯერ რომ გაუკეთესდეს. მაინც ვერ შეედრება იაგუნდს, ე. ი. მეგობრობას: მის წინაშე სიყვარული ქედს იხრის, განზე დგება.

ბ) ავთანდილმა მთლიანად და სავსებით შეასრულა თავისი ეს გადაწყვეტილება — დაპირება. როგორც ვიცით, მეფე (როსტევეანი) წინააღმდეგი იყო ავთანდილის მეორედ წასვლისა. მიუხედავად ამისა, ავთანდილმა გადალახა მეფის ეს სურვილი, კვლად დასთმო პირადი სიყვარული და გაიპარა, ხოლო მეფეს ანდერძი დაუტოვა, სადაც ამართლებს თავის გადაწყვეტილებას, მეგობრობისათვის თავდადებას. ამ ანდერძით ავთანდილი ერთ უმშვენიერეს, უდიდეს პიროვნებად გვეკვლინება: ავთანდილი ჭირთა მთმო, მეგობრობისათვის უმძაფრეს დაბრკოლებათა გადამლახავი, ყოველგვარ ორპირობას მოკლებული, სიცრუისა და გაუტანლობის მგმობელი — ამ ანდერძში ჩანს.

მაგრამ მეგობრობისათვის ასე გადაგებული და თავგანწირული, იგი ამავე დროს თინათინისადმი სიყვარულით არის დატვირთული, დამძიმებული.

განსაკუთრებით მძლავრად ეს შემოტევა და შებრძოლება სიყვარულისა აღინიშნა ავთანდილის წასვლისას ფრიდონთან, როდესაც რაინდი მნათობთ, მიმართაეს: მძლავრია შემომტევი — სიყვარული, მაგრამ არც დამხვედურია — მეგობრობა. სუსტი. პოეტმა აქ არაჩვეულებრივად დაძაბა სიყვარულით შეპყრობილი მიჯსური, მისი — „შორით ბნედა. შორით კვდომა“, მაგრამ რამდენად მეტია დაძაბულობა, იმდენადვე უნდა იფეთქოს „ჭირსა შიგან გამაგრებამ“, მეგობრობისათვის თავდადებამ, და ავთანდილმაც კვლად დათმო ჭირი სიყვარულითა და გადაწყვიტა წაშალი ტარიელისა ძებნოს ყოვლისა ღონითა. და მოძებნა კიდევ.

ფრიდონთან ერთად ქაჭეთის ციხის აღებაში გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღო და მძღნაფიცს ტარიელს გამოახსენებინა ნესტანი. მაგრამ მეგობრობისათვის თავდადებული, იგი, ამავე დროს, იშვიათი შეყვარებულიც გამოდგა: გამარჯვებული არაბეთს მიიქცა და თინათინთან განახორციელა სიყვარული.

და ჩვენც გვზიბლავს ავთანდილი, მამაკაცთა შორის ეს საკვირველება, გასაოცრად მთლიანი პიროვნება: სალი კლდე მეგობრობისათვის, ნაზი არსება სიყვარულისათვის, მტკიცე გულით, ნებისყოფითა და გონებით.

2. მაგრამ თუ ასეთია ავთანდილი, კიდევ უფრო მიძშიდველი და წარმტაცი რაინდია ტარიელი: მისი სასული ცოცხლობს საუკუნეთა განმელობაში, ჯადმოდის თაობიდან თაობაში და ხალხში იგი სწორედ ამ თავისი რაინდობათა ცნობილი. ხოლო საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში -- სამეგრელოში, ტარიელი უკვე ზოგად სახელად იქცა და იგი მხოლოდ და მხოლოდ მოყმის რაინდის, მძლევას მძლეველის აღმნიშვნელია.

თავისი სიმტკიცე და უჩუყეკლობა ტარიელს მარტო მირად საქმისათვის როდი აქვს გამოყენებული: მეგობრისათვის იგი იმეცარავე თაუდაუბულია. როგორც ავთანდილი.

მაგრამ ტარიელი უპირატესად მაინც მიჯნურია. გრძნობას გადამეტებულად ამყოლია: იგი მთლიანად სიყვარულის გრძნობისაგან შედგება. მისი ჭკუა და გონება მთლად ამ გრძნობას ემორჩილება.

ა. პირველი დაბრკოლება, რომელიც ტარიელს სიყვარულის ხასით გადავლობა, ეს ის მომენტი, როდესაც ნადირობიდან დაბრუნებულნი, ის და ძევე ნესტანის სასახლესთან მივიდნენ და ნესტანის მხილველი ტარიელი

დაეცა, დახდა, წაუსრა ძალი მხართა და მკლავის... (მდრ. 34E)

მეშველად სიყვარული მოველინა, ნესტანი:

„მე უენი ვარ, ნუ მოკვდები, მეუო ბნედა კული მძელსა“. (376)

აქ პირველი დაბრკოლება უკვე გადალახულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ხანირი სიყვარულის მოპოვება აგრე იაფად არ შეიძლება. მისი მომუშაება მხოლოდ დიდი ბრძოლით ხერხდება და კიდევაც გაჩნდა ეს საბრძოლო -- მეორე დაბრკოლება:

ბ. ნესტანის მიჯნურობას განსაზღვრული წინაპირობა ახლავს, საზოგადოებრივი ხასიათის დავალება: ტარიელმა ხატაელებზე უნდა გაილაშქროს. მტერი დაიმორჩილოს და მხოლოდ შემდეგ განახორციელებს სიყვარულს.

სიყვარულით განმტკიცებული გაემართა ტარიელი ხატაეთს; სულ მოკლე ხანში გაიმარჯვა და დიდი ალაფით დაბრუნდა შინ.

ამრიგად, დავალება შესრულდა, ნესტანის დაპირებაც უნდა განხორციელდეს. არა, ჯერ კიდევ ადრეა: თუ საბოლოოდ ღზინი გინდა, ჯერ კიდევ ჭირი უნდა განიცადო. ეს ახალი ჭირიც მოვიდა -- მესამე დაბრკოლება.

გ. ნესტანისათვის საქმროდ ხვარაზმელი მოჰყავთ. აქ ბრძოლა უფრო სასტიკ ხასიათს იღებს: თუ აქამდე დაბრკოლებები შედარებით ადვილია გადასალახავი იყო, ეს იმიტომ, რომ ისინი, დაბრკოლებები, შიგნიდან ჩნდებოდნენ. ახლა კი გარეშე ძალა მოდის, რომელმაც საბოლოოდ უნდა შეცვალოს ტარიელის „ბედნი“. სწორედ აქაა ტარიელისათვის „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი და მიტომ საშუალებაც, დაბრკოლების გადალახავი, უკიდურესია გამოჩახული. სასიძოს მოკვლა. ამასთანავე ამ ბრძოლაში ორივე თანაბრადაა ჩაბმული: ტარიელი-ნესტანი.

სასიძოც მოიკლა, მეტოქე მოშორებულა. ახლა მაინც უნდა განხორციელდეს სიყვარული; არა. რადგან:

მარგალიტი არვის მიხედვს უსასყიდლოდ. უვაკრელად. (162)

და ეს მარგალიტი უკვე აღარ არის: სასიძოს მოკვლით განრისხებულმა დავარმა ნესტანი ფიზიკურად დასაჯა. შემდეგ კიდობანში ჩაასმევინა და დააკარგვინა — მეოთხე დაბრკოლება:

დ. გასაგებია, თუ რა მენი დაატყდებოდა ტარიელს. ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ მალე მისწვდებოდა თავის საწადელს და ამის ნაცვლად ნესტანის ღმობა სულიერი, გვემა ფიზიკური და მისი „წარხდომა“ გაურკვეველობაში.

როგორ იმოქმედებს ეს გარემოება ტარიელზე: ჩაკლავს მასში ბრძოლის უნარს, თუ ისევ ახალი ცეცხლით აღანთებს? მდგომარეობა მეტად მძიმეა, მაგრამ ოხვრა და კვნესა უადგილოა, ყოველი წუთი ძვირფასია და ტარიელმაც შეაგროვა ერთგული ხალხი და მსწრაფლ გაიკრა სატრფოს საძებნად. პთელი წლის განმავლობაში ძებნიდა. ყველა მხლებელი დაეხოცა. მაგრამ მაინც არ დატბრა.

ე. ბრძოლა ძლიერდება. ამ მომენტში ერთი კაცის ძალა შეიძლება უკმარი იყოს მის საწარმოებლად, ამიტომ ტარიელის დამხმარედ ავთანდილი მოდის. თაოსნობაც ავთანდილის ხელში გადადის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტარიელმა თავი ანება საყვარულს, მოღბა, მოეშვა. პირიქით: სიყვარული არაჩვეულებრივად გამძაფრდა და არის წუთი, ფიქრობ, რომ იგი კიდევაც გადაიყვრებს შეყვარებულს. სწორედ ასეთ ყოფაშია ტარიელი ვეფხ-ლომთან ბრძოლის შემდეგ.

რა მოუვა გმირს, დაეცემა იგი ბრძოლაში, თუ გაიმარჯვებს?

გაიმარჯვებს: რა უფუთ, რომ ახლა ჰირია? იგი აუცილებლად ლხინით შეიცვლება: რა ექნათ, რომ ახლა ბოროტებას შეუპყრისარო? „მაგრამ ტკბილსა მწარე პოებს“, „ლხინსა ვერვინ მოიმკის ჰირთა უმუშაკო“.

და ჩვენც ვხედავთ „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან“ და

ბოროტსა სძლია კეთილმან. — არსება მისი გრძელა. (1361)

ვ. იწყება დრამის უკანასკნელი მოქმედება: ქაჯეთის ციხის აღება, ნესტანის განთავისუფლება. მთავარი ამ ბრძოლაში, მოწინავე — ტარიელია:

კაცსა უკრავდ დაბნედის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჯარსა ფრეწლის, გაცუდლის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.

(1416)

გათავდა ომი. მრავალ ბრძოლათა შემცველი, მეტად ხანგრძლივი იყო იგი. თვით ბრძოლებიც ერთიმეორის უფიცხესი. ამ ომმა მსხვერპლი დიდი შეიწირა. მაგრამ სამაგიეროდ ნაყოფიც დიდი გამოიღო და ტარიელმაც: აქანამდის ჰირნახულმა, ამას იქით გაიხარა.

3. ამგვარი არიან სიყვარულისა და მეგობრობისათვის მებრძოლნი „ვეფხისტყაოსნის“ მამაკანცი ვმირები. არანაკლებ მტყიცედ და ურყევად გვეძლინებიან გმირი ქალები — ნესტანი ია თინათინ.

ნესტანი „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირია. პოეტმა მრავალი დაბრკოლება შეუქმნა მას, არაჩვეულებრივად მძიმე საბრძოლველი დაუხასხა და მისი პიროვნება. საბოლოოდ გამარჯვებული, შეყვარებულის იშვიათ, უღამაზეს სახედ დაგვიხატა.

ნესტანისათვის არ არსებობს არავითარი ზღვარი და დაბრკოლება, რომლის გადალახვა არ არსებობდეს სიყვარულისათვის.

სწორედ ნესტანი არის მზიდავი სიყვარულის მთელი სიმძიმისა ნაწარმოებებში, იგია უპირატესად სიყვარულის „ქირსა შიგან“ გამაგრებული. მისი წამყვანი. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მის ბადალი არა ჰყავს არც ერთს ლიტერატურაში.

თავის სიმტკიცეს, მელეგობას და განუსაზღვრელ სიყვარულს ტარიელისადმი ნესტანი ყველგან იზენს, ნაწარმოებრს მთელ სიერცეზე.

განსაკუთრებით ურყევი და შეუპოვარია ნესტანი ქაჩეთის ციხეში: მის ქანებისყოფამ სწორედ აქ მოიყარა თავი, აქ დაუნჯდა იგი, უდიდესმა დაბრკოლებამ უდიდესი ძალგულოვნება დაბადა მასში, და ნესტანიც დგას ჩვენ წინაშე მიუწვდომელ სიმაღლეზე, როგორც ქალთა შორის უპირველესი. მისი ეს სიყვითე განსაკუთრებით იმ შესანიშნვე წერილში დაიწერა, რომელსაც იგი ქაჩეთიდან სწერს ტარიელს. ნესტანი მთლიანად. თავისი ქირითა და უმაჯალითო გამტანობით, ამასთანავე თავისი სინაზითა და გარდამეტებული სიყვარულით ტარიელისადმი, ამ წერილშია ჩაქსოვილი. თითოეული სიტყვა გრძნობაა უმშვენიერესი, სამარადისოდ საგულევებელი.

ნესტანთან შედარებით თინათინს მცირე როლი აქვს ნაწარმოებში, მაგრამ აქაც, ამ მცირე ასპარეზზედაც, იგი იმდენად გარკვეულია, რომ თავისი სიკეთით მთლიანად ეთანაბრება ნესტანს: დაუცხრომელი მებრძოლი თავისი სიყვარულისათვის, თინათინი მეგობრობისათვის ყოვლის მეგობრის უმტკიცესაა. და არის მომენტი, როდესაც იგი ჩრდილავს თავის სიყვარულს, მას პირად საქმედ მიიჩნევს და ავთანდილს საზოგადო საქმისათვის გადართავს, ამასთანავე სიტყვას აძლევს: ქმრად უშენოდ არვის ვინდომებო. თინათინმა შეასრულა თავისი სიტყვა: ყოკობი და დაუფრჭვენელი, იგი ავთანდილს ვარდი დახვდა დაუმკნარი.

„ვეფხისტყაოსანში“ სხვა მოქმედი პირნიც არიან: ფრილონი, შერმადინი, ასმათი, ფატმანი, მაგრამ ყველანი ისინა მხოლოდ მთავარ გმირთ ეხმარებიან. საქმიანობენ იმდენად. რამდენად ეს საჭიროა ნაწარმოების დედააზრის — მეგობრობისა და სიყვარულის სათანადოდ გასაშლელად, სათანადოდ განსახორციელებლად.

4. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი თნრობა საყვება მრავალი ბრძნული თქმულებით, რომელშიაც მეტად მოკვეთილად მოცემულია იმდროინდელი შეხედულება ადამიანის ცხოვრების გზაზე დასმულ სხვადასხვა საკითხის შესახებ. მრავ-

ვალი ამ თქმულებათაგანი ხალხმა ისე შეიტკბო და შეიყვარა, რომ დღეს ზე-
რად ძნელი გამოსარკვევია, შოთამ აიღო იგი ხალხისაგან, თუ პირიქით: ხალხმა
მიიღო შოთასაგან. აქ ხალხი და შოთა გაერთიანებულია და ამაშია სილიადე
„ვეფხისტყაოსნისა“.

ბრძნული თქმულება-ანდაზები განსაზღვრულ სოციალურ გარემოცვაშია
წარმოშობილი და, ბუნებრივია, მრავალი მათგანი ახლა მხოლოდ ისტორიული-
ღირებულებისადაა მართოდენ, მაგრამ ბევრს დღესაც არ დაუქარგავს მნიშ-
ვნელობა, დღესაც აქტუალურია. ა. ზოგიერთი მათგანი:

1. ავსა კაცსა ავი სიკვება ურჩევნია სულსა, გულსა.
2. არ შეუღრკების ქაბუკი კარგი მსწვილთა კვეთასა.
3. ასი გმართებს გაგონება, არ გვეოფის არ, ერთხელი.
4. გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა რბილისა.
5. თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენიბი.
6. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდენის.
7. მარგალიტი არვის მიხედეს უსასუიდლოდ. უფაქრულად.
8. მოყვარე მტერი ყოველისა მტრისაგან უფრო მტერია.
9. რამცა სადა გაუმარჯუდა კაცსა, ღვიცის გამტეხელსა.
10. რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულთა.
11. სიკრუე და ორპირობა ეგნებს ხორცსა, მერმე სულსა.
12. სქობს სახელისა მონევეა ყოველსა მოსახევეკელსა.

და სხვა მრავალი.

ასეთია „ვეფხისტყაოსანი“.

რითაა იგი საგულისხმო ჩვენთვის, საბჭოთა მშრომელებისათვის?

ა) როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოები მხატვრულად გადმოგვცემს მეგობ-
რობის მარადიულ სიმტკიცეს:

ავთანდილი არასდროს არ უღალატებდა ტარიელს;

ავთანდილისათვის უცნობია სიკრუე და ორპირობა;

მისთვის მტერი, მოყვარად შემოპარული, ყოველ მტერზე უფრო საზიზ-
ღარია.

ბ) პოემა გვიხატავს აგრეთვე წმინდა, სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ
გასატან სიყვარულს.

გვიბღლავს გმირთა ეს თვისებები, რადგან ისინი, ვ. ი. მეგობრობა, სიყვა-
რული, ყოველგვარი ორგოფობისა და ორპირობის უარყოფა, ზნეობრივი ძთლი-
ნობა — სოციალისტური შინაარსით გაქლენთილა. პატიოსნება, კეთილშობი-
ლება, გმირობა, პირდაპირობა — ჩვენი საბჭოთა მშრომელების თვისებებია.

მხოლოდ ჩვენმა ეპოქამ დაამკვიდრა ადამიანის ბედნიერება. ადამიან-
ის უფლება სიყვარულისა და მეგობრობისა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დაადასა: „ვეფხისტყაოსანი“. მისი
750 წლისთავის იუბილე გადააქცია ნამდვილ სახალხო ზეიმად.

რითაა ძვირფასი რუსთაველი

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მაღალი ეთიკური იდეალებით არის გამსჭვალული. მასში სიყვარულისა და მეგობრობის იდეა შემოსილია იმ მაღალი მორალის შარავანდედით, რომელიც ადამიანის სიდიადეს გამოხატავს.

ორივე ეს მომენტი — ძმადმიეცი და სიყვარული განუყრელია. განუყრეთელია, უერთურთოდ წარმოუდგენელია. მეგობრობა და სიყვარული წიოვლად ხოლოვით გავლებულია მთელ პოემაში.

სიყვარული რუსთაველის პოემაში ზნეობრივი განახლების წყაროა. იგი მიჯნურისაგან მოითხოვს არა ტრემლებსა და ოხერას. არამედ საგმირო საქმეებს.

მეგობრობა, გმირობა და თავდადება პოემაში დასახულია. როგორც ადამიანის მოქმედების უმაღლესი ნორმა. მეგობრობა პოემაში წარმოდგენილია არა როგორც ადამიანთა ჩვეულებრივი ყოფაცხოვრებითი ურთიერთობა. არამედ როგორც საძირკველი, რომელზედაც შენდება საზოგადოება. გმირი, რუსთაველის გაგებით, იმიტომაა გმირი, რომ მან მრავალი დაბრკოლება უნდა მახოს. გმირობა უნდა დასძლიოს ბოროტი, რათა სიკეთემ გაიმარჯვოს.

მეგობრობა — პოემის ეს ძირითადი ლეიტმოტივი, რომელიც ზოგადკაცობრიულ იდეებს ემსახურება, მახლობელია ჩვენთვის, ჩვენი ეპოქის ადამიანებისათვის.

რუსთაველი ქადაგებს ძმობას არა მარტო ადამიანთა შორის, არამედ ხალხთა შორისაც. რუსთაველის ეს იდეა მახლობელია ჩვენი ეპოქისათვის. როდესაც გამარჯვებულია საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, როდესაც აყვავებულია უფრომით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

„რუსთაველმა ჩაახშო საშუალო საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა კაცთმოდულე ღრიანცელი და იმღერა მგზნებარე სიმღერა ადამიანზე, თავისუფლების. სიყვარულისა და ბედნიერების მის უფლებებზე“. („პრავდა“). რუსთაველმა უმღერა სიცოცხლეს, სამშობლოს, მთელ კაცობრიობას, მისი გმირებას ზედადსხვა ეროვნებათა ადამიანები არიან, ერთი მიზნითა და მისწრაფებით გამსჭვალულნი. მათი მეგობრობა, მათი ბრძოლა მემართულია სამშობლოს სწინხლარ მოლაღატეთა და გამცემელთა წინააღმდეგ.

იდეა სხვადასხვა ხალხთა შრობისა. რომელნიც გაერთიანებული არიან ერთ-
აზრითა და ერთი გულისტქმით. კეთილისა და სიმართლის სამსახურის საქმეში,
ამ გმირების მებრძოლი ოპტიმიზმი და მგზნებარე პატრიოტიზმი ამტკიცებს
ყველა დროს ადამიანთა შეგნებაში სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების
გრძნობას.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალები გვაცვიფრებენ თავიანთი საღი ჭკუითა
და ნებისყოფით. ქალები რუსთაველის პოემაში სანელმწიფოს სათავეში დგა-
ნან და დამოუკიდებლად მართავენ მას. ისინი გმირობას შთააგონებენ რაინ-
დებს. რუსთაველი ჩვენთვის იმითაა საყვარელი, რომ მან საშუალო საუკუნეთა
შაგბნელ ეპოქაში აღიარა კაცისა და ქალის თანასწორობა.

აი, რატომაა, რომ შოთა რუსთაველი ეკუთვნის მსოფლიო კლასიკური ლი-
ტერატურის იმ გენიათა რიცხვს. რომელნიც ინარჩუნებენ მიუწვდომლობას და
მარად უკვდავნი არიან.

რუსთველოლოგიის ისტორიისათვის

ნიკო მარი

როდესაც ნ. მარის როგორც მსოფლიო მეცნიერის - შესახებ ლაპარაკობენ, უმთავრესად და უპირველესად მის საენათმეცნიერო შრომებს ემყარებიან. უდიდესი მასშტაბის მეცნიერად მას აქ თვლიან. ასეთია მთელი რიგი შრომები, რუსულსა და საბჭოთა კავშირის დანარჩენ ენებზე გამოსული. აქ ყველგან ნ. მარის პროფილი მოცემულია მხოლოდ და მხოლოდ როგორც ენათმეცნიერისა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, უგულებელყოფილია აკადემიკოსის მუშაობა. იშვიათი როგორც რაოდენობით, ისე განსაკუთრებით სარისხოვნობით, მუშაობა მეცნიერების სხვა დარგებიდან, როგორცაა: ისტორია, მატერიალური კულტურა, ხელოვნება, და განსაკუთრებით ლიტერატურათმცოდნეობა, კერძოდ ქართული ლიტერატურათმცოდნეობა.

არც ერთ ამ დარგში ნ. მარი არ ყოფილა უბრალო, ასე ვთქვათ, რიგითი მომუშავე. ყველგან საკითხის იშვიათი დასმა, ყველგან დაუნჯებულად მოცემული, მაქსიმალურად ამომწურავი პასუხი: მარისებური სიღრმე, მარისებური სიდიადე. ეს ხ ა რ ი ს ხ ი თ. რაც შეეხება რაოდენობას. -- მთელი თაობაა საჭირო, ნ. მარის ეს შემკვიდრეობა რომ სათანადოდ დაამუშაოს და აითვისოს.

ამგვარია ლიტერატურათმცოდნეობიდან

1. წერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამო (თეატრი, 1890. № 12).
2. ორიოდ სიტყვა შაჰ-ნამეს ქართული თარგმანის შესახებ (ივერია, 1891. № № 132, 133, 135).

3. Персидская национальная тенденция в грузинском романе «Амирандареджаниани» (ЖМНП, 1895).

4. Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из «Русуданиани» (Восточные записки, 1895).

5. К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую (ЖМНП, 1897, март).

6. Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести «Амирандареджаниани» (ИАН 1899).

7. Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы (ЖМНП, декабрь, 1899).

8. Древнегрузинские описцы. 1902.

9. Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII в. 1909.

10. Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой шкуре» Шоты из Руставы. 1910.

11. Георгий Мерцл. Жизнь Григория Хандзтийского. 1911.

12. Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема. 1917.

13. Памяти моего слушателя Терпана. 1932.

14. Из грузинско-персидских литературных связей. 1925. -

15. К Rustaveli-на. 1927.

16. История грузинской словесности (დაუბეჭდავი).

ამას გარდა, მ ა რ ის თითქმის ყველა საენათმეცნიერო შრომისა მრავლად მოიპოვება ამა თუ იმ ქართული ლიტერატურული ძეგლის. კერძოდ: „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მეტად საგულისხმო გამოთქმანი, რაიც თავისი მნიშვნელობით ხშირად მთელ გამოკვლევას უდრის.

ასეთია:

1. Ossetica-Jafetica, 1918.

2. В тупике ли история материальной культуры? 1923.

3. ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მახედვით. 1925.

4. La langue géorgienne, 1928.

5. Die georgische Sprache, 1929 და სხვანი.

ამხანად მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ დაწერილებზე მინდა შევჩერდე, შევებო ნ. მარს როგორც რუსთველოლოგს, რადგან:

ა. არც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებზე ნ. მარს არ უთქვამს და არ უწერია იმდენი, რამდენიც თქვა და დაწერა „ვეფხისტყაოსანზე“.

ბ. არც ერთის თქმულისა და დაწერილის შესახებ ნ. მარს არ შეხედრია იმდენი გულსიწყრომა და საყვედური, რამდენიც „ვეფხისტყაოსნისათვის“, მეტიც: თუ თავის დროზე ნ. მარსი საზოგადოების ერთი ნაწილისათვის მიუღებელი იყო, — ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ უსაფუძვლო შემცდარი პოზიციის გამო, რომელიც დიდმა მეცნიერმა დაიკავა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სადაურობის საკითხში.

რომელი იყო ეს პოზიცია?

„ვეფხისტყაოსანი“ მეტად რთული მოვლენაა. საკითხიც მის ირგვლივ მრავალი იყო დასმული. ნ. მარსიც წერდა ყველა ამ საკითხზე. წერდა მეტად წარმატებით, ისე როგორც არავეინ სხვა. მაგრამ ნ. მარსის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, ჭერ ერთი, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ქართულ წარმოშობას უარყოფდა, და ამასთან ეს შემცდარი დებულება იმდენად წინ წამოსწია და კვლევა-ძიების ცენტრში დააყენა, რომ პოემის შესახები სხვა არსებითი მხარეების შესწავლის საქმე სრულებით არამართებულად დაჩრდილა. თუმცა ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის ვარკვევა. მისი დედნის ქართულობის დამტკიცება საზოგადოების ერთი ნაწილისათვის საქართველოს ყოფა-არყოფნის საკითხად იყო მიჩნეული. — უფრო ფართო. უნივერსალური გაქანების ხალხს (ამგვარი ხალხიც იყო მაშინ). ეს საკითხი მეორე და მესამე, საერთოდ უკანარიგისად მიიჩნდა. მთავარი აქ ნაწარმოებთა და ხალხის (იმდროინდელი ხალხის და მისი ყოფის) ურთიერთობაა, და არა

ის, თუ საიდან აიღო შოთამ მასალა თავისი ნაწარმოებისათვის. — ამბობდა: საზოგადოების ეს ნაწილი, მაგრამ იმ ხანებში ნაკლებად თუ ვინმე უგულებლად ყურს ამ განცხადებას.

ვინ იყო ამ უკანასკნელი ახრის განმცხადებელი? რამდენიმეთაგან მხოლოდ ერთს დავასახელებ: ყველაზე უფრო მკაფიო და ნათელ გამოშეტყველად ამ ხაზით უეჭველად ნიკო ნიკოლაძე უნდა ჩაითვალოს.

მე-20 წლების მიწურული იყო „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის საკითხში საზოგადოება კვალად დაინტერესა.

ამხანად საკითხის დასმა ხ. დ. (ივ. ჯაბადარს) მიეკუთვნება. მან მთელი რიგი წერილები მოათავსა უფრო „Северный Вестник“-ში „Письма о Грузии“-ს სათაურით. აქ საქართველოს წარსული კულტურა უეჭველად ტენდენციურობით, უარყოფითად იყო დახასიათებული, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“. წერილებმა დიდი აღელვება გამოიწვია საზოგადოებაში. ჯაბადარს ეკვეთებენ.

ხ. ნიკოლაძემ საკითხის გამო რამდენიმე წერილი მოათავსა *Письма Ойчур-ში*.

აი, რას წერდა ნიკოლაძე:

В грузинском обществе смятенне: пашелся «нечестивец», усомнившийся в самобытности Шота Руставели, творца «Барсовой кожи». Сомнения свои сей Заалазанский Герострат изложил—о, ужас, на русском языке, и предал тиснению в либеральном «Северном Вестнике», под заглавием «Письма о Грузии».

Во-первых, мы не понимаем, что собственно хотел доказать этим замечанием автор «Писем о Грузии».

Займствовал-ли Руставели канву своей поэмы у персиян, или из своей головы сочинил он ее, или хоть слово в слово перевел ее от доски до доски, — разве не все равно это с точки значения «Барсовой кожи» в истории грузинской литературы и грузинского развития?

Серьезен тут один только вопрос: да, или нет: «Барсова кожа» служила ли в течение шести столетий настольной книгой грузин всех областей грузинского царства? А раз она зачитывалась наизусть, раз ее выражения превратились в поговорки, раз ее сентенции стали основой грузинской морали, книга эта становится документом для суждения о народе, ее присвоившем и ею проникшемся, все же остальные стороны уходят на задний план, ступшеваются для всякого серьезного мыслителя и критика.

С другой стороны, что же значит это «займствование»? Гете, как известно, не из своей головы выдумал «Фауста», а целиком заимствовал и имя своего героя и имена его наперстников, и сюжет своей поэмы и ее детали из «Подлинной истории тяжких грехов доктора Фауста», сочиненной Видманом с лишним за три столетия до выхода в свет великого произведения. Такую-же поэму — трагедию, как и гетевскую, написал о том же Фаусте и под тем же заглавием Марло, в дни Елисаветы Английской, за два века до Гете. Неужто поэтому «Фауст» Гете не оригинален, не самобытен, не велик, не бессмертен? Или кому же, в наши дни, не общеизвестно, что Шекспир «займствовал» чуть-ли не все свои сочинения из английских дра-

матических пьес, состряпанных до него на основании итальянских и французских новелл? Кто не знает, что знаменитая «Ромео и Джульета» взята Шекспиром из английской переделки Лунджи да Порта и Бонделло, что «Венецианский купец» позаимствован из Пекороне и Боккаччо, что сюжет «Гамлета» дан Шекспиру датскими летописями XIII века, что «Король Лир» переделан из драматических пьес, дававшихся на английских сценах в 1590 г., т. е. за несколько лет до сочинения Шекспиром его бессмертной трагедии?

Мы могли бы продлить этот список, для этого стоило бы только раскрыть труды Франсуа-Виктора Гюго.

Что-же, неужто Шекспир перестает быть всесветным гением перво-классной величины, потому только, что любой гимназист может доказать, что он «заимствовал» отовсюду сюжеты, собственные имена и детали своих пьес? Думать и утверждать это,—значило бы впасть в колоссальную ошибку, принимая фабулу и внешние стороны сочинения за то, что составляет их существо, величие и силу.

(Новое Обозрение, 1889 г., № 2022. Византийские споры).

თავის წერილებში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ნ. დ. სხვათა შორის ამბობდა:

Культ женщины, замечательный в «Барсовой коже», заимствован Руставели у персидского поэта Низами, но так как Грузия в эту эпоху коснела в безразличности и не ведала уважения к женщине, то Руставели выразил идеалы Низами в жалкой форме, не достиг уровня своего образца.

ამაზე ნ. ნიკოლაძე უპასუხებდა:

Что, «Ленла и Меджнун» действительно проникнута эмансипационной тенденцией, в этом я имею основание сомневаться, но скажите на милость, неужто среда, где процветали и процветают гаремы, была благоприятнее для развития человеческого отношения к женщине, чем та, которая окружала грузинского поэта. Неужто Руставели, живя в стране, поклонившейся Нине и возвеличенной Тамарой, не вокруг себя, а в гаремной Персии, должен был искать идеалов женского культа. (Новое Обозрение, № 2022).

ასე სწერდა ნ. ნიკოლაძე თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ. და სამწუხაროდ, მისი უეჭველად სალი აზრი (თუ, რასაკვირველია. აუცილებლად გაეანგელებოთ იმ მოსაზრებას, რომლითაც ნიკოლაძე ქალის კულტის განვითარებას მთლიანად და სავსებით წინოსა და თამარს უკავშირებს). უეჭველად სალი აზრი, დღესაც ბევრს ვერ აუთვისებია.

კამათში მონაწილეობა ახალგაზრდა ნ. მარმაც მიიღო. ნ. ნიკოლაძესთან შედარებით მისი პოზიციები უეჭველად უკან იყო.

თი რას წერდა იგი ტფილისის ჟურნალ „თეატრში“ (1890).

„კითხვა: ვისი ქმნილებაა ვეფხისტყაოსანი, ერის თუ რუსთველის. უნდობლად არის დასმული. თვალსაჩინო საკითხი აქ ეხება თვით შინაარსს. თუ ასეა და ჩერ ვინ დაამტკიცა, რომ რუსთველი ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი? ან ის, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული ქმნილება არის შინაარსის მხრივაც. ვინ დაგვიმტკი-

ცა იმდენად, რომ ახლა მის მეტი სიუჟეო და საძიებელი არ ვაგვიჩიუდეს რა: მართო რუსთაველის შექმნილია პირველიდგანვე „ვეფხისტყაოსანი“. თუ ხალხის. მთელი ქართველი ერისა... მე სრულ ქვეშაირებდად მომაჩნია რუსთაველისავე სიტყვები. რომ მას სპარსულიდგან ამბავი უნდა გავლექსოს. რამდენად შესცვლა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა. ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავ“.

შემდეგ ნ. მარო მიუთითებს ლონდონის მუზეუმს, სადაც. როგორც კატალოგიდან ჩანს, უნდა იყოს დაცული სპარსული ხელნაწერი „შაჰრიარ-ნამე“. რომელიც ტარიელის ამბავს უნდა შეიცავდესო. და თუ ვინცობაა „შაჰრიარ-ნამე“ სხვა რამე აღმოჩნდა და არა „ვეფხისტყაოსნის“ დედანი. სხვა „შაჰრიარ-ნამეთა“ მოპოვება და გასინჯვა იქნება პირველი ვალდებულება, როცა სიტყვა შინაარსის სადაურობაზე ჩამოვარდებო.

ასე წერდა ნიკო მარი პირველად „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. და უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს ამ შემთხვევაში სიღრმე აკლია, იგი მეტად მარტოვად წყვეტს პოეტურ ნაწარმოებთა სიუჟეტის საკითხს საზოგადოდ.

ამიტონაც იყო ნიკო მარს ეგ თქმა არ აპატიეს. და შემდეგ. დიდი ხნის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრი რამ. მართლაც უცხო და მარგალიტი თქვა შოთას შესახებ. ყველაფერს იფიქვებდნენ და დიდი მეცნიერის მხოლოდ ამ პირველთქმას, ახალგაზრდობის პირველთქმას იგონებდნენ.

მაგრამ რა თქვა ნ. მარმა შეშდეგში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ?

სპეციალურად „ვეფხისტყაოსანს“, ამ პირველი წერილის შემდეგ. ნ. მარი დიდხანს არ შეხებია. ისე კი, გაკეროთ. სხვა საკითხების გარჩევისას, მოკლე. მაგრამ მრავალმეტყველ სიტყვას შოთას შესახებ ხშირად ამბობდა.

ნაწარმოების სადაურობის შესახებ ამ ხანებშიაც ნ. მარი არსებითად ისევე ძველ პოზიციაზე დგას.

ასე: ძველ ქართველ მებრტბეთა შესახებ დაწერილ თავის იშვიათ გამოკვლევაში ნ. მარი ბევრს ლაპარაკობს „ვეფხისტყაოსანზე“, კერძოდ მისი წარმოშობის შესახებ შემდეგს წერს:

[Руставели] бесподобный художник слова, который силой лишь чарующей музыкальности своих стихов сумел придать национальный грузинский облик персидской переводной повести и сделать его народным достоянием. (Одописцы, 51).

Весьма возможно, что внимательное изучение «Барсовой кожи» откроет в ней в этой стихотворной обработке переводного персидского романа, сознательную обрисовку знакомых грузину автору типов и явлений в поэтических намеках, особенно ясных для современников. До известной степени эта поэзия намеков чувствуется и теперь.

აქ თუ გარდატეხა არა, გარდატეხის ნიშნები უეჭველად ჩანს, ერთგვარი ხოდის გადება ახალ პოზიციაზე გადასასვლელად უცილობლად იგრძნობა. ეგვეუ აშკარად ჩანს „История Грузии“-შიაც, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ კვლად საგულისხმო გამოთქმანი მოიპოვება (გვ. 33).

1910 წ. ნ. მარმა „ვეფხისტყაოსანს“ მთელი გამოკვლევა უძღვნა. ცალკე წიგნი: Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой шкуре» Шоты из Рустава. Культ женщины и рыцарство в поэме.

რა გვითხრა ამ გამოკვლევით ახალი ნ. მარმა? პოემის სადაურობის საკითხში ავტორი თითქმის ძველ პოზიციასზე დგას:

Сюжет ее (Вепхис-Ткаосани) заимствован из персидской литературы, но на персидском языке до сих пор не находим подлинника, или хотя бы каких либо следов его; персидская повесть разработана по-этом для грузин XII—XIII веков (1).

ამ აზრს უფრო ხაზგასმით, უფრო მოკირებული ფერით გამოკვლევის სხვა ადგილსაც გადმოგვცემს მკვლევარი. სახელდობრ, როდესაც ეკამათება ი. აბულაძეს, რომელსაც თავის თხზულებაში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ შემდეგი გამოთქმა აქვს: ის (იგულისხმება სპარსული მოთხრობა) იყო ამბად ნათქვამი, ეს კი (ე. ი. „ვეფხისტყაოსანი“) წყობილი მარგალიტია. ის იყო ჩონჩხი, ეს კი — გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებიაო. ნ. მარმა არ ეთანხმება ი. აბულაძეს:

Такое утверждение в первой своей части, в отношении персидской повести, пока является предвзятым мнением, ни на чем не основанным, так как прежде всего отнюдь не доказано, что Руставский поэт взял лишь краткий сюжет из персидского подлинника; наоборот, насколько пока исследован вопрос, все клонится к подтверждению того, что Шота говорил правду, когда себе приписывал честь «стихотворного переложения» (XI).

აქ ისევ უკან დახევაა. თითქმის პირველად უმართებულო პოზიციასზე დაბრუნებაა, მაგრამ გამოკვლევაში მთავარი ეგ არ არის, სიუჟეტის სადაურობის საკითხი აქ გსადაგსა და სხვათაშორისია. მთავარი აქ სხვა არის, სახელდობრ:

აქ. ამ შრომაში, ნ. მარმა პირველად და პირველი შეეცადა დაუფლებოდა „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობას. მართალია, დღეს, 25 წლის შემდეგ, როდესაც მეტი მასალა მოგვეპოება ნაწარმოების შესასწავლად, ზოგ რაშიმე: — წინასიტყვაობის ამა თუ იმ სტროფის სიყალბე-სინამდვილის შესახებ — არ შეიძლება დავეთანხმეთ ნ. მარს. თვითონაც არ იზიარებდა ზოგ რაშიმე შემდგომ, მაგრამ ერთი კი ცხადად უცხადესია: ამ წინასიტყვაობის გააზრებება, ნაწარმოებში მოცემულ რაინდულ კოდექსის გაგება, პოეზიისა და პოეტის დანიშნულების შესახებ შოთას დეკლარაციის გარკვევა, — შესაძლებელი გახდა მხოლოდ ნ. მარის ამ კლასიკურ შრომის საშუალებით. მაგრამ არც ესაა მთავარი ამ გამოკვლევაში.

რაინდობა და ქალის კულტი — აი, რა იპყრობს ჩვენს ყურადღებას ამ ნაწარმოებში.

გაკვირთ. თითო-ოროლა გამოთქმა, როგორც რაინდობაზე. ისე ქალის ამაღლებულ თავაჯანებაზე. ზოგიერთ წინანდელ მკვლევარსაც მოეპოვება. მაგრამ სპეციალური გამოკვლევა საკითხის შესახებ პირველად ნ. მარმა მოგვცა და რაც მთავარია. ხაზგასასმელია — როგორც ერთი ინსტიტუტი (რაინდობა — პატრონეჟობა — ძმადმციცი), ისე მეორე (ქალის კულტი), ნაწარმოების მიხედვით გამოვლინებული. შეჭერებულია საქართველოს XII საუკუნის ცხოვრებასთან და მასთანაა მტკიცედ დაკავშირებული¹.

¹ ამ მხრივ გამოკვლევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: თუ შემდეგში „ვეფხისტყაოსანში“ გაფანტულ რეალიების ძიება და მათი უმკველი კავშირი ჩვენი ქვეყნის სათანადო მოვ-

მართალია. ერთ ადგილას მკვლევარი ამბობს, რომ: явление, аналогичное рассмотренному рыцарству, могло быть и в Персии, и тем не менее есть основание думать, что в древней Грузии, рыцарь кня иштануки — продукт местной жизни, родной институт, а не заимствованное культурно-социальное понятие (XXXVII).

ახლა. Если бы такая трактовка (женской любви) и была в персидском подлиннике, это отнюдь не устранило бы чисто местного исторического момента из вопроса о культе женщины, ярко выступающем в «Витязе в барсовой коже». Важно то, что в Грузии к концу XII века были условия для развития этого любопытного явления в литературе.

ასე ლაპარაკობს დიდი მკვლევარი, და ეგ თქმა ჩვეულებრივი მისი სიფრთხილეა ამა თუ იმ საკითხის განხილვისას, პოზიციების თანდათან დაპყრობა და არა უცხო ელემენტების ნაძალადევი ძიება „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ეს ზოგიერთს ეგონა. და ეს რომ აგრეა, ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ აქვე, ამ ტრაქტატში, პირველად გაშლილად მოცემულია ნეოპლატონიზმის კვალი „ვეფხისტყაოსანში“, ნეოპლატონიზმისა, რომელმაც დაამსხვრია ქართველების ვიწრო ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი კარჩაეტილობა და შესაძლებელი გახადა საქართველოს ნიადაგზევე მომხდარიყო ორი ქვეყნის, ქრისტიანულ-მუსულმანური ქვეყნის, იდეალების შედუღება და, ქართულ წარმართობასთან ერთად, მისი გამოვლინება ახალის, სინთეზურის სახით.

ასეთია ნ. მარის ძიება „ვეფხისტყაოსნისა“ ამ ეტაპზე. არას ვამბობ იმ ფილოლოგიურ, საენათმეცნიერო ხასიათის ცალკეულ დაკვირვება-ანალიზზე, რაიც მოცემულია ხსენებულ გამოკვლევაში და რაიც საგრძნობლად აადვილებს ნაწარმოების ამა თუ იმ ბუნდოვანი ადგილის გაგებას.

სხვათა შორის, აქ პირველად შესწორებულია უმართებულო „ხ შ ი რ ი ს ა“ სიტყვით „შ ე რ ი ს ა“, რაიც შემდეგში ხელნაწერებმაც გაამართლეს.

ნ. მარის დაინტერესება „ვეფხისტყაოსნით“ ამით არ განსაზღვრულა. 1917 წ. მან ამ ხაზით ახალი შრომა მოგვცა: «Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема».

თქვა თუ არა აქ ნ. მარმა ახალი რამ? თქვა. სახელდობრ:

ამ ახალ შრომაში მკვლევარმა წამოაყენა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ დათარიღების შესახებ.

როგორც ვიცი, არსებული დებულება თხზულებას მე-12—13 ს. მიჯნაზე წარმოშობილად თვლიდა და ამაში ისე იყო დარწმუნებული, რომ საკვიროდაც არ მიაჩნდა მისი მტკიცება.

ღნებთან უფრო ცხადი და ნათელი შეიქნა, ამაში უთუოდ დიდი მეცნიერის სწორედ ამ შრომის უნდა ვუმაღლოდეთ.

პირველი მკვლევარი, რომელიც შეეცადა ტრადიციული შეხედულების დარღვევა, ს. კაკაბაძე იყო: „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ე. წ. „ოქროს ხანის“ ნაწარმოები, იგი მე-14—15 ს. ფარგლებშია დაწერილი; თვით შოთა ცხოვრობდა მე-15 ს. პირველ ნახევარშიო.

ს. კაკაბაძის შეხედულება რომ მცდარი იყო, ეს იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, თუ მკვლევარი მარქსისტული სოციოლოგიური მეთოდით იხელმძღვანელებდა და, მაშასადამე, ლიტერატურულ ნაწარმოებსაც თავისი დროის სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებულად მიიჩნევდა, მას უპირველესად ყოვლისა უნდა დაემტკიცებინა, რომ ეგრეთ წოდებული „ოქროს ხანაც“ არ ყოფილა მე-12 საუკუნეში, არამედ იგი მე-14—15 საუკუნეებს მიეკუთვნებოდა, და მაშინ გასაგები იქნებოდა, რომ ისეთი სრულყოფილი, როგორც შინაარსით, ისე გარეგნული გამოვლინებით ნაწარმოები, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების ყოველმხრივად სრულყოფისას (ფეოდალურ საქართველოს განვითარების უმწვერვალესი წერტილი) შეიძლებოდა წარმოშობილიყო, და დებულებაც, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს მტკიცე კავშირი აქვს ცხოვრებასთან, ძალაში დარჩებოდა, და ჩვენც არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო.

მაგრამ დაუმტკიცარი ს დამტკიცება შეუძლებელი შეიქნა და ს. კაკაბაძის მტკიცებაც „ვეფხისტყაოსანი“ XIV ს. ნაწარმოებიაო. ჰაერში დაკიდებულად დარჩა.

ერთი დადებითი როლი მაინც ითამაშა ს. კაკაბაძის შრომამ: მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი რუსთველოლოგი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ეთქვას რაიმე საზოგადოდ და გაკვრით მაინც არ შეჰხებოდეს ნაწარმოების დთარიღების საკითხს.

ნ. მარცი, როგორც აღვნიშნეთ. ამ შრომაში ამ საკითხსაც ეხება, სახელდობრ: როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი და როდის დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“? ნ. მარი დაასკვნის:

1. შოთა ცხოვრობდა მე-14 ს. დამლევს;
2. ნაწარმოებიც ამდროინდელია;
3. შოთა უნდა იყოს მუსულმანი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ წინათ იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ორი მსოფლიო — მუსულმანური და ქრისტიანულია შერწყმული, ნ. მარი ხსნიდა როგორც საქართველოში, ქართულ ნიადაგზე წარმომოხილ მოვლენას, და უკანასკნელს საქართველოშივე განმტკიცებულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას უკავშირებდა, — ამ ახალ შრომაში ეგვევ გარემოება დაუკავშირა სამხრეთ-საქართველოში შექმნილ სიტუაციას, ე. ი. მუსულმანური კულტურის გავრცელებას, და რადგან ეს ახალი სიტუაცია ყოველ შემთხვევაში მე-13 ს. შემდგომ იკიდებს ფეხს, ბუნებრივია, „ვეფხისტყაოსნის“ წარმომოხილ დაპრორდა „ოქროს ხანას“, თამარის ეპოქას და ჩვენთვის უფრო ახალ დროში გადმოინაცვლა.

ამგვარია ეს დებულება, რომელიც ნ. მარმა თავის ახალ შრომაში წაკითხა. მაგრამ დებულება იმდენად პასუხსაგებია, რომ ფრთხილი მეცნიერი ვერ თვლის მას დამტკიცებულად და თავის შრომას ასე ათავებს:

И тем не менее наша теза вовсе не та, что Шота из Рустава не есть современник царицы Тамары, и он безусловно мусульманин (506).

რა არის მთავარი თეზისი ამ შრომისა?

Нашей тезой является то, что знаменитая грузинская поэма возникла в определенной не только национальной, но и в племенной среде в фокусе общекавказских культурно-исторических течений, в частности мусульманского и христианского живого, народного воздействия (506).

მაგრამ ეს გარემოება ხომ წინათაც იყო ცნობილი იმავე ნ. მარის გამოკვლევით? (იხ. Вступит. и заключительные строфы).

რა არის ახალი ამ შრომაში?

აქ. ნ. მარი ხელახლა აყენებს საკითხს ქართული საერო ლიტერატურას წარმოშობისა და განვითარების შესახებ. პირველად ეს საკითხი, როგორც ვიცით. „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ პირველი წერილის გამოქვეყნებასთან აქვს დასმული. შემდეგაც არაერთხელ შეპხებია იგი ამ საკითხს. ხოლო ჩამოყალიბებული სახით მოგვცა 1899 წ. თავის ნაშრომში: «Возникновение и расцвет древне-грузинской светской литературы».

რას ამტკიცებდა ნ. მარი ამ ნაწერებში?

ქართული ლიტერატურა მთლიანად და საესებით უცხო გავლენითაა წარმოშობილი. ქართული ლიტერატურა XII ს. დამლევამდე იკვებებოდა ბიზანტიური სასულიერო ლიტერატურის ნიმუშებით, მან გაამდიდრა მშობლიური სიტყვა თარგმანებითა და მიბაძვითი-ორიგინალური ნაწერებით.

ამ თეორიით ქართული საერო ლიტერატურა არც შინაარსით და არც წარმოშობით ოდნავადაც არ უკავშირდებოდა ქართულ სასულიერო ლიტერატურას, პირველი უკანასკნელთან არავითარ დიალექტიკურ თანამიმდევრობაში არ იმყოფებოდა.

საერო ლიტერატურა მთლიანად სპარსულიდან წარმოშობილად ირაცხებოდა.

В памятниках древнегрузинской светской литературы... мы имеем продукты всепоглощающего персидского влияния (Возн. и расцвет., 251). Ни местная духовная литература, ни греческие классические писатели, ни грузинские народные сказания не имели никакого влияния на содержание прозаических повестей XII в. (იქვე).

და სწორედ ამ თეორიის ფარგლებში, ამ თეორიის საფუძველზე აღმოცენდა პირველი ვერსია „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან წარმოშობის შესახებ.

ამ ახალ ნაწარმოებიდან იწყება ძირითადი გარდატეხა ამ საკითხში.

გაკვრით გარდატეხის ნიშნები ჩანს ჯერ კიდევ 1914 წელს დაწერილ დიდ ნაშრომში.

Ни в Армении, ни в Грузии, ирано-мусульманская культура, конечно, не созидательница памятников местного искусства или местной литературы.

მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ ეს განწყობა ამ ახალ შრომაში ჩანს.
ბ. მარი წერს:

Теория моя устарела; она, мне кажется, нуждается в поправке и воспалении. Односторонность ее и необходимость восполнить особенно легко было подметить наблюдателю со стороны, но ход развития грузиноведения обрекал нас на неизбежную постепенность в разработке этого вопроса по истории грузинской литературы.

Поэма «Витязь в барсовой шкуре» раньше интересовала нас (в частности и меня), как историко-литературная тема, с точки зрения ее происхождения.

В линии этого историко-литературного освещения в первую голову интерес представлял вопрос об иностранном, именно персидском происхождении самой сказки или сюжета.

Литературное строение в Грузии тогда было нам видно, естественно, лишь со стороны фасадов, обращенных к внешнему миру, западному, византийскому, и восточному, иранскому или мусульманскому. Не было ни опоры, ни стремления проникнуть за фасады... Не было приближения или прикосновения к грузинской почве.

აქედან:

Свобода творчества даже Шоты из Рустава ограничена была пределами формы: Признавалось лишь умение дать произведениям, заимствованным по замыслу и содержанию, национальную по форме отделку.

Впрочем и в отношении формы свобода поэта представлялась ограниченной необходимостью подчиниться нормам усовершенствованного письменного языка.

ასეთი იყო ბ. მარის ძველი განწყობა ქართული ლიტერატურის საზოგადოდ და კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ საკითხში.

ახლა?

1. Гениальное творчество Шоты из Рустава может получить свое полное историческое обоснование, объяснение своего направления в развитии грузинской образованности.

2. Стала замечаться идейная самостоятельность, даже самобытность поэмы «Витязя в барсовой шкуре».

3. У грузинского поэта источником побратимства выставляется не ислам вообще, не религия, а народный грузинский институт — побратимство.

4. Связь творения Шоты с грузинской культурной почвой не только формальная, языковая, но и идейная, при этом вопрос не о материальной стороне сюжета, а об его одухотворении, перевоплощении в местные представления и образы.

5. Все более выясняется необходимость сосчитаться реальнее с вкладом народного происхождения в произведении Шоты.

6. Шота брал живые народные слова, творя новое народное дело, его творчество свободно.

7. Шота не переводчик. И как постепенно стало выясняться, нельзя считать его свободным творцом лишь формы. Да и не только свободно его творчество, а и народно.

ყველაფერი ზემოთქმული რომ მარის პირველ თქმას შევადაროთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, მართლაც საგრძნობ განსხვავებას დავინახავთ.

ასეთია ამ შრომის ღირებულება. გარდა ზემოხსენებულისა აქ გზადაგზა ბევრი ფილოლოგიური ძიებაა გაფანტული, ცალკეულ სიტყვათა ახსნა-განმარტება, რაიც ხანდახან მთელ გამოკვლევას უდრის. ასეთია. მაგ. ს ა რ ა ტ ა ნ ი და მრავალი სხვა, რომელთა წყალობით „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ბუნდოვანი დგილი ნათელი შეიქმნა.

ერთი წლის შემდეგ (1918 წ.) ნ. მარმა თავისი — პირველი შეხედვით — თითქოს ურყევი დებულება, ირანული კულტურის სრულიადი და ყოველმხრივი გავლენის შესახებ საქართველოზე. კიდევ უფრო გაანელა.

«В свое время естественно было грешить в ином направлении, сосредоточивать весь интерес на иностранных влияниях, в частности на персидском влиянии в грузинской литературе, но теперь настал уже момент, когда следует считаться со всеми течениями, со всеми источниками развития литературы... Очевидно, никак нельзя обойти вопрос о собственном народном влиянии. (Из грузино-персидских литературных связей стр. 115).

მაგრამ ნ. მარი არც ამ წერტილზე შეჩერებულა. „ვეფხისტყაოსანს“ იგი შემდეგშიც ეხებოდა თუ სპეციალურ გამოკვლევებში არა, გაკვრიტ მანც რომელიმე სხვა საკითხის გარკვევისას, სულ ერთია, იქნებოდა ეს საკითხი საზოგადოდ ლიტერატურათმცოდნეობიდან, თუ წმინდა ენათმეცნიერული.

ასე, 1922 წ. დაწერილს საენათმეცნიერო შრომაში (Исследования) შემდეგს ვკითხულობთ:

У нас, у кавказоведов, не раз возникал вопрос о происхождении творения грузинского поэта Шоты из Руставы и поэтической формы и культа женщины не находящих себе объяснения в восточных материалах.

Когда не могли быть установлены культурные пути для взаимодействия с Провансом и стало намечаться наличие корней этих явлений в местных условиях и преданиях, приходилось невольно мириться с тем, что в одинаковых условиях рождаются одинаковые явления.

გადაპკრელი სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სადაურობის შესახებ ჯერ მანც არ იყო თქმული. ნიადაგი კი მისი უეჭველად ქართულობისათვის ცხადად მზადდებოდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით“.

აქ მეცნიერი ერთი ერის მიერ მეორისაგან თარგმანისა და სესხების ამბავს ეხება და სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ თარგმანსაც თავისი კანონები და მიზანშეწონილობა ახასიათებს, რომ ჩვეულებრივ ითარგმნება არა ყველაფერი, არამედ მხოლოდ ის, რაც მთარგმნელის ზრახვათა და სულისკვეთებით შეეფერება, და ამ მხრივ თარგმანიც ხშირად ორიგინალის ხასიათს ღებულობს. „ეპეის მიტანაც სრულებით უსაფუძვლო იქნებოდა იმაზე, რომ ჩვენამდის მოწვენილნი ქმნილებანი „ტრისტან და ისოლდა“, აგრეთვე სპარსული Wis-o-Ramin. ქართული „ვისრამიანი“. რა ქვეყანაშიაც დაწერილან. რა საზო-

გადგომისათვის თარგმნილან, იმ ქვეყნის საზოგადოებრივ წესწყობილებაზე თუ არა. გაბატონებულ შეგნებაზე შეთანხმებული გახლავან და თითო მათგანს შემოქმედი სული. თარგმანიც იყოს, შესაფერ ქვეყნიერების ღვიძლი შვილია; მასში უსათუოდ ვიპოვით ამა თუ იმ ადგილობრივ ხაზს. და ამ უკანასკნელის შეთხზვის მოკავშირის ეპოქის თანამედროვე აზროვნებას. მის საზოგადოების დასურათოვნებას... (38).

თარგმანთა მიმართ ამგვარი სამართლიანი აზრის განმტკიცებას, ბუნებრივია. „ვეფხისტყაოსნის“ სადაურობის საკითხში საბოლოო გარდატეხა უნდა მოეხდინა.

მართლაც. თავის ენათმეცნიერების კურსში *Историческая теория* (1928 წ.) ნ. მ. არი ეხება მეტყველების ოთხ ელემენტს და მასთან დაკავშირებით პოეზიის რიტმსა და ოთხმარცვლოვან ლექსის შესახებ ამბობს. რომ *Народный размер поэзии четверостишиями у грузин, яфетического народа, нашедший свое развитие до непревзойденной никем виртуозности в творении Шоты из Рустава «Витязь в барсовой шкуре», имеет несомненно тяготение к своим народным недрам, а не к нормам персидской поэзии, где, по крайней мере в письменных литературных памятниках, он появляется позднее* (113).

საბოლოო სიტყვა საკითხის შესახებ ნ. მარმა ამავე 1928 წელს თქვა სპეციალურ შრომაში *La langue géorgienne*. აქ მეცნიერი ეხება ქართული კულტურის წარმოშობას საერთოდ. კერძოდ „ვეფხისტყაოსანს“. მასში, როგორც ეს სხვაგანაც გვაქვს აღნიშნული. შემდეგს კვითხულობთ:

„ქართული მწერლობის შესახებ დროთა განმავლობაში შემუშავდა თეორია. რომლის მიხედვითაც ეს მწერლობა და საერთოდ კულტურა დაიბადა და განვითარდა უცხო გავლენის ქვეშ, სახელდობრ: ქართული სასულიერო კულტურა მოდიოდა ქრისტიანული ქვეყნებიდან (სომხეთი, სირია, საბერძნეთი და ქრისტიანული არაბეთი), ხოლო საერო, — ირანულ და მაჰმადიანურ ქვეყნებიდან, განსაკუთრებით მუსულმანურ ირანიდან.

ეს თეორია გადმოღებისა და უცხო წარმომშობ ძალებისა დაინგრა. ამის საუკეთესო მაგალითი გახლავს ქართული ლიტერატურის უღრდესი პოემა გენიალურ პოეტის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს გახლავს ქრისტიანული საქართველოს უაღრესად აყვავების დროს მეტეორივით გამოჩენილი პოემა, რომელსაც დღემდე მტკიცე და ურყევი ადგილი უჭირავს ქართული პოეზიის ზენიტზე... ეს თხზულება მოდის თამარის დროიდან, რომელიც (თამარი), გადმოგვცემენ, წმიდანთა შორისაა აღრიცხული ეკლესიის მიერ. ხოლო ხალხის მიერ ღვთაებად დასახული და მზედ გამოცხადებული. ნაწარმოების ენა შეუდარებელი ქართულია, დღემდე დაუძლეველი თავისი ღრმა ხალხურ თავისებურებათა მომხიბლაობით... თავის პოემას შოთა აგებს ქართულ ხალხურ საფუძველზე, ძმადფიცის წინაისტორიულ ინსტიტუტზე. თხზულება წარმოადგენს ძმადგაფიცული ერების შესხმა-მითხრობას და რომანტიულ სიყვარულს. კონცეპციას. რომელსაც არსად ბადალი არ გააჩნია, გარდა პროვანსის ტრუბადურებისა“.

გვეყვ აზრი მცირეოდენი ვარიაციით. ნ. მარმა გერმანულადაც გაიმეორა (Georgien. Die georgische Sprache, Berlin 1929).

ნ. მარი „ვეფხისტყაოსნის“ ხაზით არც ამ წერტილზე შემდგარა. შოთას შესახებ იგი წერდა ყოველთვის, ყველგან: რა ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო მისი შრომა ქართულ მეტყველებიდან. მაინც ახერხებდა ორი-სამი სიტყვა. მკაფიო და მრავალმეტყველი სიტყვა, მაინც ეთქვა „ვეფხისტყაოსანზე“.

ამგვარია საბჭოთა დიდ ენციკლოპედიაში და ლიტერატურულ ენციკლოპედიაში მისი სტატიები „ქართული ენა“, „В тупике ли история матер. культуры“, სადაც თეზისების სახით მოცემულია უკანასკნელის. ჯერ გამოუქვეყნებელი, შრომის ძირითადი, უეჭველად საცილობელი, დებულებანი.

დავამთავრებ 1932 წ. დაწერილ დიდი გამოკვლევის — „Ания“-ს წინასიტყვაობიდან ამოღებული პატარა შენიშვნით, რომელიც ისევ „ვეფხისტყაოსანს“ ეხება, და მიმართულია იმ მკვლევართა წინააღმდეგ, რომელნიც ამ უკვდავ ნაწარმოებში მარტოოდენ აღმოსავლურ ყაიდის სიყვარულს ეძებდნენ და შოთას ჩვენთვის უცხო და იდეოლოგიურად მიუღებელ მწერლად მიიჩნეოდნენ.

ამგვარი მკვლევარნი (отводят Руставели) как чуждого нам идеологически писателя, певца лишь обычной любовной истории и неспособного стать источником какого-либо общественно достопамятного движения, когда в нем имеем... воплощение громадной замолчанной революции, потрясающего по своей глубине сдвига социальных слоев, и с ним перелом в мировоззрении, вызвавший между прочим, смену алфавита, — перелом большей степени, чем то замечаем у Шекспира, разумеется, не от механического фактора, давления или влияния «мировых» народов и их культуры. И едва ли Шота был спокойным созерцателем такого сдвига, а не идеологическим борцом. (Ани, VII).

რა გამოირკვა?

ჩვენ დავინახეთ, ნ. მარის ხელში „ვეფხისტყაოსნის“ სადაურობისა და წარმოშობის საკითხი თავის ლოგიკურ დასკვნამდე როგორ მივიდა: მსოფლიო მასშტაბისა და ღირებულების ამ ნაწარმოების ფუძე საქართველოა, იგი მთლიანად და სავსებით ქართულია.

ნ. მარის ავე ხელში პირველად მოხერხდა ამ ნაწარმოების მატერიალურად, ნივთობრივად დაუფლება.

და არ ყოფილა არასოდეს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის და მთლიანად მისი ვინაობის საკითხი ისე მკვიდრად, როგორც დღეს.

და შოთა რუსთაველიც თავისი „ვეფხისტყაოსნით“ „იალბუზივით ქედმოღერებული“ მტკიცედ დგას დიდი საბჭოთა კავშირისა და მთელი კულტურული მსოფლიოს წინაშე.

რუსთაველის ინსტიტუტის „რუსთაველის კრებული“, თბ. 1938 წ.

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი მომენტი: სიყვარული და მეგობრობა-ძმადფიცი. მეგობრობა-ძმადფიცს მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნაწარმოებში. ერთი შეხედვით თითქოს იგია უმთავრესი, უპირატესი¹.

დიდი ძებნის შემდეგ აეთანდილმა მონახა ტარიელი. ჭირი მისი გაიყო და ტანჯვა მისი გაიგო. აეთანდილს მთელი არსებით უყვარს თინათინი, მაგრამ ივრამას არ ამჟღავნებს, გულში იკლავს და აღფრთოვანებით მიმართავს ტარიელს:

ამა ღღემან დამაეწუა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
(ე. ი. თინათინი).

დამიგდია სამსახური, იგი იქნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერა შინა შინდა,
და შენ გეახლო სიკედილამდის; ამის მეტი არა შინდა.

(298).

იაგუნდი აქ ძმათაფიცია, გამტანობაა, სიმტკიცე მარადიული, ხოლო სიყვარული დასახულია მინად, რომელიც ათასჯერ რომ მინად გადაიქცეს, ათასჯერ გამინდეს, ათასჯერ შეიმატოს. გაიდიდოს თავისი სიკეთე, მაინც ვერ შეედრება იაგუნდს. ე. ი. მეგობრობას.

ასეთია ძმათაფიცია. მეგობრობა.

ნაწარმოებში (ხელნაწერებში) იგი ორ ეტაპზეა წარმოდგენილი: პირველ ეტაპზე მეგობრობა უფრო პირადი ხასიათისაა, მარტოოდენ სამი გმირის ფარგლითაა შემოზღუდული, ხოლო მეორე ეტაპზე იგი უფრო ფართოდაა გაშლილი. როგორი უნდა იყოს ჩვენი განწყობა ამ ეტაპებისადმი? თუ ჩვენ მართლ პირველი ეტაპით შევზღუდავთ მეგობრობას, მაშინ ნაწარმოები უნდა გვათავოთ იქ, სადაც „ბოროტსა სძლია კეთილმან“, ე. ი. ჭაჭეთის ციხის ალებით: აქ მეგობრებმა მოიხადეს თავიანთი მოვალეობა, და ტარიელმაც მიაღწია თავის საწადელს, გამოიხსნა ნესტანი.

მაგრამ ვახერხებთ კი ჩვენ აქ ნაწარმოების შეწყვეტას? ვერა: არა თუ ყველა ხელნაწერი. ბეჭდური ტრადიციაც ვერ აბოლოებს აქ ნაწარმოებს, მეგობრობის მეორე ეტაპში გადაყვავართ.

ასე: მისვლა ტარიელისა ზღვათა მეფისას და ფრიდონისას, ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან — მეორე ციკლის, მეორე ეტაპის ამბებია. ხოლო რაკი ამ მეორე ციკლში გადავედით, შუა გზაზე ვერ გავჩერდებით, ბოლომდე უნდა მივიდეთ: დავიწყოთ ჭაჭეთის ციხის ალებით და

¹ ნ. შარბი. Грузинская поэма „Витязь в барской шкуре“ Шоты из Пуставы. — ИАН, 1917 წ. გვ. 424—425.

ბოლომდე მივიდეთ. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ ამ ბოლო ნაკვეთშია გაშლილი მეგობრობის შეორე საფეხური.

სახელდობრ: ტარიელი რომ თავის საწადელს მიაღწევს. იგი რომ განსჯის ორციელებს მეგობრების დახმარებით სიყვარულს, ძმათაფიცო, მეგობრობა ოდნავად არ ცხრება. ფართოდება და გადაიზრდება ერთა სოლიდარობაში.

ამ ინტერესს „ვეფხისტყაოსანს“ ვერ წავართმევთ, იგი ერთი მთავართაგანია და თუ ეს ასეა (უეჭველად ასეა), მაშინ ქაჩეთის ციხის აღების შემდეგ საპირთა ზეიმი დაუცხრომელი, თავისებური „გადაპატოება“, ძმადფიცისათვის ქორწილის გადახდა, როგორც დაგვირგვინება ამ სოლიდარობისა, საერთო იერიში ტარიელის მტრის წინააღმდეგ, ინდოეთის განთავისუფლება და ტარიელის ტახტზე დასმა.

ყველაფერი ეს კი ქაჩეთის დაპყრობის შემდეგ იწყება, მაგრამ თავდება არა იქ, სადაც ეს ვახტანგიდან მომდინარე ბექდურ გამოცემებშია: ე. წ. ინდოხატაელთა ამბავიც ამ მომენტების შემცველია.

ამრიგად, ვრცელი დაბოლოება შოთას უეჭველად ექნებოდა, უეჭველად. კი მაგრამ, აბა რატომ, რომ განსაზღვრული მომენტის შემდეგ იწყება დაუცხრომელი ლაპარაკი „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ? რატომ ლაპარაკობენ, დაბოლოება შოთას სხვამ შეუთავაო? ჩვენ ხომ სხვაც ბევრი გვაქვს ძველი ნაწარმოები, მაგ., „ამირანდარეჯანიანი“ და სხვა. და არც ერთის შესახებ არაფერი ამის მსგავსი არ გვესმის, არც ერთის შესახებ არავითარი ლიტერატურული მოწმობა არ გვაქვს, რომ ნაწარმოებს დაბოლოება აკლდა და დაუმატესო?!

რაშია საქმე?

უეჭველია, რომელიმე კატასტროფის დროს (და ამგვარი კი ხშირი იყო ჩვენში) ნაწარმოების ბოლო მთლიანად დაიკარგა ანდა დარჩა მხოლოდ ფრაგმენტების სახით. მაგრამ ხალხს ტრადიციით ჯერ კიდევ ახსოვდა „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი დაბოლოების შინაარსი. და აი, სწორედ ამ ტრადიციისა და ფრაგმენტების მიხედვით ნაწარმოების დაბოლოების რესტავრაცია მოახდინეს. შეიძლება სათანადო დაკვეთითაც კი. ალედგინათ! და ალედგინათ არა მხოლოდ ე. წ. ინდოხატაელთა ამბავი, არამედ სხვა ნაწილებიც, მაგ. ისიც კი, რაც ჩვენ ძირითადად და ნამდვილად მივიჩინეთ. ეთქვათ, ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა.

წერის მანერა საზოგადოდ, სტილი და ზოგი რამ რეალიებიდან უცალობლად ხდის იმ გარემოებას, რომ დაბოლოება რესტავრირებულია, აღგენილია: შიგ არის იმისთანა რამ, რაც რესტავრაციის ეპოქის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს; და ეს უწინარეს ყოვლისა არა კათალიკოს მაწყვერელის ამბავია. უკეთ არა იმდენად კათალიკოს-მაწყვერელის ამბავი, რამდენად სხვა, სახელდობრ: ნაწარმოების ძირითადი მსოფლმხედველობა.

მხოლოდ ერთს შეეგხოთ.

ცნობილია, მაგ., რომ „ვეფხისტყაოსანში“ სოფელი და შემოქმედი (გან-

¹ მე არ ვლაპარაკობ. მაგ., „ვისრამიანის“ შესახებ. აქ დამატებას ხელს შეუშლიდა ირანული დედნის არსებობა.

კება) უპირისპირდება ერთმანეთს. სოფელი გამწირავია, უხანო დაუნდობელი, შემოქმედი კი — მოწყალეა.

ვა, სოფელი, რაშიგან ხარ, რას გეაბრუნებ, რა ზნე გპირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
და მაგრა ღემერთი არ გასწირავს კაცსა შენგან ვანაწირსა.

(951).

ან:

ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყევ ავისა მქნელია. (339).
ბინდისგვარია სოფელი... (1094)

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასეა ცრემლთა დენად! (700,4)

ანდა:

საწუთრომან დამალრიჯა, ცქაფნი მისნი კელა შეცქაფნენს. (654,4).
ღღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია (715,2) და სხვ.

მოკლედ: სოფელი, წუთისოფელი გაუტანელია, ბოროტი, მაგრამ

ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კელა განკურნება წყლულისა?
იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესულსა! (929)
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია!. (931,3).

აბა, ენახოთ, როგორაა ეგევე ამბავი, ე. ი. ადამიანისა და სოფლის ურთიერთობა გარდატეხილი ინდოხატაელთა ამბავში? დამარცხებული რამაში და მხლებელნი ტარიელს პატიებას სთხოვენ:

ნუ დაგვხოცო მისსა ძალსა, ვინცა აგრე დავარჩინა.

ამ ხვეწნას ქვევით „ფილოსოფიური“ თქმა მოჰყვება:

კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მის თანაც არსა.
ვით ნინეველნი, ისხმედეს თავსა მტვერსა და ნაცარსა,
ამით დაესხნეს რისხვასა, ზეცით მოსრულსა ნაცარსა.
და წაღმავე წაგრებს სოფელი კელა მისგან უკუ ნაცარსა.

(1613).

სტროფი ფორმით მდარეა. მაჯამაც გაუგებარია. მაგრამ მთავარი აქ შინაარსია: იგი დიამეტრულად ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად, უდავო ნაწილში გატარებულ შეხედულებას ადამიანისა და სოფლის ურთიერთგანწყობის შესახებ: იტირე ცოდვა მოინანიე და სოფელიც, წუთისოფელი, უკან წაიღებს მის მიერ დათესილ ბოროტებასო. დაკნინების ხანაში შექმნილი სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებული შეხედულებების გამოხატულებაა: ეს ხანა მე-15—16 საუკუნეებია, როდესაც „ქვეყნის“ ეკონომიურ და კულტურულ დაცემასთან ერთად, თუ სავსებით არ ქრება, საგრძნობლად მაინც სუსტდება საერო ლიტერატურა და ფეხს იკიდებს თავისებური ლიტერატურული ჟანრი, სასულიერო შინაარსის ნაწარმოებნი, რომელთა მიზანი არა იმდენად ბრძოლა და თვითმოქმედება იყო, რამდენადაც კაცობრივი ბუნების დათრგუნვა და ლოც-

¹ ვ. ბერძენი. რუსთაველის მსოფლ-მხედველობისათვის. — ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935 წ., № 4, გვ. 58.

ვა-ვედრება „სოღვათა შემსუბუქებისათვის“. იტირე, ივაგლახე, თავს წაიყარე ნაცარი, ფერფლი და სოფელიც:

წაღმვე წაგრებს საქმესა, რაჲ უკუღმა სთელა.. (1615)

არაფერი ამისმაგვარი არ იცის საქართველოს ე. წ. ოქროს ხანამ. ყველა-ფერი ეს იმ დროის გამოძახილია, როდესაც „ბნელმა უკუნმა მოიკვა ჩვენი ქვეყანა“ და „არა სადმე შენებულა, არამედ შენებული ნგრეულ და მტვრად ქცეულა“.

როგორ უნდა მოვიქცეთ ტექსტის დადგენისას? უარვევით ეს დაბოლოება. თუ შევიტანოთ ტექსტში? უნდა შევიტანოთ. რადგან უამნაკვეთოდ ყველა გრძნობს რაღაც უხერხულობას და ცდილობს სათანადო კორექტივის შეტანას, მაგრამ უშედეგოდ. უშედეგოა, მაგ. 80.000 ჯარის შემცირება. უშედეგოა, რად-გან, რამდენადაც არ უნდა შეამცირო იგი, მინდორში მაინც ვერ დაეტოვებთ, თუნდაც 40.000-ზე მეტს. ეს ციფრი 20-მდეც რომ შევამციროთ, ულოგიკობა იქ-ნება. „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“-ს დატოვება. რო-გორც ამას ვახტანგიდან მომდინარე ბექდური ტრადიცია იმეორებს. ულოგი-კობაა. ეს ნაკვეთი ხომ ინდოხატაელთა ამბიდანაა, და თუ ნაწილს დაეტოვებთ, რა უფლებით უგულვებლევყოფთ მთელს? არა, არ გვაქვს ამის უფლება. მაშ უნ-და შევიტანოთ. როგორ, რა სახით? დაბოლოება უნდა შევუჭეროთ ძირითად უდავო ნაწილს როგორც შინაარსის. ისე ფორმის მხრივ: რაც ძირითადს ეთანხ-მება. ეფერება, დაეტოვოთ, რაც არა -- მოკვეთოთ. ასეთია. მაგ.. ზემოთ მოყვ-ნილი სტროფები და სხვა.

კი, მაგრამ გვექნება თუ არა ჩვენ გარანტია, რომ ამ ოპერაციის, ამ მოკ-ვეთის შემდეგ რაც დარჩება, იგი უთუოდ რუსთველური იქნება? ჩასაკვირვე-ლია არა და არც შეიძლება ამ იდეალს მივალწიოთ. და განა ყველაფერი, რაც უდავო, ძირითად ნაწილში მივიღეთ, ისეთია, როგორც ეს შოთას ხელიდან გა-მოვიდა? ცხადია, არა, მაგრამ ჩვენ მაინც ვტოვებთ, რადგან იგი საჭიროა, უაღ-რესად საჭიროა შინაარსის მხრივ და უნაკლულთა ფორმითაც. ამასთანავე: რო-დესაც საჭიროებაზე ვლაპარაკობთ, აქ უმთავრესად მხედველობაში გვაქვს არა მარტოდენ ფილოლოგიურ-მეცნიერული, უკეთ: არა იმდენად ფილოლოგიურ-მეცნიერული განწყობა ნაწარმოებისადმი, რამდენადაც უფრო მხატვრულ-შე-მოქმედებითი. მხოლოდ მეცნიერულ-ფილოლოგიურ საფუძველს რომ დავემყა-როთ, ჩვენ მართალია, შევძლებთ „ვეფხისტყაოსნის“ ძალზე შემცირებას და ამავე დროს ნაწარმოების ამბავიც სავსებით იქნება გადმოცემული, მაგრამ მო-იგებს ამით „ვეფხისტყაოსანი“ როგორც მთლიანი მხატვრული ნაწარმოები?

არა, პოეტური ნაწარმოები მეცნიერული თხზულება არ არის, მას აქვს თავისი ბუნება და ხასიათი, რაიც იდეის გარეგნულ გამოსახულებასაც თავისე-ბურს მოითხოვს, ზშირად უფრო გაშლილს და მდიდრულს, ვიდრე ეს სჭირდება რომელიმე მეცნიერულ ტრაქტატს.

ამიტომ: თუ ნაწარმოები (ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანი“) აღიქმება ჩვენ მიერ კონსტრუქტიულად როგორც ერთი -- მთლიანი, უნდა მივიღოთ.

ტარიელი და მისი აზრი „ვეფხისტყაოსანში“

არც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში არ არის იმდენი ტირილი და ცრემლთა ფრქვევა, რამდენიც არის „ვეფხისტყაოსანში“. ტირიან ყველანი — როგორც ქალები, ისე ვაჟები, ტირიან მარად, — როგორც გაჭირვებისას, ისე დალხინებისას.

ასე: თინათინი —

...ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო ფრთათა.

და ამის გამო მისი „ბალი ვარდისა ცრემლითა ავსებულთა“.
ნესტანი ზომ მთლად ცრემლის მორევშია მოქცეული:

ასნაკეცი წყარო ვიციო ცრემლთა მისთა მონაწეთომი.

მამაკაცები?

თუ ავთანდილს განუწყვეტლად თვალთათ ღაწვი უსეტყვია, მისი ძმადფიცის ტარიელისა.

ველთა ცრემლი ასოვლებდა, თვალთა (მისთა) მონაწური.

ამგვარადვე სხვებიც და ასე მთელი ნაწარმოების სივრცეზე ყველას სდის ცრემლი „შეუშრობელი“.

ზოგი ვინმე ამ გარემოებას სიმბოლიურად ხსნიდა: აქ საქართველოს ცრემლია, საუკუნეთა განმავლობაში დანთხეულიო.

ზოგმა კი ეს ტირილი სხვაგვარად განმარტა: ნაწარმოების მიხედვით ეს საწუთრო ქვეყანა უბედურებისა და ტანჯვა-ვაების წყაროა და არც არსებობს ამ ქვეყანაზე რაიმე ბედნიერება, რომ ღირდეს მისთვის ბრძოლაო.

ორივე მოსაზრება მცდარია.

ა. ნაწარმოებში მოცემული ცრემლი მხოლოდ ცრემლია და არავითარ სიმბოლიურობაზე, ცხადია, ლაპარაკი არ შეიძლება.

ბ. მაგრამ თქმა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „ამა ქვეყნის..ამაოებაა“ წარმოდგენილიო, რასაკვირველია. ზღაპარია: პირიქით: შოთას უკვდავი პოემა სიცოცხლისა და ცხოვრების შესახა — მითხრობაა ულამაზესი. დაუდგრომელი ბრძოლაა ადამიანის ბედნიერებისათვის. და ვერც ვნახავთ ჩვენ საუკუნეთა სივრცეზე სხვა რომელსამე ნაწარმოებს, მისი გამირები რომ აგრე მტკიცე და ურ-

ყვე იყვნენ. როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მათი ხსენება ქამთა სიავემაც ვერ შეარყია, ხოლო ზოგი მათგანის სახელი ცოცხლობს საუკუნეთა განმავლობაში, გადმოდის თაობიდან თაობამდე და ჩვენამდე მოსულა როგორც საზოგადო სახელი გულუშიშარ რაინდისა. „ჭირსა შიგან“ უღრეკელისა. ნათელყოთ:

თავდაპირველად: რას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, რა არის მისი ძირითადი იდეა? აქ ჩვენ ყურადღებას ორი რამ იპყრობს: მეგობრობა-ძმადფიცი და სიყვარული. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ — აი დევიზი, რომელიც აერთიანებს და ამოქმედებს ავთანდილს, ტარიელსა და ფრიდონს.

ეს განუსაზღვრელი გამტანობა და ერთგულება ახასიათებს მთელ ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე განუხრელად და ურყევად, მაგრამ ეს ძმადფიცი თავის მხრივ ქალისადმი დაუცხრომელი და ამაღელვებელი სიყვარულითაა გამოწვეული.

ავთანდილი რომ აგრე გადაგებულია ტარიელისათვის, მას რომ მეგობრობის გარდამეტებული გრძნობა აქვს ტარიელისადმი, ჯერ ერთი, იმიტომ, რაც თავადაა ავთანდილი სიყვარულით შეპყრობილი და მეორეც — უპირატესად იმიტომ, რომ ტარიელი მიჯნურია გაშმაგებულს.

სწორედ სიყვარულია, მიჯნურობაა მთავარი სტიმული, მეგობრობის, ძმათაფიცის რომ ასაზრდოვებს და ამოძრავებს.

ამრიგად: ორივე ეს მომენტი — მეგობრობა და სიყვარული — განუყრელია. განუშორებელია, ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია.

როგორაა ორივე ეს ძალა — მეგობრობა და სიყვარული — ნაწარმოებში წარმოდგენილი, გარეგნულად გამოვლენილი? — ბრძოლის სახით. „ვეფხისტყაოსანი“ ბრძოლაა მეგობრობისა და სიყვარულისათვის, ბრძოლა დაუცხრომელი. რომელშიც თანაბრად, ჩაბმულან გმირნი — მამაკაცი და დედაკაცი.

რა არის ბრძოლა, რას გულისხმობს იგი?

ყოველი, სათანადოდ წარმოებულ ბრძოლა გულისხმობს გმირს მებრძოლსა და დაბრკოლებას: თუ მებრძოლი არაა, ცარიელი დაბრკოლება მკვდარია, უშინაარსო. თავის მხრივ, თუ დაბრკოლება არ არსებობს, გმირის ბრძოლასაც აზრი ეკარგება, და არც შეიძლება ბრძოლა დაბრკოლებათა გარეშე.

ამრიგად: მებრძოლი და დაბრკოლება! მაგრამ ამასთანავე აუცილებლად საჭიროა, რომ მებრძოლი დაბრკოლების შესადარი იყოს და პირუკუ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ დაბრკოლება ძნელად გადასალახავია, მის წინააღმდეგ მებრძოლიც მტკიცე და შეუპოვარი გმირი უნდა იყოს. „გოჩა“ მებრძოლი ვერ გახდება. მისი ბრძოლაც, სიცილის მეტს ვერაფერს გამოიწვევს. თავის მხრივ — გმირსაც შესაფერი დაბრკოლება უნდა ექნეს გადასალახავი: მცირე დაბრკოლებისათვის მტკიცე გმირი ვერ მოცდება, მის ბრძოლასაც აზრი და შინაარსი არ ექნება.

რა მდგომარეობაშია ბრძოლის დროს გმირი? თუ დაბრკოლებათა მთელი წყება გვაქვს და ამასთანავე თითოეული მათგანი თანდათანობით მზარდია,

ბრძოლა სასტიკ ხასიათს იღებს და მებრძოლიც ხშირად „მერყეობს“. მაგრამ ეს მებრძოლის სისუსტეს არ ნიშნავს, ეს მხოლოდ მდგომარეობის შეფასებაა. გმირმა შეიძლება უკანაც დაიხიოს, მაგრამ მხოლოდ მომავალი წინსვლის მაუწყებელია, ისიც შესაძლებელია, რომ მებრძოლი დაეცეს. მაგრამ აუცილებლად უნდა წამოდგეს და სასტიკად შეუტეოს, — მით უფრო მიმზიდველი იქნება ბრძოლა, მით უფრო მეტი იქნება დაინტერესება ამ ბრძოლით.

როგორია „ვეფხისტყაოსნის“ ბრძოლა? ნაწარმოების მალალი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბრძოლა აქ იშვიათადაა გაშლილი ყველა მომენტის გამოჩინებით. დასაწყისიდან ვიდრე დასასრულამდე: მებრძოლნი, მტკიცე, უდრეკნი, მაგრამ დაბრკოლებაც მრავალი, ერთი მეორის უძნელესი.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში გმირის „მერყეობა“ და ხშირად ცრემლთა ფრქვევაც და ვაი-ვაგლახიც.

ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ. „ვეფხისტყაოსანს“ მართლაც „ცრემლი სდის ზღვათაცა შესართავისად“.

მაგრამ აქედან ოდნეადაც არ გამომდინარეობს, რომ ნაწარმოები პესიმიზმით აღსავსე იყოს, უსაზღვრო უიმედობის მომგვრელი. არა! ცრემლი აქ მხოლოდ ბრძოლის ერთი ატრიბუტთაგანია, მისი სიმძაფრის მაუწყებელი.

აბა. რად ეღივებოდა ნაწარმოები, რომ გმირთა საქმიანობა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე (ანდა მკიცრე დაბრკოლებით) წარმოებულიყო, რომ მაგ. ავთანდილს მეორე დღესვე ენახა ტარიელი, ხოლო ორსავე ერთად იმ საღამოსვე გამოეხსნათ ნესტანი? იქნებოდა კი ეს ბრძოლა? ცხადია, არა და გმირიც გმირად ვერ დაფასდებოდა.

გმირი იმისთვისაა გმირი, რომ მან მრავალი დაბრკოლება უნდა ნახოს, მრავალივე გადალახოს.

ამრიგად: თუ „ვეფხისტყაოსანი“ „ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს“, ეს მხოლოდ პოეტური ხერხია, რათა მკითხველს ეუწყოს, რომ მდგომარეობა მძიმეა. და ბრძოლაც მიზნის მისაღწევად სასტიკ პირობებში მიმდინარეობს. ამასთანავე არსად ნაწარმოების მთელ სიერცეზე; ეს ცრემლი გმირს ხანგრძლივად არ ედინება და არც იწვევს მასში სილაჩრის რაიმე ნიშანწყალს: ცრემლი იგი ლხინთანაა გადაკდობილი, მასთანაა დიალექტიკურ მთლიანობაში, ანუ, როგორც შოთა გვეუბნება:

დიდი ლხინია ჳირთა თქმა

ან:

ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი, ჳირთა გარდუნდელი.

გმირმაც იცის, რომ ჳირი და ლხინი ერთიანი მოვლენებია, ამიტომაც იგი ორივე ამ მოვლენისადმი ერთგვარადაა განწყობილი:

ჳირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია. (1348).

ამიტომაც იგი, იტყვის; თუ არა ჳირს, მხოლოდ წამ ერთ, რომ გაათქეცებული ძალით ახალი ბრძოლისათვის განეწყოს, ახალი დაბრკოლებანი გადალახოს, ბოროტება საბოლოოდ დათრგუნოს და სიკეთეს გაამარჯვებინოს.

ვინაა აქ გამარჯვებული? სათანადო რეალურ პირობებსა და გარემოცვაში მოქმედი გმირი და მხოლოდ იგი, ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას, რადგან ზოგი ვინმე მაინც ფიქრობს: მართალია, საბოლოო ანგარიშში ბრძოლა „ვეფხისტყაოსანში“ გამარჯვებით თავდება, მაგრამ ეს გამარჯვება იმ გარემოების გამო, რომ ნაწამროები პესიმიზმითაა გაკლენტილი (კრემლი!), თავის თავად, გმირთა მონაწილეობის გარეშე ხდება: მოქმედ პირთა საქმიანობა უაღრეს პასიობამდეა დაყვანილიო.

აბსოლუტურად მცდარი აზრია!

„ვეფხისტყაოსანი“ სწორედ იმითაა შესანიშნავი, იგი სწორედ იმიტომ ცოცხლობს დღესაც და დღეს უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, რომ თითოეული მისი გმირის მოქმედება მაქსიმუმ ნებისყოფას წარმოადგენს და თვით ნაწამროების კვანძის გახსნაც, ვთქვათ, გაკვანძვა ხდება არა „უზენაესი ძალის“ მონაწილეობით, არამედ სრულიად კანონზომიერად, როგორც შედეგი გმირთა და უცხრომელი შეტევისა, მათი თავდადებული ბრძოლისა.

მართალია, მოქმედი პირნი აქა-იქ შემოქმედსაც ახსენებენ, მაგრამ ეს „ხსნება“, უფრო სიტყვიერი მასალაა, მარტოოდენ ბგერათა „კომპლექსია. ვინემ განცდა: შინაარსი შიგ უკვე აღარ არის.

მართალია ისიც, რომ იგივე მოქმედი პირნი ხშირად განგებას ემყარებიან, უმისოდ თითქოს ვერ საქმიანობენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით: განგება იქ იმდენადაა გამოყენებული, რამდენადაც იგი ადამიანის ზრახვით არ ეწინააღმდეგება, არამედ ეხმარება მას, არიღებს მაენეს და ბოროტს და კეთილად წარმართავს მის საქმეს. მოკლედ: განგება იმდენადაა მოხმობილი, რამდენადაც იგი ცდილობს, რათა კაცი იყოს „დასაბამ თვისთა საქმეთა და თვით ხელმწიფე“.

მაშასადამე, მთავარი და გადამწყვეტელი ბრძოლისას ადამიანები და მხოლოდ ადამიანები არიან.

შოთას პოეტიკისათვის

ჩემი ეს დაკვირვება უპირატესად „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობას ემყარება. ეს წინასიტყვაობა მრავალი საგულისხმო საკითხის აღმძვრელია. ამჟამად მხოლოდ ერთს ვეხებები, სახელდობრ: რას იძლევა იგი (წინასიტყვაობა) პოეზიის თეორიისათვის, ანდა, უკეთ: როგორ ხასიათდება ამ წინასიტყვაობის მიხედვით შოთა როგორც პოეზიის თეორეტიკოსი და პოეტი¹.

* * *

პოეზიის საკითხს წინასიტყვაობაში შვიდი სტროფი აქვს დათმობილი. გავიხსენოთ:

შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი ღარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის² დიდი მარგი,
კვლა აქაუ იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი,
და გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთაღსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მეღეკესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ზევა,
და რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინდა ნახეთ მეღეკესე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
და ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოჯანსა, იხმაროს დიდი გვირობა.

¹ დაკვირვება ძირითადად თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ გაფორმებული, წერილობითად მთლიანად მხოლოდ ახლა ქვეყნდება. ამ ხნის განმავლობაში საკითხის შესახებ ზოგმა ვინმემ მცირე რამ თქვა. ამგვარია მაგალითად ი. ვართაგაეას გამოთქმანი; ამგვარივეა პროფ. იუსტ. აბულაძის მოსაზრებანი საკითხის გამო, რაც მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წლის გამოცემაში (იხ. ვეფხისტყაოსნის ენის ხალხურობა).

აღსანიშნავია კ. კვიციანიძის „ალიტერატურა ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“, ტფილისი, 1925 წ. თუ თავის დროზე წარმოებდა ამ შრომის გადამეტყვასება, არ გვემართებოდა არც მისი შეუფასებლობა. შრომა საგულისხმოა, თუმცა გარდამეტებით ფორმალისტურია. ამ მხრივ წიგნს შესწორება სჭირდება.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ საღმე თქვას ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კრება სწობი;
განაღ: თქვას ერთი, ორი, უმსგ. ესო და შობი-შობი,
და მაგარ იტყვის: „ჩემი სკობსო“, უკილობდა: ვითა ყოიბი.

ნეორე ლექსი კობი, ნაწილი მოშობიეთა,
არ ძალეთ სულქმენა სიგეთა ველიას გასაგებეთა,
ვამსგ. ესე მშვილდი ბედითი ყმ.წვილთა მონადირეთა:
და დიდსა ვერ მოქველენ. ხელად აქეთ ხოც, ნადირთა მკრებთა.

მეს მე ლექსი კობი ან დიობდ. სამღერელად.
საშიკოდ, სალაღობოდ. ამხანაგთა სათრეველად:
ჩვენ მათიყა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
და მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა ვრძელად.

ხამს, მეღექსე ნაპირებესა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიწნურო, ერთსა ვისმე აშკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
და მისგან კიდ ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს. (12—18).

ასეთია შოთას დეკლარაცია პოეზიის შესახებ.

სანამ ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთი შენიშვნა: მთელ
წინასიტყვაობასა და, მამასადამე, ხსენებულ სტროფებსაც ზოგი გინმე ყალბად
მიჩნევდა და უარყოფდა: შოთას არ ეკუთვნისო. მაგრამ, ვინაიდან ეს წარსულ-
ში იყო, და დღეს არც ერთი მკვლევარი უკვე აღარ იზიარებს ამ აზრს, ჩვენც
არას ვიტყვი ამ უარყოფელთა შესახებ, მხოლოდ ზოგადი შენიშვნით დაე-
კმაყოფილდებით.

წინასიტყვაობა მთლიანად ეგუება, სავსებით ეფერება ნაწარმოებს: აქ და-
უნჯებულად მოცემულია ის, რაც შემდეგ გაშლილია თვით „ვეფხისტყაოსანში“:
იგი, წინასიტყვაობა, როგორც შინაარსით (შიგ გამოთქმული აზრებით), ისე
თავისი მხატვრულობით ხორცი ხორცთაგანია და სისხლი სისხლთაგანი „ვეფ-
ხისტყაოსნისა“ და შოთასაგან რომ მეტი არაფერი დაგვრჩენოდა, იგი მაინც
უდიდეს პოეტად იქნებოდა მიჩნეული. აუცილებლად!

1

რას გვაძლევს წინასიტყვაობა ჩვენი საკითხისათვის? თავდაპირველად შოთა
განსაზღვრავს შაირობას, პოეზიას და ამ განსაზღვრისას მის დანიშნულებაზე
ლაპარაკობს:

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
„ველა აქაცა იამებეს, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“.

შაირობა სიბრძნის ერთი დარგია, ე. ი. პოეზია უწინარეს ყოვლისა სიბ-
რძნის, ფილოსოფიის დარგია. აქ ცოტაა ნალაპარაკევი, მაგრამ ბევრია ნათ-
ქვამი. საქმე ის არის, რომ ფილოსოფია იმთავითვე მიჩნეული იყო ცოდნის იმ
დარგად, რომელიც მიზნად ისახავდა ქემშარიტების დადგენას და რომელსაც

ადამიანისათვის სარგებლობა უნდა მოეტანა. შოთას აზრითაც შაირობა სიბრძნის დარგია, ამიტომაც იგი დიდი მარგია, ე. ი. სასარგებლოა. აქ აშკარა უტილიტარისტული შეხედულებაა პოეზიაზე გამოთქმული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეზია ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს, განზე გამდგარი, გაკიდვ-განებული არ უნდა იყოს.

რით ავხსნათ შოთას ამგვარი შეხედულება პოეზიის დანიშნულებაზე. სად ვეძებოთ მისი სათავე? ცნობილია, რომ ყოველი საზოგადოებრივი კლასი, კლასი მშენებელი და აქტივისტი, რომელიც დაუფლებია ცხოვრებას, თავისი წრის მწერალს თავისი კლასისავე სასარგებლოდ ამუშავებს. მწერალი განზე გამდგარი არ იქნება და ვერც იქნება: მისთვის ე. წ. „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მიუღებელია.

შოთაც ეკუთვნის თავის კლასს. რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ აღმავლობის ფაზაში იმყოფება. შოთა ეკუთვნის არა მარტო დასახელებულ კლასს საერთოდ, არამედ მის ყველაზე მოწინავე წრეს. სწორედ აქედან მომდინარეობს შოთას ზემოთ განმარტებული შეხედულებაც პოეზიის დანიშნულების შესახებ. მაგრამ ზოგი სხვაგვარ ფიქრობს, სახელდობრ: შოთა რუსთაველი განცალკევებულად დგას ქართულ ლიტერატურაში: „ვეფხისტყაოსანი“ არ წარმოადგენს ფეოდალური, გაბატონებული კლასის წერილობითი ლიტერატურის ევოლუციური განვითარების შედეგს... მას არ გააჩნია არავითარი წერილობითი წინამძღვრებიო.

ამგვარი შეხედულების სათავე აკად. ნ. მარის ერთი გამოთქმიდან მომდინარეობს. Безвестный «Мех или Месх некий», хотя, конечно, не упавшая с неба звезда, не образ развертывания мистической протоплазмы гениальной личности, не достижение предшествующей эволюционно-развивающейся истории феодальной письменной литературы господствующего класса... Появившись... точно метеор, не имеет в письменности никаких предпосылок.

ნ. მარის ეს აზრი, გაკვირვებით გამოთქმული. მთლიანად და სავსებით ეწინააღმდეგება ნ. მარისავე აზრს ამავე საკითხის შესახებ, აზრს, რომელსაც იგი მტკიცედ და განუხრელად იცავდა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამიტომ იგი, ეგ თქმა, დიდი მეცნიერის თავისებურ წიაღსვლად უნდა მივიჩნიოთ და მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზად ჩავთვალოთ. სამწუხაროდ, აგრე არ შეხედა ამ გარემოებას ზოგმა მკვლევარმა (ზოგმა!). ეს მკვლევარნი აგრე ვარაუდობენ: შოთას ნაწარმოები არაა ქართული ფეოდალური მწერლობის განვითარების შედეგი: ამავე დროს ეს თხზულება. ცხადია, ციდან არ ჩამოვარდნილა, იგი საიდანმე, რომელიმე საზოგადოებრივი წრიდან უნდა მომდინარეობდეს. საიდან? აქ იწყება უკვე მრავალი უმართებულო მოსაზრება, რომელიც შოთას დემოკრატიული აზრების ახსნას მხოლოდ მისი დაბალი ხალხიდან წარმოშობით სთვლის შესაძლებლად.

აქ კვლევა-ძიების მეცნიერული მეთოდი გავულგარებელია. შოთას აზრები დემოკრატიულია, ხალხურია. უეჭველად! მერე და განა ამისათვის აუცილებლად

1. Н. Марр. В тушке ли история материальной культуры, гл. 34.

საკუროა. რომ ავტორიცი. შოთაც. უთუოდ დაბალი წრიდან იყოს გამოსულა? განა არ შეიძლება, რომ მწერალი ერთ კლასს ეკუთვნოდეს წარმოშობით. მაგრამ მისი აზრები, სულისკვეთება, ზრახვანი მეორე კლასს ემსახურებოდეს? შეიძლება.

II

მაგრამ მარტო სარგებლიანობით არ შეიძლება შემოიზღუდოს პოეზიის დანიშნულება და სიკეთე. საკითხის გადამწყვეტელი აქ რომ მარტოდენ სარგებლიანობა იყოს. მაშინ პოეზიას მწერლობის სხვა დარგი გაუწევდა მეტოქეობას. და--წარმატებითაც, რადგან ცნობილია, რომ ხალხისათვის თუ ცალკეული ადამიანისათვის რაიმე სასარგებლოს გარკვევა ხანდახან პოეზიაზე უფრო შეიძლება რომელიმე პუბლიცისტურმა წერილმა მოახერხოს. უეჭველა! მაშასადამე, პოეზია მარტოდენ სარგებლიანობას ვერ დაემყარება. მას, გარდა ამისა, აქვს იმისთანა მხარე, რომელსაც მწერლობის სხვა დარგი მოკლებულია. ეს გახლავს პოეზიის ფორმა, მისი მხატვრულობა, რომელიც უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს, და სწორედ ამ თავისი ფორმით იგი, პოეზია, სასარგებლო რასმე უფრო საგრძნობლად და, მაშასადამე, უფრო მისაღებად ხდის.

შოთას პოეზიის არც ეს მხარე გამოპარვია, როდესაც მოკლედ მოჰკვეთა:
„ელა აქა იამების. ვინც იმენს კაცი ვარგი“.

იამების! — პოეზიას სასარგებლო რამ აქვს დაკისრებული სასიამოვნო მხატვრული სახეებით გადმოსაცემად.

მაგრამ ამასთანავე საკუროა, რომ ამ პოზიციიდან პოეტმა შექმნას დადი ეპოქალური ნაწარმოები.

ამ გარემოებას პოეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მას შოთამ შეთელი ხუთი სტროფი დაუთმო, იგი ხუთშივე ან პოზიტიურად ან ნეგატიურად მხოლოდ ამ საკითხს დასტრიალებს. მოვიგონრო:

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,
და რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შემოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამ ცირობა,
და ხელმარჯედ სცემდეს ჩოვანსა, იხაროს დიდი გვირობა.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განლა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
და მაგრა იტყვიეს: „ჩემი სკობსო“, უცილობლობს ვითა ჭორი.

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალუცს რუ-ლქმნას სიტყვათა, გულესა გასაგვირეთა
გამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
და დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცა
ნადირთა მცირეთა.

მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ. სამღერელად,
სააშიკოდ, სალალბოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
და მოშაირე არა ჰქეიან, ვერას იტყვის ვინცა
გრძელად. (17).

კარგად დაუუკვირდეთ ამ სტროფებს. საითკენაა პოეტის გულისყური? რის თქმა სწავლია მას? რას ამტკიცებს იგი? მხოლოდ ერთს: ჭეშმარიტი პოეტი, მოშაირე მხოლოდ ის არის, ვინც მხატვრულად, მშვენიერი ფორმით (და არა უმსგავსოდ და შორი-შორად) დიდ რასმე იტყვის, დიდ რასმე მხატვრულს ააგებს. აქვე, ამ სტრიქონებში ირკვევა შოთას უარყოფითი დამოკიდებულება მოხსენებულ პოეტებისადმი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დიდ რასმე ვერ წერენ, არამედ აგრეთვე და უპირატესად იმიტომაც, რომ ეს მწერლები ვერ ჰქმნიან სიტყვას გულის გამგმირავს, არამედ მხოლოდ სალალბოს, სააშიკოსა და ამხანაგთა სათრეველს. მოკლედ: დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ვერ ჰქმნიან სამოქალაქო მოტივებით გაქლენთილ პოეზიას.

III

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება წინასიტყვაობის ზემომოყვანილ სტროფთა მნიშვნელობა. შოთა აქ პოეზიის რაობასაც ეხება თავისთავად, დამოუკიდებლად მისი დანიშნულებისა.

რა არის პოეზია, რით განსხვავდება იგი პროზისაგან? ამ საკითხზე ბევრი რამაა დაწერილი, მაგრამ საბოლოო აზრი, ყველასათვის ერთგვარად მისაღები და სავალდებულო, დღესაც არაა დადგენილი.

ჩვენ გვახსოვს პროზისა და პოეზიის შედარება, ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში რომ გვხვდებოდა. ამ შედარებიდან საბოლოოდ შემდეგი დასკვნა გამოდიოდა: თუ ნაწარმოები თავიდან ბოლომდე სიმართლეს შერცავს, არავითარ გადაჭარბებას, მონაგონს იქ ადგილი არა აქვს, იგი პროზაა, მაგრამ თუ ნაწარმოებში არის მხატვრული ნაოცნებარი, გადაჭარბება-გადამეტებანი, — მაშინ საქმე გვაქვს პოეზიასთან, პოეტურ ენასთან. მოკლედ: სიმართლე პროზა იყო, სიცრუე პოეზია.

დღეს ამგვარი შეხედულება უკვე უარყოფილია, მისი სუფრა უკვე აღაგებულია.

მაშ, რა ასხვავებს პოეზიას პროზისაგან? ბევრი რამ, ასეთია, მაგ., პარმონია, რიტმი, რითმა, პროპორციულობა. მელოდია, მუსიკალობა, რომელთაც პროზა ჩვეულებრივ მოკლებულია. გარდა ამისა, ერთი ძირითადი განსხვავება-თავანა იმაშიაც მდგომარეობს, რომ პოეტურ ნაწარმოებისას სიტყვაში და, მაშასადამე, აზროვნებაში (ამბობენ) ეკონომია დაცულია. როგორ? ამის პირველ პასუხს გამოჩენილი პოეტები იძლევა: «Искусство это сгущение мысли, искусство это способность сводить разнообразие явлений жизни к относительно немногим символическим формам» (Вопросы теории и психологии творчества, 203).

მაშასადამე, ცხოვრების პოვლენათა მრავალგვარობის გამოხატვა შედარებით მცირერიცხოვანი სიმბოლური ფორმებით თავისთავად ჰქმნის ეკონომიას.

ამას გარდა, პოეზია ხომ რიტმია და ყოველი რიტმი, ე .ი. თანაბარზომიერად მოკვეთილი და წარმოებული ოდენობა, სულ ერთია. სიტყვა იქნება იგი თუ ფიზიკური მოქმედება, უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ვინემ არათანაბარზომიერად მოკვეთილი, და სიჩქარე კი იძლევა ეკონომიას. ამრიგად, რიტმულობა ერთი მთავარი განმასხვავებელი თვისებათაგანი პოეზიისა პროზისაგან და, ბუნებრივია, რომ აქედან შემდეგი დაესკვნათ: მხატვრულ შემოქმედებისას აზრის დიდი გასაქანი ვიწრო სიტყვიერ ჩარჩოშია მოთავსებულიო. ანდა, შოთასებურად რომ ვთქვათ: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის. შაირა ამად კარგო“.

რა არის აქ „გრძელი სიტყვა“? „გრძელი სიტყვა“ აქ დიდი შინაარსის, დიდი აზრის შემცველი ნაწარმოებია. რას ნიშნავს „მოკლედ ითქმის“? სწორედ იმას, რომ აზრის სიტყვიერი სამოსელი რაც შეიძლება შემჭიდროებულად არის გამოყვანილი. ხაზგასასმელი აქ ის არის, რომ პოეზიის თეორეტიკოსების ზემომოყვანილი დასკვნა რამდენიმე ათეული წლისაა, შოთას ამ ლაბიდარულ თქმას კი შვიდ საუკუნეზე მეტის ისტორია აქვს და, რაც უფრო საგულისხმოა, შოთა ამ შემთხვევაში არაა მარტოოდენ თეორიული დებულების დამდგენი, არამედ თვითონვეა ამ დებულების საუკეთესო და დღემდე მიუწვდომელი განმსახიერებელი.

„ვეფხისტყაოსანი“ გრძელი სიტყვაა მოკლიდ. და უნებულად ჩამოსხმული. ნათელვყოთ.

ცნობილია, რომ პოეტურ ენაში სიტყვათა განრიგება სტრიქონში პროზაული ენის კანონს არ მისდევს: თუ იქ, პროზაში. ამ შემთხვევაში მთავარი და გამამწყვეტელი აზრი და მხოლოდ აზრია. აქ, პოეტურ ენაში, ბევრი რამ ზომასზე, მეტრზე, რიტმზეა დამოკიდებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ. პოეტური ენა ხშირად ბოკავს პოეტს: ხანდახან მთქმელი ამის გამო იძულებულია მოკლედ მიჰკრას იქ. სადაც უფრო გრძლად თქმაა საჭირო და პირიქით. ეს კი თავის მხრივ ერთგვარი ხელოვნური ნაკეთობის დაღს ასვამს პოეტურ ნაწარმოებს. და სწორედ აქაა საჭირო, რომ პოეტი „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“, მაგრამ არასგზით „არ შეამოკლოს ქართული. არა ჰქმნას სიტყვამცირობა“.

ამ მხრივ შოთა დღემდე მიუწვდომელია: თუ ლექსმა მოითხოვა, სიტყვას სტრიქონიდან დაუყოვნებლივ გამოარიღებს, მაგრამ ამით ლექსის სიკეთეს სრულებითაც არ ბღალავს და შინაარსსაც ოდნავად არ ამცირებს; ამავე დროს ჰქმნის იშვიათ ეკონომიას.

რამდენიმე მაგალითი, ჯერ ჩვეულებრივი, რომელიც სხვა პოეტებსაც აქვს. ტარიელი დაბნედილია, მუყარნი და მულიმნი გარეშემო სცავენ. ყველანი დამწუხრებულნი არიან:

აქიშნია იკვირებდეს: „ესე სენი რაგვარია?

სამყარნალო არა სჭირს რა, სევდა რაზე შემოჰყრა“.

ზოგჯერ შმაგად წამოვიქრო. სიტყვა მცდარი წამერია.

და დედოფალი ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია.

(352)

ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, შემდეგს მივიღებთ:
რაც შეეხება დედოფალს, უნდა ითქვას, რომ ის ცრემლი, რომელიც მას
დაუღვრია, შექმნის ზღვას; შოთამ კი მოკლედ მოჭრა:

დედოფალი ზღვასა შეიქმს. მას რომ ცრემლი დაუღვრია.

ან: აეთანდლილი უამბობს ტარიელს —

ქმუნვა შეექმნა, თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიურია.
მოგნახეს, გძებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუწერია,
ვერ ნახეს შენი მნახველი ვერცა ყმა, ვერცა ბერია;
და აწ გამოგზავნა, რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია.
(289)

ე. ი. აწ გამოგზავნა (მან), რომელსაც და სხვ.
სწორედ ამგვარი ხასიათისაა ცნობილი ლაპიდარული თქმა:
რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაქარგულია, ე. ი. „რასაც არ გასცემ,
ის“ მოცემულია მოკლედ: რ ა ც ა რ ა. მაშასადამე, ამ სტრიქონს არაეითარი-
შესწორება არ სჭირდება, როგორც ამას ზოგიერთი მოითხოვს.
დაახლოებით ამგვარი თქმა ახლაც გვაქვს ცოცხალ ენაში:
რასაა რომ ჰკითხულობ? ე. ი. რ ა ა რ ი ს ი ს. რ ა ს ა ც შენ ჰკითხულობ?
სად არის აქ „რა არის ის, რასაც“? „რასაა“ სიტყვაშია.
ანდა: ზოგთა თქვეს თუ „მართალია“. ზოგი. ღმერთო, უზრახვიდა!
ან კიდევ: „გაიყარნეს: ყმა წავიდა სახლად, ჩადგეს მზისა წვერნი“, ე. ი.
ყმა წავიდა სახლად (მაშინ, როდესაც) ჩადგეს მზისა წვერნი.
ერთიც: თინათინის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“ და სხვა
მრავალი.

ეს საერთოდ. მაგრამ, ცხადია, შოთა ამაზე ვერ გაჩერდებოდა. სიტყვის
დაუნჯებულად. დაწურულად გადმოცემისათვის მას სხვა პოეტური ხერხებისა-
თვის უნდა მიემართა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პირდაპირ
მიუწვდენელმოდან აყვანილი ტროპები, სახელდობრ: მეტაფორები, მეტონი-
მიები, სხვადასხვა შედარებები. საამისოდ შოთას სიტყვათა განსაკუთრებულად
შერჩეული მარაგი აქვს. ასეთია: ალვა, ალმასი, ამარტი, ბალახში, ბასრი, ბალი,
ბროლი, გიშერი, დილაჯი, ეტლი, ვარდი, ზაფრანა, ია, იაგუნდი, ლომი, მარი-
ხი, მზე. მთვარე, შინა, ნა, ნარინჯი, ოქრო, სარო, ფაზარი, ყაჩყუმი, ძეწნა,
ჯიქი, ჭეონი, ჰინდო და სხვა მრავალი. შოთა ამ სიტყვათა გარემოცვაშია, იგი
მთლიანად მათ რკალში დანაწარმობს, მაგრამ არაჩვეულებრივად უყვარს და
ამოჩემებული აქვს: ალვა, ბალახში, ბასრი, ბალი, ბროლი, გიშერი, ვარდი,
ლომი, მზე, მთვარე, ოქრო, სარო.

„ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვები მეტად ფართოდაა გამოყენებული. თი-
თოეული მათგანი მოცემულია მხატვრულობის არაჩვეულებრივი მრავალსახე-
ობით.

მრავალ პოეტურ შედარებათ შორის, რომლებითაც პოეტი აზრის იშვიათ-
ეკონომიურობას აღწევს, ჩვენ მხოლოდ მცირედს დავასახელებთ.

ავიღოთ გ ი შ ე რ ი. პოეტი, რასაკვირველია, არ მიმართავს უბრალო შედარებას. რომელიც პროზაულ საქმას შეეფერება. მაგ., თმა ისეთი შავი, როგორც გიშერი. ამ შემთხვევაში ეკონომიაც არაერთად არ იქნებოდა. შოთას თქმა უფრო მოკვეთილია. იგი მოცემულია ორ საფეხურად.

ასე:

ვის შვენის, — ლომსა, — ხმარება შუბრსა, ფ რ-შიმშერისა,
— მეფისა მზის თამარისა, დაწვინდა ხ შ, თმ-ავიშერისა.

(3)

აქ შედარების პირველი საფეხური გვაქვს, ე. ი. დაწვი ისეთი ფერისა. როგორც ბალახში (თავად ბალახშის შესახებ ქვემოთ) და თმა ისეთი შავი, როგორც გიშერი. გ ი შ ე რ ი აქ თმის ატრიბუტია. ბუნებრივია. პროზაულ ენასთან შედარებით ამგვარი თქმა უეჭველად დიდ ეკონომიას იძლევა. მაგრამ შოთა ამ საფეხურზე არ ჩერდება და, თავისი თეორიული დებულების თანახმად, კერძო გაჩერდებოდა: იგი უფრო მალლა აღის, შედარების მეორე საფეხურზე და გასაოცრად კონდენსირებულ ზრს იძლევა. შემდეგი სტროფი ავიღოთ:

ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასე აღვეს.
ბროლი-ბოლახში შხუეული და ენოლი ასთავის:
ემ ეტყვის, თუ: „შინთა მკერეთთა თათ ხევისა, სად ავსს!
და ცუქლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადევს“.

(137)

რა არის აქ გ ი შ ე რ ი? რომელი საგნის ატრიბუტია იგი? რეალური საგანი უკვე აღარ არის: როგორც ცალკეული, იგი დაკარგულია და მისი შინაარსი მთელი თავისი მოცულობით ატრიბუტში გადმოსულა. გ ი შ ე რ ი აქ შავი უღვაშია. ეს უკანასკნელი აღარ ჩანს. მის ადგილს ატრიბუტი (გიშერი) იჭერს. მაგრამ ამავე დროს იგი არც ატრიბუტობას ჰკარგავს, და სწორედ ეს იძლევა სიტყვას კონდენსირებულს, დაუჩქებულს: ორი და მეტი სიტყვის შინაარსი, მოცულობა ერთმა დაიჭირა, ერთმა აითვისა და სწორედ ეს განსაზღვრავს გრძელი სიტყვის მოკლე თქმა.

სხვა მაგალითები მოვიხმოთ.

რა გულსა უთხრა გულისა სიტყვანი საგულისონი,
მან მარგალიტნი მოიხვნა მის მზისა სამეყვისონი,
მის მზისა მკლავსა ნაბამნი. მათ კბილთა შესატყვისონი,
და პირსა დაიდვნა, აკოცა, ცრემლთა სდის, ვითა ბისონი.

(719)

ვითა ბისონი: აქ შედარების და, მაშასადამე, ეკონომიურობის პირველი საფეხურია.

მაგრამ:

აჲ ვაზირო, მავა პირსა გული კრული ვით მოგთმინდეს?
რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს, გაცვილდეს, არ გატინდეს;
ვერ გადვიხდი ცრემლთა მისთა, ქ ე ო ნ ი ც ა თელთა მდინდეს...

(749)

აქ ჯეონი კვლად უდიდესი ეკონომიის მომცემია, რადგან რკალეზგახსნი-
ლი იგი შემდეგს შეიცავს: იმდენი ცრემლი მდინდეს, რაოდენიც ჯეონია.
ბროლი ვახსენოთ:

ზღვთა მეფესა ეტყოდეს სამნივე შექთა მათენი,
კბილნი ბროლი და ბაგენი, სადაფთა მოსადაფენი...
(1445)

„კბილნი ბროლი“ --- შედარების პირველ საფეხურზე ვართ, მაგრამ:

„ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანაზან“,

აქ უკვე ბროლი ისევ და ისევ ორისა და მეტი ცნების შემცველია.
ამგვარივე და კიდევ უფრო გასაოცარია:

ხეიწებოდა: „შეჯეო“, აქას ხეიწნითა არეებდა,
— იცოდა, რომე შეჯდომა კაეზანს მოაქარებდა, —
ლე რწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარებდა;
და დაემორჩილა, ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.

(891)

ძირითად ცნებათა ადგილი კვლავ ატრიბუტმა დაიკავა და ამით მივიღეთ
უდიდესი ეკონომია.

შემდეგ:

ეტყოდა: „სულე! რამე გოყავ? კაცი ვარ, ადამიანი,
უფერო-კმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი,
მისი რამ მითხარ, ეინ არის ტანსარო, პირბაკი მინი...

(233)

აქ შემოკლების ორივე საფეხური გვაქვს.
ან:

მუნ სარო, მსგავსი ვარდისა. ენახე, მისკირდა, მი, ნები,
იტყვის: „დავკარგე ბროლი და სადა ქრთავს ბროლსა მინებში“.

(697)

ბადახშის (ბალახშის) შესახებ წინათაც გვქონდა აღნიშნული. თავდაპირ-
ველად ბადახში, ბალახში. ბადახშანი ქალაქია, ქვეყანა, დღევანდელ ავღანის-
ტანში, თავის დროზე ლალით განთქმული. ძველად იტყოდნენ: ტუჩები ისეთი
წითელი, როგორც ბადახშის ლალი. შემდეგ: ბადახშის ლალის ტუჩები. უკანას-
კნელად ლალი სახეებით იკარგება და ამბობენ: ბადახშის ტუჩები, ან კიდევ
უფრო მოკლედ: ბადახში, რაიც უკვე ლალს, ლალისფერ ტუჩებს აღნიშნავს.
მაშასადამე, აქაც იგივე მოხდა: მრავალი ცნება ერთმა შესცვალა, ერთმა დაიტია.
ამგვარადვეა ნაწარმოები ხმალბასრი. ბასრაც ხომ ქალაქია, ფოლა-

დით ცნობილი. აქედან:

ა. ხმალი ბასრის ფოლადისაგან. გაკეთებული;

- ბ. ხმალი ბასრის ფოლადისა;
- გ. ხმალი ბასრისა;
- დ. ხმალი ბასრი;
- ე. ბასრი.

ამავე დროს აქ მეორე დიფერენციაციაც ხდება.

ფოლადი ხომ მაგარია. მკრელი, აქედან ბასრმა უკვე მკრელის მნიშვნელობა მიიღო. ამიტომ ბასრი დღეს უკვე მკრელს აღნიშნავს.

შეიძლება ვინმემ თქვას: ამგვარი თქმები ხომ პროზაშიაც გვხვდება. მაშასადამე, სად არის აქ შოთას პოეტურ თქმათა თავისებურებაო? მართალია. პროზაშიაც გვხვდება, მაგრამ მხოლოდ შემდეგ დრო-სათვის. ბ ა ს რ ი, ბ ა დ ა ხ შ ი (ბალახში), გ ი შ ე რ ი. როგორც პოეტური თქმებო. მხოლოდ პოეტის ხერხებია, თავდაპირველად მას პროზაიკოსი ვერასგზით ვერ გაბედავდა. პირველთქმელი აქ მხოლოდ პოეტია და მხოლოდ იგი?

სხვა მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. იგი მრავლის უმრავლესია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შედარებისა და შემოკლების ორ საფეხურს შორის შოთა განსაკუთრებულ ყურადღებას მეორეს აქცევს, რადგან სწორედ ამ საფეხურზე ხორციელდება თქმისა და, მაშასადამე, აზრის მაქსიმალური კონდენსაცია და ეკონომია.

შევეხები ეკონომიურობის სხვა საშუალებათ.

ამგვარია, წინააღმდეგ მიღებული წესისა, არსებობისაგან შედარებითი ხარისხის წარმოება:

და—დესი. მოყვარე—უმოყვარესი, ცხენმალი—უცხენმალი და სხვა.

ქალმან უთხრა ემასა სიტყვა პირველისგან უამესო:

-ეგე სიტყვა მოიგონე და რამე უკეთესი.

წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთვის,
და აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი".

(252)

ან:

ვართ უმოყვარესნი მე და შენ ყოველთა კატრონ-ემათისა.

ანდა:

ყოვლგან რბოდეს საქებარად, ვინცა იყო უცხენმალის და სხვ.

ეკონომიურობასვე ემსახურება სიტყვათა განკვეთა და შიგნადაც ნაცვალსახელთა და სხვა ნაწილაკთა ჩასმა: შევინივილოდეს, შერასმეჰყვეს.

განსაკუთრებით და და ცა ნაწილაკები: შელაგება, შელაგოდო, შელაამ-რჩებთან, შეცაეჭვი, შეცამებნეს, შეცამღებო, შეცამშლელად, შეცასთვალე, წაცაველ, წაცაველი, წაცავეიდა, წაცავეყვები, წაცამყვანებლად. წაცახვია, დაცაბნდა, დაცაგვლია, დაცამღეწა, დაცამფარე, დაცამკნარა და სხვ.

² ვუკ. ბერიძე. ვეფხისტყაოსნის გარშემო.—ტფ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, გვ. 156-157.

მართალია, ორივე ეს სახე შოთაზე ადრეც გვხვდება, მაგრამ მთავარი ის არის. თუ რისთვის აქვს გამოყენებული ეს ხერხი პოეტს. უეჭველად სიტყვის მოკვებისათვის. აზრის მოკლედ გადმოცემისათვის.

ასეთია „ვეფხისტყაოსანში“ საერთო სიტყვის საშუალებით მიღწეული ეკონომია, მაგრამ მართო ამით არ ამოიწურება შოთას ხერხები აზრის დასაუწებლად. სიტყვაცაა და სიტყვაც. ყველას ერთგვარი მნიშვნელობა და ლირებულება არა აქვს აზრის ეკონომიისათვის. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ზმნა. ზმნა იგივე ქმნაა, მოქმედება და, მაშასადამე, ადამიანიც ვერ ჩაითვლებოდა ადამიანად, სანამ თავის მეტყველებაში ზმნის, მოქმედების კატეგორიას ვერ შექმნიდა. და ისიც თავისი ბრძოლისა და, მაშასადამე, მეტყველების განვითარების გზაზე ცდილობს მთელი გულისყური ზმნისაკენ მიაპყროს, სუბსტანტივიდან მოქმედებისაკენ წარიმართოს: მოქმედება მოძრაობას ნიშნავს, მოძრაობა კი ჰქმნის სიჩქარეს, რაიც საბოლოოდ იძლევა დაზოგვას, ეკონომიას.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ენა: მას იმთავითვე დაუღწევია თავი სუბსტანტივებით გადამეტვირთულობისაგან და ზმნურობისაგან წარიმართულა.

ქართულის ამ თვისებას და საერთოდ ზმნების სიმრავლეს „ვეფხისტყაოსანში“ კერძოდ—ქერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინ ი. ჰავჭავაძემ მიაქცია ყურადღება თავის შესანიშნავ კამათისას ივ. ჯაბადართან.

„მეორე განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა, რომელიც ჩვენის ფიქრით ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლა—და გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალგვარ ფორმების წყალობით, მართო ერთის ზმნით, სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად გამოითქმის პიროვნებაც მოქმედისა, მიმართულებაც მოქმედებისა, სხმით—გარდასხმითობაც. მაგალითებრ, „ვაკეთებინებ“, და ბევრი სხვა გარემოება მოქმედებისა თუ მდგომარეობისა, არა გვგონია სხვა ბევრმა ენამ გამოსთქვას ერთის ზმნით, სხვა სიტყვის დაუხმარებლად, თუნდ, მაგალითებრ, ეს ქართული: წავაღებინებ, წამოვალეზინებ, გადააზომინა, გადმოაზომინა და მებრვე სხვა.

რომ ჩვენმა ავტორმა ასეთი სამარჯვო მიხვრა—მოხვრა ჩვენის ენისა. წუნად არ დასდოს ჩვენს ენას... ჩვენ ვიმოწმებთ ამისთანა ავტორიტეტებს, რომელნიც თუ ჩვენის ავტორის თანასწორნი არ არიან, ბევრში არ ჩამოუვარდებიან.

აი, რას ამბობს კარიერი:

Большим шагом и новою ступенью словоразвития было... то, что человек начал различать предметы от их действия и страдания... Глагол знаменует деятельность вещей, которою они собственно и производят на нас впечатление... Но чтобы речь была образом настоящего мира (который состоит в движении и взаимодействии вещей), действие и страдание должно выражаться в ней движением.

თვითონ დიდი და სახელოვანი ჰუმბოლდტიც ზმნების თაობაზედ ამ აზრისაა. იგი ამბობს:

Все остальные части речи представляют как-бы мертвый, ждущий: живой связи материал, один глагол — средоточие жизни, всюду ее раз-

ლივაოშე. მსოფლიო, თუ რა დიდი ღირსება
ბოლოდარა გლოლი, ვნტრენეე სოე ჟილიშე ი პრიო პერეოდიტ ვ დეიშ-
ვიტელიშე .

ამის შემდეგ აღარაფერი განმარტება უნდა იმას, თუ რა დიდი ღირსება
უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფერობა ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ხდის
მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას ბევრგვარი გარემოება გამოუთქვას
სხვა სიტყვების დაუხმარებლად. არ ვიცით, სხვა რას იტყვის და ჩვენ კი გვჯე-
რა, რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამო-
ყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმ-
დიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა
ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ, კარიერისა და ჰუმბოლტისა არ იყოს, მეტ-
ყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ. ქართული ენა ზედ გამოჭრილი
ყოფილა ამ ნათქვამზედ. იმიტომ. რომ ქართველი უფო ზმნებით ლაპარაკობს.
ზმნებით მეტყველობს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. მაგალითად მოვიყვანთ
რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას
წარმოადგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედა-ძარღვს
ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც
ერთხელ არ უმტყუნა“ (ილ. ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 93—95).

მართლაც: „ვეფხისტყაოსანში“ 45.000-მდე სიტყვაა და აქედან თითქმის
40% ზმნას უჭირავს.

ზმნების სიჭარბე განსაკუთრებით აღნიშნულია იქ, სადაც შინაარსით გად-
მოცემულია ბრძოლა, მოქმედება, სისწრაფე და საზოგადოდ ექსპრესია³.

ამ მხრივ შოთა ისეა გატაცებული, რომ იგი ქართულში არსებული ზმნების
მარაგით არ კმაყოფილდება. მისთვის ეს მარაგი უკმარია და ამიტომ აზმნაებს
სხვადასხვა სახელს და არა მარტო სახელს, უფორმო სიტყვებსაც და ამით სის-
წრაფის, მაშასადამე, ეკონომიურობის მაქსიმალურ ეფექტს იძლევა.

მცირედი დავასახელოთ.

1. თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა. მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნულარა სტირ, კირსა თავი არიდენო;
შენი მკერეთნი შენთა მკერეთთა ავინებუნ. არ იდენო,
და რომე წელან მოგებვიენეს. იგი ჩემთვის არ იდენო.
(495)

ე. ი. ის რიდე, რომელიც შენ გაქვს, ჩემ რ ი დ ე დ გ ა ხ ა დ ე ო.

2. აეთანდილის მაქებელთა ათასიცა ენა ენდა,

ე. ი. ათასჯერ ენად იქცეს.

3. იაგუნდი ვგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,

ე. ი. მინა ათასჯერ რომ მინად იქცეს.

³ ვუკოლ ბერიძე. რუსთაველის შაირისათვის. იხ. ქვემოთ, გვ. 126.

4. ვისი ვინდა უშენოსა, პირი მეზხის, ტანი მეხოხს,

ე. ი. ვინ უნდა იქნეს ის, შენ გარდა, ვისთვისაც პირი ჩემი მზედ გამეხადოს.
ხოლო ტანი—ხედ.

5. კვალა მითხრა: ვისცა ღმერთი საროს მორჩა ტანად უხეზს,

ე. ი. ვისაც პატარას გაზრდის...

6. ვინ გუშინ ედემს ნახარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია,

ე. ი. გამზარდა, ხესავეთ გამახარა.

7. ტარიელი მოუთხრობს აეთანდილს ფრიდონთან შეხვედრის ამბავს:

გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთნი ხენი ვით ჰხენ!“
მერმე მითხრა: „მოგახსენებ, აწ სიტყვანი რომე მკითხენ:
იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისცა რომე ვითხენ,
და უკაზმავსა მილატეს, საქურველნი გარვერვითხენ“.
(596)

ვით ხენ—ვით გაზარდე ხედ;

ვითხენ—თხებად რომ მიმაჩნდა;

გარვერვითხენ—გარს ვერ შემოვირტყი.

ზმნის ფორმა იშვიათი, ეკონომია უდიდესი!

8. პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი იხოხს,
გული მინდორს არ გაიქრას, არ იირმოს, არცა ითხოხს,
თუ გიტყუო, მოგალორო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს!
და შენმან კერეტა-სიახლემან მომაქარვოს სეედა. მითხოხს!
(667)

იხოხს, იირმოს, ითხოხს, მითხოხს — კვალად იშვიათი, უეჭველად გაბედული
ფორმებია ზმნისა...

9. დადრკა, სკამნი შემოტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეაღწნა;
დაადღუნა, მაგრამ მისთვის ააღმასნა, არ აძეწნა:
„ვით მიაშვე წასვლა მისი, ვინ ალვისა მორჩი ხე წნა!“
და ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ღეწვნი თეთრნი აახეწნა.
(760)

ააღმასნა, აძეწნა, აახეწნა!

10. აწ ნე მაქეს ქაჭთა ქვეყანა და მათი დანადგობა,
მეფეო, კარგი ყველაი მე თქვენგან წამკიდებია;
ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია,
და მისად მუქაფად რა გიძღვნა? მძულს ცუდი ნაქადგობა.
(1429)

11. ტარიელ ფატმანს უბრძანა: მე თავი შენი მიდიოა.

ე. ი. დანდ, დობილად გამიხდია.

12. თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ. მე ჩემსა არ ექჳმარებო.
13. ორნივე მიჰხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს შენ იე.
14. მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე, სხვა პასუხი რამცა კადრე, ანუ რამცა შევიწამე? მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიციოხლე გამიწამე, და ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა, მე!“
(134)

განსაკუთრებით საყურადღებოა „აწამწამე“. აქ ორმაგი ეკონომიაა: ვინ გიშერი აწამწამე, ე. ი. ვინც გიშერი გაიხადე წამწამებად, კვალად: ვისაც ისეთი წამწამები გაქვს, როგორც გიშერი. ეკონომიურობას აქ პოეტი აღწევს. შეტაფორითა და ზმნურობით.

14. მეფე შექდა, მიწინდელი ზარი აწცა ვით ითქმოდა
ქოს-დაფდაფთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა,
მზესა ქორნი აბნელებდეს, ძალთა რბოლა მიდამოდა.

ე. ი. ძაღლები აქეთ-იქით დარბოდნენ.

15. იარეს და ზედა შეჰხდეს ნურადინის მეფოგეთა;
ჭოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა,

ე. ი. ჭოგი ისეთი, როგორც შეეფერება, შეშვენის ფრიდონს.
მრავალი რიცხვითი სახელისაგან ნაწარმოები ზმნები.

1. რომე ცუდად არ მოლორდე, ესე კაცნი გლალატობენ,
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ.
2. იგი კირი დაღრეჟილსა უათასდა, არ უათდა.

განსაკუთრებით უყვარს, პირდაპირ ამოჩემებული აქვს, შვიდი-რვა და მათი გაზმნავება.

3. თავთა კირი უათასეთ, რამც უშვიდეთ, რადმცა ურვეთ.
4. ეხვეწებოდა: „შესჯეო“, აქას ხვეწნითა არვებდა.

არა ნაკლებადაა ხმარებული ოცისაგანი ზმნები.

5. საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების;
რა მიჰლულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების,
და შეერთის, დიდნი დინახნის, მით პატოჟი ეოცების.
(140)

6. რომე დავუავ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა .

გვხვდება ასისაგანი ზმნაც.

7. თქვის: კირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდათი ანასა .

ე. ი. ასად გახადა.

ხშირია ასოცისაგანი:

8. უმართლუა, ვერ მკერეტელმან, თუ პატიჟნი იასოუნეს .

9. ერთსა მოხედეს საზიაროდ, დიდებანი იასოუნეს .

10. რადგან მოგშორდი, დავრჩები პატიჟთა გაასოცებით .

მაგრამ პოეტი, როგორც ვთქვეით, აზმნავეებს არა მარტო სახელს, არამედ თვით უფორმო სიტყვებსაც, როგორიცაა მაგალითად ზმნისართი.

1. მსვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა.

შამბი გავლო, გაეშურა, თავი მინდორს გაავარა .

2. მკედარი მნახო, დამიტირე. სულქმა გაათანისთანე .

3. გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლასა, ბუქმან ხმა გააზეარა .

4. აესა წამ ერთ გაამოკლებს. კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს .

5. სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთაეადე,

და სამსახური აქამდისი, კელა გავლენა გააკვლადე .

ეფექტის გასაძლიერებლად პოეტი ხშირად ორ სიტყვას აერთებს, ჰქმნის კომპოზიტს და შემდეგ აზმნავეებს.

1. კარვის კალთა ჩახლართული ჩავექერ, ჩაეაკარაბაკე .

2. შენ დაგძახა, მიხმეო, ხმამალა გახმამეცივარდა .

3. დანა დაცა, მოცაყდა, დაეცა გასისხლმდინარდა .

ამავე მიზანს ემსახურება ზმნის ისეთი იშვიათი ფორმები, როგორიცაა მიცის, გიცი, მიცოლი, გიტყვი, გიტყვიან.

1. ანუ ვინ მიცის ცოცხალი, მიწასა ზედა მტყენელი .

ე. ი. ვინ იცის, რომ შე ვარ...

2. აწცა მიცოლი საშენოდ, მითვე პირითა მტყიითა .

3. შენ გიცი კარგი მოყვარე ერთგული მისანდობელი .

4. ვის ხატად ემართის გიგუეაძის ფილოსოფიის წინააღმდეგ.

5. მხეს. ეტყვის: „ზეო კარგი თინათინს ღაწეთა დარდ“.

გ. ი. შუიკო, მე ვიტყვი შენ შესახებ, რომ.

მაგალითები სხვაც მრავალია. მაგრამ ამაზე შეეჩერდეთ. რადგან უეჭველობით დადასტურდა, თუ როგორია შოთას მიხედვით პოეტურად ნაწარმოების წინაშედობლივი თვისება. რომელიც ასხევეებს მას პროზაული თხრობისაგან: პოეტური მეტყველებებისას დიდი აზრი, დიდი შინაარსი ვიწრო სიტყვიერი სამოსლით გადმოიციემა და შოთას ამ შემთხვევაში არა მარტო თეორეტიკოსია, არამედ აგრეთვე სწორეუპოვარი განმსახიერებელი თავისი თეორიისა.

IV

წინასიტყვაობის სიღიადე არც ზემოხსენებულით ამოიწურება. შოთა აქ განიხილავს თვით მხატვრული შემოქმედების პროცესსაც.

როგორ მიმდინარეობს მხატვრული შემოქმედების პროცესი? რა აზრის არიან ამ პროცესის შესახებ სპეციალისტები?

ზოგიერთ გულუბრყვილოსა და საქმეში ჩაუხედველს ჰგონია, რომ პოეტური შემოქმედება ადვილია. განსაკუთრებით მისთვის, ვინც „ზეგარდმო ნიქით“ არის ცხებულო.

ამ ნიადაგზე ჩვენში კაი ხანია მეტად მცდარი შეხედულება შემუშავდა. მაგ.: ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ შემოქმედებათა და თათოეული მათგანის ნიჭის შესახებ.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, ტფილისის გაზეთ «Новое Обозрение»-ში დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის საგულისხმო წერილი. რომელშიაც ამ ორის, უეჭველად დიდი შემოქმედის, შედარებაა მოცემული.

Акакий, в полном смысле слова истинный и настоящий поэт. Этого мало: он единственный поэт среди грузинских стихотворцев последнего полувека. Говорю это в том смысле, что ему одному меж ними природой даны (ახზი ჰყვია ვ. ბ.) те специальные дарования, которые делают поэтов.

Сила литературного дарования Акакия Церетели просто изумительна. Можно без малейшего преувеличения сказать, что по природному дару он целой головой стоит выше всех современных кавказских поэтов и прозаиков, без всякого исключения. Превыше всех он обладает бесценным даром, верховной силой писателя проникать читателей, точно электрическим током, о чем бы не заговорил он. Он будоражит, будит, ставит на ноги даже и паралитиков, оставляя не только мыслью своей, но и формой и даже формой больше, чем мыслью уже навсегда неизгладимое впечатление.

Как поэт, Илья не обладает и крупницей дарования Акакия Церетели. Его стихи деланны, тяжелы, нехудожественны...

Но Илья, сравнительно скудно одаренный, без усталости напрягал все свои силы, все свое время для того, чтобы дать своим способностям все то развитие, всю ту мощь, какие им были доступны.

Он учится, читает других писателей, мучается, терзается для того, чтобы дать десяток других стихов.

Другой же (Акакий), рождennyй истинным и выдающимся поэтом, увы, не сделал над собой никакого усилия, не вооружил свой несравненный поэтический дар всеми необходимыми элементами его воздействия и остался в первобытной чистоте и простоте своей голой натуры.

Он чарует, когда раздается его песнь, чарует как соловей бесподобный, но и только: песнь его не умрет и не забудется, о, это верно, как бог свят. Но он не занял в грузинской литературе того главенствующего положения, которое принадлежало ему по рождению. Раб ленивый, он зарыл в землю могучее орудие, богом сму в руки данное, и литература его народа не извлекла из его деятельности всего, что мог дать ей этот огромный талант, «сам себе сокрушитель и враг», талант, которому стоило только рукой шевельнуть, только поработать, чтобы вырасти в гения. Ну, не до смерти ли досадно это?

ვანი, რა კარგი იქნებოდა, რომ აკაკის — თავის ნიჭთან ერთად ილიას შრომისმოყვარეობა და სიღრმე ჰქონოდა, და ილიას — თავის ყველა ამ თვისებებთან — აკაკის ცეცხლიო, ასე აბოლოვებს ნიკო ნიკოლაძე თავის მხატვრულად დაწერილ წერილს.

აკაკის პოეტური ტალანტის დახასიათებას ნ. ნიკოლაძე სწორს იძლევა, უკეთესი შეუძლებელია; სწორია აგრეთვე მისი შეხედულება შრომის მნიშვნელობის შესახებაც. ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის მიერ დაფასება შრომისა და მისი აუცილებლობა და საჭიროება, თუნდაც უდიდეს მწერლისათვისაც, უეჭველად სალია, მაგრამ... მაგრამ მაინც ვერ დავეთანხმებით ნ. ნიკოლაძეს, ვერ დავეთანხმებით იმაში, თითქოს აკაკი ზარმაცი იყო თავმიცემული, ხოლო ილია შედარებით ნაკლებნიჭიერი და თავი მხოლოდ და მხოლოდ შრომით გაჰქონდაო. ვერ დავეთანხმებით, მაგრამ... ამ წერილიდან მოყოლებული ჩვენს საზოგადოებაში შემუშავდა და განმტკიცდა შემდეგი აზრი: აკაკი ნიჭიერია, ლექსის წერა ემარჯვება, ილია მძიმეა, ლექსი მისი ნაძალადევიო. და ამ აზრის დასადასტურებლად, სხვათა შორის, ამ ორი პოეტის ხელნაწერებსაც იმოწმებენ.

და მართლაც: აკაკის ავტოგრაფებს რომ ათვალიერებ, იქ გადახაზულს, გადასწორებულს, თითქმის ვერ ამჩნევთ, ყველა სტრიქონი გამართულია, უმცდარია, ამავე დროს ისიც დადასტურებულია, რომ ეს ხელნაწერები პირველადია, მეორედ არაა გადათეთრებული.

ამასთანავე აკაკი არსად არაფერს არ გადმოგვცემს თავისი პოეტური შემოქმედების შესახებ, თუ როგორ მუშაობდა აიგი, როგორ იბრძოდა ლექსისათვის?

სულ სხვაგვარია ილიას ხელნაწერები: იქ არამცთუ დიდი ნაწარმოებნი, სადაც გადასწორება, გადახაზვა ყველასათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, — თვით პატარ-პატარა ლირიკული ლექსებიც კი, რაიც თითქოს მოზღვავებულად მომდინარეობს და ამიტომ ერთბაშად, ერთის მიდგომით უნდა ითქვას, ეს ლექსებიც კი რამდენჯერმეა გადახაზული, შესწორებული.

ესეც რომ არ იყოს, თვით ილიასაც არა-ერთხელ აღუნიშნავს წერილებში ოჯახი შეერთებისადმი. თუ რამდენად შრომობდა და იტანებოდა იგი თითო-ეული თავისი ნაწარმოებისათვის.

რაშია საქმე? ნუთუ. მართლაც, ილიას ეწინააღმდეგებოდა ლექსის წერა და, ნუ-თუ, დასტურ, აქაი აგრე უბუღბუღებ არაკვაკვებდა?"

არა! არც ილია ეწინააღმდეგებოდა და არც აქაი თანხავდა უშრომლად. ხე-პირ, მსუბუქად. არა! ორივე დიდი პოეტი იყო. ჰემშარიტი პოეტი და ცნობი-ლია, რომ ყოველი ჰემშარიტი პოეტური ნაწარმოები დიდი ტანჯვის, წვალე-ბისა და განცდის შედეგია.

შემოქმედების პროცესი აქ ყველასათვის ერთია. იგი გზა ტანჯვის გზა არის, მაგრამ ჩვეულებრივი მკითხველისათვის ერთგვარად არაა გამოქვეყნე-ბული, რადგან თვით შემოქმედების პროცესიც გარეგნულად ერთგვარად არაა გამოვლინებული.

ერთ შემთხვევაში ნახეს პოეტის ავტოგრაფი მიხაზულ-მოხაზული, გადა-ჭრელებული და ნაჩქარევად დაასკვნეს: პოეტი მძიმე ყოფილა, წერა ეძნელე-ბოდა, კალამი ჩლუნგი ჰქონიაო.

მეორე შემთხვევაში თვალი მოჰკრეს უშეცდომო ხელნაწერს და კვალად განუსჯელად დაადგინეს: პოეტი ცეცხლით იწვოდა, ლექსი მისი წყაროსებრ მომდინარეობდაო, და არც ერთი ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ერ-თი პოეტი გარეგნულად (გარეგნულად!) ერთგვარად გამოავლენს თავისი შემო-ქმედების პროცესს, მეორე — მეორეგვარად.

რა არის ეს ერთი გვარი და როგორია ეს მეორე გვარი?

ამის ნათელსაყოფად მარტო ავტოგრაფები როდი კმარა! აქ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თვით პოეტის ჩვენებას. სამწუხაროდ, ჩვენს მწერლებს, სულ მცირე გამონაკლისს გარდა, ჩვეულებად არ ჰქონიათ ეწერათ თავისი აღსარება, ეთქვათ რამე იმ ტანჯვისა და ვაი-ვაგლახის შესახებ, რაიც თითოეული მხატვრუ-ლი ნაწარმოების ამ ქვეყნად დაბადებას თან ჰყვებოდა ხოლმე.

ამიტომ ისევ ილიას დავუბრუნდეთ. როგორც ილიას პირადი ჩვენება, ისე მისი ავტოგრაფები მიუცილებლივ ადასტურებენ, რომ ჩვენ დიდ მწერალს თი-თოეულ თავის ნაწარმოებზე არაჩვეულებრივ დიდხანს უმუშავია, პირველი რედაქციისათვის, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დამზადებული რედაქციისათვის რამდენჯერმე რევიზია მოუხდენია, უსწორებია, თანდათან უკეთებდა და მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვია, როდესაც დარწმუნებულა, რომ ნაწარ-მოები უკვე სრულყოფილია, არაუდღეური, დროზე დაბადებული და, მაშასა-დამე, კიდევაც იხეირებს.

მოკლედ: ილიას ყოველი თავისი ნაწარმოები დიდხანს უზრდია, შვილივით კალთით უტარებია.

კი, მაგრამ აქაის მაინც რა ვუყოთ, იმის ნაწერებში რომ ამ „ნაკეთობას“ ვერ ვხედავთ და ყველაფერი სუფთადაა? ნუთუ იგი არ იტანებოდა და თავის ნაწარმოებზე ტანჯვით არ შობდა? აუცილებლად! მაგრამ ამის შესახებ ცნობას უშუალოდ მისი ხელნაწერები არ იძლევა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მა-ინც გვაქვს საშუალება დავასკვნათ, რომ აქაის შემოქმედებაც იმავე გზით მიმ-დინარეობდა, როგორც ილიასი და საზოგადოდ ყველა მწერლისა.

ჩვენ მოგვეპოვება, მართალია, მეტად მოკლე, მაგრამ იშვიათად მრავალ-მეტყველი მოწმობა ცნობილი მწიგნობრის არისტო ქუთათელაძისა „მოგონება აკაკის შესახებ“.

ეს იყო 1875 წელს. აკაკი ქუთაისში ცხოვრობდა, სასტუმრო „კოლხიდა-ში“ დაბინავებული. ერთხელ მას ესტუმრა რუსეთიდან დაბრუნებული არ. ქუთათელაძე. აკაკიმ იგი თავისთან დააბინავა ერთ ოთახში.

7 დეკემბერს, დილით ადრე, რაღაცა უჩვეულო ხმამ გამომაღვიძაო, ამბობს არისტო, — თვალები გავახილე, დავინახე: აკაკი საცვლების ამარა ოთახის კუთხიდან კუთხეში დადის, რაღაცას ჩურჩულებს, ვიღაცას ედავება. იბრძვის, ბორკავს, არ ეთანხმება, სახე ემანჭება, იღრჩვება. გადავწყვიტე, მუხას რომ ეძახიან. ალბათ ის ეწვია-მეთქი და თავი მოვიმძინარე. საბანწამობურული ქუქრუტანიდან გაფაციცებით თვალყურს ვადევნებდი. პოეტი კვალად განაგრძობდა სიარულს, შფოთავდა, ლელავდა. აი, თანდათან უკლო ნაბიჯს, სახე-ზედაც უფრო სიმშვიდე დაეტყო, უკანასკნელ თავისი ბრძოლა-საუბარი დაასრულა და გადმოძახა: არისტო, არისტო, ადექ მალე და დაწერეო. მეც სწრაფად წამოვიჭერი, მოვიმარჯვე ქალაღი და კალამი. და აკაკი ყოვლად უცვლელად და გაუსწორებლად მიკარანახებდა, და მეც გულის ფანცქალით აჩქარებულად ვწერდი ძვირფას ლექსს:

„აღმართ, აღმართ მივდიოდი მე ნელა...“

რა მოხდა? ნუთუ ლექსი, თუნდაც ასეთი პატარა, უეცრად მოზღვავედა და ასრე ერთბაშად გადმოხეთქა? არა, დაბადებამდე, მზის სინათლეზე გამოჩენამდე. იგი პოეტის არსებაში იყო, მისი სისხლითა და ხორციით იკვებებოდა. დადგა დრო მშობიარობისა. პოეტმა უნდა შვას ნაწარმოები, იწყება ტკივილები, „ილაოს მსგავსი სენები“ და არ. ქუთათელაძე რომ მოწმედ არ ყოფილიყო, მას რომ ეს საგულისხმო ამბავი არ ჩაეწერა, ადვილი შესაძლებელია, რომ მკითხველს ქართული პოეზიის ეს უთუოდ უღამაზესი გვირგვინი ექსპრომტად ჩაეთვალა³.

რა განსხვავებაა ამ შემთხვევაში ილიასა და აკაკის შორის? როგორც ზევით ვთქვით, ორისავე შემოქმედების პროცესი ერთგვარად მიმდინარეობს: ეს გზა ტანჯვა-წვალებათა, მშობიარის ტკივილებია. როგორია განსხვავება მათ შორის? ილიას ეწვია ტკივილები, იგი განსაზღვრულ ემოციურ მდგომარეობაშია, რაიც გარეგნულად უნდა გამოვლინდეს. როგორ იქცევა პოეტი? იგი მსწრაფლ ქალაღდს მიუჯდება, და ნაწარმოების ქვეყნად გაჩენის პროცესს სწორედ ამ ქალაღდზე აღნიშნავს ყველა დამახასიათებელი კლასიკილებით. ეს ერთგვარი გამოვლინებაა ნაწარმოებისა.

აკაკიც „მშობიარეა“, მაგრამ „ლოგინად არ წვება“, ნაწარმოების წარმოშობას ზეპირ ფიქრობს. იმედი აქვს ავადმყოფობას „ფეხზე გამოვიღის“ და მეტ-ნაკლებად კიდევაც ახერხებს „მშვიდობით მოლოგინებას“ და მხოლოდ მას შემდეგ გადააქვს იგი ქალაღდზე.

ეს მეორეგვარი გამოვლინებაა ნაწარმოებისა.

3. უტრნ. „ფასუხჯი“. 1908 წ., № 5, დეკემბერი.

4. შდრ. აღ. ჯ-მე. ეროვნული შემოქმედება, ქუთაისი, 1914.

აი, სად უნდა ვეჭებოთ ჩვენ სათავე იმ ლეგენდისა, რომელიც აქაქისა და ილიას პოეტურ შემოქმედებათა შესახებ არსებობს და რომელიც პირველს (აქაქის) ჰაეროვან პოეტად სახავეს, ხოლო მეორეს (ილიას) მძიმედ და ტლანქად რაცხს.

როგორც დავინახეთ, პროცესი შემოქმედების ორგანვე ერთია, ხოლო გარეგნული გამოვლინება სხვადასხვაგვარია, უკეთ, ორგვარია: ყოველ შემთხვევაში, ორგანვე ეს გზა მძიმეა, ძნელად სავლელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ყოველი ქვეშეპირი ნაწარმოები დიდ დანაჯვის, წამებისა და ჭირის შედეგია.

მაგრამ... რა კავშირი აქვს ყველაფერს ამას, უეჭველად არალირიკულ წიაღსვლას, შოთასთან და მის ნაწარმოებთან?

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ რუსთაველი თავის წინასიტყვაობაში პოეტური შემოქმედების პროცესსაც განიხილავს-თქო. რას ამბობს იგი ამ განხილვისას? ყველაფერს იმას, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ ამ თქმისას, თავის ძირითად დებულებას აქაც არ ღალატობს. პოეტი ყველგან, ნაწარმოების მთელ სივრცეზე. მიმართავს სიტყვის მომჭირნობას (არა სიტყვაშეცდომას!), მაგრამ თვისი თეორია — გრძელი სიტყვის მოკლედ თქმისა, — ისე არსად არ განუხორციელებია, როგორც ამ შემთხვევაში. ყველაფერი ზემოაღნიშნული პოეტური შემოქმედების პროცესის შესახებ შოთას ერთი სიტყვით აქვს გადმოცემული და ეს სიტყვა გახლავს: ნ ა ქ ი რ ე ბ ი.

„ხაზს მელექსე ნაქირეებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს“.

ე. ი. საჭიროა, რომ პოეტი იმას, რაც ჭირით, ტანჯვით მოუპოვებია, რაც ნაქირეებია, ფუქად არ აბნევდეს, არ ფანტავდეს, არამედ:

ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვსმე აშკობდეს,
ყოულსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მს აშკობდეს,
და მისგან კილე ნურა უნდა, მისთვის ენ: მესიკობდეს.

(18)

პოეტმა თავისი რეგლამენტი აქაც დაიცვა: მან ხომ წინათაც თქვა ქებანი, არ ავად გამორჩეულნი. მიუხედავად ამისა, მეორე თავისი ნაწარმოები, დიახ ნაქირეები, კვალად მასვე, მეფე თამარს და მასთან ერთად მეგობრობასა და სიყვარულს უძღვდა.

* * *

ასეთია შოთას შეხედულება: ა) პოეზიის დანიშნულებისა, ბ) მისი რაობისა და გ) პოეტური შემოქმედების პროცესის შესახებ.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს შეხედულება სრულიად უცნობია შოთას დროინდელ აღმოსავლეთში (ყოველ შემთხვევაში, წერილობითად არაა დამოწმებული!), უნდა აღვიაროთ, რომ რუსთაველი უდიდეს პოეტობასთან ერთად პოეზიის იშვიათი თეორეტიკოსიც იყო.

ცხადია, აქ მე არ შევდივარ შოთას ამ შეხედულებათა დაფასებაში დღეინდელობის თვალსაზრისით: მართალია იგი თუ არა? პოეზიის რაობისა და პოეტური შემოქმედების პროცესის შესახებ ნამდვილი მეცნიერული ტრაქტატი მხოლოდ ახლა დაიწერება, ახლა, როდესაც ამა თუ იმ საკითხის გარკვევას მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური, საფუძველი აქვს დასაყრდენად.

ჩვენთვის დღესდღეობით სავსებით საკმაოდ, თუ ნათელვყავით, რომ შოთა რუსთაველი ხელოვნების რაობისა და მისი დანიშნულების გაგების საკითხში იაკობის დროზე მოწინავე რიგებში იდგა, მეტიც: მოწინავეთა შორის პირველი იყო, იყო არა მარტო მაშინ, არამედ შემდეგშიც, საუკუნეთა განმავლობაში მთლიანად და ზოგ რაშიმე დღესაც არის.

რუსთაველის შაირისათვის

„ვეფხისტყაოსანი“ 16-მარცვლოვანი შაირითაა დაწერილი. შაირი ორგვარია: მაღალი ანუ ჩქარი, დაბალი ანუ ნელი.

როგორი შედგენილობისაა თითოეული მათგანი?

მაღალ შაირისას თითოეული სტრიქონი ოთხ თანაბარ. თანასწორ მუხლად იყოფა. თითოეულ მუხლში ორ-ორ — ოთხ-ოთხმარცვლოვანი სიტყვებია. ანდა, თუ ერთი სიტყვა ერთმარცვლოვანია, მეორე აუცილებლად სამმარცვლოვანი უნდა იქნეს, რომ საბოლოოდ მუხლში ოთხზე მეტი მარცვალი არ მოვიდეს.

დაბალ შაირისას სტრიქონი ოთხ არათანასწორ მუხლად იყოფა, ე. ი. თუ ერთ მუხლში ხუთი მარცვალია, მეორეში აუცილებლად სამია, ანდა პირიქით.

ამასთანავე დაცულია ერთი აუცილებელი პირობა: ცალკეული სტროფი ყოველთვის ერთი შაირითაა გამართული; მაღალ-დაბალი ანუ ჩქარ-ნელი შაირი ერთ და იმავე სტროფის ფარგლებში არ გვხვდება, მით უმეტეს ერთისა და იმავე სტრიქონის მანძილზე შეუწყურებელია. სწორედ ამის წყალობითაა, რომ სტრიქონში სიტყვას გაკვეთა არ სჭირდება და ერთი მუხლიდან მეორეში გადატანა: სიტყვა ან სიტყვათა კომპლექსი ერთი მუხლის ფარგლებში ყოველთვის მთლიანადაა მოცემული.

ჩვენ ვთქვით. მაღალ შაირისას სტრიქონი ოთხ თანაბარ მუხლად იყოფათქო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული სიტყვის წარმოთქმა თანაბარ დროს მოითხოვს, ტაქტიკ თანაბარია, ე. ი. თანაბარზომიერად მოკვთილ ოდენობას შეიცავს; ტემპიც მაღალ შაირისას ჩქარი გამოდის, ამიტომაც ეს შაირი ჩქარი შაირია.

სულ სხვა მდგომარეობაა დაბალ შაირისას. აქ მუხლები არა თანაბარზომიერია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სტრიქონის მსვლელობაც არათანაბარზომიერი მუხლებით, ნაბიჯებით წარმოებს: ჯერ დიდი უნდა გადაიდგას, შემდეგ პატარა, ან პირიქით. ამის გამო, თვითონ მსვლელობაც ერთი სტრიქონის მანძილზე გრძელ-მოკლეა, მძიმე-მსუბუქია, ნელია.

აქედან: მაღალი შაირი ცოცხალია, მსუბუქი, ჩქარი, დინამიკური.

დაბალი მძიმეა, დინჯი, ავასთანავე ღრმა, ალუშფოთველი, ნელად მომდინარეობს.

როდის აქვს გამოყენებული შოთას პირველი შაირი, როდის მიმართავს იგი მეორეს?

უცილობელია, შოთა რომ ერთი შიირიდან მეორეზე გადადის, ამით მონაწივე მონოტონურობას თავიდან იცილებს და, მაშასადამე, ნაწარმოების წაითხვას და ათვისებასაც არაჩვეულებრივად აადვილებს¹.

მაგრამ, არა მარტო ამ, ასე ვთქვათ, ფორმალური მოსაზრებით ხელმძღვანელობს შოთა. ამ ორ შიირს რომ ერთმანეთს უნაცვლებს: მაღალი ანუ ჩქარი შიირი შოთას უპირატესად გამოყენებული აქვს მაშინ. როდესაც მდგომარეობა. საქმის ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს; ამავე შიირით გადმოცემულია უფრო ბშირად მხიარული, სალაღობო სცენები.

დაბალი ანუ ნელი შიირი, პირიქით, უპირატესად გამოყენებულია მაშინ. როცა მოსაწყენი, სევდის მომგვრელი სურათებია მოცემული, აგრეთვე მძიმე. სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი, ანდა ეპიკური თხრობაა გადმოცემი.

მაგალითებით ნათელყოთ ზემონათქვამი.

ა. ავთანდილი შეხვდა ტარიელის მიერ გალახულ სამ ძმას ხატაელა. ძმებმა უამბეს ავთანდილს, თუ როგორ გაამათრახა ისინი ტარიელმა, განსაკუთრებით უმცროსი, რომელიც სიკვდილის პირზე მიიყვანა. მართალია, ძმები წარსულ ამბავს მოუთხრობენ; მაგრამ თხრობა ისე უნდა მომდინარეობდეს, რომ ცოცხლად გადმოსცეს ამბავი. როგორ მოხდებოდა ფაქტიურად გამათრახების სცენა? უმეველად ელვის სისწრაფით, გამალებულად: შეტევისას ტარიელისთვის სხვაგვარი ხასიათი საქმიანობისა არ არსებობს. მაშასადამე, თვითონ სტროფიც, ამბის შემცველი, მალი ანუ მაღალი შიირით უნდა იქნას გამართული.

მით ერთთა მათრახთა თავი ასრე გარდაჰფრწა,
ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა,
მისი რასმე მკადრებული მოამდალა, მოამიწა,
და თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაჟი, წა!
(209)

სიმეტრიული თანამიმდევრობით გაწყობილი სიტყვები აქ ორ-ორ-ოთხ-ოთხმარცვლოვანია, რაც თანაბარზომიერად მოკვეთილ ოდენობით იძლევა. და ეს კი ქმნის უდიდეს სიჩქარეს. ვერავითარი სხვა ზომით, ამ შემთხვევაში დაბალი შიირით, ცხადია, ამ სწრაფვისა და სულმოუთქმელობის გადმოცემა ვერ მოხერხდებოდა.

მაგრამ სტროფი საყურადღებოა არა მარტო თავისი ტემპით: იგი გასაოცარია თვით ბგერათყდერითაც, რომელიც საესებით შეეფერება მოქმედების ხასიათს. ხ ე ვ ა და ფ რ ე წ ა ყოველ სიტყვაში, ყოველ ბგერაში ისმის. ყველა-

¹ ადვილი წარმოსადგენია, რა მომსაზი და პირდაპირ გამანადგურებელი იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა და, მაშასადამე, ათვისებაც, იგი რომ ერთი რიტმით მიმდინარეობდეს თავიდან ბოლომდე. ამ მხრივ საკმაოა გავიხსენოთ ბალმონტის რუსული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. იმას მარტო ეს ნაკლი როდი აქვს, რომ დედანზე მეტად დაშორებულია და, მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ „სულს“ ვერ იძლევა. თავისთავად უმეველად არაყუდი მხატვრობის ნაწარმოები არაჩვეულებრივად მძიმე წასაკითხავია: შინაგან და გარეგან რითმთა გარდამეტება, და განსაკუთრებით ერთიდაიგივე რიტმი თავიდან ბოლომდე ზედმეტად ქანცავს მკითხველს, და უკანასკნელიც ვერ ახერხებს ნაწარმოების მთლიანად წაკითხვას და ათვისებას.

ფერს ამას კი იძლევა თანაბრად და სათანადოდ განრიგებული ბგერები „ხ“ და „წ“.

შემდეგ:

ტარიელმა გალახა ძმა და განაგრძობს გზას. როგორი უნდა იქნას მისი სიარულის ტემპი? ისეთი, რომ ოდნავადაც არ შეიბღალოს რაინდის სიდიადე, მისი გმირობა. იგი ისე უნდა წავიდეს. თითქოს აქ არაფერი მომხდარაო: ვადაც ცილამტკაველას შეხვდა. გაააწყობარტა და დინჯად და აღუშფოთველად მიდის და „მეფინების მზე ველად“.

ეს გარემოება სიტყვიერად გამოვლენილი უნდა იქნას შესაფერი შაირით, ე. ი. ნელი ანუ დაბალით.

აღარ დაბრუნდა, წავიდა წენარად და აუჩქარებლად,
აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად.
შორს უჩვენებლეს აეთანდილს მჭირალნი გაუხარებლად,
და ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი შის მზისა მარებლად.

(210)

ასეთი უნდა იქნეს ტარიელის ტემპი. ეს შეეფერება მის სიდინჯესა და ძლევაშისილებას. ჩქარი ტემპი და გაქცევა, სიღასრე. შიში. ყოველ შემთხვევაში, მოიიდება იქნებოდა.

ამ მხრივ საგულისხმოა გაეხსენოთ, როგორი ტემპითაა გააგმოცემული იმავე ტარიელის წასვლა. გაქცევა როსტევისისაგან, რომელსაც ხელმწიფობიზი მოერიდა.

რა ცნა მუფე მოვიდა ჰერ მათხარ მისი კეცესა,
მასე წასა დაკარგა, ო უმარეს თვალს ჩეებს.
ქვანდა ქვესენელს ჩაძრომილსა, ანე ზესად ანფოვისა,
და ეძებდეს და ვერ პოებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.

(97)

სხვა ზომა აქ არ გამოდგებოდა: იქ კი ხატაელის გალახვის შემდგომ, როგორც ვთქვით, იგი ნელად და აღუშფოთველად უნდა წასულიყო.

მაგრამ, ტარიელის ტემპი თუ ნელი იყო, სულ სხვა მდგომარეობაშია ავთანდილი, რომელიც უკვე სამი წელია ეძებს ძვირფას სანახავს — ტარიელს. ავთანდილს ყოველი წუთი ძვირად უღირს, სინელე მისთვის არ არსებობს და ამიტომაც, გაიგონებს თუ არა უცხო კაცთაგან ტარიელის ამბავს, იგი მსწრაფად უნდა აენთოს და მისი ეს კვეთებაც ჩქარმა ტემპმა უნდა გვაუწყოს.

აჰა, მიჰხედა ავთანდილსა ლაწეთა ცრემლით არ-დათოვნა,
რადგან ცუდად არ წაუხდა მას ეზომი გარეთ ყოვნა.
კაცსა მიჰხედეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,
და მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა კირთა ხსოვნა.

(211)

ბ. სხვა ადგილი გავსინჯოთ.

ტარიელი თავის საწოლშია, მეტად მხიარული, რადგან ნესტანისაგან წე-

ჩილი აქვს მიღებული. ეს მომენტი მაღალი შაირით, მაშასადამე, ჩქარი ტემპითაა გადმოცემული.

დღესა ერთსა სწოლს მოვე მეფისა სრით წამოსრული,
ეჭე და მსვე ვეგონებდი, არ მიეცა თვალთა რული,
წიგნი მჭონდა საიმედო, ამაღ ვიყავ მხიარული,
და კარს მცველმან მონა უხმო, უთხრა რამე დაფარული.
(391)

რა თქვა კარის მცველმა?

„მონაო ასმათისი“, ს.წოლს ეუთხარ შემოცენა;
მოუწერა: „გიბრძნებსო“, ვისი შესვა გულსა დანა;
ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა წაქეთა მანა,
და წავე, მონა წაეიტანე, რამცა ეუთხარ ამისთანა!
(392)

ამბავი სასიხარულოა, დრო საშურიცა, მაშასადამე. ტემპიც ვერ განელდება:

ბაღია შეველე, არა დამხედა კაცი ჩემი მოუბნარი,
ქალი წინა მომეგება მხიარული, მოცინარი.
მითხრა: „ეშად ამოვიღე, არ გასვია გულსა ნარი,
და მოდი, ნახე ვარდი შენი უფრქვეული და დაუმკნარი“.
(393)

აქ თითოეული სიტყვა თავის ადგილასაა, სხვა ზომით ამგვარი სულისკვეთება ვერ გადმოგვეცემა.

შემდეგ:

ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა კუბო შემკული ბალახითა და ლალითა,
შიგან ჯდა იგი ზირითა, მზისებრ ელე-პკრთალითა.
და მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალთა.
(394)

ეს სტროფი დაბალი შაირითაა გამართული. მაშასადამე, ნელად მომდინარეობს. არღვევს თუ არა ეს გარემოება საქმის ვითარებას, კერძოდ ტარიელის განწყობას? ოდნავადაც არა!

საქმე ის არის, რომ ეს ადგილი ტარიელის სულისკვეთების გამომხატველი კი არ არის, იგი სასახლის, კერძოდ, ნესტანის განწყობილების წინასწარ მათუწიებელია, ერთგვარი დრამატიზმის დასაწყისის გადმომცემია. ამასთანავე, ფვით ფარდაც მძიმეა თავისი ძალით და არც ისე ადვილად ასაზიდიოა ქალისაგან. და რაკი სიტყვა ვითარებას უნდა შეეფერებოდეს. ისიც (სიტყვა) სათანადო, ამ შემთხვევაში. ნელი ტემპით უნდა იყოს გამოვლენილი. და სწორედ ამიტომაცაა აქ დაბალი შაირი.

მაგრამ ტარიელი გულისტქმას შეუბყრია, იგი ისწრაფვის და მისი ეს კვეთება კვალად შესაფერი ტემპით უნდა გვემცნოს.

ვიცხანს ვუვგ და არ მითხრა ციკვე, მისა მონსურსა,
ოდენ ტპბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა:
ასმათ უხშო, მოიუბნეს. ქალი მოდგ., მითხრა ყურსა:
და „აწ წადიო, ვერას ვითხრობს“. მე კვლა მიმცა აღმან მურსა.
(395)

მე კვლა მიმცა აღმან მურსა! ესე იგი?! ტარიელი მიდიოდა იმ
რმედით, რომ სიყვარულით დასტებებოდა, ნესტანმა კი იგი სიტყვის ღირსი
არ, უკეთ, ვერ გახადა და ქალის პირით უთხრა, თავი დამანებეო.

ცხადია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ტარიელზე. გაწბილებული, იგი
უკან ბრუნდება, ბრუნდება, მაგრამ მთელი თავისი არსებით ნესტანთანაა. ბუნე-
რივია, ასეთი დებრესია დაბალი, მაშასადამე, ნელი ტემპით უნდა გვენიშნოს.

ასმათ გამოყევა, წამოვე, ფარდაგი გამოვიარე,
ეთქვი: „საწუთროო, ვის წელან გული დარმანთა მიარე,
მაშინ მოგვეცა იმელი, ლხინი რად გამიზიარე“,
და გულმან გაყრისა სიძნელე კელა უფრო დამიტოარე.
(396)

თითქმის მოთქმა

აქ აღსანიშნავია ნარნარა, მტკბარ რ და ლ ბგერათა სიმრავლე, რაც ჩვეუ-
ლებრივ ტემპს ანელებს.

ამოდ დავეშვებოდით, ჩვენ რომ ამ განწყობის გადმოცემა სხვა ზომით
მოგვენდომებინა!

როგორი უნდა იყოს ამ დროს ასმათის პოზიცია, რა როლი უნდა ითამა-
შოს მან? უნდა ანუგეშოს ტარიელი, რაც შეიძლება გაამხნეოს იგი და ამით
შეუშუსუბუქოს მას მძიმე ტვირთი. მაშასადამე, ასმათი მოწყენილი ტონით ვერ
ილაპარაკებს, მისი სიტყვა მკვეთრი უნდა იყოს, ცოცხალი. გაამხნევებელი.
ასედაცაა:

ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩაეიარეთ შიგან ბლი,
მითხრა: „აგრე წასვლისათვის ნუ გაჩნდა გულსა დალი,
სიმძიმელთა ვრდო დახამ, სიხარულის კარი აღი,
და სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა კრძალავს ლალი“.
(397)

მაგრამ ტარიელის გულისთქმა არც ისე უბრალო და ზერეულდ მონაბერია,
რომ ერთი შთაგონებით გაქარდეს. იგი კვალად უსასოა.

მე ეუთხარ: „დაო, შენგან ვეკვ ამა გულისა წამალსა,
ზენაარ, სულთა ნუ გამყრი. ამბითა მშრეტლი ამ აღსა,
ჩემთანა წიგნსა ნუ გასწყევდ შენ ზედა-ზედა მავალსა,
და თუ რას სცნობ ჩემთვის, არა ვეკვ მე შენგან, არ. დანამალსა“.
(398)

მოთქმით ევედრება ტარიელი ასმათს და განაგრძობს:

შევე, წამოვე, მდროდა ნაკეთი ცრემლთა მილისა;
საწოლს შემოვე, ხელქმნილსა ღონე არ მქონდა ძილისა,
ბროლა და ლალი შევიქენ მე უღურქვისი ღილისა,
და ღამე მერჩია, მეწადა ირ-გ თენება დილისა.

(399)

სხვა რიტმით ამის გადმოცემა არ მოხერხდება. აქაც ნარნარა, მტკბარი ბგერები: ლ, რ.

გ. ხატაელებთან ომის ეპიზოდი ავიღოთ.

ტარიელი შეიჭრა მტერთა ბანაკში, სპობს და ანადგურებს მას და ყველაფერი ეს ისე სწრაფად ხდება, თვალის დახამხამებაში, რომ მოწინააღმდეგე გაშვებული დგას და თავის დაცვა ვერ მოუხერხებია. მთელი ეპიზოდი მალაღალი, მალე შაირითაა მოცემული.

შუბი ვსთხოვე, ხელი ჩაეყე მუზარადის დასარქმელად;
საოზარად ატეხილი, ვიყავ მათდა გამტეხელად;
ერთსა წავსწვდი უტევეანსა, წაეგრძელდი და წაველ გრძელად.
და მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.

ახლოს მივე, შემომხედეს, „შმაგაო“, ესე თქვესა;
მუნ მიუქმართე მკლავ მაგარმან, სად უფროსი ჭარი დგესა,
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მათ ორნივე მიხდეს მზესა,
და შუბი გატყდა, ხელი ჩაეყე, ექებ, ხრმალო, ვინცა გლესა!

შიგან ასრე გაეერიე, გნოლის ჭოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოესტყორცი, ცხენ-კაცისა დაედგი გორი,
კაცი, ჩემგან განატყორცე ბრუნავს ვითა ტანაქორი,
და ერთობ სრულად ამოესწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი.

ერთობილი მომხევიენეს, მრგელიე შეიქნა ომი დიდი,
ვკრი რასაცა, ვერ დამდგის, სისხლსა მჩქედრსა აღმოვღვრიდი,
ცხენსა კაცი გაეეთილი, მანდიყურად გარდაეკიდი,
და სითაც ეიევი, გამეკიან. მათ შექმნიან ჩემი რიდი.

(445—448)

დ. ხვარაზმშას მოყვანის ამბავი გავიხსენოთ: შეუთვალეს, ჩქარა მოდი და საქმე გავათავოთო.

ამ ამბავს ტარიელი გადმოგვცემს.

კვლა გაგზავნეს სხვანი კაცი სასიძოსა მოყვანებად,
დაჰვედრეს, თუ: „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად“.
მე მაშვრალი, ნაბურთალი, საწოლს შეველ მოსვენებად,
და ვულსა სევეა შემეყარა, ეიწყე კირთა მოპოვენებად.

(516)

ტარიელის სევეა გასაგებია; მისი სატრფო სხვისთვის განიზრახეს, და ტარიელიც იძულებული იყო დაედასტურებინა ეს განზრახვა: მოწმობა დართო დაესკვნა დღე მისი სულთა მხდომელი.

ტარიელის ამგვარი განწყობილება, ბუნებრივია. დაბალი შაირით უნდა გვემცნოს:

მეტქმან სევდამან მიმწურა გულსა და ცეცხლ დანისად.
ასმათის მონა შემოდგა, მე ვეყ ლალი და ჭანისად.
წიგნი მომართვა, ეწერა: „ეინ სჩან აღვისა ტანისად.
და ადრე მოდიო, გიბრძანებს, დაუეოცნებლიე ხანისად.“
(517)

ადრე მოდიო, დაუყოვნებლივ! ტარიელისათვის საქიროც არაა ჩაგონება. მისთვის საკმაოა მარტოოდენ ცნობა ნესტანისაგან --- მისთვის შესახებ, რომ წამსვე აიჭრას და მსწრაფლ ეახლოს თავის საყვარელს.
მართლაც:

შევყე, წაველ, ბაღის მიველ, ვითა სცნობდე ღვინთა ზომით,
ბაღისა შეველე, კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომით,
ვნახე, ვკვრეტდი ნაჭირებად, ცრემლი აჩნდა ღწეთა წთომით;
და დამიძმობდა, არა ვკითხე, ჩემი სკიბდა მისელა ნდომით.
(518)

სასიძო მოვიდა. ტარიელისათვის ეს ამბავი სრულიად არაა სასიხარულო. მიუხედავად ამისა, სამზადისი მიღებისათვის სწორედ მას დაავალეს. ტარიელი დაიქანცა, მოეშვა. ტემპიც მოშვებულია:

მე დაეშვერ, ვითა წესია სუთაე-გარდახდლისა:
შინა წამოვე მამერალი, ქმნა მამნდომოდა ძილისა:
მონა მოვიდა, მომართვა წიგნი ასმათის ტკიბლისა:
და „ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი აღვისა ზრდლისა“.
(553)

კვალად: ადრე მოდიო! რა ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ტარიელმა უნდა უეჭუაროს თავისი დაღლილობა, გამოფხიზლდეს და დაუყოვნებლივ წარდგეს ნესტანის წინაშე.

მაშასადამე, ტემპიც შესაფერი, შესატყვისი:

ცხენისაგან არ გარდავხე, წავე ფიცხლად, დეკმორჩილი:
ქალი დამხვდა ნატორები, ვკითხე: „ცრემლსა რასა ჰქილი?“
მითხრა: „შენი შესწრობილი ტარილისამცა ვით ავსცილდი,
და გუწყვედლად ვით გამართლო, რაგვარადმცა გავკაქილდი?“
(554)

რაშია საქმე? ნესტანმა დაიბარა ტარიელი. ეს მისთვის მეტად საამოა და კიდევაცაა ამბავი სათანადო წყობით გამოვლენილი, მაგრამ ტარიელმა იქვე გაიგო, რომ თვითონ კი მისწრაფის სიამოვნებით, ხოლო სასახლეში სასიამოვნო ვერაფერი დახვდება: წინდაწინვე აფრთხილებენ, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზულია და საამოს რასმე ნურას მოელის.

ეს წინასწარი გაფრთხილება. მთლიანად უნდა გაიშალოს და გაირკვეს

ნესტანთან შესვლისას. ლაპარაკი არ უნდა. სურათი ნელის ტემპით, მაგრამ მრისხანე ფერებით წამოიშლება.

შეველით, ვნახეთ ბალიშსა ზედა წარბშერკმით მქლომარე.
მზე ველარას იქმს მის პეტსა, მის განენათლა რომ არე.
წარედგე. მიბრძნა: „არასა სდგა? დღე გიჩანს წინ საომარე!“
და ანუ გამწირე. მიჩუქე და კვლავა მომცთომარე!“

(555)

რა მოხდა? თანახმად დათქმისა, ტარიელს უნდა მოეკლა სასიძო. დრო კი მიდიოდა. ნესტანმა მეორედ შეახსენა: რას შერებდი, პირობას ასრულებდი, მოკლავ სასიძოს, თუ მართლა მატყუარა ხარო? ისედაც დამწვევარ ტარიელში ამ მხილებამ ცეცხლი უნდა დაანთოს, საომრად უნდა ატეხოს და ელვისებრ აამოქმედლოს.

მე მეწყინა, აღარა ეთქვი. ფიცხლად გარე შემოვბრუნდი.
უკუ-უბვივლე: „აწ გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისცა ეუნდი!
ქალი ომსა რაგვარ მანუევს. ავრე ვითა დავძაბუნდი!“
და შინა მოვე, მოკვლა მისი დავაპირე, არ დავყმუნდი.

(556)

ტარიელი უნდა მოემზადოს მოსაკლავად: ეს სამზადისი სერიოზულობასა და მეტ სიფხიზლეს მოითხოვს. გარდამეტებული სიჩქარე აქ საქმეს წაახდენს. ამიტომ:

ასსა ვებრძანე მონასა: „საომრად დავმზადენით!“
შევსხედით, გაველეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით.
კარავსა შევე, სასიძო ვითა წვა. ზარმცა თქმად ენით,
და უსისხლოდ მოვკალ ფეი ყმა, თუმცა ხმა სისხლისა დენთ.

(557)

მაგრამ თუ სამზადისი ასე საიდუმლოებითა და დიდი სიფრთხილით უნდა წარმოებდეს, თვით ოპერაცია მკვლელობისა ელვის სისწრაფითა და ენერგიის გამოვლინებით უნდა მოხდეს, აქედან:

კარვის კალთა ჩახლართული, ჩაკვერ ჩავაკარბაკე,
ყმასა ფეხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.
წინა მწოლთა დაძახნეს, გლოვა მიხვდა საარაკე,
და ცხენსა შევჩე, წამოავე. ჩაქვი მეცა საკურტაკე.

(558)

კვალად საკვირველი ბგერათქმე: ხმლის წკრიალი კარვის ჩაქრისას, სვეტზე მინარცხების ხმა და დამარცხებულთა გლოვა აშკარად ისმის: განსაკუთრებულად გამახვილებული ყურიც არაა საამისოდ საჭირო. არავითარ სხვა წყობით, ტემპითა და ბგერათუღერით ამის გადმოცემა არ შეიძლება.

ტარიელმა შეასრულა დავალება და უკან მოდის. როგორი უნდა იყოს მისი მსვლელობის ტემპი: ჩქარი. თუ. ნელი. დაფეთებული. თუ დინჩი? პატარა

ვინმე, თუ რაიმე მანქანებით ამგვარ რასმე ჩაიდენდა, აუცილებლად ქურდულად და ქურდულადვე გამოძრწებოდა და გამომელდებოდა, რომ არავის დაენახა.

ტარიელი არ ამგვარია: იგი გმირია და ყოველ მის მოქმედებაშიც უნდა ჩნდეს ეს გმირობა. მაშასადამე, უკან დაბრუნება მისი სიდიადისა და სიმძლავრის გამომხატველი უნდა იყოს: აფუსფუსებებს აქ ადგილი არ უნდა ექნეს, თუ საჭირო დარჩა, კიდევაც უნდა შეუტეოს მდევართ, და პოეტურ გასაოცარის ნელი, ღრმა და ალუშფოთველის ტემპით გადმოგვეცემს ტარიელის უკან წამოსვლას: იგი დაბალი, ნელი შაირითაა მოცემული და ეს სინელე და სიღინჯე კვალად ლ და რ ბგერებითაა გაწყობილი.

ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწყევარი,
წამოვე, წენა დამწყვეს, დაეხოცე ჩემი მდევარი.
ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
და მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი.
(559)

ანაზე მეტი ალუშფოთველობა წარმოუდგენელია:

„ა მ ო დ ი გ ი ვ ე მ ე ვ ა რ ი“, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო!
მ. კიდევ მაგალითები.

ასმათმა შეატყობინა ტარიელს ნესტანის დაკარგვის ამბავი და თანვე შეე-
ვედრა: სიცოცხლე გამიარმდა და მომკალიო!

„რად არ მიკვირებ ცოცხალსა, მე ლახვარ-დაუსობელსა!
აწ იგი მიყავ, რა მშართებს ამისა მანარობელსა,
ზენაარ, დამხსენ სიცოცხლე სულთადგმა-დ-ეთობებელსა!“
და საბრალოდ ცრემლს ადენდა უკლებსა, დაუშრობელსა.

მე ვუთხარ: „დაო, რად მოგკლა, ანუ რა შენი ბრალოა?
რამაც ვქმენ ნაცულად, თვით რომე მისი ჩემზედა ვალოა —
აწ თავსა მისად საძებრად მივსცემ, სად კლდე და წყალოა.“
და სრულად გავკვავდი, შემექმნა გული, მართ ვითა სალოა.
(583—584)

ს რ უ ლ ა დ გ ა ვ ე ქ ვ ა ვ დ ი! აქ მიძიმე ტემპი ბუნებრივია.

მაგრამ ასეთი განწყობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ დღეს არა—ხეალ ტარიელი უნდა მიჰხვდომოდა თავის საწადელს, საყვარელ არსებას სამარადისოდ შეერთებოდა და ამის წილ: ნესტანის ღმობა სულიერი, გვემა ფიზიკური და მისი წარხდომა გაურკვეველობაში.

ძნელად ასატანია ყველაფერი ეს, მაგრამ საქმე ამასთანავე ისეა შემდგარი, რომ ოხვრა და კენესა უადგილოა, გრძლად მსჯელობა და მრავალმეტყველება საქმის საზიანოა, ყოველი წუთი ძვირფასია, და ტარიელსაც აქ მართებს მხოლოდ სიმტკიცე და გულუშიშრობა: მან მსწრაფლ უნდა შეაგროვოს ერთგული ჯალხი და გაიჭრას „ძებნად მისად, ვისი დაგავს გულსა მურად“.

ცხადია, თუ როგორი იქნება ტარიელის ამ მოუსვენრობისა და კვეთებას. გარეგნული გამოვლინება, სიტყვიერი სამოსელი. აქ ყოველი სიტყვა თავის სა-

დარაჯოზე უნდა იდგეს, საქმის ვითარება აბსოლუტური სიზუსტით უნდა გვამცნოს, ტარიელის განწყობას ზედმიწევნით მიგვახვედროს.

და რუსთაველიც სიტყვის გასაოცარ ჭადოსნურ ოსტატად გვევლინება აქ. თავდაპირველად: რაკი დრო საშური, პოეტმა რომ თავისებური სულ-მოუთქმელობა. სწრაფვა შფოთიანი და საქმე მღელვარე გადმოგვეცეს, ბუნებრივია. იგი ლექსის სათანადო ზომას, შესაფერს რიტმს მიჰმართავს: მაღალ შაირს. მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო ეს პოეტს უქმარად მიაჩნია, იგი სხვა ხერხს იშველიებს: მთელი ამ ამბის გადმომცემი ადგილი უპირატესად ზმნებითაა გაწყობილი.

რატომ? რატომ და: ლექსის გაწყობაში მეტყველების ყველა ნაწილს აქვს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ზმნას უჭირავს. სწორედ ზმნა არის, ენას რომ ამოქმედებს, აცოცხლებს, სიხმელესა და სიმშრალეს აშორებს, გარდამეტებულ სიმძიმისაგან განტვირთავს, ამასთანავე იძლევა უდიდეს ეკონომიას².

და რუსთაველიც საესებით სწვდება ქართულის ამ ძვირფას თვისებას და მეტად დიდ გასაქანს აძლევს ზმნების თავისებურებას.

ასეთია, მაგ., ხატაელებთან ომის ეპიზოდი, არაჩვეულებრივად მძლავრი ზმნურობით გადმოცემული:

ახლოს მივე. შემომხედეს, „შმაგაო“, ესე თქვესა,
მუნ მიჰმართე მკლავ-მაგარმან; სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა.
შუბი გატყდა, ხელი ჩაეყავ. ვაქებ ხრმალო, ვინცა გლესა!

(446)

ასეთივეა ზემომოყვანილი:

მე მიწყინა, აღარა ვთქვი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი.
უკუ ვპოეღე: „აჲ გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისცა უნდოი
ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!“
და შინა მოველ მოკვლა მისი, დავაპირე, არ დავემუნდი.

(556)

ანდა ცნობილი:

კარვის კალთა ჩახლართული ჩავექერ, ჩავაკარაბავე.

აქაც. ამ საზარელი ამბის შეტყობისას, ტარიელი აბორგდა, გაშმაგდა და გადავიდა შეტევაზე.

მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა;
გულსა ეუთხარ: „ნუ მოკედები, არას გარგებს ცული წოლა,
გუჯობს გაკრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა,
და აპა, ეამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა“.

² ზმნურობის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“. იხ. ე უ კ ო ლ ბ ე რ ი ძ ე, შოთას პოეტიკისათვის, აქვე. გვ. 107.

შვეე ფცხლა შევევაზმე, ცხენსა შევეე შევესუელი.
ასსამოცო კარგი მოყმე ჩემსა თანა ხანდაზმელი,
წამოიყვა და წმოველით, ყარა გარე დარაზმელი:
და ზღვისპირს მიველე, ნავი დამიქდა, სენავემას მსახე ზსული.
(585—886)

ტემპი თანდათან ძლიერდება.

ნავსა ჩავეე, ზღვისა შევე, ზღვასა შიგან გაველაგდი,
არსით ნავი მომავალი უნახავდი არ ღავეადი;
მოველოდი, არა მესმა, შმაგი უფრო გავეშავდი,
და რომე სრულად მომიძულდა, ღმერთსა თურო ასრე ვმ ვედი
(587)

ვფიქრობ, ნამდვილ ზღვაშიაც არასშირია ასეთი ღელვა, ბორცვა და შფოთი, აქ რომ მიუწვდომელი ბგერათყდერითა გამოვლენილი.

რომე დავეავ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა,
მაგრა მისი მნახავიცა სიზმროე კაცი არ მეოცა;
თანამყოლი ყველაკაი ამომიწყდა, დამეხოცა,
და ვთქვი, თუ: ღმერთსა ვერას ვკადრებ, რაცა სწადღეს, ვერე ვყოცა^ა.

ზღვა-ზღვა ცურეა მომეწყინა, მით გამოველ ზღვისა პირსა,
გული სრულად გამიხვეცდა, არ ეუსმენდი არც ვაზრსა;
ყველაკაი დამეფანტა, დარჩომოდა რაცა პირსა,
და კაცსა ღმერთი არ გასწირავს, ასრე მისგან განაწირისა.
(588 -- 589)

ტარიელი გამალებული ეძებს ნესტანს, მაგრამ სასურველი შედეგის ჭერ შინაწყალიც არ ჩანს. რისი მომასწავებელი იქნება ეს? იმისა, რომ თუ ტარიელი ჭერ კიდევ შეტევაზეა, უკვე ველარ შეინარჩუნებს აღებულ ტემპს, აუცოლებლად დაიწყება დეპრესია, გმირი მოდუნდება. ტემპიც განელდება.

კაცსა ღმერთი არ გასწირავს, ასრე მისგან განაწირისაო,

მაგრამ:

ერთაი ესე ასმათი და დამარჩეს ორნი მონანი,
ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შემავონანი;
მისნი ვერა ვცნენ ამბავნი, ვერცა დრაპისა წონანი,
და ტირილი მიჩნდეს ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი.
(590)

აქ ტარიელის განწყობა შესაფერად განელებული, მომვებული ტემპითაა გადმოცემული, რადგან:

იწყება ხანგრძლივი გაქრა ნესტანისათვის, დაუსრულებელი პატივი მიჭნურისათვის.

ალსანიშნავია ზმნის ხედრითი წონა უკანასკნელ სტროფში: თუ ზევით, სადაც ექსპრესია და შეტევაა გადმოცემული, ზმნა სტროფის მთელი სიტყვიერი მარაგის თითქმის ნახევარს შეადგენს, აქ, ამ სასოწარკვეთილების მაუწყებელ სტროფში, იგი, ზმნა, მინიმუმამდეა დაყვანილი: ოცდაშვიდ სიტყვაში ზმნა მხოლოდ ოთხია.

მაგალითები კიდევ მრავალია. მოყვანილიდანაც ცხადდება, რომ როდესაც შოთა მაღალსა და დაბალს შაირს შეანაცვლებს ხოლმე, მარტოოდენ ფორმალური მოსაზრებით არ ხელმძღვანელობს, რომ მომაბეზრებელი მონოტონურობა აიცილინოს და ამით ლექსის ათვისება გააადვილოს: მაღალი და დაბალი შაირის შენაცვლების კანონზომიერებას რუსთაველი სათანადო შინაარსით, შესაფერი მოტივით განსაზღვრავს.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისა და გაგებისათვის

საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფის ერთი ადგილის სწორად წაკითხვისა და გაგებას ეხება. ეს ის სტროფებია, სადაც ვარდსა და ეკალზეა ლაპარაკი.

ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურთა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი?...

მაგრამ, სანამ წაკითხვის დადგენას შევუდგებოდეთ, აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ, როგორ წარმოებს „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედებათა გაშლად განვითარება, როგორ წარმოუდგენია შოთას სიცოცხლე-ცხოვრებისა და მთლიანად ქვეყნის განვითარება? საჭიროა ვიცოდეთ, რადგან ამ ცოდნას უშუალო კავშირი აქვს სადავო ადგილის სათანადოდ წაკითხვისა და გაგებასთან.

ამ ქვეყნად არ არსებობს რაიმე ერთხელ და სამარადისოდ დადგენილი. ყველაფერი მოძრაობს, იცვლება, კვდება, ცოცხლდება, სხვაგვარად: ეს ქვეყანა კერძოდ, სიცოცხლე-ცხოვრება მარადმედინი და ცვალებადია.

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხედების:
ზოგჯერ მზეა და თდესმე ცა რისხვით მოუქუნდების.
მაშინ ჭირი ჩნდა ჩემზედა, აწ ასრე ლხინად უხედების,
და რადგან შევებაქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?
(705)

თინათინის ეს მსოფლგაგება უეჭველად დინამიკურია: ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება, ერთი მოვლენა მეორეს ცვლის, მეორის წიაღში მესამე იბადება და ასე მარად და უწყვეტ.

ასეთია საწუთრო: იგი ზოგჯერ უხვია, ზოგჯერ — ძვირი. სწორედ ამიტომაცაა, რომ „საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გავვიცინია“.

თვით სიცოცხლის პროცესიც სიკვდილის პროცესთანაა დაკავშირებული, უერთურთოდ წარმოუდგენელია, მთლიანია, განუკვეთელია. ასე ტარიელმა

ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაპრიდოს;

ცხოვრება აქ სიცოცხლეა, წაწყმედა — სიკვდილი, მაშასადამე, სიცოცხლე და სიკვდილი დაპირისპირებულთა ერთს, მთელს წარმოადგენს, და იოანე პეტრიწიც ხომ ამბობდა: სიცოცხლე და სიკვდილი წინაგამწყონი არიანო.

განვითარების ამგვარი ხაზი უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის საქმიანობასაც, ადამიანის განწყობაც განვითარებისადმი სწორედ ამგვარი უნდა იყოს, ე. ი. თვით აზროვნებაც ადამიანს ბუნების განვითარების შესაფერი უნდა ჰქონდეს, რადგან ამგვარ ურყევ შეგნებაში იქედება მებრძოლი უკეთესი მერმისისათვის, ეს ასულდგმულებს მას, აქედან იკრებს იგი ძალას ბრძოლისათვის, სიმტკიცეს საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

„ვეფხისტყაოსანშიაც“ აგრეა. რუსთველისათვის სიცოცხლე-ცხოვრება გაჩენა-სპობის განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენს. განვითარების ამგვარი გაგება და შეგნება ნაწარმოების ყველა გმირის ძვალსა და რბილშია გამჯდარა, და სწორედ ამით აიხსნება თითოეული მათგანის სიმტკიცე-შეუპოვარება, თითოეულის ურყევი გადაწყვეტილება აუცილებელი გამარჯვებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ავთანდილი. თავისი სიმტკიცითა და ურყევლობით ავთანდილი მეტობს ნაწარმოების ყველა გმირს, მეტობს, მიუხედავად იმისა, რომ პოემაში ყველაზე რთული ამოცანა ავტორმა სწორედ მას დააქისრა.

ასე: თუ ტარიელი და ნესტანი იბრძვიან უპირატესად სიყვარულისათვის, მეგობრისათვის გადაგებული ავთანდილი ამავე დროს თინათინის სიყვარულითაცაა დატვირთული: პოეტი ავთანდილს მიწყევ თინათინის მგონებლად სტოვებს, დაუცხრომლად ატირებს, ცრემლს აფრქვევინებს და არის წუთი, მთლიანად ამ გამძაფრებული ბრძოლით გატაცებული, შიშობ, ვაი თუ გმირმა თავი ანებოს საგმირო საქმეს — ტარიელის შველას და მსწრაფლ თინათინისაკენ დაბრუნდეს! მაგრამ არა! პოეტმა მეტი დაბრკოლება შეუქმნა ავთანდილს, დიდხანს, მძაფრად აბრძოლა, ყველა დაბრკოლება გადაალახვინა და საბოლოოდ უდიდეს მეტრფედაც დასახა და თავგანწირულ მეგობრადაც გამოიყვანა.

რა იყო ის ძალა, რომელსაც ემყარებოდა ავთანდილი მთელი ბოროლის სივრცეზე, ძალა, რომელმაც საბოლოო ანგარიშში მოგვცა ბოროტების დათრგუნვა და სიკეთის გამარჯვება?

ეს ძალა ავთანდილის ურყევი რწმენა იყო, რომ ცხოვრება ჰიდლია სიკეთესა და ბოროტებას შორის, ბრძოლა დაუცხრომელი, ხშირად მომსპობი და გამანადგურებელი, მაგრამ საბოლოოდ სიკვდილის დამთრგუნველი, სიცოცხლისა და ცხოვრების მომნიჭებელი.

და ავთანდილიც ჰქირსა შიგან მარად განმტკიცებული იყო. ამ შეგნებით იბრძოდა იგი, ამ შეგნებამ ატვირთვინა მას ბრძოლის მთელი სიმძიმე, ამან შექმნა იგი წამყვანად ბრძოლაში, ამან გაამარჯვებინა მას და მის მეგობრებს საბოლოოდ.

ასეთია ავთანდილი ნაწარმოების მთელს სივრცეზე. მაგრამ განსაკუთრებით დაძაბულია მაშინ, როდესაც იგი ბრძოლის მწვერვალზეა ასული. ერთა ამგვარი მწვერვალთაგანი ის ადგილია, როდესაც იგი მეორედ ნახავს ტარიელს.

რა მდგომარეობაშია ტარიელი? მას უსასტიკესი ბრძოლა ჰქონია ვეფხ-ლომთან. თავდაპირველად ვეფხ-ლომი ერთად ლაღობდნენ. შემდეგ წაიკიდნენ. ტარიელმა ასე წარმოიდგინა: ლომი თავის სატრფოს აწყენინებდა. გამოესარჩ-ლა ვეფხს, ლომი მოკლა. ვეფხს კი, ნესტანის გამო, კოცნა დაუპირა, ვეფხმა ღრენა დაუწყაო. გაშმაგებულმა ტარიელმა ისიც მოკლა.

გაშმაგება იმრიგად და იმ ზომამდე, რომ სატრფო ხელში შემოგაკედეს! ამაზე მეტი სიშმაგე წარმოუდგენელია, და სწორედ აქ არის ის მწვერვალი, საიდანაც უნდა დაიწყოს გარდატეხა, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს ბრძოლის პირი: რა მოუვა გმირს, დაეცემა იგი ბრძოლაში თუ გაიმარჯვებს? სწორედ აქაა ტარიელისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

თვალთა ახმადცა ზარ-ედვა, სრულად მიხსდოდა ცნობასა,
მიხსლებოდა სიკედლისა, მოჰშორებოდა თმობასა.

(870)

ტარიელს არ სურს ამიერიდან ბრძოლა, მეტიც: ამ ქვეყნად ყოფნაც ემძიმება.

აწ დამეხსენ, სიკედლიამდის ვიტირო და თავსა ვიციე.
მაგრა გვედრებ დამარხვასა მხეტთა საქმლად არ მივიციე.

(873)

ასეთ მდგომარეობაშია ტარიელი, და სწორედ აქ უნდა იჩინოს თავი ავ-თანდილის აზროვნებამ. აქ უნდა დაუჩაღდეს მთელი მისი ხელოვნება, გული, გრძნობა და გონება.

ავთანდილმა უნდა მოასულიეროს ტარიელი. ავთანდილმა გონს უნდა მოიყვანოს სასოწარკვეთილი გმირი. ავთანდილმა უნდა დაუბრუნოს ტარიელი ცხოვრებას, საქმიანობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა წაიგება, დამარ-ცხებით დამთავრდება.

როგორ უნდა დაიწყოს ავთანდილმა ტარიელის მობრუნება? აუცილებლად ფრთხილად. ერთგვარი ჩაგონებით. ამისთანა შემთხვევაში „ერთ ახმით“ მიზანს ვერ მიაღწევ, თავიდანვე შეტევით საქმე არ მოგვარდება, პირიქით: შეიძლება საწინააღმდეგო შედეგსაც მიაღწიო.

ყმამან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?
ვის მიჯნური არ ყოფილა, ვის სახშილი არა სწავასა?
ვის უქმნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა?
და რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?“

(874)

ჩაგონება ვერ სჭრის, ჩვეულებრივი მსჯელობა უქმარია.

ავთანდილმა ახალი საბუთები, უფრო დამაჯერებელი საბუთები უნდა

ბოიბარჯვოს, ჩაგონების საშუალებანი უნდა გააძლიეროს, მოჭირებულ ფერებს უნდა მიჰმართოს.

თუ ბრძენი ხარ, ყოვლინი ბრძენნი აპირებენ ამჟამად პირსა:
ხაშს შამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირისა.
ქირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტირისა.
და თავისისა ცნობისაგან ჩაგარდების კაცი ქირსა.

(875)

არც ეს საშუალება გამოდგა. ტარიელი კვალად სასოწარკვეთილია და არის ნიშნები, რომ მთლიანად და სავსებით ხელს აიღებს არამცთუ ბრძოლაზე, თვით სიცოცხლეზედაც. დრამის განვითარება კი მოითხოვს ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვას და დაუცხრომელ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდის.

ამიტომ ავთანდილი შუა გზაზე ვერ შეჩერდება. ჩაგონებიდან თანდათან უკვე შეტევაზე გადადის: ცდილობს დაარწმუნოს ტარიელი, რომ რაც შენ მოგსვლია, არაფერს არაჩვეულებრივს არ წარმოადგენს და არცაა იმის ნიშნები, რომ საქმე ცუდად იყოს, ხელთ იპყარ საკუთარი თავი და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკედები, ვერ მიჰხედები, თუ სოფელსა მოიძულებ,
და თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყულულებ?

(876)

უკმი გამოდგა ამდენი მსჯელობა. ავთანდილმა ვერ ჩააგონა ტარიელს, რომ ის მრთელია და ტყუილად იკლავს თავს. ამიტომ მან მსჯელობის ხასიათი უნდა შეცვალოს, ახალი გეზი უნდა აიღოს: დაარწმუნოს ტარიელი, რომ თუ ახლა კი რიოა, ეს იმის მომასწავებელია, რომ ახლო მომავალში გარდატეხა მოხდება და კირი იგი ღზინად შეიცვლება.

ვინ არ ყოფილა მიწური, ვის არ სახმილნი სდებიან?
ვის არ უნახვან პატიენი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მოთხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგზდებიან?
და არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებ იანი

(877)

აქ უკვე ერთგვარი პრელუდია გვაქვს, შესავალი თქმა წინააღმდეგობათა ერთიანობის შესახებ, რასაც უშუალოდ მოსდევს გამოჩენილი ადგილი ვარდისა და ეკლის შესახებ.

ვარდსა კითხვის: «გზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოენა შენი რად არს ქირად?»
მან თქვა: «ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად,
და ოდეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად».

რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსაკო,
მაშა ღზინსა ვინ მოიმკის პირველ კირთა უმუშაკო?

უბოროტო ვის ასმია, რაც აკარგი უქმნაო,
და რად ემდურვი საწუთროსა? რა უქმნა უკარგო?

(878—879)

ეკალი || ვარდი, მწარე || ტუბილი, ქირი || ლხინი, ბოროტი || სიკეთე, ეს დაპირისპირებაა, კანონზომიერი დაპირისპირებაა, ყველა ერთ მიზანს ემსახურება.

აქ უნდა დამტკიცდეს, რომ ყოველი მოვლენა თავის წიაღში ატარებს თავის საწინააღმდეგო ელემენტს. ყველაფერი წინააღმდეგობათა მთლიანობას, ერთიანობას წარმოადგენს. ე. ი. თუ ახლა ცუდი მდგომარეობაა. თავი კი არ უნდა მოვიკლათ, პირიქით. დიდმა გაჭირვებამ დიდი შეტევა და შებრძოლება უნდა გამოიწვიოს ჩვენში. დიდი გაჭირვება, ეს აუცილებელი საფეხურია, ეტაპია, რომელიც ყოველმა მებრძოლმა უნდა განელოს. უამისოდ ლხინი შეუძლებელია, უამოა, და ტარიელმაც უნდა შეიგნოს. რომ ქირი ლხინად შეიკვლუბა, ბოროტებაში სიკეთე განმტკიცდება.

და ასედაც მოხდა.

მიუხედავად ბრძოლის უადრესად გამძაფრებისა. მაშასადამე, ტარიელის არაჩვეულებრივად დაძაბულობისა, უკანასკნელისათვის ავთანდილის საბუთი გასაგები და საბოლოოდ მისაღები შეიქნა.

ებეწებულა „შეჯეო“, აქას ხვეწნითა არეებლა,
იყოლა, რომე შეჯდომა კაემანს მოაქარებებლა,
ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარებებლა.
და დაემორჩილა: ეამა, არ იეავლახა, არ ეებდა.

(891)

დაპმორჩილა. გაემართნეს ავთანდილ დ შირბარი:
ვერ შიგია ქება შათი. ვერა ქება საქებარი:
ქბილნი—ეთთა მარგალიტნი, ბაგე—ვარდი ნაპ-ბარი.
და გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტუბილად მოუბარი.

(901)

ბრძოლა გამარჯვებით გადავდა. შედეგი ამ ეტაპზე გამარჯვებისა ჩვენ ვიცით: თანდათან მეზარდი, გამარჯვება იგი ნესტანის განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

ახლა ტექსტს დავუბრუნდეთ.

მეორე სტროფის მესამე სტრიქონს დღემდის სხვადასხვაგვარად კითხულობენ:

„უბოროტო ვის ასმია, რაც აკარგი საეშმაკო“, ე. ი. როგორ შეიძლება უბოროტო იყოს ის, რაც კარგი საეშმაკოა. სტრიქონის მეორე ნაწილი სრულებით გაუგებარია.

სწორედ ამას გამოუწვევია წაკითხვის მეორე ვარიანტი, რაც ზოგ ხელნაწერშია დატული, და ზოგი ბეჭდური გამოცემაც იმეორებს:

„უბოროტო ვის ასმია, რაც ა საქმე საეშმაკო“, ე. ი. „როგორ შეიძლება ბოროტი არ იყოს, ის, რაც არის ბოროტი (საეშმაკო)“. ბოროტი რომ ბორო-

ტია, ამას არასდროს არსად მტკიცება არ სჭირებია. და შოთაც მას ვერ იტყოდა. აქედან ცხადია, რომ ჩვენი წაკითხვა არამცთუ უპირატესია, არამედ უცილობლად ერთადერთია.

განვიხილოთ:

რა აზრია გატარებული იმ სტროფებში, სადაც ვარდსა და ეკალზეა ლაპარაკი? როგორც დავინახეთ, მხოლოდ ერთი: არ არსებობს ვარდი უეკლოდ. ტუბილი მწარის გარეშე. ჰირი ლხინის უმისოდ და ასე შემდეგ.

რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსასკო,
მაშა ლხინსა ვინ შოიმკის პირველ ჰირთა უმეშკო?
(879)

ე. ი. თუ ჰირი არ განიცადე, ისე ლხინს ვერ იგემებ. მაშასადამე, ლხინი და ჰირი უპირისპირდება ერთმანეთს, და ამასთან დაკავშირებით მომდევნო სადავო სტრიქონს ჩვენ ასე ვკითხულობთ:

უ ბ ო რ ო ტ ო ვ ი ს ა ს მ ი ა , რ ა ც ა კ ა რ გ ი , უ ე შ მ ა კ ო

ე. ი. როგორ შეიძლება ბოროტება არ ანლდეს მას, რაც არის კარგი. მაშასადამე, სრულიად კანონზომიერად აქ ერთმანეთს უპირისპირდება ბ ო რ ო ტ ა და კარგი. სხვაგვარად. კარგი და ბოროტი წინაგამწყონი არიან.

მაგრამ პოეტი არ კმარობს ერთხელ თქმას კარგი. მას სურს ხაზი გაუსწას თავის დებულებას და ყურადღება განსაკუთრებით კარგის მომენტზე გაამახვილოს. იმავე სიტყვით მის განმეორებას შოთა საზოგადოდ არაა ჩვეული. მას აქვს ერთი ხერხი, რომელსაც იგი ამგვარ შემთხვევებში მიმართავს. სახელდობრ: თ უ რ ო მ ე ლ ი მ ე ა ზ რ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა უ ნ დ ა , თ უ ს უ რ ს ხ ა ზ ი გ ა უ ს ვ ა ს რ ო მ ე ლ ს ა მ ე ფ ა ქ ტ ს ა ნ მ ო მ ე ნ ტ ს , ს ი ნ ო ნ ი ე ბ ს მ ო ი ბ მ ო ბ ს ხ ო ლ მ ე . ამასთანავე სინონიმების გაწყობისას შეიძლება ორივე სიტყვა დადებითი კონსტრუქციით გამართოს, მაგ.,

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოკრეფ კიტრად ბერად.
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.
(786)

აქ თამაში და მღერა სინონიმებია:

მე იგი ვარ, რომელიც ამ სოფელს ბერ კიტრადაც არ ჩავაგდებ. რომელსაც სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მხოლოდ თამაშად მიმაჩნიაო. (მღერა ძველებურად თამაშს ნიშნავს). მაგრამ შესაძლებელია სინონიმთა წყვილი სხვაგვარადაც გაიმართოს, სახელდობრ: წყვილის ერთი წევრი მოცემულ იქნას დადებითი კონსტრუქციისა, მეორე — უარყოფითისა.

მრავალთაგან რამდენსამე დაეასახელებ.

თინათინმა დავალება მისცა ავთანდილს, უტხო ყმა მომინახეო:

ასე ვითხრა: სამსახური ჩემი გმართებს ამაღ ორად:
პირველ, ყმა ხარ. ხორციელი არვინა გყავს შენად სწორად,

მერმე. ჩემი მიჯნური ხარ. დასტურიც, არ ნაკორი და
და წილი იგი მოემე ძეხნე. სხლოს იყის, თუნდა შორად.

(130)

აქ დასტური და არნაკორი სინონიმები.

ან: ტარიელი უამბობს ავთანდილს:

ჩემთა მკერეტელთა მოეცეა ქალაქი. შეკა და ზანი,
ომ-გარდახდილა მშვენოდეს მე ენონი კახანი,
ფერმიხდილ-გვარად ეშვენოდი ვარდი. ცრემლითა ნახანი,
და ვინცა მიკერეტის ბნდებოდის. — მართლად არს, არკატა-
ბანი.

(478)

კატაბა, კატაბანი სიცრუეა, არკატაბანი სიმართლე, მართალე. მაშასადამე,
მართალი და არკატაბანი სინონიმები.

ანდა: ავთანდილს სამი გალახული ძმა მოუთხრობს ტარიელის შესახებ:

აღარ დაბრუნდა, წავიდა წყნარად და აუჩქარებლად.

ხაზგასმული წყნარად და აუჩქარებლად კვლად სინონიმები.
ან კიდევ: ავთანდილი მნათობთ მიჰმართავს:

მზესა ეტყვის: „მზო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს. თქვენ ანათობთ მთად და პარად:
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამაღ გიკერეტ არ-ღამცდარად.
და მაგრა ჩემი რად დააგდე გული ციკად. გაჟმთბარად?
(955)

სწორედ ამგვარსავე ხერხს მიჰმართავს შოთა ჩენს სტროფშიაც.

გავიხსენოთ, რა აზრი უნდა გავტარებინა მესამე სტრიქონში? „უბოროტო
ვის ასმია, რაც აკარგი“. პოეტი აქ ვერ შეჩერდება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ
საღექსო სტრიქონი არაა დამთავრებული, მეორეც იმიტომ, რომ აზრი არაა
სათანადოდ ხაზგასმული, შესაფერად გაძლიერებული.

როგორ უნდა მოიქცეს იგი? ბუნებრივია, კარგის სინონიმი უნდა მოგ-
ვცეს და არამისი უარყოფა. საეშმაკოკი, როგორც ამას დღემდის
ცითხულობენ, სწორედ უარყოფაა კარგისა. შეიძლება თუ არა
მისი დატოვება? რასაკვირველია, არა! და პოეტიც იძლევა კარგის არა უარ-
ყოფას, არამედ მის გაძლიერებას, მის სინონიმს უეშმაკოს. უეშმაკო
კარგის სინონიმი: კარგი. ე. ი. უეშმაკო.

მაშასადამე, უნდა ვწეროთ და წავიკითხოთ:

უბოროტო ვის ასმია, რაც კარგი. უეშმაკო.

და მაშინ ჩვენ გვექნება ერთი მხრით ბოროტი და მეორე მხრით კარ-
გი = უეშმაკო, რაც დაპირისპირებულია მთელს, ერთს წარმოადგენს.

ახლა გაფორმების მხრივ შევხედოთ მთელი სტროფის მორითმე სიტყვებს:
უ-ასაკ-ო || უ-მუშაკ-ო || უ-ეშმაკ-ო || უ-არაკ-ო.

მწყობრია, ჩამოსხმულია'

ამრიგად, საბოლოოდ ჩვენ გვაქვს შინაარსობლივად უტყუარი და ენობრივად სწორად გამართული სტროფი, რომელიც წინა სტროფთან ერთად შემდეგს მოგვეცემს:

ვარდასა კეთხეს: აგზომ ტურფა რამან შეკეშნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი. პონა შენი რად არს კირად?
მან თქვა: ატკბილსა მწარე ჰყოფს, სჯობს, იქმნების რაც აძვირავ,
და ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ნირად.

რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ კირთა უმუშაკო?
უბოროტოვის ასმია, რაც აკარგი, უეშმაკო?
და რად ემღერვი სწუთროსა, რა უქმნია უარაკო?

სხვაგვარი წაკითხვა და გაგება შეუძლებელია და ამგვარად უნდა შევიდეს ეს ადგილი „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ გამოცემაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. II, № 8.

ს ა გ ა ნ-ს ი ტ ყ ვ ის ე ბ ი მ ო ლ ო გ ი ი ს ა თ ვ ის

ს ა გ ა ნ-ს ი ტ ყ ვ ის დ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ც ნ ო ბ ი ლ ი ა. რ უ ს-უ ლ ა დ მ ა ს *предмет* ე წ ო დ ე ბ ა, რ ა ც ლ ა თ ი ნ უ რ ი *objectum*-ის პ ი რ დ ა პ ი რ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ა.

ს ა გ ა ნ ის ა მ გ ვ ა რ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ა რ ა ა მ ა ი ნ ც დ ა მ ა ი ნ ც დ ი დ ი ხ ნ ის ა: ს ა ბ ა, მ ა გ., მ ა ს ა მ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ ა რ ი ც ნ ო ბ ს, ა რ ც ა ნ ტ ო ნ ი. ჩ უ ბ ნ ი ა შ ვ ი ლ მ ა ც კ ი, თ ა ვ ის „ქ ა რ თ უ ლ-რ უ ს უ ლ-ფ რ ა ნ გ უ ლ ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი“ (1840 წ.), ა რ ი ც ის ს ი ტ ყ ვ ის დ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. რ ი თ ა ვ ხ ს ნ ა თ ე ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა? ს ა ქ მ ე ი ს ა რ ის, რ ო მ ს ა გ ა ნ-ს ა და მ ის გ ა ნ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს, რ ო გ ო რ ი ც ა ა ს ა გ ა ნ ო ბ ა. ს ა ს ა გ ა ნ ო, უ ს ა გ ა ნ ო ბ ა და მ ის თ ა ნ ა ნ ი, წ ი ნ ა თ ს ხ ვ ა მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა თ. ე ს მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა წ ი გ ნ უ რ ე ნ ა შ ი ა დ ა ც უ ლ ი, მ ა გ ა ლ ი თ ა დ. „ე ს რ ა მ ა ი ნ შ ი“. „ვე ფ ხ ის ტ ყ ა ო ს ა ნ-შ ი“ და კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ა დ რ ე „დ ი ო ნ ო ს ე ა რ ი ო პ ა ვ ე ლ შ ი“. ა ქ ვ ე ე ლ გ ა ნ ს ა გ ა ნ ი ს ა ს რ ო ლ ის მ ი ზ ა ნ ს ა დ ნ ი შ ა ნ ე ს, შ ე ს ა ბ ა მ ის ა დ — ს ა გ ა ნ ო ბ ა, ს ა ს ა გ ა ნ ო და უ ს ა გ ა ნ ო ბ ა. ს ა ბ ა ს ა ც და ჩ უ ბ ნ ი ა შ ვ ი ლ ს ა ც ა მ გ ვ ა რ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ ა ქ ვ თ ე ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ ა ვ ის ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ შ ი, უ ქ ა ნ ა ს კ ე ნ ე ლ ს — პ ი რ ვ ე ლ გ ა მ ო ც ე მ ა შ ი.

მ ა გ რ ა მ ს ა გ ა ნ ს, რ ო გ ო რ ც ვ თ ქ ვ ი თ, დ ლ ე ს უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ ო ბ ი ე ქ ტ ის. *предмет*-ის მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ე ს. ც ხ ა დ ი ა, ს ა გ ა ნ-ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა გ ა ნ-მ ი ზ ნ ი დ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს. მ ა გ რ ა მ ა რ ც ს ა გ ა ნ-მ ი ზ ა ნ ი ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ი: მ ა ს წ ი ნ უ ს წ რ ე ბ ს ს ხ ვ ა, უ ფ რ ო ძ ი რ ა-თ ა დ ი, უ ფ რ ო უ ხ შ უ ც ე ს ი. ს ა გ ა ნ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ი ტ ყ ვ ა: ს ა პ რ ე ფ ი ქ ს ი ა. გ ა ნ ო — ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი ვ ი. ა ლ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა, რ ო მ ს ა-პ რ ე ფ ი ქ ს თ ა ვ ის ი თ ა რ დ ი ს უ ფ ი ქ ს ი. ა მ შ ე მ თ ნ ე ვ ე ა შ ი მ ო ს ა ლ ო დ ნ ე ლ ი ე ა ნ ო, ა რ ა გ ა ა ჩ ნ ი ა. ჩ ე ვ ა რ გ ვ ა ქ ე ს ს ა-გ ა ნ-ე ა ნ ს ა-გ ა ნ-ო, ა რ ა მ ე დ მ ხ ო ლ ო დ ს ა-გ ა ნ ი. ს ი ტ ყ ვ ის ა მ გ ვ ა რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა, მ ა რ თ ა ლ ი ა, ი შ ვ ი ა თ ი ა. მ ა გ რ ა მ მ ა ი ნ ც ქ ა რ თ უ ლ ი ბ უ ნ ე ბ ის ა ა. ა ს ე თ ი ა. მ ა გ., ს ა-ქ ა რ-ი — ნ ა რ-გ ა ვ თ ა გ ა ნ გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი ს ა თ ა რ ი, ს ა-დ ი ლ-ი (—დ ი ლ ა), ს ა-ძ ი რ-ი, ს ა-ბ ა რ გ-ი და ს ხ ვ.

მ ა შ, გ ა ნ ი. რ ა ა რ ის გ ა ნ ი? გ ა ნ ი ც ძ ე ე ლ ა დ მ ი ზ ა ნ ს, ის რ ის ს ა ს რ ო ლ ს ა დ ნ ი შ-ნ ა ვ დ ა. ა მ გ ვ ა რ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ ა ა ე ს ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი, მ ა გ. ბ ი ბ ლ ი ა შ ი.

„გ ა რ დ ა ი ც უ ა მ შ უ ლ დ ს ა თ ჯ ს ა და გ ა ნ შ წ ო ნ ა მ ე ვ ი თ ა რ ც ა გ ა ნ ი ს ა ი ს რ ე ლ“ — გ კ ი თ ხ უ ლ ო ბ თ ჩ ე ვ ა „ე რ ე მ ი ა ს გ ო დ ე ბ ა შ ი“ (III, 12). ა ნ: „გ ა რ დ ა ი ც უ ა მ შ უ ი ლ დ ს ა თ ჯ ს ს ა და გ ა ნ შ ა ვ ს ო მ ე ვ ი თ ა რ ც ა გ ა ნ ი ის რ ი თ ა“ (ო შ კ ის ხ ე ლ ნ., III, 12), ა მ ა ს რ უ-ს უ ლ ა დ შ ე მ დ ე გ ი შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა: „поставил меня как бы целью для стрел“. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, გ ა ნ ი ა რ ის ც ე ლ ჯ, მ ი შ ე ნ ს. ბ ე რ ძ ე ლ შ ი მ ა ს თ ა ო ი ნ ძ ე შ ე ე ს ა ტ ყ ვ ის ე ბ ა, რ ა ც ი მ ა ვ ე მ ი ზ ა ნ ს, ს ა ნ ი შ ე ნ ე ბ ე ლ ს ა დ ნ ი შ ა ნ ე ს. ს ო მ ხ უ რ-შ ი — *ს ა ყ ა თ ა ს ჯ* ი გ ი ვ ე მ ი ზ ა ნ ი ა. ა მ გ ვ ა რ ა დ ე ვ — ა რ ა ბ უ ლ შ ი *ضرب* ლ ა რ ა დ უ ნ, ე ბ-რ ა უ ლ შ ი — მ ა ტ ტ ა რ ა ნ — ვ ე ე ლ გ ა ნ მ ი ზ ა ნ ი ა ს ა ნ ი შ ე ნ ე ბ ე ლ ი.

ბიბლიაში. სახელდობრ, „სოლომონის სიბრძნეში“ ჩვენ კიდევ გვაქვს განი-სიტყვა. როგორც მიზანი. „ანუ ვითარცა ისარი განრტყოცებული (sic) განსა. განპის აერი და მუნვე შეირწყუს და ვერ საცნაურ იქმნას განსვლა იგი მისი“, კეთიხულობთ საბასეულ; ე. წ. მცხეთის ბიბლიაში (VIII. 12), რაც რუსულში შემდეგს უღრის: или как от стрелы, пушенной в цель, разделенным но-адух тотчас опять сходится, так что нельзя узнать где прошла она.

ამრიგად. განი, ქართულის განსაზღვრულ ეტაპზე, მიზანს აღნიშნავს. ამგვარადვე აქვს ეს სიტყვა განმარტებული დ. ჩუბინაშვილს.

მაგრამ განი-სიტყვის, როგორც მიზნის, მნიშვნელობა არაა პირველადი. თავდაპირველად განი სხვა რასმე აღნიშნავდა, სახელდობრ, ადგილს.

განი ადგილია, და მისი ეს მნიშვნელობა დაცულია გან-თანდებულში. თანდებულები ძველად ხომ დამოუკიდებელი, თავისთავადი სიტყვები იყო. სრული მნიშვნელობის მატარებელი. და როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ერთ-გან, ეს სხვა არაფერია, თუ არ ერთ ადგილას, ერთ ადგილს, ყველ-გან — ყველა ადგილას; ბევრგან — ბევრ ადგილას, სხვაგან — სხვა ადგილას. ზოგგან — ზოგ ადგილას. ჩემგან — იმ ადგილიდან, სადაც მე ვარ; შესაბამადვე — შენგან, მისგან, თბილისითგან და ა. შ.¹

ასე რომ. როდესაც ჩვენ „ვეფხისტყაოსანში“ კეთიხულობთ (როსტევეან. მეფემ რომ ვაზირნი მოიხმო და მასთან თათბირი გამართა მემკვიდრის საკითხის გამოსარკვევად) —

უბრძანა: ჳკითხაათ საქმესა ერთგან სასაუბნაროსაჲ (135).

ეს მხოლოდ იმას ნიშნავს. რომ „მე მოგიწვიეთ თქვენ იმისთანა საკითხის გასა-რჩევად, რომელიც ერთგან, ერთ ადგილას შეიკრებასა და საუბარს მოითხოვს“.

რომე ცუდად არ მოლორდე. ისი კაცნი გღალატობენ.
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჳარი ათასობენ;
კვლასხვაგან ვითქს სამი ბევრი, ასრე ფიცხლად მით გიხმობენ,
და აწვე თავსა არ ეწევი. ფათერაკსა შეგასწრობენ.

(434)

უბნებნა რამაზ მეფის მოციქულთაგან ერთი წევრი ტარიელს. აქ „ერთგან — სხვაგანის“ აზრი ნათელია.

ან თინათინის კურთხევისას:

უკუგდეს და თაყვანი-სიეს მეფემან და მისთა სპათა,
დალუცეს და მეფედ დასეეს, ქება უთხრეს სხვაგანით სხვათა.

(46)

„სხვაგანით სხვათა“ „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება და ნიშნავს: სხვადასხვამ სხვადასხვა ადგილიდან.

¹ შემდეგში გან, როგორც ადგილს აღმნიშვნელი, დროშიაც გადადის: დღეითგან, ხვა-ლითგან და სხვ.

სხვაც ბევრია „ვეფხისტყაოსანში“ გან-თანდებულის გამაზრიანებელი.

მაგრამ განის. როგორც ადგილის მნიშვნელობა მარტო გან-თანდებულში არაა შენახული. გან-ადგილი გან-პრევერბშიაც გვაქვს. მართალა, ეს მნიშვნელობა ყველგან, ყველა ზმნაში ერთგვარად. ერთის ოდენობით არ ჩანს, არ იგრძნობა. ზოგან იგი დაჩრდილულია, დაბნელებულია. თითქმის უჩინო-ქმნილია. მაგრამ ზოგიერთ ზმნაში დღესაც აშკარად გამოსკვირს. ამგვარია, მაკ. გან-დევნა, გან-დრეკა, გან-ვრდომა. გან-თვისება. გან-თესა. გან-თხევა. გან-კერძოება. გან-ლაგება. გან-რინება. გან-სვლა. გან-შორება და სხვ. აქ ყველგან მოქმედება და საერთოდ საქმიანობა წარმოებს განსაზღვრული პოზიციიდან, სახელდობრ, მოქმედი პირის პოზიციიდან, მოქმედი პირის ადგილით-გან.

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ ადგილი საბასეული ბიბლიიდან: „ანუ ვითარცა ისარი განრტყოცებული განსა...“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ მოსკოვეურ ბიბლიაში სათანადო ადგილას განი უკვე აღარ არის. არამედ „ანუ ვითარცა ისარი რთა ტყორცებულითა ზომიერსა ზედა ადგილსა...“, ე. ი. განის მაგიერ გვაქვს ზომიერი ადგილი. და ეს კი უკვე განის გააზრიანებაა, განის განმარტებაა, განმარტება როგორც მინიშნებულნი, მიმიზნებულნი ადგილისა.

ამრიგად, განი ადგილია. ეს რომ აგრეა, ამას სხვა რამეც ადასტურებს, სახელდობრ, ზოგიერთი სტაბილიზებული თქმა. ასეთია, მაგ. „განი ბიკებო“. რას ნიშნავს ეს თქმა? იგი იხმარება ცეკვის დროს, როდესაც ვიწრო წრეა მოცლებული და მოთამაშეს არ ჰყოფნის საცეკვაო ადგილი. „განი, ბიკებო!“. ე. ი. ადგილი განავრცეთ, ბიკებო!

ამასთან დაკავშირებულია გან-სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობაც. რა მანძილია გან-ადგილსა და დღევანდელ განს. როგორც სივრცის მეორე გან-ზომილებას, სიგანეს, შორის? თითქმის არაფერია. რა არის განი, სიგანე? განი სივრცეაო, ამბობს საბა და სივრცე იგივე ადგილია.

აღსანიშნავია, რომ დღესაც ზოგან, თუმცა მკრთალად. მაინც იგრძნობა ადგილის, როგორც განის მნიშვნელობა. ამბობენ — ქსოვილის ადგილიო და გულისხმობენ მხოლოდ განს და არა სიგრძეს.

დაახლოებით ამგვარი მნიშვნელობა შეუნარჩუნებია განს მეგრულში: განი—მხარე, ადგილი: „თი განიშე“—იმ მხრიდან, იმ ადგილიდან.

ამასვე ადასტურებს სვანური ადგილის ზმნისართებიც: მაგ., ჩივგ ყველგან.

გან-თანდებულის გასააზრიანებლად ჩვენთვის საყურადღებოა სომხური *կოიქ*. რა არის *კოიქ*? *კოიქ* არის მხარე, ადგილი და როდესაც სომხურად ლაპარაკობენ *ქმ კოიქიქ*, ეს არის მხოლოდ ჩემ გან. ამგვარადვე *წყა კოიქიქ* — მის გან. მაშასადამე, ქართულ გან-თანდებულს სომხური *კოიქ*-ადგილი შეესატყვისება.

კიდევ უფრო ხაზგასმულია *სხი*-სიტყვის ფუნქცია სომხურში. *სხი*-მხოლოდ ადგილს აღნიშნავს.

აქოსხი ერთ-გან, *ამსხ* *სხი* ყველ-გან, *ოქი* *სხი* სხვა-გან, და ა. შ. მაშასადამე, ქართულ გან-თანდებულს სომხური *სხი*-ადგილი შეესატყვისება. მაშასადამე, განი არის ადგილი.

როგორ გადაიქცა განი-ადგილი გან-მიზნად? განი ადგილია და ისრით სროლაში ვარჯიშობისას. წინასწარ ისრის მოსახვედრებელი წერტილი, ისრის სანიშნებელი ადგილი უნდა მოემაზათ, სხვაგვარად, განი უნდა დაეღებოდა და აქედან --- განი უკვე მიზანს, სანიშნებელს დაერქვა.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ განი-საგან ნაწარმოები ს-ა-გ-ან-ი განსახვდრულ ეტაჰზე იმასვე აღნიშნავდა, რასაც განი, ე. ი. მიზანს. მაგრამ თავდაპირველად. სანამ საგანი მიზნად გადაიქცეოდა, ქართულში იგი ისარს აღნიშნავდა.

სწორედ ამგვარი მნიშვნელობითაა ეს სიტყვა დაცული დღეს მეგრულში. მეგრულად ისარს საგანი ჰქვია. ან ქ-ა-ს-ა-გ-ან-ი, რაც რქასაგანს, რქაისარს უდრის. ამგვარივე ელფერი დაპკრავს საბას ერთ განმარტებასაც, სახელდობრ, უსაგნობა-სიტყვის განმარტებას: უსაგნობა --- საგანთ სროლა არ იცოდესო, ამბობს საბა. რას უნდა ნიშნავდეს ეს თქმა: საგნის სროლა არ იცოდეს, თუ საგანში სროლა, მოხვედრება არ იცოდეს? შესიტყვების მიხედვით აქ მხოლოდ ერთი პასუხის მოცემა შეიძლება, სახელდობრ: საგანთ სროლა არ იცოდეს, ე. ი. საგნის სროლა, გატყორცნა არ იცოდეს, და მაშინ საგან-სიტყვის მნიშვნელობაც ცხადია: საგანი ისარი იქნება. მაგრამ თუ ჩვენ „დიონოსე არიოპაგელის“ იმ ადგილს წავიკითხავთ, რომელსაც საბა მიუთითებს (4.260). დავრწმუნდებით, რომ საგანი ქართულში, ყოველ შემთხვევაში ამ დროს მაინც, მიზანს აღნიშნავდა. „...კეთილისაგან მოკლუბასა უწოდა უსაგნობადაცა შემოღებითა მოისართა კელოვნებისაგან, რამეთუ ვითარცა იგინი, რომელნი ოდენ მიათხუჭედენ საგანსა, კეთილად ისრიან, ხოლო ვერ მტემელნი საგანისანი ჰავმოსრობისთვის უსაგნო სახელ იღებიან. რაჟამს ანუ გარდაავლონ, გინა დააკლონ და მარჯულ, გინა მარცხულ წარჰკადონ საგანსა, აგრეთვე მეტნობაჲ და მოკლებაჲ და მიდრეკაჲ კეთილისაგან სახელ იღების ბოროტ“ (დიონოსე არიოპაგელი. საღმრთო სახელთათვის 4.60, გერმანოსის კომენტარი).

აქ საგანსა და მისგან ნაწარმოებ უსაგნოსა და უსაგნობას ბერძნული *σθηρ* და შესაბამისად მისგან ნაწარმოებნი ცნებანი კიდევაც რომ არ შეესატყვისებოდნენ, მაშინაც ტექსტის მიხედვით გადაჭრით შეგვეძლო გვეთქვა, რომ საგანი ამ დროს „მიზანია“ და არა „ისარი“.

კი მაგრამ: რატომ უნდა გადასულიყვნენ საგან-მიზანზე. როდესაც გან-ი-მიზანი არსებობდა და მთლიანად და სავსებით ასრულებდა თავის დანიშნულებას?

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს განი-სიტყვამ უკვე სხვა ფუნქცია იტვირთა, სახელდობრ, იგი სივრცის მეორე განზომილების, სიგანის, აღმნიშვნელი შეიქნა. სწორედ ამას უნდა გამოეწვია საგან-ისრის საგან-მიზნად გარდაქცევა.

ამ მნიშვნელობით იხმარება საგანი არა მარტო ფილოსოფიურ, არამედ ძველ მხატვრულ ნაწარმოებებშიაც, მაგ., „ეცისრამიანში“.

„შშვილდოსანსა ჰკავს საწუთრო: მ-წყით გაყრაჲ მისი ისარი და სული ჩემი სასაგნო“ (149).

ან: [გული ჩემი]სანაშნოდ გაეხდია ვითა ს ა ს ა გ ნ ო ასაბადი“ (218).
ასდა: „გული ჩემი მშვილდისაებრ მრუდია, სწერს ვისი რამინს, -- სიტყვები ჩემნი ისრისაებრ მართალია: რათგან გული შენი ს ა გ ა ნ ი ა, საყუედურსა ვერ გასძლებ. აილე შენი ს ა გ ა ნ ი, რომელ ვერ ეცეს ისარი“ (258, 21. 22).

ს ა გ ა ნ ი „ვეფხისტყაოსანშია“ გვაქვს, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც ავთანდილი ესაუბრება თინათინს და მეორედ წასვლის საქიროებას ასაბუთებს.

ვ ა თ უ გაეიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ დამწეავს სამ ალი!
გული ძვის ს ა გ ა ნ ა დ ისრისა, შესრვის საკრავად სამალი.

(708)

მაშასადამე, საგანი მიზანია.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანშივე“ ჩვენ მოგვეპოვება ს ა გ ა ნ -სიტყვისგან ნაწილები ზმნა „გასაგანნა“, რაც კვლად საბას განმარტებისაკენ მიჰმართავს ჩვენს ყურადღებას. ასე, ტარიელი უამბობს ავთანდილს:

ღარბაზს მივე. შეფე ბრძანებს: „ამას მეტსა ნუ იქმ, აბა!“
ცხენსა შემსვა უკაპარქო, წელსა არა არ შემაბა,
შეჭდა, ქორნი მოუტიენა, ღურაჭები დაინაბა,
და მშვილდოსანი გ ა ს ა გ ა ნ ა, იტყოდიან: „შაბა, შაბა“.

(367)

ესე იგი? მეფემ იხმო ტარიელი. სანადიროდ მიჰყავს, მაგრამ უკაპარქოდ, ე. ი. უმშვილდისრებოდ, უიარაღოდ, სხვაგვარად: ნადირობა იწარმოებს ქორ-შავარდენტა საშუალებით. ხომ იყო ძველად ორგვარი ნადირობა: ქორ-შავარდნითა და მშვილდ-ისრით, და პირველგვარი ნადირობა იმით იყო საგულისხმო, რომ აქ იარაღის, ამ შემთხვევაში, მშვილდ-ისრის, ხმარებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა და სწორედ ამიტომაცაა ნათქვამი:

ცხენსა შემსვა უკაპარქო, წელსა არა არ შემაბა:
შეჭდა, ქორნი მოუტიენა და სხვ.

რას უნდა ნიშნავდეს „გასაგანნა“? გ ა ს ა გ ა ნ ა — მიზანში სროლა და-აწყებინაო, — ამბობს დ. ჩუბინაშვილი. ქორ-შეგარდნებით ნადირობისას მონადირეს ისართან არა აქვს საქმე. მაშასადამე, ასეთი განმარტება უნდა მოიხსნას.

გ ა ს ა გ ა ნ ა — სამიზნოდ გარაზმაო, — გადმოგვეცმს პროფ. იუსტ. აბულაძე „ვეფხისტყაოსნის“ თავის ლექსიკონში და აწარმოებს მას გ ა ს ა გ ა ნ ე ბ ა -მასდარისაგან. არაა სწორი! სადავო სიტყვა რომ გასაგანება-მასდარისაგან იყოს ნაწარმოები, მაშინ ნამყო წყვეტილში ჩვენ გვექნებოდა არა გ ა ს ა გ ა ნ ე ა, არამედ გ ა ნ ა ს ა გ ა ნ ა, ან გაასაგანნა, ე. ი. საგნად, საგნებად აქცია, რაც ღიღი შეუსაბამობა და უაზრობა გამოვა: თითქოს მეფემ მშვილდოსნები სასროლ მიზნებად ჩაამწყრივა მაშინ, როდესაც ისინი (მშვილდოსნები) ნამდვილად მეფეს ქება-ღიღებებს ასხამდნენ და იტყოდიან: „შაბა, შაბა“, ე. ი. ვაშა, ვაშაო.

გ ა ს ა გ ა ნ ა მხოლოდ გ ა ს ა გ ა ნ ვ ა ან გ ა ს ა გ ა ნ ვ ა -მასდარისაგან შეიძლება იწარმოოს, მაგრამ, ზემომოყვანილი მოსაზრებით, არც ამ შემთხვევაში რჩება იგი სამიზნოდ გარაზმეა. აბა, რა?

გასაგანვა საგნით, საგნის საშუალებით. რაიმე მოქმედების ჩადენა, იმგვარადევა ნაწარმოები, როგორც მაგალითად. ჯოხით --- გაჭოხვა (გაჭოხა --- გალახა. მაგრამ გააჭოხა. ჯოხად გადააქცია). ისრით --- გაისრვა (გაისრა, მაგრამ გააისრა), ხანჭლით --- გამოსანჭლევა. --- თოკით გათოკვა. მოთოკვა, ხარხით გაჩარხვა. ლახვრით --- დალახვრა, მეხით --- დამეხვა (მაგრამ გამეხება) და მისთანანი.

მაშასადამე, საგნით შეიძლება მხოლოდ გასაგანვა. გასაგნვა. ე. ი. განწონვა, და მაშინ საგანი ამ შემთხვევაში მიზანი კი არ იქნება. არამედ ისარი და მხოლოდ ისარი. და მთელი სტროფი შემდეგნაირად გააზრიანდება: მეფემ მოიხმო ტარიელი. შესვა ცხენს უკაპარქოღ, წელს არაფერი არ შეაბა. თვითონ ქორნი მოუტევნა. მეფე უმშვილდისრებოდ ნადირობს წარმატებით. და ამით მშვილდოსანნი, რომელნიც იქ იყვნენ, სულ ერთია --- ცალკე ჩვეუთში ნადირობდნენ, თუ გარეშე მაუურებლობდნენ, გასაგანნა, ე. ი. ისრით განწონა, გააწბილა, და ისინიც (მშვილდოსანნი) იტყოდნენ: ვაშა, ვაშა, ე. ი. მეფეს მოუწონეს ბრწყინვალე ნადირობა.

მაშასადამე, საგანი ქართულში, იყო დრო, ისარს აღნიშნავდა, და თვით მეგრულშიაც საგანი. ქასაგანი აშკარა ქართული წარმოებისაა და უკიდრჩენილია არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც. საგანი რომ ქართულში არ ყოფილიყო ისრის შინაარსით წარმოდგენილი, მეგრულშიაც არ გვექნებოდა აგი დადასტურებული.

როგორც ზევით ვთქვი. საგანს დღეს უპირატესად ობიექტის მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ საგანს. დღევანდელ თქმაშიაც შერჩენილი აქვს მიზნის. დანიშნულების აზრი, მაგ. „გაოჯაში იბოვა საგანი ცხოვრებისა“, „სიცოცხლე და საგანი სიცოცხლისა ერთი განუყრელი არსი იყო“, „მე საგნად არა მაქვს“, ე. ი. მიზნად არა მაქვსო და სხვ. თუ მივიღებთ ამას მხედველობაში, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება. თუ როგორ დაისაკუთრა. როგორ დაიუფლა საგან-მიზანმა თავისი დღევანდელი მნიშვნელობა ობიექტისა, ურემ-ისა.

აქ აღსანიშნავია ერთი დეტალი, სახელდობრ. დამთხვევა საგან-ობიექტურემ სიტყვათა ბუნებრივ აგებულების მხრივ: სამივე თავისი აგებულებით სროლასთან, წინ წარცემასთანა დაკავშირებული, სხვაგვარად: ტიპოლოგიურად ერთი გვარისაა.

საგან-სიტყვის, როგორც ობიექტის, გაგება ქართულში, როგორც ვთქვი, მეტად გვიან შემოდის, სახელდობრ, XIX ს. ნახევრიდან. განსაკუთრებით დიდა გასაქანი მისცა მას ილია ჭავჭავაძემ.

გან-სიტყვასთან დაკავშირებულია გაგნება. მიგნება, შეგნება.

რა არის გაგნება. მიგნება? ორიენტაცია ადგილში. ადგილმდებარეობაში. რას ნიშნავს შეგნება? რისამე გაგებას, постигание-ს, რისამე მიღწევას.

სხენებულ სიტყვათა ამგვარად გააზრიანებას მხარს უჭერს საგან-სიტყვის ბერძნული შესატყვისი σαιπანტ. რა არის σαιπანტ? ხედვა, თვალთვალი, გაგება, გაგნება. გარკვევა და მისთანანი: აქედან σαιπანტ მეთვალთვალი, გამრკვე-

ვი. გამგნები, შემდეგ: ამხილველი, მსტოვარი და სხვ. აქედანვეა *ჟა: თჟიან* — თავდაპირველად მიზანში მსროლელი. საქმის მეთეალებურე, საქმის გამრკვევი საქმეში გამგნები და სხვ.

ამ მხრივ. ე. ი. აზრობრივად ქართულ თავდაპირველ საგანსა და საგნობასა. ერთი მხრით, და გაგნება, მიგნება და შეგნებას შორის, მეორე მხრით, მკიდრო კავშირია.

ერთი შეხედვით აქ ერთგვარ დაბრკობებად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვათა მორფოლოგიური მხარე. ვინაიდან ჩვენ გვაქვს გა-ი-გენ. მი-ა-გენ და გან-თან მას თითქოს კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რადგან ქართულში ჩვენ სხვა შემთხვევებაც მოგვეპოვება ამგვარ წარმოებათა. მაგ..

ა. ბან-ძირისაგან, სულ ერთია, დაკავშირებულია ეს ქართულ ბანთან (ბანი). უბანთან თუ სომხურ *բան*-თან (სიტყვა), ჩვენ გვაქვს ე-უ-ბენ — უთხარი, ელაპარაკე:

იგი რა მოკლა. ეუბენ პატრონსა ჩემსა მამსა,
ჰადრე, თუ: სპარსთა ვერა ექმ ინდოეთისა კამასა —
(544)

ეუბნება ნესტანი ტარიელს სასიძოს მოკელის შესახებ.

ბ. ძალ-ძირისაგან — გაძლება. გა-უ-ძელ,

გ. ქარ-ძირისაგან, — გაქრობა. გა-ა-ქერ.

ხსენებული სიტყვების ძირთანაა დაკავშირებული თვით გაგებ-სიტყვაც ამ ცნებათათვის ჩვენ მოგვეპოვება პარალელური წარმოება, სახელდობრ: ხვედრა, მიხვედრა, მოხვედრა, მოხვედრება, რაც ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს როგორც მიზანში მორტყმას. ისე გაგებ-სიტყვას მოუპოვება სინონიმი, რომელიც ორსავე აღნიშნავს — როგორც გაგებას, მიხვედრას, ისე მიგნებას. მიწვდომას, მაშასადამე, სინონიმი იმდროინდელია. როდესაც გაგებ-მიგნება ერთი ბუდის, ერთი მოდგმის სიტყვებად მიაჩნდათ. ეს სიტყვა გახლავს მიხედომა. ძველ ქართულში მიხედომა უპირატესად მიგნებას, მილწევას ნიშნავს.

მიხვდა რასმე ქვეყანასა უგებურსა, მეტად მქისსა (183).

ვკითხულობთ ავთანდილის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ და ეს ნიშნავს: მისწვდა, მიაღწია, მიაგნო რასმე ქვეყანას და სხვ.

ან:

ვისთვის ჰკვდება, ვერ მიხვდები. თუ სოფელსა მოიძულებ (876).

ეუბნება ავთანდილი ტარიელს, ე. ი. ვისთვისაც შენ თავს იკლავ (ნესტანისათვის), მას ვერ მისწვდებიო და სხვ.

აღსანიშნავია, რომ არან. ჩიქობავას „ქანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ გაგებ-მიხედრას გან-ძირთან აკავშირებს.

ყველაფერი ეს კი უეჭველად ცხადყოფს, რომ გ-გ-ნ-ე-ბ-ა, მი-გ-ნ-ე-ბ-ა, შე-გ-ნ-ე-ბ-ა, გაგ-ე-ბ-ა, გან-ი (მიზანი) და გან სიტყვები ერთი მოღგმისაა, ერთი ბუდისაა.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს შემდეგი მწკრივი.

1. განი — ადგილი,
2. გან — თანდებული,
3. გან — ზმნისწინი,
4. განი — მიზანი, სანიშნებელი,
5. განი — სივრცე,
6. საგანი — 'ისარი'
7. საგანი — 'მიზანი, სანიშნებელი'
8. საგანი — 'მიზანი საერთოდ, (მაგ. ცხოვრების მიზანი)'
9. საგანი — 'ობიექტი საერთოდ'
10. გაგნება — 'ორიენტიაცია ადგილში, ადგილმდებარეობაში'
11. მიგნება, — 'რისამე მიღწევა'
12. გაგება, შეგნება — 'მიხვედრა'.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. I, № 4, 1942 წ.

„მეფხინტუაონის“ ერთი მხატვრული სახის განმარტებინათმის

ტარიელისა და ნესტანის შეხვედრას ქაჯეთის ციხეში რუსთაველი შემდეგი სახით გადმოგვცემს:

გზანი დახედეს შეკაფულნი, შევიდეს და გძერეს ხვრელსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშე, მთვარე გველსა,
მუზარადი მოხადა, ჰშეუნის აკერა თმ.სა ლელსა,
და მკერდი მკერდსა შეეწეზა, გარდაეკლო ყელი ყელსა.

ვხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს;
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.
შეე რა ვარდსა შემოდგეს, დაშეენდეს და შეჰქნი არნეს,
და აქნამდის კირნახელთა ამ.ს იქით გაიხარნეს.

(1420—1421)

შეხვედრა იშვიათია. მეტად მიმზიდველი და წარმტაცი და სათანადოდ — იგი გარეგნულადაც არაჩვეულებრივ მხატვრულადაა გამოვლენილი.

ამჟამად მრავალ მხატვრულ სახეთაგან მხოლოდ ერთი იპყრობს ჩვენს ყურადღებას, სახელდობრ:

ვხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს;
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.

აქ საყურადღებოა მუშთარ-ზუალის შეყრა:

ტარიელისა და ნესტანის შეყრა მუშთარ-ზუალის შეყრას მიემსგავსებოდაო.

რატომ მაინცდამაინც შოთამ ტარიელისა და ნესტანის შეყრა მუშთარ-ზუალის შეხვედრას შეადარა და არა რომელიმე სხვა პლანეტებისას?

ზოგ ვისმე ეს ადგილი დამახინჯებულად მიაჩნია და მას თავისებურ კომენტარს უკეთებს: ასე —

1. მუშთარი იუპიტერია, ხოლო ზუალ უნდა იყოს ვენერაო.

— ზუალ არასოდეს არ ყოფილა ვენერა: იგი მარად სატურნი ანუ კრონოსი იყო.

2. მხოლოდ იუპიტერს, ე. ი. მამრობითს დასაბამს და ვენერას, ე. ი. დედრობითს დასაბამს შეუძლიათ ერთგან შეყრა, ისიც 300 წელიწადს ერთხელო.

--- მცდარი მოსაზრებაა:

ა) ყველა პლანეტა ხედება ერთმანეთს, დამოუკიდებლად თავისი სქესისა;
ბ) რაც შეეხება, კერძოდ, იუპიტერსა და ვენერას, ისინიც ერთმანეთს სედებიან, მაგრამ არა 300 წლის განმავლობაში ერთხელ, არამედ გაცილებით უფრო ხშირად. ასე, მაგალითად, 1923 წლიდან 1941 წლამდე თანხატვლით, იუპიტერი და ვენერა ერთმანეთს შეხვდნენ 18-ჯერ.

3. ვენერასა და იუპიტერის შეყრას დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოებისათვის, რადგან ამ დროს უნდა დაღუპულიყო ესა თუ ის მეფეო.

--- წარმოვიდგინოთ ერთ წამს, რომ შოთა რუსთაველსაც სჯერა, რომ ვენერასა და იუპიტერის შეხვედრას აუცილებლად მოჰყვება მეფის დაღუპვა.

კი მაგრამ: რა სახარბიელო ანდა სანეტარო ბედს უწინასწარმეტყველებდა ამ შემთხვევაში შოთა ტარიელსა და ნესტანს: თქვენი შეხვედრა იმას ჰგავს, თითქოს ვენერა და იუპიტერი შეიყარნენ და ამ უკანასკნელთა შეყრა კი თქვენს მოსპობას მოასწავებსო.

ვერაფერი სანუგეშო სურათია ყველასათვის და განსაკუთრებით მათთვის, ვინც წელთა განმავლობაში იტანჯებოდა სატრფოს მოშორებულნი და დღემარად იბრძოდა მასთან შეერთებისათვის! ხომ გაცუდდა მაშინ მთელი ამ ხნის განმავლობაში წარმოებულნი ბრძოლა, ხომ არარად იქცა „შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა!“. ანდა: სადაა მაშინ „ბორცისა სძლია კეთილმან. არსება მისი გრძელია“? არა, შოთას მისთვის კი არ უზრდია და კალთით უტარებია თავისი გმირნი, მისთვის კი არ გამოუბრძმებდია ისინი თანდათან მეზარდ ბრძოლებში, რომ, როდესაც მიზანს მიაღწევდნენ, სამარადისო ბედ-ხიერების ნაცვლად. ორივე ტახტიდან: გადმოეგდო და მთელი ეს კაპანწყვეტა წიავექარისთვის გაეტანებინა? არა!

ან კიდევ: როგორ შეიძლება ერთის მხრით:

შეე ვარდსა შემოდგეს, დამშვენდეს და შუქნი არნეს,
და აქანამდის კირნახულთა, ამას იქით გაიხარნესო —

და უცებ: ტარიელისა და ნესტანის შეყრა მუშთარისა და ვენერას შეხვედრას ჯვანდა და ამ უკანასკნელთა შეხვედრა კი უბედურების მომასწავებელი იყოო?!

არაფერი ამის მსგავსი! რუსთაველს ყველაფერი რიგზე აქვს და ზუალიც ზუალია, ე. ი. სატურნი და არა ვენერა.

რას ნიშნავს მუშთარ-ზუალის შეყრა? ბევრი პლანეტა ხედება ერთმანეთს, მაგალითად, მერკური—ვენერა, მერკური—სატურნი, ვენერა—სატურნი, ვენერა—მარსი, მერკური—მარსი, მერკური—იუპიტერი, მარსი—სატურნი და იუპიტერი—სატურნი ანუ მუშთარ—ზუალი. ამასთანვე უკანასკნელთა შეხვედრა განსხვავდება სხვა პლანეტების შეხვედრებისაგან. მაგრამ თავდაპირველად: რით განირჩევა სხვა პლანეტებისაგან ეს ორი პლანეტა—მუშთარი და ზუალი?

ორივე ეს პლანეტა პირველხარისხოვანია.

ამას გარდა, დიდ პლანეტებს შორის, მუშთარი (იუპიტერი) ყველაზე უფრო კომკაშაა, ყველაზე უფრო ბრწყინვალეა, ხოლო სატურნი (ზუალი) უფრო

შკრთალი. და მათი შეხვედრა გრანდიოზულ სანახაობას წარმოგვიდგენს.

ამასთანავე: ორივე ეს პლანეტა მეზობლად მდებარეობს და ყოველთვის, როდესაც პლანეტებს ახსენებენ, მუშთარ-ზუალი ერთად იხსენიება. მაშასადამე. ეს ორი პლანეტა მახლობელია.

შემდეგ: ეს ორი პლანეტა მეტად იშვიათად ხვდება ერთმანეთს, მაგ.. თუ 13 წლის განმავლობაში, სახელდობრ. 1923 წლიდან 1941 წლამდე. მერკური და ვენერა შეხვდნენ ერთმანეთს 24-ჯერ. მერკური და სატურნი - 9-ჯერ, ვენერა და სატურნი -- 14-ჯერ, ვენერა და მარსი - 11-ჯერ, მერკური და მარსი - 8-ჯერ, მერკური და იუპიტერი - 10-ჯერ, ვენერა და სატურნი - 15-ჯერ, მარსი და იუპიტერი - 8-ჯერ, მარსი და სატურნი 9-ჯერ, იუპიტერი და სატურნი მხოლოდ 3-ჯერ, სახელდობრ: 1921 წლის 14.IX, 1940 წ. 15. VIII და 1941 წ. 20. II. და მოგვხსენებთ: „სჯობს, იქნებ ის რაცა ძვირად“, ვინაიდან „ოდეს ტურფა გაიფდეს, აღარ აღირს არცა ჩირად“.

დასასრულ: მუშთარი და ზუალი კიდური პლანეტებია, ანუ, როგორც დავით რექტორი ამბობს, „ყოველთა ცთომილთა შორის უზემოესსა სარტყელსა შინა“ იმყოფებიან და მეტად ნელად მოძრაობენ, რაც იწვევს შეხვედრის ხანგრძლივობას, მაშინ, როდესაც, მაგ.. მერკურისა და ვენერას შეხვედრა გრძელდება მხოლოდ წამერთ.

ამრიგად, მუშთარისა და ზუალის სახით ჩვენ გვაქვს:

- ა) ორი პირველხარისხოვანი პლანეტა;
- ბ) ორი მახლობელი პლანეტა;
- გ) ორი იშვიათად შემხვედრი პლანეტა;
- დ) ორი ხანგრძლივად შემხვედრი პლანეტა.

ახლა დავუბრუნდეთ „ეფებისტყაოსნის“ იმ აღვილს, სადაც ტარიელისა და ნესტანის შეხვედრაზეა ლაპარაკი.

რას წარმოადგენს ეს სცენა? იგი მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული, უმაგალითო, ტრატაჟური ბრძოლების შედეგს გადმოგვცემს, რომელიც ამ შემთხვევაში, ღრამის განვითარების თანახმად, უთუოდ გამარჯვებით, აუცილებლად დადებითად უნდა დამთავრდეს, განიკანმოს, ბედნიერებით უნდა დაისკვნას. და თუ შოთა ტარიელისა და ნესტანის შეხვედრას მხატვრულად ასახვდა, ბუნებრივია, უკეთეს სახეს ვერ იხატებდა. თუ არ მუშთარ-ზუალის ამ უქველად გრანდიოზულ შეყრას.

მაშასადამე, როდესაც შოთა გადმოგვცემს:

ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლი ღიარნეს.

ამას გვიანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს,—

ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ:

- ა) ორი დიდი და ბრწყინვალე ადამიანი შეხვდა ერთმანეთს;
- ბ) ორი მახლობელი არსება შეეყარა ერთმანეთს;
- გ) ეს შეხვედრა იშვიათ, არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგინდა;

და დ) ამასთანავე მათი შეხვედრა იყო ხანგრძლივიც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. IV, № 6, 1943.

სიკვდილისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის
„ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ საგმირო პოემაა. თავისი შინაარსით ეს ნაწარმოები წარმოადგენს ბრძოლას, ბრძოლას სიყვარულისა და მეგობრობისათვის. ამ ბრძოლაში ერთგვარად ჩაბმულნი არიან გმირნი—როგორც მამაკაცი, ისე დედაცა. წესიერად წარმოებულ ბრძოლა უთუოდ მსხვერპლს გულისნმობს. მსხვერპლის ერთი სახეთაგანია თავდადება დასახული მიზნისათვის, სიკვდილი ძიების საგნისათვის. ქეშმარიტი მებრძოლი უთუოდ მსხვერპლის გამღებია და აქედან: მსხვერპლის გამღებს მარად სიკვდილთან აქვს საქმე და ბუნებრივია, გმირი მებრძოლი იმთავითვე უნდა არკვევდეს თავის პოზიციას სიკვდილის მიმართ, და თვით ნაწარმოებიც, რომელიც გმირთა ბრძოლას გადმოგვცემს, უნდა ეხებოდეს სიკვდილის საკითხს და შესაფერ პასუხსაც იძლეოდეს მისთვის. აქედანვე ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სიკვდილის საკითხს სათანადო აღკილი ექნება დათმობილი და სათანადოვე შეხედულება იქნება მის შესახებ როცემული როგორც ავტორისა, ისე ცალკეული გმირისა, მებრძოლისა.

მაგრამ, სანამ ამას გავარკვევდეთ, აუცილებლად საჭიროა გავიხსენოთ, რა არის საზოგადოდ სიკვდილი, როგორ აქვს იგი წარმოდგენილი ადამიანს და რა პოზიცია უჭირავს მას მის მიმართ?

სიკვდილის უშუალო განცდა ადამიანისათვის—ეს სიცოცხლის აბსოლუტური წინააღმდეგობაა და არც შეიძლება სხვაგვარი წარმოდგენა გქონდეს სიკვდილზე, როდესაც მას უშუალოდ, ფიზიკურად განიცდი.

ადამიანი ცოცხლობს, იკვებება, იბრძვის, მრავლდება, ტკება თუ იტანჯება ამა ქვეყნის სიკეთითა თუ სიავით და უცებ (ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ) კვდება, ფიზიკურად ეს მართლაც წინააღმდეგობაა სიცოცხლისა.

მაგრამ ცოცხალსა და მცოცხლობ ადამიანს არ სურს თავის სრულს წინააღმდეგობაში გადასვლა, და იგიც იწყებს ბრძოლას სიკვდილის წინააღმდეგ.

ბრძოლა ორგვარია: ვთქვათ, ადამიანი შეიპყრო რაიმე სენმა, სიკვდილის პირზეა მიმდგარი. ადამიანი უბრძვის სენს, ცდილობს აირიდოს სიკვდილი. აშგვარ ბრძოლას ხშირად დადებითი შედეგი მოაქვს, მაგრამ ეს შედეგი დროებითია. ამიტომაც ადამიანი არ კმაყოფილდება სიცოცხლის მარტოოდენ გახანგრძლივებით. მას სომატური სიკვდილის შემდეგაც უნდა ცხოვრება, მას სურს ჩარად უკვდავად იფუღვოს თავი, მაგრამ უღმობელი სიკვდილი მაინც მოდის, და ადამიანიც უძლური აღმოჩნდა მასთან ბრძოლაში. ადამიანს სიკვდილის შიში იპყრობს, იგი ჰკარგავს ბრძოლაში საყრდენ ნიადაგს და თანდათან რეა-

ქული, სძი განზომილებს ქვეყნიდან სასულეთში გადადის: თხზავს არარსებულ საიქიოს და არწმუნებს თავის თავს, რომ სიკვდილი ანაზღაგადოდ მოგონილი ამბავია. ადამიანის სული მარად უკვდავია, იგი სხეულის გარდასნის შემდგომც ცოცხლობს და დადგება დრო, კვლავ შეუერთდება სხეულს.

აქ ფართო გასაქანი ეძლევა სხვადასხვა სარწმუნოებრივ იდეორას, სივადასხვა რელიგიას, რელიგიაც გამოდის მარად უკვდავობის დამასაბუთებლად. იგი არწმუნებს ადამიანს, რომ ცოტათი მაინც გააწელოს სიკვდილისა, რომ: *смерть не есть настоящий конец существования, а только переход от настоящей жизни к будущей.*¹

ამ მსრბე განსაკუთრებით საგელისხშია ქართული „გარდაცვალებას“ ზოგი ვინმე ფიქრობს, რომ ამ თქმში დიდი მეცნიერული აზრია ჩაქსოვილი, რომ ქართულთ იმ თავითვე სცოდნიათ მატერიის მუდმივობა, მარადიულობა, რომ ადამიანის სომატური სიკვდილით მისი მატერია სხვა დიქვევა და არ ისპობა და ამიტომაც სიკვდილს „გარდაცვალება“ უწოდესო. არ არის სწორი! საქმე ის არის, რომ კანონი მატერიის მუდმივობის შესახებ შედარებით ახალი მიღწევაა, და რაც შეეხება ქართულ „გარდაცვალებას“, აქ იგვ და იგივე სიკვდილის უსურველობის, მისგან თავის დაღწევის ამბავია. ადამიანს არ უნდა სიკვდილი, მას სურს იცოცხლოს. მაგრამ, რადგან სიკვდილს გვერდს ვერ უვლის, სიტყვით მაინც კქმნის ერთგვარ ილუზიას უკვდავობისას და, აი, კიდევაც იბადება ცნება არა სიკვდილისა, არამედ „გარდაცვალებისა“, გადაადგილებისა.

ამასთანავე საიქიოში არსებობის, „გარდაცვალების“ შემდგომ ცხოვრების სურათი ისეთი მიმზიდველი და წარმტაცია, რომ საყვებით ჩრდილავს ამ ქვეყანას, ყველაფერს მიწიერსა და მიწიურს, და ადამიანის არსებობას ორად ჰყოფს: თუ ერთი ნაწილით იგი ამ ქვეყანაშია, მეორით უკვე სიცოცხლეშივე გადაბარგებულია „საიქიოს“. ადამიანის ამგვარი გაორება მეტად მანებელია ცხოვრებისათვის; ადამიანი უკვე აღარ წარმოადგენს სრულფასეულ არსებას. ცხადია, ამისთანა პიროვნება ცნობრების სასტიკ პირობებთან ბრძოლაში არ გამოდგება, იგი სხვისი შემხედვარეა. იგი სიცოცხლეშიაც მკვდარია, და მის გაირობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ამავე დროს ცხოვრება მოითხოვს, რომ თითოეული პიროვნება სრულფასეული იყოს, გამოილოს ამა ქვეყნიდამ მაქსიმუმ გამოსალგები, იყოს ამა ქვეყნის სიკეთეთა მაქსიმალურად ამთვისებელი. ამისათვის კი ადამიანმა თავდაპირველად სიკვდილის შიში უნდა განიშოროს.

სიკვდილის შიშს ორგვარად შეიძლება ებრძოლო. ცნობილია ლ. ტოლსტოის განწყობა სიკვდილისადმი. ტოლსტოი ადრე მოიკვა სიკვდილის შიშმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ჩაენერგა მას ეს შიში და არ მოშორებია სიკვდილამდე. ტოლსტოი ებრძოდა სიკვდილის შიშს. ახალგაზრდობაში ეს ბრძოლა ადვილი საქმე იყო, რეალურ სამყაროში მყოფისა და მოქმედის ტოლსტოისათვის სიკვდილის შიშთან ბრძოლა სიკვდილისადმი ზიზლით ამოიწურებოდა, და მწერალიც თავისუფლად გრძნობდა თავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტოლ-

¹ Мечников, Этюды о природе человека, Москва, 1935.

² შტრ. ბერძნული *μεταψυχασis* (*მეტეψიქასის*).

სტოი ასცდა რეალურ გზას, ბრძოლა სიკვდილთან უფრო ძნელი შეიქნა და უკანასკნელ ხანებში პირდაპირ შეუძლებელი გახდა.

მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ამტკიცებს ტოლსტოი, რომ არ აოსებობს სიკვდილი. არამედ მხოლოდ მარადიული უკვდავიება. მაგრამ სიკვდილის აჩრდილი მაინც თან სდევს მას. ბევრს ებრძოდა ტოლსტოი სიკვდილის შიშს. დიდხანს ებრძოდა, ცდილობდა, როგორმე გაქცეოდა მას. გაექცეოდა... მაგრამ... სწორედ უღმობელ სიკვდილს ჩაუვარდა ბრძველებში. -ვერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო. ვერცა კლდოვანი”.

რატომ ვერ დააღწია თავი ტოლსტოიმ სიკვდილის შიშს? იმიტომ. რომ ამ მხრივ ყალბ ნიადაგზე იდგა.

მაშ რა არის საჭირო იმისათვის, რომ „წელში გაიმართო“ და სიკვდილის შიში სავსებით განიშორა? საამისოდ საჭიროა სიკვდილ-სიცოცხლის ნამდვილო რაობა იცოდე. ბუნებასა და ბუნებრივ მოვლენათა ურყევი განვითარების კანონი სწორად გქონდეს წარმოდგენილი, და ეს ნამდვილი. სწორი წარმოდგენა კი შემდეგ გვეუბნება: სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ერთია, განუყვეთელია. სიკვდილი არაა სიცოცხლის აბსოლუტური წინააღმდეგობა. სიკვდილი არსებობს იმდენად. რამდენადაც არსებობს სიცოცხლე. თუ არის სიცოცხლე, მაშასადამე, სიკვდილიცაა. სიკვდილი მხოლოდ ერთ-ერთი მომენტთაგანია სიცოცხლისა. დაიბადა სიცოცხლე, მასთან ერთად გაჩნდა კვდაობა, სიკვდილი. თუ გინდა სიცოცხლე, სიკვდილსაც უნდა შეეგუო, შეურიგდე. არ არსებობს სიკვდილი სიცოცხლის გარეშე. სიკვდილი აუცილებელია, იგი გარდაუვალია ყველასათვის, იგი ყოვლადია, და ადამიანმაც უნდა შეიგნოს სიკვდილის ეს გარდაუვალობა, ყოვლადობა, და მაშინ ისიც სავსებით განიშორებს სიკვდილის შიშს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ საერთო, საყოველთაო ჭიკრი უფრო ადვილად ასატანია. ვინემ კერძო, შენი საკუთარი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ილიაქავქავაძის „განდეგილი“. განდეგილი თვისთაგან და მეგობართაგან განეშორა, რომ „ქეშმარიტი იგი თვისება --- ზრახვა ღმრთისა“ ეპოვნა, მაგრამ დამარცხდა, მოკვდა.

რამ მოკლა განდეგილი? იმ შეგნებამ, რომ ზრახვა ღმრთისა, რომლისთვისაც ის იღვწოდა, საერთოდ არსებობს, კვალად იარსებებს, მაგრამ თვითონ იგი, განდეგილი, შეიქნა უღირსი ამ ზრახვისა. ნიჭი, ღვთისგან მომადლებული, მხოლოდ მას წაერთვა, საზოგადოდ კი არ მოსპობილია. სწორედ ამ შეგნებამ მოკლა განდეგილი. განდეგილი რომ დარწმუნებულიყო, რომ სწრაფვასულის საცხონებელი საზოგადოდ ფუჭი საქმეა, ის ცოცხალი დარჩებოდა და კვალად დაუბრუნდებოდა ცხოვრებას. სწორედ ისე, როგორც ტოლსტოის მამა სერგი (დაწერილია ჭერ კიდევ იმ დროს, როდესაც ტოლსტოი მთელი თავისი არსებით მიწასა და მიწიერს ეზიარებოდა). მამა სერგიც დიდხანს იღვწოდა სულის ცხონების გზაზე, ერთგვარ შედეგსაც მიაღწია თავის გუნებაში ამ მხრივ. მაგრამ საბოლოო ანგარიშში სამი და მეტი ათეული წლის წოთვნა და წამება ტყუილი გამოდგა. მამა სერგიმ შესცოდა. ამ შეცოდებამ გამოაფხიზლა იგი. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სულის ცხონების საქმე. რომელსაც იგი ეპ-

სახურებოდა. ფუქი და არარა შეიქნა. მან დაუტევა ეს გზა: თავად შეიქნა გრძელი თმა (განდევილობის გარეგნული გამოსახულება). თავად განიძარცვა ბერული ტანსაცმელი და კვალად დაუბრუნდა ცხოვრებას და იმდენად შეიტკბო და შეიყვარა იგი, რომ თუ პირველად, ბერად აღკვეცამდე, თვით უკეთესი პირობები ამქვეყნიური ცხოვრებისა არ აკმაყოფილებდა. ამიერიდან „ღვთის გლახადაც“ შესანიშნავად გრძნობდა თავს და სხვათაც ურჩევდა, შეეყვარებინათ ეს ქვეყანა თავისი ბრძოლითა. ტანჯითა და ვა-ვაგლახითა. რაშია საქმე? ილია ქავქავაძის განდევილი კედება იმ შეგნებით, რომ ბერობა საზოგადოდ კარგი საქმეა და მარადიული, მხოლოდ თერთონ ვერ შეიქნა ღირსი მისა; ლ. ტოლსტოის ბერი კი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ბერობა საყოველთაოდ მცდარი გზაა და სავესებით გამოფხიზლებული. კვლავ უბრუნდება ცხოვრებას იმ რწმენით, რომ ყველას. ვინც ბერულ გზას დაადგება. ისე მოუყვაროგორც მას. მოვლენის ყოველადობისა და გარდუვალობის შეგნებამ ადვილად გადაატანინა მას მარცხი, მეტიც: გაამარჯვებინა კიდევ.

ამრიგად: თუ აღამიანი დარწმუნდება, თუ შეიგნებს. რომ სიკვდილი გარდუვალია და საყოველთაოდ. საყოველთაოდ მოვლენაა. იგი თავიდან მოიშორებს სიკვდილის შიშს და რაც შეიძლება გაახანგრძლივებს სიცოცხლეს.

მაგრამ ეს შეგნება თავისთავად არ მოდის. გარდა პირადი განწყობისა. მას სათანადო პირობები ესაჭიროება და მაშინ პირადი განწყობაც შესაფერავად განმტკიცდება.

იმლევა თუ არა შოთასდროინდელი საქართველო საამისო პირობებში? ამის შესახებ იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ უკვე შეიძლება მოკლედი მოვქრათ, სახელდობრ: XII—XIII საუკუნეთა ქართველი ლაღი და მორქმულია. საამისოდ მას ცხოვრება ყველაფერს აძლევს. ამდროინდელი ქართველი, ვგულისხმობ საზოგადოების სათანადო მოწინავე ფეხას, (თავისი თუ სხვისი ხარჯით) ცხოვრებას ეტანება მთელი არსებით და დაუცხრომლად ტკბება მით. ამდროინდელი ქართველი გარდამეტებულად ამა ქვეყნის მეტრფე და შეხალისეა, რომელიც არასდროს. არავითარ პირობებში არ დასთმობს სიცოცხლეს, იბრძოლებს მისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ბრძოლა სიცოცხლისათვის. სიკვდილისადმი უარყოფის განწყობას, სიკვდილისადმი ზიზღსა და სრულიად უშიშარობას გულისხმობს.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდი: დაღრეჯილობა.

ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეგ თქმა: შოთას თუ ხალხს? თუ შოთას. ეს მხოლოდ მთელი პოემის დედახარის დამადასტურებელი იქნება, რადგან ნაწარმოების გმირთა საქმიანობა სწორედ სიკვდილის უშიშარობაზეა დამყარებული და თუ საბოლოო ანგარიში ჩვენ გვაქვს ბრძოლის ოპტიმისტური განკვანძვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რუსთაველის გმირთ სიკვდილის არ ეშინათ.

მაგრამ შეიძლება ეგ თქმა ხალხს ეკუთვნოდეს! კიდევ უკეთესი. რადგან, ჯერ ერთი, ეს იქნება კუთვნილება იმ ხალხისა, რომელმაც შოთა წარმოშვა,

და შოთა და ხალხი ამ შემთხვევაში მთლიანია, ერთია, განუშორებელი; მეორეც, იგი, ეგ თქმა, მთლიანად და სავსებით ადასტურებს XII ს. ქართველის განწყობას ცხოვრებისა და სიკვდილის მიმართ.

შეუძლებელია ცხოვრებისადმი ამ განწყობას თავისი გამოძახილი არ ეპოვა მხატვრულ ნაწარმოებში; შეუძლებელია. ცხოვრება „ლალი და მორკმული“ იყოს და ლიტერატურა, მისი ამსახველი და ორგანიზატორი, ამა ქვეყნის ამოვებაზე ლაპარაკობდეს და ხალხს სოფლის მიღმეთისაკენ მოუწოდებდეს. ეს არსად არ ყოფილა. არც ჩვენში. და ლაპარაკი ამის შემდეგ იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედ პირთა საქმიანობა უკიდურეს პასივობამდე დაყვანილიო. უთუოდ უნდა მოიხსნას.

„ვეფხისტყაოსანი“ ამქვეყნიური ცხოვრების შესხმამით ხრობაა ულამაზესი, და ვერც ვნახავთ ჩვენ სხვა რომელიმე ნაწარმოებს, მისი გამირწირომ აგრე მტკიცე და ურყევენი იყვნენ მიწიერისა და მიწიურის აბსოლუტურად სიყვარულში და სიკვდილის მიმართ აგრე უარყოფითად განწყობილნი, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“.

ჩვენ ვთქვით: იმისათვის, რომ განიშორო სიკვდილის შიში (და მრავალი ბოროტება სწორედ ამისგან მოდის), საჭიროა დარწმუნდე. შეიგნო. რომ იგი, სიკვდილი, ვარდუვალი მოვლენაა და ამ შეგნებისდა მიხედვით იმოქმედო.

როგორ წარმოუდგენიათ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთ?

ა რ ს ნ ე ვ ა ნ ი

თავდაპირველად ეს ცნობა მოეკითხოთ როსტევანს, რომელიც ნაწარმოებში შედარებით მკირე როლს თამაშობს, ასე ვთქვათ. მეტოროივით გამოჩნდება სულ სამჯერ.

ვაეის უყოლობით დამწუხრებულმა როსტევანმა ვაზირნი მოიხმო და მათთან საუბარი გამართა ტახტის მემკვიდრის შესახებ.

უბრძნა: „გკითხეთ საქმესა ერთგან სასაუბნაროსა.
რა ვარდმან მირა ევევილი გაახმოს, დაამქნაროსა,
იგი წაეა და სხვა მოეა ტურფასა საბაღნაროსა“.

(35)

ვარდი აქ სიცოცხლეა, ხოლო მისი გახმობა-დაქნობა--სიკვდილი. როსტევანს სავსებით სწორად და ნათლად აქვს წარმოდგენილი ის გარემოება, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი ერთია, სიკვდილი სიცოცხლის არსებითი მომენტია. ან როგორც ენგელსი ამბობს: „სიცოცხლის უარყოფა არსებითად თვით სიკვდილშია ჩანერგილი: ცოცხლობ, მაშასადამე, კვდებაო“³.

3. იხ. ბუნების დიალექტიკა (რუსული თარგმანი). გვ. 210, 1941.

როსტევეანს ისიც სწორად აქვს გათვალისწინებული, რომ სიკვდილი გარდა
ღუვალა.

ღუეს არა სხვათა შორის სოფელასზე მქნაღი... (157)

და არაჩვეულებრივი სიღინძითა და სიმშვიდით იღებს ამ ქირიას ეფთხო მხელ
ქირს.

ასეთია როსტევეან მეფე.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი

მაგრამ განსაკუთრებით გამოკვეთილი და განმტკიცებულია ამ მხრივ
ავთანდილი. ავთანდილს მეტად მძიმე ტვირთი დააკისრა ავტორმა. იგი
რმთავითვე ორმხრივად განწყობილი: ერთსა და იმავე დროს უდიდესი მეტრ-
ფეცაა და არაჩვეულებრივად მტკიცე და ურყევი მეგობარი. ამ მხრივ ავთან-
დილის მდგომარეობა მართლაც რომ მძიმეა. მაგრამ გმირი მაინც გამარჯვებუ-
ლად გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ მას სავსებით სწორად აქვს წარმოდგე-
ნილი სიკვდილის რაობა და გარკვეულად უარყოფითადაა მის მიმართ განწყო-
ბილი.

ავთანდილი მიდის უცხო ყმის. ტარიელის, საძებრად და დარიგებას აძლევს
შერმადინს — სახელმწიფო შემინაზე და თუ ვინიცობაა, მოკველი, მიტირე და
მივაგლახეო.

მაშინღა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა,
აქნობე ჩემი სიკვდილი, იუაე მართ ვითა მთრვალთა,
მიხედა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალთა.

(158)

მაშასადამე, ავთანდილისათვის სიკვდილი საყოველთაო მოვლენაა. ამას-
თანავე იგი გარდუვალა, ამიტომაც ავთანდილს არც ეშინია მისი. ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი
ს ი კ ვ დ ი ლ ი ს შ ი შ შ ე უ ვ ა ლ ი ა.

ეს შეგნება არაჩვეულებრივად უადვილებს მას მოზღვაებული ქირის
ატანას. დადგება ავთანდილი რაიმე უდიდესი გასაქირის წინაშე. ფიქრობს. გა-
დაულახავი დაბრკოლება გადაეღობა წინ. მებრძოლი მერყეობს, მაგრამ საკ-
მათა სიკვდილის უშიშარობა მოიგონოს. მსწრაფლ მისადმი ზიზღით აღენთება
და, ახალი ძალგულოვნებით აღკუთრული. კვალად წინ მიისწრაფვის სრულ გა-
მარჯვებამდე.

ავთანდილი წავიდა ტარიელის საძებრად. მისი არსება ორადღა გაყოფილი:
ფიზიკურად თუ უცხო ყმისაკენ მიისწრაფის, „სულერთ“ თინათინთანაა.

თქვა: „შზეო, ვარდასა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე,
ბროლი და ლალი გასრულეარ ქარვისა უეეთლესადრე.
მაშინ რალა ექმნა. ეერ კერეტა რა მომხედეს კელა უერძესადრე!
და ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამოც წესადრე“.

(139)

უშიშარობითვე აიხსნება ის, რომ ავთანდილი სატრფოსათვის სიკვდილს ლხინად მიიჩნევს (181). ხშირად „სიკვდილს თვით ეძებს, არ ეყრძალებს“ (249). მაგრამ ხანდახან სიკვდილის შიშშეუვალი ადამიანი(კ) შეიძლება შედრკეს, დაჯმოს სიცოცხლე და ინატროს ამიერ სოფლით გასვლა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მებრძოლმა უღალატა თავის რწმენას, რომ იგი სიკვდილის შიშმა შეიპყრო, მთლიანად მას დაემორჩილა? არა! ეს მხოლოდ იმის მაუწყებელია. რომ მდგომარეობა, რომელშიაც მებრძოლი ჩავარდა, მეტად მძიმეა და დაბრკოლება, რომლის გადალახვაც მას სჭირდება, განსაკუთრებულად დიდია. როგორ იქცევა ამ შემთხვევაში მებრძოლი? იგი წვრთნის, ავარჯიშებს თავის თავს სიკვდილის უშიშარობაში.

კვლაც იტყვის: „დათმობა სჯობს“ და თავსავე ეღბნების:
დღეთა მეტად ნუ მოკვდები, გული ჩემი ნუ დადნების.
(190)

ამიტომაც ამგვარი მდგომარეობა მეტად მოკლეა, გრძელდება მხოლოდ წამერთ.

კვლაც იტყვის: „გული რაზომცა გაქვს სიკვდილისა წადება,
სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისი დადება“.
(727)

და ისევ შეუპოვრად განაგრძობს ბრძოლას.

ასეთივეა ავთანდილი, როდესაც იგი მეორედ წასვლას აპირებს. და შერბადინს ესაუბრება.

მე იგი ვარ. ვინ სოუელსა არ ამოვკრეფ კირად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.
(786)

მაგრამ განსაკუთრებით მკაფიო გამომეტყველია ამ მხრივ თავის ანდერძში. როსტევანს რომ დაუტოვა გაპარვის წინ.

ეს ანდერძი ერთი უმძლავრესთაგანია, თუ არ უმძლავრესი მთელ ნაწარმოებში. პოეტმა აქ უდიდესი დრამატიზმი მოგვცა ავთანდილის არსებაში. ამ ანდერძით ავთანდილი ერთ უმშვენიერეს, უდიდეს ადამიანად გვევლინება: ავთანდილი ჰირთა მთმო, ყოველგვარ ორპირობას მოკლებული, სიცრუისა და გაუტანლობის მგმობელი, მეგობრისათვის უამრავ დაბრკოლებათა გადამლახველი, ამ ანდერძში ჩანს.

და ყველაფერი ეს იმითმ, რომ ავთანდილს არ ეშინია სიკვდილის, იგი უშიშეუვალია. მეტიც: ავთანდილი გმობს სხვათაც, ვინც კი ამ მხრივ მერყეობს, შემდრკალია.

რა უარეა მამაცსა ოშვიან პირის მხმეველსა.
შედრევილ-შეშინებულსა და სიკვდილის მკვეველს!
კაცი ჭაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მტკეველსა
და სჯობს სახელისა მოხვევა ყოველსა მოსახვეველსა.

ვერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კვლოვანა;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი:
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხტოვანი.
და სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!
(799—800)

ავთანდილისათვის, რა რიგ ძნელი საკითხი იყოს, მისი გადაწყვეტა ყოველთვის მკვეთრად იხმის: ან სიკვდილი ან გამარჯვება, მესამე გამოსაყალი მან არ იცის.

ტარიელის „უპირულობით“ გულდაკოდილი ავთანდილი, როდესაც მეორედ მოსელისას იგი შინ, გამოქვაბულში, არ დახვდა, უკვე სასაყვედუროდ მოემზადა, მაგრამ მსწრაფლ თავი შეიკავა და გადაწყვიტა:

არ ვინანი გადასრულსა, ბრძენთა სიტყვე: გაუადრო;
წავალ, ეძებნი, ანუ ეპოეებ, ან სიკვდილი მოვიდრო.

(859)

და ეს აგრეა არა მარტო მაშინ. როდესაც ავთანდილი ბრძოლის მწვერვალზეა ასული და გამარჯვების პირი უკვე აშკარად ჩანს. არა! ბრძოლის დასაწყისშივე, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცით მისი არამტოუ მომავალი შედეგი, არამედ საერთო ხასიათი კი. — ავთანდილი მარადეამ სწორედ ამგვარადაა განწყობილი.

ავთანდილი მოქარავენეთ. ეხმარება მეკობრეთა წინააღმდეგ. მოწინააღმდეგე მძლავრია:

გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელთა,
მას ნავსა ნავთა სალევლად სახნისი ჰგია ძელთა.

ჰკიოდეს და მოდიოდეს, იზახდეს და ბუკსა ჰკრესა;
შეუშინდა ჭარავანი მათ ლაშქართა სიდიდესა;
ყმამან უთხრა: „ნუ იშიშვით თქვენ იმათსა სიალფესა,
და ანუ ღაფხოც იმ ყველასა, ან სიკვდილი ჩემი დღეს ა.“

(1037—1038)

აუცილებელი გამარჯვება. გამარჯვების ნებისყოფის აღქმურვა — ესაა სახელმძღვანელო ავთანდილისათვის. სიკვდილთან ამგვარი განწყობით იბრძოდა ავთანდილი. ამან შექმნა იგი წამყვანად ბრძოლაში, ამგვარი განწყობა ასულდგმულეებდა მას ბრძოლებში, თანდათან მეზარდ დაბრკოლებათა გადალახვაში, ამ განწყობამ გაამარჯვებინა მას საბოლოოდ.

რა მიმართებაშია სიკვდილთან ტარიელი?

მაგრამ თავდაპირველად თვით ტარიელისათვის.

ტარიელი ნაწარმოების მთავარი გმირია; სახელიც მისგან მიეცა: „ვეფხისტყაოსანი“. ჰომეროს ნამდვილი ამბავი ტარიელით იწყება. ტარიელითვე თავდება იგი. იითოეული გმირიც ტარიელისთვისაა უპირატესად ამოქმედებული, ყველაფერი ტარიელის სამსხვერპლოზე მიდის. იქ შეიწირება. ყველა მოქმედებს იმდენად და იმისათვის, რომ ნაწარმოების მთავარი კვანძი სათანადოდ გაიხსნას, ტარიელის საქმე შესაფერად განხორციელდეს. რუსთაველიც განსაკუთრებით ტარიელის მგოსანია.

მო, დავსდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გედის შეუშრობილი.
მისებრი მართ დაბადებით ვინმეა ყოფილა შობილი!

(7)

ეს ადგილი ისე არ უნდა გავიგოთ. როგორც ზოგი ვინმე განმარტავს და კერძოდ აკად. ნ. მარტი: «Кому к сожаленью. Придите, кому написана на роду судьба Тарелла и у кого неиссякаемо текут слезы (в плаче) о нем». ნამდვილად კი, „მისებრი მართ დაბადებით ვინმეა ყოფილა შობილი“ ეკუთვნის არა თანამგძნობთ, არაშედ თვით ტარიელს: ტარიელისთანა ვინ დაიბადოს, ჯერ არვინ დაბადებულაო! და მართლაც, ტარიელი ცოცხლობს საუკუნეთა განმავლობაში. მისი სახელი გადმოდის თაობიდან თაობაში და ხალხში იგი ცნობილია როგორც სწორუბოვარი. გულუშიშარი, ქველი ჩაინდი, ხოლო საქართველოს ერთ კუთხეში, სამეგრელოში, ტარიელი უკვე ზოგად სახელად იქცა და იგი მხოლოდ და მხოლოდ მოყმის, რაინდის, მძლეუთა მკლეველის აღმნიშვნელია.

აქედან უკვე თავისთავად ცხადია. თუ როგორ იქნება სიკვდილის მიმართ განწყობილი ტარიელი. ტარიელს საესებით სწორად აქვს წარმოდგენილი სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობა. მისთვის სიკვდილის პროცესი სიცოცხლის პროცესთანაა დაკავშირებული. უერთურთოდ წარმოუდგენელია. მთლიანია, განუყვეთელია. და ეს მთელი მკაფიოობით გამოსკვირის ავთანდილის გაცნობისთანავე, როდესაც ტარიელმა გადაწყვიტა ამბის თხრობა და წინდაწინვე გვამცნო თავისი მრწამსი, თავისი გაგება სიკვდილ-სიცოცხლისა, მიგვიჯიჟა იმ ხაზზე, რომლითაც იგი ივლის მომავალი ბრძოლების ჩასატარებლად.

ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დატა იდოს,
ხამს თუ მართვის სიკვდილსა და კირსა თავრ არ დაპრიდოს,
ღმერთმან ერთი უთ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყვიდოს!
და შენ ისმენდი, მე გაამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“.

(306)

ცხონება აქ სიცოცხლეა. წაწყვიტა -- სიკვდილი. მაშასადამე, სიცოცხლე და სიკვდილი დაპირისპირებულითა ერთს, მთელს წარმოადგენენ¹.

¹ ვუკოლ ბერიძე. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისა და გაგებისათვის. საქ. მეცნ. აკად. მოამბე.. ტ. 11. № 8, 1941:

ამრიგად, ტარიელს შეგნებულნი აქვს, რომ სიკვდილი გარდუეულია და მას ამიტომაც აღარ ეშინია მისი; ტარიელს შიშვეუვალაია, შიშვეუვალაი მთელი ნაწარმოების, მათსადასმე, მთელი ბრძოლების სივრცეზე. ასე:

1. შიშვეუვალაი იყო ტარიელი თავიდანვე, როდესაც მოიწიფა და

ვით კატასა ზოცდა ლომსა (329).

2. შიშვეუვალაია ტარიელი, როდესაც მას როსტევანის უმანი დაქერას უპირებენ და:

მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაჲ. საწყალბეულად:
ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-აღუპრობელად,
და ზოგსა გადაჰკრას მათრახი მკერდმდის გასაპოხელად.

(94)

3. შიშვეუვალაი იყო ტარიელი მაშინაც, როდესაც სამმა ძმამ განიზრახა მისი დაქერა და მან კი:

მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰფრიწა,
ვითა მკედარი უსულო ქმნა. ვითა მიწა დაამიწა.
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,
და თვალთა წინა წარგვივიდა ლალი, კუშტი, ამაჲი. წა!

(209)

4. მხოლოდ შიშვეუვალობით, სიკვდილის უშიშარობით აიხსნება ტარიელის ბრწყინვალე გამარჯვება ხატაელებზე. პოეტი განსაკუთრებულად ხაზგასმით აღნიშნავს ტარიელის პირად სიქველეს.

შუბი ესთხოვე, ხელი ჩაეყავ მუზარადის დასარქმელად;
საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
ერთსა წავსწვდი უტეუანსა, წავგრძელი და წაველ გრძელად
და მათ ურიცხვი ჯარი ეწყო, წყნარად დგეს და იშულელად.

ახლოს მივე, შემომხედეს, „შმაგიაო“, ესე თქვესა.
მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დ-ვეც. მართ ორნავე მიჰხდეს მზესა.
და შუბი გატყდა, ხელი ჩაეყავ, ვაქებ, ხრმლო, ეინცა გლესა!

შიგან ასრე გავეირიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსცუორცი, ცხენ-კაცისა დაუდვი გორი,
კაცი, ჩემგან ვანატუორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი,
და ერთობ სრულად ამოეწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი.

ერთობილნი მომეხივიენეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;
ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჩქეფსა აღმოვდვრიდი;
ცხენსა კაცი გაკვეთილს მანდიუქრად გარდავჰკიდი.
და სითაც ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი.

(445=448)

5. კვლად მხოლოდ შიშვეულ ტარიელს შეეძლო ექმნა და ეთქვა:

კარვის კალთა ჩახლართული ჩაეკერა, ჩაეკარაბაჲ.
ყმ.ს. ფერხთ. მოვეიდე, თავი სვეტსა შეეურთაჲ.
წინა მწოლთა დანიხანეს, გლოვა მიხვედა საარაჲ,
და ცხენსა შეეჭვი, წამოცავე: ჩაქვი შეცვა საკურტაჲ.

ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი,
წამოვე, წვენა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მღევარი;
ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურეუარი,
და მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ რგივე მე ვარი!
(558—559)

6. შიშვეულებით აენტო ტარიელი, მეტმა ზარმა რომ გააშმაგა და გულსა უთხრა: ნუ მოკვდები, არას გარგებს ცუდი წოლაო და მსწრაფლ გარკრა ნესტანის საძებრად.

7. უთუოდ შიშვეულია ტარიელი, როდესაც იგი ფრიდონს ეხმარება მტერთა დამარცხებაში.

მათი მესმა დაპირება, ჩაბლახთ ჩამობურვა;
ნავი წინა მომეგება, არა ვიცი, იყო თუ რვა.
ფიცხლად ზედა შევეჭახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა:
და ქუსლი ვქარ და დაეუქცივე, დანიხანეს დიაცურ ავა“.

კვლა სხვასა მივე, მოჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა,
ზღვისა დაუანთქი. დავხოცე, ომიშეა რალა აგესა!
სხვანი გამექცეს, მიამართეს მათ მათსა საქულბაქესა,
და ვინცა მოკურტდის, უკვირდა, მაქებდეს, არ მაძაგესა.
(614—615)

8. უდავოდ ვერვინ დასწამებს მხდალობას ტარიელს, უკაცურ ქებაში დევნე რომ ამოწყეიტა და შიგ თავად დასახლდა.

9. ისევ და ისევ სიკვდილის უშიშარობასთან გვაქვს საქმე, როცა ტარიელი ვეფხვ-ლომს ეომა და ორივე:

დახსნა სოფლისა თობასა (910).

10. ოდნავად არ შებღალულა ტარიელის შიშვეულებობა მაშინაც, როცა ამის შემდეგ თვითონ:

ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,
საყელონი გარდენიენეს, თავი სრულად გაეგლიჯა.
და მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაეზიჯა.

(868)

და თუ ავთანდილის მრავალგზის შთაგონების შემდეგაც იგი უარს ამბობს ბრძოლაზე, ეს მხოლოდ იმიტომ. რომ მეტბრძოლმა დიდი ბრძოლა გადაატანა და დროებით შედგა, რომ ხანმოკლე შესვენების შემდგომ, კვლად განეწყოს ახალი ბრძოლებისათვის.

11. არც მაშინაა ტარიელი ლანარი და მჩვარი. როცა მას ავთანდილმა ნესტანის ამბავი მოუტანა და იგი დაბნდა:

ავთანდილ მყერდა დასხა მას ღომსა სისხლი ღომისა:
ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა.
(1346)

აქ თვით შეკრთომამაც არაჩვეულებრივი სიღიადეა.

12. აუცილებლად შიშვეუვალობითაა, რომ:

კაცსა უკრავად დაბნედლის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჟარსა ფრეწლის, გაუდღის სიმ-გრე ქავმან-ჭაფისა.
(1416)

და ამის გამო:

ციხისა მცველი ყველი იდე-მით ვიოა სნეული.
თავით ფერხამდის დაკრილი, აბჟარი მუნ დახველი,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალწი სრული,
და ცნეს ნაქმრად ტარიელისად. თქუეს: „საქმე არს მისეული“.
(1419)

და ჩვენც უნდა ვცნათ და ვიცნოთ ტარიელის უშიშრობა და მისი შიშ-
შეუვალობა სიკედილისა. მან ეს საესებით დაიმსახურა და თუ ვინმე, მიუხედა-
ვად ამისა, კვლად დაიწყებს ტარიელის ლაჩრობაზე ლაპარაკს, ჩვენ ამ თქმას
სავალდებულოდ ვერ მივიღებთ და ვერც სხვას ვურჩევთ მიიღოს ის.

წ ე ს ტ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი

აბა, ახლა ამ მხრივ ნესტან-დარეჯანი მოვიკითხოთ. ნესტანიც ნაწარმო-
ების მთავარი გმირია, რომელიც იბრძვის სიყვარულისათვის. პოეტმა მრავალი
დაბრკოლება შეუქმნა ნესტანს. არაჩვეულებრივად მძიმე საბრძოლველი და-
უსახა მას და ამით მისი პიროვნება. საბოლოოდ გამარჯვებული. შეყვარებულის
ულამაზეს სახედ დაგვიხატა.

ნესტანისათვის არ არსებობს არავითარი მზღვარი და დაბრკოლება. რომ-
ლის გადალახვა არ შეიძლებოდეს სიყვარულისათვის, საყვარლისათვის. სწო-
რედ ნესტანი არის მზიდავი სიყვარულის მთელი სიმძიმისა ნაწარმოებში, იგაა
და უპირატესად იგი სიყვარულის „პირსა შიგან“ გამაგრებული. მისი წამყვანი.

ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მას ბადალი არა ჰყავს არც ერთ ლიტე-
რატურაში.

ვამბობ, არც ერთ ლიტერატურაში, რადგან არაჩვეულებრივ მძიმეა და
აუტანელი ის პირობები, რომლებშიაც ნესტანს უხდება ბრძოლა, სახელდობრ:
თუ ტარიელი საყვარელს მოშორებული იყო, თავისუფლად მაინც შეეძლო
ბრძოლა მის დასახსნელად. ნესტანი კი იმთავითვე დატყვევებული იყო, ბრძო-
ლის თავისუფალ საშუალებათ მოკლებული. მიუხედავად ამისა, იგი ერთხელაც

არ შემდრკალა. თავისი გულის ამხანაგისათვის ერთ წამსაც არ უღალატია, მაშინაც კი. როდესაც ტარიელი უკვე ცოცხალი აღარ ეგონა.

თავის სიმტიცეს და მედეგობას და განუსაზღვრელ სიყვარულს ტარიელსადმი ნესტანი იჩენს ყველგან, ბრძოლების მთელ სივრცეზე და არ არსებობს არავითარი მაცოფრება. რომ შეარყიოს მისი ეს სიმტიციე.

ბუნებრივია, რომ ნესტანის არსებაში სიკვდილის უშიშარობა მეტობდეს ყველა სხვისას.

ნესტანს სავსებით სწორად აქვს წარმოდგენილი, რომ სიკვდილზე ფიქრი და მისი შიში აღუნებს და საბოლოო ანგარიშში ანადგურებს ადამიანს, ამიტომ რაც მალე განეშორები მას, მით უკეთესია.

ტარიელი დაავადებულია ნესტანის სიყვარულით, იგი დაბნდა, სავსებით დაილია. ბრძოლის წამყვანი ამ შემთხვევაში ნესტანია.

მე შენი ვარ, ნუ მოჰყვდები, მაგრამ ბნედა ცუდი მძულსა... (376).

ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს, საყვარელსა უჩვენენ საქმენი საგმირონია.

(377)

ნესტანი ზღვათა მეფესთანაა დატყვევებული. არსაიდან შეელა.

სადაური სად მოსრულ ვარ, ვის მიეხვდები ვისთვის ხელი,
რა ვქნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მკირს მეტად ძნელი.

(1190)

მდგომარეობა მეტად დაძაბულია, სასოწარკვეთაც თითქოს გადამეტებული, სიცოცხლე აუტანელი. რით გათავდება ბრძოლა: დაეცემა მებრძოლი, თუ ამ დაბრკოლებასაც გადალახავს და ისევ იბრძოლებს გამარჯვებისათვის, სიცოცხლისთვის?

ნესტანისთანა სულსიკვეთების ადამიანისათვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, ნესტანი ტარიელისთვისაა ხელი, ტარიელია მისი საბოლოო მიზანი, ტარიელი მას ასულდგმულეებს, იგი მატებს მას ძალას ახალი ბრძოლისათვის, ტარიელი საზღვრავს მებრძოლის ქცევას და ეს ქცევა კი სხვა არაფერია, თუ არ უძლეველისა მძლეობა.

და ნესტანიც იბრძვის უძლეველის გადასალახავად.

კვლაცა იტყვის: „ნუ დავაქნობ შევენებასა ვარდთა ფერსა,

ვეცადო რას, ნუთუ დმერთმან მომარბოს ჩემსა მტერსა!

სიკვდილა მდის ვის მოუკლავს თა ეი კაცს ა მე ენიერსა?
და რა მისქირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!

(1191)

ნესტანმა გადალახა უძლეველი.

დარჩა მთვარე გავეხებული, გველისაგან ჩაუნთქმელი. (1198).

რატომ? იმიტომ, რომ ნესტანი იმთავითვე გამოკვების ნებისყოფითაა აღპურვილი. გამარჯვების განწყობითაა განმტკიცებული და ამიტომაც მთელი მისი საქმიანობა დაუცხრომელი ბრძოლაა სიკვდილთან. მაგრამ ამაზე შემდეგ, როდესაც თვითმკვლელობის საკითხს შევეხები.

ახსათი

სიკვდილის უშიშარობა ახსიათებს ასმათსაც. ნესტანისა და ტარიელისათვის ამ უმაგალითოდ თავდადებულ ადამიანს. მათი ქირისა და ლხინის განუწყვეტელად მოზიარეს. ამ მხრივ საქმათა ავთანდილთან შეტაკების ამბავი მოვიგონოთ.

ავთანდილმ მოითხოვეს ასმათისაგან უცხო ყმის, ტარიელის, ამბის თხრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრება იმ ვარაუდით, რომ ქალა სუსტი არსებაა და სიკვდილი დააშინებსო.

ვიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გწინო,
თვარა ღმერთმან მეერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკვდინო!
(239)

პირდაპირ გამანადგურებელი პასუხი გასცა ამ მუქარას ასმათმა და ამასთანავე მეტად მშვიდად და აღუშფოთველად, იშვიათი ირონიის ჩართვით.

ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:
თუ არ მომკლავ, არ მოკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი.
რად რა ვითხრა, სადამლისცა ვიყო ქირთა უნახავი?
და კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედან თავი“.
(240)

სანამ მრთელი ვარ, არ გეტყვი და მომკლავ — ვერ გეტყვი! მოკლედანა თქმული, მრავალია ნათქვამი! მაგრამ, შეიძლება, ასმათს სიკვდილის ეშინია და სიცოცხლეს ებლაუჭება? არა!

კვლა ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო?
ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო!
მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკვლევიხო,
და ვითა უსტარი ბედითი, ადვილად დაგახევიხო.“

ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატრუად ნურად გგონია,
მით რომე დამხსნი ტირილსა. შეშრების ცრემლთა ფონია;
ჩაღად მიჩნეს ყოელი სოფელი, მისთეისევე შემიწონია,
და ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის ვითხრენ სიტყვანი მისანდონია.
(241—242)

ასმათის ასეთი დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისადმი ისეთი მკვეთრი გამოდგა, რომ ყმა იძულებული შეიქნა ბრძოლის ეს მკაცრი საშუალება უკუეგდო და სხვა ღონე ეღონა.

სიკვდილის უშიშარობით განმტკიცებულმა ქალმა სძლია მახვილით აღქურვილსა და მით მოქმედ მამაკაცს. მერე ვის? ავთანდილს, რომელსაც ამ მხრივ ყველაზე უკეთ წარმოუდგენია სიკვდილ-სიცოცხლის რაობა.

სიკვდილის უშიშარობასვე განამტკიცებს ასმათი, როდესაც ავთანდილთან შერიგების შემდეგ მას მიჰპართავს:

შენთვის მოკვდე, ამისებრივ მემცა საქმე რა ეღონე. (253).

შ ე რ მ ა დ ი ნ ი

ორიოდ სიტყვა შერმადინის შესახებ. მაგრამ წინასწარ: როგორ ითვისებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი სიკვდილის „შიშშეუვალობას: ასე ვთქვათ, ერთ ახმით, თუ თანდათან, ხანგრძლივი წრთენისა და წაფვის შემდეგ განიმტკიცებენ თავის არსებაში ამ თვისებას? უეჭველად, დიდი ყოყმანისა და ბრძოლის შემდეგ. შეიძლება. ზოგს ვისმე ეს გარემოება გმირის სისუსტედ მოეჩვენოს. არ იქნება სწორი. ყოველი დიდი, წამყვანი თვისება დიდი ბრძოლის, ტანჯვისა და ვაი-ვაგლახის შედეგია; ამასთანავე მხოლოდ ის, რაც ხანგრძლივი წაფვითაა მოპოვებული. რჩება ადამიანს სამარადისოდ, ადვილად მონაპოვები კი ადვილად ვეჭრება.

„ვეფხისტყაოსანშიც“ თითოეული გმირის სიკვდილის უშიშარობა ბრძოლის შედეგადაა მოპოვებული.

გავიხსენოთ ავთანდილისა და ვაზირის საუბარი. ავთანდილი სთხოვს ვაზირს: მიშუამდგომლე როსტევეანთან -- გამიშვას ტარიელთანო. ვაზირი შედრეკა. წარმოუდგა რისხეა, რომელსაც მეფე დაატეხდა მას, არასასურველ ამბავს რომ გაიგებდა, და უარი უთხრა ავთანდილს.

თემან მისმან, მუნეე მომკლავს, ვეპე, წამიცა არ წამაროს,
შენი ოქრო შენეე დაკრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს;
მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს.

(743)

აქ ვაზირი სიცოცხლეს ებლაუქება, სიკვდილის ეშინია. უკვე ტირის, მოთქვამს, ვაგბს, წარმოუდგა სიცოცხლის განშორების წუთი და აძლიერებს უარსათქმელ საბუთებს.

გზა არ წავა თავსა წინა, სიცოცხლე, გლახ, ვით გათნიო,

ე. ი. ჩემო სიცოცხლე, რა გიყო, გამოსავალი არაა, ვით გეყო სათნო, ვით გიმეველო, ვით დაგეხმარო?

ამიკლებს და ანუ მომკლავს: ვგე სიტყვა ვითა სთქვიო?
რად არ მუნეე გაიგონე, რად ხარ შმაგი აგეთიო?

ამ ეტაპზე ისევ სიცოცხლის შენარჩუნების სურვილმა აჯობა, სიკვდილის შიშმა გაიმარჯვა:

სჯობს სიცოცხლე აკლებსა, ამს თავს აწვე ეწვერთაო. (744)

მაგრამ გაძლიერდა შემოტევა ავთანდილის მხრივაც.

აწ, ვაზირო, მგა პირსა გული კრული ვით მოვთმინდეს?
რკინა, ჩემი მონაცუაღუ, ხამს, გაცივლდეს, არ გაჯინდეს...
და თქვი, რა გინდა წაგეილოს, თავი დადე საწამებელთ.

(749---750)

გატყდა ვაზირი.

ვეიტყვი: მოვეკდე არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგსვლების. (751)

ამრიგად, საბოლოო ანგარიშში ვაზირიც სიკვდილის შიშშეუვალი შეიქმნა და ამგვარი დარჩა ის ბოლომდე.

• • •

სიკვდილის საკითხთან დაკავშირებულია თვითმკვლელობის საკითხი. აქ არ შევეუდგებით იმის გამოძიებას, თუ რა იწვევს თვითმკვლელობას, ადამიანის მიერ ძალით სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტას. მოსპობას. აღვნიშნავთ მხოლოდ: თვითმკვლელობათა რაცხვი მერყეობს იმისდა მიხედვით, თუ რა პირობებში უხდება ადამიანს ცხოვრება: დაცემის ხანაში „ვამსა რღვევისა და დაკნინებისასა“. ცნობილია, თვითმკვლელობა მატულობს, აღმავლობისას და საერთოდ ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერებისას თვითმკვლელობა ყოველთვის კლებულობს, მინიმუმამდე დადის.

გაბატონებული კლასი, რომელიც ყველაფერს თავისი მდგომარეობით საზღვრავდა, თვითმკვლელობას უარყოფითად აფასებდა. აქედან ცხადია, როგორი ტენდენცია იქნება გატარებული „ვეფხისტყაოსანში“ თვითმკვლელობის მიმართ. თვითმკვლელობა „ვეფხისტყაოსანში“ დაგმობილია, იგი ეშმაკის საქმედაა მიჩნეული. თვითმკვლელობა დაგმობილია ყოველგვარ პირობებში. იგი დაუშვებელია მაშინაც, როცა ადამიანი უდიდესი გასაჭირის წინაშე დვას და თითქოს არავითარი გამოსავალი არ არსებობს. არ არის ისეთი მდგომარეობა, საიდანაც კოცხალი კაცისათვის გამოსავალი არ მოიხსნებოდეს და ამიტომ ბუნებრივ სიკვდილამდე ადამიანმა თავის თავს ხელი არ უნდა შეახოს, თავი არ უნდა აოიკლას.

ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას, რადგან ჩვენში, დიდხანი არაა მას შემდეგ, ხელს უწყობდნენ იმ აზრის გავრცელებას. თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ თავიდან ბოლომდე სტოიციზმი გატარებულიო. მართალია, მიუხედავად ამ შეხედულების ავტორის სახელის მრავალყამიერობისა, მისი აზრები დღემოკლე გამოდგა, მაგრამ რაკი ეს ითქვა და სტამბუორადაც გაფორმდა, საქარაა აღინიშნოს, რომ სტოელთა ერთ-ერთ ბუნებად და თვისებად სწორედ თვითმკვლელო-

ბა ითვლებოდა, მაშინ როდესაც „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ვთქვით, თვით-მკვლელობა დაგმობილია.

თვითმკვლელობისადმი ამგვარი განწყობა ყველა გმირს ახასიათებს, მაკ-რამ ამ მხრივ ყველასგან ავთანდილი გამოირჩევა.

ასე:

1. მეორედ წასვლის წინ ავთანდილი ესაუბრა ვაზირს და ანდერძი დაუ-ტოვა როსტევეანისთვის გადასაცემად:

აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა;
შენ შეგვედრებ, დაგიპიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა.
მოვეკვდე. თ ა ე ს ა ნ უ მ ი ი კ ლ ა ვ. ს ა ტ ა ნ ი ს გ ა ნ ნ უ ი ქ მ
ქ მ ნ ი ლ ს ა.
(787)

2. ეგვეე მისი შეხედულება გამოსკვირის ტარიელის მიმართ, როდესაც უკანასკნელი, ვეფხ-ლომთან ბრძოლის შემდეგ, უარს ამბობს ბრძოლაზე.

ყამან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა,
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახშილი არა სწავასა;
ვის უქნა შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა,
და რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?“
(874)

3. ასეთია ავთანდილის მრწამსი თვითმკვლელობის საკითხში და აღსანიშ-ნავია, რომ ეს უარყოფითი შეფასება თვითმკვლელობისა მართო სხვისთვის კი არ აქვს მომარჯვებული, თვითონაა უწინარეს ყოვლისა მისი ხორცშემსხმელი, ცხოვრებაში გამტარებელი. ამგვარია ავთანდილი ყველგან, მთელი ღრამის გან-მავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით გაკაყებულია სწორედ მაშინ, როდესაც ბრძოლა მის არსებაში გრძნობასა და მოვალეობას შორის (თინათინის სიყვა-რულსა და ტარიელისათვის წამლის ძებნას შორის) არაჩვეულებრივად გარ-თულდა, მეტისმეტად გააღმასდა.

ვარდი ქნებოდა. ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;
ბროლი და ლალი გათლილი ლაქვარდად გადიქცეოდა;

მიუხედავად ამისა

გ ა მ ა გ რ ე ბ ო დ ა ს ი კ ვ დ ი ლ ს ა, ა მ ი ს თ ე ი ს ა რ უ მ ხ ნ ე ო დ ა.
(954)

ავთანდილი გაუმაგრდა სიკვდილს, ე. ი. თავი არ მოიკლა, პირიქით, თავს მხნედ გრძნობდა.

ავთანდილი მნათობთ მიმართავს, სთხოვს მათ თანაგრძნობას, დახმარებას, მაგრამ ამოდ. ვერ უშველა მას სევდის მნათობმა ზუალმა; ვერ დაუდგინა სა-მართალი მართალი მუშტარმა; არ გაიტანა იგი მესისხლეთა უხუცესმა მარჩხ-მა; არ ათხოვა მას ყური მკურნალთა მეთაურმა ასპიროზმა. მიჯნურს არ შეუქ-

ლია მეტი ბრძოლა. იგი დაჯდოდა, დასაწყალდა, მთლიანად დაილია. უკანასკნელ მთვარეს, სხეულთა ეტლს ემუდარა. მთვარე ყველაზე მეტად გაიგებს მიჯნურს. მას, მხოლოდ მას შეუძლია იგრძნოს მიჯნურის ცეცხლი უშრეტო: რადგან სარტოს. მზის მიმართ, ისიც ავთანდილს მდგომარეობაშია: მისი შექიჯ ხომ საკუთარი არ არის. არამედ ანარეკლია. ე. ი. თინათინია მზისა. მთვარე აუცილებლად შეიბრალებს. შეიტკბობს მიჯნურს.

უციდურესობამდე დაიძაბა ბრძოლა, არაჩვეულებრივად გამძაფრდა „შორით ბნედა, შორით კვდომა. შორით დაგვა, შორით ალვა“. მაგრამ რამდენად შეტია დაძაბულობა, იმდენად შეტო უნდა იქნეს ჰირსა შიგან გამაგრება, და ავთანდილიც გამაგრდა.

აწ გულსა ეტყვის: ეითამცა გდის ცრემლი. არ გაგზობოია.

რას გარგებს მოკვლა თავისა? ეშმა ძმად თურე

გძმობოია:

მეც ვიცო, ჩემსა ხელმქმნელსა ძმად ყორნიხ ბოლოს სთმობოია.

და მაგრამ თუ ჰირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობოია!

(965)

ამრიგად, თვითმკვლელობა ყველგან ეშმაკის საქმედაა მიჩნეული, იგი დაგმობილია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არც ერთი მოქმედი პირი თავს არ მოიკლავს? არა! პოეტს შეუძლია ჰქონდეს რომელიმე აზრი, მას მისდევდეს, იგი იყოს გმირთა მთავარი წამყვანი, მაგრამ იმავე პოეტს უფლება აქვს, რომ უფრო მკაფიო გამოკრთობა მისცეს რომელიმე დადებით მოვლენას, პარალელურად დახატოს ამ მოვლენის უარყოფითი სახე.

აქაც: თვითმკვლელობა უარყოფილია, მაგრამ დავარი თავს იკლავს.

ზღვათავე განვლეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა.

დავარ თქვა: „მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და!

ვირე მომკლევდის, მოკვდები, სიცოცხლე გასაწინარდა“.

და დანა დაცა, მოკაცდა, დაცა, გასისხლმდინარდა.

(582)

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ წინაღობაგობასთან გვაქვს საქმე?! არა! შოთა არ თანაუგრძნობს ამ თვითმკვლელობას. დავარი ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, რომ თავი მოაკვლევინეს. შოთა უარყოფითად იხსენიებს იმათ. ვინც ჩაადენინა დავარს თვითმკვლელობა.

დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:

„თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დავარჩენს, იცის ერმან“.

(576)

მაშასადამე, თუ შოთა აქ ვისიმე წინააღმდეგაა, უწინარეს ყოვლისა; იმ პირთა, რომელთაც თვითმკვლელობა მოაწყეს.

ნესტან-დარეჯანიც წინააღმდეგია თვითმკვლელობისა. მთელი მისი ქცევა დასაწყისიდან ვიდრე გამარჯვებამდე ამის დამადასტურებელია. და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შევათანხმოთ ნესტან-დარეჯანის ამ რწმენასთან მისი რამდენიმე თქმა, რომლებიც თითქოს თვითმკვლელობას განამტკიცებენ.

1. ნესტანი ზღვათა მეფესთანაა დატყვევებული. მას სასძლოდ განამზადებენ. ნესტანი წინააღმდეგია. მცველთ ეუბნება:

უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანსა. (1194)

ერთი შეხედვით აქ თითქოს თვითმკვლელობის ხელყოფასთან გვაქვს საქმე. ნამდვილად კი აქ მხოლოდ მუქარაა, მცველთა დასაშინებელი და არა ხელყოფა. რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. სწორედ აქ, ამ ვაჭირებებს დროსაა. ნესტანი განსაკუთრებულად გამეხებული რომ ამბობს:

სიკვილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა შეენიერსაო. (1191)

2. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ არის ნესტან-დარეჯანის მეორე თქმა, რომელიც კვალად თვითმკვლელობას ეხება. ეს ცნობილ წერილშია, ტარიელს რომ მან ქაჩეთიდან გამოუგზავნა.

შენმან მზემან.უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერ ვის მიხვდეს, მოცაყიდენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ. ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
და სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხედენ ნუთუ ფრთენი.

(1303)

არც აქა გვაქვს, რასაკვირველია, თვითმკვლელობის განზრახვა. აქ ბრძოლა უკიდურესობამდეა მისული, სავსებით მიწურულია. სხვაგვარად; აქ ტრაგედიის უკანასკნელი აქტია. აქ უპირისპირდება ერთმანეთს სხვაგან მიხვდომად და სიკვილი. სხვაგან მიხვდომა, სხვის ხელში ჩაეარდნა, ნაძრახი სიცოცხლეა და:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვილი სახელოვანი. (800) —

ეგ ხომ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გმირის სამოქმედო დევიზია და მათ შორის ნესტანისაც პირველ რიგში და, ცხადია, სხვაგან მიხვდომას იგი სახელოვან სიკვილს ამჯობინებდა.

ამ შეგნებამ გაიტანა რუსთაველის გმირები ბოლომდე, ამ შეგნებამ და რწმენამ გაამარჯვებინა მათ საბოლოოდ.

* * *

დასასრულ, ისევ გავიმეოროთ: საიდან შეითვისა შოთამ ასეთი ოპტიმისტური აზრები, რა გზით ჩაუწერა მან მამაცობის ეს თვისებები თავის გმირთ? გარედან ისეხა, თუ საქართველოს ნიადაგი აძლევდა მას საამისოდ სათანადო: მასალას და შესაფერ განწყობას?

თქმა იმისა, რომ, უცხო გავლენა არ იყო, ძნელია, რადგან, სხვას რომ თავი დაეხანებოთ, შოთას ლიტერატურული ნაერთობა უთუოდ თავს იჩენდა, (ეპიკურე. ლუკრეცი სიკვდილის შესახებ ამგვარსავე აზრს განამტკიცებენ), მაყრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ერთგვარ პირობებში ერთგვარი აზრები იბადებიან. და საქართველოს იმდროინდელი პირობები კი, როგორც აღვნიშნეთ. ისეთი იყო. რომ სხვაგვარი აზრი და მსჯელობა სიკვდილისა და თვითმკვლელობის შესახებ შეუძლებელი იყო.

ეპოქა გამარჯვებათა სისტემას წარმოადგენდა და ლიტერატურული ძეგლიც სიკვდილის დათრგუნვისა და ცხოვრების მონიჭების მლადადებელი უნდა ყოფილიყო დაიყოკიდეთ. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, (უდიდადარეჯილობა“. ქართველისათვის ეგ თქმა მარად საგულვებელი იყო. მონობის მოწინააღმდეგეს. უკან დასახევიკ არ ჰქონდა ადგილ-მამულის სიპატარავის გამო. და ამიტომაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა განიმტკიცა ეგ თვისება მედეგობისა და ურყეველობისა.

ქართველი მარად შიშუეუვალი იყო: ან სიკვდილი ან გამარჯვება. სხვა გამოსავალი მან არ იცოდა და ამიტომ ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდა. ამით სულდგმულობდა ქართველი იმთავითვე. ინდვიდულ უალური სიკვდილით სიცოცხლეს ბადებდა. კვდებოდა კაცი-ქართველი, მაგრამ ბუნება ქართველისა, კაცება-ქართველობა მარად ცოცხლობდა და, უამრავ ქირთა მნახველი და ამტანი, სახელოვნად მოვიდა ჩვენდრომდე.

და დღესაც, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და სამშობლომ მცველი მოითხოვა, შიშუეუვალი ქართველობა, როგორც ერთი, ამხედრდა მტრის წინააღმდეგ და შეუპოვრად იბრძვის საბოლოოდ გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად.

ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“

დიდი მხატვარი ილია --- დიდი პუბლიცისტი იყო: მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოში არ დასმულა საკითხი, ცხოვრების რომელი დარგიდანაც გნებავთ, რომ მის განხილვაში ილიას არ მიეღო აქტიური, გადაწყვეტი მონაწილეობა.

ილია თავისი დროის ქართული საზოგადოებრივი აზრის ყოველდღიური ხელმძღვანელი იყო.

მაგრამ მართო ზემოხსენებულით არ ამოიწურება ილიას საქმიანობა. დიდი პოეტი ამავე დროს იშვიათი კრიტიკოსიც იყო. ვერ ვიტყვით, რომ ამ ხაზით მას ბევრი ჰქონდეს ნაწერი, არც ისე ბევრია, მაგრამ, რაც არის, უეჭველად ხალასია. აქ მოკლედ და დაუნჯებულად მოცემულია ამა თუ იმ ლიტერატურული საკითხის შესახებ ამომწურავი პასუხი. ამ მხრივ ილია ისეთი ძლიერი იყო, რომ მხატვრული სახით შეეძლო არაჩვეულებრივი სიმძლავრით რომელიმე კრიტიკული აზრის გადმოცემა. ასეთია, მაგალითად, ილიას ცნობილი ლექსი ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი. აქ გასაოცარი სიმარტივით ამოწურულია ალ. ჭავჭავაძის პოეზიის რაობა. ეს ლექსი თავისი შინაარსით არაფრით არ ჩამოუვარდება იმავე მწერლის შესახებ დაწერილ სხვა მოზრდილ ნაშრომებს.

ამგვარივეა მეორე მისი წერილიც ნ. ბარათაშვილის შესახებ. უკანასკნელზე ხომ მართლაც ბევრია დაწერილი, მრავლის უმრავლესი. ილიას წერილი მაინც ყველას მეტობს თავისი შინაარსით: ცოტაა ნალაპარაკევი, მაგრამ ბევრია ნათქვამი, ბევრი იმისთანა რამ, რაც დღესაც ზოგ კრიტიკოსს ვერ აუთვისებია.

ასეთივე მკვეთრია ილიას სხვა წერილებიც ხელოვნების ამა თუ იმ დარგის შესახებ. თითოეულის განხილვა ცალკე შრომას მოითხოვს. ამხანად მინდა შევჩერდე ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ ნაწერთა მხოლოდ ერთ უბანზე, სახელდობრ: რა წილი აქვს ილია ჭავჭავაძეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლაში.

I

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა ილიასთვის ბუნებრივად ორ მომენტს შეიცავს: თავდაპირველად თვითონ სწავლობს ამ უკვდავ ნაწარმოებს და შემდეგ ასწავს სხვებს.

როდის იწყებს ილია ნაწარმოების შესწავლას? თითქმის პაესვობიდანვე, წერა-კითხვის შესწავლის შემდგომვე. — ასე გადმოგვცემს თვითონ ილია თავის ცხოვრების აღწერილობაში. და ეს ასედაც უნდა იყოს: მისი მამის ოჯახი ქართულად იშვიათად განსწავლულ წევრთაგან შედგებოდა, და თვითონ ილიასაც შემდგომში არა ერთხელ მადლობით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში რომ ქალები ასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსანს“.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 20—21 წლის ქაბუჯი ილია ამ ნაწარმოებს, თავისი დროის მიხედვით, იშვიათად დაუფლებულია. ამ ხანებში პოეტი არ იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულ განხილვას, მაგრამ ცდილობს გააახრიალოს ნაწარმოების ესა თუ ის ადგილი. მისცეს მათ პრაქტიკული გამოყენება, დაუკავშიროს თავისი დროის მომენტებს, საჭირობო როტო საკითხებს და ამ მიზნით თავისებურ ლიტერატურულ ხერხს მიმართავს: ამა თუ იმ ტიპის დახატვისას, ამა თუ იმ დებულების ნათელსაყოფად თავის საკუთარ ნაწარმოებში შეაქვს „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილები და, უნდა ითქვას, ამ ადგილების ინტერპრეტაციისას ნაწარმოების იშვიათ ცოდნას იჩენს.

ამ მხრივ განსაკუთრებით „გლახის ნაამბობია“ საგულისხმო.

ილია ნადირობის დროს ხშირად ზედებოდა ერთსა და იმავე ადგილას გოპურში მწოლიარე უცხო გლახას, მოინდომა მისი ვინაობის გაგება, ჯერ სხვებს გამოჰკითხა, შემდეგ თვითონ მივიდა მასთან და გამოესაუბრა. გლახამაც შეჩვილა:

„ასე უპატრონოდ ამ ჩარდახ ქვეშ ამომდის სული. ამოდენა დედამიწის ზურგზე დამტირებელი არა მყავს. სიკვდილსაც ისე დავაუიწყდი, როგორც კაცისა, ველი და არ მოდის... ნუ მოვა, ეს კია, რომ სადაური სადა ვკვდები.“

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას ვვაბრუნებ, რა ზნე გპირსა!
ყოელი შენი მიწოდობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა. •
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხური სალით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.

(951)

მართალი უთქვამს ამის მთქმელსაო: თუ ქვეყანამ პირი უკუმარია და არ შემიკედლა, დეთის კალთა ხომ ფართოა!“

— მე აბა, — განაგრძობს ილია, — წარმოიდგინეთ. რა რიგად გამოიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან „ვეფხისტყაოსნის“ ეს სიტყვები:

„ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას. რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა. მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა. უკვდავო რუსთაველო“ (20).

დღე, ნუ იქნება ამ ნაწყვეტის პირველი ნახევარი გლახის ნასიბრქანა. ვთქვათ, რომ იგი ავტორმა ხელოვნურად, ნაძალადევად ათქმევინა გლახას. დეე! მივიდოთ, რომ ორივე — როგორც პირველი, ისე უკანასკნელი ილიასია. გადაჭრით უნდა ვთქვათ: 22 წლის ქაბუჯს („გლახის ნაამბობი“ დაწერილია 185)

წელს) შესანიშნავად, უეჭველად თავის ადგილას აქვს გამოყენებული შოთას ეს ზარბაზნი უკვდავი სიტყვები, უაღრესად მხატვრული თქმა. ხაზს ვუსვამ ამ ჯარმობას, რადგან ზოგიერთს ეს სიტყვები დღესაც უაღრესი პასივობისა და გულგატეხილობის მაუწყებლად მიუჩნევენ და ამის გამო თვით „ვეფხისტყაოს-ნის“ წარმომბაძვ ჩვენთვის უფრო უახლოეს დროსათვის შესაძლებლად გა-უხდება.

გ ა ვ ყ ვ ე თ ქ ვ ე მ ო თ. გლახა გადმოგვეცემს თავის ქაბუკობის ამბავს. იგი დათკოსთან ერთად თბილისშია. მღვდელი ვინმე ასწავლის მას წერა-კითხვას. გლახამ დიდი ნიჭი გამოიჩინა, მოქლევარსაც იგი უფრო რთულ სასწავლზე გა-დააქვავს: „ვეფხისტყაოსანს“ ასწავლის.

აქაც პოეტის მიზანია — ნაწარმოების მკაფიო, ცხოვრებაში გამოსადეგი ადგილები ამოიღოს და დაუკავშიროს იგი პრაქტიკულ საქმიანობას.

მღვდელი ადგა, გამოალო პატარა თახჩის კარი და გადმოიღო ერთი და-ბეჭდილი წიგნი.

— აი, ძმაო. ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე, რაც კი რაჰ გვაქვს ჩვენს ენაზე, ამას ჯერ არა სჯობია.

ეს სიტყვები ჩვენ ახლაც შეგვიძლია გავიმეოროთ. მართლაც, ვეფხის-ტყაოსანი“ ჯერჯერობით ყველას მეტობს, იგი სრულყოფილია როგორც შინა-არსით, ისე ფორმით, მაგრამ განკერძოებულად არ დგას. ციდან, ასე ვთქვათ, არ ჩამოვარდნილა. თვით ეპოქაც მისი წარმომშობი, თავისი დროის მიხედვით, სრულყოფილი იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტერატურული ძეგლი მკიდ-როდა დაკავშირებული თავისი დროის გარეპირობებთან და არც შეიძლება მი-სი, ამ ძეგლის, განხილვა და დაფასება გარეშე ამ გარეპირობებისა, ამ გარე-პირობების უმისოდ. ილიამაც კარგად იცის ეს და ბუნებრივად, „ვეფხისტყაო-სანს“ თამარის ეპოქას უკავშირებს.

მსჯელობა ისევ კითხვა-პასუხის წესით მიმდინარეობს.

— თამარ-მეფე ხომ გაგიგონიათ?

— როგორ არა!

— [პო და], თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, ეგ იმის შე-ფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გა-უთბია, იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა — სიმტკი-ცე, მკლავსა — სიმაგრე, ეგ დალოცვილის... თამარის დროს მომხდარა.

ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა უ ფ რ ო კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ა დ გ ა ნ-ხ ი ლ ვ ა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

— ეგ წიგნიც იმან დაწერა?

— არა... ერთი კარის კაცი ჰყოლია შოთა რუსთაველი. იმას დაუწერია.

— ეს სულა?

— სულ, თავიდან ბოლომდინ გალექსილია. ძნელი გასაგები კი იქნება, მაგრამ ერთმანეთს ვუშველოთ და გავიგებთ. ბევრგან მისი სიტყვები გაქირ-ვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიაღვილებენ, გულ-სა და გონებას გაგიწრთენიან და სიკეთისათვის წაგახ-ლისებენ.

რა „იალბუზოვით ქედმოღერებულ“ გამოიყურება აქ ილია თავისი სამართლიანი და უეჭველად მართებული თქმით იმათან შედარებით, ვინც დღესაც „ვეფხისტყაოსანში“ ფატალიზმსა და უაღრეს გულგატეხილობას ეძებს.

სად პასივობა და გულზე ხელდაკრეფილობა და სად — გაეიმეორონ! მისი სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ. პირს გაგადვილებენ. გულსა და გონებას გაგისსნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ.

ასე აცოცხლებს ილია „ვეფხისტყაოსანს“. ამგვარად აძლიერებს იგი ამ ნაწარმოების სოციალურ ფუნქციას.

ყველაფერი ეს წინასწარი საუბარია მოძღვრისა გლახასთან. იწყება თვით „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. მოგვხსენებთ. ნაწარმოებს წინასიტყვაობა აქვს, შედარებით თვით ამბავთან ძნელად გასაგები, იმდენად, რომ დღესაც კი, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ დასაუფლებლად მეტი მასალა მოგვეპოვება და კვლევა-ძიების მეთოდით უკეთესი გვაქვს მომარჯვებული. — დღესაც კი ჩვენ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას რომ შევუდექით, წინასიტყვაობა დავტოვეთ და პირდაპირ ამბიდან დავიწყეთ: იგი ბოლოსათვის შემოვინახეთ.

ახალგაზრდა ილიამაც იცის ეს გარემოება.

— „მომიჭდა გვერდით, — ამბობს გლახა, — გადამიშალა თვითონვე რაოდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიდო, ეწერა „ამბავი პირველი როსტევან მეფისა“. მე ვუთხარი:

— რატომ თავიდან არ მაწყებინებ?

— ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზე უნდა. თავი უფრო ძნელია, პგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყება. პერე, როცა მე და შენ კარგად მივხედებით, მაშინაც მოვესწრებით შავის გაღვივებას.

კითხვა გრძელდება. მოძღვარი ხშირად შეაჩერებდა ხოლმე გლახას საგულისხმო ადგილებზე და შეეკითხებოდა: გესმისო?

ამგვარად გარჩეულია „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი აფორიზმი. სენტენცია და თითოეული მათგანი დაკავშირებულია ცხოვრების მიერ წამოყენებულ სათანადო საკითხებთან. ასე, მაგალითად, „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია“. განყენებულად გადმოცემული ეგ თქმა გაუგებარია მაგრამ სათანადო მაგალითებით ნათელყოფილი, უკვე ცხადი ხდება. ილიაც ამ თქმას უკავშირებს ცნობილ იგავს სამი ტალანტის შესახებ.

მხატვრული მასალა აქ მოხმობილია ამათუიმ მოვლენათა კონკრეტისა ციისათვის და, უნდა აღვიაროთ, ეს კონკრეტისა ცია წარმატებით მიმდინარეობს:

მოძღვარი [უკეთ: ილია] კვლად განაგრძობს ნაწარმოების კითხვა-კომენტარს და ცდილობს მონახოს ისეთი ადგილები, რომლებიც მისი, ილიას, მოღვაწეობის ძირითად ხაზს შეეფერება. რომელია ეს ხაზი? პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა.

ილიას ყველა ნაწარმოები ამ მთავარი ღერძის ირგვლივ ტრიალებს. როგელ საკითხსაც არ უნდა აშუქებდეს, არის იგი ეროვნული თუ საერთო-საკა-

კობრიო ხასიათისა, — ყველგან და ყველაფერში, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე აქვს მას ლაპარაკი. როგორაა ეს ურთიერთობა გადაწყვეტილი?

პიროვნება საზოგადოების დვიძლი შვილია, საზოგადოება მას ზრდის, უვლის, პატრონობს. და თუ საქმე საქმეზე მიდგა და საპიროვნება შეიქმნა, პიროვნებაც ვალდებულია მთელი თავისი არსებით მსხვერპლად შეეწიროს საზოგადოებას. და არა მარტო საზოგადოებას, საზოგადოების ცალკეული წევრისადმიც ამგვარივე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ყოველ შეგნებულ პიროვნებას.

ასეთია ილიას ურყევი და დგენილება და გადაწყობა ამ საკითხში.

გავიხსენოთ:

თავდაპირველად ეს საკითხი მან თავის საპროგრამო ლექსში (პოეტა) დასვა: პოეტი უწინარეს ყოვლისა მოქალაქეა, იგი ხალხის შვილია და ხალხისავე მოძმე უნდა იყოს ჭირსა და ლხინშიო.

ამ ლექსში ილია მხოლოდ პოეტზე ლაპარაკობს. რაც შეეხება „მგზავრის წერილებს“ — აქ ილიამ საზოგადოების სამსახური (ამ შემთხვევაში სამშობლოს სამსახური, მისი განთავისუფლება) ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოდ გახადა.

მყინვარი გარეგნულად მიმზიდველია, წარმტაცი, მაგრამ განზე გამდგარა. მიუჯარებელია, ქვეყნის ჭირ-ვარამი, ვაი-ვაგლახი მისთვის უცნობია. იგი შრომის დეზერტირის სიმბოლოა. ძირს მყინვარი!

თერგი გარეგნულად არაა ლამაზი, მღვრიე, მაგრამ მოძრავია და სხვა-საც ამოძრავებს: იგი ჭანისა და ღონის მომცემია. თერგი მოქმედი, მოღვაწე პიროვნების სიმბოლოა. გაუმარჯოს თერგს!

ასეთია ილიას გადაწყვეტილება პიროვნების შესახებ. მაგრამ გადაწყვეტილება აქ თეორიულ ხასიათს ატარებს. სხვა თავის ნაწერებში პოეტა უკვე კონკრეტულ პიროვნებებს გვაძლევს, საზოგადოებისათვის თავდადებულ ტიპებს გვისახავს.

ამგვარია:

ა. „დედა და შვილი“: მოხუცმა, ავადმყოფმა, ქვრივმა დედამ (პიროვნებამ) გაგზავნა ბრძოლის ველზე თავისი ერთადერთი მარჩენალი ვაჟი სამშობლოს დასახსნელად (საზოგადო ინტერესი).

ბ. „ღიმიტრი თავდადებული“ — ამგვარივე დედაზრის მატარებელია.

გ. „განდებილი შიცი“ — პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირებაა.

ყველგან ეს ხაზია გატარებული.

მაგრამ ჩვენ ისევ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ, „გლახის ნაამბობს“ დავუბრუნდეთ.

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დროს ქუჩიდან ხმაურობა მოისმა. მღვდელი მსწრაფლ გარეი გავიდა, იკითხა, უთხრეს, მტკვარში კაცი იხრჩობაო. ამის გაგონება და მღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო.

მღვდელი მიიქრა მტკვრის ნაპირას, ხალხი, მიდამო კრთებოდა, ისმოდა ყვირილი, მოთქმა, ვაი-ვაგლახი, მაგრამ შევლას ვერვინ ბედადა. მღვდელმა მსწრაფლ ტანთ გაიხადა, გადავარდა მდინარეში და დამახრჩვალ მუშა გადაარჩინა. მუშა გადაარჩინა, მაგრამ თვითონ კინალამ გადაყვა. ფილტვების ანთება დამართა, ძლივს გადაარჩა. როცა მობრუნდა, ჰკითხეს: „მეტისმეტად თავგამეტებული ყოფილხარ, თუ შენი თავი არ გებრალეზდა, დედაშენს მაინც შეიზრალეზდი, უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტიალ ქვეყანაზეო“. მოკლედ მოუქრა: „სიციოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჭერ ქვეყანა, მერე დედა და მამა... თუ სიკვდილი მოახლოვებულა, თუ ადამიანი მაინც უნდა მოკვდეს. სჯობს ხალხის სამსახურში ამოუვიდეს სული“.

და ამ დებულებათა ნათელსაყოფად ილიას მეტად მომარჯვებულად მოკვავს „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილები.

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოეპყრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და შინას მღერად.

(786)

ან:

სჯობს სიციოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანო.

ანდა:

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

ან კიდევ:

ხამს მოყვარე მოყვარსათვის თავი ჰირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

(703)

ასე ნახულობდა, სამართლიანად ნახულობდა ილია „ვეფხისტყაოსანში“ ცხოვრებისათვის გამოსადეგ ადგილებს და ცნობილია, რამდენად მეტია ამა თუ იმ ნაწარმოებში ცხოვრებისათვის გამოყენებულობა, ვამოსადეგობა, იმდენად ძლიერია იგი და ფასდაუდებელია სოციალურად.

და აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ აღნაგავდაც არ ნელდება: რაკ დრო მიდის, იგი უფრო და უფრო აღრმავებს, აფართოებს თავის ამ თვისებათ

და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დღეს უფრო ვინემ ოდესმე, მიღებულია მშრომელი ხალხის მიერ.

ამ მხრივ არაერთი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ნაწარმოების მოქმედი პირები უმაღლესი წოდების დიდგვარიანნი არიან: მათ უკვე დიდი ხანია შემოქმედებით თავისი მეფური სამოსელი და ისინი ჩვენ წინაშე წარმოდგებიან არა როგორც მეფე ან მისი ხასნი, არამედ მხოლოდ როგორც ადამიანები, რომელთა საუკეთესო თვისებები —

ა. განუყრელი მეგობრობა;

ბ. მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება—იბრძოლონ საერთო საქმისათვის საბოლოო გამარჯვებამდე;

გ. უსაზღვრო და დაუცხრომელი სიყვარული;

დ. სამშობლოს სიყვარული —

ჩვენი თვისებებია, რომელთა საშუალებით ჩვენ ვაშენებდით და კიდევაც ავაშენებდით უმაგალითო და კაცობრიობის ისტორიაში ჭერ გაუგონარი სოციალისტური სახელმწიფო.

მე არ გამოვუდგები სხვა ადგილების მოყვანას, კიდევ ბლომად მოიპოვება. ნათქვამიდანაც ცხადია, რომ ილია მართლაც ბავშვობიდანვე იცნობდა „ვეფხისტყაოსანს“ და დროის მიხედვით იშვიათად იყო მას დაუფლებული.

II

აქედან ბუნებრივია: როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და სათანადო კომისია შედგა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად. ილიაც ამ კომისიაშია. მართალია იგი თავმჯდომარის მოადგილეა (თავმჯდომარედ გრ. ორბელიანი იყო). მაგრამ ფაქტურად თვითონ იყო საქმის ხელმძღვანელი და წამყვანი. სამწუხაროდ. ჩვენამდე არ მოუღწევია კომისიის მუშაობის საბანგარიშო ოქმებს. მართო მოკლე რეზოლუციური ჩანაწერები და მოგვეპოვება. მაგრამ ილიას პრაქტიკული საქმიანობა და განყენებული ბიოსადმი უარყოფითი განწყობა აქაც ჩანს.

პირველ სხდომაზედვე ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ. რომ, სანამ ტექსტის კითხვას შევუდგებოდეთ, საჭიროა წინასწარ მტკიცე და ურყევი პრინციპები გვექნეს შემუშავებული, პრინციპები, რომელთა მიხედვით ეს ტექსტი უნდა დავადგინოთ. ბევრი ილაპარაკეს, ვერ შეთანხმდნენ.

ილიამ მოკლედ მოკრა: პრინციპები და თეორიები საქმის ვითარებიდან გამომდინარეობენ, შევუდგეთ კითხვას და კითხვის პროცესში პრინციპებიც გამოვუშავდებო.

ჩვენი ახლანდელი კომისიის მუშაობამ ცხადყო, რომ ილია მართალი იყო. ჩვენც შევადგინეთ ვითომდა ურყევი პრინციპები, მაგრამ კითხვისა და დადგენის პროცესში არა ერთი კორექტივის შეტანა მოგვიხდა ამ პრინციპებში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი ცოდნა ილიამ გამოიჩინა ცნობილ წერელში, რომელსაც სახელად „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ ეწოდებოდა.

მოგეხსენებათ აკაკის „სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე“. იგი ორჯერ იყო წაკითხული: ჟერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში 1887 წელს.

სამწუხაროდ, ლექციები წაკითხვისთანავე არ დაბეჭდილა და ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, აძნელებს საქმის ვითარებაში გარკვევას.

ილია თავის წერილს ზეპირად წერდა, მარტოოდენ მეხსიერებას ემყარებოდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში გაზეთში მოთავსებულ მცირე ანგარიშს), და შეიძლება ვინმემ იფიქროს: რა ვიცი თ ჩვენ, რამდენად სწორად აქვს მას გადმოცემული აკაკის აზრები?

მეორე მხრით: აკაკის ლექციები 11 წლის შემდეგ დაიბეჭდა. და, მასთან დაძაბვით, შეიძლება კვალად ვინმემ თქვას: ხომ არ შეცვალა აკაკიმ რაიმე თავის ლექციაში, ხომ არაა იგი დაბეჭდილი ახალი რედაქციით?

ყოველ შემთხვევაში, აკაკი ბრალს სდებდა ილიას (აკაკიმ, გარდა ლექციებისა, წერილიც დაბეჭდა ილიას საპასუხოდ): ჩემი აზრი დამახინჯებულად წარმოუდგინა მკითხველ საზოგადოებას. ნამდვილად კი მე ავრცე არ მოთქვამსო და თან მოჰყავს ციტატა... [იგულისხმება ლექციიდან]. არავითარი მსგავსება ამ ციტატასა და ლექციის სათანადო ადგილს შორის! ეს მით უმეტეს გასაკვირველი და საოცარია, რომ როგორც ლექცია, ისე პასუხიც ერთსა და იმავე ჟურნალშია მოთავსებული.

ასეთია საქმის ვითარება, მაგრამ მას ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. როგორც არ უნდა იყოს აკაკის შეხედულება „ვეფხისტყაოსანისა“ და მის გმირებზე, ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ილია, ილიას მოსაზრება ნაწარმოების შესახებ, მით უმეტეს, რომ: მართალია, აკაკის ფორმალურად არა აქვს თავისი დებულებანი ისე მოთხრობილი, როგორცაა მას ილია მიაწერს ხოლმე. მაგრამ არსებითად აკაკის შეხედულება მთლიანად და სავსებით სწორადაა გადმოცემული.

მაგრამ რა თქვა აკაკიმ თავის ლექციებში?

პირველ ლექციას თემასთან არავითარი კავშირი არა აქვს. საკითხის ვაშუქება მეორე ლექციიდან იწყება.

შოთა რუსთაველს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, სხვადასხვა ხალხების ლირსება ნაკლებოვანებები პოეტურად და ძლიერად აქვს გამოხატული თავის დაუვიწყარ „ვეფხისტყაოსანში“.

ამ დებულების ნათელსაყოფად ავტორი თავდაპირველად ქართველთა და

1. ი. ჯავახიძე. ნაწარმოების სრული კრებული. ტ. IV. თბ., 1927. გვ. 183—195.

2. აკაკის თეორი კრებული, წელიწადი პირველი, № 5. იანვარი, 1898 წ.

ხასიათებას იძლევა - ჯერ ზოგადად, შემდეგ დანაწევრებით „უკელა, როგორც ქართლელი, ისე იმერელი, ისე მეგრელი და ისე გურული ერთნაირად დღეს ცრუები არიან. მაგრამ მათ სიცრუეში განსხვავება არის და რადგანაც იმ სიცრუეში გამოიხატება თვითულის მათგანის ხასიათი, ამისათვის ჩვენ გავარჩევთ და გამოვიყვლევეთ იმ განსხვავებას“ (გვ. 21). და იწყება თითოეულის დახასიათება ამ ხაზით.

„ქართლური ან ამერული სიცრუე უმანკოა; იმაში ბევრიც რომ ეცადოთ, ისეთ მხატვრულ ნიშნებს ვერ იპოვით, როგორც იმერულ სიცრუეშია. და მართლაც. აბა დაუკვირდით ქართლელს, როდესაც ის ტყუილებს ამბობს, თუ იმ სიცრუეში პატიოსნური სულსკვეთება არ დაინახოთ? ქართლელი მისთვის კი არ ცრუობს, რომ ვინმე მოატყუოს, არა, როშავს, ისე, თავისთვის, რასაც თავისი გული ეუბნება. ის ტრამბახობს სულ კეთილ საქმეებზე: სკოლებს მართავს, ჟვრივ-ოსრებს ეწევა, მტრებს ამარცხებს, მოყვარეს ეხმარება, — ერთი სიტყვით რაც საპატიოსნოა და კაცის ღირსების გამომჩენი, სულ იმაზე ბაქიობს“ (22).

მეორე ადგილას:

„ქართლელი საზოგადოდ გულწრფელია, სიმათლის მოყვარე, გაუდრეკილად პირდაპირი ხასიათის მიმდევარია; საოცარი ვაჟკაცი და იმავე დროს იმდენად დიდსულოვანი, რომ სხვისი დანაშაულობის ადვილად მომტევებელია. დღეს, როდესაც დრო და ვითარება შეეცვალა, დამძიმდა, ზარმაცს ჰგავს, დღიურ ვარაშს თავს ვერ ართმევს და წვრილმან საქმეებს რომ შეეჭიდოს, ვერ ასერებს“ (გვ. 3).

„იმერელი ცბიერია. და ეს ზნე არა თუ მოქმედებაში და სიტყვა-პასუხში, სიარულშიც კი უცხადდება. მართლაც, აბა, შეეკითხეთ იმერელს და დააკვირდით მის სიარულს: რაც უნდა სწორი გზა ედოს წინ, მაინც აქით-იქით მიუხევე-მოუხევეს და ისე მიდის... თუმცა იმან შორიდანვე შეგნიშნათ, მოგკრათ თვალი, მაგრამ ისე კი გიხალვოდებათ. რომ თითქოს დაენახოთ, მერე ერთი უცხად შეგეფუთებათ, შეკრთება, რასაკვირველია, აქტიორულად და ბოდინის მოიხდის ალერსიანი სიტყვებით. მთის ამბავი რომ უნდოდეს სათქმელად, ჯერ ბარის ამბით დაგიწყებს, რაც გულში აქვს და რაც სურს გითხრას, იმას პირდაპირ არ მოგახლის და ამას იმიტომ შერება, რომ სანამ მანვერობს, ე. ი. იმისთანა საგანზე გემუსაიდებათ. რომელსაც მისთვის მნიშვნელობა არა აქვს რა, — აგათვლიერებ-ჩაგათვლიერებს, აგწონის, თქვენ სახეზე და სიტყვაში წაიკითხვის თუ რა გუნებაზე ბრძანდებით და მერე, თქვენი ხასიათის ან გუნების შესაფერად, ბანგივით ნელ-ნელა შემოგაპარებს, რაც უნდა სათქმელად. დარწმუნებული ხართ, რომ იმ დროს თქვენს მოტყუებას ცდილობს, მაგრამ ისე ხელოვნურად კი ასრულებს ამ თავის წინათგანზრახვას, რომ თქვენ რაღაც უცნაური ძალით მოტყუებული რჩებით და არა ნაღვლობთ იმ დროს თქვენ უნებურ მოტყუებას.

„იმერელი პირდაპირ არ აქებს კაცს და არც აგინებს, ვისიც ქება უნდა, იმას აგინებს, მაგრამ ამ გინებაში ისეთი გამოანგარიშებული სიტყვებია, რომ ყოველ ქებაზე უკეთესია; და ვისიც გალანძღვა უნდა იმას აქებს; მაგრამ ისე მოხერხებულად და სოფისტიკურად კი დაუწყებს ქებას, რომ ვაი იმ ქებას. შა-

გაღიარებულ, იმერელს უნდა ვინმე აქოს. — პირდაპირ რომ ქება დაუწყოს, ფიქრობს. ვარ. თუ მიდგომა ჩამომართვანო და ისეთ გვარად დაიწყებს გმობას, რომ თვითონ თქვენ გამოგასარჩლებს და ისე ხელოვნურად კი გვბასებათ, რომ გაგიტყუებს და მომეტებულს სურვილს აღძრავს თქვენში მისი ქებისას, ვისი-ე ქება თვითონ სურს გულში, და სიტყვით კი სხვას ამბობს.

„ბოლოს დაგეთანხმება, თვითონ შეწუხებული დარჩება და თქვენ კი გაამაყებული რჩებით მით, რომ სულ წინააღმდეგი დაუმტკიცეთ თქვენს მოპირდაპირეს და დაითანხმეთ. შემდეგ იმეორებთ ხან ერთთან, ხან მეორესთან ამ ამბავს და იმერელსაც ის უნდა, მისი გულის წაღილი სრულდება და რა ენადულება (25—26).

ამგვარადვე: მეგრელი, გურული.

ამ უქველად მცდარი დახასიათების გამოძიებას თავი რომ დაეანებოთ და ვიკითხოთ: მართალიც რომ იყოს, რა კავშირი აქვს ყველაფერს ამას „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან-თქო, აკაკის მეტი, — დადებითად ვერაინ გვიპასუხებს.

აკაკი კი გვეტყვის.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ვნახავთ ჩვენს ქვეყანას მისი კუთხეებით და მცხოვრებლებით ისე გამოხატულს, როგორც სარკეში ჩასახულ რამეს (31). თუ ამ ზოგადმა თქმამ არ დაგაკმაყოფილათ, აკაკი ვრცლად იტყვის: რუსთაველს სურდა „ვეფხისტყაოსანში“ დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდულო გმირი როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც. საქართველო რომ გაშლილი და თანასწორი ბუნებიანი იყოს, მაშინ ის ერთს პირს აიღებდა გმირად, მაგრამ რადგანაც... ის სხვადასხვა ბუნებიანი და ხალხბუნე სხვადასხვა ხასიათების მქონი, ამისთვის მან საჭიროდ დაინახა, ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთი მეორით შეეგრო და ასე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან — ტარიელი, იმერიდან — ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან — ფრიდონი და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსი“ (გვ. 32).

ამაზე მეტი შებოჭილობა გეოგრაფიული პირობებით და ბიოლოგიზმით შეუძლებელია!

„არჩევანში რომ შევიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესაბამე, უქვეელია, ქართლები ტარიელზე მიგვითითებენ, იმერლები ავთანდილს აირჩევენ და საზოგადოდ შავი ზღვისპირელები — ფრიდონს მოიწონებენ.

„ეს მისი ბრალია, რომ ის განსაკუთრებითი ხასიათები, რომლებიც ამ სხვადასხვა კუთხის საქართველოს ერთმანეთისაგან განასხვავებენ... ამ გმირებში იხატება და თითოეული კუთხე თავის საკუთარ, ახალ ნაცნობს ხედავს იმათში“ (გვ. 33).

ეს მამაკაცები. ქალები? ნესტანი — ამერია, თინათინი — იმერი, ხოლო ფატმანი — ზღვისპირელი. ამასთანავე: პირველი — ნესტანი ძალიან ეძს-გავსება ხასიათით ტარიელს, მეორე — ავთანდილს. ფატმანი? არ ჩანს, ვის?

აქ მოყვანილი აკაკის აზრები მცდარია, უქველად მცდარი. აკაკისათვის „ვეფხისტყაოსანი“ სარკეა არა მარტო იმდროინდელი საქართველოსი, XII ს.

საქართველოსი. არამედ ეს სარკეობა მისი სამარადისოდაა მიჩნეული. გ ა ე რ -
მ ე ო რ ო თ: „არჩევანში რომ შევიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესა-
ხებ. უექველია, ქართლები ტარიელზე მიგვითითებენ. იმერლები ავთან-
დილს აირჩევენ და საზოგადოდ შავი ზღვისპირელი ფრიდონს მოიწონე-
ბენ“. რატომ? -- იმიტომ რომ თითოეული კუთხე თავის საკუთარ ნაცნობს
ხედავს ამ პირებში. გარდამეტებული რეალისტი კომენტა-
ტორია აკაკი; გადაჭარბებულ ფორტოგრაფობას და ეთნოგრაფობას აკუ-
თვნებს აკაკი შოთას. ყოვლად შეუძლებელია ამგვარი შეხედულების გაზი-
რება. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი XII ს. ფეოდა-
ლურ-რანდული საქართველოს წარმომადგენლები არიან. მაგრამ ყველანი ისინი
უწინარეს ყოვლისა ადამიანები არიან: რომელიმე მათგანი იმიტომ კი არ ატ-
ოებს ამა თუ იმ თვისებას, რომ, მაგალითად, ქართელია. ან იმერელი, არა-
მედ მხოლოდ იმიტომ. რომ თავისი ეპოქის, თავისი კლასის შვილია და ამით თი-
თოეული მათგანი კლასობრივი ადამიანის საზოგადო ტიპს, საზოგადო სახეს
წარმოადგენს. და სწორედ ამგვარი პოზიცია დაიჭირა ილიამ აკაკის მიერ დას-
მული საკითხისადმი.

აკაკის ლექციებში ილიამ უკან დახევა დაინახა. ნაწარმოების ქართულობის
დამტკიცება—მისი ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში მომწყვედევით ილიამ შოთას-
თვის სულთამხუთავად მიიჩნია და „ვეფხისტყაოსნის სიდიადე მისი ზოგადი
თვალსაზრისით განხილვაში მოგვცა.

ამასთანავე აღსანიშნავია:

თუ წინათ და მის დროსაც „ვეფხისტყაოსნის“
სპეციალისტები ნაწარმოების განხილვისას მხოლოდ
მისი წარმოშობის საკითხის ირგვლივ ტრიანებდნენ,
არასპეციალისტი, მაგრამ დიდი მწერალი-მხატვარი
ილია, უნდა ითქვას, პირველი და პირველად იძლევა
შოთას ამ უკვდავი ქმნილების მხატვრულ ანალიზს,
ტიპების ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

თავდაპირველად ილია გეაძლევს ნაწარმოების ზოგად დახასიათებას. მი-
სი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“:

ა. სულიერი განძია. რომელიც სამკვიდროდ და სასახლოდ უანდერკა
ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერს;

ბ. იგი დიდებული პოემაა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა,
ჩვენის კაცისაგან. ჩვენს უნაზე;

გ. ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ. ვქაღულობთ ამ ნაწარმოებით;

დ. იგი დიდი რამე საუნჯეა. სამველიშვილოდ საპატიო, საუკუნეთა განმავ-
ლობაში არდაქცნობილი. არგაბათილებული, არდავიწყებული.

ასეთია „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ყველასათვის როდია ცნობილი ნაწარ-
მოების ზემოაღნიშნული თვისებები.

აქედან: მიუცილებელი საპირობა-- „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იწერებოდა და იკითხებოდეს შესაფერი წერილები.

აქედანვე: აკაკის ლექციების გამართლება.

მაგრამ... ერთია წაკითხვა და როგორ წაკითხვა -- მეორე.

აქედან იწყება ილიას შეტევა.

„მთელი სამი ლექცია ბნის აკაკისა, — ამბობს ილია. — წარმოადგენს ერთს იმ დედაზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ქართველი. მისი სიტყვით. ტარიელი. რადგანა ცნა ზარმაცია ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი — იმერელია, და ფრიდონი კი — არ გვახსოვს, რა მიზეზითა და რის გამო — ზღვისპირელი ქართველია: იქნებ იმის გამოც. რომ ცოტა აქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწვდომელი?“

როგორ არღვევს ილია ამ უეჭველად მცდარ დებულებას?

ჯერ ზოგადი მოსაზრება მოჰყავს: ეს დებულება მცდარია, აგრე რომ ვინაგარიშოთ, რუსთაველი უბრალო ეთნოგრაფი იქნება და არა გენიოსი. თავისი ამ ნათელი დებულების დასამტკიცებლად ილია კერძო მაგალითებს ემყარება. თავდაპირველად შექსპირის ფალსტაფს იხსენებს.

„ფალსტაფს, რომელიც შექსპირის ტყუილებისა და კვენა-ბაქიობის გულად გამოუხატავს, განა ათასს მსგავსს ვერ მოვუპოვებთ ჩვენს საქართველოში? აკი ბნმა აკაკიმაც თავის ლექციებზე დაგვაჩერა, ქართველები ტყუილებისა და კვენა-ბაქიობის მოყვარენი არიანო. მართალიც არის: ჩვენში ტყუილებისა და კვენა-ბაქიობის ისეთი ფალაენები არიან, რომ თვითონ ფალსტაფა. — ეკ ზოგადი ტიპი ცრუ და მკეხარა კაცისა, — ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შევირდად მიეზარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმე თქვას: „შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო“, — სამართლიანად ღაღადებს ილია.

სხვა მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს.

აკაკის შემდეგ დებულებებზე გადავალთ.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ამა თუ იმ საქციელს. ამა თუ იმ საქმიანობასა და ხასიათს აკაკი თითოეული მათგანის ტომობრივი წარმოშობით ხსნის.

ფარსადანი და ტარიელი ნადირობიდან შინ ბრუნდებიან ბაღდადად. მეფემ უბრძანა ტარიელს: ქალის ნახვა მინდა, დურაჯები უნდა მიკუტანო. მეფე შედის კომკში. ტარიელი გარეთ რჩება. მეფე უბრძანებს ასმათს: გარეთ მყოფ ტარიელს დურაჯები გამოართვი და ნესტანს მიუტანეო. გარეთ გამოსვლისას ასმათმა ისეთნაირად აზიდა ფარდა, რომ ტარიელმა დაინახა მზეთუნახავი, გულში სიყვარულის ისარი ეცა, დაბნდა, უსულოდ ძირს დაეცა, მკერად იქცა. ტარიელს დაუწყევს მკურნალობა, მაგრამ ვერას გახდნენ, სანამ ნესტანმა არ შემოაოთვალა:

ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჭნებოდა გგონია?

სჯობს, საყვარელსა უჩვენენ საქმენი საგმირონია!

(377)

ხატაელებზე გაილაშქრე, შინ გამარჯვებით დაბრუნდი და სიტყვას გაძლევ: შენს გარდა ქმრად არავის შევირთავო.

ავთანდილსაც უყვარს თინათინი, უყვარს, იტანჯება, მაგრამ ჩუმად.

გულსა მისსა სიყვარული მისი ჰქონდა დამალულად.

თინათინი გამეფდა: ავთანდილისთვისაც ეს უდიდესი ბედნიერებაა, როგორც სპასპეტი ყოველდღე მივა მეფე-საყვარელთან მოხსენებით, მაგრამ ავთანდილი ოდნავადაც არ ბნდება: მტკიცე და ურყევეია. რატომ? აქაი გვიპასუხებს: იმიტომ, რომ „ტარიელი მოქმედებს გულის აყოლით, ავთაძილი კი თავს ეკითხება“.

ავთანდილმაც მიიღო თინათინისაგან საზოგადოებრივი ხასიათის დავალუბა: უნდა მონახოს ტარიელი.

აბა, როგორ ასრულებს თითოეული მათგანი დავალუბას? აქაის აზრით -- ტარიელს შეეძლო გაუჭირებლად მთელი ქართი მისვლა ხატაელებზე და შაშიც არაფრის ექნებოდაო; ამის ნაცვლად, გულს აყოლილი, საომრად ატენილი ტარიელი პირდაპირ ეკვეთება მტერს.

ახლოს მივე. შემოხედეს, „შმაგაო“, ესე თქვესა.
მუნ მივპართე მკლავ-მავარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ეკვარ. ცხენი დავეც, მართ ორნივე მიპხდეს მზესა,
და შუბი გატყდა, ხელი ჩავეყვ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!

შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჭოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანჯორი,
და ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი.

(446—447).

ასეთია ტარიელი.

ავთანდილი?

„ავთანდილი აუჩქარებლად კვალში უდგია მისდა მინდობილ საგანს (ტარიელის მონახვა), ბოლოს მიაგნო კვალს, მაგრამ არ შეუტია, არ შეეჩახა და ეს არა იმიტომ, ვითომ შემკრთალიყოს და შეშინებოდეს, არა! ავთანდილი წინდახედულია, ასევე გამზომია. ტარიელი კი სხვა ბუნებისაა, სხვა ხასიათისაა. იგი გულს დაუმორჩილებიაო“.

აქაი მცდარია, მცდარია მთლიანად: მისი ახსნა უადრესად პრიმიტიულია. აქ ბუნება და ხასიათი არაფერ შუაშია. ამოცანა აქვეს თითოეულს დავაღებ ული სხვადასხვა გვარი.

ტარიელმა ხატაელნი უნდა დაიპყროს, მტერი უნდა გაანადგუროს, მაშინ-სადამე, აქ შეტევა და სასტიკი ბრძოლაა საჭირო. ტარიელიც იბრძვის.

რაც შეეხება ავთანდილს, მისი ამოცანა სხვაგვარია: უცნობი მოყმე უნდა მონახოს, უნდა გაიცნოს, თინათინს ამბავი უნდა მოუტანოს.

„ჰა, რად ეღირებოდა მთელი პოემა, ავთანდილი რომ თავიდანვე ჰკვეთებოდა ტარიელს, დაემარცხებია იგი, ანდა თვითონ დამარცხებულიყო? მოხერხდებოდა კი მაშინ პოემის გაშლა? ცხადია, არა! ხასიათის სხვადასხვაობა არაფერი მოსატანია. მაგრამ ვთქვათ, რომ ტარიელი და ავთანდილი სხვადასხვა ბუნებისა და თვისებებისა არიან. განა ეს ტომობრიობაზეა დამოკიდებული? აკაკოს რომ ვკითხოთ, აუცილებლად იგი ასეთს დასკვნას მოგვცემს: „ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ტარიელი მოქმედებს გულის აყოლით და ავთანდილი კი თავს ეკითხება. თუ გავიხსენებთ წინა ლექციას, როდესაც ამერლების, იმერლების და შავი ზღვისპირელების ხასიათების განსხვავებაზე ვლაპარაკობდით. მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ ტარიელში ისახება ქართლელების ხასიათი და ზნე, ავთანდილში — იმერლებისა და ფრიდონში — შავი ზღვისპირელებისაო“ (46-47).

„არაო, — უპასუხებს ილია: — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი „ვეფხისტყაოსნისა“, ყველაზე უწინარეს, ადამიანები არიან და, მამასადამე, ზოგადი ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი.

„აი, თუნდა ავიღოთ ლექტორის მიერ თითქმის სასაცილოდ აგებული მაგალითი, რომ ტარიელს ნესტან-დარეჯანის პირველ დანახეაზედ გულს შემოეყარა და დაბნდა. ამ შემთხვევამდე კი რუსთაველმა ბევრგან გვაჩვენა, რა ძლიერი კაცია ყოვლისფრით ტარიელი სულითა და ხორციითა.

„ამ თვალად მცირე შემთხვევაშია მთელი ნასკვი, რომლისაგანაც გამოიხსნება მთელი რთული ხასიათი იმისთანა კაცისა, როგორც ტარიელია. კარგს, გონებამახვილს და გამჭირავს ფსიქოლოგს რომ ეს ძლიერება და ძალღონიერობა ტარიელისა აცოდინოთ და ამასთან ეს უეცარი შემოყრა გულისა დაწერილებით უნახათ, — პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ტარიელი დიდი გულისთქმის კაცია, იმისთანა გულისთქმისა, რომელსაც ველარც ხორცი უძღებს და ველარც სული და რომელიც ჰკუას, გონებას მთლად იმორჩილებს. როგორც, ზარკი. ელ და, მეხი. კაცს რომ ჰკუა და გონება გამოეცლება, ის მკედარია საქმისათვის, მოქმედებისათვის. ამიტომაც ტარიელისთანა ძალღონიერი კაცი და მისთანავე გულისთქმისა ყოვლად შემძლებელია, თუ გარემოება ცხოვრებისა გულისთქმაში ხელს უწყობს, ე. ი. თუ გულისთქმას კმაყოფილებას აძლევს და აჩუმებს, — და თუ არა, ამისთანა კაცი სუსტია, უღონოა, უქმია, ერთი სიტყვით, სნეულია“ (188).

ასეთია ტარიელი: „გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ ღონე და უღონობამ მჩვრად აქცია ეს ახოვანი კაცი. აქ რა შუაშია ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი... აქ კაცად-კაცია, გულისთქმის ქარცეცხლში გატარებული თავიდან ბოლომდე“ (189).

„ტარიელი მჩვრად იქცა იმიტომ კი არა, რომ ზარმაცი ქართლელია. არამედ იმიტომ, რომ მაგისთანა ბუნების კაცი უსათუოდ მჩვრად უნდა იქცეს. რაკი იმ გარემოებაში ჩავარდება“ (195).

აკაკი ქალების ხასიათსაც ტომობრივი წარმოშობით ხსნის. „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაც: ნე ს-

ტანი--ამერიკა, თინათინი--იშერი" (47). და სხვათა შორის იმ გა-
რემობას. რომ ნესტანმა პირველად დანახვისას ტარიელს არაფერი უთხრა და
ცივად გაისტუმრა. ნესტანის ამერლობით ხსნის.

ილია. რასაკვირველია, არ ეთანხმება. „გაიხსენეთ ის ადგილი, როცა ტა-
რიელი პირველად შეეყრება სალაპარაკოდ ნესტან-დარეჯანსა. რომელიც ისე-
თივე დიდი გულისტქმის დედააკაცია, როგორც მამაკაცი ტარიელი. ტარიელ-
ამ ამბავს ასე მოგვითხრობს:

დიდხანს ვდევ და არა მიხბრა სიტყვა მისსა მონაჟრსა.
ოდენ ტპობლად შემომხედნის ვითამცა რა შინაჟრსა;
ასმათ უხმო. მოიუბნეს; ქალი მოდგა. მიხბრა ყურსა:
და „აჲ წადიო, ვერას გითხრობს“, მე კვლა მიმცა აღმან მერსა.
(395)

„ამისთანაზე იტყვიან ხოლმე, გენიოსური კალმის მოსმააო და სწორედაც
ასეა. დიდ საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო
და ზემოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშ-
რობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდ სიხარულს ხშირად ცრემლი მო-
ჰყავს და პატარას კი-- ღიმილი; დიდი გულისტქმა, ქეშმარიტი
გრძნობა მუხჯია, უტყვია, და პატარა კი-- ყბელი, ლა-
ქლაქა.

„ი, გულთამხილავი რუსთაველი რამ-სიდიდე გრძნობას ხედავს ნესტან-
დარეჯანის გულში და რა ხატით გვიჩვენებს ჩვენ მის ძლიერებას. სიდიადეს
და ძლევამოსილებას. ქალმა ვეღარა თქვა რა, სიტყვა შეეკრაო...

„რუსთაველი სასწაულ-მოქმედივით ერთის კალმის მოსმით ქმნის და გვე-
უბნება. — ტარიელი დაითხოვა, ისიც სხვისი პირით:

„აჲ წადიო, ვერას გითხრობს“, ე. ი. ქალი დამუხჯდაო, -- და აბა, იფიქ-
რეთ, რა გრძნობაა ამის მოქმედი გრძნობა. შეიძლება ლა ამაზე ცხოვლად, ამა-
ზედ უკეთესად ოთხის სიტყვით კაცმა ანიშნოს ძლიერება და სიდიადე გრძნო-
ბისა, როგორც მით არის ნანიშნი, რომ იმ გრძნობამ ადამიანი დაამუხჯაო მ-
შინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მოსალოდ-
ნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად შეეყარა სალაპარაკოდ თავის სა-
ტრფოსა.

„აქ ერთი კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი
მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხ-
ტავდა სათქმელსა“ (191—192).

ასეთია ილია, ამგვარია მისი განწყობა საზოგადოდ ლიტერატურულ ნა-
წარმოებისადმი და კერძოდ „ვეფხისტყაოსნისადმი“.

თუ აკაკიმ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები დაახუ-
რდავა და შოთას მიერ კერძოდან ზოგადკაცობრიუ-
ლობამდე აყვანილი ტიპები უმართებულოდ ვიწრო,
სულთამხუთავ, ეთნოგრაფიულ ფარგლებში მოამწყვ-
დია -- ილიამ ტიპები კვალად აღადგინა და სამართ-

ლიანად ისევ თავის კუთვნილ ადგილას. ინტერნაციონალურ ზღვრებში მოათავსა.

აქ შეიძლება ვინმემ თქვას: მართალია. პოეტი მით უფრო დიდია. რამდენად იგი ასცდა ეთნოგრაფიკულობას და თავისი (უკვე შემოქმედებით) ზოგადკაცობრიული ტიპი მოგვცა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ პოეტი არაფრისაგან ვერაფერს შექმნის. მასაც, რაც გინდ გენოზის იყოს იგი, საყრდენი სჭირდება, და ეს საყრდენი აუცილებლად ეროვნული ბაზა უნდა იყოს. მართალია. მართალია, მაგრამ ერთი საყრდენი. საწყისი, და მეორეა ამ საწყისიდან მოქმედების გაშლა, ეროვნულიდან ზოგადკაცობრიულში გადასვლა.

მწერალი ზეპირად არ თბზავს. მას ფაქტი სჭირდება. უცილობლად. მაგრამ თუ საყრდენ ფაქტსა და მასზე აღმოცენებულ ნაწარმოებს შორის თანასწორობის ნიშნის გავლება მოხერხდა. აქ უკვე შემოქმედება აღარ არის და ნაწარმოებიც არ შეიძლება იქნას მხატვრული. აქ საკმე უფრო ფოტოგრაფიასთან გვაქვს.

ილიას ეს გარემოება შესანიშნავად აქვს გათვალისწინებული.

„თქმა არ უნდა, რომ ერო, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი. თავისის სამკაულით ავაზმინებს, თავის საფერავით აფეოვინებს პოეტს ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას. მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო და რომელიც მარტო თავის საკუთარ კანონებს ექვემდებარება“. ანდა:

„შემოქმედების ძალის დონორება ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელი გადასწვდება ხოლმე და მეორე კი მარტო ნაწილსა. მწერალმა თუ სხვა ვინმე ხელოვანმა. რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენიერად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკე სახელწოდებული კაცი-ივანე თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადის კაცის გამომხატველია, შემძლებელია. ამიტომაც პორტრეტების მხატვარი, დიდი სახელგანთქმულიც და გამოჩინებული, ყოველთვის უმდაბლესი და უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის ტიპის მოქმედია, თუნდაც ხელსაქმობით, ტენიკით ამისი თანასწორი იყოს. ამიტომაც თვითონ პორტრეტების წერას, ე. ი. ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება“ (193).

მე არ ვამბობ, რომ ილიას ეს შეხედულება დღეს მთლიანად და საკვებით მისაღებია-მეთქი, მაგრამ ილია რომ ტიპებისა და ტიპიურობის გაგების იმდროინდელ მოწინავე დონეზე დგას, ეს უცილობელია. ამ შემთხვევაში ილიას შემოსენებული თქმა ჩვენს ყურადღებას ბელინსკისავე მიმართავს.

ტიპიურობის შესახებ სწორედ ბელინსკი იყო პირველმთქმელი იმისა, რაც აქ ილიას აქვს შოთას ტიპების გამო გამოვლინებული.

მაგრამ ხომ შეიძლება, რომ პოეტი ვერ აცდეს უბრალო პორტრეტულობას ვერ შეიჭრას განზოგადების სიღრმეში და ეთნოგრაფიკულობის ვიწრო კალაპოტში ჩაჩჩეს?

შეიძლება. და როგორც ჩანს. ამგვარი პოეტები შოთას დროსაც ყოფილან. სწორედ მათ შესახებ აქვს მას გამოკვეთილი:

მეორე ლექსი ცოტა. ხაწილი მოშაირეთა.
არ ძალ-უც სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგვირეთა,—
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
და დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქეს ხოცა ნადირთა მცირეთა.

(16)

მამასადამე, ამგვარი პოეტები ყოველთვის, ყოველ დროს ყოფილან, მაგრამ ისინი და შოთა დიად შორიშორ არიან: შუა უზის დიდი მზღვარი! ილიამ იცის ეს და ამიტომ, რომ ამბობს:
„ვიწრო მოედანი მართო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორც რუსთაველია“.

IV

ილიას არც შემდეგშიაც დაუკლია „ვეფხისტყაოსნისათვის“ თავისი სამართლიანი მზრუნველობა.

„ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევენ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავეუთმობთ“ (198). ასე დააბოლოვა ილიამ თავისი წერილი აკაკისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და არ გასულა მცირე ხანი და მას ისევ მოუხდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერა.

1889 წ. რუსულ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში“ დაიბეჭდა ივ. ჯაბაძის წერილების მთელი სერია: *Письма о Гречанин*, სადაც საქართველოს წარსული კულტურა უმკვეთეს ტენდენციურობით და უარყოფითად იყო დახასიათებული, კერძოდ „ვეფხისტყაოსანი“.

თავდაპირველად წერილი ჯაბაძარძა ილიას უჩვენა, წაიკითხეთ და თქვენი აზრი მითხარითო. აი, რას გადმოგვცემს ამის შესახებ იაკობ მანსვეტაშვილი თავის მემუარებში: „სტატია კარგი ლიტერატურული ენით იყო დაწერილი, ხოლო რაც შეეხება მისს შინაარსს, აქ კი ბევრად მოიკოჭლებდა, არ იყო დაცული ისტორიული სინამდვილე. ვერ შეეგნო ავტორს რუსთაველის გმირების სულისკვეთება, გულის ძგერა, მათი საქციელი, ისტორიული ეპოქის შესაფერად. ის უყოყნებდა ნესტანდარეჯანს, ტარიელს — პასივობას, უძრავად გულხელდაკრეფილ ჯდომას ერთ ალაგას, განუწყვეტელ ჩივილს, წუწუნს და ცრემლის ღვრას.“

ილია თავისებურად გაცხარდა და გაცეცხლებულმა უთხრა: არა, ბატონო ივანე, ჩვენ ვგრე ადვილად ვერ დავითმობთ რუსთაველს. დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთახედვის ისრით (იგულისხმება სკაბიჩევსკი) ვერ განიზომება „ვეფხისტყაოსანი“. ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა, რუსული კრიტიკის ზენა-ქვერული ნავარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან უბირველეს ყოვლისა უნდა შეითვისოს იგი არა ჰკუთით მხოლოდ, არამედ გულითაც. უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩაწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს

ნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ნამდვილი სულისტყმა, მისი რწმენა. მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა“ (მოგონებანი, გვ. 93).

ჯაბადარმა ეს წერილები. როგორც ვთქვით, „სევერნი ვესტნიკში“ მოათავსა.

ქართველ საზოგადოებაში წერილებმა უდიდესი აღელვება გამოიწვია. ილიამ დიდი და დასაბუთებული პასუხი გასცა ჯაბადარს (წერილები მთელ წიგნს შეადგენს და სახელად „აი ისტორია“ ეწოდება). სხვა გაზეთები დადუმდნენ. დუმდა რუსული „Новое Обозрение“-ც, რომლის სელმძღვანელად ნ. ნიკოლაძე ითვლებოდა. ბოლოს ამ გაზეთმაც ამოიღო ხმა: ნ. ნიკოლაძემ მოათავსა რამდენიმე წერილი — „Византийские слухи“-ს სახელწოდებით. ნიკოლაძემ საშუალო, ასე ვთქვათ, გენერალური ხაზი აიღო: ჯაბადარი ფეხქვეშ მოიკიდო, მობეგვა, გაანადგურა, მაგრამ წვიპურტები არც ნაციონალისტებს დააქლო.

აი, რას წერდა ნიკოლაძე:

В грузинском обществе смятение: нашелся „печетливец“, усумнившийся в самобытности Шота Руставели, твора „Барсовой Кожи“. Сомнения свои сей заазазаский „Герострат“ изложил (о, ужас!) на русском языке и предал тишнению в либеральном „Северном Вестнике“ под заглавием „Письма о Грузии“.

შემდეგ ნიკოლაძე კვალდაკვალ მისდევს ჯაბადარს, ამხელს მას საქართველოს წარსულის არცოდნაში, კერძოდ ლიტერატურული საკითხის უვაცობაში. სიუჟეტისა და ნაწარმოების, ქარგისა და მხატვრული სახეების გაურკვეველობაში და სხვა და სხვა; მოკლედ: გამოთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იშვიათ საღ აზრებს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მაგრამ ილია მინც ეკვეთა ნიკოლაძეს: მას არ მოეწონა ნიკოლაძის მათრახები: „საქმე იმაზეა აქ შემდგარი, რომ „Письма о Грузии“-ს ავტორი გადაჰკიდებია რუსთაველს, ჰლამის ვირზე პირუკულმა შესოს და კული ხელში დაჰჭერინოს—ამ აქამდე ქართველთაგან თაყვანისცემულ კაცსა“ და იმის მაგიერ, რომ კრიტიკოსს შეუტეოს, „Новое Обозрение“ ერთსა და იმავე დროს თვალუყოფს მგმობელსაც და მოსარჩლესაც, მტერსაცა და მოყვარესაც, შორეულსა და მახლობელსაც ერთმანეთზე წასაქვებლადო.

თავის წერილში ნ. ნიკოლაძეს ერთი ადგილი აქვს: არა აქვს არავითარი მნიშვნელობა იმას, თუ საიდან აიღო შოთამ სიუჟეტი თავის ნაწარმოებისათვის. თუ „ვეფხისტყაოსანი“ მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში საცნობო წიგნი იყო საქართველოს ყველა კუთხისათვის, то книга становится документом для суждения о народе, ее присвоившем и ею проникшемся. სწორედ ამ სიტყვას, ამ დოკუმენტს ეკვეთა ილია: ნუთუ „ვეფხისტყაოსანი“ მარტო დოკუმენტია, მარტო მშრალი პროტოკოლია და სხვა არა რაო?

აქ ეგ თქმა ილიას შეხედულების ანარეკლია მხატვრული ნაწარმოების შესახებ: იგი, კეშმარტი მხატვრული ნაწარმოები, არ არის მარტოდენ ფაქტი. არ არის „ორჯერ ორი არის ოთხი“, არამედ ბევრით მეტი და ბევრად მეტი.

უკანასკნელ ილია „ვეფხისტყაოსანს“ შეეხო თავის „ქვათა ლაღადში“. წყლილი მიმართულია მაშინ ახალგაზრდა. დამწყები მეცნიერის ნიკო მარის წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით ნ. მარის პირველი წერილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ 1892 წელს დაწერილი. რას ამბობდა ნაშინ ნ. მარი? „მე სრულ ქვემარტივად მიმაჩნია რუსთაველისევი სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ამბავი უნდა გაეღეკოს. რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გააგრძელა ან შეამოკლა, ამაზე სჯამბოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რას იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავო“.

წერილმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ნ. მარს ევ თქმა არ აპატიეს და შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრი რამ, მართლაც უცხო და მარგალიტი თქვა შოთას შესახებ. ყველაფერს ივიწყებდნენ და «ძველი ნაღზობივით» დიდი მეცნიერის მხოლოდ ამ პირველთქმას, ახალგაზრდობის პირველთქმას იგონებდნენ.

მოგვიანებით პოლემიკაში ილიაც ჩაება.

[ბატონმა მარმა] „კარგა ხანია რაც დაიქადნა, რომ დამაცადეთ ევ თქვენი რაღაც „ვეფხისტყაოსანია“, სულ თავზე დაგაფხრეწთო. ინგლისში ერთი მანუსკრიპტი შეგულდება, იმას ვიპოვი და დაგიმტკიცებთ, რომ იქიდან არის ევ ნათარგმნი ან გადმოღებულიო. ვაი, ჩვენო თავმოსაწონებლო რუსთაველო! თურმე ქურდი ყოფილხარ და სომეხთა მეცნიერთამებრ სხვისი შენად გაგისაღებია. ჩვენ კი რა დიდებულ კაცად მიგიჩინეთ, შენს სახელს შეეხაროდით. ბ-ნი მარი, რომელიც. ვითარცა დიდგულა მეცნიერი, შუბლზე ბუზსაც არ ისჯამს, უბრალო სიკვდილის შვილი ხომ არ არის, ტყუილად დაიქადოს რამ და არ იცოდეს, რომ „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს“. დაიქადა და აკი... აი. ის დღეა და ეს დღე, მას აქეთ შეიდი-რვა თუ არ მეტი წელიწადი გავიდა. მაგრამ ქადილი ქადილად დარჩა. ბატონმა მარმა კარგად იცის, რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“. კარგად იცის, რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასატეხი ვისმე რამ უნდა. უკეთესი იქნება აქედან დაგვცხოს, აქედან შეგვივგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენი სახელისა და თავმოწონებისა. თუ არ ამან, სხვა რა გულთაძვრამ უნდა აგვისხნას ეს ამისთანა თავდაუტყერავი მუქარა და ქადება მეცნიერისა, ფსიქოლოგიურად რომ ჩაეუკვირდეთ?

„რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს. მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აილოს და მთელს ერს. მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი შეუბღალაო, იგი თითქმის წმიდათაწმინდა, რომელსაც შევიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლივ შესტრფის და შეჭხარის, შეურაყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სულა და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი... რა საკადრისია! კიდევ ვიტყვი ამისი საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ეინ რაღას

ეტყვოდა. მართალს წინ რაღა დაუდგებოდა. მაშინ თუმცა შეეწუხდებოდით, მაგრამ მაინც პატივისცემითა და მოწიწებით თავს მოვიხრიდით მართლის წინაშე. საქმე ის არის, რომ ჭერ საბუთი არ ენახა და ან რას ნახაედა, რაც არ არის, და მაინც დაიქადა: მე ესე მომელანდაო. სიზმარში ენახეო. რომ ინგლისში ამისთანა საბუთი არისო. თუ ეს მართლა სიზმარში მოლანდებული არ არის, მაშ რა იქნა იგი ქადებული საბუთი? -- რამ ჩაყლაპა? თუ იგი საბუთი არ აღმოჩნდა, ის პატიოსანი, ყოვლად ღირსეული თვისება კემშარტ მეცნიერებისა სადღაა, რომ თქვას: შევეცი და ვინანიო. განა რომ „სოფლის ჩადიშა მჯდომელი სოფელსავითვე ქრელია“. განა რომ „ბუისგან ნუ გამოეყო ბოლო-კარკაზის ბუდესა“. მოდით და გულზე ნუ მოხვალთ, ამისთანა თავგასულ ღ: შეუწანებელ საქციელისაგან. ვშიშობთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: ნუთუ ამისთანა ქედმაღალმა მეცნიერმა, როგორც მარია, თვითონ რომ ჰკითხო, მართალი არა თქვა? და თუ არა თქვა -- რას გვემართლებოდა? რად დაიქადა ასეთის ქადებულის რიხით და თუ დაიქადა, რად არ აასრულა ქადებული? -- რა ანგარიშია, რომ ლამის ხელიდან გამოგვაცალოს ჩვენი საუნჯე და ამისათვის ცარიელ მუქარის და ქადილის დალაბრებული, პირგადალეკილი ხმალი მოგვიღერა: ვისთვის და რისთვის ირჩება, რომ ასე უსაბუთოდ გვეტანება და ხელიდან გვაცლის ჩვენს „ვეფხისტყაოსანსა“? ვის შერქმია თვალში ეკლად ეს ქართულების ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარი, რომ ბ-ნი მარი აგრე თავზე ხელადებულად იღწვის ამ ეკლის გამოღებისათვის? ყოველივე ეს თქვენ გამოიცანით და ჩვენ კი დიდი ხანია ვიცით. რომ „ხარი ხართან დააბი. ან თერს იცვლის, ან ზნესაო“ (გვ. 57--61).

წერილი ძალზე პოლემიკურია, მთლიანად გაყენებულია პოლემიკით. მას რომ ეს მომენტები ჩამოვაცალოთ და აუცილებლად უნდა ჩამოვაცალოთ, რადგან ნ. მარს ოდნევადაც არ ჰქონია აზრად თავისი ამ ძიებით ქართველთა დამცირება, -- მაინც შემდეგი დარჩება: „ვეფხისტყაოსნის არაქართულობის დამტკიცებისათვის სათანადო საბუთები ისაა საჭირო. ზეპირად ამის დადგენა არ შეიძლებაო“.

ვინ იყო მართალი? ილია თუ ახალგაზრდა მარი? -- ამ წერილის შემდეგ დიდი დრო გავიდა, ოთხ ათეულ წელზე მეტი. ამ ხნის განმავლობაში ნ. მარი არა ერთხელ შეჰხებია „ვეფხისტყაოსნის“ საკითხს. ახალ მასალებზე დამყარებული, იგი თანდათან აუჩქარებლად იპყრობდა პოზიციას პოზიციასზე ამ ხაზით და, საბოლოო ანგარიშში „ვეფხისტყაოსანი“ სავსებით დამოუკიდებელ ნაწარმოებად იცნო. ეს განსაკუთრებით ჩანს ცნობილ წერილში, რომელიც მან გამოაქვეყნა ფრანგულად 1928 წელს (ახლა რუსულადაც არის). აქ ნ. მარი გადაჭრით ლაპარაკობს, რომ თეორია გადმოღებისა და უცხო წარმომშობ ძალებისა დაინგრა, როგორც ქვიშაზე აგებული: „ვეფხისტყაოსანი“ დამოუკიდებელი ნაწარმოებიაო: „ვეფხისტყაოსანი“ დამოუკიდებელი ორიგინალური ნაწარმოებია და ყოველგვარი ცდა მისი უცხოურიდან წარმოშობის მტკიცებისათვის ამაოა.

აბა. გავიხსენოთ. რას ამბობდ. ილია ნაწარმოების ორიგინალურობის შესახებ? „ვეფხისტყაოსანი“ ქართველების ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სასსოფარია, რომელსაც მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული. შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა ოვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი; გრძნობანი...

შეუძლებელია, წარმოუდგენელია ნაწარმოების მეტი ხორცის ხორცთაგანობა და სისხლის სისხლთაგანობა მის წარმომშობ კოლექტივისაგან. იგია ჩვენი ცრემლი და სიხარული, ჩვენი სული და გული. ჩვენი უკეთესი ფიქრი, ზრახვა და გრძნობაო.

ამიტომაცაა იგი ყოვლის დამოუკიდებლის უფრო დამოუკიდებელი და ყოვლის ორიგინალურის უორიგინალურესი. რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ:

ა. ილია „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი მცოდნე და დამფასებელი ყოფილა: მას დროის შესაფერისად მომარჯვებული აქვს საღი კრიტიკის კალამი; იგი უეჭველად საგულისხმ.ო, ბევრ რაშიმე დღესაც მისაღებ აზრებს, ენობრივად იშვიათად მოკვეთილი და მკაფიო ფორმებით, აწვდის მკითხველ საზოგადოებას.

ბ. ილია ერთი პირველთაგანია, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობას.

გ. დიდი მხატვარი ილია ამავე დროს დიდი კრიტიკოსიცაა: ამ მხრივ იგი თავისი დროის ყველა კრიტიკოსზე მაღლა დგას. „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გამოთქმული მისი აზრები, აქ ზოგადად მარტოოდენ მოხმობილი. ამ დებულების უცილობლად დამამტკიცებელია.

1936 წლის 17 სექტემბერი.
თბილისი.

ენიმკის „მოამბე“. ტ. XIV, 1944 წ.

„შერისა“ და „შიშერის“ გაგებინათვის „ვეფხისტყაოსანში“

საკითხი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობის მესამე სტროფს, როკელიც ტრადიციულად ასე იკითხებოდა:

ვის პშენის,—ლომსა,—ხმარება შუბისა, ფარ-შიშერისა,
—შეფისა შზის თაშარისა, ლაწე-ბადახშ, თმა-გიშერისა, —
მას, არა ვიცი, შეეკადრო შესხმა ზოტბისა, ხ შ ი რ ი ს ა
და მისთა მკერტელთა ყანდისა მირთმა ხაშს მართ მ შ ი ე რ ი ს ა.

(3)

აქ მესამე და მეოთხე სტრიქონებში მორითმავე სიტყვები ყოველთვის ექვს იწვევდა. სტროფი დაბალი შაირითაა გაწყობილი, მაშასადამე, რითმაც სამმარცვლიანი უნდა იყოს, რაც საყრდენ თანხმოვნინანდ იქნება შ ე რ ი ს ა. მესამე სტრიქონში კი, ამის ნაცვლად, იყო შ ი რ ი ს ა, რაც აშკარად ეწინააღმდეგება კლასიკური პოეტიკის კანონებს.

რაც შეეხება მეოთხე სტრიქონს, აქ მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იყო: ნაცვლად შ ე რ ი ს ა გვქონდა შ ი ე რ ი ს ა, რაც უცილობლად არაჩვეულებრივი დამახინჯების შედეგი უნდა ყოფილიყო. ასე იკითხებოდა ეს ადგილი ხელნაწერებში, ამგვარსავე დამახინჯებათ ვემოწმებოდით ჩვენ დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანშიაც“.

პირველი მკვლევარი, რომელმაც ყურადღება მიაქცია მესამე სტრიქონის რითმის მოუწესრიგებლობას, ესპისკოპოსი კირიონი იყო. დაახლოებით ორმოცი წლის წინათ, სახელდობრ, 1904 წელს, მან ჟურნალ „მოამბეში“, № 5, მოათავსა „ვეფხისტყაოსნის შესამოწმებელი მასალა“, რომელშიაც, ერთი ვარიანტის მიხედვით, ნაცვლად უმართებულო ხ შ ი რ ი ს ა, მოგვცა წაკითხვა შ ე რ ი ს ა და სათანადოდ დაასაბუთა ამ წაკითხვის უპირატესობა.

1910 წელს ამავე საკითხს შეეხო აკად. ნ. მარი. მან თავის შრომაში „Вступительные и заключительные строфы Витязя в царской коже“ ენერგიულად გაილაშქრა ხ შ ი რ ი ს ა წაკითხვის წინააღმდეგ და უპირატესობა კვლად შ ე რ ი ს ა სიტყვას მიაკუთვნა.

1911 წელს ქუთაისში ჩვენ ჩაგვიყარდა ხელთ მრავალმხრივ საგულისხმო ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა, სადაც დამახინჯებულ ხ შ ი რ ი ს ა სიტყვის მაგიერ შ ე რ ი ს ა იკითხებოდა. ამ საკითხს ჩვენ ვუძღვევით საგნის სათანადო მიმოხილვა და კომენტარი¹.

აქედან მოყოლებული უკვე ყველა გამოცემაში ნაცვლად ხ შ ი რ ი ს ა იკითხულობთ შ ე რ ი ს ა (ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, დ. კაროჭაშვილი).

ამრიგად, მესამე სტრიქონი რითმის მხრივ მოწესრიგდა. დარჩა მხოლოდ მეოთხე სტრიქონის ბოლოკიდური მ შ ი ე რ ი ს ა.

პირველი მკვლევარი, რომელიც შეეცადა ამ სიტყვის მაგიერ მოეცა სხვა წაკითხვა, აკად. ნ. მაჩი იყო. მან სადავო სტრიქონი შემდეგნაირად წაკითხა:

შ მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ და შერისა.

მარის ეს შესწორება უფრო ხელაუნური იყო და ნაკლებად, ანუ უკეთ, სავსებით არაღამაჯერებელი. შ ე რ ი სპარსული სიტყვაა და რძეს აღნიშნავსო, და მთელი სტრიქონი მან ასე სთარგმნა: (Вонстину, иширающие на него невошьно иквашат сахар и молоко).

თავდაპირველად: შეუძლებელია მართ სიტყვისა და მომდევნო სიტყვის (შერისა) და კავშირით გადაბმა: მართ და შერისა. თითქოს „მართ“ და „შერისა“ თანაბარი გრამატიკული კატეგორიების სიტყვები იყოს. მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ ასჯერ მაინც გვხვდება ზმნისართი მართ და არც ერთხელ არა გვაქვს მარისებური ხელოვნური, უთუოდ არასწორი, შესიტყვება მართ სიტყვისა სხვა სიტყვასთან.

შემდეგ: შერი სპარსულად რძეს აღნიშნავს, მაგრამ არსად ქართულში იგი არ იხმარება, ყოველ შემთხვევაში, შოთასთვის იგი უცნობია.

დასასრულ: შეუძლებელია მეოთხე სტრიქონში იყოს კომპლექსი და შერისა. ეს რომ აგრე ყოფილიყო, გადამწერს არ ექნებოდა შესაძლებლობა გადაემახინჯებინა იგი მ შ ი ე რ ი ს ა დ. უთუოდ სიტყვაში „მ“ ბგერა არსებობდა.

მართლაც, იმავე ქუთაისში 1912 წელს აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელშიაც ნაცვლად მ შ ი ე რ ი ს ა იკითხებოდა მი შ ე რ ი ს ა.

უკვე ყველაზეათვის აშკარა შეიქნა, რომ თავდაპირველი ბოლოკიდური სიტყვა ამ სტრიქონისა არის უთუოდ მი შ ე რ ი ს ა, მაგრამ გადამწერს ვერ გაუგია მისი მნიშვნელობა, გაუაზრებია იგი როგორც მ შ ი ე რ ი ს ა და კიდევაც შეუცვლია მით.

ამრიგად, მეოთხე სტრიქონის სწორი წაკითხვა უნდა ყოფილიყო ასეთი:

შ მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მიშერისა.

მკვლევრებმაც ეს წაკითხვა უცილობლად მიიღეს და ამგვარად, მესამე და მეოთხე სტრიქონთა რითმის საქმეც სავსებით მოწესრიგდა.

¹ ე.ე. ბერიძე. ვეფხისტყაოსნის ახალი ვარიანტი.—„კოლხიდა“ № 111. იბ. ზემოთ, 55-1-6.

მეგრამ რითმა — ეს ლექსის ფორმალური, უკეთ. ფორმის მხარეა. სიკუ-
რო იყო თავდაპირველად ამ სიტყვათა შინაარსის გაგება. რადგან სწორედ ამ
შინაარსის გაუგებლობამ იყო, დამახინჯება რომ გამოიწვია. და იწყება მე-
შაობა ამ მხრივ.

როგორ ესმოდა ე. კ. შერისა? იგი ამ სიტყვის საბას განმარტე-
ბას ემყარებოდა და ამბობდა: „შერის არის რჩეული (ლექსი)... სიტყვა
შერისა რომ ვინმართ ამ ტაეპში დაბეჭდილი სიტყვის მაგივრად, მაშინ
ნამდვილი რითმა იქნება და ამასთანავე მივიღებთ უფრო მაღალ აზრს. რად-
გან ხ შ ი რ ი უჩვენებს მრავლობას, რაოდენობას, ხოლო შ ე რ ი კ ი ლ ი რ -
სებასაო...“.

ამრიგად. ე. კ. გაგებით მთელი სტრიქონის აზრი შემდეგი იყო: მას, არა
ვიცი. შევჰკადრო შესხმა ხობისა რჩეულისა.

ე. კ.-ის შემდეგ ბევრი მკვლევარი შეეცადა ამ სიტყვის სხვაგვარად გა-
რკვევას.

რა აზრს აქსოვდა ამ სიტყვაში აკად. ნ. მარი? ნიკო მარს შერი მიანდა
არაბ. شعر -ის ქართულ წიგნურ გადმოცემად, როგორც პარალელი ქართუ-
ლი ხალხური შაირისა და მთელ სტრიქონს ასე ჰკითხულობდა:

მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხობისა, შაირისაო.

როგორ კითხულობდნენ და მარტავდნენ სადავო სიტყვას დანარჩენი რუსთვე-
ლოლოგები და როგორაა ეს სიტყვა მიღებული საიუბილეო გამოცემაში? აჰ
სადავო სიტყვა ორადაა გაკვეთილი: შე, რისა. შე შევჰკადრო და
შესხმა ზმნების შე- პრევერბის განმეორებაა, და ეს გარემოება ალიტერა-
ციის მოთხოვნებიტაა გამოწვეული; ხოლო მეორე — რისა ნათესაობი-
თი ბრუნვაა რა ნაცვალსახელისაო:

მას, არა ვიცი შევჰკადრო შესხმა ხობისა, შე, რისა. ე. ი.

მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხობისა, შე (სხმა) რისაო.

არ არის სწორი! ალიტერაციისათვის სრულიად არაა საჭირო, რომ სი-
ტყვა ხელოვნურად გაიკვეთოს. და თანაც თანხმოვანთან ერთად მას ხმოვანიც
გამოეყოს. თუ ამით იმის თქმა უნდათ, რომ გაკვეთის შემდგომაც(და რჩა და-
მოუკიდებელი სიტყვა რისაო, მაშინ, რატომ ორი პირველი ზმნაც არ გაკ-
ვეთეს აგრე: შე ვჰკადრო, შე სხმა? კიდევ უფრო დამოუკიდებელი. მთლიანა
შინაარსის მატარებელი სიტყვები მიიღებოდა: ვჰკადრო, სხმა! არა!
გაკვეთა აქ არაფერ შუაშია და არცაა საჭირო!. გაკვეთის უმისოდაც ალიტერა-
ცია თავის პოზიციაზეა და შესანიშნავად ასრულებს თავის დანიშნულებას:
სისტემატურად მეორეებული შბგერა სათანადოდ აძლიერებს მხატვრული სა-
ხით მოცემულ შთაბეჭდილებას, და სიტყვის გაკვეთა შე- პრევერბის შემდეგ
დარჩენილ რისა სიტყვის ძალას ანელებს, და მხატვრული სახეც დაშრეტო-
ლი და მლივი გამოდის. რატომ? იმიტომ, რომ მარტო ბგერის (თანხმოვან) სის-

ტმატური განმეორება ვერ ჰქმნის მუსიკალობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ბგერა განმხოლოებულია. ბგერას სიტყვაში და მხოლოდ სიტყვაში ენიჭება ძალა და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სიტყვა სათანადოდ აღვიწვავთ და სათანადოდაა შესიტყვებული სხვა სიტყვასთან.

თავის ამ ოპერაციის სასარგებლოდ ეს მკვლევარნი ლაპარაკობენ, რომ შოთა კითხვისა და ძახლის წინადადებაში ხშირად ხმარობს ნაცვალსახელს სხვადასხვა ბრუნვაში; აქაც ამგვარივე შემთხვევა გვაქვსო.

ჭ რ ე რ თ ი: რუსთაველს სულ რამდენჯერმე და არახშირად აქვს ნახმარი რა ნაცვალსახელი ჩვენთვის საინტერესო ნათესაობით ბრუნვაში.

მ ე ო რ ე ც: მართო კითხვა და ძახილი აქ თავისთავად ვერაფრის გადამწყვეტელია, თუ კითხვისა და ძახლის მატარებელი სიტყვები უადგილო აღვილასა დასმული. მთავარი აქ ის პოზიციაა, რომელზედაც დგას ესა თუ ის სიტყვა. მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს სიტყვა მისი ბუნებისადმი განკუთვნილ თვისებას, მხოლოდ მაშინაა იგი თავისი დანიშნულების ნათლად შემსრულებელი.

ასე —

გამოგება ტარიელ, ჰმართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო, შუქთა მოპყენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა აღვისა ხეცა ვარგიყოს ხედ არად,
და ჰგანდეს შეიღთავე მნათობთა, სხეადმცა რისად ვთქვი მე
და რად!
(281)

აქ რისა ნაცვალსახელის როლი და სამსახურებრივი დანიშნულება გარკვეულია: რა ნაცვალსახელი, სათანადო ბრუნვაში დასმული, კითხვის გამომხატველია და მთელი სიმძიმე აზრისა მას აწევს და მხოლოდ მას.

შემდეგ:

სხვა გიამბო საკვირველი რიღისა და ყაბაჩისა;
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოთა და ძვირფასისა,
მაგრა მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რაგვარ რისა:
და სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე—ნაქედისა.
(1149).

მაგრა მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რა გვარ, რისა. აქ ალიტერაციულად გაწყობილი ბგერები თანდათანობით აძლიერებენ მხატვრული სახის შთაბეჭდილებას. რატომ? იმიტომ, რომ მოალიტერაციე ბგერების მატარებელი სიტყვები სათანადო გრადაციული წესითაა გაწყობილი.

კიდევ:

ადგა, ამყვა, და წავედით, შეველენით კარნი სრისანი.
უსენ გაკვირდა, გა-ცა-კრთა. რა შუქნი ნახნა მზისანი;
თქვა: „რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ რისანი?
და თუ ხორციელი არისმცა, თვალნიმცა ზრისხვენ ღმრთისანი!“
(1155)

აქ კიდევ უფრო თვალსაჩინოა მოალიტერაციე ბგერების შემცველ სიტყვათა თანდათან ზრდა და ბოლოს განტვირთვა მათი განსაკუთრებული ძლიერებით.

რა მიივწე. რა ვნახე. რანა. ნეტარ რისანი?

რა ქმნის აქ სტრიქონის ძლიერებას? განა მარტო სისტემატურად მეორე-ბული „რ“ ბგერა? არა! მარტო ბგერები უკმარია სათანადოდ გამართონ სტრიქონი! მეტიც: ერთგვარი თანხმოვნები აქ მეორეული ძალაა. ძირითადი მნიშვნელობა აქ სიტყვათა თანდათანობით, ასე ვთქვათ, კიბურად ახეივებას აქვს ისე, რომ მეორეში ჩნდეს მოცემული აზრის მეტი ძლიერება, ვინემ პირველშია. მესამეში კიდევ უფრო მეტი, ვინემ მეორეშია და ასე ბოლომდე. მაშინ სიტყვასთან ერთად ერთგვარი თანხმოვანი ბგერებიც კონდენსირდება და საერთო სურათს აძლიერებს.

აბა, ახლა დავეუბრუნდეთ მესამე სტროფის სადავო სტრიქონს და წავიკითხოთ იგი ისე, როგორც კითხულობს ამას ზოგი რუსთველოლოგი და როგორც უკანასკნელად ეს მიღებულია საიუბილეო გამოცემაში:

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა. |

ე. ი. მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა, შე(სხმა) რისაო. რა პოზიცია უჭირავს აქ ხელოვნურად გამოკვეთილ რისა სიტყვას, რომელსაც აძლევენ მაინცდამაინც ნაცვალსახელის როლი იტვირთოს?

მართალია, იგი სტრიქონის ბოლოშია, მაგრამ მისი პოზიცია აქ ძალზე სუსტია, არავითარი აქტიურობის გამოჩენა მას აქ არ შეუძლია. რატომ? იმიტომ, რომ იგი აქ დასმულია კონკრეტული სახელის, არსებითი სახელის, სახელდობრ, ხოტბა სიტყვის შემდეგ, რომლის გაძლიერება მას უკვე აღარ შეუძლია, რადგან იგი გაუპიროვნებულადაა მოცემული. ამიტომაცაა, წელში რომ გატყდა მთელი სტრიქონის ძლიერება, ამიტომაცაა, სრულიად განილია და არარად იქცა პოეტის მხატვრული სახე!

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა, შე(სხმა) რისაო, როგორ თუ რისა? თუ შესხმა ხოტბისაა, მაშინ შესხმა რისა უადგილოა. პირიქით, აქ სტრიქონის ყოველი სიტყვა მეზარდი ძლიერებით უნდა ხატავდეს ხოტბის სიდიადეს. მაშასადამე, ხოტბისა სიტყვას შემდეგ არა გაუპიროვნებულნი ნაცვალსახელი რისა, რომელსაც აზრი თანდათან დაშრეტისაკენ მიყავს, არამედ აუცილებლად ხოტბის ან სინონიმი, როგორც მისი გამაძლიერებელი, ანდა: ხოტბის ატრიბუტი, კვალად მისი განსაკუთრებულობის მაუწყებელი. და სადაც ეს პირობა არაა შესრულებული, ე. ი. სადაც რისა არაბუნებრივი წარმოშობისაა, არამედ ხელოვნურად გამოკვეთილი, იქ ყოველთვის სტრიქონი გატეხილი იქნება და მთელი სტროფიც ძალასა და აზრს დაჰკარგავს.

სწორედ ასეთი ხელოვნურად გაკვეთის შედეგად, წმინდა ფორმალისტური ოპერაციის შედეგად, ჩვენ გვაქვს ერთი სტროფი სავსებით ულახათო და ბუნდოვანი, ყოველ შემთხვევაში, გრამატიკულად კოპლი და მხატვრულად

სუსტი. აქაც იმავე რისა სიტყვის ხელოვნურად შექმნას შეეწირა მსხვერ-
პლად ნათელი აზრი. ასე ---

რა დაასრულა ამბავი, საქმე მისისა ჳირისა,
ნახვა მის მზისა ნათლისა. მის თვალად არ ღუბჳირისა,
ეჲმა, უქეს ვარდისა ხელი. მძლედ დანაჲჳირისა:
და ეგე კჲა სიმხნე სიმხნისად. რადგან ხარ მამხვე ჳირისა.
(691).

ასეთი იყო ამ სტროფის უკანასკნელი სტრიქონის ტრადიციული წაკითხვა
და უეჭველად სწორი, ე. ი. სავსებით საკმაოა შენი სიმხნისათვის, რადგან შენ
ხარ დამამხობელი ჳირისა, ანუ მამხვე ჳირისა, და მხოლოდ იმიტომ, რომ
ერთსა და იმავე სტროფში არ შეიძლება ორე ერთგვარი შინაარსისა და ფორ-
მის (ჳირისა) სიტყვის ხმარებაო, ჳირისა ხელოვნურად გაჲვეთეს, მას ჳი
მარცვალი ჩამოაშორეს. მამხვე კი მომხვე-დ გადააჲეთეს, მიაწებეს
ჳი მარცვალი და საბოლოო ანგარიშში მივიღეთ: ეგე კჲა სიმხნე სიმხნისად,
რადღა ხარ მომხვეჳი რისა! სრულიადი შეუსაბამობა და გაუგებრობაა!

თუ სიმხნე გამოიჩინე. მაშინ როგორ შეიძლება განუსაზღვრელად ლაჲა-
რაჲი, რომ ხარ მომხვეჳი რისა? რისა, თუ აუცილებლად კონკრეტულად
უნდა იყოს დასახელებული. რისაც მომხვეჳი ხარ? მაგრამ საქმეც ისაა.
რომ აჲ არავითარ მოხვეჳაზე არ არის ლაჲარაჲი, არამედ: შენ, აჲთანდილ, დიდი
გმირობა გამოიჩინე, დავალებული საქმე შეასრულე და ჳირი დაამხეო: ეგე
კჲა სიმხნე სიმხნისად, რადგან ხარ მამხვე ჳირისა.
აჲ სიმხნე უპირისპირდება ჳირის, ბოროტების დამხობას.

ასე იცის სიტყვის ხელოვნურად გაკვეთამ, მეტისმეტმა ფორმალიზმმა.

მასასაღამე, შერისა ერთი სიტყვაა და არა შე რისა ორი სიტყვა.
შე რისა რომ ერთი მთლიანი სიტყვაა, განუკვეთელი, ამას, სხვათა შორის,
ისიც ამტკიცებს, რომ სწორედ ერთიანი სიტყვის არსებობამ მისცა საშუალე-
ბა გადამწერს დაეწერა კვალად ერთი სიტყვა ხ შ ი რ ი ს ა: სიტყვა რომ ორად
ყოფილიყო გაკვეთილი შე რისა. მაშინ შეუძლებელი იქნებოდა, ყოველ
შემთხვევაში, ძნელად დასაშვები, რომ გადამწერს იგი ერთით შეეცვალა.

მეტყველების რომელი ნაწილი უნდა იყოს შე რისა: არსებითი სახე-
ლი თუ ზედსართავი? თუ ამ სიტყვას მივიღებთ, როგორც ხობტის განსაზღ-
რებას, მაშინ იგი იქნება ზედსართავი: ხობტისა როგორისა? ხობტისა შერისა,
ე. ი. რჩეულისა. მაგრამ შეიძლება შე რისა მსგავსათა რაგავსაც ხობტის
სინონიმი, მისი გამაძლიერებელი. მაშინ იგი იქნება არსებითი სახელი: შესხ-
მე ხობტისა, შერისა. რომელია აჲ?

ვთქვათ, სინონიმი, ხობტის გამაძლიერებლად ნახმარი! მაგრამ სინონიმე-
ბის გაწყობასაც თავისი კანონზომიერება აჲეს. სინონიმები აუცილებლად უნ-
და გაიწყოს კიბურის, ე. წ. გრადაციული წესით. ამასთანავე, თუ პოეტს სურს

რამე ძირითადი აზრის გაძლიერება, ძაძინ იგი სინონიმებს გააწყობს აღმკე-
ლი გრადაციის წესით. და თუ, პირიქით, რომელიმე დებულების შესუსტება,
განლევა უნდა. მაშინ იგი მიჰმართავს ე. წ. დაღმავალ გრადაციას.

შოთას ორივე ეს ხერხი აქვს მომარჯვებული, იმისდა მიხედვით, თუ რა
მიზნობრივი განწყობა ამოქმედებს მას.

ასე - -

კვლ უბრძანა: „თავსა ჩესა, რას იცინი, რად დამგმო!“

ყმაძან ჰქარა: „მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო,

რაცა გჳადრო. არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ ვაწყუ-
რეო“.

(65).

ლაპარაკია როსტევანისა და აეთანდილის შესიტყვებაზე. გ ა რ ი ს ხ ე პ ა
უფრო მეტია, ვინემ გაწყრომა. აეთანდილმა მოახსენა მეფეს: მე რალაცას
გჳადრებ და შენ არ გარისხდე და არც ვაწყურეო. ამ შემთხვევაში
სინონიმები გარისხება || გაწყრომა დაღმავალი გრადაციის წესზეა გაწყობილი,
რადგან ამას საქმის ვითარება მოითხოვს: შეფეს სთხოვენ სრული სიმშვიდით
მოისმინოს აეთანდილის საუბარი-შესიტყვება.

სულ სხვა მდგომარეობაა მეორე შემთხვევაში, როდესაც ნესტანმა მოიზ-
მო ტარიელი და ტუქსავს მას დაღატისათვის, ხვარაზმშას მოსაყვანად სავაზი-
როდ რომ იჭდა და სათანადო ნებაც კი დართო ნესტანის მშობლებს.

ქვე წვა, ვით კლდისა ნაბარსა ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰქვანდა, არც მთვარე, ხე აღვა, ეღვშს ხებულო;
ასამომან დამსეა შორს-გჳარად. გულსა მე ლანჯარ-ხებულო;
და მერმე წამოჭდა წარბ-შერკმით. გამწყურალი, გარის-
ხებულო.
(522).

აქ სინონიმები შებრუნებითაა, რადგან საქირთა დაიხატოს სურათი ნეს-
ტანის რისხვის მეზარღობისა: წ ა რ ბ - შ ე რ კ მ ი თ → გ ა მ წ ყ რ ა ლ ი →
→ გ ა რ ი ს ხ ე ბ უ ლ ი .

ასეთია წესი სინონიმების გაწყობისა. ამასთანავე დატული უნდა იქნას
ერთი აუცილებელი პირობა: სინონიმებად უნდა გაიწყოს მხოლოდ ერთი ხა-
ზის, ერთი კატეგორიის ცნებები. შეუძლებელია კიბურად გაწყობა რომელიმე
გეაროენული ცნების გამომხატველი სიტყვისა: და მოს ევებრიო კერძო, სახე-
ბითი, იმავე ცნების მაუწყებელი სიტყვისა.

აბა, ახლა დავუბრუნდეთ შერი სიტყვას. როგორც აღვნიშნეთ, თუ მას
სინონიმად მივიღებთ, მხოლოდ მაშინ შეიძლება იგი ვიგულოთ არსებით სა-
ხელად, სუბსტანტივად, ამგვარად გაბგერებული ქართული სუბსტანტივი ჩვენ
არ მოგვეპოვება. გვაქვს მხოლოდ არაბული წარმოშობის სიტყვა شعر შ ა ი რ ი,
რომლის ქართული წიგნური გადმოცემა შეიძლებოდა ყოფილიყო შერი.
ლექისათვის ამგვარი ლიცენცია შესაძლებელია, შესაძლებელია, თუ მას საქ-

მის ვითარება მოითხოვს და სხვა გამოსავალი არაა. მაგრამ არის კი აქ ასეთი გამოუვალ მიდგომარეობა, ანდა: შეასრულებდა თუ არა ხელოვნური შერისა თავის დანიშნულებას, რომ იგი მართლაც ეხმარა შოთას? ვერა, ვერ შეასრულებდა! რატომ? იმიტომ, რომ სტრიქონი გვეუბნება: მას, არა ვიცი. შევკადრო შესხმა ხოტბისა... შემდეგი სიტყვა—სინონიმი, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს ხოტბის გამაძლიერებელი, მისი ჯანისა და ღონის მომცემი და ნაცვლად ამისა ჩვენ გვაქვს: მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა, შაირისა, ანუ ლექსისა.

ჯერ ერთი: აქ ხაზი გატეხილია: ხოტბა კერძო, სახეობითი ცნებაა და მისი გამაძლიერებელი ზოგადი, გვაროვნული ცნება, ამ შემთხვევაში, შერა-შაირი, ვერ იქნება. პირიქით: რამდენად დავიწროებულია ცნება, იმდენად იგი კონდენსირებულია, დაუნჯებულია და იმდენად მეტია მისი სპეციფიკური თვისება. შემდეგი მომდევნო სიტყვა კიდევ უფრო უნდა შევიწროვდეს, კიდევ უნდა დაზუსტდეს, რომ უფრო მაქსიმალურად გამოჩნდეს მასში ის განსაკუთრებული თვისება, რომელსაც პოეტი ხაზს უსვამს წინა სიტყვაში. ნაცვლად ამისა, რას მივიღებთ ჩვენ, შერი — შაირი თუ დავტოვებ?

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა, ლექსისა.

უკანასკნელმა სიტყვამ არამცთუ გააძლიერა ხოტბა, არამცთუ ხაზი გაუსვა მას, პირიქით, სავსებით გაანელა, გაუფერულა იგი. შესხმა არა ლექსისა საერთოდ, არამედ ხოტბისა, ხოტბისა განსაკუთრებულისა, უთუოდ რჩეულისა.

და ფსიქოლოგიურად წარმოუდგენელია, რომ პოეტმა იხმაროს ხელოვნურად გაკეთებული უცხოური სიტყვა შერისა, როდესაც მას ეგულება თავისი საკუთარი, მშობლიური შერი — რჩეული, რომელიც მას ყოველმხრივად აწყობს: როგორც ფორმალურად (რითმა), ისე არსებითად (შინაარსი).

ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართულს შერი სიტყვას, რომელიც რჩეულს აღნიშნავს. ეს ატრიბუტი სავსებით შეეფერება ხოტბას, მით უმეტეს, რომ მეოთხე სტროფშიაც ჩვენ გვაქვს იმგვარივე მხატვრული სახე:

ვთქვენი ქებანი ვისნი შე არავად გამოჩეულიო.

ამრიგად, მთელი სტრიქონი ასე უნდა გავიგოთ: მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა, ე. ი. რჩეულისა.

გადავიდეთ მეოთხე სტრიქონზე.

მისთა მკერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მიშერისა.

თავდაპირველად განვიხილოთ ეს წინადადება შინაარსობლივად, ე. ი. წინადადების წვერთა ფუნქციების მიხედვით.

რომელია აქ ქვემდებარე? აკად. ნ. მარი ქვემდებარედ მიიჩნევდა მკვრეტელთ და მთელ სტრიქონს ასე თარგმნიდა: *Вопитиу, взирающе на него нвольно вкушают сахар и молоко.*

აკად. კ. კეკელიძეც კვალად მკვრეტელს რაცხს ქვემდებარედ, მაგრამ აქვე ობიექტად მიიჩნევს ვიღაც მეფეს, რომელსაც მისმა მკვრეტელმა უნდა მიართვას შაქარივით ტკბილი ლექსებიო.

ამ წინადადებაში ქვემდებარეა მირთმა და მხოლოდ მირთმა, ხოლო შემასმენელი — ხამს. მასასადამე, ხამს მირთმა, ანუ ძველი ქართულით მირთმად. ვისთვის? მკვრეტელთა. მკვრეტელთა ბოლომოკვეცილი სიტყვაა. სრული მისი სახე იქნება მკვრეტელთად. ძველი ქართული ნორმა რომ ყოფილიყო, მაშინ გვექნებოდა: ხამს მირთმად მკვრეტელთად, ხოლო შოთას დროს ეს ნორმა უკვე დარღვეულია და გვაქვს ხამს მირთმა მკვრეტელთა, ანუ უფრო გვიანდელი ნორმა: ხამს მირთმა მკვრეტელთათვის.

ამრიგად, თანდათან ირკვევა სტრიქონის აზრი.

მისთა მკვრეტელთათვის ყანდის მირთმა ხამს... მაგრამ ჭერ წაეიკითხოთ და გავიგოთ ეს სტრიქონი ისე, როგორც იგი ესმის ზოგიერთ მკვლევარს. მკვლევარნი სიტყვას მიშერისა კვალად ორად ჰყოფენ, ე. ი. მასში კვალად იმავე ალიტერაციით გამოწვეულს მირთმა სიტყვის მი პრევერბის განმეორებას ხედავენ და დამოუკიდებელ სიტყვას შერისა.

მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მი(რთმა) შერისა. შერისა - სიტყვაში კი გულისხმობენ ჩვენს ცნობილ რჩეულს, ე. ი. ზედსართავ სახელს. შეიძლება თუ არა შერისა, თუ იგი დამოუკიდებლად დარჩა, მივიღოთ როგორც ზედსართავი? არა, არ შეიძლება! მისთა მკვრეტელთა მირთმა ხამს რისა?—ყანდისა. ყანდისა სუბსტანტივა. მასასადამე, მირთმა ხამს ობიექტად მოითხოვს აუცილებლად სუბსტანტივს. მაგრამ, თუ ჩვენ მიშერისა გავკვეთეთ და მი-პრევერბი ჩამოვაშორეთ, იგი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ პრევერბია, მაინც სრულფასეული უნდა იყოს და თავისი სამსახურებრივი დანიშნულება იმგვარადვე უნდა შეასრულოს, როგორც მთელმა მირთმა ზმნამ. და თუ ეს ასეა (და აუცილებლად ასეა!), მაშინ ჩვენ კვალად უნდა დავსვათ კითხვა: მირთმა ხამს რისა? (მხოლოდ რისა და არა როგორისა!), და რაკი ზოგი მკვლევრის აზრით შერი არის რჩეული (ზედსართავი), ის რისა კითხვაზე ვერ მიუგებს. აქედან ცხადზე უცხადესია, რომ შერის ჩამოშორება მიშერისაგან დაუშვებელია. მიშერი ერთი სიტყვაა, მონოლითური და მისი გაკვეთა ორად არასგზით არ შეიძლება.

მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ...

მაგრამ რა არის მართ, რომელსაც ამ შემთხვევაში გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს? მართ შეკვეცილი სიტყვაა, სრული მისი სახე იქნება მართლ: კიდევ უფრო სრული მართლა და მართლაც. სწორედ ამ სიტყვათა მნიშვნელობა აქვს ძირითადად შერჩენილი მართ სიტყვას. როდის იხმარე-

ბა მართ სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“? ყოველთვის, როდესაც რაიმე დებულებას ხაზი უხდა გაეხვას, როდესაც უნდა დადასტურდეს, უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებულობა, სულ ერთია, დადებითი იქნება ეს განსაკუთრებულობა, თუ უარყოფითი, იმისდა მიხედვით, თუ რას ადასტურებს სტრიქონის პირველი ნახევარი. ასე:

1. ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია [56], ე. ი. ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი მართლაც, ქეშმარიტად, როგორც მეკობრენია.

2. მომაქარევი სევდისა, მართ ვითა მუფარახია [81], ე. ი. მომაქარევი სევდისა, მართლაც როგორც მალამო.

3. აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალა [171], ე. ი. იყავ მართლაც, ქეშმარიტად როგორც მთვრალი.

4. ასე უჩნს მოკვლა ლომისა, მართ ვითა ლომსა ვაცისა [250].

5. ერთი აილო ბექედი მართ აწონილი დრამითა [427].

6. ჩვენ ამას ვარჩევთ, წავიდეთ კარგითა მართ მამაციითა [1407].

აქ ჩამოწერილიდან ზოგიერთი მაგალითი ავიღოთ.

აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალა. შეიძლებოდა თუ არა, ეს წინადადება ასე გაგვეწყო: აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა ფხიზელი?.

არა, არ შეიძლებოდა! რატომ? იმიტომ რომ აქ მთვრალს საზღვრავს სიტყვა მართ, მართლაც, რომელიც თავის მხრით განსაზღვრულია სიტყვით სიკვდილი.

ან: ერთი აილო ბექედი მართ აწონილი დრამითა. შეიძლება თუ არა დრამის მაგიერ ვთქვათ ლიტრითა: მართ აწონილი ლიტრითა. არა, არ შეიძლება! რატომ? იმიტომ, რომ ბექედის უმაღლესი ხარისხი უნდა გამოჩნდეს და თუ ის ლიტრობით იწონება, მაშინ, ცხადია, მეტად ცუდი ხარისხის იქნება. რა საზღვრავს აქ საზომს? მხოლოდ სიტყვა მართ: მართ აწონილი დრამითა.

ამგვარია უკანასკნელი მაგალითიც.

ჩვენ ამას ვარჩევთ, წავიდეთ კარგითა მართ მამაციითა, ე. ი. კარგითა მართლაც მამაციითა. შეუძლებელია აქ სხვაგვარად გავაწყოთ სტრიქონი, მაგ., კარგითა მართ ჯაბანითა².

მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართლაც...

უკვე ცხადია, რომ მკითხველი აქ მოელის რაიმე განსაკუთრებულ სიტყვას ყანდის განმსაზღვრელს, მისი სიკეთის მართლაც აღმატებით გამომაჩინებელს. რომელია ეს სიტყვა? განუკვეთელი მიშერისა.

«მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მიშერისა». მირთმა ხამს ყანდისა როგორისა? სადაურისა? მსჯელობას ჩვენ გეოგრაფიულ სახელწოდუ-

2. სადავო სტრიქონის ტრადიციული წაკითხვა ავიღოთ: მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მშიერისა. სხვათა შორის, ვადაშვილისაჟივს გაუგებარი მიშერის გასაგებ მშიერისად გადასწორებას მართ სიტყვაშიც შეუწყო ხელი: ყანდისა მირთმა ხამს მართლაც როგორც მშიერებსო და ამით განსაკუთრებულად წარმოა. სურვილი დახატა მკვრეტელებისა.

ბასთან მიეკავართ. რომელია ეს სახელწოდება? ჩვენ ზუსტად ამგვარად გაბგერებული. განმარტებული სახელი არ მოგვეპოვება. გვაქვს მხოლოდ მისი რი. რაც ეგვიპტეს ნიშნავს. არის თუ არა რაიმე კავშირი მისი რისა და მიშერის შორის? არის. მაგრამ ჭერ ვილაპარაკოთ განსხვავებაზე. ჩვენ გვაქვს მიშერი. ეგვიპტის ნამდვილი სახელი კი არის მისირი: ერი და ირი. შოთას დროს გრძელი „ი“ უკვე იკითხებოდა როგორც „ე“. მაგალითად, შიმშირი || შიმშიერი, შირი || შერი, დიე || დეეი, ფირ || ბერი და სხვა მრავალი. მაშასადამე, მისირ || მისერი არამც თუ სავსებით კანონზომიერია. ამ დროისათვის უთუოდ სავალდებულო ფორმაა. მაშასადამე, ეს პირველი გარემოება არ ჩათვლება არაერთად დაბრკოლებად, რომ სადავო სიტყვა ეგვიპტედ ვცნოთ. არც მეორე გარემოება შეიძლება ჩაითვალოს დაბრკოლებად. სახელდობრ: მართვა-შეთანხმება: ყანდისა მიშერისა. ძველი ქართლის ნორმის მიხედვით უნდა ყოფილიყო ყანდისა მღშერისა მასა, მაგრამ ეს ნორმა უკვე აღრიდახვე ირყევა: მაგ. აღიშის სახარებაში (მთ. 12,1) ვკითხულობთ:

1. „ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია, და იწყეს მუსვრად თავისა კუკა-ლისა და კამად“, მაშინ რადესაც ჭრუჭისა და პარხლის, რედაქციებში გვაქვს: „და იწყეს მუსვრად თავსა კუველისასა და კამდეს“.

2. შემდეგ: „დასაბამი სახარებისა იუსო ქრისტესი, მისა ღმრთისა“ (მარკ. 1).

3. ესტატე მცხეთელის ცხოვრებაში: ყოველისა კაციისა ქართლისა მას (ქართლის მარზპანს) კელეწიფების სიკუდილი და ცხოვრება (გვ. 81).

4. რამეთუ არა პრწმენა სახელისა მიმართ მისა ღმრთისა (ჭრუჭ., პარხ., იოან. 3, 18).

5. იქმნა ხილვაჲ მისი მგავსად აღისა ცეცხლისა და სახე მისა ვაიანგლზი ღა (საქ. მუზ. ხელნაწ. A, № 249, ფ. 72r. ცხბაჲ სტეფანეს და ნიკონისი).

და თუ ამგვარი ტენდენცია იყო ძველ ქართულში, მით უმეტეს მოსალოდნელია იგი საშუალ ქართულში, განსაკუთრებით ლექსში.

და ეს რომ ასეა, ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს იმავე შოთას ლექსი, ს.ხელდობრ:

ვიტოდი, სწაღდა არვისგან ნახა მას მზისა დარისა,
მე გარე ვდევ და მეფემან შევლო ფარდაგი კარისა;
ვერას ვხედდელი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა.
და ასმათს უბრძანა გამოხმა დურაჯთა ამირბარისა.

(343).

დურაჯთა ამირბარისა. აქ მართვა-შეთანხმება დარღვეულია. ძველი ქართულით უნდა: დურაჯთა ამირბარისათა, ანდა: დურაჯთა ამირბარისთა. მაგრამ რითმამ მოითხოვა და ჩვენ გვაქვს დურაჯთა ამირბარისა.

ან:

პე. ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დაშიფარე, ძლევა მეუ დათარგუნვად მე სატანისა!
(2)

ხამღვილად კი უნდა:

დათარგუნვად მე სატანისად.

ჩაშასადამე, ყ ა ნ დ ი ს ა მ ი შ ე რ ი ს ა არაჩვეულებრივ შეთანხმებად არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დროისათვის.

მაგრამ ეგვიპტის სახელი მაინც მისერიცა და არა მიშერი. აქაც ერთგვარ ლიცენციასთან გვაქვს საქმე: წამყვანი რითმა ყველგან შე-რისაა და მეოთხე სტრიქონშიაც მი-შერიცა მოგვცა. არის თუ არა ეს გარემოება მეტისმეტი თვითნებობა პოეტისა, თუ იგი არაჩვეულებრივი მოვლენა არ არის „ეფთხისტყაოსანში“. უეპველად! ლექსის უმისოდაც შოთას ჰქონდა საბუთი ხ-ანის ნაცვლად საპირობების დროს შ-ინი ეხმარა და ამის მ-გალითს იგი მრავლად ნახავდა როგორც ქართულ მწერლობაში, ისე ქართულ ზეპირმეტყველებაში. ასე —

უცხოური ავსარ ქართულში გადმოსულია ავშარად, სოსან... ქართულად შოშანი ან შროშანია, მუსკი — ქართულად მუშკია. სადავათ — ქართულად შადავათია და სხვა და სხვა.

გვაქვს თუ არა ჩვენ სხვა მაგალითები, რომ შოთას ლექსისათვის ეხმაროს „უქანონო“, კლასიკური ენის ნორმების თვალსაზრისით, ფორმები? გვაქვს?

1. მო, დაესხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი:
მისებრი მართ დაბადებით ვინმეა ყოფილა შობილი!
(7)

შეუშრობილი „უქანონო“ ფორმას, მაგრამ სტროფის წამყვანი რით-მა არის ობილი, და პოეტმაც შეუშრობელის ნაცვლად იხმარა შეუშრობილი.

2. მეორე ლექსი ცოტაი ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასავგირეთა.
(16)

აქაც: გასავგირეთა ნახმარია ნაცვლად კანონიერის გასავგირთა.

3. რა მოვიდა (ავთანდილი). სიხარული შიგან ვახდა სამეფოსა;
მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძლენიდეს იეფოსა.

იეფო-სიტყვიდან მიცემითი იქნება მხოლოდ იეფსა, მაგრამ პოეტმა რითმისთვის იხმარა „უქანონო“ იეფოსა.

4. მოეწერა: „რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიქსა.
გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერასა.“

(401).

ქართულად უნდა იყოს ტარიქლსა. ამასთანავე: «ერსა». და «ელსა» ქართულად სრულფასიანი მორითმადე მარცვლებია. განსაკუთრებით, ეს ცნობილია ხალხურ პოეზიაში. მიუხედავად ამისა, შოთან მაინც ამჯობინა «უქანონო» ტარიქსა ესმარა და კლასიკური რითმა მიეღო: ტარიქ-სა || მონაწერსა. სწორედ ისე, როგორც მეორე ანალოგიურ შემთხვევაში:

5. ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიქრისა.
ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდა შტეჩრისა.

(1418).

ტარიქრისა || მტერისა.

6. ვეზირმა ცნა. გაეგება: „ჩემსა მზეა ამოსრელი,
ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სახარული!“

(729).

ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სახარელი, გასახარელი, და ამის ნაცვლად ჩვენ გვაქვს „სახარული“. რაც მხოლოდ და მხოლოდ რითმის მოწესრიგებისთვისაა მოხმობილი.

მაგალითები კიდევ ბევრია, მრავლის უმრავლესი! მაშასადამე, შოთან სრულიად დაუბრალებლივ, სავსებით ბუნებრივად შეეძლო ესმარა მისე-რის მაგიერ მიშერი, მით უმეტეს, რომ ამას ლექსი მოითხოვდა და ამასთანავე მისერი ის ანუ მიშერი ის ყანდი მართლაც რომ ყოვლის ყან-დის უტკბესია.

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ირანელ პოეტისა და ფილოსო-ფოსის ნასირი ხუსრაუს ცნობები, რომლებსაც იგი იძლევა თავის „მგზავრობის წიგნში“ (საფარ-ნამე).

1. მისრეთში ამზადებენ ბევრ თაფლსა და შაქარს (გვ. 122).

2. „ამბობენ, როცა სულტანი ნადიმობს, მშინ გამოაქვთ 50 ათასი მენი შაქარი სუფრის გასაწყობად. მე ვნახე ხე, (ფორთოხლის მსგავსი), რომლის ყველა ტოტი, ფოთლები და ნაყოფი გაკეთებული იყო შაქრისგან (გვ. 124).
Насири Хусрау, Сафар-намэ, Книга путешествия, перев. Бертельса, Академия, 1933.

ამასვე ადასტურებს დ. ჩუბინაშვილის «მისირ-დნი»-საუკეთესო შაქარი (ქართულ-რუსული ლექსიკონი).

ამ გვარად, ჩვენ მივიღეთ მეოთხე სტრიქონის, ჩვენი აზრით, სწორი წაკითხვა და სწორი გაგება.

მისთა მქვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მიშერი ს, ე. ი. მისთა მქვრეტელთათვის საპიროა ყანდის მირთმევა, მარ-

თლაც რომ მიშერისა ანუ ეგვიპტურისა, და საერთოდ მთელი ამ სტროფის აზრი შემდეგი იქნება.

ვის. ლომსა ჰშვენის (უხდება) შუბისა და ფარ-შიშერის ხმარება, ლომს მეფისა შუბის თამარისა, რომელსაც აქვს ლაწვი (ლოყები) ბადახში და თმა ვიშერი, — მას, არა ვიცი, როგორ შევჰკადრო შესხმა ხოტბისა რჩეულისა; უმჯობესია, მის მკერეტელთათვის მირთმევა მართლაც რომ ეგვიპტურისა ყანდისაჲ პოეტურად ეს თქმა შოთამ ასე გადმოგვცა.

ვის ჰშვენის.—ლომსა.—ხმარება შუბისა, ფარ-შიშერისა,
—მეფისა შუბის თამარისა, ლაწვი-ბადახში. თმა-ვიშერისა.—
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შერისა,
და მისთა მკერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მიშერისა.

(3)

1942 წ. მაისი,
თბილისი.

ლიტერატურული ძიებანი. ტ. 11, 1944 წ.

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკის ერთი ნაწილის შემდგენილოგისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ როგორც სალექსო სტრიქონთა. ისე სტროფთა ურთიერთობის შესახებ შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული და განმტკიცებული.

«თითოეული სტროფი შედგება ოთხი სტრიქონისაგან. ყოველი სტრიქონი მაირისა წარმოადგენს როგორც რიტმულ, ისე შინაარსეულ მთლიანობას. სტრიქონი სტრიქონს არასდროს არ უერთდება. არ უერთდება მაშინაც კი, როცა საუბარია, თუმცა ერთი წინადადების სივრცეზე დამთავრებული აზრის გამოთქმა, ისიც საუბრის დროს, მეტისმეტად ძნელი საქმეა...»

«ერთი სტრიქონის აზრის დასასრულებლად სიტყვა მეორე სტრიქონში არ გადადის».

რაც შეეხება სტროფს, იგი ცალკეული შინაარსის შემცველია და წინა სტროფი მომდევნოს სრულიად არ ერთვის (პ. ბერაძე. რუსთაველის ლექსის რიტმი, 222—5).

ამგვარივე აზრი გამოთქმული აქვს სტრიქონთა და სტროფთა ურთიერთობის შესახებ ალ. სლოვინსკისაც თავის სადოქტორო შრომაში — *Xy до жественное построение Вепхистгаосани*: «თითოეული სტრიქონი ისეა შექმნილი და დამოუკიდებელი, რომ enjambeement „ვეფხისტყაოსანში“, ორის გარდა, არსად არ მოიპოვება».

ასეთივე ხაზია გატარებული „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა ბექდურ გამოცემაში.

„ვივეა დადასტურებული საიუბილეო გამოცემა — შდაც».

ერთი სიტყვით: არამცთუ სტროფი, სტრიქონიც შექრულიაო.

რამდენად სწორია ეს მოსაზრება-დებულება?

„ვეფხისტყაოსანი“ დამოუკიდებელი სტროფებისაგან შემდგარ მთლიანობას წარმოადგენს უპირატესად. მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ სტრიქონთა სტრიქონში გადადის და სტროფი სტროფს გრამატიკულად უერთდება. მეტიც: შიგასტრიქონული აწყობემანაც ხშირად გვხვდება. და ჩვენც საკითხის გა-

ხილვასაც სწორედ აქედან დაიწყო, ე. ი. თავდაპირველად შეეხებოდა „გარ-
დამავლობის“ საკითხს ერთი სტრიქონის ფარგლებში.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სალექსო სტრიქონი ორ მთავარ ცეხუ-
რად იყოფა, თითოეული ორ ცალკეულ დამოუკიდებელ სინტაქსურ მთელს,
წარმოადგენს. სხვაგვარად: სტრიქონის თითოეულ ნახევარში სინტაქსური და
მეტრული (რიტმული) დანაწევრება სიტყვებისა ერთმანეთს ემთხვევა, არაა
გარღვევა მეტრისა და აზრის შორის.

ასე --

ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
შაეი ცხენი სადაჟითა
ხშირად ესხა მარგალიტი
და ცრემლსა ვარდი დაეთრთილა

მას ტანსა კაბა ემოსა
ვეფხვის ტყავისა ქუდივი
ხელსა ნაქვდი მათრახი
და ნახეს და ნახვა მოუნდა

ქდა მტირალი წყლისა პირსა.
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.
ლაგამ-აბჭარ-უნაგირსა.
გულსა მდულრად ანატირსა.
(84)

გარე თმა ვეფხის ტყავისა
იყო სარქმელი თაგისა,
ჰქონდა უსხოსი მკლავისა.
უცხოსა სანახავისა.
(85).

ასე მწყობრად და სიმეტრიულად განლაგებული სტრიქონებისაგან შედგება
„ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა უმრავლესობა... მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს,
რომ აბსოლუტურად ყველა სტროფი აგრეთაა გაწყობილი!

ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როდესაც სინტაქსური და მეტრული (რიტმული)
დანაწევრება სტრიქონის სიტყვებისა არ ემთხვევა ერთმანეთს: სიტყვა სინტაქ-
სურად სტრიქონის პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხოლო რიტმულად იგი შე-
კრილია სტრიქონის მეორე ნახევარში.

მაგ., „მე გადასრულვარ, სიბერე მჭირს, ჰირთა უფრო ძნელია“ (36). რიტ-
მულად ეს სტრიქონი ორ თანაბარზომიერ ოდენობად იყოფა:

- ა. მე გადასრულვარ, სიბერე
- ბ. მჭირს, ჰირთა უფრო ძნელია.

მაგრამ აზრობრივად აგრეთაა გაკვეთა არ შეიძლება, არამედ:

- ა. მე გადასრულვარ, სიბერე მჭირს,
- ბ. ჰირთა უფრო ძნელია. (რიტმი დარღვეულია!).

სტრიქონთა სიტყვების ამგვარი განლაგება რომ ხშირი იყოს, იგი რომ სის-
ტემად იყოს ქვეული. ეს უთუოდ უდიდესი ნაკლი იქნებოდა ყოველი ლექსისა,
„ვეფხისტყაოსნისა“.

მაგრამ პოეტი ხანდახან რაიმე მიზნობრივი განწყობის მიხედვით, განგებ.
შეგნებულად არღვევს ლექსის ჩვეულებრივ წყობას, რომ მოულოდნელი გარდა-
ტეხა მოახდინოს მკითხველისა და მსმენელის ყურადღებაში, გაამახვილოს მისი
სმენა რაიმე ფაქტის მიმართ, მკვეთრად გამოაჩინოს ფაქტი და შთააყერტოს
იგი (მკითხველი). ამ ფაქტზე.

ამ შემთხვევაშიაც აგრეთაა

მარტო რიტმს რომ მივაქციოთ ყურადღება და ლექსი ასე წავიკითხოთ:

- ა. მე გადასრულვარ. სიბერე
- ბ. მკირს, კირთა უფრო ძნელია

არავითარი აზრი არ გამოვა, მაგრამ პოეტი ისეთი თანამიმდევრობით და ისეთი ხერხით ალაგებს სტრიქონის სიტყვებს, რომ ორი მათგანი მკვეთრად გამოიყოფა და აზრიც მახვილდება.

მე გადასრულვარ, სიბერე მკირს, კირთა უფრო ძნელია.

აქ განსაკუთრებული მახვილი სიბერე-სიტყვაზე უნდა მოვიდეს აზრის მიხედვით. მაგრამ ცალკეულად აღებული სიბერე, შემასმენლის უმისოდ, ვერავითარ აზრს, მაშასადამე, ვერავითარ ლოგიკურ მახვილს ვერ შექმნის. შემასმენელი კი რიტმული ერთეულის მეორე ნახევარშია. აზრობრივად იგი პოეტ-მაპირველ ნახევარს დაუკავშირა, ამით ჩვეულებრივი რიტმი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსისა დაარღვია და მკითხველმაც იგრძნო არაჩვეულებრივი რამ, და „აქ-ვითა ყური“: ლექსიც უფრო ემოციური, უფრო დამაგნებელი შეიქნა შემდეგი მაგალითი ავიღოთ.

მონათა ჰკადრეს: მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით (80). აქაც იგივე ამბავია.

ა. მონათა ჰკადრეს: მართალსა — ერთი რიტმული ერთეულია.

ბ. გკადრებთ და ნუ გემცდარებით — მეორე.

მაგრამ სინტაქსურად რომ დავეყოთ, სულ სხვა ერთეულებს მივიღებთ:

ა. მონათა ჰკადრეს: მართალსა გკადრებთ

ბ. და ნუ გემცდარებით.

აქ სიმართლეზეა ლაპარაკი, მაშასადამე, მახვილიც მართალს-სიტყვაზე უნდა მოვიდეს, ჩვეულებრივი წყობით კი ეგ არ ხერხდება, პოეტმა სტრიქონის მეორე ნახევრის სიტყვა მოიხმო და სინტაქსური ერთეული მკვეთრად გამოჰყო:

მონათა ჰკადრეს: მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით.

მიზანიც მიღწეულია

შემდეგ: თინათინი მოლარეს ეკითხება მამის ამბავს: ძინავს თუ ღვიძავსო?

მან მოახსენა: „დაღრეჯით ზის, სკირსო ფერ-შეცვილიობა“.

მოლარემ უნდა დაუდასტუროს თინათინს, რომ მამა მოწყენილია, დაღრეჯილია, სიტყვა დაღრეჯა კი ცეზურას ამთავრებს.

დამოუკიდებლად იგი აზრს ვერ ჰქმნის, მაგრამ მეორე ნახევრის პირველ სიტყვასთან შეერთებით მკაფიოდ გამოიყოფა.

მან მოახსენა დაღრეჯით ზის, რასაც აძლიერებს მეორე ნახევარში-ვე სხვაგვარი მხატვრული სახით მოცემული იგივე დაღრეჯა: სკირსო ფერ-შეცვილიობა.

კიდევ მაგალითი.

ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს კირს, მიუხდეს მამაკერად.

ცხადზე უცხადესია. რომ პოეტმა შეგნებულად, განზრახ დაარღვია რიტმი, ყოველ შემთხვევაში. იგი გაჭირვების არაა! გაჭირვებაზე რომ ყოფილიყო მიმდგარი საქმე. პოეტი ადვილად დააღწევდა თავს, თუნდაც ასეთი ლექსის გაწყობით:

ხამს თუ კაცი არა შედრკეს, ჰირს მიუხდეს მამაკურად.

აქ სინტაქსური და რიტმული დანაწევრება სტრიქონის სიტყვებისა საესებით ემთხვევა ერთმანეთს.

მაგრამ პოეტი ლაპარაკობს არა საერთოდ არ შედრკომაზე. არამედ ჰირის არ შედრკომაზე, ამიტომაც შექმნა სათანადო სინტაქსური ერთეული და ჩვეულებრივი რიტმის დარღვევით ყურადღება გაამახვილა.

ხამს თუ კაცი არ შედრკეს ჰირს, მიუხდეს მამაკურად.

კიდევ ორი მაგალითი და ვიკმაროთ!

მას ყმასა (აეთანდროს) თავი არ მისცა (ასმალმა). ქვერტადცა ებილწებოდა. ვითა კაკაბი არწივსა. || ქვეშე, მიდამო ძრწებოდა, ტარიელს ვისმე უზახსა || მწედ, თუმცა არ ემწებოდა.

(232).

აეთანდროს ღმერთმა წადილი! მისცა, გულისა ლხინება.

(248).

ყველა ეს მაგალითი ცეზურული enjambement-ი იყო, ასევეთქვამთ, შიგა-სტრიქონული.

შევენოთ ისეთ «გარდამავლობას», როცა იგი მეორე და ხშირად მესამე სტრიქონში მთლიანად გადადის. საესებით სწვდება.

1. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა.

(5).

მიჯრით მიწყობილი ბროლ-ბადახში აქ ბაგე-კბილების განსაზღვრებაა და უშუალოდ უკავშირდება მას. ბაგე-კბილების გარეშე „მიჯრით მიწყობილი“ გაუგებარია და წარმოუდგენელი: ორივე სტრიქონი ერთს გრამატიკულ მთელს წარმოადგენს.

ან:

2. იყო არაბეთს როსტევან მეფე ღეთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი. მღაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი, და თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

(32).

აქ მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონები, ცალკე აღებული, არაერთგვაროვნად დაწესებული არაა და წარმოუდგენელიცაა პირველი სტრიქონის გარეშე. მაშასადამე, აქ ყველა სტრიქონი «გარდამავალია».

ანდა:

3. მოვიდა ჩოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწომელი, ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლა მხლტომელი.

(75).

მეორე სტრიქონი სავსებით პირველზეა დამოკიდებული.
ან კიდევ:

5. წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდღარისად.
თავჩამოვლებით მტირლისა. არ კვერტით მოლიზარისად.

(86)

მეორე სტრიქონი მთლიანად პირველი სტრიქონის „ყმის“ ატრიბუტებისაჲს შედგება, დამოუკიდებელი არსებობა არც ერთ მათგანს არ გააჩნია და წარმოუღ-
ვენელოცაა „უმისყმისოდ“.

კიდევ:

5. ინდოეთს შეიღთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი:
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა. თეით იყო მპყრობელი,
უხეი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი.
და ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე. რაზმთა მწყობელი.

(311).

აქაც იგივე მდგომარეობაა, როგორც წინა სტროფში

ყმა წავიდა მხიარული, ლომიერი, არ გამწყრალი,
ლომი მინდორს ლომთა თანა მინდორს რელი. ფერნამკრთალი.
ყმა სოფლისა ხასიათი, ჭაყარ-სრული. მრავალწყალი.

(693).

იგივე ამბავია-

ამგვარივე «გარდამავლობა» შეიმჩნევა შემდეგ სტროფებშიც: 894, 1013,
1023, 1255, 1439, 1440.

ახლა შევეჩხვოთ სხვაგვარ «გარდამავლობას», სახელდობრ, როდესაც «გარ-
დამავალი» სტრიქონი შემასმენელიანია, მასასადამე, აზრის შემცველი, მიუხე-
დავად ამისა, მაინც არაა დამოუკიდებელი, მაინც არაა „შეკრული“.

1. რა დაასრულა ამბავი. საქმე მისისა პირისა,
ნახეა მის მზისა ნათლისა, მის თვალად არ დუხჭირისა.
ე ა მ ა, უქეს ვარდისა ხელი, მძლედ დანამპირისა...

(691).

ე ა მ ა სიტყვის მკიდრო კავშირი წინა ორ სტრიქონთან უდავოა.

2. რა ფატმანისსა შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი;
უბრძანა...

(1118).

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი სტროფი:

3. აეთანდილ ცრემლსა მალვით სწვიმს. სდის ზღვათა შესართავისად.

ჩვეულებრივ აქ მძიმეს სწერენ. არ უნდა, რადგან უშუალოდ მას მოსდევს
აღსაღას გასწავლება: შ ი გ ა ნ გ ი შ რ ი ს ა მ ო რ ე ე ს ა, ც ე რ ა ე ს ი ვ ი -
შ რ ი ს ა ნ ა ვ ი ს ა დ. მეორე სტრიქონის ეს დასაწყისი რომ მძიმით გამოე-
ყოთ, პირველი ნახევრის აზრი უკმარი გამოვა.

1. თქვეს თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
თვარე აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“.

(58).

აქ სტრიქონების ურთიერთდამოკიდებულება ისე ცხადია, რომ არავითარ ახსნა-
განმარტებას არ საჭიროებს.

2. ამა დროსა გარდაესცილდე, აჟა ქვაბსაჲ არ მოვიდე,
ცან ცოცხალი არ თურე ვარ, უღონიოდ მოვეკვი კიდე.
(93).

გრამატრიკული კავშირი სტრიქონებს შორის ცხადია.

3. რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამქნაროსა,
იგი წაჲ და სხეა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

(35)

პირველი წინადადება მეორეზე საესებით დამოკიდებულია.

4. რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ათანდილს მიხვდა სიამე, ესება, სკირს მას აჟ აღისა.

(42).

5. რა ფრიღონ უთხრა აეთანდილს ტარიას მოციქულობა,
მას გაეცინნეს, გაღიმდა, შენოდა მხიარულობა.

(1473).

6. რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომივლენ გულის სახმილთა ლხენანი,
მაშინღა მომხვდენ მოკვდაესა მზისა ელვათა ფენანი,
უმისკამისოდ ცუღია ჩემგან მი და მო რბენანი.

(1475).

7. რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინღა მივალ არაბეთს, მომხვდენ მის მზისა ხლებანი.

(1479)

8. რა ფრიღონ ჰკადრა ტარიელს ესე სიტყვანი ყმისანი,
მან ბრძანა: „მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი.

(1480).

9. რა აეთანდილ ტარიასგან ცნა, წასვლასა არ დაშლიდა,
არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა ჰრთვიდა.

(1491)

აქ ყველა სტრიქონი «გარდამავალია». მაგალითები კიდეც ბევრია, მაგრამ მოყვანილთაგანაც აშკარაა, თუ რამდენად მცდარია შეხედულება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სტრიქონი სტრიქონს არაოდეს არ უერთდება, სტრიქონი სტრიქონში არასოდეს არ გადადისო.

არა მარტო სტრიქონი სტრიქონს, „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება იმის ვაგალითებიც, რომ სტროფი სტროფს უერთდება, დამოუკიდებელი არსებობა ცალ-ცალკე ერთს ორთაგანს არ გააჩნია, მაგრამ ორივე კი ერთ მთელს ქქმნის.

1. ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აჟათ სამ წელ მომიცადე, ხეაშიადი შემინახე.
მე ნუთუმცა შემოებრუნდი, ალვა ჩემი არ დაქნა ხე.
და არ მოებრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მიევაღახე;
მაშინღა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალია,
აენობე ჩემი სიკედლი,—იყავ მართ ვითა მთრვალია,—
მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლათვის გარდუვალაია.
და გლახაკთა მიეც საქურქლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია.

(157—158).

აქ მეორე სტროფი გამართლებულია პირველით, უმისოდ იგი გაუგებარია.

2. უმამან უთხრა: აგვე საქმე ამას ჯავსო. არა სხუასა:
ოონი კაცნი მოდიოდეს საღაერნი სადმე გზასა.
უქანამან წინა ნახა ჩაუარდნილი შიგან ქასა.
და ზედ მიადგა. ჩაპყიოდა, ტირს, იძახის ეაგლახ-ვასა.

ეგრე უთხრა: „ანხანაგო, იცე მანგ... მომდგე...
წაუალ თოკოა მოსახმელად. მწადსო. თუცა ამოგზიდო?“
მას ქვეშეთსა გაეცინა. გაუევირდა მუტად კოდე.
და შემოპყიელა: „არ გელოდე, სად გაგეძცა, სად წაიდე?“.

(255—256).

აქაც: მეორე სტროფი უპირველოდ წარმოდგენილია.

3. ორისაგან ერთი ქმენით. ამის მტრსა ნურას ჰლამით:
მოვითაპკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით. ღამით,
მე და სრულად სახლი ჩემი დახოცასა დაგვხსენ ამით,
და მოხვალ, გითხრობ ყველაკასა, მე ვოთა ვარ ცრემლთა ღამით.

თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაილე ვირითა,
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე, მი, რითა.
ვეპვე, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა ავაესონ კირითა,
და თუ ღარბაზს მივა იგი უმა, შეილთა დამაპმევს პირითა.
(1107—1108).

სტროფებს შორის კავშირი და მტკიცე ურთიერთობა უეჭველია.

4. ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწევას, გვალვასა ჩივიან...
და სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლელი ორჭერვე სტკივიან:

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ქირსა და ღხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყვიე წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მართელია,
და იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.
(1347—1348).

აქ მეორე სტროფის სრულიადი დამოკიდებულება პირველზე უეჭველია და განა შეიძლება აგრევე-სიტყვით დამოუკიდებელი წინადადების დაწყება-გაწყობა?!

5. საგონებელი შეექმნა, დაჟდა საქმისა მრჩეველად.
თქვა: „თუ დაებრუნდე, ეზომი ხანი რად დაეყავ მე ველად?
ჩემსა რა ვკადრო მნათობსა. ვიყავ რა დღეთა მღეველად,
და მისი ვერა ვსცნა კორადცა. ვარ ვისთა გზათა მკელევილიდ?“

თუ არ დაებრუნდე, საძებრად დავეყენ სხეანიცა ხანანი,
რომელსა ვეძებ, ვერა ვცნე ამბავი მე მისთანანი.
დრო გადაუწყდეს შერმადინს, შერჩეს ლაწვისა ბანანი,
და მივიდეს, კადარნეს შეფესა საქმენი დასაგვანანი!
უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებულთ,
მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებულთ,

მერმე მივიღე ცოცხალი. საღმე სხვაგან მე რებული!“
და ამას იგონებს ტირილით გონება-შეიწრებული.

(186—188).

კავშირი სტროფებს შორის უეჭველია, ამათგან ორ უკანასკნელს შორის გრა-
მატიკულიცაა.

შეეჩერდეთ დაწვრილებით ამ სტროფებზე.

ეს ორი სტროფი, გარდა უკანასკნელი ბოლო სტრიქონისა, წარმოადგენს
პერიოდს, ერთ რთულ წინადადებას, შედგება იგი ხუთი მარტივი თუ შერწყ-
მული წინადადებისაგან.

პ ი რ ვ ე ლ ი.

«თუ არ დაებრუნდე. საძებრად დავეყენე სხვანიცა ხანანი»... პირობითი დამო-
კიდებული წინადადებაა: კავშირია თუ, შემასმენლის კილო პ ი რ ო ბ ი თ ი ა
— ტიპიური კონსტრუქცია პირობითი წინადადებისა. ამასთანავე, იგი
შერწყმულიცაა, რადგან მეორდება ერთი და იგივე წევრები: ა რ დ ა ვ ბ რ უ ნ-
დ ე ; დ ა ვ ყ ვ ნ ე.

მ ე ო რ ე. რომელსა ვეძებ — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადა-
დებაა.

მ ე ს ა მ ე.

დრო გადაუწყდეს შერმაღინს შეპრჩეს. ლაწვისა ბანანი.
მივიდეს, ჰკადრნეს შეფესა საქმენი დასაგვანანი!..
უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული.

(187—188).

ესაა მთავარი წინადადება პირველისა და მეორის მიმართ, ამასთანავე იგი
შერწყმულია. გადაუწყდეს, შეპრჩეს, მივიდეს. ჰკადრნეს, უამბოს.

მ ე ო თ ხ ე. მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული. ამასა
და მესამეს შორის თანწყობაა.

მ ე ხ უ თ ე. მერმე მივიღე ცოცხალი, საღმე სხვაგან მე რებული — ესეც
თანწყობილია მეოთხის მიმართ.

სტროფები ერთი ხ ა ზ ი თ. კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი ს ხ ა ზ ი თ, მიმ-
დინარეობს. ა რ დ ა ვ ბ რ უ ნ დ ე ; დ ა ვ ყ ვ ნ ე ; ვ ე რ ა ვ ც ნ ე ნ ე , დ რ ო
გ ა დ ა უ წ ყ დ ე ს . შ ე პ რ ჩ ე ს . მ ი ვ ი დ ე ს , ჰ კ ა დ რ ნ ე ს , უ ა მ ბ ო ს ,
მ ა თ შ ე ქ მ ნ ა ნ გ ლ ო ვ ა - ტ ი რ ი ლ ი . ქ მ ნ ა ნ , მ ე რ მ ე მ ი ვ ი დ ე .

ერთი სიტყვით, სამსავე სტროფში თავიდან ბოლო-
მდე მტკიცედ დაცულია კავშირებითი კილო, რაიც
კვალად იმის დამამტკიცებელია, რომ სტროფებს შო-
რის უეჭველი სინტაქსური კავშირია.

რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ:

ორი უკანასკნელი სტროფი ერთი მთლიანი წინადადებაა (რთული), სინ-
ტაქსურად შეკრული და ერთმანეთთან შეპირობებული (კავშირებული), და რად-
გან 188 სტროფის პირველი სტრიქონი —

უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული —

წინა სტროფის წინადადებასთანაა კონსტრუქციულად დაკავშირებული. ე. ი. შერწყმული წინადადების კომპლექსის (მივიდეს, ჰკადრნეს) კომპონენტია (უამბოს). ამიტომ იგი უნდა გამოიყოს წინა სტროფიდან მძიმით და არა წერტილით, როგორც ეს ყველა გამოცემაშია, მათ შორის საიუბილევოშიაც.

სწორედ ამგვარი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ პროლოგის იმ ნაწილში, რომელიც პოეზიას ეხება, კერძოდ ორ სტროფში, სადაც რუსთაველი არაჩვეულებრივი ვირტუოზულობით გადმოგვცემს ქეშმარიტი პოეტის შედარებას ბედურ ცხენთან და გამოჩენილ მობურთალებთან.

ეს ორი სტროფი ერთ სინტაქსურ მთელს წარმოადგენს მათი განცალკევებულიად წარმოდგენა არ შეიძლება.

როგორ ვკითხულობ და ვწერ მე ამ ორ სტროფს:

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა, (მძიმე)
მობურთაღსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯედ ქნევა, (მძიმე)
მართ ეგრევე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა; (წერტილმკრია)
და რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა. (მძიმე)

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიჰხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეეპოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
და ხელ-მარჯედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.
(13—14).

როგორც ეს მოდა, კითხულობდა და წერდა ნ. მარი ამ ორ სტროფს?

იგი მათ განცალკევებულად რაცხდა და რუსულად ასე თარგმნა:

Подобно тому, как лучшим испытанием коня является длинный путь и большие перестопы, как об игроке в мяч судят по ристажищу, по меткости удара и ловкости взмаха, так (пробным камнем) поэта служит уменьше слагать длинные песни и (искусно) осаживать (поэтического коня), если им исчерпан предмет беседы, и рифма начинает иссякать.

Приглядитесь к поэту и песням его тогда, когда ему не хватает языка, и рифмы его начинают редеть! Не укоротит ли он своей речи? Не оскудеет-ли его слово?

Хватит ли у него героической отваги ударить ловко (по мячу) чоганом?

მე იმთავითვე არ მომწონდა სტროფების ამგვარი გაგება და ამგვარი თარგმნა ჭერ ერთი იმიტომ, რომ სტროფები განცალკევებულადაა ნაგულისჩმევი, და მეორეც იმიტომ, რომ მეორე სტროფის აზრი და შინაარსი არასწორადაა გადმოცემული.

ზეპირად მაშინაც ვკამათობდით, მაგრამ ნ. მარი განსაკუთრებულ სიმტკიცეს და ურყევლობას იჩენდა.

1913 წ. ს. კაკაბაძემ გამოსცა ვეფხისტყაოსანი და ეს ორი სტროფი მთლიანად აზრის შექონად იგულა. იგივე გაიმეორა მან თავის მეორე გამოცემაშიაც.

ამგვარადვე აქვს გაგებული ეს სტროფები პროფ. ი. აბულაძესაც თავის ორსავე გამოცემაში.

ამის შემდეგ მართან მიწერ-მოწერაც კი მქონდა ამ სტროფების გაგებისა და წაკითხვის შესახებ. მარი მაინც თავის აზრს ადგა. იგი მწერდა:

... Что же касается Вашего перевода (из предисловия), может быть, Вы правы, но я пока что держусь старого, своего.

1931 წ. ნ. მარმა ბრიერთან ერთად გამოსცა ფრანგულად ქართული გრამატიკა *La langue géorgienne*, რომლის ქრესტომათიულ ნაწილში შეიტანა ნაწევრები ვეფხისტყაოსნიდან, კერძოდ სტროფები შაირობის შესახებ.

აქ უკვე უკუგდებულია ტრადიციული შეხედულება ამ სტროფთა ურთიერთობის შესახებ და ორივე ნაგულისხმევია, როგორც სინტაქსურად ერთი მთლიანი.

1936 წ. მე უკვე ბეჭდურად გავაფორმე ჩემი აზრი ამ სტროფთა ურთიერთობის შესახებ.

„Подобно тому как лучшим испытанием коня является длинный путь и большие перегоны, как об игре в мяч судят по ристалищу, по меткости удара и ловкости взмаха, так пробным камнем поэта служит умение слагать длинные песни и (искусно) осаживать (поэтического коня); если им исчерпан предмет беседы и рифма начинает иссякать, присмотритесь тогда к поэту и песням его, когда ему не хватит языка и рифмы его начнут редеть. Чтобы он не укоротил своей речи, чтоб не оскудело его слово! Чтобы он искусной рукой бил чоганом (по мячу), чтоб он проявил большое геройство!“¹

განსხვავება ჩემსა და ნ. მარის გაგებას შორის უეჭველია, მაგრამ მაშინ ყურნალში დასაბუთება არ შეიძლებოდა, მხოლოდ მცირე შენიშვნით დავეკმაყოფილდი: Перевод по Марру с незначительными изменениями.

რაკი ამ სტროფების უმართებულო გაგება ისევ გრძელდება და ზოგი იქამდისაც კი მიდის, რომ მეორე სტროფს სრულიად ზედმეტად მიიჩნევს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაეასაბუთოთ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს და იკითხებოდეს ეს სტროფები.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მოხურთალსა მოედანი. მართლად ცემა, შარჯვედ ქნევა.

ეს ორი წინადადება პარალელურად მიმდინარეობს, თითოეული მათგანი თანასწორუფლებიანია. ერთი მეორეს არ ექვემდებარება, ე. ი. მათ შორის არსებობს თანწყობა. სხვაგვარად, ეს ორი წინადადება თანწყობილია.

ამ წინადადებათა ვითა-ზმნისართს მესამე წინადადებაში აქვს თავისი კორელატი, თავისი ფარდი სიტყვა: აგრევეც.

¹ Н. М а р р. Великий мех. — Советское студенчество, 1937 г., № 7.

მაშასადამე, გვაქვს შედარებითი წინადადება.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა.
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა. მარჯვედ ქნევა.
მართ აგრევე მელექსესა—ლექსთა გრძელთა თქი და ხევა.

აწორედ ისე, როგორც ეს გვაქვს ბევრგან სხვაგანაც.
ასე:

1. ვითა მე შეიხვდი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა,
აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა.
(213).
2. ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა დემისანი,
ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი.
(1480).

აგრეთვე სტროფები 745, 750, 1044, 1351, 1365, 1367, 1436, 1571.

მაშასადამე: ვითა ← აგრეთვე (აგრევე).

ერთი სიტყვით, შედარებითი წინადადების დროს, თუ ერთ ნაწილში ვითა-
ზმნისართია, მეორე ნაწილში მას ექნება თავისი ფარდი სიტყვა აგრეთვე
(აგრევე).

ამ სამი წინადადებით მთავრდება აზრი. მაშასადამე, აქ უნდა იწერებოდეს
წერტილი. ყოველ შემთხვევაში წერტილ-მძიმე და არასგზით მძიმე, როგორც
ეს გამოცემებშია.

ამ სტროფში დარჩა უკანასკნელი წინადადება:

რა მისჯირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

რომლის შემდეგაც გამოცემებში იწერება წერტილი.

იგი დამოკიდებული წინადადებაა და თუ არ განამტკიცა მთავარმა წინადა-
დებადამ, გაშიშვლებული დარჩება და გაუგებარი იქნება.

რომელია მისი ფარდი მთავარი წინადადება?

იგი მომდევნო სტროფის პირველ სტრიქონშია:

მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.

მაშასადამე:

რა მისჯირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.
მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.

ეს არის მთლიანი რთული წინადადება, ე. ი. რთული დაქვემდებარებული
წინადადება. მათში, როგორც აღვნიშნეთ, მთავარია „მაშინლა ნახეთ მელექსე და
მისი მოშაირობა“, ხოლო მასზე დამოკიდებულია — „რა მისჯირდეს საუბა-

რი და დაუწყოს ლექსმან ლევა“, და როგორ შეიძლება დამოკიდებული წინადადების გამოყოფა მთავარისაგან წერტილით? არ შეიძლება.

აქ შეიძლება შემდეგი კონტრმოსაზრება გამოთქვან: მართალია, მთავარი წინადადება „მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა“, მაგრამ მასზე დამოკიდებულია არა „რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“, არამედ მომდევნო. თუ ამ კონტრმოსაზრებას მივიღებთ. მაშინ გვექნება შემდეგი წყობა წინადადებისა.

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა.

ე. ი. ჭერ მთავარი და შემდეგ დამოკიდებული.

თეორიულად, გრამატიკული თვალსაზრისით, ორივე წყობა სწორია, ე. ი. შეიძლება ჭერ დამოკიდებული და შემდეგ მთავარი, ანდა პირუტყუ: ჭერ მთავარი და შემდეგ დამოკიდებული.

ჩვენს შემთხვევაში კი ეს არ იქნება სწორი. არ იქნება სწორი, რადგან, ჭერ ერთი:

პირველი სტროფის დამოკიდებული წინადადება „რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“, როგორც აღვნიშნეთ, კ ე ნ ტ ა დ დარჩება და მას თავისი შესაფერი მთავარი წინადადება არ ექნება. მეორეც: კენტადევე დარჩება უკანასკნელი მთავარი წინადადება:

არ შეამოკლოს ქართული, არა კმნას სიტყვა-მცირობა

და მას თავისი შესაფერი დამოკიდებული წინადადება არ ექნება! როდის, რა პირობებში არ შეამოკლოს ქართული? როდის არა კმნას სიტყვა-მცირობა? მხოლოდ მაშინ, როდესაც ქართულს ვერ მისწვდება, როდესაც ლექსი დაუწყებს ძვირობას.

მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც უცხოობლად უარყოფს სინტაქსურ კომპლექსს:

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა.

როგორ?

საამისოდ უნდა გავარკვიოთ მ ა შ ი ნ ღ ა-ზმნისართის ხასიათი „ვეფხისტყაოსანში“.

როდის ხმარობს შოთა მ ა შ ი ნ ღ ა-ზმნისართს?

მხოლოდ მაშინ, როდესაც მ ა შ ი ნ ღ ა-ზმნისართით დაწყებული წინადადება იპირობება წინასწარი ფაქტით ან მოქმედებით, სულ ერთია, უშუალოდ დამოკიდებული წინადადებითაა ეს წ ი ნ ა ს წ ა რ ო ბ ა განსაზღვრული, თუ ცალკე დამოუკიდებელი ამბითაა გადმოცემული.

განვიხილოთ.

1. მონანი მიღვეს. მივიღვეს. ვახდა აბჯროსა ჩხარია,
მ ა შ ი ნ ლ ა შეკრთა იგი ყმა. ტარს მტად გულმღუღარია.
(92).

როდის შეკრთა ყმა? მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ (და არა მაშინ!), როდესაც მონანი მიადგენენ, სხვაგვარად: ყმის შეკრთომა წინასწარ იპირობება მონების მისვლით. მიბრჯენ-მიდგომით.

2. მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა ღაყარგელისა,
მოხვიდე. სრულ-ვექმნა მ ა შ ი ნ ლ ა შენი წადილი გელისა“.
(153)

როდის აგისრულებ გულის წადილს? მ ხ ო ლ ო დ მაშინ, როდესაც და-
ელების შემსრულებელი მოხვალა

3. ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე.
აქთ სამ წულ მომიცადე ხვაშიადი შემინახე.
მე ნულუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაქნა ხე,
და არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტრე და მივაგლახე.

მ ა შ ი ნ ლ ა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალა.
აუნობე ჩემი სიკედილი, იყავ მართ ვითა მთრვალა.
მიხხედა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალა.
და გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალა.
(157—158).

მეორე სტროფის დაწყება მ ა შ ი ნ ლ ა-ზმნისართით ყოვლად შეუძლებე-
ლი იქნებოდა, რომ «არ სასურვალის თქმა» წინასწარ არ იპირობებოდეს.
როდის ჰკადრე მეფეს თქმა?

მ ხ ო ლ ო დ მაშინ (მხოლოდ!), თუ არ დავბრუნდი!

4. მიეც ერთი დიდებული, თანა ყმანი წავატანენ.
ციხოვანნი ერთობილნი ჩემ წინაშე მოვიყვანენ.
ხელთა მომცეს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,
და საჭურჭლენი სიმრავლითა ჩასამცა ვით დავავანენ.

მ ა შ ი ნ ლ ა შევე ხატეთს მოვლად და მოსათვალავად.
კლიტენი საჭურჭლეთანი მომართვენს დაუმალავად.
ქვეყანი ჩავსხი, ვუბრძანე: „იყვენით თქვენ უკრძალავად,
და მზემან არ დავწვენ იცოდით, დავყარენ გაუგვალავად“.
(458—459).

აქაც: ტარიელისაგან ხატეთს შესვლა წინასწარ იპირობება: მხოლოდ
მაშინ შევიდა, როცა სიმაგრენი ხელთ მისცეს, ხოლო ეს წ ი ნ ა ს წ ა რ ო ბ ა
და წინასწარობის შემდგომი დასკვნითი ფაქტი სიტყვიერად მ ა შ ი ნ ლ ა-
ზმნისართითაა გამოხატული.

ავილოთ ის ადგილი, სადაც ვეფხ-ლომთან ომგადანხდელი ტარიელი უარს ამბობს ბრძოლაზე. ბევრი ღონე იღონა ავთანდილმა, რომ როგორმე გონს მოეყვანა ტარიელი, მაგრამ ვერას გახდა.

ხელითა ცრემლსა უწურავს, თვალთა ავლებდა სახელსა,
ახლოს უზის და უზახის მართ სახელდებით სახელსა;
ეტყვის: „ვერ მიცნობ ავთანდილს. შენთვის გაქრილსა და ხელსა?“
და მას არა ღია შეესმის რიტსა, თვალ-დაუფახელსა.

ესე ყველაი ასრეა, რაცა აწ ჩემგან თხრობილა.
ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცოტადრე მოაცნობილა.
მაშინ ღა იცნა. აკოცა, მოექლო, მოეძმობილა.
და ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა. მათებრივ ავიენ შობილა.
(871—872).

მაშინ ღა-ზმნისართის ფუნქცია და ადგილი აქ ცხადზე უცხადესია!
კიდევ მაგალითი.

რა მოვა ჩემთვის განგება. ზეკით მოსრულნი ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომიელენ გულის სახმილთა ლენანი;
მაშინ ღა მომხედენ მოკედაესა მზისა ელვათა ფენანი,
და უმისეამისოდ ცუდია ჩემგან მი და მო რბენანი.
(1475)

და უკანასკნელიც:

რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინ ღა მივალ არაბეთს, მომხედენ მის მზისა ხლებანი
(1479).

მაშასადამე, მაშინ ღა (ღა!) მხოლოდ პირობითი წინადადების ატრი-
ბუტია, იგი ინმარება მხოლოდ მაშინ, როდესაც წინისწარ განსაზღვრული პირო-
ბა შესრულებულია, უმისოდ მისი ხმარება უადგილოა, უაზროა.

რა აძლევს ამ ზმნისართს პირობითობის ფუნქციას? ღა-ნაწილაკი. ამ
მხრივ მაშინ ღასა და მაშინ ს შორის დიდი განსხვავებაა. მაშინ ღა
მხოლოდ მაშინაა და არა თავისთავად მაშინ.

აქედან ცხადია:

რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა,
მაშინ ღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა —

ერთი სინტაქსური ერთეულია, განუკვეთელია!

განუკვეთელივე სინტაქსური ერთეულია აგრეთვე:

რა ვედარ მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლ-ის ქართული, არა კქმნას სიტყვა-მცირობა.
ხელ-მარჯველ სცემდეს ჩოგანსა, ისმაროს დიდი გმირობა.
(14).

აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: დამოკიდებული წინადადების რა ეკვეშირს არ გააჩნია მთავარში თავისი შესაფერი ფარდი სიტყვა დროის გარე-შეების ზმნისართი მაშინ.

უნდა ყოფილიყო:

რა ველარ მიხედვს ქართულსა. დაუწყოს ლექსმან ძვირობა.
[მაშინ] არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა.

სწორედ ისე, როგორც ეს გვაქვს სხვა ანალოგიურ შემთხვევებში:

1. მაშინ რაღა ექმნა. ვერჭვრეტა რა მომხედეს ელა უეძესადრე. (134)
2. რა შეგეყარო, მაშინ სენა შენ ძღვსობა ამისთანისა. (128)
3. მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა შეზის. (524)
4. მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდინდის კაცი ჭირსა. (1533)

და სხვა მრავალი.

მაგრამ არაა სავალდებულო, რომ კორელატები ყოველთვის თან იყოს. სანხელდობრ, მაშინ, როცა საჭიროა ე. წ. უკვეშირობა, განსაკუთრებული სისწრაფე, ექსპრესიულობა. ამის მაგალითებიც კიდევ უფრო მეტი გვაქვს „ვეფხისტყაოსანში“:

1. რა ვარდმან მისი ყვეელი გაახმოს, დაამქნაროსა.
იგი წავა და სხვა მოვა ტურფისა საბაღაროსა. (35)
2. რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა.
ავთანდილს მიხედა სიამე. ესემა სვირის მას აქ აღისა. (42)
3. რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა.
მას გაეცინნეს, გაღიშდა, კშვენოდა მხიარულობა. (1473)
4. რა ფრიდონ ჰკადრა ტარიელს ესე სიტყვანი ყმისანი.
მან ბრძანა: „მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი“. (1480)

მაშასადამე, უკორელატობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაბრკოლებელ მიზეზად, რომ „რა ველარ მიხედვს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა“, ვიცნოთ მთავარის „არ შეამოკლოს ქართული“, არა ქმნას „სიტყვა-მცირობა“-ს დამოკიდებულ წინადადებად.

რა გამოირკვეა?

1. მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ყველა სტრიქონი, ყველა სტროფი შეკრულია, არაა სწორი: ხ შ ი რ ა დ ხ ტ რ ი ქ ი ნ ი ხ ტ რ ი ქ ი ნ შ ი «გ ა რ დ ა მ ა ვ ა დ ი ა».

2. არის შემთხვევებიც, როცა სტროფი სტროფში გადადის.

3. «გარდამავლობა» აკვეშირებს მე-13 — 14 სტროფებსაც, სანხელდობრ:

- ა. ეითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა.
მართ აგრევე მელუქსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა.

პარალელურად მიმდინარე თანწყობილ წინადადებათა ერთი წყებაა;

ბ. რა მისკირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა,
მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.

წინადადებათა მეორე წყებაა;

გ. რა ველარ მიხედეს ქართულსა. დაუწყოს ლექსმან ძვირობა.
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
და ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა. იხმაროს დიდი გვირობა.

წინადადებათა მესამე წყებაა.

მთლიანად ორი სტროფი ერთ სინტაქსურს. «გარდამავლობით» დაკავშირებულ ერთეულს წარმოადგენს.

4. თუ დატოვებ, ორივე უნდა დატოვო, თუ გამოაგდებ, ორივე უნდა გამოაგდო.

რომელიმე მათგანის დატოვება ან გამოგდება ცალ-ცალკე შეუძლებელია. უერთურთოდ თითოეული მათგანი გაუგებარია, წარმოუდგინელია.

5. ორივე ეს სტროფი უდიდესი ღირებულებებისაა.

ისინი პოეზიის შესახები სტროფების მიუცილებელი ნაწილია და, ცხადია, რომელიმე მათგანის „გაძეგებაზე“ ლაპარაკი შეუძლებელია.

„მეფისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სტროფის გაგვიანათვის.

„მეფისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში. როგორც ცნობილია, შოთა-
ეხემა სხვადასხვა კატეგორიის მოშაირეს და თითოეულს სათანადოდ ახასია-
თებს, თითოეულს სათანადოს მიუზღავეს.

ასე:

მოშაირე არა ჰქვიან. თუ საღმე თქვას ერთი. ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი. ორი. უმსგავსო და შორი-შორი,
და მაგრა იტყვის: „ჩემი სწობსო“. უცილობლბს ვიოა ჭორი.
(15)

დახასიათებულია მოშაირეთა ერთი კატეგორია: ის არაა ნამდვილი მოშა-
ირე, რომელიც ერთ-ორს იტყვის და იმასაც ცუდსა და ერთმანეთის შეუწყო-
ბელს.

შემდეგ:

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უცი სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგვირეთა, —
ვამსგავსე მშვილდი ბელითი ყმაწვილთა მონადირეთა:
და დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.
(16)

არის მეორეგვარი ლექსი, იმ მოშაირეთა ხვედრი, იმ მოშაირეთა მიერ შეთ-
ხზული, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან სიტყვა გულის გამგვირავი; ამგვარ-
ი მოშაირეები მე მივამსგავსე ახალგაზრდა მონადირეების საბრალოდ, საწყალ
მშვილდს: დიდ ნადირს ვერ მოკვლენ, მათი ხელობაა მცირე მხეცების ხოცვა.

ამრიგად: მელექსეთა თითოეული კატეგორიის ა-
თვის პოეტს გახკუთვნილი აქვს თითოეული სტროფი,
სხვაგვარად: ერთ სტროფში მხოლოდ ერთი კატეგო-
რიის შესახებაა ლაპარაკი; არ არის ისეთი ვითარე-
ბა, რომ ერთსა და იმავე სტროფში ორი ამბავი იყოს
მოცემული, არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ პოეტი
ერთსა და იმავე სტროფში ორ საკითხს იხილავდეს,
ორ რასმე ეხებოდეს.

გავითვალისწინოთ ეს და გადავიღეთ შემდეგ სტროფზე.

მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად.
სააშოკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად:
ჩვენ მათიცა გვიამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
და მოშაირე არა ჰქვიან. ვერას იტყვის ვინცა გრძელად.
(17)

რაზეა აქ ლაპარაკი?

არის მესამე კატეგორიის ლექსი, რომელიც გამოსადეგია:

სანადიმოდ, სამღერელად, სააშოკოდ, სალაღობოდ, სხვაგვარად: ყველა ამგვარი ლექსი განკუთვნილია სიამოვნებისათვის, გასართობად. აგრეა, მაგრამ ბოლოს აქ ხაზი ტყდება და დახასიათების უკანასკნელი წევრი სხვა რიგისაა: იგი განკუთვნილია ტრადიციული წაკითხვით ამხანაგთა სათრეველად.

რა არის სათრეველი? სათრეველი—სალანძლავი, საგინებელი რამაა.

ამდროინდელ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ბევრჯერ გვხვდება სათრეველი და ყოველთვის ამ მნიშვნელობისაა. საამისოდ ავიღოთ თუნდაც „ვის რამიანი“ ვისი ეუბნება რამინს:

„არ გახსოვს, ოდეს წიგნი მოგეწერა და ათასი საგინებელი და სათრეველი ეწერა“ (258); ან: „არა კმა იყო, რომელ ჩემი სათრეველი წიგნი მომწერე და საგინებელი და სისხლნი ჩემნი მას წიგნსა შიგან დალუარე“ (262).

აქ ახსნაც ზედმეტია. სათრეველი რომ სალანძლავი, საგინებელია, ამონაწერიდან ნათლად ჩანს. ანდა: „მაგრა ესრე სათრეველი და სააბეზარო წიგნი რაისათვის მომწერე“? (265). აქაც სათრეველი და სააბეზარო კვალად საგინებელი, კვალად სალანძლავია.

სათრეველის წინსართიანი ფორმა იქნება გასათრეველი, რაც კვალად საგინებელია. ამგვარი მნიშვნელობითაა იგი წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“.

გამკიცხე. ბოზო დიაცო და დამდეგ გასათრეველად? (1101)

მამასადამე, რა არის სათრეველი ლექსი? სათრეველი ლექსია ვისიმე გასალანძლავი ლექსი, სხვაგვარად, პამფლეტი. ამხანაგთა სათრეველი ლექსი ამხანაგთა გასათრევი, ამხანაგთა გასალანძლავი ლექსია.

შეიძლება თუ არა აქ, ამ სტროფში იყოს სალანძლავ ლექსებზე ლაპარაკი? არა, არ შეიძლება. რატომ? იმიტომ რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, თითოეული სტროფი თითოეული კატეგორიის ლექსისთვისაა განკუთვნილი. რომელია ეს კატეგორია? გასართობი ლექსების კატეგორიაა: სახადიმოდ, სამღერელად, სააშოკოდ, სალაღობოდ და როგორ შეიძლება უცებ: ამხანაგთა სათრეველად?!

არა, ყოველად შეუძლებელია, რომ აქ ამხანაგთა სათრეველად იყოს მით უმეტეს, რომ მთელი სტროფის შეფასებაც უთუოდ გწინააღმდეგება ამას. როგორაა სტროფი შეფასებული? ჩვენ მათიკა გვეამბობს, ე. ი. ამგვარი ლექსი სასიამოვნოა და რა სასიამოვნო უნდა იყოს ამხანაგთა, მეგობართა გათრევა?

უთუოდ აგრე ფიქრობდა და გრძნობდა მკვლევარი ჰ. ინგოროყვა, ჩოდესაც მან სათრეველად უარყო და სტრიქონი ამგვარად გაპართა:

სანადიმოდ, სამღერელად, ამხანაგთა სათნეველად.

სათრეველადის ნაცვლად რომ სათნეველად ვინმართ, უთუოდ დიდი ნაბიჯია წინ წადგმული, მაგრამ საბოლოოდ არც სათნეველად და ამისადებო! რატომ? რა არის თნევეა და მისგან ნაწარმოებო სათნევი, სათნეველი? იგი ორაზროვანია: თუ ზოგჯერ მოწონებას აღნიშნავს, ხშირად პირფერობას, მლიქვნელობასაც შეიცავს, ყოველ შემთხვევაში, შოთას უფრო უკანასკნელი მნიშვნელობით, უარყოფითი მნიშვნელობით აქვს იგი ნახმარი.

განვიხილოთ ჯერ ის სტროფები, სადაც თნევა მოწონებას ნიშნავს.

ა. ხატავთზე გალაშქრებულ ტარიელს რამაზ ჭეფემ მოციქულნი გამოუგზავნა: უომრად დაგნებდები და ნუ დამარბევო. მოციქულთაგან ერთი გამოუყო და ტარიელს მოახსენა: მე მამათქვენის გაზრდილი ვარ და არ შემიძლია არ გაუფრთხილო, რომ ჩვენები თქვენ გლალატობენო.

მეფე ცოტათ მოგეგებვის, ვის მკვრეტნი ვერ გელევიან;
მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო, მით გეთნევიან.

(435)

ე. ი. რამაზ მეფე ცოტა ჯარით შემოგეგებება შენ, რომელსაც მკვრეტელნი ვერ გელევიან, ვერ გიმეტებენ. დამალულად ჩაიცმენ აბჯარს, რომ მიენდო და ისინი რომ სათნო, მოსაწონი იყვნენ შენთვის.

ბ. ავთანდილი მოუთხრობს თინათინს ტარიელის ამბავს. თინათინმა მოისმინა ამბავი, აუსრულდა წადილი და ამბობს: რა პასუხი ეთქვა იმისთანა, რომ ტარიელის მოსაწონი, სათნო იყოს, რაა წამალი, რომ მისი წყლული განიკურნოსო?

ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა წადილი ნებისა,
განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა;
იტყვის: „რა ვუთხრა პასუხი მისთა ნებისა თნებისა,
და რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“

(701)

თნება აქ უთუოდ მოწონებაა.

გ. ავილოთ სტროფი ავთანდილისა და ვაზირის საუბრიდან.

რა ქალაბი გაიყარა. ყმა ვასირსა ეუბნებდის.

იტყვის: „შენი დამალული დარბაზს არა არ იქმნებიან,
რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნების...“

(732)

ე. ი. რაცა გწადდეს საზრუნავი, მეფე დაგაკმაყოფილებს და შენ მოგეწონება.
დ. კვალად ამგვარივე მნიშვნელობითაა ეს სიტყვა შემდეგ სტროფში:

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.
მზისა შექთა ვერ-შეკრებელი ია ხმების, ვარდი კნების,
თვალთა ტურთა საქვრებელი უცხო რადმე ეშვენების,
და მე ვით გავძლო უმისობა. ან სიციცხლე ვით მეთნების!

(793)

ე. ი. როგორ გავძლო მე უიმისობა, უტარიელობა, ან სიციცხლე უიმისოდ რო-
გორ იქნება ჩემთვის სათნო, მოსაწონი?

ე. მოვიხმოთ ერთი ადგილი ფრიდონისა და ავთანდილის საუბრიდან:

ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე.
ცხენისაგან გარდავიპერ, თავი სრულად გაიციცხე,
ჩემთა ლაწეთა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიცხე.
და ეუთხარ: მომკალ. უჩემოსა ენახამცა ვისცა ისც ხე!

ესე ჩემგან გაუყვირდა ფრიდონს. მეტად ეუცხოვა.
მაგრა მეტად შეეებრალე, ტირილითა შესათნოვა.

(629—30)

ე. ი. ტირილით მომეფერა, ჩემთვის სათნო, მოსაწონი შეიქმნა.
ამგვარივეა 375 სტროფიც.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში თნევა და მისი ვა-
რიანტები პირფერობის აღმნიშვნელია.

ა. ასე:

თუცა ქალია. ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია.
არ გათნეუთ, იცის მეფობა. უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია.

(39)

ე. ი. თუმცა ქალია, მაგრამ ის ხელმწიფედაა დაბადებული, პირში არ გე-
ფერებოდ არ ემლიქნებოდო; უთქვენოდ ზურგს უკანაც ღილაც არა ერობოდ
გვითქვამს.

ბ. როსტევეან მეფე და ავთანდილ შეეჯიბრნენ ერთმანეთს ნადირობაში. კა-
თავდა ნადირობა.

ერთმანერთსა, თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,
ამხნავოდეს, ლაღობდეს იქით და აქით დგებოდეს,
მერმე მოვიდეს მონანი, რომელნი უკან ჰყვებოდეს.
და უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვითნებოდეს“.

(79)

მონები მოწმებდალ ჰყავდათ წაყვანილი და მეფემ მათ უბრძანა: მართალი თქვით, პირფერობა. პირმოთნეობა არ დაიწყოთო.

გ. ტარიელი ეხვეწება ასმათს: ნესტანის ამბავი მითხარი. მეტი არაფერი თქვაო. ასმათმაჲ უპასუხა: გეტყვი მართალსა, ჩემგან პირფერობას ნუ მოელოო.

მიაშვე მისი ამბავი, სხვად ნურად მეუბნებია!
მიოხრა. თუ: „გადრებ მართალსა“, აწ ჩემგან არ სათნებია.“
(492)

მაშასადამე, თნევა, თნება უპირისპირდება მართალს, სიმართლეს.

ეს გარემოება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოსკვირს „ვეფხისტყაოსანის“ მეორე ადგილას, სახელდობრ:

დ. ფარსადანი წყრომით შეეკითხა ტარიელს: უდანაშაულო ხვარაზშმა რად მოკალი, თუ ჩემი ქალი (ნესტანი) გინდოდა, წინასწარ რად არ გამაგებინეო? ტარიელმა უპასუხა:

ვერ გათნე, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ მართალია:
ლმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზშმა დაქვა ხელმწიფედ. დამჩებობს რა ნაცვალაი?
და სხვა მეფე დაქდეს ინდოეთს, შერთვას მე ჩემი ხრპალია?!
(565)

ე. ი. პირში არ გეფერებო, მეფეო, არ ვმლიქვნელობ.

ე. მოვისხმოთ კიდევ მაგალითები:

ავთანდილი ეხვეწება ვეზირს: მიშუამდგომლე როსტევეან მეფესთან—ვაშცეშვას მეორედ ტარიელის დასახმარებლად, სამაგიეროდ „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“. ვეზირი ცივ უარზეა:

თავმან მისმან მუნვე მომკლავს, ვევე წამიცა არ წამაროს!
შენი ოქრო შენვე დაგრჩეს. მე, გლახ, მიწა მესამაროს.

(743)

ავთანდილი მაინც განაგრძობს ხვეწნას. სასოწარკვეთილი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეარდნილი, ვეზირი ამბობს:

გზა არ წავა თავსა წინა, სიცოცხლე, გლახ, ვით გათნიო?

(744)

ე. ი. გზას, სიცოცხლეს თავისი ბუნებრივი მსვლელობა აქვს, დროზე აღრე იგი არ გათავდება, და რატომ დაგითმო, რატომ შემოგწირო იგი შენ?

ვ. საგულისხმოა ერთი ადგილი ავთანდილის ანდერძიდან, სადაც თნევა კვალად პირფერობის სინონიმია.

ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის,
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გადრებს, არ გეთნევის.
(805)

¹ საიუბილეო გამოცემაში წერია ა მ ბ ა ე ს ა, ხოლო ზოგ ხელნაწერში მ ა რ თ ა ლ ს ა.

ზ. შემდეგ: მეორედ წასული ავთანდილი მიადგა ტარიელის ბინას, მაგრამ ტარიელს გაეტეხა პირობა და ველად გაპრილიყო. ამის გამო ავთანდილი ერთგვარ საყვედურსაც კი ამბობს ტარიელის მიმართ: თუ მე უმისოდ ქვეყნად ყოფნა ჩირადაც არ მილირდა, რატომ გატეხა მან სიტყვა, რატომ არ დამიკადა, რატომ გაიპარაო?

ტარიელის მაგიერ ავთანდილს პასუხი ასმართმა გასცა: მართალი ხარ შენ, რომ სიტყვის გატეხამ დაგამძიმა, რომ ფიცისა და პირის გასრულებას გული უნდა და ტარიელი კი ამჟამად უგულოდაა და ღლე-ღლეზე მოიგლის სიკვდილსა.

კლა ქალი ეტყვის: „მართალ ხარ მაგისა დამძიმებასა,
მაგრამ რა გავბრკო მართალი, ნუ მევე რასაცა თნებასა.“
(847)

მართალს გეტყვი და ნუ იფიქრებ, რომ პირში გეფერებბიო.

თ. მხოლოდ ამგვარადვე გაიგება „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ადგილი: ავთანდილი ცდილობს გონს მოიყვანოს სასოწარკვეთილი ტარიელი, რომელიც ვეფხვ-ლომთან ბრძოლის შემდეგ მიწაზე დანარცხებულია და ხელი აუღია ბრძოლაზე.

ისმინე ჩემი თბრობილი, შეჟე, წავიდეთ ნებასა,
ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გავგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა,
და ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მევე რასაცა თნებასა.
(880)

ე. ი. მოიქეცი ისე, როგორც გეუბნები, აგრე რომ არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ იფიქრებ შენ ჩემს შესახებ, რომ მე გეპირფერებბიო.

ი. ან კიდევ კვალად ავთანდილ-ტარიელის საუბრიდან:

შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰქადრა არ მალული (ავთანდილმა):
„ერთსა რასმე მოგახსენებ, გამოცხადე დაფარული:
ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩინა ვისგან წყლული,
და რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დაეილო მერმე სული!“

მან უთხრა: „სახე არ გითხრა მის უსახოსა სახისა
ქსეა ჩემი სიციცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
მჯობი ყოელისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა;
და არ-სასმენლისა მოსმენა არს უმეავესი წმახისა.

ავთანდილ უთხრა: „ელამოდი მართ მაგისისა თქმევასა;
აწ რათგან გითქვამს, პასუხსა გადარებ და ნუ მევე თნევასა.“
(895—897).

ე. ი. პასუხს გეტყვი და (კვალად) ნუ იფიქრებ, რომ მე პირში გეფერებბიო.

ია. ცოტა სხვაგვარი ელფერითაა, მაგრამ არასგზით მოწონებ ის გაგებით, მოცემული თნევა-სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ადგილას.

ავთანდილი დაეხმარა მოქარავენთ, დახოცა შეკობრენი. მოქარავენნი მალ-
ლობას უძღვნიან ავთანდილს:

შენგან დაეპოჩით ჩვენ ყველანი ფათერაჟა ეზომ ძნელსა.
(1049)

ამის პასუსად ავთანდილი ეუბნება მოქარავენთ:

ღმერთმან სულსა ეგოდენსა თქვენ გათნივა სისხლი თქვენი,
(1051)

ე. ი. ღმერთმა თქვენ გაპატიათ, თქვენ დაგიტომოთ, თქვენ შეგარჩინათ თქვენი
სისხლიო.

იბ. ავთანდილმა ფრიდონის პირით შეუთვალა ტარიელს, მას შემდეგ
რაც ყველანი გამარჯვებულნი თავ-თავის სახლს უნდა წაეიდნენ.

ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:
ინდოეთს განხო მორკმული, საქდომთა ზედა მქდომარე,
გვერდსავე გიოდეს მნათობი პირი ელუათა მკრთომარე,
და მებზოლნი თქვენნი მოგესრნეს, არეინ ჩნდეს მუნ მიომარე.

რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინდა მივალ არაბეთს, მომხვდენ მის მზისა ხლებანი;
ოღესცა სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა დებანი,
და სხეა თქვენგან არა არ მინდა, მძულან ცუდნილა თნიბანი.
(1478—1479)

ე. ი. მძულს ცუდი პირ ფერობაო.

ტარიელმა უპასუხა: მე შენი გამზრდელის, როსტევანის, უნახავად ვერ
დავდგები, ვფიქრობ, ბევრი ყმა დაუუხოცე მას და ბოდისშ მოვიხდი მის წინა-
შეო:

მიდი, უთხარ ჩემ მავიერ სიტყვა ჩემგან არნათენიო.
(1481)

ასეთია თნევა, თნება და მისგან ნაწარმოებ სიტყუათა აზრი და ვა-
გება „ვეფხისტყაოსანში“: არსად, არც ერთ ვარიანტში, გარდა სამიოდ
შემთხვევისა, იგი მოწონებას არ აღნიშნავს: ყველგან საპირფეროს,
სააუგოს სინონიმია მხოლოდ.

იგ. მაგრამ ამ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობა ისე მკაფიოდ არსად არ ჩანს,
როგორც სამთა თათბირზე, ქაჭეთის ციხის აღების შესახებ რომ იყო გამართუ-
ლი.

ტარიელი უარყოფს ავთანდილისა და ფრიდონის მოსაზრება-წინადადე-
ბებს:

მაგრა იყვენით ჩემთვისა საქმისა რასმე რჩევითა:
ხმა ემსა ჩემსა ხელ-მქმნელსა. ზედა გარდმოდგეს მზე ვითა.

ე. ი. ეს მე დამსერის. გამლანძღავს, ნუ პირფერობთ!

მაშასადამე. სათნევი. ამ შემთხვევაში, კვალად საპირფეროა. კვალად უარ-
საყოფია.

ამგვარად: ამხანაგთა სათნეველადაც უნდა მოიხსნას. უნდა მოიხს-
ნას კიდევ იმიტომაც, რომ სათნევე ფუძე რომ ყოფილიყო, იგი არც ისე
ადვილად შეიცვლებოდა სათრევე ფუძით.

მაშასადამე, სათრეველად უთუოდ გამორიცხუ-
ლია, მაგრამ არც სათნეველად შეიძლება იყოს. აბა, რა?
სართეველად.

„სააშიკოდ. სალადობოდ, ამხანაგთა სართეველად“.

სართეველად-ის სახელობითია სართეველი, რომლის წინსართიანი
სახე იქნება გასართეველი, ან გასართევი.

საიდანაა ეს სიტყვა წარმოებული?

ჩვენ გვაქვს ამ სიტყვის ორი საწყისი: გართობა და გართვა, ან ევ-თემიანი
— გართევა. გართობა სიტყვიდან გვექნება გასართობი, გასარ-
თობად. მაშასადამე, იგი უნდა მოიხსნას.

დაგვრჩა გართვა; გართევა — საწყისი. აქედან კი სრულიად კა-
ნონიერად იწარმოება გასართევი. გასართეველი, ე. ი. ის ვინც უნდა გაართონ.

მაშასადამე. სააშიკოდ, სალადობოდ, ამხანაგთა გასარ-
თეველად. პროზა რომ ყოფილიყო, უთუოდ აგრე დაიწერებოდა, მაგრამ
ლექსმა მოითხოვა გასართეველის შეკუმშული სახე: გასართევი, გასართევე-
ლად. გასართეველად კი სავსებით კანონიერი სიტყვაა: გავისხენოთ ნ.
ბარათაშვილის

წარვედ წყლის პირსა. სევდიანი გულთ გასართეულად,

ე. ი. მე, სევდიანი, წარვედ წყლის პირას, რომ გული გამეოთო.

მაშასადამე, შოთას ხაზი რომ არ გაემრუდებინა, სრულიად კანონიერად შე-
ედლო ეხმარა:

სააშიკოდ, სალადობოდ, ამხანაგთა გასართეველად:
ლექსიც სრულყოფილი იქნებოდა და აზრიც სათანადო. შეედლო სრულიად და-
უკლებლივ, მაგრამ გაწინსართიანი ფორმა ძინც არ იხმარა. რატომ?

იმიტომ, რომ წინათ, ოთხჯერვე ნახმარი აქვს სა-წინსართიანი ფორმა: სა-
წინსართიანი უნდა მოეხმო, მაგრამ აუცილებლად სრული, გაშლილი სახით:
სართეველად. რატომ? იმიტომ, რომ გასართეველად შეკუმ-
შული ფორმაა, გაწინსართის ჩამოშორება კი უთუოდ კომპენსაციას მოითხოვს,

ამიტომ „ე“ კვალად უნდა აღდგეს და სიტყვაც სრული. უკუმშველი სახით უნდა წარმოდგეს: ს ა რ თ ე ვ ე ლ ა დ მ ი თ უ მ ბ ტ ე ს. რომ დანარჩენი მორითმავე სიტყვებიც სრული. უკუმშველი სახითაა მოცემული, სახელდობრ:

ს ა მ ღ ე რ ე ლ ა დ,

ნ ა თ ე ლ ა დ,

გ რ ძ ე ლ ა დ.

მასაშასადამე. - - - ს ა რ თ ე ვ ე ლ ა დ.

ამგვარად, ეს სტროფი ამიწრიდან, ჩემი აზრით, ასე უნდა შევიდეს „ე-
თ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი“:

მესამე ლექსი კარგია სანადიზოდ. სამღერელად.

სააშიკოდ. სალაღობოდ. ამხანაგთა სართეველად;

ჩვენ მათიკა გვეამების, როცა ოდენ თქვან ნათელად,
და მოშიირე არა ქქვიან. ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

(17)

„ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VI, 1950 წ.

„ამხანაგთა ხართმგელად“*

რას ვამტკიცებ მე ჩემს მცირე ნარკვევში: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის?!

„ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში შოთა ეხება სხვადასხვა კატეგორიის მოზაირეს და თითოეულს სათანადოდ ახასიათებს.

ამასთანავე მელექსეთა თითოეული კატეგორიისათვის პოეტს განკუთვნილი აქვს თითო სტროფი, სადაც ლექსის მხოლოდ ერთ უნარს ეხება, არ არის ესეთი ვითარება, რომ პოეტი ერთსა და იმავე სტროფში სხვადასხვა უნარს განიხილავდეს. ეს ხაზი მტკიცედ დაცულია მე-15-16 სტროფებში.

რაც შეეხება მე-17 სტროფს, აქ ხაზი გატეხილია: სანადიმოდ, სამღერელად და სალალობოდ დანიშულ ლექსებთან ერთად ამხანაგთა სათრეველ ლექსებზედაცაა ლაპარაკი.

ეს კი აშკარა შეუსაბამობაა: სალალობო ლექსების გვერდით სათრეველი, სალანძღავი არ შეიძლება იყოს დასახელებული. ამაში თითქმის ყველანი შეთანხმებული ვართ. გიორგი შატბერაშვილიც!

მაგრამ გ. შატბერაშვილი არ მეთანხმება ერთ რაშიმე: სათრეველი ლექსი არ არის სალანძღავი, საგინებელი, არამედ სახუმარო, გასართობი ლექსიაო: „...სალალობო, სააშკო და სანადიმო ლექსების გვერდით შოთა რუსთაველი სალანძღავ ლექსს კი არ ასახელებს, არამედ ამხანაგთა სათრეველ, სახუმარო შაირებს...“ (ხაზი გ. შატბერაშვილისა).

ამრიგად, გ. შატბერაშვილს „სათრეველი“ და „სახუმარო“ სინონიმებად მიაჩნია.

ამის ნათელსაყოფად გ. შატბერაშვილს მოჰყავს ნაწყვეტები ძველი (!) მწერლობიდან: დ. გურამაშვილიდან, აკაკიდან.

ჩერ ერთი: როდის აქეთაა ძველი მწერალი დ. გურამიშვილი და, განსაკუთრებით, აკაკი?!

* გ. შატბერაშვილის შენიშვნის საპასუხოდ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 3). იბეჭდება პირველად.

მეორეც: როდესაც უნდათ რაიმე ცნების განმარტება, ანდა: განმარტების დაზუსტება და საბოლოოდ საილუსტრაციო მასალა მოკეცოთ, ამ მასალაში ერთხელ მაინც უნდა იყოს ნახსენები განსამარტავი სიტყვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ილუსტრაცია თავის მიზანს ვერ მიაღწევს და მსჯელობაც „შორი-შორი“ გამოვა.

სწორედ ამგვარი მდგომარეობა გვაქვს ამ შემთხვევაშიაც.

გ. შატერაშვილის მიერ მოყვანილი ნაწყვეტები, თავის თავად მეტად კარგი. მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ჩვენში საოხუნჯო პოეზია არსებობდა. მაგრამ სათრეველ-ცნების დაზუსტებისათვის იგი ოდნავადაც არ გამოდგება. ვერ გამოდგება.

მე საკმაოდ ნათელყვავი ჩემს ნარკვევში, რომ სათრეველი მხოლოდ სალანძღავი და საგინებელია.

რადგან საკითხის სწორი გადაწყვეტა უპირატესად სათრეველ-ცნების სათანადოდ გაგებაზეა დამოკიდებული, მე იძულებული ვარ დაეუბრუნდე ამ სიტყვას და კვლავ დავაზუსტო მისი მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტით.

ცნობილია შოთას პარალელიზმები, რომლითაც ერთი აზრი ორი მხატვრული საშუალებით — სინონიმურად იშლება.

პოეტი ამ ხერხს მაშინ მიმართავს ხოლმე, როდესაც უნდა ხაზი გაუსვას რაიმე ფაქტს, რაიმე აზრი გააძლიეროს. ასე:

ჩემ წილ დაგადებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა.

პატრონად — თავადად.

(155)

ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა.

მოვლო — სრულად მოიარა.

(182)

ჩემი ლხინა: სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.

სიკვდილი — ხორცთა და სულის გაყრა.

(274)

ცისკრად ავდგე, შევეკაზმე. რა გათენდა ღამე დილაჲ.

(561)

და სხვა მრავლის უმრავლესი.

აქ ყველგან ერთი აზრი ორი მხატვრული სახითაა წარმოდგენილი.

ახლა დაეუბრუნდეთ ისევ სათრეველს. სათრეველის სრული ფორმა იქნება გასათრეველი.

აი, რას ვკითხულობთ 1101 სტროფში:

„გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდეგ ვასათრეველად?“

აქაც სალექსო სტრიქონი ორადაა გაყოფილი: ორსავე ნახევარში ერთი და იგივე აზრია ხაზგასმული: გამკიცხე იგივეა, რაც დამდეგ ვასათრეველად. დღევანდელი ენით იქნება: გამკიცხე. გამათრიე.

და თუ გამათრიე. როგორც გ. შატბერაშვილი ფიქრობს. უნდა ნიშნავდეს სახუმარო შაირები მითხარიო. აუცილებელია: გამკიცხე-ც იგივე უნდა იყოს, მაგრამ ამის დამტკიცება არაეის შეუძლია.

გათრევა-ცნების შინაარსის დაზუსტება კიდევ უფრო მკაფიოდ შეიძლება იმავე „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ადგილებიდან.

ავთანდილი აპირებს მეორედ წასვლას ტარიელის საშველად. როსტევენ მეფე ამის წინააღმდეგია. ავთანდილმა ვეზირი გაგზავნა: მიშუამდგომლე როსტევანთან -- გამიშვასო. მეფე რისხვით მოველინა ვეზირს..

რა მეფემან მოსმინა. გაგულისდა. გააცნობდა,
ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა. შემხედველთა შეაშობდა:
შეუძახნა: „რა სთქვი. შმაგო, მაგას სხვამა ეინ მითხრობდა!
და აესა კაცსა ურჩევნია. აესამცა რას ადრე სცნობდა!

ეთამც რამე სახარელი საქმე მითხრა ვითა ადრად.
მაგის მეტი რა ეინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ლადრად!
შმაგო, ენა ვით იხმარე აწ მაგისად ჩემად კადრად!
და აგრე შმაგი არ ეაზირად. არად ვარგხარ, არცა სხუად რად!...“
(756—757)

კელა უბრძანა: „თქმცა მისგან აწ არ იყავ მოგზავნილი,
თავმან ჩემმან. თავსა მოგვეთ. არად უნდა ამას ცილი
წა უკუდეგ! ავი. შმაგი. უმეცარი. შლევი. წბილი!
და შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი. შაბაშ საქმე. მისგან ქმნილი“.

ღადრკა, სკამნი შემოსტყორცნა. ჰკრნა კედელსა. შეალიწნა:
დაცოტუნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძეწნა...“
(759—760)

ამაზე მეტი გაშმაგება ადამიანისა წარმოუდგენელია, ამაზე მეტი გალანძღვა და შეგინება ვისიმე შეუძლებელია!

აბა ვნახოთ, როგორ შეათასა როსტევანმა თავის ეს საქციელი მეორე დღეს, როდესაც კვალად მოიხმო ვეზირი.

რა ეაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული.
როსტან უთხრა: „არა მახსოვს გუშინდელი შენგან თქმული.
მაწყინე და გამარისხე. ვერ დავიდე დიდხანს სული.
და აზომ რომე გაგათრიე შენ. ეაზირი გულის-აგული.“
(814)

მთელი გუშინდელი ნამოქმედარი როსტევანისა ერთმა სიტყვამ დაიტია და ეს სიტყვა გახლავთ გაგათრიე და რას წარმოადგენდა ეს გათრევა, ვგონებ. ახლა გ. შატბერაშვილისთვისაც ცხადია!

ამრიგად, სათრეველი იყო დაარის ზუსტი სინონიმი სალანძღვისა და საგინებელისა და მას ადგილი არ უნდა ექნეს მე-17 სტროფში.

უთუოდ ყურით მოთრეული, „შორი-შორი“ მსჯელობა იმის მტკიცება, რომ:

გასართობ-სტრუქტურალსთან ერთად ამხანაგთა სათრეველ ლექსს შუთა ათავსეპს თავისეპური სიფრთხილით, ასე ვთქვათ. პირობითად:

ჩვენ მათიცა გვეამების. რაცა ოდენ თქვან ნათელად (ხაზი გ. შატბერაშვილისა).

მოყვანილი სტრიქონი გ. შატბერაშვილს ნებისმიერად ექმის, როგორც მოწოდება ერთგვარი დელიკატობისა და ზომიერებისაქენ! (საერთოდ თუ შეიძლება დელიკატური გათრევა?).

ნათელზე უნათლესია, რომ თრევა, გათრევა ძირშივე გამორიცხავს დელიკატობის მომენტს თავისი ექსპრესიულობით მაშინაც კი, როდესაც იგი რბილად გათრევა. თრევა და მისგან ნაწარმოები სიტყვების ანალიზი „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ და მხოლოდ მძაფრ-თავსეპეუქავებელ ემოციებს ამქდავნებენ.

ამიტომაც ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება „რაცა ოდენ თქვან ნათელად“ გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ „ლექსი არ უნდა იყოს წრეს გადასული, არ უნდა არღვევდეს ადამიანთა დამოკიდებულების არსებულ ნორმებს და იყოს თავდაპირველი...“.

განა ნათელად თქმა თავდაპირველად თქმას ნიშნავს. ანდა ნათელად თქმა გამორიცხავს წრესგადასულ თქმას?! ნათელად ყველაფრის თქმა შეიძლება: როგორც ავისა ისე კარგისა!

რაც შეეხება იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არსად სიტყვა სართეველი არ გვხვდება და ამიტომ არ შეგვიძლია მისი მიღება, ესეც არაფერს არ ამტკიცებს.

სართეველი რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ამდენი ჩხრევა არ დაგეპქირდებოდა და არც გ. შატბერაშვილი შემესიტყვებოდა.

გავიხსენოთ შერისა სიტყვის ისტორია. მის ნაცვლად დიდი ხნის განმავლობაში იწერებოდა ხშირისა და, როდესაც ერთმა მკვლევარმა შერისა-ს წაკითხვა წამოაყენა, საზოგადოების ერთი ნაწილი აღშფოთდა: რა უფლება აქვს, თუნდაც დიდ მკვლევარს, შუთას ენა დაამახინჯოს, მაგრამ შემდეგ, როდესაც ხელნაწერმა დაადანტურა შერისა, ყველა გაჩუმდა და დღეს შერისა წაკითხვა ყველასაგან მიღებულია.

ამგვარსავე მდგომარეობაში იყო იმავე სტროფის მშეირისა. ქუთაისში აღმოჩენილმა ხელნაწერმა მაგვცა წაკითხვა მიშეირისა, მისი მნიშვნელობა შეიძლება დღესაც არ გვესმოდეს ყველას ერთგვარად, მიუხედავად ამისა მაინც ვწერთ და ვკითხულობთ მიშეირისა. ამავე დროს ეს სიტყვა არც ერთ ლექსიკონში არაა (გ. შატბერაშვილის აზრით. რაკი ლექსიკონებში არაა, არ უნდა ვიხმაროთ!).

საბას სილიადეს სხვაზე ნაკლებ მე არ ვაფასებ (იხ. ჩემი დავით რექტორის ულხან-საბას გამგრძელებელი). მაგრამ მისი ლექსიკონი ვერ ამოწურავს ქართული ენის სიმდიდრეს, ისე როგორც „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და ყოველი ცალკეული ნაწარმოები არ იტყეს მთლიანად ქართულ ლექსიკას.

რა ვუყოთ, რომ „თრევა“ არც „ე ი ს რ ა მ ი ა ნ შ ი ა“ და ვთქვათ, არც ხაბას ლექსიკონში განა ცოტა სიტყვაა, ანდა სიტყვის ფორმა, მხოლოდ შოთას რომ იხმარა? ბუნებრივია, „ვე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი“ სიტყვა გართობა რომ არ აღმოჩნდა: გართობა ახალი ქართულის მორფოლოგიური ფორმაა ძველ ქართულში დაცული რთვ ძირისა, რომელიც საბასაც აქვს და დ. ჩუბინაშვილსაც (მონახვა უნდოდა!).

ს ა რ თ ე ვ ე ლ ა დ ისევე არ არის ხელოვნური ფორმა, როგორც შოთას მიერვე ნახმარი „არ გეცნევის“, „თქმევა“, „მეთნების“ და მრავალი სხვა, რაც მხოლოდ შოთას სიტყვახმარების თავისებურებას წარმოადგენს და ძველ ქართულში არ იხმარება.

ამგვარადვე არ შეიძლება ხელოვნურ ფორმად ჩაითვალოს ჩემ მიერ ზემოთ, 757 სტროფში მოყვანილი: „ვითამც რამე სახარელი საქმე მითხარვითა აღრად“. გახაზული სახარელი სიტყვის მაგიერ ყველგან სწერია და დაბეჭდილია ს ი ხ ა რ უ ლ ი: ს ი ხ ა რ უ ლ ი საქმე — რაც უდიდესი შეუსაბამობაა. ს ი ხ ა რ უ ლ ი საქმე არ შეიძლება, არამედ გასახარელი საქმე, სახარელი საქმე, მაგრამ გ. შატბერაშვილი, ალბათ სახარელსაც ხელოვნურად მიიჩნევს. ჩვენ აუცილებლად მივიღებთ, და საბოლოოდ „ვე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი“ ყოველ მიზეზს გარეშე დამკვიდრდება სახარელი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ციტატებს უფრო ყურადღებით უნდა მოყვანა. მაგ., არ არის სწორი მითითება: „ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ „სართველი“ ნიშნავს გართობას“. ვ. ბერიძე იტყვოდა (და თქვა კიდევც), რომ ს ა რ თ ე ვ ე ლ ი ს სრული ფორმა არის გასართველი ან თანამედროვე ენით გასართობი და არა გ ა რ თ ო ბ ა.

არის კიდევ მეორე ადგილი გ. შატბერაშვილის წერილში, სადაც ციტატა ჩემი ნარკვევიდან არაა სწორად მოყვანილი. ამის მონახვა მიმინდვია თვით გ. შატბერაშვილისათვის!

არ შეიძლება დავეთანხო გ. შატბერაშვილს იმაში, თითქოს გ ა რ თ ო ბ ი ს ნაცვლად: რომელიც, როგორც ვთქვით, ძველ ქართულში უცხო მორფოლოგიური ფორმაა (და არა ძირი!), შოთა ყველგან ხმარობს სიტყვას თ ა მ ა შ ი.

დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ თ ა მ ა შ ი ძველ ქართულში საერთოდ და „ვე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი“ კერძოდ აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ სპორტის ნაირსახეობას, ე. ი. ფიზიკურ მხარესთანაა დაკავშირებული და ლექსთან არაფერი აქვს საერთო. გ. შატბერაშვილის მიერ მოყვანილი ადგილები „ვე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი“ სწორედ ამის დამადასტურებელია!

როგორ დავასკვნათ?

„ვე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი“ წინასიტყვაობის მე-17 სტროფში არის საცილობელი სიტყვა. რომელიც სხვადასხვაგვარად იკითხება:

1. სათრეველად -- ტრადიციული წაკითხვა. რომელსაც მხარს უჭერს ვიორჯი შატბერაშვილი.

2. სათნეველად — პაეღე ინგოროყეასი.

3. სართეველად — ვუკოლ ბერიძისა*.

საბოლოოდ რომელი წაკითხვა დარჩება?

ან პაეღე ინგოროყეასი,

ან ვუკოლ ბერიძისა.

ტრადიციული და გ. შატბერაშვილისა არასგზით!

* P. S. „ვეფხისტყაოსნის“ Q—483 სელნაწერში წერია „სართეველად“. იხ. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტები, I, 1960 წ. გვ. 11—12.

იბეკღება პირველად

„და“ კავშირისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა ყოველი მეოთხე სტრიქონი იწყება დაკავშირით. რაც უკანასკნელ სტრიქონს ჩვიდმეტმარცვლიანად ხდის. ამის გამო ზოგი მკვლევარი შეეცადა მის მოხსნას: ზედმეტია, დეკორაციულია, რიტმს არღვევსო.

1919 წლის 5 თებერვალს ნ. მარმა არქეოლოგიურ საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება: *Кавказская поэзия и ее технические основы*¹, სადაც, სხვათა შორის. და კავშირსაც შეეხო.

ამ წერილში ნ. მარი და კავშირის შესახებ ამბობს: თავის დროზე დაკავშირი კონსტრუქციული იყო, ახლა კი მხოლოდ დეკორაციულიაო, თუმცა და კავშირს თვითონ კითხულობდა და მოწაფეთაგანაც მოითხოვდა მის წაკითხვას.

რას წარმოადგენს ეს და კავშირი: მართლაც ზედმეტია. სამკაულის ნაშთილა იგი, თუ დღესაც კონსტრუქციულია, ლექსის, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის, არსებითი ნაწილია?

თუ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსს დღეს შემუშავებული პოეტიკის ნორმების თვალსაზრისით განვიხილავთ, და კავშირი მხოლოდ დეკორაციულია ჩნდება. მაგრამ ხალხური პოეტიკის ნორმების თვალსაზრისით თუ მივუდგებით მას (და ეს და კავშირი უთუოდ ხალხურობიდან მომდინარეობს), იგი უაღრესად კონსტრუქციული. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის განუკვეთელი ნაწილი აღმოჩნდება, თუმცა სათვალავში ზედმეტ, მეჩვიდმეტე მარცვლად მოდის.

რა იწვევს და კავშირს?

და კავშირს იწვევს ის გარემოება, რომ სტროფის სტრიქონები, მაჭგუფებელი კავშირის გარეშე, უკავშირობითაა ერთმანეთთან გაერთიანებული: და კავშირს იწვევს უკავშირობა! როგორ?

ავილოთ დღევანდელი სასაუბრო, ცოცხალი ენა.

„ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ უჩვეულო ძალა და სიმტკიცე გამოვიჩინეთ;

დიდი. პატარა. როგორც ერთი. ებრძოდა გააფთრებულ მტერს;

¹ ახლა დაბეჭდილია: „ლიტერატურული ძიებანი. .111, გვ. 315—343.

გასაოცარი ურყევლობა გამოიჩინა ზურგმაც;
და საბოლოოდ. სამარადისოდ გავანადგურეთ შტერი“.

აქ ოთხი თანწყობილი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. მაჭგუფებელი
კავშირის გარეშე, უკავშირობით გაერთიანებულნი წინადადებდა.

ამასთანავე მეოთხე წინადადება დასკვნითი ხასიათისაა. ბუნებრივია. რო-
იგი, დასკვნა. და კავშირით უნდა დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამბავს
დასასრული არ ექნება.

აბა, იღია ქავჭავაძის ენა მოვიკითხოთ ამ მხრივ!

„მზემ გადისარა: თბილმა. შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო; იმ ენ-
ჩავარდნილმა ჰაერმა გაიხმაურა: აშალნენ მეურმეები ოვალების ფშენეტითა:
პირზე წყალი შეისხეს და შესაბამელად მორგეეს საქონელი“ („სარჩობელაზე“).

აქაც იგივე მდგომარეობაა. აქ ექვსი ერთეულია. ამათგან ხუთი უკავშირო-
ბითაა გაერთიანებული, ხოლო მეექვსე, როგორც დასკვნითი, აუცილებლად და
კავშირით უნდა გაუერთიანდეს წინა, მეხუთე ერთეულს.

ან: „პეტრემ გზაზე დუქანი დაინახა: შევიდა: მოითხოვა ნახევარჩარქკა
ღვინო: მოათლევინა გამხმარი ზურგიელი: მიჭდა კუთხეში და ქეიფს მიეცა“.
(იქვე).

აქ დასკვნითი ერთეულია „ქეიფს მიეცა“. რა წინასწარი მომენტები უს-
წრებს ამ დასკვნას? ა. დუქნის დანახვა; ბ. შიგ შესვლა; გ. ღვინის მოთხოვნა;
დ. ზურგიელის მოთლევინება; ე. კუთხეში მიჭდობა.

ყველა ეს მომენტი წინასწარია, მოსამზადებელია იმისათვის, რომ ქეიფს
დასაბამი მიეცეს და სათანადოდ დაისკვნას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქეიფის
მომენტი, დასასრული მომენტი, და კავშირით დაიწყოს.

ამგვარი თქმა ხალხურია, სავსებით ბუნებრივია ასეა დღეს, ასე იყო წინა-
თაც.

ამრიგად, და კავშირი უცილობლად კონსტრუქციულია; სხვაგვარად მისი
როლი ამ თქმაში გაუგებარია. ამდენად იგი სამკაული, დეკორაცია არც ყოფი-
ლა და არც არის.

„ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს“ სტროფებიც სწორედ ამგვარადაა გაწყობილი.
იითოეული სტროფი თანწყობილი, ე. ი. თანასწორუფლებიან, უკავშირობით გა-
ერთიანებულ წინადადებათაგან შედგება. აქედან მეოთხე წინადადება
დასკვნითია. მაშასადამე, იგბ უცილობლად და კავშირით უნდა გაუერთი-
ანდეს წინა სტრიქონის წინადადებას.

შოთაც აგრე უნდა მოქცეულიყო, მაგრამ სად უნდა დაეწერა მას ეს და
კავშირი? რამდენადაც და კავშირი კონსტრუქციულია, აზრის არსებითი ნაწი-
ლია, იმდენად იგი ავტორის თექვსმეტი მარცვლის ფარგლებში უნდა მოეთავსე-
ბინა; სხვაგვარად რომ ვთქვათ: სტროფის ყოველი მეოთხე სტრი-
ქონი შიგნითა და კავშირით უნდა დაეწყოს. ეს კი არაჩვე-
ულებრივად შებოჰავდა პოეტს; მეტიც, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა მაშინ

ლექსის გამართვა ისეთი დიდი ნაწარმოებებსა, როგორც „ვეფხისტყაოსანი“.

მართლაც, „ვეფხისტყაოსანი“ არცერთი სტროფის მეოთხე სტრიქონი შიგნითა და კავშირით არ იწყება. შუთამ მოხსნა შიგნითა და კავშირი და იგი გარეთ გამოიტანა.

მაგრამ. მიუხედავად იმისა, რომ და კავშირი გარეთ გამოვიდა, მას თავისი პირვანდელი ფუნქცია მაინც არ დაუკარგავს: იგი კონსტრუქციულია, და არა სამკაული.

აი. ამის დამადასტურებელი ფაქტებიც:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჭდა მტრიალი წყლისა პირსა,
შვი ცხენი სადაეთა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაჯირსა,
და ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდულრად ანატირსა.
(84).

რა არის შინაარსი ამ სტროფისა? უცხო მტრალი მოყმის ნახვა დასვენაც მასვე იმეორებს გაძლიერებული სახით.

სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.
არცა დაადო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
და არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან.

(89).

რას გადმოგვცემს ეს სტროფი? მეფის მოწოდებას უცხო ყმამ ყური არ ათხოვა. ეს ამბავი მომდევნო სტრიქონებში თანდათან ძლიერდება, რაც გარეგნულად გადმოცემულია ანაფორული ალიტერაციით და, კრეშჩენდო განვითარებული, მეოთხე სტრიქონში იგივე მხატვრული სახით გვევლინება: არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან.

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
მისგან კიდევ არეინ შეჰყვა, აუთანდილ უჩნს ვითა შვილი.
ყველაკამ გაიყარა, ჭალაბი ჩანს არ დაჭრილი.
და გაბედითდა სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტკბილი.

(101).

აქ პირველი სტრიქონი მეფე როსტევანის მოწყენას გადმოგვცემს, რაც) ორი სიტყვიტთაა გამოხატული (სევდიანი, დაღრეჯილი), მეორე და მესამე სტრიქონში დაღრეჯილობის შედეგზეა ლაპარაკი: მეფეს ოთანში ვერავინ ვერ შეჰყვა. გარდა აუთანდილისა, ყველანი გაიყარნენ და, ეს გაყრა რომ გაძლიერებულად გამოიხატოს, ეგვეე აზრი სხვა მხატვრული სახითაა ტავტოლოგიურად გადმოცემული: ჭალაბი ჩანს არ დაჭრილი, ე. ი. შეკრებილობა (ჭალაბი) არაა შეკრებილი (არ დაჭრილი). ცხადია, ასეთი სურათი მოჭირებული ფერით უნდა დაისკვნას, რაც კიდევაც ვვაქვს მეოთხე სტრიქონში:

გაბედითდა სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტკბილი.

ე. ი. ამიერიდან წახდა, მოისპო სიხარული, გაუქმდა ჩაღანა და ტკბილი ჩანგი. აქ ისეთი დასკვნაა, თითქოს მოქმედება შედგა, ამ ეტაპზე დასასრული მიეცა და, ბუნებრივია, და კავშირის გარეშე იგი არ მოხერხდებოდა.

ტკბილი მისი წყალობანი ბოლოდ ასრე გამეფარნეს,
დამაიწყდა, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს,
ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარაინ მინეტარნეს,
და სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარამან გამახარნეს!
(112).

ამ სტროფშიც ლაპარაკია როსტევეანის დაღრეჯილობაზე. ეს დაღრეჯილობა თანდათან ძლიერდება ყოველ სტრიქონში, ხოლო უკანასკნელ სტრიქონში მთლიანად, სამარადისოდ აღკვეთილია ყოველგვარი სიხარული: სა და მ დ ის ე ა დ ლ ე ნ ი მ ე ს ხ ნ ე ნ, ველარამან გამახარნეს. ბუნებრივია, ასეთი დასკვნა და კავშირით უნდა დაწყებულყო.

ამასთანავე ეს დასკვნა ისეთია, რომ მოქმედება შედგება, თუ მისი ხასიათი არ გამოიცვალა, და სწორედ საამისოდ გამოყვანილია ქალი — თინათინი, რომელმაც სრულიად საწინააღმდეგოდ დებულება უნდა წამოუყენოს მეფეს, და დებულება რომ დამაჯერებელი იყოს, იგი დადგენილი სახით უნდა იყოს მოცემული; ეს კი შეიძლება მხოლოდ დასკვნით ნაწილში (დებულება დასკვნაშია), რაც კიდევაც ვაჟქვს:

ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:
ჰე. მეფეო! რად ემღურვი ანუ ღმერთსა, ანუ ზედსა?
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტუბილად მზიდსა?
და ბოროტმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედასა?
(113).

ეს ურყევი დებულებაა, დებულება კი სათანადო დასკვნაა, რაც, ცხადია, და კავშირის გარეშე არასგზით არ შეიძლება.

ათანდილ ქდა მართო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი,
იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი.
შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი,
და მოახსენა „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.
(120).

მთელი სტროფი შედგება უკავშირობით გაერთიანებულ თანწყობილ წინადადებათაგან, მეოთხე წინადადება დასკვნითია, დასასრულის მაუწყებელია და უცილობლად და კავშირით უნდა დაიწყოს.

ამგვარადაა გაწყობილი თითქმის მთელი ნაწარმოები, სტროფთა აბსოლუტური უმრავლესობა.

ყველგან და კავშირი დასკვნის მაუწყებელია, კონსტრუქციულია, ლექსის უცილობელი ნაწილია და არავითარ სამკაულობაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ არის რამდენიმე სტროფი. რომელთა უკანასკნელი სტრიქონი არ შეიცავს დასკვნითს წინადადებას, სხვაგვარად: ჩუ-
ოთხე სტრიქონი არაა დამოუკიდებელი წინადადება, იგი დამოკიდებულია წინა
სტრიქონის წინადადებაზე, მაშასადამე, არა უკავშირებითაა გაერთიანებული,
არამედ რომელიმე მაქვემდებარებელი კავშირით; მაშინ მას კიდევ ერთი კავ-
შირი, სახელდობრ, და კავშირი ვერ შეეწყობა. სწორედ ესაა საუცხოოდ დამა-
დასტურებელი იმისა. რომ საერთოდ და კავშირი „ვეფხისტყაო-
სანში“ სამკაული კი არაა, არამედ უთუოდ კონსტრუქციული ელემენტი.

ავიღოთ შემდეგი სტროფი:

ეგე არ მიძიძხ, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დაეღიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითჯანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაციონი ზენნია.
(62).

ამ სტროფის ორი უკანასკნელი სტრიქონი ერთ სინტაქსურ მთელს წარმო-
ადგენს, ე. ი. სტრიქონის წინადადება თანწყობილი კი არაა, არამედ ქვეწყობი-
ლი, მესამეს დაქვემდებარებული რომე კავშირით; ამიტომაც აქ კიდევ ახალი
კავშირი, სახელდობრ, და კავშირი, უადგილოა: მისი დატოვება შეიძლება მხო-
ლოდ როგორც სამკაულისა (სხვების ანალოგიით) და არასგზით როგორც წინა-
დადების არსებითი ელემენტისა.

ამგვარივე მდგომარეობაა შემდეგ სტროფშიც.

უთხრა: „ვიცი, აღარ ვარგხარ შენ აწ ჩემად დასადობლად,
გაგარისხე, დავრჩომივარ ღარიბად და ამაღ ობლად;
აწ ვგრეცა თავი ჩემი დამიცი შენთვის დასანდობლად,
ამად რომე შეკოდება შეიღვზის თქმულა შესანდობლად“.
(246).

როგორც ითქვა, და კავშირი დასკვნითი წინადადების ატრიბუტია, დას-
კვნითი წინადადება კი ყოველთვის დამოუკიდებელია. აქ კი მეოთხე სტრიქონის
წინადადება დაქვემდებარებულია და არა დამოუკიდებელი. ამიტომაც და კავ-
შირი მას ვერ ეწყობა.

„აწ ვგრეცა თავი ჩემი დამიცი შენთვის დასანდობლად“. რატომ? იმიტომ
რომ ... ე. ი. ამაღ რომე, ამაღ რომე თავისთავად მაქვემდებარებელი კავშირია
და ყოველად შეესაბამება მას წინ უსწრებლეს კიდევ და კავშირი.

კიდევ უფრო ნათელი გახდება საერთოდ და კავშირის კონსტრუქციულ-
ობა შემდეგი მაგალითიდან:

აწ. დაო. შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა.
სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკერა თავისა მრთელისა.
(257)

აქ თვარ კავშირი არაა მაერთიანებელი, არც მაქვემდებარებელი. არამედ მაპირისპირებელია. ხოლო და კავშირი მაერთიანებელია, მაშასადამე, თვარ და და საპირისპირო კავშირებია, ამდენად მათი ერთად ხმარება ყოველად შეუძლებელია.

მაპირისპირებელი კავშირია აგრეთვე მაგრამ და. როცა მაგრამ კავშირით იწყება მეოთხე სტრიქონი, მას და კავშირი ვერ ეწყობა.

მიბრძანა: „ძოლან გეწყინა გაშვება უუბარისა.
მზემან გაყრითა დაგაქნე. ვითა ყვეელი ბარისა:
დაგარჯიდა დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა,
მ ა გ რ ა ხაშს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა.“
(411).

მეოთხე სტრიქონი მ ა გ რ ა (მ) კავშირით იწყება. მასთან ერთად და კავშირი წარმოუდგენელია.

ავიღოთ მაქვემდებარებელი კავშირი რ ა დ გ ა ნ.

ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა?
მაგისად ნაცელად რამე ვიყავ ღირსი ქებისა თქვენისა!
სახე ხარ მზისა ერთისა. ზეცით მნათისა ზენისა.
რ ა თ გ ა ნ ვერ შეგცელის პატივი ეგზომთა ცრემლთა დენისა.“
(297).

მესამე სტრიქონი აზრს ვერ ამთავრებს, რომ მეოთხე წინადადებით დაწყებული იყო დასკვნა:

სახე ხარ მზისა ერთისა. ზეცით მნათისა ზენისა.
რ ა თ გ ა ნ...

რათგან კავშირით (მაქვემდებარებელით) იწყება მეოთხე სტრიქონი და კიდევ ერთი და კავშირი — ისიც არა მაქვემდებარებელი. არამედ თანასწორ-უფლებიან წინადადებათა მაერთიანებელი — მას ვერ ეწყობა. იგი ზედმეტია.

მაგრამ არის შემთხვევები. როდესაც რათგან კავშირით დაწყებული მეოთხე სტრიქონი შეიწყობს და კავშირს.

ვახსოვს, ოდეს „პაის“ ზმიდი. ცრემლი შენნი ევლთა აბანდეს,
მკურნალნი და დასტაქარნი წამალსაყე მოგიტანდეს?
მამაცისა სიცრუესა, ნეტარ. სხვანი რამეა ჰგვანდეს.
და რ ა თ გ ა ნ დამთმე, მუცა დავთმობ. ვინძი უფრო დაზიანდეს!
(526).

აქ მეოთხე სტრიქონის წინადადება მესამისას არ ექვემდებარება, რადგან კავშირით მათ არ აერთებს, იგი უკანასკნელი წინადადების წიგნია. უკანასკნელი წინადადება შეიძლება ასე გაიწყოს.

მუცა დავთმობ, რათგან დამთმე. ვინძი უფრო დაზიანდეს.

ამგვარივეა:

შევხედენ, ვნახე სასთუმალს მუსაფი გაშლით მდებარე,
ავიღე, ავღე მე ღმრთისა და მერმე მათი შქებარე,
ვკადრე, თუ: „მზეო, დაგიწვაე, ჩემიცა დაწვი მზე ბარე.
და რათგან არ მომკალ, პასუხი ერთილა გკადრო მე ბარე“.
(530).

რათგან მეოთხე წინადადების წევრია და მესამესთან მას კავშირი არა აქვს.
კიდევ უფრო ცხადია ამ მხრივ შემდეგი სტროფი.

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხედების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხლების.
მაშინ ქირი ჩნდა ჩემზედა, აწ ასე ლხინად უხედების.
(705).

დამთავრდა აზრი. მეოთხე სტრიქონი თავისთავადია:

და რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?

ამგვარივეა სტროფები 657, 900, 1336, 1446.

დასკვნა:

1. „ვეფხისტყაოსანში“ ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონი, მცირე გაზონაკლისს გარდა, დასკვნითი ხასიათისაა.

2. რადგან „ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა წინადადებები უკავშირობითაა გაერთიანებული, ყოველი უკანასკნელი დასკვნითი წინადადება აუცილებლად, ბუნებრივად და კავშირით უნდა დაიწყოს. იგი აერთიანებს დასკვნას წინა ნაწილთან; და კავშირი უთუოდ კონსტრუქციულია, ლექსის არსებითი ნაწილია.

3. შოთამ ეს და კავშირი წმინდა ტექნიკური მოსაზრებით გარეთ გამოიტანა და მე-17 მარცვლად დააყენა, მაგრამ ამით მისი კონსტრუქციულობა მაინც ძალაში დარჩა.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მეოთხე სტრიქონი მაქვემდებარებელი (რომ, რათგან და მისთ.), ან მაპირისპირებელი (თვარა, თორემ და მისთ.) კავშირით იწყება, და, ამდენად დასკვნითი წინადადება არ შეიძლება იყოს, მაშინ ამ წინადადებას და კავშირი არ შეეწყობა: მას კონსტრუქციული როლი აღარ შეიძლება ექნეს, და, თუ მაინც ნახმარია, იგი მხოლოდ ანალოგიითაა გამოწვეული და შეიძლება დარჩეს, როგორც სამკაული, როგორც დეკორაცია.

5. და კავშირის გამოყენებით შოთა ქართული ხალხური ლექსის პოზიციანზე ღვას და არავითარ უცხოურობაზე აქ არ შეიძლება ლაპარაკი.

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობისათვის

შვიდნახევარზე მეტით, თითქმის რვა საუკუნითაა ჩვენგან დაშორებული „ვეფხისტყაოსანი“.

ამ ხნის განმავლობაში არა ერთი ლიტერატურული ნაწარმოები წარმოიშობილა, არა ერთს აუსახავს თავისი ეპოქა, არა ერთი ყოფილა თავისი დროის ქირისა და ლხინის მაუწყებელი, მაგრამ ბევრი მათგანი დროსთან ერთად წაშლილა, უჩინო კმნილა.

დღეს ამგვარნი ნაწარმოებნი სიძველეთსაცავთა თაროებს თუ ამშვენებენ მხოლოდ: წაკითხვით არავენ კითხულობს, შორიდან თუ მოიკითხავენ ხოლმე. ისიც ზრდილობისათვის, რასაკვირველია!

„ვეფხისტყაოსანი“!

ბევრი ქირი უნახავს მას, მრავალ ქარტეხილს გადაუვლია მის თავზე, მრავალი ვიწრობი დახვედრია მას თავის მსვლელობის გზაზე, მაგრამ იგი ერთხელაც არ შემდრკალა.

ჟამთა სიღვივების შეუპოვრად გადამლახველი, „ვეფხისტყაოსანი“ ქირსა შიგან გამაგრებულა და განმტკიცებული, ქედმოღერებული პირნათლად მოდის ჩვენამდე და თან მოაქვს თავისი „ხმატკბილი და ტკბილქართული“ და აბარებს ამ ქართულს მის ყველაზე უფრო დამფასებელს, მის ყველაზე უფრო მომველესა და განმავითარებელს — საბჭოთა საზოგადოებრიობას, საბჭოთა მშრომელთ.

რა იყო ის ძალა, რომელიც ასე აცოცხლებდა და უკვდავყოფდა „ვეფხისტყაოსანს“, რომ იგი დღესაც „კოკობი დაუმკნარია“, რომ დღესაც „მისი მსგავსი მშვენება მართლაც რომ კაცთაგან უხილაგია!“.

ეს ძალა თვით „ვეფხისტყაოსანი“; თავისი მარად უქცნობი შინაარსით — მეგობრობითა და სიყვარულით. — თავისი გარეგნული მხატვრული გამოვლინებით და თავისი არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული, დღემდე მიუწვდომელი ხალხურობით.

* * *

„ვეფხისტყაოსანი“ ხალხურობის შესახებ ბევრს ვისმე უთქვამს და უწერია, მაგრამ ეს თქმა და წერა ზოგად მოსაზრებებს, საერთო გამოთქმებს არ გასცილებია. კონკრეტულად, რა არის „ვეფხისტყაოსანი“ ხალხისაგან მიღებული, ჭერჭერობით თითქმის არავის არ უჩვენებია. ამ მხრივ გამონაკლისის მხოლოდ ნ. მარი, მ. ჩიქოვანი და კიდევ ზოგი ვინმე თუ წარ-

შოადგენს. თითოეულ მათგანს მოცემული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის კონკრეტული ნიმუშები: ზოგი უთუოდ დამაჯერებელი, ზოგი ნაკლებად. ზოგიც სრულიად არაღამაჯერებელი.

„ვეფხისტყაოსანი“ ხალხურია! როგორ ლიტერატურას ვუწოდებო ჩვენ ხალხურს?

ხალხური ლიტერატურა — ესაა ლიტერატურა ხალხის მიერ შექმნილი.

ხალხურივე ეწოდება იმ ლიტერატურასაც, რომელიც ხალხისათვისაა შექმნილი.

უკანასკნელისათვის ქართულად საპრეფიქსით წარმოებული სიტყვა არსებობს: სა-ხალხო — სახალხო ლიტერატურა.

რუსულად ორსავე — როგორც ხალხის მიერ შექმნილს, ისე ხალხისათვის დაწერილსა და თქმულს народная литература ეწოდება.

ღროთა განმავლობაში ქართულშიაც იშლება მიჯნა და ზღვარი ხალხურსა და სახალხოს შორის და ორსავე შეიძლება ხალხური ეწოდოს.

ხალხის მიერ შექმნილი რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები უთუოდ ხალხურია. ეს უდავოა. მაგრამ ხალხისათვის შექმნილიც, ე. ი. სახალხო, საბოლოოდ ხალხურად იქცევა. როგორ? ვთქვათ, რომელიმე ნაწარმოები დაიწერა ხალხისათვის. იგი სახალხოა, მაგრამ თანდათან ნაწარმოები გავიდა ხალხში, გაჯდა ხალხში, ხალხმა მიიღო იგი. თავისად გაიხადა, ხალხი განიმსკველა მით. გაახალხურა იგი, ნაწარმოებიც საბოლოოდ ხალხურად იქცა. ნაწარმოები ხალხურია.

რა არის ამისათვის საჭირო. ე. ი. რა არის საჭირო იმისათვის, რომ რომელიმე ნაწარმოები ხალხისათვის დაწერილი, გაახალხურდეს, ხალხურად იქცეს?

ორი რამ აუცილებლადაა საჭირო.

საჭიროა, რომ ნაწარმოები ხალხის ზრახვასა და სულისკვეთებას ასახავდეს და მეორეც: თვით მიმღებიც. ე. ი. ხალხიც მთლიან კოლექტივს წარმოადგენდეს. მაკლედ: ხალხს ერთი ზრახვა და ერთი სულისკვეთება ამოძრავებდეს. მაშინ ნაწარმოებიც მიიღება ხალხის მიერ და იგი ხალხური იქნება.

აქედან: რომელიმე ნაწარმოები არა იმთავითვეა ხალხური: ღროთა განმავლობაში იქმნება იგი მხოლოდ ხალხურად. აქედანვე: ნამდვილ ხალხურად რომელიმე ნაწარმოები მხოლოდ ჩვენს დროში შეიძლება გახდეს.

თუ ამ საზომით მიუვადებთ „ვეფხისტყაოსანს“, უნდა ვთქვათ: ხალხურია ის, რაც შოთამ თქვა და ხალხმა მიიღო. თავისად გაიხადა, და ხალხურია ისიც, რაც ხალხმა თქვა და შოთამ მიიღო მისგან.

ორივე „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის მაუწყებელია.

ცნობილი ლექსი ავიღოთ.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა. ცუდია დაღრეჯი-
ლობა.

ვისია ეგ თქმა? შოთასი თუ ხალხის? ზუსტად ამგვარი თქმა „ვეფხისტყა-
ოსანში“. ყოველ შემთხვევაში მის ძირითად ტექსტში. არ მოიპოვება. არის
მხოლოდ ე. წ. ინდოხატაელთა ამბავში: შიში ვერ გიხსნის სიკე-
დილსა. ცუდნიღა დაღრეჯანი. ხალხმა მანც ეს ბრძნული თქმა
შოთას მიაწერა: თუ არ შოთა. სხვა ვერაინ იტყოდანო. და სწორედ ამ ში-
„ვეფხისტყაოსნის“ სიღიადე და არაჩვეულებრივი ხალხურობა. ხალხმა
მიიღო „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად და რაც თავისი (ან სხვისი)
ჰქონდა საუკეთესო, ისიც შეუერთა მას. აქ შოთადა ხალხი ერთია,
განუკვეთელია.

სხვაც ბევრია უსახელო, ხალხური ბრძნული თქმა. რომელიც შოთასი არაა,
მაგრამ ისინიც ხალხმა შოთას მიაკუთვნა.

„სადაც არა სჯობს. გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

ანდა:

„წასვლასჯობს წარმავლისა. არ დაყოვნება ხანისა“.

შოთას არც ერთი ამათგანი არ უთქვამს. მაგრამ ხალხმა მას მიამისა. ყველ-
ფერი ეს „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის დამატკიცებე-
ლია.

მაშ, „ვეფხისტყაოსანი“ დღეს მთლიანად ხალხურია. რს
ნიშნავს ეს? იმას. რომ შოთამ თავისი ნაწარმოების სიუჟეტი ხალხური
ნაწარმოებისგან აიღო? არა! „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი მეტად რთუ-
ლია. ხალხი მას ვერ შეთხზავდა და არც შეუთხზავს.

აბა, რა არის „ვეფხისტყაოსანში“ ხალხური? ცალკე მო-
ტივები.

რა არის მოტივები? მოტივები სიუჟეტის შემადგენელი ნაწილებია, მაგრამ
არა უსისტემო, არამედ უაღრესად კანონზომიერად და მიზნობრივად ერთმა-
ნეთთან დაკავშირებული. ურთიერთშეპირობებული.

მოტივი ცალკეული ეპიზოდის შემცველია, სიუჟეტი მოტივთა ხლართა.
სიუჟეტი უკვე ინდივიდუალური შემოქმედებაა, ცალკეული მოტივი კი შეიძლება
იყოს ხალხური.

„ვეფხისტყაოსანში“ მრავალი მოტივია, მათგან უმრავლესი უთუოდ
ხალხურია: ან შოთას მიერაა შექმნილი. მაგრამ დროთა განმავლობაში ხალ-
ხში გასული. გახალხურებული. უკვე სავსებით ხალხური ან თვით ხალ-
ხის მიერ შექმნილი და შოთას მიერ გამოყენებული. ორსავე შემთხვევაში მოტი-
ვი ხალხურია, მარად ხალხურია, თანაბარი ღირებულების შემცველი და მქობე-

და ჩვენც „ვეფხისტყაოსნის“ არა სიუჟეტის ხალხურობაზე გვექნება საუბარი, არამედ ცალკე მოტივებისა და ცალკეული გამოთქმების ხალხურობაზე.

* * *

თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ თვით თემის შესახებ. რას წარმოადგენს ნაწარმოების თემა?

ბრძოლას სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ეს თემა უხსოვარ დროიდან მომდინარეობს. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ იგი იმდენივე ხნისაა, რამდენისაც თვით კაცობრიობა. გავრცელებულია ყველგან, მათ შორის, საქართველოშიაც. ამ თემაზე აგებულა მრავალი ქართული ხალხური ზღაპარი და თქმულება.

მაშასადამე, თემის არჩევის მხრივაც შოთა უაღრესად ხალხურია. თემა ქართულ წყაროზეა დამყარებული.

დავიწყოთ ცალკეული სიტყვების ხალხურობიდან.

თავდაპირველად შევეხოთ ე. წ. და-კავშირს. „ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა ყოველი მეოთხე სტრიქონი იწყება და კავშირით, რაც უკანასკნელ სტრიქონს ჩვიდმეტმარცვლიანად ხდის. ამის გამო ზოგი მკვლევარი შეეცადა მის მოხსნას: ზედმეტია, დეკორაციულია, რიტმს არღვევსო.

რას წარმოადგენს ეს და-კავშირი: მართლაც ზედმეტია, სამკაულის ნაშთიდაა იგი, თუ დღესაც კონსტრუქციულია, ლექსის, კერძოდ ვეფხისტყაოსნის“ ლექსის, არსებითი ნაწილია?

თუ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსს დღეს შემუშავებული პოეტიკის ნორმების თვალსაზრისათ განვიხილავთ, და-კავშირი მხოლოდ დეკორაციული იქნება, მაგრამ ხალხური პოეტიკის ნორმების თვალსაზრისით თუ მივუდგებით (ეს და-კავშირი უთუოდ ხალხურობიდან მომდინარეობს), იგი უაღრესად კონსტრუქციული, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის განუკვეთელი ნაწილი აღმოჩნდება, თუმცა სათვალავში ზედმეტ, მეჩვიდმეტე მარცვლად მოდის.

რა იწვევს და-კავშირს?

და-კავშირს იწვევს ის გარემოება, რომ სტროფის სტრიქონები, მაჭგუფებელი კავშირის გარეშე, უკავშირობითაა ერთმანეთთან გაერთიანებული, და-კავშირს იწვევს უკავშირობა! როგორ?

აეიღოთ დღევანდელი სასაუბრო, ცოცხალი ენა.

ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში უჩვეულო სიმტკიცე გამოვიჩინეთ;

დიდი, პატარა, როგორც ეროი. ებრძოდა გააფთრებულ მტერს;

გასაოცარი ურყევლობა გამოიჩინა ზურგმაც;

და-საბოლოოდ, სამარადისოდ გავანადგურეთ მტერი.

აქ ოთხი თანწყობილი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაჭგუფებელი კავშირის გარეშე, უკავშირობით გაერთიანებული წინადადებაა. ამასთანავე, მეოთხე წინადადება დასკვნითი ხასიათისაა. ბუნებრივია, რომ იგი, დასკვნა, და-კავშირით უნდა დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამბავს დასასრული არ ექნება.

აბა. ილია შავჭავჭავაძის ენა მოვიციტოთ ამ მხრივ!

„მზემ გადიხარა: თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო: ამ ენა-ჩვეარდნილმა ჰაერმა გაიხმაურა; აიშალნენ მეურნეები თვალების ფშვნეტით: პირზე წყალი შეისხეს და შესაბამელად მორეკეს საქონელი“ („სარჩობელაზე“).

ქაყ იგივე მდგომარეობაა. აქ ექვსი თანწყობილი წინადადებაა. ამათგან ხუთი უკავშირობითაა გაერთიანებული, ხოლო მეექვსე, როგორც დასკვნითი, აუცილებლად და-კავშირით უნდა გაუერთიანდეს წინა, მეხუთე ერთეულს.

ან: „პეტრემ გზაზე დუქანი დაინახა; შევიდა; მოითხოვა ნახევარჩაქე ღვინო; მოათლევინა გამმზარი ზურგიელი: მიჯდა კუთხეში და ქეიფს მიეცა“ (იქვე).

აქ დასკვნითი წინადადებაა „ქეიფს მიეცა“. რა წინასწარი მომენტები უსწრებს ამ დასკვნას? ა. დუქნის დანახვა; ბ. შიგ შესვლა; გ. ღვინის მოთხოვნა; დ. ზურგიელის მოთლევინება; ე. კუთხეში მიჯდომა.

ყველა ეს მომენტი წინასწარია, მოსამზადებელია იმისათვის, რომ ქეიფს დასაბამი მიეცეს და სათანადოდ დაისკვნას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქეიფსა მომენტი, დასასრული მომენტი, და-კავშირით დაიწყოს.

ამგვარი თქმა ხალხურია, სავსებით ბუნებრივია. ასეა ღღეს, ასე იყო წინათა.

ამგვარად, და-კავშირი უცილობლად კონსტრუქციულია; სხვაგვარად მისი როლი ამ თქმაში გაუგებარია. ამდენად იგი სამკაული. დეკორაცია არ არის იმ არც ყოფილა არასოდეს.

„ვეფხისტყაოსანი“ სტროფებიც სწორედ ამგვარადაა გაწყობილი. თითოეული სტროფი თანწყობილ, ე. ი. თანასწორუფლებიან, უკავშირობით გაერთიანებულ წინადადებათაგან შედგება. აქედან. მეოთხე წინადადება დასკვნითია, მაშასადამე, იგი უცილობლად და-კავშირით უნდა გაუერთიანდეს წინა სტრიქონის წინადადებას.

შოთაც აგრე უნდა მოქცეულიყო. მაგრამ სად უნდა დაეწერა მას ეს და-კავშირი? რამდენადაც და-კავშირი კონსტრუქციულია. აზრის არსებითი ნაწილია, იმდენად იგი ავტორს თექვსმეტი მარცვლის ფარგლებში უნდა მოეთავსებინა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტროფის ყოველი მეოთხე სტრიქონი შიგნითა და-კავშირით უნდა დაეწყოს. ეს კი არაჩვეულებრივად შებოჭავდა პოეტს; მეტიც: ყოველად შეუძლებელი იქნებოდა მაშინ ლექსის გამართვა ისეთი დიდი ნაწარმოებისა. როგორც „ვეფხისტყაოსანი“.

შართლაც, „ვეფხისტყაოსანი“ არც ერთი სტროფის მეოთხე სტრიქონი შიგნითა და-კავშირით არ იწყება. შოთამ მოხსნა შიგნითა და-კავშირი და იგი გარეთ გამოიტანა.

მაგრამ. მიუხედავად იმისა, რომ და-კავშირი გარეთ გამოვიდა. მას თავის პირვანდელი ფუნქცია მაინც არ დაუკარგავს: იგი კონსტრუქციულია და არა სამკაული.

აი ამის დამახასიათებელი ფაქტები.

ნახეს უცხო მოყმე ვინმე. ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა, და ვითა გმირსა;
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აქეანდ-უნაგირსა,
და ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა. გულსა მდულრად ანატირსა.
(84)

რა არის შინაარსი ამ სტროფისა? უცხო მტირალი მოყმის ნახვა. დასკვნა: მასვე იმეორებს გაძლიერებული სახით.

სხვაგან ქრის მისი გონება. მისმან თავისა წონამანი
ესე შეფისა ბრძანება ერთხელ კლა ჰკადრა მონამან.
არცა დაადლო ტირილი. არცა რა გაიგონა მან.
და არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ეარდისა კონამან.
(89)

რას გადმოგვეცემს ეს სტროფი? მეფის მოწოდებას უცხო ყმამ ყური არ ათხოვა. ეს ამბავი მომდევნო სტრიქონებში თანდათან ძლიერდება, რაც გარეგნულად გადმოცემულია ანათორული ალიტერაციით და კრეშჩენდო განვითარებული. მეოთხე სტრიქონში იგივე სხვა მხატვრული სახითაა გადმოცემული. არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ეარდისა კონამან.

მეფე საწოლს შემოვიდა სევედიანი. დაღრეჯილი;
მისგან კიდე არეინ შეჰყვა. აეთანდილ უჩნს ვითა შვილი.
ყველაკაი გაიყარა. ქალაბი ჩანს არ-დაჯრილი,
და გაბედითდა სიხარული. ჩალანა და ჩანგი ტუბილი.
(101)

აქ პირველი სტრიქონი მეფე როსტევეანის მოწყენას გადმოგვეცემს, რაც ორი სიტყვითაა გამოხატული (სევედიანი. დაღრეჯილი). მეორე და მესამე სტრიქონში დაღრეჯილობის შედეგზეა ლაპარაკი: მეფეს ოთანში ვერაეინ ვერ შეჰყვა, გარდა აეთანდილისა. ყველანი გაიყარნენ და ეს გაყრა რომ გაძლიერებულად გამოიხატოს. ეგვეე აზრი სხვა მხატვრული სახითაა ტავტოლოგიურად გადმოცემული: ქალაბი ჩანს არ-დაჯრილი, ე. ი. შეკრებილობა (ქალაბი) არაა შეკრებილი (არ დაჯრილი). ცხადია, ასეთი სურათი მოჭირებული ფერით უნდა დაისკვნას. რაც კიდევაც გვაქვს მეოთხე სტრიქონში:

გაბედითდა სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტუბილი, ე. ი. ამიერიდან წახდა, მოისპო სიხარული, გაუქმდა ჩალანა და ტუბილი ჩანგი. აქ ისეთი დასკვნაა, თით-

ქოს მოქმედება შედგა. იმ ეტაპზე დასასრული მიეცა და ბუნებრივად, და-
კავშირის გარეშე იგი არ მონერხდებოდა.

კვი სანია აღნიშნულია, რომ საკუთარი სახელი ტარია „ვეფხისტყაოსან-
ში“ ხალხური ფორმითაა მოცემული და მეტრისა და რითმის საქაროვებით არაა
იგი გამოწვეული. ამგვარი ფორმა სახელისა ხალხური იყო იმთავითვე და დღე-
საც ცოცხალია თითქმის ყველგან საქართველოში. სპარსულ შარიათთან მსა-
რავითარი კავშირი არა აქვს.

ამგვარივეა თინათინი. იგი არაა ქრისტიანულ-კალენდარული სახელი,
არც უცხო მუსულმანური. ქართულ ხალხურ ნიდაგზეა შექმნილი. თინა-ა-თინ
სინათლის სინათლე. ე. ი. არეკლილი სინათლე. თავდაპირველად (და დღესაც)
შირიტადი მნიშვნელობა მისი ამით განისაზღვრებოდა. სხვათა შორის, ცოტა
მოგვიანებით ეს საბაზაც აქვს აღნიშნული.

თინათინი — სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი ეფელზე ე-
ალებდეს.

ხოლო ცოტა უფრო გვიან დ. გურამიშვილსა აქვს გალექსილი.

საწუთროს მზის თინათინი
მოგიტხრა რაჟა ფერია?
სარკის მზის შუქით ციალსა
უწოდენ ქართველთ ერია.

ესე იგი?

ქვეყნის მზის თინათინი.
ვატყვი. თუ რაც არის?
სარკის მზის შუქით ანარეკლს
უწოდებ(ენ) ქართველებიოშ.

მაშასადამე, თინათინი ქართულია!

მოლორება და მისგან ნაწარმოები სიტყვები მოტყუების აზრით
უყოლად ხალხურია.

1. რომე ცუდად არ მოლორდე, ისი კაცი გლაატობენ (434)
2. დიკურად რად მოვლორდი? მე დაუწვავ ამით აღსა (524)
3. თუ გეტყუო. მო-გალორო, ლმერთმან რისხვით გამიკითხოს (667)
4. თუ მეფეცა გაგიშვებდეს. თვით ლაშქარნი სად მოლორდენ (745)
5. რად მოვლორდი. რად დავნელდი. ნეტარ. ვინლა გამითენოს (762)
6. მოლორებულ ხართ, დამცდარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა
(1192)
7. ავთანდილ უთხარ: მაგითა შენგან არ მოვლორები (1564).

2 დაწერილებით ამის შესახებ იხ. ეუკოლ ბერიძე. „და-კავშირისათვის ვეფხისტყაოსან-
ში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV. 1952 (იხ. ზემოთ გვ. 234—240).

3. სხვაგვარი გაგება ამ ადგილისა იხ. პროფ. ა. ბარამიძე, პატრიოტული მოტივი ადგილ
ქართულ პოეზიაში. — ლიტერატურული საქართველო, 17. VII. 1942. № 29.

სადაურია ეს სიტყვა: იმ დროს უკვე ლიტერატურულია თუ ხალხური? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს სიტყვა „ვისრამიანშია“ ნახმარი (გვ. 261), ლიტერატურული უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ არ უგულებელვყოფთ იმასაც, რომ არსად, გარდა დასავლური კილოებისა და მეგრულისა არ იხმარება, უთუოდ ამ კილოებიდან უნდა იყოს შემოსული ლიტერატურაში, მაშასადამე, ხალხურია. სულ სხვა საქმეა, „ვისრამიანის“ მთარგმნელმა შეიტანა იგი პირველად ლიტერატურაში, თუ მანამდე ჰქონდა მას ლიტერატურაში უფლება მოპოვებული. მაგრამ მაინც ხალხიდან გამომდინარეობს. მაინც ხალხურია.

შევეხოთ ცალკე გამოთქმებს.

ჩვენ გვაქვს გამოთქმა: ჰა ბურთი და ჰა მოედანი! როდის იხმარება იგი? ჩვეულებრივ მაშინ, როცა უნდათ ვისიმე რაიმე საქმეში წაქეზება, მისი ძალისა და ღონის გამოცდა.

უცილობელია. ამ თქმას კავშირი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ თქმასთან:

ვითა სხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა. —

მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვად ქნევა.

ე. ი. მობურთალის სიაყარვე გამოჩნდება ბურთაობის დროს, მოედანზე, საგულისხმოა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე თქმა, სახელდობრ:

ავთანდილი და როსტევეანი შეეჭიბრნენ ერთმანეთს, ვინ ვის აჯობებს ნადირობაშიო. ავთანდილმა უპასუხა:

„გარდაშწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“. (67).

ასპარეზობა, შეჭიბრება საქართველოში „ვეფხისტყაოსანზე“ უკურო აღრე იყო გავრცელებული, მაშასადამე, თქმაც უეჭველია, იქნებოდა. იგი მაშინ უკვე ზოგადად იყო ქცეული, ხალხური იყო, შოთამაც ხალხური თქმა იხმარა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თქმა:

„მისნი მკვახელ მოუბარნი მათრახითა შეგვაშწიფნა“.

ეს ის ადგილია, სადაც სამი ვალახული ხატაელი უამბობს ავთანდილს: ჩვენ მკვახელ დავხედით ტარიელს, მან კი ყველანი მათრახით შეგვაშწიფნა. ეს თქმა ხალხის, კერძოდ, ბავშვთა ქცევის საფუძველზეა აღმოცენებული.

ბავშვებმა იციან, განსაკუთრებით სულწასულებმა, ნაყოფს დამწიფებას არ აცლიან, მკვახეს დაბეჭავენ, ცოტათი ხელოვნურად შეამწიფებენ და ისე ქაშენ.

შოთაც ხალხის შვილია. იცოდა ხალხის ეს ჩვეულება, ალბათ ბავშვობისას თვითონაც არაერთხელ შეუშწიფებია ხილი. მიაქციეთ ყურადღება შემწიფება—სიტყვას! კი არ დაამწიფა, არამედ შეამწიფა! მართლაც, მკვახე ხილის ამ წესით

მხოლოდ ძე მწიფე ბა შეიძლება და არა ღამწიფემა! შოთამ ამ პროცესის დეტალიც იცის და იშვიათის მხატვრობითა და თან იროსიის დართვით გაღმარეცემს საქმის ვითარებას.

ბრომან. ღალსა გარეულმან, ვარღნი თხელნი ანატოლი.
იგი ტეპილნი გუნებანი ჩვენთვის შეტად გაამყოფნა:
არ ავეიფინა, არცა დაგესხნა, ყოლა არად ამოგვიჩიონს,
და მისნი მქვახედ მოუბარნი მათრახიოსა მქვახედი-
თნა:
(207).

ავიღოთ სიტყვა საშინელი. მისი ძირითადი მნიშვნელობა ცნობილია. მაგრამ გამოთქმაში, სხვა სიტყვასთან დაკავშირებული, იგი სხვა მნიშვნელობისაა: საშინლად გაეძეხი, საშინლად მიყვარს. აქ ყველგან ნიშნავს მეტად დიდად. და ამგვარი გაგება კი ხალხურია და არა ლიტერატურული. „ვეფხისტყაოსანშიც“ ამ სიტყვის ამგვარ გაგებას ვემოწმებით.

ასე —

მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საქურბულ საშინელი.
მითხრეს: „გაადრებს,—ნუ ამოგეწყვედ, არის შენგან არ-საქმელი.
ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი,
და მოურბეულად მოგახსენნეთ თავნი შვილნი, საქონელი“.
(422).

რას ნიშნავს აქ საშინელი? მხოლოდ ბევრს, დიდს.
საშინელი რომ უთვალავს, ბევრს აღნიშნავს, ამას „ვეფხისტყაოსანის“ მეორე ადგილიც ადასტურებს.

სალამო ეამ დაიზახა ქედით მათმან დარაჟამან:
ნულარა სდგათ, წავედითო. კვლა მოგვხედნა რისხვით აჟამან:
მოვა მტვერი საშინელი, შეგვაშინა ამაღ ამან,
და ნუ თუ სრულად ამოგეწყვიდნეს უთვალაჟმან, ბევრმან
სპაჟმან.
(449).

არ შეგვხები დეტალურად ისეთ ხალხურ გამოთქმას, როგორცაა დღე და დამის (მწუხრის) შეყრა, გულის მოფხანა და სხვ. ყველა მათგანმა პოვა თავისი გამოძახილი „ვეფხისტყაოსანში“.

- ა. დედოფალი წამოვიდა, შეეყარა მწუხარსა დღე რა.
- ბ. რამაზის კაცი შემთხვია, ვინ ხატავთსა ხანია.
მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია.

ე. ი. სასიამოვნო, სანუგეშო, ჭავრის ამოსაყრელი. უთუოდ ხალხური გაგებაა, ისე როგორც მეორე შემთხვევაში:

მას მისცა მონა დიაქმან, წინამძღვრად. წაცამყვანებლად,
თუ მო-ვითა-ჰკლა იგი ყმა, ჩემად გულისა მფხაენელად.

ე. ი. გულიდან ჭავრის ამოსაყრელად.

აღსანიშნავია განსაზღვრული მიზნით მრავლობითის ხმარება, ნაცვლად მხოლობითისა.

რამაზ მეფეს შეეშინდა ტარიელის ლაშქრობისა და ხალხი გამოუგზავნა დიდძალი საჩუქრებით. ნუ ამოგვწყვედ, დაურბევლად მოგახსენნეთ თავნი. შვილნი. საქონელიო (422). ტარიელმა თათბირი მოიწვია. თათბირომა ურჩია: ისინი მუხთალნი არიან. გამოუტყდლობით საქმე არ წავაგოთ, (ერთა ქარი წაიკვანე, დანარჩენი ახლო გყავდეს: თუ გულმართლად იყვენენ. მიიხნდე, თუ არა და შეირისხეო!

მეკეთა ესე თათბირი. ვაზირთა ნაუზირები:

შევსთვალე: „რამაზ მეფეო. ვცან შენი დანაპირები:

სიკვდილსა გიჯობს სიცოცხლეს. და გვიდგამს ვერ ქვიტკირები“.

(426)

და სხვა.

აქ საგულისხმოა სიტყვა და გვიდგამს. უნდა ყოფილიყო და გვიდგამს: შენ დაგიდგამს, მაგრამ არის დაგვიდგამს: ჩვენ დაგვიდგამს. ე. ი. ვისო ტარიელსა და რამაზს. მაგრამ ტარიელს ხომ არავითარი ქვიტკირი არ დაუდგამს ხატაეთში. პირიქით. თუ დაუნგრევი!

აბა. რატომაა დაგვიდგამს? აქ გამოხატულია დაცინვა და არაჩვეულებრივი ირონია ხატაელთა საქმიანობისა და კერძოდ მათ სიმამრეთა შესახებ. და ეს ირონია იმით იხატება, რომ უფროსი, შემტვევი მხარე თითქოს თავის თავსაც მონაწილედ თვლის მოწინააღმდეგის საქმიანობაში. ეს დღესაც აგრეა. ვთქვათ, ვინმე დამნაშავეს ამხელენ რაშიმე, ეკითხებიან: აბა, როგორაა ჩვენი საქმე (ჩვენი და არა თქვენი, ან შენი!), რა გვიქნია, წავახდინეთ, მგონია, რალაყა. აჰ?! და სხვ.

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ეესტ-მიმიკის, ასე ვთქვათ. დამხმარე ენაც, რაც ჩვენს ყურადღებას კვალად ნაწარმოების ხალხურობისაკენ მიმართავს.

ათანდილ მუხლთა უყრიდა, თითთა ეხვეწებოდა.

(232)

ათანდილ ასმათ ჩამოყვა, ზენარით ეუბნებოდა.

მუხლთა უყრიდა, ტირიდა. თითთა ეხვეწებოდა.

(670).

ზოგ ვისმე ეს ადგილები მცდარად აქვს გაგებული და მცდარადვე ახსნილი.

როდის და როგორ წარმოებს თითით ხვეწნა?

თითით ხვეწნას მაშინ მიმართავენ, როდესაც სახვეწნელი პიროვნება განსაკუთრებული მოსალბობია და როდესაც სახვეწარი დიდ რასმე, ძნელად შესასრულებელს შეიცავს. ამიტომაც მარტო სიტყვიერი ხვეწნა უკმარია და მახვეწარი, სიტყვასთან ერთად, თითს იშველიებს, უკეთ, თითებს—ცერსა და

ს.ლოკს და მათის ყელზე მიდებით ხშირად მუხლმოყრილი, განაგრძობს ხვეწნას.

ამგვარი ხვეწნა ჩვენში დღესაც ცოცხალია. მას დღესაც გასავალი აქვს. და შოთაც ამ თქმით უცილობლივ ხალხურად გვივლინება.

* * *

ნაწარმოების მხატვრული ხიჩხების ხალხურება

რუსთაველი უეჭველად იცნობდა და კარგადაც იცნობდა ქართულ ხალხურ პოეზიას. ეს ბევრ რაშიმე ჩანს, მაგრამ განსაკუთრებით ნაწარმოების მხატვრულად გამოკვეთაში. ამ მხრივ აღსანიშნავია სხვადასხვა ტროქები, რომლებითაც პირდაპირ გაელენთილია „ვეფხისტყაოსანი“. ყველა ეს ტროქი — მეტაფორა, მეტონიმია, პიქერბოლა. პარალელიზმი და სხვ. და სხვ. უწინარეს ყოვლისა ხალხური პოეზიის მხატვრული ხერხებია. ყველგან და ყველგან ენაში. თავდაპირველად იქ, ხალხურ პოეზიაში. შემუშავდა ეს ხერხები და შემდეგ გადმოვიდა ხელოვნურში. სამწუხაროდ, ჩვენ სრულებითაც არ ვიცით, როგორი იყო XI--XII ს. ქართული ხალხური პოეზია. არ გვაქვს იმდროინდელი პოეტური ნიმუშები ჩაწერილი. მამასადამე. მოკლებული ვართ საჩუღლებას ვაწარმოოთ სათანადო შედარება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია დავასახელოთ ეპითეტები, სიპერბოლები, პლეონაზმები და განსაკუთრებით ე. წ. ანალიზური ტიპის პარალელიზმები. რომლებიც სხვადასხვა ხალხის პოეზიაშია გავრცელებული და ამ მხრივ ქართული ხალხური პოეზია გამონაკლისს არ შეადგენს.

ამ ხალხური პოეზიის პარალელიზმებს, შოთას ნაწარმოებში რომ არაჩვეულებრივი რაოდენობითაა შეჭრილი, ჯერ კიდევ ნ. მარმა მიაქცია უუარადლება, მაგრამ იგი მას შეეხო გზადაგზა და სხვათა შორის დ. ვანსაზღვრული მიზნით. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოიშვა XIV ს., სახელდობრ. მას შემდეგ, რაც სამხრეთ საქართველოში ქრისტიანური კულტურა გავრცელდა და მესხების ენა. რომლითაც დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, გაელენთილი იყო არაბულ-სპარსული სიტყვებთან და შოთაც ძალაუვნებურად ამენის რკალშია და აქედან — ამ ენის. ამ კილოს პარალელიზმები — მუსულმანურ-ქართულიაო.

მართალია, უცხო ენის შემოქრა ხელს უწყობს პარალელიზმების გაჩენას ენაში, შოთაც ვერ ასცდა მას, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ შოთა ხშირად პარალელიზმს ისე აწყობს, რომ ორივე მისი წევრი ქართულია. ეს განსაკუთრებით აღინიშნება ე. წ. პენდიადისებში, ან ქართულად რომ ვთქვათ. ერთი ორი თებში, სადაც ერთი იღვან ორი გზით. ორი საშუალებით იშლება, აქედან ერთი წევრი პარალელიზმისა და დებითი კონსტრუქციისაა, ხოლო მეორე — უარყოფითი.

ასეთი პოეტური ხერხი უხსოვარ დროიდან მომდინარეობს, იგი ყველგანაა გავრცელებული და თავდაპირველად ყველგან ხალხურიდან წარმოშობილად და მიჩნეული-

ყველაჲი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჭრილი!

სტრიქონი ორ ნაწილად იყოფა და ორივე ერთი და იგივე აზრია გამოთქმული ორი სხვადასხვა ხერხით.

ყველაჲი გაიყარა! მეორე ნაწილში ყველაჲის უღრის ჯალაბი სოლო გაიყარას -- არ დაჭრილი.

ამგვარივეა -

1. ქალმან უთხრა საუბარი, ეკელუც სიტყვად, არ დუხჭირად. აკელუც -- არ დუხჭირად (127).

2. შერშე ჩემი მიწურვი ხარ. დასტურია არ ნაქორად: დასტურია -- არ ნაქორად (130).

3. ყმაჲან უთხრა: მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ქრელად: მართლად -- არა ქრელად (162).

4. მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოჲა გმართებს არ სიცილი: გლოვა -- არ სიცილი (169).

5. შევაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერიოთა: წყნარად-არ რამე ჩხერიოთა (225).

6. რასაცა ეძებ, მიხვდები, უცილოდ არ ასცილდები: მიხვდები -- არ ასცილდები (254).

7. ამას გვედრებ მოიკადო, თავი შენი სხვაგან არ (262)

8. ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული (284)

9. ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხანს შუქნი არ აღარნა, ეერ გაახუნა სსაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა (308).

10. ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ შეეკრძალოდა (380).

11. დამე მერჩია, მეწადა არ გათენება დილისა (399).

12. ფიცხლა მოვიდეს, არ ექმნა მათ შინა ხანდაზმულობა (403).

13. მაგრა მეტი უარეა არ ათქმა და ქირთა მალვა (412).

14. უგზოსა ვლიდეს ლაშქარი, არ გაიულიდეს გზობასა (420)

15. მზემან არ დაგწვენ, იცოდით დაგყარენ გაუგებლად (459)

16. მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანაღამია (473).

17. ვინცა მივერტდის, ბნდებოდის, მართლად არს, არ კატობანი (478).

18. მაშინ ოდეს დამარჩინე, სულთა სრულად არ გამყაოე (503).

19. ვინცა მივერტდის, უკვირდეს, მაქებდეს, არ მაძაგესა (615)

20. ფიცხლად წაუღლეთ ქალაქი, არ თავნი გავაზანტენით (618).

და სხვა მრავალი.

მაგრამ ხალხურობა განსაკუთრებით ძლიერია იმგვარ ფორმებში, რომელშიც გადმოიკემა ორი მხარის შეკამათება -- შესიტყვება, ერთგვარი გაშიი-რება--გაბაასება. ამისთანა ადგილი შოთას რამდენიმე აქვს, მაგრამ აქ მე მხოლოდ ერთს მოვიყვან. ეს ის ადგილია. სადაც ასმათი და ავთანდილი ერთმანეთს:

სასტიკად შეებნენ. ავთანდილი სთხოვს ასმათს, უკეთ, მოითხოვს მისგან -- უცხო ყმის ამბავი მითხარიო, ასმათი კი წინააღმდეგაა.

კვლავ ეტყვის: „ყმაო რა გინდა, ანუ მენუკვი მე რასა.
შენ ერთხელ მეტყვი, «მითხარ», მე ასჯერ გეტყვი ლერასა».
(235).

აქ სტრიქონი ორად იყოფა და ყოველ ნახევარში (არც მეტი, და არც ნაკლები) ოთხ-ოთხი სიტყვაა. ამასთანავე, პირველი ნახევრის სიტყვა ზუსტად უპირისპირდება მეორე ნახევრის სათანადო სიტყვებს:

შენ — მე, ერთხელ — ასჯერ; მეტყვი — გეტყვი; მითხარ — ვერასა.

პარალელიზმი დაპირისპირება უთუოდ ხალხური პოეტური ხერხია და დაკავშირებულია ხალხურ პოეტურ ზომასთან, სახელდობრ. თექვსმეტმარცვლოვან შაირთან. სწორედ იმის გამო, რომ შაირი თექვსმეტმარცვლიანია, ე. ი. ლექსმარცვლიანი სტრიქონი ორ თანაბარ-ზომიერ ნაკეთად იყოფა და ეს ქმნის იშვიათ პარალელიზმს — დაპირისპირებას; დაპირისპირება — კამათი გულისხმობს ორ მხარეს, რამელთაგან თითოეულმა თანაბარზომიერად უნდა უპასუხოს და ეს კი შეიძლება მხოლოდ 16 მარცვლისას, 8—8 თითოეულ ნახევარში.

„ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა პარალელიზმიც გვაქვს: პარალელიზმი — შედარება, რომელიც კვალად ხალხურიდან მომდინარეობს, სახელდობრ, როდესაც ადამიანის მოქმედებისა ან მდგომარეობის ხასიათი ედარება ბუნების მოქმედება-მდგომარეობის ხასიათს.

შამთარი ვარსა გახმობს, ფურცელნი ჩამოსცივიან,
მაგრამ მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყვირიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დსწავს. გვალუასა ჩივიან,
და სიციხე სწავს. ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან.

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ქირსა და ლხინსა, ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწვივ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.
და იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!

(1347—1348).

* * *

შევეხვით წერილების წერის ტექნიკას. ცნობილია. საერთოდ წერილების აგებულება, მათი წერის ტექნიკა: თუ იგი რამდენიმე ამბისაგან შედგება, თითოეული ამბავი სათანადო აბზაციით გამოიყოფა და ამ გამოყოფასაც თავიარ წესი. თავისი ტექნიკა აქვს. აბზაციდან აბზაცზე გადასასვლელად სპეციალური სიტყვა ტერმინი არსებობს: ს ხ ვ ა.

ასე —

პირველად მოკითხვას მოგახსენებთ და გისურვებთ, რომ ჭანმრთელად ბრძანდებოდეთ.

შემდეგ წერილის მიმწერი ძირითად ამბებზე გადადის ან საერთოზე, ანდა პირდაპირ თავისაზე და განაგრძობს:

ს ხ ვ ა — ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, მე კარგადა ვარ და შემდგომი...

ასეთია ჩვეულებრივი. ხალხური წერილის წერის ტექნიკა ასლა. ასეთი უყო წინათაც. ასეთივეა „ვეფხისტყაოსანშიც“.

წერილის აგებულება და წერის ტექნიკა იგივეა. რაც ჩვეულებრივ ხალხურ წერილში. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ წერილს აქვს თავისი უპირატესობა: სახელდობრ?! საქმე ის არის, რომ ერთია წერილის წერა პროზაით და მეორეა წერილის წერა წყობილიტყვაობით.

ცნობილია. რომ პოეტურ ენაში სიტყვათა განრიგება სტრიქონში პროზის კანონს არ მისდევს: თუ იქ, პროზაში, ამ შენთხვევაში, მთავარი და გადაწყვეტი აზრია, მხოლოდ აზრი. აქ პოეტურ ენაში ბევრი რამ ზომაზე. მეტოხე, რიტმზეა დამოკიდებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეტური ენა ხშირად ბოჭავს პოეტს. ხანდახან მოქმელი ამის გამო იძულებულია მოკლედ მოქრას იქ. სადაც უფრო გრძლად თქმა საჭირო და პირიქით. ეს კი თავის მხრე ერთგვარ სელოვნური ნაკეთობის დაღს ასევამს პოეტურ ნაწარმოებს. და სწორედ აქაა საჭირო. რომ პოეტი ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა და არასგზით არ შეამოკლოს ქართული. არ ქმნას სიტყვამკრობა.

შოთაც სწორედ ამგვარია. იგი დღემდე მიუწვდომელია. მას ვერაუთარო დაბრკოლება ვერ აშინებს: ხალხურობას ზედმიწვივით იცავს, ამავად დროს მხატვრულობასაც აღნავად არ დაღატობს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ნესტანის წერილები ფატმანია და ტარიელისადმი მიწერილი.

პირზე სწერს: „აჰა ხათუნო. დედისა მჭობო დედაო!
მისგან ტყეუქმნილსა სოფელმან რა მიყო. ამას ჰხედაო?
მე. გლახ. მათ ჩემთა პატოეთა სხვაცა დამერთო ზედაო.
და აწ ვნახ. შენი უსტარი. მე დიდად შეიმედაო.
შენ ორთა დამხსენ გრჩენულთა. გამიადვილე კირები.
აწ აქა სრულთა ქაჭთაგან ვარ ასე დანამკირები:
ერთსა მკავს ერთი სამეფო. ბევრჯერ ათასი გმირები.
და ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანამკირები!“

სხვად ამბავი აქაური მეტი რამცა მოგაწერე:
ქაჭთა მეფე არ მოსულა, არცა მოვლენ ქაჭნი ქარი,
მაგრამ სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სიალფერე.
და ჩასა ჰქვიან ბეანა ჩემი? არ ეგების. დიჯერე!

(1285—1287)

აღსანიშნავია, ახალი აბზაცი სხვად სიტყვითაა დაწყებული და ტონიცა და რიტმიც სხვაა.

მეორეა წერილი ტარიელისადმი:

შენმან მზემან. აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე:
ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვპოინე,
და ჩემი ყველა აქანამდის კირი ღონისა შევაწონე.

(1296).

სხვადასხვა ზღვაში ანაბეზი ჩრქვენი და მოკლე თაობის
ენა დაშვრების, მოსმენით არკისგან დაიჭრებას.
ფაქტმა წამკვეთა ვრძნეულობა, ღმერთი მას ატყობს!
და აწ კელა იშნა იგი სოფელშიან, რაკა მას შევედობას.
(1298).

აქაც იგოვეა.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ შოთა აქ სასწაულმოქმედი: იგი ლექსში აქ
აქერებებს არაჩვეულებრივად დაიცვას ხალხური ენის სისადაე და სიმარტივე.
აქ ვირტუოზი და მხატვარი ერთია, განუყვეთელი!

გადავიდეთ ცალ-ცალკე მოტივებზე.

ა. დავიწყობ დავალების მოტივიდან.

ეს მოტივი იგივეა. რაც ზღაპრების დავალება-ამოცანის მოტივი.
ზღაპრების ამოცანებს სხვადასხვა საფუძველი აქვს. მათ შორის, ყველაზე
უფრო გავრცელებულია სატრფოს დავალება საქმროსადმი -- იმისთანა მხე-
ლად გადასაწყვეტის, უცხო საქმის შესრულება, რომელიც დავალებულს შე-
ტისმეტად სტანჯავს, არაჩვეულებრივად აწუხებს.

დავალებულმა მრავალი ჭირი უნდა ნახოს. მრავალი, თანდათან მზარდი
დაბრკოლება უნდა გადალახოს და პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მო-
ვალეობა.

მხოლოდ ამის შემდეგ იმედი უნდა იქონიოს მან, რომ საყვარელი არსება
სამარადისოდ შეუერთებს მას თავის სიცოცხლეს.

ამრიგად, დავალების შესრულება აუცილებელი წინაპირობაა მიჭ-
ნურთა შეერთებისა.

„ვე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი ა ც“ სწორედ ამგვარი ხასიათის დავალება-
ამოცანასთან გვაქვს საქმე.

ავთანდილმა დავალება-ამოცანა მიიღო თინათინისაგან.

„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგხოცა.

ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა?

მას უკანით გონებაჲმან მისმან ასრე დამამხოცა,

და შენ გენუკვი მონახვასა, კილით კიდე მოქაზხო ცა“.

(128)

ზღაპრებში მძებნელს შეიძლება ქვეყნელში მოუხდეს საქებრისათვის წა-
სვლა, აქ -- ავთანდილმა შეიძლება ცა ც კი მოლახოს.

ორგანვე მეტისმეტად ძნელი საქმეა გადასაწყვეტი.

აქედან ჭირი უთვალავი, რომელიც ავთანდილმა უნდა აიტანოს. დაბრკო-
ლება უსაზომო, რომელიც მან უნდა გადალახოს, რათა დაკისრებული მოვალე-
ობა პირნათლად შეასრულოს. შეასრულა კიდეც! ამ მხრივ ავთანდილი ორ-
გჯინს გმირია. გმირია ტარიელის ძებნისას და გმირია ნესტანის გამოხსნისას.
ვალმოხდილი და გამარჯვებული დაუბრუნდა უკვე სამარადისოდ თინათინს.

ამრიგად, მოტივი ერთია, მოტივის გაშლის, განვითარების გზებიც ერთია.
ორგანვე ხალხურია, ამასთანავე ზღაპრების მოტივი პირველადია, უფრო ძვე-
ლია.

ბ. მოწყალეების გაცემის მოტივი

მოვიგონოთ ის ადგილი, რომელიც თავსამტკრევე საკითხადაა მიჩნეული, სახელდობრ:

მიეც გლახაკთა საქურკლე, ათავისუფლე მონები.

დღეს უკვე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არავითარ მონების განთავისუფლებაზე საერთოდ არაა აქ ლაპარაკი და არც შეიძლება იყოს.

აბა, რა?

ეს ლექსი განკერძობებულად კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ სხვა სათანადო ადგილებთან ერთად, სახელდობრ:

პირველად წასვლისას ავთანდილი დავალებას აძლევს შერმადინს:

ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ზვაშიადი შემინახე.
მე ნუთუმა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაქნა ხე,
და არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მითირე და მივავალხე.

მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა,
აქნობე ჩემი სიკედელი,—იყავ მართ ვითა მთრვალთა,—
მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოელთათვის გარდუვალთა.
და გლახაკთა მიეც საქურკლე, ოქრო, ვერცხლი და რკალია.

მაშინ უფრო მომეხმარე ამისგანაცა უფრო მხნედ-რე,
ნუთუ ადრე დამივიწყო, მახსენებდე ზედა-ზედ-რე!
მეტად კარგად დამიუტრე, სული ჩემი შეივედრე,
და ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდღერე.
(157—159)

შემდეგ იგივე ავთანდილი ანდერძს უტარებებს როსტევანს.

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვეკდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
და მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე-მღმობელმან,

მაქვს საქონელი ურიცხვი ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საქურკლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
და მიღწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.
(802—803)

მასასადამე, ქონების ღარიგება და მეორე შემთხვევაში მონათა განთავისუფლება სიკვდილისა და სულის ცხონების საკითხია.

ეს ჩვეულება კი ხალხური ა, საყოველთაოდ გავრცელებული, მათ შორის, ჩვენშიაც.

ჩვენში ეს ჩვეულება უკანასკნელ დრომდე იყო, ჩემ მახსოვრობაშიაც, როდესაც მდიდარი გარდაცვლილის ქონების, უკეთ ქონების ნაწილს (ფულს, ტა-

ნასანოს) ღარიბებს ურიგებდნენ. შენდობა უთხარათო: მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ. მოვეგონები!

დეე, იყოს ეს სარწმუნოებით განმტკიცებული ჩვეულება და წესი, იყოს იგი მაინც ხალხური, მაინც ქართული. და თუ სესხებაზე მიდგება საქმე, ცხადია, შოთა აიღებდა მას საკუთარი ხალხისაგან და არა სხვა ვისაგანმე!

გ. გლოვისა და ბნელში ჯდომის მოტივი.

მიცვალებულის გლოვა ერთ წლამდე გრძელდებოდა, უოველ შემთხვევაში, გრძელდებოდა უკანასკნელ დრომდე, ჩემ მახსოვრობაშიაც. ეს წესი საქარეველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული, საგულისხმო ცნობას გვაწვდის ამის შესახებ თ. სახოკია.

„როდესაც ქმარს ცოლი მოუკვდება, ტირილის დღეს მისთვის სამგლოვიარეო კარავსა წნავენ და სადმე კუთხეში მიდგამენ, რაც უღრის საბნელეთს. ამ კარავში შედის დაქვრივებული ქმარი, დაღვრემილი უზომო მწუხარების და სასოწარკვეთილების გამომხატველსახიანი. ამით გამოხატავს. რომ დღიდან იგი ისიც მკვდარია, ბნელშია, ღირსი არ არის მზის სინათლის ყურებისა“... (172).

შავებს ჩვეულებრივ ერთ წლამდე ატარებენ. (180).

წლის თავზე გლოვა თავდება. საამისოდ მოდიან სპეციალურად დანიშნული კაცები და მეგლოვი გაყავთ ხალხში და შესაფერნადიმსაც იზღიან. ამას მაგ., ქიზიყში ეწოდება ფეხის გახსნა (სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი).

„ვეფხისტყაოსანშიც“ აგრეა:

მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა.

(335).

და ამის გამო —

მე წელიწდამდის ბნელსა ვქე საწუთრო-გაცულებული.
დღისით და ღამით ვვაეზდი, ვერვისგან სულ-დაღებული;
გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული,
და ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა დებული“.

აეწო, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა;
უკუნით გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა;
გამოსელისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა.
და შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა.

(335—337).

მაშასადამე, გლოვა და ბნელში ჯდომა „ვეფხისტყაოსანში“ ქართულია, ხალხურია.

დ. დევთა მოტივი.

დევთა მოტივიც უაღრესად ხალხურია. ხალხურობის გარეშე ეს მოტივი გაუგებარია, აუხსნელია. შოთამ, ბუნებრივია, ხალხისაგან აიღო ეს მოტივი. აღსანიშნავია, რომ მოტივის შემცველი სტროფიც ხალხური კილოთია, ხალხური ზომითაა დაწერილი.

დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა;
მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირეოდა:
მზე დაბნელეს მტვერითა, ალვის შტო შეირხეოდა.
და ასი ერთ კერძით მომიხდეს. დაფერიწე. დაიხეოდა
(655)

იმგვარივეა. როგორც ხალხური:

დევების კარზედ მივედი, სიმღერა გამოდიოდა;
არ დაგვატიეხს, შევედი, ამირანს პური შიოდა და სხე.

ამ გარემოებამ საბუთი მისცა პროფ. იუსტ. აბულაძეს ყალბად მიეჩნია ეს სტროფი. მოგვიანო საუკუნეებში დევების შესახებ გამოთქმულ ლექსსა ჰგავსო, მაშინ, როდესაც ჩვენ აქ გვაქვს სწორედ შოთას ჩვეულებრივი ხერხი-სტილი, სადაც შინაარსი და მისი გარეგნული გამოხატულება იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს.

* * *

ვეფხვ-ლომთან შებმის მოტივი ქართულია, ხალხურია.

ქართულ პოეზიაში ვეფხვთან შებმა გმირის მკლავის გამოცდის უმძაფრესი საშუალებაა. ეს მოტივი ეტყობა ადრიდან იქცევა მგოსნების ყურადღებას და მას რუსთაველმაც ვერ აუარა გვერდი. დიდმა პოეტმა წარუშლელი სურათი შექმნა ტარიელის ლომ-ვეფხვთან შებმის სახით. „ვეფხვის ცყაოსანი“⁴ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდია“⁴.

ე. გაპარვისა და დადევნების მოტივიც ხალხურია

იგი უხსოვარი დროიდანაა გავრცელებული და მიუცილებელი ატრიბუტია, მათ შორის ქართული ზღაპრისა.

გაპარულს მრავალი დაბრკოლება ელობება წინ, ამავე დროს მდევნელი არა ერთია მის წინააღმდეგ. ამის გამთ ზღაპარში გაპარვა ჩვეულებრივ მაციციობასთანაა დაკავშირებული იმ მოსაზრებით, რომ გაპარულს გაუადვილდეს ბრძოლა დაბრკოლებებთან, მდევნელს დევნა გაუჭირდეს, საბოლოოდ მოტყუებული დარჩეს და გაპარულიც სამშვიდობოს გავიდეს.

რა უძევს საფუძვლად ზღაპარში გაპარვას?

ბევრი რამ და უპირატესად არასასურველი ქორწინება — ან უკვე შესრულებული, ანდა მოსალოდნელი.

4. მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, გვ. 269.

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი გაპარვა ზღაპრებში გავრცელებული გაქცევა-გაპარვისა და დადევნების ერთ-ერთი სახესხვაობათაგანია. ზღვათა მეფე ნესტანს თავისი შვილისათვის ამზადებდა საქორწინოდ. მაგრამ ნესტანი —

არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა,
სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე ოგონებდა;
ვარდი ერთგან შეეწეუბა, მარგალიტსა არ აღებდა.

(1182)

მაშინ მეფემ ნესტანი ერთგვარად ტყვედ ყო.

უბრძანა ცხრათა ხადუშთა დადგომა მცველად კარისად;
(1189)

ნესტანი ოდნავადაც არ შემდრკალა: დიდმა დაბრკოლებამ დიდი ძალგულოვნება დაბადა მასში.

სიკვილაშდის ვის მოუტლავს თავი კაცსა შეცნოერსა?
რა მისკირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!

(1191)

არ ვარგ ვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდევანა;
(1193)

გადაწყვიტა გაპარვა. ქრთამი გაიღო.

რა ხადუშთა აუსრულეს საქმე მისი საწადელი,
ერთმან ტანსა აიხადა, მისცა მისი ჩასაცმელი.
(1198)

(თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი - მ ა ქ ე ი ო ბ ა ა).

და დარჩა მთვარე გავსებული. გველისაგან ჩაუნთქმელი.

გაპარვის აუცილებელი ატრიბუტიც გაჩნდა:

დღე მიიყარა, ხმა გახდა, მოვიდა მისი მდეგარი,
მოიცევს შიგა ქალაქი, შეიქნა მოსაწყევარი.

(1202)

მონახეს, ვერა შეიგნეს, შეიქცეს დაწბილებულნი.
(1203)

ესეც ხალხურია, მაშასადამე, ქართული.

ვ. გრძნეულობის მოტივი

გრძნეულობისა, უჩინმარინობისა და დასშული კარგების მოტივი ზღაპრულია, ხალხურია. მიუცილებელი ატრიბუტია ე. წ. გრძნეულ, ანუ ჭადონსურ-მისნურ ზღაპართა.

„ვეფხისტყაოსანშიც“ აგრეა და ბუნებრივად ჩქიდან მოდის. ფაქტმანი მოუთხრობს ავთანდილს.

მე ორნი შავნი მონანი მევენან საესენი გრძნებთა:
უჩინოდ წაელენ-წამოელენ მათთა ხელოვნებთა;

მოვასხენ, ქაჯეთს გავგზავნენ. ვარქეი, თუ: „ნუ დასდგებითა,
და მაინოზეთ მისი ამბავი თქვენითა მოქმედებითა“.
(1238).

ავთანდილი შეესვენა:

მომგვარე, ქაჯეთს გავგზავნოთ იგივე მონა გრძნეული.
(1267)

ფატმანაც:

მოკვარა მონა გრძნეული შავი, მართ ვითა ყორანი,
(1268).

ესე წიგნი მიართვიო ქალსა (ნესტანს) მზისა დასაგვანსა!
(1276)

გრძნეული უჩინო უნდა იქმნეს, უჩინ-მაჩინად უნდა იმოქმედოს.

ზღაპრებში უჩინმაჩინობის ატრიბუტია ქუდი, უჩინმაჩინობის ქუდი.
„ვეფხისტყაოსანში“—მოლი. რა არის მოლი? თავდაპირველად: პო-
ლი მცენარეა, რომელსაც ჯადოსნურ თვისებებს მიაწერენ. შემდეგ მოსასხამო
ან მოლისაგან გაკეთებული, მოლიაწნული. მოლის მფლობელთ ყოვე-
ლგვარი დაბრკოლებათ შეეძლოთ უჩინრად გადაეღობათ.

მან გრძნულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,
მასვე წამსა დაიკარგა, გადაფრინდა ბანი-ბანსა.
(1276)

წავიდა, ვითა ისარი კაცისა მშვილდ-ფიცხელისა.
უჩინოდ შეველო სიძრავლე მოყმისა, კართა მცველისა.
(1277)

ციხისა კარნი დახშულნი, შევლნა მართ ვითა ღიანი.
(1278)

სურათი სავსებით იმგვარივეა, როგორც ჩვენს ზღაპრებში: გრძნების ხე-
ლოვნება, ყოველგვარ დაბრკოლებათა უჩინრად გადალახვა და მოქმედების
არაჩვეულებრივი სისწრაფე. მაშასადამე, კვლად ქართულია.

ზ. ქაჯთა მოტივი

საგულისხმოა ქაჯებისა და ქაჯეთის მოტივი „ვეფხისტყაოსანში“. ავთანდი-
ლსა და ფატმანს შორის ერთგვარი კამათიცი გაიმართა მათი ბუნების შესახებ,
ხორციელნი არიან ისინი თუ უხორციონი?

ქაჯნი ყველა უხორციოა. რამან შექმნა ხორციელად?
და თუ აგრეა, ქაჯნი უხორციონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსაო?
არ ქაჯნია, კაცნიაო, უპასუხებს ფატმანი.

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი
კაცი, გრძნებისა მკოდნენი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არვისგან ვნებულნი;
და მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი. დაწბილებულნი.

იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ.
ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ;

და სწადეს დღეს ბნელ იქმან. სწადეს მისი ანაბეჭე.

ამისთვის ქაღალდზე უნდა ვარაუდოთ ვეღარი.

თვარა ივინიე კაცია, ჩვენე პირი ხორციელანია.

(1247—1249)

სად და როგორ გამოიყენა შოთამ ქაჯების ეს მოტივი და ვის პაუზს ამგვარად წარმოდგენილი ქაჯები?

„ვეფხისტყაოსანში“ თავისი შინაარსით მიემსგავსება დრამას ბრძოლის ყველა თავისი დამახასიათებელი საფეხურებით, როგორცაა: ექსპოზიცია, კვანძი, მოქმედებათა გაშლა-განვითარება, კულმინაცია და გაკვანძვა. აქედან, ამ მომენტებს შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა კულმინაცია, ბრძოლის უმაღლესი საფეხური, სადაც ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. სადაც ან სიკვდილი, ან გამარჯვებაა.

რომელია ასეთი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“? ქაჯეთი.

შოთამ იმდენად ხალხურია, რომ კულმინაციისათვის ქაჯეთი მოიხმოს. მაშასადამე, მისი გადალახვაც შეუძლებელია. და თუ აგრეთა. მაშინ ბრძოლაც დამარცხებით უნდა დამთავრდეს. მაშ, სადაა ოპტიმისტური გაკვანძვა? სადაა პოროტესა სძლია კეთილმან?

როგორ გადალახა პოეტმა ეს გადაულახავი დაბრკოლება? სწორედ აქ მოიხვედრია შოთამ ხალხური გაგება-აღქმა ქაჯეთისა და ქაჯებისა. როგორ წარმოუდგენია ხალხს ქაჯები და ქაჯეთი?

ქაჯეთი - ქაჯების სამყაროა, ხოლო ქაჯები ხორცშესხმული არსებანია. ისინი იმგვარადვე კაცნია, როგორც ყველა დანარჩენი მოკვდავი. სხვაგვარი წარმოდგენა ქაჯებისა, უკეთური სულებისა. თუ არ ხორცშესხმულეებისა, უთუოდ გამორიცხულია. ამგვარი შეხედულება ქაჯებზე გატარებულია ქართულ ზღაპრებში. ეს ბაზი დღემდე მოდის. თითქმის ჩვენს დრომდე.

შოთამ ხალხის პოზიციებზე დგას.

ქაჯები ხორცშესხმულად მოგვცა. და აისწორედ ქაჯების ასე აღქმამ. ქაჯების განკაცებამ გაადაარჩინა განსაცდელს დრამამ და თვით პოემამ. ქაჯების ხორცშესხმულობა უდიდესი ხალხურობაა.

თ. დახასრულ, ტირილის მოტივის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

მეტად დიდი ადგილი უჭირავს ტირილს „ვეფხისტყაოსანში“.

ტირიან ყველანი, ტირიან მარად როგორც გაჭირვებისას, ისე დაღუბნებისას.

„ვეფხისტყაოსანში“ ცრემლთა წარღვნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ იგი თავისთავად არაფრის მაჩვენებელია. საქმე ის არის, რა განწყობა ამოძრავებს ადამიანს ცრემლთა ფრქვევისას, რისთვისაც აქვს მას ცრემლი მრმარჯვებელი.

ცრემლის დანიშნულების შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ მე უკვე ბეჭდურად გამოვთქვი ჩემი აზრი და ახლა კი მას არ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ

კრემლი „ვეფხისტყაოსანში“ ოდნავადაც არ მოასწავებს მოქმედპირთა სისუსტესა და სილაჩრეს.

„ვეფხისტყაოსანში“ მტირალი ბევრია. მაგრამ ტირია არც ერთი! „ვეფხისტყაოსანში“ კრემლი სიმტკიცისა და სიმაგრის მაუწყებელია. კრემლთა ფრქვევას ეს მიზანი და დანიშნულება აქვს.

ამ გვარი გაგება კრემლისა უთუოდ ხალხურია.

ატირე. ატირე. გულს მოიოხებს და გამაგრდებაო.

არამტირალი ბეჩავია, მოდუნებული, მტირალი კი მისთვის ტირის, რომ გულით ჭაერი ამოუშვას, ამოიყაროს და შემდგომ გაასკეცებულა ენერგიით ეკვეთოს დაბრკოლებას.

კრემლთა ფრქვევა და საზოგადოდ ტირილი „ვეფხისტყაოსანში“ ხალხურადაა გაგებული და ხალხურადვე წარმოდგენილი.

საამისოდ ავიღოთ „ვეფხისტყაოსანიდან“ ერთი თავი. სახელდობრ, „ცნობა როსტევან მეფისაგან აეთანდილის გაპარვისა“.

როგორც ვიცი, როსტევანი წინააღმდეგი იყო, რომ აეთანდილი მეორედ წასულიყო, იმდენად წინააღმდეგი, რომ ეაზირი, რომელმაც აეთანდილის წასვლის სურვილი ჭერ კიდევ მხოლოდ აცნობა, კინაღამ მოკლა:

დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა. ჰკრნა, კედელსა შეაღწენა,

დაადუნა, მაგრა მისთვის ააღმასნა, არ აძენა.

(760)

აეთანდილი მაინც გაიპარა. აეთანდილის გაპარვა სიკვდილის მსგავსი საქმეა, მაშასადამე, რეაქციაც ისეთი უნდა მოჰყვეს მას, როგორიც უძვირფასესი ადამიანის სიკვდილს მოჰყვება ხოლმე. როგორ რეაქციას იწვევს ნათესაებებში მომავლადეი და მისი სიკვდილი?

1. ავადმყოფი მომავლადეია. განწირული, მისი მობრუნება ყოველად შეუძლებელია. ეს კარგად იცინა ავადმყოფის ჰირისუფალთ, მაგრამ ხმით ტირილს მაინც გაურბიან, თავს იკავებენ. არ უნდათ დაიბედონ სიკვდილი, მხოლოდ ცალკე, გარეთ, ჩუმად, უხმოდ მარტოოდენ კრემლს იღენენ, მოთქამენ, ოხრავენ.

ესაა პირველი რეაქცია, მომავალი სიკვდილით გამოწვეული.

2. ავადმყოფი მოკვდა. პირველი, რაც უნდა მოიმოქმედოს ჰირისუფალმა. ესაა მიცვალებულის მოწესრიგება. ჭერ კიდევ ირგვლივ სიჩუმეა და „სანამ სხეული გაშეშდებოდეს, მიცვალებულს თვალებს უხუჭავენ, პირს მოუტუშავენ. ფეხებს გაუსწორებენ, ხელებს გულზე დაუკრეფენ, ერთი სიტყვით გააპატიოსნებენ“.

3. ამის შემდეგ იწყება ნამდვილი ტირილი. თავდაპირველად გარეთ, აივანზე გამოვლენ ქალები და ლოყების კაწვრითა და თმის გლეჯით დაიწყებენ საშინელ კივილს, რომ კუთხე-მეზობლებს შეატყობინონ ოჯახის უბედურება. ეს არის შეცხადება.

4. შემდეგ იწყება შინაურთა ინდივიდუალური ტირილი. თავისებური მკოსნობა: ერთი მტირალი მოთქვამს ან ჩამოთვლით მოიხსენიებს გარდაცვლილის დამახასიათებელ თვისებათ და გულის სატყევე სიტყვას ამბობს, ხოლო დანარჩენი მტირალნი ზრუნით ბანს ეუბნებიან.

ასეთია წესი ტირილისა გარდაცვალებიდან ვიდრე დასაფლავებამდე:

მორიგეობით ერთი ვინმე ხმამალა ტირის, ხოლო სხვანი დაბალი ხმით ებანებიან. მაგრამ საკმაოა ახალი ვინმე გამოჩნდეს, განსაკუთრებით ზარიო, მსწრაფლ მდგომარეობა იცვლება და თითქმის შედაობით დაწყნარებულად მტირალნი კვლავ წამოიკვივლებენ. კვლავ იცემენ სახეზე და იკლუჯენ თმას და აგრე თვით დასაფლავებამდე.

ასეთი იყო ტირილის წესი ჩვენში წინათ და შემდეგშიც, ჩემს მახსოვრობაშიაც.

აბა, ვნახოთ, როგორაა ეს ტირილი ასახული „ვეფხისტყაოსანში“. საამისოდ, როგორც ვთქვით, უნდა მოვიკითხოთ „ცნობა როსტევეან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა“.

სწორედ აქ, ამ თავშია ასახული ტირილის ის ხასიათი, რომელიც არღან ავწერეთ.

რუსთაველი განსაკუთრებული ხელოვნებით, ადამიანის ფსიქოლოგიის იმეთითი ცოდნით გადმოგვეცმს როსტევეანის თანდათან მეზარდ მწუხარებას, ავთანდილის გაპარვით, ავთანდილის „სიკვდილით“ გამოწვეულს.

როსტევეანის შინაგანი დუღილი აქ გასაოცარი გარეგნული სიტყვიერი საომოსლითაა გამოვლენილი, სათანადო მოდულაციებითა და ინტონაციებით მოცემული.

თქვა: „უთუოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა აქის“
(818)

ფსიქოლოგიურად ისეთი მდგომარეობაა, თითქოს ეს-ესაა ძვირფასი ადამიანი მომკვდარაო.

ბუნებრივია, იმ წამსვე იგონებ გარდაცვლილის ცხოვრების სხვადასხვა მომენტს და ეს გარემოება, ეს გახსენება იწვევს დიდ მწუხარებას.

თავ-დადრეკით იგონებდა, გულსა ქონდა კმუნეა დიდი. (პაუზა)
(819)

მაგრამ ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება. არ გჭკრა, არ გინდა დაიჭერო სიკვდილი ახლობლისა, ცდილობ, შეამოწმო. ამისათვის უნდა ამოიოხრო, უნდა გამოერკვიო. თავდადრეკილმა —

უში ქმნა და აიხენა, უბრძანებდა მონას „მიდი!
მოვიდეს და აწ მიაშოს, შემოვიდეს იგი ფლიდი“
კელა დარბაზს შევა ვეზირი დალრეკით, არ მხიარულად.
(819—820)

მაშასადამე, ვეზირის სახე უკვე ყველაფერს ლაპარაკობს. დალრეკით, არ მხიარულად!

ამიტომ მეფემ კი არ ჰკითხა. სად არის ავთანდილიო. არამედ შეკითხვით თავის თავს დაუდასტურა ავთანდილის გაპარვა: წასრულა მზე დაუღრომლად, მთვარულად?

უცილობელია, რომ მეფისათვის უვაზიროდაც ცხადი იყო ავთანდილის გაპარვა, მაგრამ ეს არ ემარა შესაფერი რეაქციის გამოსაწვევად.

საჭიროა სხვისი პირით გაიგონო თავსდამტყდარი უბედურება. მაშინ ეს უბედურება უფრო მძლავრი იქნება, უფრო მომსობი. უფრო გამანადგურებელი. და ვეზირმაც მოახსენა ყოველი, ვით წასულიყო ფარულად:

მზე აღარ მზეობს დღეს ჩვენთან, დარი არ დარობს დარულად.

მზე აღარ მზეობს! მაშასადამე. ჩაესვენა. მაშასადამე. მოკვდა. ამის გაგება და როსტევეანმაც დაიზახნა მეტისმეტე.

მოთქვამს, იტყვის: ევა გაზრდილო. ევლარ განხვენ თვალნი რეტნი!—
პირსა ხოკით. წვერსა გლეჯით განაევირნა მისნი მკერეტნი.
და სად წაახე და სად დაქარგენ სინათლისა ევე სეიერნი!

(821)

ნამდვილი შეცხადებ-შეკივლებაა. გარდაცვალებისას რომ იციან!

პირველ შეცხადებას მოჰყვა დაბალი ხმით მოთქმა-გოდება.

როსტევეანი ტირის ავთანდილს, იგონებს მისი ცხოვრების ეპიზოდებს, მაკრამ თავის თავსაც არ ივიწყებს: მე რად დამავდე აგრე უპატრონოდო.

აქაც ყოველი შტრიხი, ყოველი დეტალი ხედმიწევნით, ზუსტად გადმოგვცემს ხალხურ (ამისთანა შემთხვევისათვის) რიტუალს.

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებო, (ავთანდილი)
მაგრამ მე რა ვქნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართვეს სენებნი!⁵
გამალარიბე. დამავდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენებო,
და შენად შეყარამის პატიეთა ჩემთა ვერ იტყვის ენებო.

(როსტევეანი)

(822)

მეფე ტირილით ჩამოთვლის ცალ-ცალკე ეპიზოდებს ავთანდილის ცხოვრებით.

ოდეს განახე მზიარულსა, ნადირობით შემოსრულსა?
ველარ გიქერერ ნაბურთალსა, ტანსა მკვერსა ჟაიარ-სრულსა,
ველარ ვისმენ ხმასა შენსა. სასმენელად მე მას რულსა (ისევე თავისთავზე)
აწ უშენოდ რალა ეუყო საჭლომსა და სრასა სრულსა?

(823)

ისევე მოთქვამს:

ვიცი. არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა ღია ირები:
შენ შენი მშვილდი დაგარჩენს. შენთა ისართა პირები,
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიაღვილოს კირები...

(824)

⁵ ე. ი. ამირიდან სასახლის მაგიერ სენაში, ბნელში უნდა ვიცხოვროო. შდრ. ზემოთ მე წელიწდამის ბნელსა ვქე, საწუთრო-გაუღებულო.

ისევ თავის თავზე:

მაგრამ, თუ მოვკლავ, გაზრდილი, ესგანაღა დაეჭირება?
(824)

ავთანდილის გაპარვის ამბავი სხვებმა(ც) მეგობრებმა(ც), ნათესავებმა(ც) გა-
გეს.

ზარტი გაისმა, მ მოკობა ჩარი მრავალი ვიცისა...
(825)

ახალმა ხალხმა სამძიმარი უნდა გამოუცხადოს მეფეს. ენდა მაჭირის... მის.
ცხადია, ეს ტირილი მაღალი გამკვივანი სმით უნდა იყოს და ამიტომაც იტყვიან
და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტყაცისა.

ახლად მოსულთა ამგვარი ტირილი დამხვდურებზედაც მოქმედებს.

საკმაო იყო ხალხის გამორჩენა, მეფემ იცვალა ტონი და კვალად შეიცვალა.

უთხრა: „ახედავთ, მზემან ჩვენმან შექნი სრულად დაგვიძირა?
რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ, რად დაგვეყარა, რად გავეწირა?“
(826)

დიდი მწუხარების აღსანიშნავად აქ საგანგებოდ შერჩეულია მიტყვევებს
ერთგვარი ნაწილები, ამ შემთხვევაში ზმნები და ისინი განლაგებულია ანაღ
რულად, აღმავალი გრადაციის წესით.

რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ, რად დაგვეყარა, რად გავეწირა?

მაგრამ მაღალი ტირილი მარად შეუძლებელია, თანდათან სმაც ეშვება,
იწყება საერთო ზ რ უ ნ - შე წ ყ ო ბ ი ლ ი ტირილი.

ყოვლინი ტიროდეს, მოთქმიდეს, მერმე დაწყნარდეს გვიანდ.
(827)

ამასობაში მოვიდა შერმადინი და ავთანდილის ანდერძი შემოიტანა.

მოახსენა: „საწოლს ეპოვე ესე მისგან დანაწერი...
იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი“.
(828)

შერმადინის მოსვლას თავდაპირველად არაფერი ახალი აღტყინება არ კა-
მრ. უწყვეტია, მაგრამ:

„რა ა ნ დ ე რ ძ ი წ ა ი ე ი თ ხ ე ს, კვლა იტირეს დიდი ხანი!“ რატომ? იმიტომ
რომ ანდერძი ავთანდილის ხელითაა დაწერილი. მას ავთანდილის ნ ი შ ა ნ ი
აქვს, და ყოველი ნივთი, მისი ნაქონი ან მისგან გამომდინარე, რ ა ე ც მ ო ს -
ნ ი შ ა ნ ი ა, აქ, ავთანდილის მეგობრებში, ახალ მწუხარებას, ახალ ტკივილებს
იწვევს.

ჩვენში უკანასკნელ დრომდის გავრცელებული იყო შემდეგი წესი: თუ ადა-
მიანი უცხო ქვეყანაში გარდაიცვლებოდა და ქირისუფალთ არ ჰქონდათ საშუა-
ლება იგი სამშობლოში ჩამოესვენებინათ, მაშინ სტიროდნენ მის „ნიშანს“. ე . ი .
საწოლზე გაწყობილს მიცვალებულის ტანსაცმელს ქამარ-ხანჯლით.

ტირილისა და გლოვის დასკვნა

მერმე ბრ...ნა: „მხიარულსა ნუ ჩაიკმენ ჩემნი სპანი.
ვამლოცველნეთ დაერდომილნი. ობოლნი და ქერიანი სხვანი,
უა შევეწივნეთ. მშვიდობისა ნუ თუ ღმერთმან მისცეს გზანი!“

(829)

ვისაც ჩვენებური, კერძოდ. დასავლეთ საქართველოში მიცვალებულის ტი-
რილი უნახავს და მასთან დაკავშირებულ წესებს გასცნობია. იგი უთუოდ
„ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულად გადმოცემულ ტირილსა და ჩვენში
გავრცელებულს შორის სრულს იგივეობას დაინახავს.

მაშასადამე. ტირილის გაგებასა და გადმოცემა-
შიაც შოთა ქართველი ხალხის, ქართული ხალხურობის პოზიციაზე დგას:
სხვაც ბევრია „ვეფხისტყაოსანში“ ქართული ხალხური მოტივი:

1. მძლეთა მძლეობის მოტივი;
2. უჩინო ცხენის მოტივი;
3. ქვესკნელის მოტივი;
4. გადაპატიყდების მოტივი;
5. სტიქიონთ დაუფლების მოტივი და სხვ.

თითოეულ მათგანს ცალკე უნდა გამოწვლილვა.

დაეასკვნათ:

ა. „ვეფხისტყაოსნის“ თემა- ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას.
შორის — ხალხურია, ქართული;

ბ. და-კავშირი, რომელიც ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონს წინ უქ-
ლის და მას 17 მარცვლად ხდის, ხალხურია, ქართულია;

გ. აფორიზმები და რიგი ბრძნული გამოთქმები ხალხურია, ქართულია;

დ. პოეტის მხატვრული ხერხებიც ხალხურია, ქართულია;

ე. წერილების წერის ტექნიკა სავსებით ხალხურია, ქართულია;

ვ. პოემის მთელი რიგი მოტივები, როგორცაა დაკავშირებული ამოცანის
მოტივი. მოწყალების გაცემის მოტივი, გლოვისა და ბნელში ჯდომის მოტივი,
დევთა მოტივი, გაპარვისა და დადევნების მოტივი, გრძნულუბის მოტივი, ქაჯ-
თა მოტივი, ტირილის მოტივი და სხვ. და სხვ. ხალხურია, ქართულია...

ამრიგად. სესხებისა და უცხო შემოქმედ ძალთა
თეორია, რომელსაც ასე უსაფუძვლოდ, მაგრამ სის-
ტემატურად იყენებდა ვეფხისტყაოსნის მიმართ ზო-
გი მკვლევარი. მთლიანად იმსხვრევა და შოთას უკვ-
დავი ქმნილება, ჩვენ გვევლინება როგორც აბსოლუ-
ტურად ქართული ნაწარმოები, ქართული შინაარსით
და ქართული ფორმით.

**„ჩემი აწ ცანით უოველჲან, მას ვაჟებ, ვინცა მიქია“
სტროფის შემსახებ -მეფხისტყაოსანში-**

როგორც ხელნაწერებში. ისე გამოცემებში ეს სტროფი სხვადასხვა ადგილზეა მოთავსებული. საიუბილეო გამოცემაში მე-19 ადგილზეა, სახელდობრ. შაირობის შესახებ სტროფების შემდეგაა დასმული.

რამდენად სწორია ეს? ვნახოთ!

„ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა თეორიულ საკითხებს ეხება. იგი უპირატესად მსჯელობას წარმოადგენს და, ცნობილია, მსჯელობა ორგვარად შეიძლება წარმოებდეს: ზოგადიდან კერძოს მიმართ და პირუკუ. კერძოდან ზოგადისაკენ. ორივე გზა სწორია, შედეგიც ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა, მაგრამ წინადადებათა წყობა ორგანვე ერთი და იგივე არაა.

იმ გარემოების გამო, რომ წინასიტყვაობის სტროფებს თხრობის ძაფი არაერთიანებდა, შესაძლებელი შეიქმნა გადამწერლების ხელში ისინი არეულობით და, თავდაპირველად ერთგვარად გაწყობილი, დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად დალაგდა, ზოგჯერ სრულიად აიშალა, და დღეს ჩვენ ხელნაწერებს რომ მივიმართოთ, მეტისმეტად ჰერელ სურათს დავინახავთ.

რედაქტორ-გამომცემლებიც ცდილობდნენ წინასიტყვაობის სტროფების სათანადოდ დალაგებას, ზოგი რამ ამ მხრივ მოგვარდა, მაგრამ საბოლოოდ მოწესრიგებულად იგი ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება ჩათვალოს.

ჩვენი ამ მცირე ნარკვევის ძირითადი მიზანია მოუნახოს ჩემი აწ ცანით სტროფს თავისი ადგილი, მაგრამ რადგან ამ სტროფს უშუალო კავშირი აქვს წინასიტყვაობის სხვა სტროფებთან, ჩვენც გზადაგზა შევეჩხებით ამ სტროფებსაც.

მეოთხე სტროფიდან დავიწყეთ.

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ეთქვენ ქებანი ვისნი მე არ ავად გამოჩჩეული.
მელნად ვიხმარე ვიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
და ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

(4)

დასახელებულია ქების მთავარი პიროვნება, გვირგვინოსანი თამარი.
შემდეგ:

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტყბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა.

ბროლ-პადახშისა თლილისა. მით მიგრით მიწუობილისა.
და გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყეისა ლბილისა.

(5)

აქ ერთგვარი დასაბუთებაა იმისა, თუ რატომაა რომ პოეტი ერთხელ შექე-
ბულ პიროვნებას ხელმეორედ აქებს? უთუოდ თავისებურ სოციალურ დაკვე-
თასთან გვაქვს საქმე.

მ ი ბ რ ძ ა ნ ე ს! ვინაა მბრძანებელი? ვინდა — მმართველი წრეები! ვინ-
და... ის კლასი. რომლის ზრახვათა გამომხატველად შოთა გამოდითა! ცნობი-
ლია, რომ ჩვენში იყვნენ კარის პოეტები, არსებობდა თავისებური მწერალთა
კავშირი, რომელშიაც შედიოდნენ იმდროინდელი საუკეთესო მწერლები. მწერ-
ლები ვალდებული იყვნენ „ემსახურათ“, ე. ი. საჭიროებისამებრ, ერთგვით პოე-
ტურად სახელმწიფოში მომხდარი რაიმე დიდი ამბავი და სწორედ აქედანაა მ ი ბ რ ძ ა ნ ე ს — პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი შ ე ქ ე ბ ი ს ა.

მაგრამ მართა ბრძანებით საქმე არ გაეთდება, დაკვეთას შედეგი არ მო-
ყვება, თუ შენ, პოეტი, პირადად არა ხარ სათანადოდ განწყობილი. პირადი გან-
წყობა აქ უპირატესია და კვალად აქედანვეა: გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემ-
ლი ტყეისა ლბილისა, ე. ი. მე მაგარი ვარ, მტკიცე, მაგრამ ნაზმა არსებამ (თა-
მარამ) მაინც გამტეხა, მომინადირაო, — მ ე ო რ ე ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი შ ე ქ ე-
ბ ი ს ა.

ამგვარად, ქების პიროვნება დასახელებულია, ქების საფუძველიც მონახუ-
ლია.

რა დარჩენია ამის შემდეგ პოეტს?

ენა და სათანადო ხელოვნება. სწორედ ამას გადმოგვცემს მომდევნო სტრო-
ფი.

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება, —
ძალი მოშეც და შეწუნა შენგნით მაქვს. მიესცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურჯაღცა უნდა ხსენება.
და მათ სამთა ფერთა მნათობთა სკირს ერთმანერთის მონება.

(6)

ე. ი. რაა საჭირო იმისათვის, რომ ნაწარმოები კემმარტად მხატვრული კა-
მოვიდეს? ენა, გული და ხელოვნება, და პოეტიც ამგვარ მოთხოვნებს უყვანებს
თავის თავს.

მაგრამ პოეტს უკმარად მიაჩნია მართო საკუთარი ძალა იმისათვის, რომ
სათანადოდ შეამკოს ქების მთავარი გმირები, მომდევნო სტროფშიაც იგი მოუბ-
ნობს თავის თანამოკალმეთ, თქვენც მიიღეთ მონაწილეობა ტარიელის შექება-
შიო.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი:
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!

დავეჯი: რუსთველმან გავლენა მისთვის გელს ლაზარს-საბალო.
და აქამდის ამბად ნათქვამი. აწ მარჯალტი წყობილი.

(7)

შენდეგ სტროფშიაც შექების დასაბუთებაა მოცემული და განსაკუთრებით
ზირადი განწყობაა უჩვეულოდ გამოვლენილი.

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი:
ვის ჰმორჩილობს ჭარი სპათა, მისთვის ვხელობ. მისთვის მკვლარი.
დაუძღვლარი. მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი.
და ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარა.

(8)

აქ არის იმისთანა რამ, რაზედაც მკითხველს და, განსაკუთრებით, მკვლე-
ვარს უნდა შეეჩრებინა თავისი ყურადღება: ერთია ხელობითა და ხე-
ლობის სიტყვები და მეორე — ამაღარი.

ხელობას ქართულში ორი მნიშვნელობა ჰქონდა — გიჟობა უა-
თანამდებობა. მაშასადამე, საქირო იყო გარკვევა, რომელი მათგანია აქ?
საკითხის სავსებით ბუნებრივად დასმული.

რაც შეეხება ამაღარს, აქ ექვს იწვევს მისი გამოთქმა-დაწერილობა
და, განსაკუთრებით, მისი შეუთანხმებლობა ბრუნვაში საქმესა სიტყვასთან.
საქმესა ამაღარი თუ საქმესა ამაღარსა? მაშასადამე, საკითხი
ამ სიტყვის მიმართაც კვლად მართებულადაა დასმული.

შევეხვით თავდაპირველად ხელობა სიტყვას.

როგორ ესმოდა ეს სიტყვა აკად. ნ. მარს? ნიკო მარი საცილობელ ს-
ტყვას ასე თარგმნიდა:

„так поступаю я, Руставский, по любовному безумию: я безумствую
для одной той, кому покоряется сонм войск, для нее я умираю“.

მაშასადამე, ნ. მარი ხელობითა და ხელობის სიტყვებს გიგობად მიიჩნედა,
თუმცა შენიშვნაში ამბობდა: «вм. „ по любовному безумию“ можно пере-
вести и „в искусство“, т. е. в поэзии или в своем ремесле, но тогда чте-
ние должно быть „ж“ вм. „х“—ჯელობითა.

მარჯორი უორდრობი, ანუ უკეთ მისი ქართველი მეგობრები. ამ სიტყვას
აზრიანებდნენ როგორც პროფესიას, საქმიანობას, თანამდებობას.

I, Rustaveli, have composed this work by my art.

Art ხელობაა, ხელოვნებაა.

პროფ. კ. კეკელიძემ ეს სიტყვა (ხელობა) გააზრიან კვლად როგორც საქ-
მიანობა. მოხელეობა, თანამდებობა და ამის საბუთად ის მოიყვანა, რომ ხე-
ლობითა, ვხელობ ორჯერაა დასახელებული და შეუძლებელია რუსთა-
ველს ერთსა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვა ორჯერ
ეხმარა: „რუსთაველი, ლექსისა და სიტყვის შეუდარებელი ვირტუოზი, ერთსა
და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვებს არ იმეორებს.

ამიტომ პირველ შემთხვევაში (ხელობითა) ლაპარაკი უნდა იყოს არა ხელობაზე, არამედ კელობაზე (მოკლელობა-თანამდებობაზე), მეორე შემთხვევაში კი (ვხელობ) ლაპარაკია ხელობაზე ანუ გიუობაზე“ (ქართული ლიტ. ისტორია, გვ. 117).

ხელობის ამგვარად ახსნამ ერთგვარი ბიძგი მისცა პროფ. კ. კეკელიძეს ამადარი სიტყვა დამახინჯებად მიეჩნია და იგი წაეკითხა როგორც ალამდარი. რა არის ალამდარი? მედროშე (იქვე).

ამრიგად, პროფ. კ. კეკელიძის ინტერპრეტაციით მთელი სტრიქონი ამგვარად უნდა წაეკითხოთ:

„მე რუსთველი კელობითა ვიქმ საქმესა ალამდარი“, რაც აგრე გაიაზრება: მე, რუსთველი, თანამდებობით ალამდარი, ვიქმ საქმესა...

განვიხილოთ პატივცემული მკვლევარის მოსაზრებანი.

რუსთაველი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვებს ერთსა და იმავე სტროფში არ იმეორებსო.

გ ა ა ჩ ნ ი ა მ ი ზ ა ნ ს ა და გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს. თუ ფაქტი დაუწვებულად უნდა გადმოვიცეს. თუ ფაქტს ხაზი უნდა გაესვას, რუსთაველი ერთსა და იმავე სიტყვას ორჯერ და სამჯერ იხმარს ერთსა და იმავე სტროფში. ამის მაგალითი „ვეფხისტყაოსანში“ მრავლის უმრავლესია. რომელია ეს მაგალითები? ყველა ის. სადაც ერთი ფაქტი აზრის გასაძლიერებლად სუბსტანტივითა და ზმნითაა გადმოცემული.

ამგვარი კონსტრუქციით ცნობილია ყველა ბიბლია, მათ შორის, ქართულიც.

1. უწყებდით უწყოდე. რამეთუ შწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანასა არა თვისსა და დამოუნენ იგი (ოშკი, დაბადება, 15. 13).
2. განმრავლებით განემრავლო ნათესავი შენი, რომელი ვერ აღირააცხოს სიმრავლითა (ოშკი, დაბადება 16. 10).
3. კურთხევით გაკურთხო შენ (იქვე, დაბადება 22. 17).
4. აღკოცით აღკოცო საკსნებელი ამაღეისა ცის ქვეშისაჲს(მცხეთის ბიბლია, გამოსლვათა 17. 11).
5. ფიცით აფეცა იოსებ ძეთა ისრაელისათა (ოშკი, გამოსლვათა, 13, 19).
6. სმენით ისმინოთ კმისა ჩემისა (მცხეთა, გამოსლვათა, 23. 22).
7. გლოვდეს გლოვითა და არა აღიღეს კაცთა მათ გვამნი (მცხეთა, გამოსლვათა 33, 1).
8. სიკვდილით მოკვდინ მრუშავი იგი (მცხეთა, ლევიტ. 20. 10)
9. ხილვით იხილო ქუეყანაი იგი (მცხეთა, მეორე სჯ. 32. 52).
10. წინადაცუთით წინადაცუთოს სახლისწულმან სახლისა შენისამან (მცხეთა, მეორე სჯ. 30, 18).
11. მიწუალე მე. ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა.. (ფას. 50).

და სხვა მრავლის უმრავლესი.

ამგვარი თქმა ხალხშიაცაა გავრცელებული: სიკვდილით მოკვდი, სიხარულით გაიხარე და სხვ. და თუ შოთა მიჰმართავს ამგვარ რასმე, ამით იგი თავისი ნაწარმოების კვალად ხალხურობას ამტკიცებს.

შოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

- ა. ნავსა ჩაყვე. ზღუასა შეველ. ზღუასა შიგან გაეღაჯარი:
არსით ნავი მომავალი უნახავად არ დაეჯადი;
მოველოდი, არა მესმა. შმაგი უფრო გავე შმაგდი...

შმაგი უფრო გავე შმაგდი! ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვაა აქ ნახმარი ერთ ადგილას.

ბ. მზე აღარ მზუობს ჩვენთანა, დარი არ დარაზს დარღალა!

აქ კიდევ უფრო მკაფიოდაა ეგ თქმა გადმოცემული: ნზე აღარ მზეობს, დარი არ დარობს დარულად!

- გ. აქამდის ზღუარი თუქთაა. მომზღერე ფრიდონის ზღერე-
ზითა.

- დ. ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა:
ამაზედან გაიციენს მათ წყლიანთა. სიტყვა-ბრძენთა.
ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობითა მათთა მშენთა
და სხვა მრავალი.

რატომ მიმართავს ამისთანა ხერხს შოთა? მხოლოდ იმიტომ, რომ ძირითადი ფაქტი სტროფისა ხაზგასმით, მკვეთრად წარმოადგინოს. ამგვარი თქმა აზრის გასაძლიერებელი საშუალებაა.

დავუბრუნდეთ საანალიზო სტროფს. რაზეა აქ ლაპარაკი? აქ ლაპარაკია სი-
გიჟეზე, გახელებაზე, მისგან დაუძღურებაზე, ამიტომაც ეს ხელობა (სიგიჟე)
რაც შეიძლება მძლავრად უნდა იყოს წარმოდგენილი.

ამიტომაცაა:

მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი,
მისთვის ეხელობ. მისთვის მკედარი.

აქ ყველაფერია მოხმობილი იმისათვის, რომ ხელობა, სიგიჟე მკაფიოდ იყოს გამოვლენილი. ამას კი ვაღწევთ ამ შემთხვევაში ერთისა და იმავე სიტყვების განმეორებით, ანაფორითა და ანაფორული ალიტერაციით.

ყველაფერი რიგზეა!

მაშასადამე, ის გარემოება, რომ ერთი ფაქტის გადმოსაცემად ერთი და იგივე სიტყვა ორჯერაა ნახმარი, ერთხელ სუბსტანტივი და მეორედ ზმნა, არ გამოდგება იმის საბუთად, რომ პირველ შემთხვევაში თანამდებობაზეა ლაპარაკი, ხოლო მეორე შემთხვევაში — სიგიჟეზე.

ასეთია „ხელობითა“ და „ეხელობ“ სიტყვათა მნიშვნელობა და აზრი მე-4 სტროფში.

ეს გარემოება საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ საეცხბით მოხსნილიყო თანამდებობის, მაშასადამე, ალამდარის საკითხი. მაგრამ არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც მას, ალამდარს, უეპკველად საეპკვოდ ხდის.

მე რუსთველი კელობითა ვიქმ საქმესა ალამდარი... რუსთაველს რომ აქ თანამდებობა ეგულისხმა, იგი ამ სტრიქონს ამგვარად არ გააწყობდა. რატომ?

იმიტომ. რომ ჩვენ აქ გვაქვს ე. წ. ტმესი, ანუ გაკვეთა, მსაზღვრელი და საზღვრული (კელობითა||ლაშმდარი) გაყოფილია ერთმანეთისაგან.

ამგვარი შემთხვევები შოთას მოეპოვება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს რიტმის (რიტმის!) საჭიროება.

მაგ.

ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს, ლალმან და ლამაზმან, ნები.

უნდა ყოფილიყო: ჩემმან ხელმქმნელმან, ლალმან და ლამაზმან, დამმართოს ნები, მაგრამ სტრიქონი აგრე რომ გაემართა, რიტმი დაირღვეოდა და ლექსიც წელგატეხილი იქნებოდა. ამიტომაც პოეტმა გაკვეთა ლექსი და შემასმენელი პროზაული წყობის თვალსაზრისით უჩვეულო ალაგს ჩასვა: ჩემმან ხელმქმნელმან და დამმართოს, ლალმან და ლამაზმან ნები.

ან:

მას თინათინის შეენება ჰკლევდის წამწამთა ქარისა,

რაც ნორმალური წყობით ასე იქნება:

მას ჰკლევდის შეენება თინათინის წამწამთა ქარისა.

სიტყვებიც იგივეა, რაც ლექსში, რაოდენობაც იმდენივეა, დალაგებულოა სავსებით წესიერად. მაგრამ ლექსი არ გამოვიდა, და შოთამაც გაკვეთა წინადადება და მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩასვა ორი სიტყვა: შეენება ჰკლევდის.

უბრძანა, თუ: „მოახსენე, ასმათ, დაქდეს, ამირბარსა.“
(410).

უნდოდა:

უბრძანა, თუ: ასმათ, მოახსენე, ამირბარსა. დაქდეს“.

ან კიდევ:

მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწეა, ალვისა სახემან.

გული წამსავე წამილო, — ვერათ ვერ შეეინახე, — მან.

(738)

სადაცა ნახნის, ეუბნის. მგზავრი, ზღვის პირსა რებულნი.

(1028)

და სხვა და სხვა.

მაშასადამე, ამგვარი „დარღვევანი“ და საზოგადოდ ინვერსიული წყობა შოთას მხოლოდ მაშინ აქვს (მხოლოდ!) როდესაც ეს რაიმე განსაკუთრებული საჭიროებითაა გამოწვეული, თუ არა ამგვარი საჭიროებით, სხვაგან ჩვენ ვერსად ვერ ვნახავთ ამისთანა „უსწორობას“.

ჰქონდა თუ არა შოთას ამგვარი გაჭირვება საანალიზო სტროფის შეთხზვისას? არა, არ ჰქონდა, არ ჰქონია მის, თუ იგი აღაშფოთდა იგულისხმებდა, თავისუფლად შეეძლო დაეცვა სიტყვათა წესიერი დალაგება წინადადებაში, სახელდობრ:

„მე რუსთველი ვიქმ საქმესა ხელობითა ალამდარი“. ე. ი. მსაზღვრელი ჟა სანდვრული. როგორც წესი, ერთად იქნებოდა: აზრიც სწორი გამოვიდოდა და ლექსიც გამართული.

მაშასადამე, ალამდარის საკითხი უთუოდ უნდა მოიხსნას. მაგრამ ამა- დარის საკითხი კი, ცალკე დაიწერება იგი, თუ ერთად. სულ ერთია. უნდა გა- ირკვეს.

შესაძლებელია იგი განსაზღვრავდეს სიტყვას „რუსთაველი“: მე რუსთვე- ლი ამდარი ხელობითა ვიქმ საქმესა, ე. ი. რუსთაველი ამისთანა, ამგვარი ხელობით ვიქმ, ხელობით ჩავდივარ საქმეს. მაშინ ჩვენ კვლავ ინეიერსიულ წყო- ბასთან გვექნება საქმე. სწორედ ისე, როგორც გვაქვს.

დავჩე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულახვარ-სობილი: დაეჭე მოითხოვს ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში, მაშასადამე, დაეჭე მისთვის გულახვარ-სობილი; გავლექსე ითანხმებს ქვემდებარეს მოთხრობითში, მაშასადამე, რუსთველმან გავლექსე, ხოლო მთლიანად: დავჩე მისთვის გულ- ლახვარ-სობილი და მე, რუსთველმა, გავლექსე.

მაშასადამე, ამადარი შეთანხმებული იქნება „რუსთაველი“ სიტყვა- თან: მე რუსთველი ამისთანა, ამდარი ხელობითა ვიქმ საქმესა — ერთი გა- გება. მეორე გაგება: შესაძლებელია ამადარი განსაზღვრავდეს საქმესა- სიტყვას. მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამდარი, ე. ი. ვიქმ საქმესა ამა- დარსა, ამგვარსა, მაგრამ მაშინ რითმა ირღვევა. როგორ მოვიქცეთ?

ამგვარი „დარღვევანი“, ამგვარი „უსწორობანი“ შოთას საქმოდ აქვს და ისინი ჩვენ უჩვეულოდ არ გვეჩვენება.

მაგ.:

დავითის ქმნანი ვითა ვთქენე სიხალხე-სიხაფეთანი
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზენნი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი
და ვპოვენ და ლექსად გარდაეთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

(1667)

აქ ორი უსწორობაა. პირველი ვილაყფე ვილაყბე-ს ნაცვლად. მაგრამ პირდაპირ უჩვეულოა მეორე დარღვევა: ვილაყფეთანი ვილაყბენითა-ს ნაცვლად.

საზოგადოდ, ამგვარი უსწორობანი დღევანდელი ენის ნორმების თვალსაზ- რისით არაერთი გვხვდება ჩვენს ძველ ქართულ ძეგლებში.

მაგ., ბალაეარიანში ჩვენ ამგვარი თქმა გვაქვს:

გარნა ღმერთსა, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრებაჲ, მოწყალეობისა მისთვის, რომელ ჰყოფდა გლახაკთა ზედა, მიანიჭა მას შვილი კეთილი და საღმრთოჲ და აღივსო სიხარუ- ლითა დიდითა და ეწოდა სახელი მისი იოდასაჲ¹.

უნდა ყოფილიყო.. გარნა ღმერთმან, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრებაჲ... მიანიჭა მას შვილი... მაგრამ მწერალმა ქვემდებარე (ღმერთი)

¹ სოლ. ყუბანი იშვილი. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1, გვ. 276.

შეთანხმა დამოკიდებულ წინადადებას: რომელსა ყოველთა კაცოთის სერს ცხორებაჲ და სხვ.

ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ თ ა ნ :

ხოლო მას. ესმა რაჲ. ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი არიან. ირწმუნა ჩემწარცხებაჲ სიტყუათა მათთაჲ და განიხარა და წარვიდა სახილ თჳსსა და სურვიელ იყო ხილვისა მათისა. (ქრესტომათია 1, გვ. 86).

აქეს თუ არა შოთას ამგვარი თქმა. ამგვარი ატრაქცია? აქეს. სწორედ ატრაქციით უნდა აიხსნას შოთას შემდეგი თქმა:

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია. რასაცა მიცემით ბრუნვაშია. ასედაც უხდა იყოს. მაგრამ დაკარგულია მოითხოვს სახელს სახელობითში: რა. ე. ი. უნდა ყოფილიყო: რასაცა გასცემ შენია, რასაც არ გასცემ, იგი (რა) დაკარგულია. პოეტმა შეამოკლა თქმა და მოგვცა: რასაცა გაცემ შენია. რაც არა. დაკარგულია.

ერთი შემასმენელი ორ წინადადებას ემსახურება!?

„ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება კიდევ უფრო იშვიათი შემთხვევა ატრაქციისა, სახელობრ ის ადგილი, სადაც ტარიელი პასუხს უგზავნის ნესტანს.

ასმათს ვუთხარ: „შე პასუხსა ამის მტესა ვერ მიუხედები;
ესე ჰკადრე: რადგან. მზეო. ჩემთვის ნაოლად აღმოხდები.
აჲ, მყედარი გამაყოცხლე. ამას იქით აღარ ვბნდები,
და რაცაღაა სამსახურსა ეტყუვი. თულა ვერიღები.“

(382)

ე. ი. რაღაა ის სამსახური, რომელსა სამსახურსა, ეტყუვი. თუ მოვერიდო. ამგვარივე მდგომარეობა არის აქაც. საანალოზო სტროფში.

მასსადამე. უნდა დარჩეს:

მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი, რაც აგრე გაიაზრება: მე რუსთველი სიგიჟით ვიქმ საქმესა ამისთანას.

ამრიგად. ჩვენ გვაქვს ქების ჰიროვნება. ქების საფუძველი. სათანადო ნიჟი და ხელოვნება.

ყველაფერი ეს რომ რიგზე შესრულდეს. საჭიროა მასალა, რომელსაც უნდა დაემყაროს პოეტი. რომ ღირსეულად დაავიროგვინოს თავისი წამოწყება. აქედან — მოითთება ფსევდოწყაროზე.

ესე ამბავი სპარსული. ქართულად ნათარგმანები. ვპოვე და ლექსად გარდავთქვი. აქვე სხვა მხატვრული სახით მოცემულია მიბრძანის მათად საქებრად-ის შინაარსი, სახელობრ: ჩემმან ხელმქმნილმან დამმართოს, ლალმან და ლამაზმან, ნებო.

² ე. უ. ბერიძე. შოთას პოეტისათვის.—რუსთაველის კრებული, გვ. 173; იხ. ზე-მოთ. გვ. 102.

მაგრამ პოეტი მაინც საჭიროდ სცნობს. მას მაინც აუცილებლად მიანიჭა კიდევ განმარტოს. თუ სახელდობრ, რა აიძულებს მას უკვე ერთხელ ქებას ეხმულის კვლავ შექებას? რა? რადა:

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრეკა აქლავ ზენა.

(10)

ახლად!

პოეტი მომდევნო სტროფშიაც ცდილობს დაასაბუთოს თავისი ნაბჭი, უიზარის ხელშეორედ შექება. ახალი ნაწარმოების წამოწყება.

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯარდეს და მას უზნობდეს;
მუშა მიწყვი მეშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
და არცა ვისგან დაეწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.

ესე იგი?

ა. თუ შენ მუშა ხარ, მიწყვი, მარად უნდა მუშაობდე. მარად შენი, ხელობა უნდა მისდევდე;

ბ. თუ მეომარი ხარ, მარად უნდა გულოვნობდე.

ყველაფერი ეს ერთგვარი პრელუდიაა, სიტყვის მასალაა იმისათვის, რისი განმარტოდეს მესამე. მთავარი, ძირითადი დებულება, რისთვისაც, რის გამოც თავით სტროფია დაწერილი:

კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაეწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.

პირველი ორი სტრიქონი რომ ერთგვარი შესავალია. მოსამზადებელია მესამე და მეოთხე სტრიქონებში წამოყენებულ დებულებათა. ამას საუცხოოდ დადასტურებს მესამე სტრიქონის დასაწყისი სიტყვა: კვლა.

კვლა არ არის, არც შეიძლება იყოს პირველად წამოყენებული დებულების. პირველი ფაქტების ასახსნელი სიტყვა. კვლა მხოლოდ მეორეული და შემდგომი ფაქტების სიტყვის მასალაა. რაზე მიუთითებს კვლა? მხოლოდ იმაზე (მხოლოდ!), რომ მიჯნურობის შესახებ წინათაც იყო ლაპარაკი.

ამრიგად, არავითარ სოციალურ კატეგორიების გარდუვალობაზე. უკვლავლობაზე აქ ლაპარაკი არაა, არც შეიძლება იყოს ლაპარაკი. აგრე რომ იყოს, მაშინ შოთა, თუ მან პირველ რიგში მუშა ასხენა, ხოლო მერე რიგში მეომარი, მესამედ იგი მიჯნურსა და მიჯნურობას კი არ იტყობდა. არამედ, ვოქვათ, გლენს. ვაქარსა და მისთანათ. უცელობელია!

მიჯნურობა სოციალური კატეგორია არაა და არც მიჯნური სოციალური საზოგადოებრივი, კლასობრივი დაჯგუფების წარმომადგენელი.

გადავიდეთ საანალიზო სტროფზე.

ჩემი აწ ცანით უოველმან. მას ვაქება, ვინცა მიქ
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამოიქიქა!

ეს სტროფი, როგორც აღვნიშნეთ, მოთავსებულია მოშაირე და შაირობის შესახებ სტროფების შემდეგ. მცირეოდენი დაკვირვება საჭირო, უცილობლად დაასკვნა. რამ ამ სტროფების შემდეგ საანალიზო სტროფი მარტოხელად დგას, არავითარ როლს არ ასრულებს, იგი გაუქმებულია.

ამავე დროს ამ სტროფს უშუალო კავშირი აქვს წინა სტროფების. შინაარს-თან, ამიტომ მისი ადგილი სწორედ აქ უნდა იყოს, სწორედ აქ არის.

დავასაბუთოთ.

მე-4 სტროფში პოეტმა პირველად დაასახელა ქების საგანი: თამარს ვაქებ-დეთ მეფესა...

შემდეგ სტროფში პოეტი, როგორც დავინახეთ, მარად იმის ცდაშია, რომ როგორმე დასაბუთოს ქების აუცილებლობა, მოუწახოს მას სათანადო საფუ-ძველი და, ამისდა მიხედვით, ყოველ მომდევნო სტროფში თანდათან ძლიერებს საამისო საბუთებს და უკანასკნელ, — პირველ ზღვარს იგი აღწევს მე-1! სტროფში:

კვლა მიწურსა მიწნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს.

მეტად ძნელია უბრალო მოკვდავისათვის გვირგვინოსნის შექების აუცილებლობა. ამიტომ პოეტი მიმართავს კიბურ წესს, ე. ი. გრადაციას.

საზოგადოდ შოთას ბევრგან აქვს გამოყენებული გრადაცია, ე. ი. სიტყვებისა და მთელი გამოთქმების ისე აღზევება, რამ თითოეულ სიტყვას თანდათ: ემატებოდეს ესა თუ ის თვისება. მაგ.

მორათვეს: გასცა უზომო, უანგარიშო, უღვეი.

(54)

რაცა გჳადრო, არ გეწყინოს, არ გაპრისხდე, არ ვასწყურეო.

(65)

თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, წა

(209)

ხე დიდრონი. თვალ-უწდომი. მალღა კლდემდის ანაყრდენი.

(219)

აქ სიტყვები განლაგებულია თანდათან მეზარდი ძლიერებით.

მაგრამ გრადაცია შეიძლება იყოს არა მარტო ერთი სტრიქონის ფარგლებში, არამედ მთელ სტროფსაც და რიგ სტროფებსაც სწვდებოდეს.

სწორედ ამგვარი შემთხვევა გვაქვს აქ. გრადაციას უჭირავს მთელი ცხრა სტროფი. გრადაციის პირველი წევრია თამარს ვაქებდეთ მეფესა (4), გრადაციის უკანასკნელი წევრი — ჩემი აწცანიით ყოველმან (12).

როგორაა გაწყობილი ეს მწყრივი? პირველი წევრი შედარებით სუსტია. აქ მოცემულია საქმის ვითარება ზოგადად. მეორე წევრი უფრო ძლიერია, მე-სამე კი უფრო და ასე ბოლომდის, კულმინაციამდე.

ერთი სიტყვით. გვაქვს აღმაელაშეზარტი მწიკრივი

ამასთანავე, შინაარსონლივი ზრდა სტროფებისა ვაჩქარებულა გამოთქმის გარეგნული გამოხატულებით. შეუძლებელია, სტროფი შინაარსის მხოლოდ თანდათან ძლიერდებოდეს და მისი გარეგნული გამოხატულება ავტომატურად წელში გატეხილი იყოს.

განსაკუთრებით საგულისხმოა სიტყვათა შედგენილობით გრადაციის უკანასკნელი წევრი:

ჩემი აწ ცანიო ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქა

აქ პოეტმა ერთხელ კიდევ და უკანასკნელად (უკანასკნელად!) უნდა თქვა: უნდა დაასაბუთოს ქების აუცილებლობა. ეგ თქმა საბოლოო, დამაჯერებელი უნდა იქნეს.

ცხადია, აქ პოეტი ვერ გაიმეორებს სიტყვების იმ წყებას და კომპლექსს, რომელიც მან წინათ იხმარა. აზრი საბოლოოა და სიტყვაც, მისი ამსახველი, საბოლოო უნდა იყოს. ამიტომ პოეტი აქ სიტყვების მასალა აუჩქარებს ისეთი ნასითისა და ისეთის წყობით, რომ მკითხველს თუ მსმენელს უკვე აღარ რჩება არაფერი საეჭვო და იგი წამოყენებულ დებულებაში საბოლოოდ რწმუნდება.

ამიტომაცაა, რომ გრადაციის პირველ წევრში ჩვენს გვაქვს შედარებით დაშვრილებული კილო და სიტყვებიც შესაფერად შერჩეული. უკანასკნელში კი აღტყინებული ტონი: ჩემი აწ ცანიო ყოველმან. აქ განსაკუთრებული ეფექტს ჰქმნიან სწორედ ეს სიტყვები.

შეიძლებოდა თუ არა სიტყვების ხმარება მე-4 სტროფში, როდესაც პოეტმა პირველად ახსენა მეფე თამარი? არა, არ შეიძლებოდა.

ჩემი აწ ცანიო ყოველმან — დასაწყისი დაქტების სიტყვები არაა, იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოეხმოდ, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტზე რამდენჯერმეა განმეორებით ლაპარაკი, იგი მხოლოდ მაშინ გამოდგება, როდესაც თხრობა უმადლეს საფეხურზე ავიდა, უკანასკნელ ზღაპრს მიადგია.

ამითვე აიხსნება ის გარემოება. რომ რაკი სტროფებში სულ ქებაზეა ლაპარაკი, აქ, ამ სტროფში, უკვე ამადლებული ტონი მოითხოვს, რომ ქება სიტყვა რაც შეიძლება მძლავრად იყოს წარმოდგენილი. ამიტომაც პოეტი აქ მიმართავს ე. წ. ტავტოლოგიურ რითმას მეტი დამაჯერებლობისათვის, მეტი ემოციურობისათვის, ამიტომაც, ცხადია, მცდარნი არიან ის მკვლევარნი. რომელთაც ამ სტროფის ორი მიქია სხვადასხვა სიტყვებად ესმით. მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ შოთა პრინციპულად უარყოფს ინდენტური (ერთისა და იმავე) სიტყვების გარითმვასო. მცდარნი არიან!

მას ვაქებ, ვინცა მიქია

და ქვემოთ მითქვამს, მიქია —

ორივე ქება-სიტყვისათანაა დაკავშირებული და არავითარი გაყვეთა და ხელოვნური, არარსებული სიტყვების წამოყენება არაა საჭირო. შოთას რომ მიქია ორჯერვე ქება-სიტყვისაგან არ ეწარმოებინა, ეს გარემოება მას უთუოდ ნაკლად ჩაეთვლებოდა: აქ ქება რაც შეიძლება დაუნჯებულად, მოჭირბუხლად უნდა წარმოდგეს და ამას კი ვაღწევთ ქება-სიტყვის ვარიანტებით.

მერმე, საიდან მტკიცდება, რომ შოთა პრინციპულად წინააღმდეგია იდენტური სიტყვების გარითმვისა?

იდენტური რითმებია.

შეკვხედენ. ვნახე სასთუმალს მუსაფი გაშლით მდებარე.
აილუ. ადევგ. მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე.
ეჭადრე. თუ: -მზკო. დაგინუაე. ჩემიცა დაწვი მზე ბარე.
და რათგან არ მომკალ. პასუხი ერთილა გვადრო მე ბარე.
(530)

წედა ქდა შეესა ტაქსა. აწ ესე მე მითქს რომელი.
მართ ეითა ქარი მოქროდა გაფიცებული. მწყრომელი:
მონა მიესწივე. მისისა შეყრისა ვიყავ მნდომელი:
და შეესთვალე: -დადეგ. მიჩენე. ღომსა ეონ გაწვიენს. რომელი?-
(594)

რა დაასრულა ამაჟი. საქმე მისისა ქირისა,
ნახვა მის მზისა ნათლისა. მის თვალად არ დუხვირისა,
ეამა. უქეს ვარდისა ხელი. მძლედ დანამვირისა:
და -ევეგ ემა სიმხნე სიმხნისად. რადლა ხარ მომხვე ქირისა!-
(მო მ ხ ე ე. ე. ი. დამამხობელი) (691)

